114
1980

ISSN 0132—599 X

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ენათმეცნიერება

114

11

3 1980

ცისფერი

ყოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული
და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

წელიწადი 57-ე № 3 მარტი, 1980 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

შინაარსი

ბ. ფ. ანდრეევა — ლენინი და გორკი 3

ნათელი გაზაფხულის დღესასწაული (ქალთა საერთაშორისო დღე) 8
ნანა თარგამაძე — ლექსები 9
მარინე ფოფოკოლაური — პატარა მოთხრობები 13
ლილი გოგებაშვილი — ორი ლექსი 16
ზუმრუდ გოდერძიშვილი — ლექსები 17
გულიკო დვალი — ლექსები 19
ოლია ზანგური — გულად ლექსი მდებია. ლექსი 20
ნინო კირთაძე — ლექსები 20
ნათელა მეგრელიშვილი — ლექსები 21
რუხუდან მეგრელიშვილი — ლექსები 22
გალვინა მუკბანიანი — ორი ლექსი 23
ეთერ სამხარაძე — ლექსები 24
დუშა სანიკიძე — ორი ლექსი 25
მაია სახოკია — ლექსები 26
ნარგიზი სოფრომაძე — ლექსები 28
ნინო ქუთათელაძე — ლექსები 29
გარინე ქავთარაძე — ლექსები 31
მარინე ხმალაძე — სიყვარული. ლექსი 31
ლილი ხუციშვილი — ლექსები 32
მედეა ზავლიაშვილი — არა იპარო! მოთხრობა. 33

რევაზ ჯაფარიძე — მძიმე ჯვარი. რომანი. გაგრძელება 48
კარლო კოგბერიძე — საფეხბურთო ნოველა 74
აკაკი გეწაძე — ფეხშიშველა სასიძო. გაგრძელება 97

კრიტიკა და ჟურნალისტიკა

ბიძინა ფოჩხუა — იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების დღევანდელი დღე 161
ციური ხეთერელი — ისევ მაისოს მაისი 171
ლულანა ქეთელაური — გავშვი და დედაენა 180

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა

ფაქტები, მოგონებანი

ოდიონ ქორძია — ლევან ასათიანის გახსენება 185

ეროვნული ბიბლიოთეკა

წიგნების მიმოხილვა

ა. ხუციშვილი — ერი გულადი, ჯურადი 189
რ. გულსაფაშვილი — გარდასულზე და აწმყოზე 191

მთავარი რედაქტორი გიორგი ნატროშვილი

საredakcio kolegia:

გრ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, რ. ამაშუკელი (მთ. რედ. მოადგილე), ხ. ბერულავა, ო. ბერძენიშვილი, ა. გოგიაშვილი, ტ. ბალაძე, მ. ლებანიძე, ლ. მრელაშვილი, ა. ხულაკაური, ა. ქუთათელი, დ. შენგელია, ნ. ფულეისკირი, ვ. ფულუკიძე, ო. ჯილაძე, გ. ხარანაული, რ. ჯაფარიძე, ბ. ჯიბლაძე.

ტექრედაქტორი რ. ნაკვეტაძე

რედაქციის მისამართი:
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი № 12.

ტელეფონები: რედაქტორის — 93-55-11.
მთ. რედ. მოადგილის — 93-55-18, განყოფილებების — 93-55-15, 93-55-17, 93-55-20.

გადაეცა ასაწყობად 18/II-80 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 24/III-80 წ., ანაწყობის ზომა 7¹/₄×12, ქაღალდის ფორმატი 70×108¹/₁₆, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 12, პირობითი თაბახი 16,58.

უე 08430. ტირაჟი 18.700. შეკვ. 455
ნაბეჭდი ფურცელი 13, სააღრ.-საგამომცემლო საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

© „საქ. ცკ-ის გამომცემლობა", 1980.

ეროვნული ბიბლიოთეკა

76421

ლენინი და გორკი

მ. ფ. ანდრეევა

მარია ფედორის ასული ანდრეევა (1868—1953) — ცნობილი რუსი მსახიობი ქალი, საზოგადო მოღვაწე, ა. მ. გორკის ცოლი და უახლოესი თანაშემწე; 1898—1905 წლებში გამოდიოდა მოსკოვის სამხატვრო თეატრის სცენაზე, სადაც დიდი ოსტატობით ასრულებდა როლებს ჰაუპტმანის, ჩეხოვის და გორკის პიესებში; მონაწილეობდა 1905 წლის რევოლუციაში, ასრულებდა პარტიის ფრიად საპასუხისმგებლო დავალებებს, რომელსაც უშუალოდ ლენინისაგან იღებდა. ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემდეგ აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

თავის ამ საინტერესო მოგონებაში მ. ფ. ანდრეევა მოგვითხრობს თუ როგორ ცდილობენ მახისტები (ბოგდანოვი, ბაზაროვი, ლუნაჩარსკი) „იდეური ზავი" დაემყარებინათ ლენინთან, მაგრამ როგორც თვითონ ანდრეევა სამართლიანად აღნიშნავს, ეს შერიგება შეუძლებელი იყო, ვინაიდან ლენინი აწარმოებდა გადამწყვეტ, უკომპრომისო ბრძოლას ემპირიოკრიტიციზმის წინააღმდეგ, დიალექტიკური მატერიალიზმის პრინციპების დასაცავად, ხოლო მახისტები აწარმოებდნენ მარქსიზმის რევიზიას. ა. ლუნაჩარსკი წერდა: „შეიძლება ჩვენ ვცდებით, მაგრამ ვეძიებთო"; ამაზე ლენინმა უპასუხა თავისი გენიალური წიგნის „მატერიალიზმისა და ემპირიოკრიტიციზმის" წინასიტყვაობაში: „მეც „მაძიებელი" ვარ ფილოსოფიაში... ამ შენიშვნებში მე ამოცანად დავისახე მოვძებნო, თუ რაზე შეიშალნენ ის ადამიანები, რომლებიც ვითომდა მარქსიზმის სახით რაღაც საშინლად აწეწილს, აბნეულს და რეაქციულს გვთავაზობენ".

ჩვეულებრივ, პეტერბურგში რომ ჩამოდიოდა, მაქსიმ გორკი ჩერდებოდა წიგნების გამომცემელ კონსტანტინე პიატნიცკის ბინაზე, სადაც მას ჰქონდა თავისი ორი პატარა ოთახი. პეტერბურგში მისი ყოფნის დღეებში პიატნიცკის ვეებერთელა ბინა დილიდან საღამომდე სავსე იყო ათასნაირი ხალხით; აქ მოდიოდნენ ლიტერატორები, მხატვრები, ოპერისა და დრამის მსახიობები, სტუდენტები და მუშები, რაც, რასაკვირველია, ამ ბინას აქცევდა მეფის პოლიციის სრულიად აშკარა მეთვალყურეობის საგნად.

როცა 1905 წლის ნოემბერში ჩვენ გაეემზადეთ პეტერბურგში წასასვლელად, ჯერ ისევ მატარებელში ალექსი მაქსიმეს-ძემ მითხრა, რომ ჩვენ, ჯერ უნდა მივიდეთ „ნოვაია ჟიზნის" რედაქციაში და იქიდან წავიდეთ პიატ-

მარქსის სახ. საქ. სსრ
სახელმწიფო საჯარო
ბიბლიოთეკა

ნიკკისთან, რომ არ შევაცბუნოთ მისი ბინის მეთვალყურენი და თან არ გავიყოლიოთო. მისულისთანავე ჩვენი ნივთები აიღეს ნათესავებმა და მეგობრებმა, რომლებიც სადგურზე დაგვხვდნენ, ხოლო მე და გორკი გავემართეთ რედაქციისაკენ, რომელიც მოთავსებული იყო ნევის პროსპექტზე, სადგურის ახლოს.

აი იქ პირველად შეხვდნენ და გაიცნეს ერთიმეორე გორკიმ და ვლადიმერ ილიჩმა.

მახსოვს, როგორ გამოვიდა ლენინი ჩვენს შესახვედრად რომელიღაც უკანა ოთახებიდან და სწრაფად მიუახლოვდა ალექსი მაქსიმეს ძეს. ისინი დიდხანს ართმევდნენ ხელს ერთიმეორეს. ლენინი გახარებული იცინოდა, ხოლო გორკი დიდად შემცბარი, როგორც ყოველთვის ასეთ დროს, ცდილობდა ელაპარაკნა განსაკუთრებით სოლიდურად, ბოხი ხმით, და ახლაც იმეორებდა განუწყვეტლივ:

— აჰა, აი თქვენ როგორი ყოფილხართ... კარგია, ძალიან კარგია! მე გახარებული ვარ, ფრიად გახარებული ვარ!

ჩვენ პიატნიკის ბინაზე რომ მივედით, კარგა ხნის შემდეგ, ალექსი მაქსიმეს ძემ მითხრა:

— ასეეე! ხედავ, მე და შენ რანაირ საქმეებში ჩავებით... მართლა, ძალიან კარგია, არა?

მე, რასაკვირველია, მაშინვე მივხვდი ვის გულისხმობდა გორკი, მაგრამ, რომ გამეღიზიანებინა იგი, განზრახ ვკითხე:

— შენ ვისზე ლაპარაკობ?

— რა თქმა უნდა, ლენინზე! როგორი კარგია იგი! და ნუ დაიკვეხებ, რომ შენ ამას ჩემზე ადრე ამბობდი, რომ შენ ჩემზე ადრე ნახე იგი, — სავსებით ბავშვურად დაასკვნა მან.

ის ხშირად ჰგავდა დიდ ბავშვს.

* * *

მახსოვს როგორ შეხვდა გორკი ლენინს ლონდონში, 1907 წელს, როცა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის მეხუთე კონფერენციაზე ჩამოვიდა.

ლენინმა წაგვიყვანა სასტუმრო „იმპერიალში“, რომელიც მდებარეობდა სადღაც, ბრიტანეთის მუზეუმის მახლობლად. სასტუმრო წარმოადგენდა უზარმაზარ ნესტიან და არამყუდრო, მოუწყობელ სახლს, მაგრამ სხვა შენობა რატომღაც არ მოხერხდა.

მახსოვს ლენინი როგორ სწუხდა გორკისათვის:

— გავაციებთ ჩვენ მას, ის ხომ მიჩვეულია რბილ ჰავას, კარგ მოვლას.

მართლაც, ძლიერ მომცრო ოთახში, ნესტი იდგა, ბნელოდა, უზარმაზარ საწოლს ოთახის ნახევარი ეჭირა, ხოლო დიდი ფანჯარა უცქერიოდა პირდაპირ კედელს; გაზის ბუხარი ხელოვნური საწვავით ძალზე ცოტა სითბოს იძლეოდა, მაისი იყო, მაგრამ ნესტიანი და ცივი ამინდი იდგა.

ლენინი მიუახლოვდა საწოლს, ხელით მოსინჯა ზეწრები და თუმცა იცოდა, რომ გორკის არ უყვარდა, როცა მისი ჯანმრთელობის გამო სწუხდნენ, ჩუმად მითხრა:

— ზეწრები მთლიანად ნესტიანია, უნდა გავაშროთ ისინი, თუნდაც ამ სულელური ბუხრის წინ. ხველა აუტყდება ჩვენს ალექსეი მაქსიმოვიჩს, ეს კი არაფრად არ ივარგებს!

გასაოცრად მომხიბლავი იყო ეს სიყვარულით აღსავსე მზრუნველობა! შემდგომში მე არაერთხელ მქონია შესაძლებლობა დავრწმუნებულიყავი, თუ როგორი ყურადღებით ეპყრობოდა ლენინი ადამიანებს, განსაკუთრებით ამხანაგებს, როგორ შეეძლო მას ყველაფერი დაენახა, ყველაფერი შეემჩნია და არასოდეს არაფერი დავიწყებოდა.

როცა ლენინი წავიდა, გორკი დიდხანს მიმოდიოდა მოქრუშულ ოთახში, ფანჯრიდან კარამდე, გაზის ბუხრის წინ, ჩვეულებისამებრ, იგრეხდა და კვნეტდა ულვაშების ბოლოებს, შემდეგ წყნარად და ჩაფიქრებით წარმოსთქვა:

— განსაცვიფრებელი ადამიანია!

ალექსი მაქსიმეს ძე ძალზე აღფოთებული და სასიხარულოდ აღგზნებული იყო ყრილობაზე მოწვევის გამო, თანაც, სათანადო ხმის უფლებით. ეს როგორღაც განსაკუთრებით ახლოებდა მას ამხანაგ მუშებთან, რომლებიც რუსეთიდან ჩამოვიდნენ. ის ძლიერ იტანჯებოდა სამშობლოსთან იძულებითი განშორების გამო, თუმცა ამას გულმოდგინედ მალავდა თვით ახლობელი ადამიანებისაგანაც კი, და ცდილობდა თავისთავიც დაერწმუნებინა, თითქოს რუსეთი მას სრულიადაც არ იზიდავს.

ესწრებოდა რა ყრილობის ყველა სხდომას, ალექსი მაქსიმეს ძე ხარბად შეიწოვდა მის მთელ შინაარსს და თვით ცალკეული დელეგატების სიტყვებსაც კი; ყოველი ახალი შეხვედრის დროს უფროდაუფრო ძლიერდებოდა მისი სიყვარული ლენინისადმი.

გ. ვ. პლეხანოვმა მასზე ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა.

— ეს ხომ ბატონია! — მკაცრად თქვა გორკიმ მასზე.

და, ალექსი მაქსიმეს ძე ცხარედ ეკამათებოდა ბოგდანოვს, სტროევს და თვით ლენინსაც კი, როცა ისინი ლაპარაკობდნენ პლეხანოვის დიდ დამსახურებაზე, ერუდიციაზე და ჭკუაზე, თუმცა თვითონ გორკის, რა თქმა უნდა, მშვენივრად ესმოდა, თუ რა მნიშვნელობა ჰქონდა პარტიისათვის პლეხანოვს.

ძალზე სიძულვილით ეპყრობოდა გორკი ლიბერსა და დანს. მას, საერთოდ, მეტისმეტად სძულდა მენშევიკები, გამონაკლისს აკეთებდა მხოლოდ მარტოვისათვის, რომელსაც „ცდომილ სულს“ უწოდებდა და კიდევ ვლასა მგელაძისათვის, რომელსაც, უბრალო საუბარში, „თრიაძეს“ ეძახდნენ. ეს უკანასკნელი ალექსი მაქსიმეს ძეს მოსწონდა მისი დაუცხრომელი ბუნებისათვის და მძლავრი აღნაგობისათვის. შემდგომში, როცა ეს ვლასა თრიაძე ჩამოვიდა კაპრიზე და დაჰყო ჩვენთან საკმაო ხანგრძლივი დრო, ალექსი მაქსიმეს ძეს სულ წაუხდა მასზე შთაბეჭდილება და მასთან, ერთხელ მძიმედ ამოიოხრა და თქვა:

— თვით კარგი ბიჭიც კი, თუ ის მენშევიკია, აუტანელია!

რამდენადმე მაინც რომ გაგვეუმჯობესებინა კვება ჩვენი ამხანაგებისა, რომელთა უმრავლესობა სანახევროდ შიმშილობდა, ჩვენ კალათებით ვეზიდებოდით ბუტერბროდებსა და ლუდს იმ ეკლესიის შენობაში, სადაც მიმდინარეობდა ყრილობა.

ყრილობის დელეგატები, შესვენების დროს, ბევრს ლაპარაკობდნენ გორკის წიგნზე „დედა“. მუშებს ის მოსწონდათ, მაგრამ ზოგიერთ მათგანს ეჩვენებოდა, რომ წიგნში ყველაფერი უფრო შელამაზებულია, ვიდრე ცხოვრებაშია. გორკის ეს სწყინდა, და თუმცა ის ყოველთვის აფასებდა კრიტიკას, მიელტვოდა მას, მაგრამ ამ შემთხვევაში ცხარედ კამათობდა, ამტკიცებდა, რომ ადამიანის ბრძოლა უსამართლობასთან — მუდამ ლამაზი საქმეა და წიგნშიც ის ასეთად უნდა გამოჩნდესო.

ლენინი ძალიან მაღალ შეფასებას აძლევდა „დედას“, თვლიდა მის გამოჩენას დიდ მოვლენად, ხოლო მის ნაკლოვანებად მიაჩნდა ყველაზე მეტად ინტელიგენტ-რევოლუციონერების იდეალიზაცია.

გორკი ერთხელ უამბობდა ლენინს რა შთაბეჭდილება დასტოვეს მასზე გერმანელმა სოციალ-დემოკრატებმა. ბერლინში ყოფნისას გორკიმ ინახულა ბებელი, კაუცკი, კარლ ლიკბნეხტი, როზა ლუქსემბურგი და სხვები. ამათგან გორკის მოეწონა მხოლოდ ლიბკნეხტი და ლუქსემბურგი. რაც შეეხება ბებელს, შევიდა რა მის სახლში და დაინახა ერთი მეორეზე დაწყობილი უამრავი პატარა ბალიშები, ხელსახოცები, ფარდები, კანარის ჩიტების გალიები და სხვა ატრიბუტები გერმანული მეშჩანური ყოფისა, გორკი მაშინვე აიმრიზა და ბებელთან ფრიად ცივად დაიჭირა თავი.

უნდა გენახათ, როგორი გაკვირვება

ალიბეჭდა გორკის სახელზე, როცა მან შეაჩნია, რომ კაუცკის ცოლმა, ლუიზამ, რომელიც ბებელის გვერდით იჯდა, უცებ, არავინ იცის რატომ, აკოცა ხელზე მას.

ვახშამზე, ვეება სასადილო მაგიდასთან, გორკის პირდაპირ იჯდა მოხუცი ქალი — ბებელის ცოლი და რაღაცაზე გაცხარებით ელაპარაკებოდა ჩასუქებულ ზინგერს, რომელსაც ფრიად გულგრილი გამომეტყველება ჰქონდა.

გორკიმ მითხრა — რას ლაპარაკობს ეს ქალი, მითარგმნეო; ამ დროს ბებელის ცოლი უამბობდა ზინგერს იმაზე, რომ ბაზარზე წიწილები ძალიან გაძვირდა, რომ მისი ავგუსტი წიწილების გარდა არაფერს არ სჭამს და დღეს როგორი ბედნიერი ვარ, რომ ერთი წყვილი ძალიან კარგი წიწილები ვიყიდე და ისიც ძალიან იაფადო.

მათი საუბრის შინაარსი რომ გაიგო, გორკის განცვიფრების წამოძახილი ალმოხდა და ხმამაღლა ამოიოხრა, რითაც მოხუცი ბებელი ძალზე შეაშინა.

გორკი ჰყვებოდა 1905 წელზე, რევოლუციაზე მოსკოვში, მაგრამ მისი ნაამბობი შთაბეჭდილებას არ ახდენდა გერმანიის სოციალ-დემოკრატიის ბელადებზე. მას უსმენდნენ ზრდილობიანად, მაგრამ სკეპტიკურად. გორკიმ მაშინვე იგრძნო ეს და გაჩუმდა, ვახშმის შემდეგ კი სწრაფად გამოეთხოვა ყველას და წავიდა, რამაც იქ მყოფთა დიდი გაკვირვება გამოიწვია.

როცა გორკი კომიკურ ფერებში, როგორც ეს მხოლოდ მას შეეძლო, უამბობდა ლენინს თავის ვიზიტებზე გერმანიის სოციალ-დემოკრატებთან, ლენინი გულიანად ხარხარებდა და დაუსრულებლად გამოჰკითხავდა მას სულ ახალ-ახალ წვრილმანებს.

ძალიან დააინტერესა ლენინი გორკის შეხვედრამ ინგლისელ მწერლებთან. გორკიმ გაიცნო ბერნარდ შოუ, ინახულა ჰერბერტ უელსი, რომელსაც შეხვდა ადრეც, ჯერ ისევ ამერიკაში ყოფნის დროს. ნახა სხვებიც, ნაკლებად ცნობილი მწერლები, მაგრამ მათზე უხალისოდ ლაპარაკობდა; ის მთლიანად მოხიბლული იყო ყრილობის შთაბეჭდილებებით და რუს ამხანაგებთან შეხვედრებით.

* * *

ლონდონში ლენინი დაჰპირდა გორკის, რომ კაპრიზე ჩამოვალ მას შემდეგ, როცა ყრილობის საქმეებს დავამთავრებ; და მან მართლაც შეასრულა ეს დაპირება.

ლენინს რომ ხვდებოდა, გორკი ღელავდა როგორც პატარა ბიჭი. მას ძალიან უნდოდა, რომ ლენინს მოსწონებოდა მისი ოგარიკი, უნდოდა, რომ მას დაესვენა და ძალღონე მოეკრიბა.

ყოველდღე გადიოდნენ ნავით ზღვაზე და თევზაობდნენ. ზღვის ღელვა არცერთს არ სწყენდა, პირიქით, შესაძლებლობა ეძლეოდათ შეუფერხებლად ესაუბრათ ერთიმეორისთან.

ნავზე, მათთან ერთად მხოლოდ იტალიელი მეთევზეები ყოფნენ.

გორკი უამბობდა ლენინს ნიჟნი-ნოვგოროდზე, ვოლგაზე, თავის ბავშვობაზე, თავის ბებია აკულინა იეანეს ასულზე, თავის სიჭაბუკეზე, თავის მოგზაურობაზე ქვეყნის გასაცნობად, იგონებდა მამას, ბევრს ლაპარაკობდა პაპაზე. ლენინი უსმენდა უდიდესი ყურადღებით, ჩვეულებრივ მოუტეტული თვალებით, და ერთხელ, როგორიდაც უთხრა გორკის: — დაგეწერა ყველაფერი ეგ, გეთაყვა, საჭიროა! შესანიშნავად ჭკვიან მასწავლებელია ეგ ამბები, შესანიშნავად...

გორკი უცებ გაჩერდა, გაჩუმდა, დარცხვენით ნაახველი და სევდიანად თქვა:

— დავწერ... როდესმე.

გორკი გატაცებით უჩვენებდა ლენინს პომპეის, ნეაპოლის მუზეუმს, სადაც მან იცოდა ყოველი კუნჭული; ისინი ორივენი ერთად დადიოდნენ ვეზუვიასა და ნეაპოლის მიდამოების სანახავად.

გორკი გასაოცარი მთხრობელი იყო. მას შეეძლო ორი-სამი სიტყვით დაეხა-

ტი პეიზაჟი, მოგლეჯნები, ადამიანები; მის ამ თვისებას განსაკუთრებით ალტაცებაში მოჰყავდა ლენინი; თავის მხრივ გორკი განუწყვეტლად ალტაცებაში მოდიოდა ვლადიმერ ილიჩის მწყობრი აზრებით და გონების დიდი სინათლით. გორკის იტაცებდა ილიჩის უნარი მისულიყო ადამიანთან პირდაპირ, უბრალოდ და არაჩვეულებრივი სისადავით.

მე მგონია, რომ სწორედ იმ დროიდან ლენინის სათუთად შეუყვარდა გორკი. არ მახსოვს შემთხვევა, რომ ლენინი მასზე გაბრაზებულიყოს. გორკისაც უყვარდა ლენინი მხურვალედ, ალტაცებული იყო მისით.

პარიზში რომ წავიდა, ვლადიმერ ილიჩი მტკიცედ დაჰპირდა გორკის, კვლავ მოვალ კაპრიზე ნადეჟდა კონსტანტინოვასთან ერთადო. სამწუხაროდ, ეს დაპირება მხოლოდ სანახევროდ შეასრულა — მეორეჯერ ის ჩამოვიდა კაპრიზე ძალიან ცოტა ხნით და არც ნადეჟდა კონსტანტინოვნა ჩამოიყვანა.

ამ ხანებში კაპრიზე იმყოფებოდნენ ა. ვ. ლუნაჩარსკი, ა. ა. ბოგდანოვი, ვ. ა. ბაზაროვი, ჩამოვიდა ბერლინიდან საგამომცემლო საქმეებზე ი. პ. ლადიჟნიკოვიც, ჩვენი ძველი მეგობარი და ამხანაგი.

როცა ფუნიკულიორიდან ბლეზუსის ფილისაკენ მივდიოდით, სადაც ჩვენ მაშინ ვცხოვრობდით, ალექსი მაქსიმეს ძემ სიტყვა ჩამოუგდო ვლადიმერ ილიჩს იმ მხურვალე მეგობრულ გრძნობაზე, რომელსაც განიცდის მისდამი, ლენინისადმი ბოგდანოვი, იმაზე, რომ ლუნაჩარსკი და ბაზაროვი განსაცვიფრებელი ნიჭიერების, ჭკვიანი ადამიანები არიან.

ვლადიმერ ილიჩმა ცერად გახედა ალექსი მაქსიმეს ძეს, თვალები მოჭუტა და მტკიცედ უთხრა:

— ნუ ცდილობთ, ალექსი მაქსიმეს ძეო, აქედან არაფერი არ გამოვა.

ბოგდანოვი, ბაზაროვი და ლუნაჩარსკი არაერთხელ შეეცადნენ ეპოვნათ გზები ილიჩთან შეთანხმებისა, მაგრამ ლენინისათვის სავსებით ნათელი იყო, რომ აზრთა გათიშვის ამ სტადიაზე სრულიად უსარგებლო საქმეა მათთან რაიმე დისკუსიის გამართვა ფილოსოფიურ თემებზე; ამიტომ ლენინი გადაჭრით და მტკიცედ თავს არიდებდა მათთან კამათს, თუმცა ბევრჯერ სცადეს მათ, კერძოდ ალექსი მაქსიმეს ძემაც, მიეღწიათ იმისათვის, რომ ლენინი ჩაბმულიყო ამ საუბრებში. გორკის სურდა გაეგო რაში იყო ამ უთანხმოების არსი, მას ღრმად აღელვებდა ეს მძაფრი შეუთანხმებლობა ამხანაგებს შორის.

ამჯერად ვლადიმერ ილიჩს ალექსი მაქსიმეს ძესთან განმარტოებული საუბარი იშვიათად უხდებოდა. უშლიდნენ გარეშე ადამიანები: ილიჩმა კაპრიზე სულ რამდენიმე დღე დაჰყო. მისი წასვლის შემდეგ გორკი ნაღვლიან გუნებაზე დადგა, და ეს განწყობილება მან კარგა ხანს ვერ დასძლია.

ნათელი გაზაფხულის დღესასწაული

ქალთა საერთაშორისო დღე

„ჩვენში მწერალი-ქალები ძალიან ცოტას წერენ და ან სრულებით არ ბეჭდავენ თავიანთ ნაწარმოებებს, ან კიდევ ბეჭდავენ უსახელოდ, ხელმოუწერლად... ვინ მოსთვლის ამ გარემოებათა გამო რაოდენი ბრწყინვალე ტალანტი დაიკარგა, რომელიც ახალ სილამაზეს შემატებდა ჩვენს ლიტერატურას, ახალ დიდებას მოუტანდა მას“, — ასე წერდა მეცხრამეტე საუკუნის პირველი ნახევრის თვალსაჩინო ფილოსოფოსი და ეხთეტიკოსი ი. ვ. კირეევსკი, რომლის ნააზრევმა შეხამჩნევად წინ წასწია რეალისტური მიმდინარეობა რუსულ ლიტერატურასა და ხელოვნებაში. კირეევსკის დიდად აფასებდნენ პუშკინი, ბელინსკი და გერცენი.

კირეევსკიმ ხშორად განსაზღვრა ის ისტორიული უსამართლობა, რომელიც გრძელდებოდა მთელი საუკუნეების მანძილზე. ასე იყო რუსეთში, ასე იყო საქართველოშიც, ასე იყო მთელ მსოფლიოში. რაოდენ მეტერმეტყველურია ის ფაქტი, რომ თვით მაღალი კულტურის ქვეყანაში — საფრანგეთში ბრწყინვალე ნიჭიერებისა და ნათელი ფანტაზიის შემოქმედი ქალი, შესანიშნავი რომანების ავტორი — ავრორა დიუდევანი **იძულებული** იყო გამოექვეყნებინა თავისი ნაწერები მამაკაცის სახელით — ჟორჟ ზანდი. ასევე, გამოჩენილი ინგლისელი მწერალი-ქალი, შარლოტა ბრონტე, ავტორი რომანისა — „ჯენი ეირი“, რომელიც დიდი ხანია შესულია ინგლისური ლიტერატურის ოქროს ფონდში, აღნიშნავდა, რომ მან აირჩია ფსევდონიმად მამაკაცის სახელი — კარერ ბელი კრიტიკის შიშით, რომელიც მუდამ უნდობლად ეპყრობოდა ქალთა ნაწერებს.

ცნობილი ფრანგი პოეტი და პუბლიცისტი ლუიზა მიშელი თავის მემუარებში აღნიშნავდა: „როცა მე რომელიმე გაზეთის რედაქციაში ვგზავნიდი ნაწარმოებს, რომელიც ხელმოწერილი იყო ჩემი ნამდვილი სახელ-გვარით — ლუიზა მიშელი — თამამად შეიძლება დამედო სანაძლეო — ახი შანსი ერთის ხაპირიხპიროდ, რომ მას არ დაბეჭდავდნენ. ხოლო თუ მოვაწერდი მამაკაცის სახელს, — ლუი მიშელი — დაბეჭდვის შანსი გაცილებით მეტი იყო“.

ასეთი მაგალითების მოყვანა დაუსრულებლად შეიძლება. ეს იყო ერთ-ერთი გამოხატულება ქალის უუფლებობისა ძველ სამყაროში.

ჩვენს სამშობლოში ქალის უუფლებობას ბოლო მოუღო სოციალისტურმა რევოლუციამ; ჭკკპ ცენტრალური კომიტეტის მილოცვაში საბჭოთა ქალებისადმი აღნიშნულია, რომ „პარტიამ ხორცი შეასხა ლენინის ანდერძს — საბჭოთა ქალები ხაზოგადოების სრულუფლებიანი წევრები არიან, ნაყოფიერად შრომობენ ფაბრიკა-ქარხნებში, მშენებლობებსა და ჯანმრთელობის დაცვაში, ვაჭრობასა და მომხახურების სფეროში. მნიშვნელოვანია მათი წვლილი მეცნიერების განვითარებასა და კულტურის აყვავებაში“.

როგორც ეკონომიკის, ისე კულტურის ფრონტზე საბჭოთა ქალის წინაშე ფართო ჰორიზონტია გადაშლილი. მათ თავი ისახელეს პოეზიაშიც, პროზაშიც, თეატრშიც, მხატვრობაშიც, მუსიკაშიც.

ეს უკვე ტრადიციად იქცა „მნათობისათვის“ — ყოველ წელს, ქალთა საერთაშორისო დღის აღსანიშნავად, მარტის ნომერი მიუძღვნას ქართველ მწერალ-ქალთა შემოქმედებას: ასეა წლევანდელი მარტის ნომერიც; ცხადია, აქ ქართველი პოეტი ქალების შემოქმედება სრული სახით და მთლიანად **არ არის წარმოდგენილი და ეს** შეუძლებელიც იყო; უმთავრესად წარმოდგენილია ახალგაზრდობა, **რომელიც** თავის შემოქმედებაში ნათლად გამოხატავს ქართული საბჭოთა პოეზიის დღევანდელ დონეს და მის შემოქმედებით აღმავლობას.

ნანა თარგამაძე

ღ ი მ ი ლ ი

ჩქარა ნუ კითხულობთ ლექსებს,
ჩქარა ნუ გადაშლით გვერდს,
რომ გამოგრჩეთ თქვენი წილი სიხარული,
რას ეტყვით მერე ღმერთს?
უნდა დაკვირვებით ჩახედოთ
ყოველ სიტყვას, ყოველ ბწკარს,
ყური დაადოთ ლექსის ფილტვებს,
იქნებ, გაიგონებთ იდუმალ ხმას?
იქნებ, ასოებზე ამოსული
დაინახოთ პაწია კვირტები,
იქნებ, ცისარტყელებიც შეამჩნიოთ,
თუ დაუკვირდებით...
და თუ ვერ აღმოაჩენთ, მერე
სინათლეზე გახედეთ, როგორც ქაღალდის ფულს,
იქნებ წააწყდეთ უცნაურ ნახატებს,
ან მარტივ, ან რთულს;
და თუ ამასაც ვერ აღმოაჩენთ, მაშინ
დახურეთ წიგნი საჩქაროზე
და შემოდევით ყველაზე მაღალ,
ყველაზე მტვრიან თაროზე.
მაგრამ თუ დაინახეთ პაწია კვირტები,
თუ ჩურჩული მოგესმათ იდუმალ ხმათა,
წაიღეთ ეს წიგნი და დადეთ
სადმე ახლოს, მაგალითად, სასთუმალთან...
გადაიკითხეთ ერთხელ ან ორჯერ,
როცა იქნებით მოწყენილი ან დაღლილი
და დარწმუნდებით, რა სასწაულის
მოწმე გახდებით. ერთხელ, დილით
თვალს გაახელთ და ნახავთ, რომ თქვენს გვერდით,
ოთახში, სადაც ჰაერია დახუთული,
პირდაპირ წიგნიდან ამოხეთქილა
ყვავილი უცხოდ მოხატული...
სანამ თქვენ დაიბნევით, სანამ გაიოცებთ,
სანამ წამოდგებით ნელ-ნელა,
საიდანღაც გაჩნდება ოცნებასავით ჭრელი
უცხო პეპელა
და თუ ის პეპელა თქვენს სულში შეფრინდა,
როცა დაიღლება ყვავილთან თამაშით,
ეს იმას ნიშნავს, რომ ბედნიერების
ნათელი ღიმილი თქვენ გერგოთ მაშინ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თევზაობა

როცა სათევზაოდ მიდიხართ,
ძალიან ფრთხილად უნდა იყოთ,
თითქოს არაფერი არ ხდება,
ან რა უნდა მოხდეს თითქოს;
მაგრამ მოითმინეთ... ვისაც თევზაობა
გიყვართ ღამე, როცა არეა მდუმარე,
შემთხვევით თქვენს ბადეს შეიძლება
ამოყვეს
ტალღებში მოცურავე მთვარე.
თქვენ გიფიქრიათ რა შეიძლება
მოხდეს,
როცა არ ექნება მთვარე ხალხს?
რა ეშველება ძაღლებს და პოეტებს,
შეყვარებულებზე რომ არაფერი
ვთქვათ!
თუ დღისით გიყვართ თევზაობა,
დავუშვათ, ისროლეთ ანკესი,
დავუშვათ, თქვენს კაუჭს წამოეგო
დიდი, მოწყენილი თევზი...
იქნებ ის თევზი, თქვენ რომ დაიჭირეთ
და ხელი ჩასჭიდეთ მაგრად,
შეყვარებული იყო, ან ვინმე
ახლობელი ჰყავდა ავად.
ანდა დაუშვათ, მზიდან რომ ვინმემ
სტყორცნოს ბადე — დიდი ან პატარა,
და იმ ბადეში გაეხვეს უცებ
ჩვენი პლანეტა, როგორც კამბალა;
თქვენ გიფიქრიათ რა მოხდება მერე?!
მე პირადად მიჭირს ამის წარმოდგენა,
ჩემს პატარა თავში არ ეტევა
მოვლენა ამოდენა...
ამიტომ, როცა სათევზაოდ მივდივარ,
შინ ვტოვებ ანკესს და ბადეს,
ვჯდები ნაპირზე და მშვიდად ვუცქერ
მდორე მდინარეს.

სტუმრობა ერთ შაბათ დღეს

კარი დამხვდა ღია,
ე. ი. მიცდიან,
შიშის ქუდი დავკიდე,
სადაც ქუდები ჰკიდია,
საკიდის კიდეს
მივაკიდე კიდევ
იასავით მუქი
სევდის ქურქი
და შევედი...
დარბაზში ისხდნენ დევები,
სჭამდნენ ჰიპოპოტამის მწვადებს
და კითხულობდნენ საღამოს გაზეთს...
მივესალმე ყველას
და ხელად
ვიფიქრე, რად მოვედი-თქო.
თითქო
მიმიხვდნენ დევები
და მოფერებით
დამიწყეს საუბარი,
მათი სუნთქვისაგან დგებოდა ქარი,
მათი სიცილისგან იძვროდა მიწა,
მერე დიდხანს
ვითამაშეთ ნარდი,
მე არ მქონდა წაგების დარდი.
ორი თავის ქალა — იყო კამათლები,
მეც მიხაროდა, რომ არც ერთი არ იყო
ჩემი...
მერე ვსვით ჩაი ფიალებით,
ჩაის ასდიოდა ცეცხლის ალები,
გამოვიდა მზარეული, ისიც
უზარმაზარი,
ერთი სახლის ხელა დადგა ნამცხვარი...
დროა-მეთქი,
საათმა თორმეტი
ჩამოჰკრა როცა,
ავდექი მორცხვად
და წინკარში გამოვედი...
გამომყვნენ დევები,
ერთმა მითხრა: — ჩაო,
შემდეგ შაბათს კიდევ დაგირეკავო,
მეორემ ჩამომართვა ხელი,
ცხელი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

როგორც ცხელი აგური
და მობოდიშებით თქვა:
— აბა რა ვქნათ,
ჩვენც გვჭირდება ზოგჯერ რაღაც
ადამიანური...

სადღაც გამქრალიყო შიშის ქუდი,
სადღაც გამქრალიყო გუნება ცუდი,
თვალწინ დადნა ჩემი სევდის ქურქი
და იატაკზე უცებ
დადგა გუბე —
იასავით მუქი;
გავედი გარეთ,
იდგა დიდებული ღამე.
ვარსკვლავები თეფშებივით დიდები,
თითქოს ტოტებზე ეკიდა წეებს;
და ვიფიქრე მე:
„რა კარგია, ვინმეს რომ სჭირდები,
თუნდაც... დევებს".

* * *

ჩემზე ჭკვიანი ხარ, ვიცი,
ჩემზე გაბედული,
მაგრამ შეგიძლია ჩემსავით ციმციმ
ხელზე დაიდო გული,
რომელიც ჭიაკოკონასავით იწვის
და თქვა: ნახე, როგორ გაჩენია სიყვარული!
ჩემზე ჭკვიანი ხარ, ბევრად,
ბევრად გამოცდილი,
მაგრამ შეგიძლია ჩემსავით ველად,
ყოველ დილით,
გადაიქცე გვირილის ცრემლად,
რომ ფუტკარს მოუკლა წყურვილი?
ჩემზე ჭკვიანი ხარ, სატრფოვ,
ჩემზე ღონიერი,
მაგრამ შეგიძლია ჩემსავით მარტო
ათამაშო ჟონგლიორივით პლანეტა ჩვენი
მხოლოდ იმიტომ, რომ გაგართო,
როცა ხარ დარდის მჩენი?!
ჰო, ჭკვიანი ხარ, ვიცი,
ძლიერი, როგორც რკინა,
მაგრამ უჩემოდ რად ვერ იცდი,
რატომ მოგეწყინა,
ვითარცა მწირს უდაბნოსა შინა?!

გასამხიარულებელი

როგორ უნდა გახდეთ მხიარული,
როცა დარდია თქვენში შეპარული?
ჯერ უნდა გაიხსენოთ რამე სასაცილო,
მაგალითად, ვინმე ფუტურისტის ტილო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანატული გუაშით ან ტუშით,
ან ანეკდოტი, რომელზედაც იცინეთ გუშინ;
თუ გაგეღიმებათ, ეს უკვე კარგია,
ე. ი. დასძლიეთ გუნებას დარდიანს;
და როცა გაიღიმებთ, აღმოაჩენთ მაშინ,
რომ სიცილი იმალება ყველა საგანში,
რომელიც აქამდე არ გეჩვენებოდათ სასაცილო,
მაგალითად, უბრალო სტაფილო,
მაგალითად, მზის კურდღელი,
რომელსაც კედელზე გააჩენს მაკრატელი,
თუ მოხვდა სხივი ალმაცერი,
ყველა დარდი, რაც გქონდათ წუხელის,
რაც იყო საწყენი ან მოსაწყენი,
წვიმა, აცმული ვერცხლის მძივებად,
თუ თქვენი ყელის დამშვენება ინება
სასაცილოა...
თუ გაგეცინებათ!
ბოლო მოეღება ავდრებს
და დარდებს,
რაც იყო ადრე.
გულს ნუ უხათრებთ,
გამოაღეთ გულის სარკმელი
და შიგ შეუშვით მზეზე ნათელი,
მწიფე ალუჩასავით გაცინებული ბავშვი,
ან მოჭახჭახე შაშვი;
თუ გვერდით არ არიან
ბავშვი და შაშვი,
მაშინ,
შეუშვით პატარა კალია,
და რომ არ მოიწყინოს
კალიამ ძალიან,
თან შეიტანოს თავისი ვიოლინო,
თქვენ კი დაჯექით და გადაკარით
ერთი ჭიქა წითელი ღვინო.

თითქო

თითქო შუქი კრთის, თითქოს ბინდია,
ღრუბლებია თუ მთები?
იასამანი მტევნად ჰკიდია,
თუ ვცდები?

ბუჩქები კრეფენ მოკუნტულები
გაბნეულ იებს,
არც სიმკვეთრე აქვს, არც კონტურები
ტყეს გადამთიელს.

თითქო ჭიხვინი ისმის ცხენების,
თითქო არ ისმის.
მართლა შენა ხარ, თუ მეჩვენები,
ალარც ის ვიცი.

თითქო მიყვარხარ, თითქო — არა,
ჩემი ხარ? სხვისი?!
და მე ვარსებობ, თუ ალარა ვარ,
არ ვიცი ისიც.

მარინე წოწკოლაური

ეროვნული ბიბლიოთეკა

პატარა მოთხრობები

წერილი

წუხელ საოცარი სიზმარი ვნახე...

გზაზე მივდიოდით მე და შენ. ერთმანეთისათვის წელზე შემოგვეჭდო ხელები. ნაბიჯის აწყობა მინდოდა და ბაჭიასავით მოვხტოდი.

— მიყვარხარ, — ჩემს ყურთან ცხელ სუნთქვას ამოაყოლე.

— რახან თქმა გაბედა, აღარა ვყვარებივარ, — გავიფიქრე.

— რამ დაგაღონა? — მკითხე.

— კისერზე დაკიდებულ ოქროს მედალიონს მოვცლა უნდა, ხშირ-ხშირად თუ არ გააპრიალებ, �რ იბრწყინებს-მეთქი.

— მიყვარხარ, — უფრო ძლიერ მიმიზიდე.

— ასე მგონია სიყვარულით სავსე წამლის შუშა გიჭირავს ხელში და მე, ავადმყოფს, მისი შორიდან ცქერა როგორ მომარჩენს...

არა! ეს არ მითქვამს, მხოლოდ გავიფიქრე...

— შენ ჩემი ჩიტუნია ხარ, პატარა, სულ პატარა, აი, ამხელა, — ნეკის ფრჩხილიანი სახსარი მიჩვენე შენ.

— ზამთარში ჩიტუნები თბილი ქვეყნებისაკენ მიფრინავენ, — თითქოს გაგაფრთხილე...

...მერე აყვავებული ხის ძირას ვიჯექი. არ ვიცი რა ხე იყო, მიკვირდა კი, ამ სიცივეში რამ ააყვავა-მეთქი. შენ გელოდი...

ვიღაც მომიახლოვდა; დიდხანს მიყურა, მერე ნიკაპი ამაწია, თვალებში ჩამაჩერდა და სილა გამარტყა. ერთი... ორი... დაუზოგავად მცემდა. წავიქეცი, წიხლით შემდგა... იცი, რას მივხვდი?.. გულს მანამ ვერ იჯერებდა ეს ცემით გაუმაძღარი კაცი, სანამ მიწად არ მაქცევდა და იმ მიწას ფეხებით არ გატკეპნიდა.

არა ვკიოდი, შემოფხრეწილ კაბას ვიფარებდი გაშიშვლებულ სხეულზე და... შენ გელოდი.

შენც გამოჩნდი.

— მიშველე, — არ ვიცი ხმამაღლა დაგიძახე, თუ მხოლოდ გონებით... ალბათ ხმამაღლა, რადგან გამოიქეცი...

შემრცხვა დაგვემილი პირისახისა, თითებით დაგლეჯილი ქსოვილის ნაჭრები მოვიკოწიწე მკერდზე.

გულხელდაკრეფილ კაცს გავხედე და გულში დავექადნე — ახლა ნახავ!..

მოვიდა და ჯიდევ გამარტყა სილა.

შენ გვერდით გაიყვანე და უთხარი — სირცხვილია, ქალს როგორა სცემ...

მეც წამოვდექი. დაკოჭლებული ვცდილობდი სწორად გამეარნა, მრცხვენოდა შენი. გვერდით დაგიდექი, მოგეკარი...

შენ შეიშმუშნე, იმ კაცს გახედე და გაიწიე.

მან კარგა ხანს გათვალიერა თავიდან ფეხებამდე დამცინავი მზერით...

— ვინ ხარ ამ ქალის, — გკითხა.

არაფერი არ გითქვამს, თავი ჩაჰკიდე... ისევ გიყურა დიდხანს, მერე მოვიდა და გამარტყა.

— ქალია, ნუ სცემ, — შეეხვეწე.

გამოგხედა და ჩაეცინა.

მერე კაცი თვალსა და ხელს შუა დაღნა და ჩვენს შორის მინად აღიმართა.

მივხვდი, სინამდვილე მომვლენოდა კაცის სახით... მინიდან გამოგხედე და... დაგინახე...

იდექი და ჩემს გაფითრებულ სახეზე წითელ ნათითურებს ითვლიდი...

სიზმარშიც კი ვერ გაპატიე — იმ-ქაცის მზერა... მშვიდობით...

ჭუჭრუტანიდან დანახული ერთი დღე

ისევ თოვს. ფანჯრის ზედა მხარეს იშდენი ყინულის ლოლუები ჩამოჰკიდებია, ასე მგონია სტალაქტიდებიან მღვიმეში ვარ.

მე კი გამოფხიზლებულ ღამურას ვგავარ — ქალაქის ქუჩებში ულტრაბგერებივით ვგზავნი ფიქრებს და გონებაში ისევ ვკრებ.

ფანჯრის მინას შიგნიდან ვაორთქლებ, თბილ ხელებს ვუცაცუნებ, იქნებ ცოტათი მოვალლო ჭირხლის ფარდები. როგორც იქნა, პატარა ჭუჭრუტანას ვაკეთებ, ცალი თვალით გასაჭვრეტად კმარა. მაშ, შემიძლია მთელი თვალსაწიერი დავინახო. რასაც ვერ დავინახავ?!. ცხოვრებაც ხომ მათემატიკას ჰგავს; რამდენიმე მათემატიკური ფორმულით ხომ ახალ ფორმულასაც გამოიყვან... ჰოდა, ერთი-ორი დანახულით, ცხოვრებისეული ფორმულების დახმარებით, დაუნახავსაც მიხვდები ჭკვიანი კაცი.

თუმცა... მათემატიკისაგან განსხვავებით, ცხოვრებისეული ფორმულები იშვიათად არიან ზუსტნი...

ეშმაკმა წაიღოს, იქნებ სჯობდეს კიდეც... ჭუჭრუტანიდან ცხოვრების ჭვრეტა იქნებ გონების ვარჯიშიც კი იყოს...

ასე მგონია, ჩემი ცხოვრება ფანტასტიკური, უსიუჟეტო რომანია; მე კი სიცოცხლე ვარ, ჩემს ძვლებსა და ტყავში ხელფეხგაყრილი... დიახ! მე, მე კი არა, სიცოცხლეა... ჩემი ძვალ-ხორცი კი ტანსაცმელია მისთვის...

მერე ეს სიცოცხლე თითქოს ტანსაცმელს იცვამს და ქუჩაში, გაწყალებულ თოვლზე მოსიარულე ადამიანების დინებას უერთდება.

...და მე ჭუჭრუტანიდან ვუთვალთვალებ ხალხში ათქვეფილ ჩემს თავს.

...ვინ ვარ მე... ან რატომ ვარ „მე“?.. და განა მარტო მე ვარ „მე“?.. და ქუჩაში მიდი-მოდიან სხვადასხვა სახელებს ამოფარებული „მე“-ები... სადაც უნდა წავიდნენ, სახელიც რომ გამოიცვალონ, მაინც „მე“-ები იქნებიან. თუმცა იქნებ არც იციან, არც ახსოვთ, ან იქნებ ალარც ფიქრობენ ამაზე...

მრეცხავის ხელებივით დაბებრებულ ჩემი ტვინის ნახეთქებში უცნაური აზრები ფუთფუთებენ.

ასე მგონია, ჯაფისაგან დაშაშრული ნაპრალები კულისებია; გონება — სცენა, სადაც აზრები სხვადასხვა სპექტაკლებს დგამენ. მე კი... მე ხან „ბის“-ის ძახილით და ხანაც სპექტაკლის ჩავარდნით გულდამძიმებული მაყურებელი ვარ.

...სასაცილო რალაცას ვხედავ ჭუჭრუტანიდან... ქუჩაში ქალ-ვაჟი მოდის, ეტყობა ლანძღავენ ერთმანეთს; ალბათ ცოლ-ქმარი თუ არიან. მეცინება... არა! სასაცილო არ არის. ეს ალბათ იმიტომ, რომ ცალი თვალით ვუყურებ მათ.

მათი შემყურე საოცარ მარტოობას ვგრძნობ. ნეტა მეც მეჩხუბებოდეს ვინმე. ტირის ქალი... ბედნიერი... ეტყობა, ადამიანებს ერთმანეთისა უბედურებაც კი გვშურს...

...ჩემს თავს ვუყურებ... ისევ მელიმება... ჭუჭრუტანიდან რომ ვუყურებ, იმიტომ კი არა! მთელი ფანჯარაც რომ მოვალიავო, მაინც გამეცინება... იმ აწუმპებულ ქუჩაში ისეთი წელგამართუ-

ლი დადის, ვითომ რამდენიმე წუთიც წინ არ გასულიყოს ამ სოროდან, მე რომ ოთახს ვეძახი. დაივიწყა?.. ყოჩაღ!... უნდა დაივიწყოს, თორემ ასე მხნედ კი ვერ იქცევა.

...ჩერდება და ნაცნობს ესალმება. ვიცნობ მას; ერთი ბედდამწვარი კაცია, ყველა და ყველაფერი რომ მობეზრებია.

...მე ისევ ვათვალიერებ ჩემს თავს. გათოშილი ფეხები აღარ უკანკალებს. აღარ სცივა ვითომ?.. ისე დინჯად ელაპარაკება ნაცნობს... ნუთუ თავისი ძირგაცრეცილი ფეხსაცმელები და სიცივეც დაივიწყა. მობეზრდა საუბარი, ემშვიდობება და მიდის. მართლაც მოსაწყენია ის კაცი, მე ხომ ვიცნობ... კაცს რომ თავისი თავიც მობეზრდება, ის კაცი ყველას აღვილად სწყინდება... ან იქნებ თავიანთი თავიც მობეზრებიათ და სხვები რაღაში სჭირდებათ... ან... რა ვიცი!...

...ჰო, მიდიან, მოდიან, თავიანთ ნაფეხურებს ერთმანეთს ატოლებენ... პირდაპირ მიდიან, მერე უხვევენ მარჯვნივ, მარცხნივ... იციან სადაც მიდიან... იციან კი?!. ბედნიერებისა და უბედურების ერთმანეთში შეზელილ, უხილავ, უფორმო მასას უვლიან გარშემო და ჰგონიათ, რომ იციან...

...მკვდარს მოასვენებენ... დალრეჯიათ პირები ტირილით დაოსებულ ჭირისუფლებს... ნუთუ ისევ ჭუჭრუტანის ბრალია...

...ისევ ვუყურებ ჩემს თავს... პროცესიას ფეხი აუწყო... პალტოს ჯიბეებში ხელები ჩაუწყვია და მიჰყვება... პროცესიას კი არა, ხალხის დინებას. ვიცი რაზეც ფიქრობს მისი ყველაფერს შეგუებული გონება; ის ახლა კუბოშიც წევს და ჭირისუფალიც არის... და რომ სულ მალე იმ ხალხს სიზმარშიც ნანახივით გაახსენდებათ მიცვალებული...

ოჰ! ეს ადამიანები... წყვილად მიმავალნი, თუ კენტნი... მე თითქოს მათგან გაძარცვული უპატრონო ხომალდი ვარ; ანძებმორყეული, აფრებდახლართული, ფიცრებს მაგლეჯს, მათამაშებს ზღვა; კომპასის ისრის ორივე ბოლო ერთმანეთის შედუღებია და ზღვის ფსკერისაკენ მიჩვენებენ მიმართულებას; სულ მალე ჩავიძირები ალბათ და ზღვაში ჩავიტან მისგანვე ნაბოძებ მარგალიტებიან ნიჟარებს...

* * *

...მაშინაც ასე თოვდა. მაშინაც ჭუჭრუტანიდან ცალი თვალით ვუყურებდი ადამიანებს, მათ სახეებს და მიკვირდა... თუმცა არა! მე უკვე არაფერი აღარ მიკვირდა... ვფიქრობდი, რომ მათ შეეძლოთ გაოცება, აღფრთოვანება, თავდავიწყება... მე კი მუდამ ერთნაირად მიცემდა გონებას დამორჩილებული გული...

ეშაფოტზე ჩემი გრძნობები ერთმანეთს თავს ჰკვეთდნენ და ნაჯახი იქნებ ნებისყოფა იყო ჩემი...

ქუჩის გადაღმა ფანჯრის დასიპულ რაფაზე ჩიტმა შეიფრთხიალა, ფრთები დამიქნია და უცებ თავი დავაჯერე, რომ მეც ვჩირდებოდი ვილაცას, რომ მეც მელოდა ვილაც...

„...სწრაფად, სწრაფად... დამაგვიანდება...“

სარკეს ვეცი, თმები დავივარცხნე, თვალები შევიღებე.

„...რას ვგავარ... ახლა ფრჩხილები... სწრაფად, სწრაფად, დამაგვიანდება, მელის...“

...სულმოუთქმელად გავრბივარ ქუჩაში — თავში ათასნაირ გეგმას ვაწყობ... „როგორ შევხვდე... ვაიმე არ წავიდეს...“

სამანიკურეში რიგია... ჩემი ჯერიც მოდის.

— დღეს მე ლამაზი უნდა ვიყო, — ვეუბნები მემანიკურეს.

— შეყვარებულთან?.. პაემანზე?..

მე ვიღიმები. „ხომ არ ვატყუებ, ხომ მართლა მელის... არ დამაგვიანდეს მხოლოდ...“

საკმაზე ვჯდები. საათს ვუყურებ — „არ წავიდეს...“

— გოგონა, ძალიან მეჩქარება... იქნებ დამითმოთ.

ჩემს წინ შაოსანი ქალი დგას.

— თქვენ?.. — თვალში მეცა მისი ოდაყვებთან გადაქექილი თალხი კაბა და შუბლზე გადმოწეული თავსახვევი.

მერე მის ხელებს ვაკვირდები; დახეთქილ, ფრჩხილებმოცვეთილ თითებს — „საოცრება...“

— თქვენ?!. — ისევ ვიმეორებ მე, — კი მაგრამ მე ხომ მეჩქარება, ქალბატონო, მელოდება...

ქალი ერთხანს დგას. მერე კარს აღებს...

...და უცებ...

— „იქნებ მასაც ელოდება ვინმე... იქნებ მასაც სჯერა, რომ ელოდება... იქნებ აგვიანდება...“

გიჟივით გავრბივარ, ქალს ვეწევი...

— ქალბატონო, დაბრუნდით... — სულს ძლივს ვითქვამ, — დაბრუნდით, რა...

ხელები დავუჭირე — ძალიან გთხოვთ... დაბრუნდით...

ორი ცრემლი დამეცა მაჯებზე...

— არა!.. იცით, მომეჩვენა, რომ...

* * *

დღე მიიწურა... ღამდება...

...განა ყოველი დღე მთელი ცხოვრება არ არის?.. შეკუმშული ცხოვრება. განა ყოველ დღე არ გადაგვეშლება ხოლმე ჩვენი წარსული მთელი სიგრძე-სიგანით, ანდა აწმყო და მომავალი...

...განა ჩვენი სიცოცხლის ყოველი წუთი მომაკვდავის უკანასკნელი წუთი არ არის, როცა წამში გაირბენს თვალწინ წარსული...

...და განა ყოველი წუთი უკვდავების შეგრძნება არ არის, როცა მომავალზე ვფიქრობთ...

●

ლილი გოგებაშვილი

ფიქრები ჯვარცმულ კუნძულზე

ვუძღვნი კუნძულ ტექსელზე დაღუპულ ქართველ გმირებს.

ტანჯულ კუნძულზე მათი ღიმი
ჰყვავის ვარდებად
და მე აქედან იმ კუნძულზე
მივალ ფიქრებით,
ომადათოვლილი კორნელია
შემიყვარდება,
დედაშვილივით განუყრელნი
ერთად ვიქნებით.

აიღეთ ყველამ სასმისები,
შეავსეთ ღვინით,
ახსენეთ სული, დააშველეთ
ღვინოში ლუკმა,
მათზე ამაყად ვლაპარაკობთ
(და არა ვტირით):
— ეჰ, რა ბიჭები გადაკარგა
ომის ქარბუქმა!
და საქართველო არ იშურებს
ციურ ვარსკვლავებს
მათთვის, რომელთაც შეაცივდათ
ღიმი ბაგეზე,
არდავიწყება აწერია
იმათ საფლავებს:
— „ტექსელში წვანან, საქართველო
მაინც დაეძებს“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიზმრად წასულო ჯარისკაცებო

ყველგან თქვენი სუნთქვა მესმის,
თქვენი გულის ძგერა
მტერმა თქვენი სიმამაცე
ვერ დათრგუნა, ვერა!

ჰო, მიენდეთ ლურჯა ცხენებს
და გაჰყევით სიზმრებს,
თან ოხრავდით, გულში კლავდით
აუხდენელ მიზნებს.

ღამე ძილში ესიზმრებით
სატრფოებს და დედებს,
ესიზმრებით ცოლს და შვილებს
დებს, დობილებს, ბიძებს,
მათთვის წუთით ცოცხლდებით და
კვლავ მიჰყვებით სიზმრებს.

●

16421

ზუმრუდ გოდერძიშვილი

ცარცის ბავშვები

რალაც განცდით და რალაც წვალებით,
ბავშვები ქვაზე ბავშვებს ხატავენ,
და იხედება ცარცის თვალებით
უმანკოება და სისადავე.

დახატულ ბავშვებს თმები აქვთ თეთრი,
დახატულ ბავშვებს ღიმილი უჭირთ,
და ეს ფერები საოცრად მკვეთრი,
ზეცას გადააქვს უხილავ ფუნჯით.

ღამე რომ ფერებს აამარმაშებს,
ცა რომ ვარსკვლავებს აჰკრეფს მძივებად,
გაელვიძებათ დახატულ ბავშვებს
და არასოდეს დაეძინებათ.

ბ. ბარქაის სახ. საქ. ხსრ
საბელმწიფო ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც მინატრია

ჩემო ხარის თვალა იმედებო,
გულში სიხლად ჩაქცეულო სიხარულო,
ჩემო ბედნიერო ბილეთებო,
სიყმაწვილეო, ქვაზე თეთრი ცარცით მოხატულო.

ჩემო ცოცხვებო და ხეივნებო,
ტყეო სათავისა დაბურულო,
მთებო — ჩალმიანო ყვინებო,
ჭალავ საბოხბეც და საბულბულოვ;

ჩემო ამღვრეულო თვალთხეცებო,
თქვენი ღრიალით რომ მალალებდით,
ჩემო გულმართალო კახელებო,
თქვენთან სიყვარულის ალავერდი.

ერთხელ თქვენი ხილვით მანადიმეთ,
ჩიტებზე ფეხშიშველა მანადირეთ,
სიხარულის ცრემლები დამადინეთ,
თქვენი სიყვარულით ამატირეთ,
მერე კი თუნდა დამტოვეთ და
თქვენთან განშორებით მამარტვილეთ.

უშენოდ

უშენოდ გამიზაფხულდა,
იებს
ჰყიდიან
გზად,
რასთვის მეძახდა,
რა გსურდა,
ან დამეკარგე სად?
უშენოდ მოვინახულებ
მამადავითის მთას,
მოვიკლი ნაცნობ ბილიკებს,
მზეს გავუსწორებ თვალს,
ლრუბლებს გავყვები ჭიუხში,
წვიმად
ჩამოვალ
ბარს,
დარდი, თუ ნებას მივუშვი,
მომაკვლევინებს თავს.

ადგილის დედა

ადგილის დედა — ჩემი გარეკი,
ცისა და მიწის უბადლო ლოცვა;
ამ ჩიტისგულა არემარეში,
რამდენი ტყე და მინდორი მოსჩანს.
გავხედავ სივრცეს მწვანე ფერთებიანს,
აყვავებულა მწვანე
ნერგები,
ცის სილურჯეში იკარგებიან,
ლრუბლების თეთრი აისბერგები.
რამდენჯერ ბავშვურ ოცნებას
ჩემსას

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფრიალო მთებზე სირბილი ერქვა,
და თეთრ სურვილებს ბებერ
კლდეებში
ეძინა ბებერ არწივთან
ერთად.

ადგილის დედა — ჩემი გარეჯი,
ცისა და მიწის უბადლო ლოცვა,
ამ ჩიტისგულა არემარეში
რამდენი ტყე და მინდორი მოსჩანს.

●

გულიკო დგალო

ჩემი სიყვარულის მოტივს...

წვიმს გადაუღებლად ლოდინის ჭალაში,
როდის გადაიღებს ნეტავ?
წვიმს გადაუღებლად ლოდინის ჭალაში...
ისევ იმ ძველ სიზმრებს ვხედავ,
და წვიმის წვეთების ვერცხლისფერ საბანში
ეხვეცა დაღლილი სევდა...
წვიმს გადაუღებლად... ცრემლებით აყვავდა
ფოთლებშემოცლილი ტოტი,
ცხადიც და სიზმარიც ერთად იმეორებს
ჩემი სიყვარულის მოტივს...
წვიმს, მოლოდინთანაც ჩამქრალან ფარნები,
სველ სახეს ხელებში ვმალავ,
ამ ქარბორბალაში კვლავ შევეფარები
ხავსით გადახურულ კარავს...
თვალუწვდენ მოლოდინს და იმედს დახეულს
შორეულ მზის სხივით ვლამბავ,
ო, თუ დაამშვენებს ოდესმე ჩემს სხეულს
სიხარულისფერი კაბა!

• • •

ჩაღვენილფილა ასკილი
შემოდგომის პირზე,
მოსდებია ასწილი
ცეცხლი ფერად სიზმრებს;
შენ მეფე, მე ვასალი,
მხეკალი და მონა,
მე ხომ შენი მგოსანი,
შენი პალმის რტო ვარ,
განა ვგავარ ფრთოსანი,
ორგულსა და მსტოვარს?
შენი ტრფობით ძლეული,
გზაზე გიგებ ფარდავს,
სევდა შემოჩვეული,
სევდასაც კი არ ჰგავს;
ის ძვირფას ქვას ჩამოჰგავს,
სხივები აქვს მასაც,
სულის სიმებს ჩამოკრავს,
აანთებს ვით ასანთს...

ვმგზავრობ, სულ დაჩეხილი
სიყვარულის ეტლით,
ხარ სიცოცხლის ხეხილი,
სიცოცხლეზე მეტი.

შენ მეფე, მე ვასალი,
ვიცვამ მხევლის ხალათს,
ვერავინ ვერ მასწავლის
შენს სიძულვილს, ღალატს...

●

ილია ზანგური

გულად ლექსი მდებია

მივხვდი, თეურმე, მგოსნები
რატომ არა კვდებიან,
მე, ფრთებშესხმულს ოცნებით,
გულად ლექსი მდებია...

ცრემლი, როგორც მოჭრილი
ია ამნის ღეროდან,
თვალზე ჩამომდიოდა,
გული მაინც მღეროდა.

მე ცხოვრების სიმართლეს
ფუდეცნე კვალივით,
ქართულ ზეცის სიწმინდე
ყველზე მება რკალივით.

სიმართლე და სიკეთე
ვძებნე ჯადოქარივით,
ვიჭრიალე თეურმე სულ
გლეხის მარნის კარივით.

და მე ქალად კი არა,
თეურმე, ლექსად ვიარე,
სულ სიმღერა ყოფილა,
რაც მე ვიმგლოვიარე.

●

ნინო კირთაძე

სხვათა და სხვათა

აპრილს ელოდება ია...
ცივია ალერსი ქართა,
იების ღიმილი მქვია,
იცოდნენ სხვათა და სხვათა.
მზემან: — უყვარხარო მეტად
ღრუბლებთან მეომარ მთვარეს,
მათამც დავეყრები ფერფლად,
იცოდნენ სხვათა და სხვათა.
ქართული მიწის და ზეცის
სიმტკიცის მაქცია ქვადა,
არარა ვინატრო მეტი,
იცოდნენ სხვათა და სხვათა.

ვ ე დ რ ე ბ ა

ლურჯ ველებზე ვარდისფერი ფიფქია,
ცისკრის ნამი ფრთებით ზიდეს პეპლებმა —
საქართველოს პაწაწინა კვირტი ვარ,
მიხარია მზე რომ მომეფერება.
სატკივარით ცა რომ დაიფარება,
ვარსკვლავები ბავშვურ ზღაპრებს იტყვიან,
ხელს ნუ მახლებთ, გულყინულა ქარებო,
საქართველოს პაწაწინა კვირტი ვარ!

ნ უ...

ნუ დატოვებ ფოთლებს ბინდში
თვალციმციმა სხივო,
იებს, ქვაზე აკრულთ შიშით,
უალერსე სიო!
წვიმავ, ხეებს უსახსოვრე
იაგუნდის მძივი,
ბაღებს ნულარ მიატოვებ,
ნუ მოუკლავ ღიმილს.
შეისმინე ლოცვა, მზეო,
ჩურჩულით რომ ითქმის:
ვარდცრემლნაწვიმ საქართველოს
ნუ დაუჭკონობ გვირგვინს.

●

ნათელა მეგრელიშვილი

* * *

ვდგავარ, ველი ავტობუსს, გზაზე ფიქრმორეული,
ხმა მომესმის ნაცნობი და მაინც შორეული...
მესმის თითქო ნაცნობი, დიახ, სწორედ ქართულად,
გავხედე და წარსულმა სულში წამიფათურა.

მიველ კაცთან და ფიქრმა თითქოს წამით მახარა,
თურმე ჯიდეკ მუშაობს ბატიბუტის ქარხანა.

ძია აბელაძეთან შემომჯდარა მორეებზე
და გამვლელებს მისძახის: „ბა-ტი-ბუ-ტი ბოთ-ლებ-ზეე“,
წინ ტომარა დაუდგამს პირგახსნილი, პირსავსე,
ღმერთო, რა მომივიდა... გულზე ხელი ვიტაცე.
დამეუფლა სურვილი, ჯიბე სწრაფად მოვძებნე,
სამი გუნდა გიყიდე ფულზე, განა ბოთლებზე.

ხარბად დავცქერ ბატიბუტს, ოდესღაც რომ დამშორდა,
წვიმის შხეფად მეწვია ჩვენი უბნის ბავშვობა.
ფიქრით ისე გავლაღდი, მთები მოვითარეშე,
მარცვლებს ვფხვნი ძველებურად, მორიდების გარეშე.
შინ დავბრუნდი შვილებთან, გული არ წყვეტს ბაგი-ბუგს,
უხმოდ ვუწვდი ორივეს მოგონების ბატიბუტს.

ო, როგორ ამაცეტე, ლამის მივწვდე მზეს და ცას...
რა ოინი მიყავი, კაცო, ამ ხნის დედაკაცს!

* * *

მინდორ-მინდორ
დავეწაფე
გაზაფხულს,
ბლუჯა-ბლუჯა გამოვსხიპე ბალახი.
ნაპერწკლებად
ამოფეთქდა
ფონჯა,
გაიოცა ლილ-შეხსნილი ხალათი...

* * *

დღეს წინასწარ ბზის სურნელით
თავბრუ მესხმის,
გაზაფხულის თეთრი ღამე
წილად მერგო,

გაიშალე, გაიტოტე,
ჩამიხვიე
და ამ გულით ისაზრდოვე,
მწვანე ნერგო!

●

რუსუდან მეგრელიშვილი

* * *

ახალ ათონს
და ძველ ათონს,
ზღვა, რომ კოცნის
მზე, რომ ათბობს —
გაუმარჯოს!
გაუმართლოს,
გაიხარეოს,
ძველ და ახალ

საქართველოს —
გაუმარჯოს!
მის დღეებს და მის ღამეებს
გაუმარჯოს,
ზღვის პირს, მთის ძირს,
მთებში — გზებს და ვიწრო ღელეს,
ნინოს ვაზს და ნინოს ხელებს,
გაუმარჯოს საქართველოს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

• • •

ვის უნანავს
პოეზიის ღია კარი,
ორფეოსის ქნარი,
ევრიდიკე მკვდარი,
დაფნის გრილი ხეივანი,
კვიპაროსი შავი,
დანტე მარტო მიმავალი,
ფლორენციის მგზავრი,
ბეატრიჩე,
ღვთაებრივი სტრიქონების დარი,
ხეივანში,
პეტრარკასთან, სონეტების ქალი,
ლაურას წინ
ცრემლიანი ორფეოსის ქნარი.
ჰომეროსი ზღვას გაპყურებს,
უსინათლო ზის,
ელინური გმირებიდან
უკვდავებას ქმნის.
და შექსპირის
იმ ქვეყნიურ რომეოსთან მდგარი,
შველას ითხოვს განწირული,
ხმა მიმქრალი ქალი.
ფაუსტი და მარგარიტას
მგლოვიარე ზარი,
თვალისათვის უჩინარი
იხურება პოეზიის კარი —
მეშვიდე ცის კარი.

• • •

უნივერსიტეტის მარმარილოს
საფეხურებზე

ფეხის ხმა გაისმის,
გუმბათი გრგვინავს,
ძე —
ნუკუბიძე ამოდის,
ბრწყინავს;
კედლები იწევა,
და კარსაც გახსნის
ქართული აზრი და რენესანსი...
შენ ჭეშმარიტების
ტაძარი დასძარი —
მოსხის ყოფილა
სიბრძნე ბალავარისა,
სტრიქონებს ჰკვეთავს
აზრით კალამი,
ვით ბრძოლის ველზე
ფოლადის ხმალი...
მზე რუსთაველის ამოდის,
ბრწყინავს,
პრომეთეს ცეცხლი
აზრს მალალს ერთვის,
მისი სადარი,
აზრი
სად არი!
ძე —
ნუკუბიძის ფეხის ხმა გაისმის;
არეოპაგელის
ქართული სახელი
ქართულ მიწაზე,
ქართველის ხელით —
ვარსკვლავად დაისმის.

●

მალვინა მუკბანიანი

მთვარეს

ო, ისე ცივად
მიყურებს მთვარე...
კუშტი, გულგრილი სახის იერით,
ჰო! მართალია

აქ მუდამ ვიბრძვით...
და იმარჯვებენ მხოლოდ ძლიერნი,
მაგრამ ამაში
ვის რა ბრალი აქვს?
შენ მიწას მხოლოდ ღამით უყურებ,
დღეს სულ სხვა არი...
როცა მზესავით
მაღალი გონი სთესავს სიკეთეს...
და გევედრები,
ნუ მიცქერ ცივად,
ამ გზას ისედაც ფიქრივით შევრჩი,
ეს მე ვარ...
მე ვარ ადამიანი
და ნუთუ მართლა აღარ გწამს ჩემი.

დამაგვიანდა

მწვანე ფოთლებმა
ძველებურად იცვალეს ფერი
და ყვავილები
ცრემლებივით დასცვივდა იელს,
ვერც კი შევნიშნე...
ჩაუვლიათ წეროებს ფრენით,
ფიქრებმა ისე შემიყოლიეს,
დამაგვიანდა...
და ხავსებში ცივი თითებით
ეეძებდი იებს.

●

ეთერ სამხარაძე

ფერიცვალება მოსულა...

თუმცა ღრუბელი მოხშირდა,
მზე თეთრ მთებს ისევ ანათებს,
შენ რად მიჰყვები მორჩილად
თეთრი სიბერის დალმართებს?
შენ ხომ მზის გულის ფეთქვა ხარ,
ისიც გეყოფა ხალისად,
სად გაგონილა გეთაყვა,
სიბერე ლექსის ქალისა.
თუ მკერდში სიყრმის ხვითო ძევს,
ვინ შეხსნას რითმებს აბჯარი,
ჯერ ხომ წინ არის სიცოცხლე,
ნაღდი და დაუხარჯავი.
მზე ოქროს ნაგით მოცურავს,
ნამი ფოთლებზე ალმასობს,
ფერიცვალება მოსულა,
ნუ შეშინდები, ლამაზო!
სტრიქონთან ღამეგანათევს
იქნებ გულის ქართა თარეში,
სიბერის უცხო დალმართზე
რა სიამაყით დაეშვი?..
მაგ დალმართს თეთრი სჩვევია,
ვხედავ, შენც თეთრად ირთვები,
და ჭაბუკებად რჩებიან
შენი ფრთაჭრელი რითმები.

მ ო მ ე ფ ე რ ე...

ღრე მადის და ღამე მოდის,
წვება ნისლი ნება-ნება...
და მე ჯერაც არ ველოდი
ამ უცნაურ შეღამებას.
ხელუხლებელს ვტოვებ ფერებს,
მზეს ამოსვლა ვერ ვაცალე,
მომეფერე, მომეფერე,
მომეფერე, გენაცვალე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

თორემ ქარი კი არ ცხრება,
ნისლი დაჰკრავს მძინარ ვაზებს,
და ფოთოლი შეახმება
ერთდროს ნაქებ სილამაზეს.
სხვა ყვავილებს გაშლის კოდი,
სხვა მზე დაჰკრავს იას, ბალბას,
დაემსხვრევა ყველა ტოტი
ჩვენი ხსოვნის იასამნს...
აი, რატომ გიწვდი ხელებს,
ყველა დარდი უხმოდ ვსძლიე,
მომეფერე, მომეფერე,
უფრო ძლიერ, უფრო ძლიერ.

●

დუშა სანიკიძე

რა დაითვლიდა...

ღრუბლებს ზოზინით თან დავედევნე,
ხანძრით დამწვარი ნაფლეთებს ყრიდა,
გაპარტახებულ ტაძრებს ვითვლიდი,
საფლავებს აბა რა დაითვლიდა!

ჰმლების ჭახანი, ცხენთა თქარუნი,
მტერთა „მეგზური“ თეოდორე მღვდელი,
ხელაპყრობილი ლოცავდა მამულს,
მისი ნათელი გვაშუქებს მწველი.

პაატას სისხლი ციებად მივლის,
მისი სიმღერა ცეცხლად მედება,
საუკუნეებს დაიტევს პეშვზე
და არასოდეს არ დაბერდება.

* * *

არის სიბრძნე ღვთიური
გაზაფხულის ციალში,
ჩანჩქერების ხმაურში,
ცხრათვალა მზის კრიალში,
ლურჯი ზეცის ჯამკამში,
წყაროების ჩხრიალში,
ცისარტყელას ფერებში,
მეხის ჭექა-გრიალში,
კაცთა მოდგმის ფუსფუსში,
სავსე მთვარის ცქრიალში,
ზღვების ბობოქრობაში,
დედამიწის ტრიალში,
ჩანჩქერების ხმაურში,
წყაროების ჩხრიალში,
მიდის ჩვენი ცხოვრება
სამრეკლოდან მომსკდარი
ზარის წკრიალ-წკრიალში.

●

მაია სახოკია

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლია კარები

ფიქრები ფიროსმანის გამოფენაზე

ლია კარიდან
უეცარს
სიკვდილს
შემოსვლაც, გასვლაც.
დუმილმა მისმა
სარდაფების
ჩრდილნი დარინდა...
გლოვის ზეიმზე,
თუ ცოცხალთა დღესასწაულზე, —
ასე შემოდის უკვდავებაც
ლია კარიდან.
ნუთუ ასეა ხვედრი
ყველა ალმაფრიანისა,
და ნუთუ მუდამ მუდამ
სევდა ეანაზღაურებას
ჩაუვლის შემდეგ
გულის წყლულებს
ჯარი მნახველთა,
გამოფენილებს ამრეებად და აქანდაზებად.
კენტი სიცოცხლე მოინელებს
განცდილ ტკივილებს,
ჩამოსხდებიან წლები ყვითელ კენწეროებზე,
რომ ჩამოდგება დაფდაფების ყამი თბილისში
და გაზაფხული განძრეული ტანზე
სჩივებს მოიხვევს.
და გეოცება, როცა ფუნჯი, ფელი
ბალლამით,
ძრ ეწვეთება ტილოს
შხამის მწვავე წვეთებად,
და, განწმენდილი გულისმოდგრეულ
სიავისაგან,
რჩება შავ ფონზე
მხოლოდ
თეთრი სულის სვენება.
სად არის ძარღვი, ფიროსმანო, აჯანყებული!
— მდუღარე სისხლი ამოაშრო
ხარბმა ოფლისმა...
კრთება ნაღველი ფიროზისფრად
შველის თვალებში

ეროვნული ბიბლიოთეკა

და გაკვირვება ნუკრის — შშვიდი,
როგორც თილისმა.
ჩვენც ასე უნდა გადავუხსნათ კარი სიკეთეს?
ლია კარიდან კეთილიც და ავიც შემოდის
და სად ვეძებოთ, სად ვეძიოთ
ძალა ისეთი —
ფირონსმანივით უდრტვინველი
ხატი მეობის?...

ფ ი ჭ ვ ი

ფიჭვთა ჩრდილებში,
როგორც ფიჭვმა
მოხეტიალემ,
გაცხადებული სიზმარივით ამოიელვე,
და უკუაგდე ალმაფრენის ფრთათა შრიალში
მიძინებული, ზღვით მოცული სიცარიელე.

ტ ე ლ ე ფ ო ნ ი

წვიმს.
მეგობრის სახლში
ღამის სამ საათზე,
მინდა დაგირეკო, —
ფიქრმა გადამლალა.
„— რომელი ხარ?
— მე ვარ. აბა ვინ იქნება!
განა სხვა ვინა გყავს კიდევ
ჩემისთანა!“...

რაც არ უნდა მითხრა,
ხმა ჩამწვდება შენი,
როგორც ბავშვობისას ტკბილი
ოცნება.
თეთრმა ტელეფონმა ჩამჩურჩულა
ყურში:
ქვეყნად არვინა გყავს კიდევ
ჩემისთანა!

ღ ა მ ი ს მ ა ტ ა ვ რ ე ბ ე ლ ი

ეძინის ყველას.
მე კი მიხმობს
ღამე ფხიზელი,
მიზიდავს მისკენ

მატარებლის ჩქარი მსვლელობა.
მომყვება უკან ჩემი ტვირთის ზოლი
ყლაკნილი,
როგორც საბარგო მანქანების
შემადგენლობა.

ო, გასწი, გასწი, თავო ჩემო,
ისრბოლო უნდა,
რაკი გსურს დგომა
მიუწვდომელ ნავთსაყუდელში!
შენ არარსებულ, დაშლილ კერას
მისტირი ფუჭად,
რადგან გსურს ყოფნა,
ყოფნა მხოლოდ ზეცის უბეში...
მოძრავ ნათურებს
მოძრავ სახლებს
ვუმზერ მადლობით —
ჩამოსახდომად, დასარჩენად
რომ არ მიხმობენ,
მე ხომ არა მსურს გაჩერება
არც ერთ ქალაქში!
ვერც ერთ წყაროსთან
უტყვი მგზავრი
გულს ვერ ოხებს.

ქინს განელება არ ეტყობა
აკვიატებულს
და არ თავდება ანგარიში
წარსულ ომებთან...
დგანან ქაჯები
შეუპოვრად ხმალამოწვდილნი,
ღამეს მთვარიანს,
წყეულ ციხის მისადგომებთან.
და არ ჩანს ბინა,
და არც ბუდე
დასაყუდებლად,
აღუსრულებელ სურვილების
დასასვენებლად.
სული ეცემა, ბორგავს სული და
ემზადება,
და ემზადება
ვნებულ ხორცის
განსასვენებლად.

ნარგიზი სოფრომაძე

ი ქ ნ ე ბ

იქნებ ეს ვერხვი სიხარულით
დარგეს წყვილებმა
და გაიზარდა თმებგაშლილი
დედის ცრემლებით.
დედა ლოდინში შეუმჩნევლად
დაადნეს წლებმა,
ვეღარ ისვენებს ვერხვის ჩრდილში...
(გულო, გნებდები!)

. . . . . .

ხელში ავიღე დაფერფლილი
ვერხვის ნაცარი,
იგრძენი ალის სიმხურვალე?
რად შეკრთი, ხელო?
ვინ იცის, იქნებ ვერხვის ძირში
დანაფიცარიც
ფერფლად აქცია,
წარმავალო წუთისოფელო...

* * *

დედის წინაშე
უამრავი კვდებოდა შვილი,
მათზე ფიქრისგან
მწვერვალები გაჭაღარავდა.
...იდგა მარტოკა...
გაძარცული, ღვთის ანაბარა,
და შემოდგომის ბასრი კლანჭი
გულს ულარავდა.

გაჭაღარავდა ოცნებებში
დაღლილი ფიქრიც,
სხვა გზა არ არის —
სევდას უნდა გავუგულადდე,
გაძარცულ ხეებს შემოსავენ
ისევ ფოთლები,
ერთი წამია შემოდგომიდან
გაზაფხულამდე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაუდევრობა

ქარმა დაქროლა,
აშრიალდნენ,
წიწვები ფიჭვის.
პირველი ცდაა,
ქარმა იქნებ
მეორეც იცის.
ქარმა დაჰბერა
და შეინძრა
ტოტები ფიჭვის.
მეორე ცდაა,
ქარმა ალბათ
მესამეც იცის.
მესამე ცდაზე
ქარმა ფიჭვი
ძირში მოთხარა...

●

ნინო ჟუთათელაძე

საქართველოს

როცა ყველაფერს
დავწერ და ვიტყვი,
როცა სათქმელი აღარ დამრჩება,
როცა დავხურავ სულყველა კარებს
და არ ვიქნები
მეტი ამქვეყნად,
ალბათ ვიქცევი იმ ცისფერ ტაძრად,
სადაც ირბენენ
თეთრი ბავშვები,
რომ მერე შენს ღმერთს შეეწირონ
სისხლით და ხორცით! —
მე უკვე მოვრჩი...
და თუკი ვინმე
შესძლებთ დანდობას,
მე ნუ დამინდობთ,
ერთმანეთი დაინდეთ მხოლოდ.

• ■ •

ალექსანდრე ბლოკს

მე ვიცი გცივა,
რადგან მღერიხარ,
ამღერებულებს მუდამ სცივათ
დანაკარგისგან...
ვიცი და მჯერა,
რომ შენს გაზაფხულს
შემოდგომის ყვითელი ლანჩა
ატყვია მხარზე,
რა ვუყოთ მერე,
თუ არ სრულდება
ყველა ოცნება,
ის ხომ იმიტომ მოიგონეს ამ ქვეყანაზე,
რომ არ ასრულდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფონენდოსკოპი

დღეს ჩემი თავი
ვეებერთელა ნიკარაა
და თუ გულის,
ჩემი გულის
გასინჯვა გინდა —
გულზე მომადე
შენი ლითონის პატარა ყური
და გაიგონებ
ზღვის ტალღის შხუილს,
წვიმის წვეთების,
თოვლის ფანტელის
დაცემის ექოს,
ქარის კივილს,
ღამის ჩურჩულს,
მთების გალობას
და იქნებ მიხვდე,
როგორ მტკივა ჩემი ხმაური,
რომელიც მაჩუმებს,
გზაში მაჩერებს
და უკანასკნელ
ბგერებს და სიტყვებს
უფსკრულში მიყრის...
გულზე მომადე
შენი ლითონის პატარა ყური!

გზაზე, მეგობრის სახლისკენ

მე რომელიღაც ქუჩას ვეძებდი,
მე რომელიღაც გზას მივყვებოდი,
და წრიალებდა მთელი ქალაქი
გამოვარდნილი მზეში ჩეროდან.
ვილაცის სიზმარს ჰყვებოდა მგზავრი
და ავტობუსის ღია სარკმელთან
ვიგრძენი, როგორ მინდოდა ძილი,
უსიზმრო ძილი
და გათავება
ამ წრიალის და აურზაურის;
შემოდიოდა ჩემში ხმაურით
მიტოვებული ზაფხულის ვნება,
ვილაცა იდგა რკინის კარებთან
და ჩემს დაბნეულ სიხარულს ჰკრეფდა.
შიშველ ხეებს კი ზამთარი ეცხო
გრილი, ნაცრისფერ საღებავივით,
ზანზალაკები შიგ ყურში რეკდნენ,
რეკდნენ ბლავვად და გაუთავებლად.
ჩემი ქალაქის ქვის კიბეებზე
ღამე დარბოდა ანცი ბიჭივით,
წყნარი სიგრილე მიირხეოდა
და წყნარი ქუჩის წყნარი სიგრილე
მე მაგონებდნენ,
რომ ვეძებდი ნაცნობ ქუჩას,
ნაცნობ სიხარულს,
ახლობელ ღიმილს —
და ახლა ისე სავსე ვარ სხვებით,
უცხო სივრცით და
ქუჩის სიცივით...
ვილაცა წვალობს,
ვილაცა ცდილობს,
რომ დაუკრას და უკრავს
მ ო ც ა რ ტ ს!..
მორჩა!
მე წავალ!
და ჩემში ბორგავს
ქუჩაში ყოფნის ცხოველი ქინი
და ჩემს მეგობრებს მე ვუთვლი
ლოცვას,
ლოცვას და ბოდიშს,
რომ არ მიველი
და რომ არ მივალ!
მორჩა...
ჩემს თბილისს ბინდისფერი აქვს,
მტკვარი ხმაურობს — ნანატრი ლექსი,
ვილაცა უკრავს და უკრავს
მოცარტს.

მარინე ქავთარაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

შური, სიხარბე, ღალატი,
ერთმანეთს გასჯიბრებიან,
თუმც ერთმანეთი არ უყვართ,
მაინც სამივე ძმებია.
— ნეტავი რაზე ქიშპობენ?
სიყვარულს გასცინებია.

პოეზია

ო, პოეზიავ
შენს ჭეშმარიტ სხივს მაზიარე,
მხოლოდ შენ მკურნავ
და მიშუშებ
ყველა იარებს,
შენა ხარ ლოცვა,
ჩუმი ლოცვა,
ნახი სიმღერა,
ის ნეტარებას ეზიარა
ვინც შენ გიმღერა.
თვალმარგალიტი,
ყველა თვალი პატიოსანი
შთენილა შენთან,
ჭეშმარიტად ხარ საოცარი!
ვს შენს ტაძართან
ლოცულობდა ერიც,
მგოსანიც,
მეფეც კი თუ
შენი მონა გვირგვინოსანი.
დაურბევიათ სასახლენი,
დაუნგრეიათ,
განუძარცვავთ უძველესი
სარკოფაგები,
თავად ტაძრებიც
მოუსპიათ უცხოდ ნაგები,
დაუანგებულან
ძველი რკინის მუზარადები.
წარმავალია,
ყველაფერი წარმავალია,
მუდამ, რომ რეკავს
შენი ტაძრის დიდი ზარია.
წარმავალია,
ყველაფერი წარმავალია,
უკვდავება და პოეზია
ერთად არიან!

მარინე ხმალაძე

ხიყვარული

მზის და ოცნების უბადლო ნიჭი,
შეყვარებული გოგო და ბიჭი!..
გზად მოშრიალე ლურჯი ჭადრები,
დღე შეხვედრების, დღე მონატრების...
დაუვიწყარი სველი ფოთლები,
— დაგელოდები, დაგელოდები!
ცაში ნასროლი თეთრი მტრედები,
გაწბილებული, ურჩი დედები.
სიმღერისა და ოცნების ნიჭი,
შეყვარებული გოგო და ბიჭი...
მზე გაოცების, მზე ერთგულების,
— მზეო, სანამდის შენ მეგულები!..
სინათლისა და სიცოცხლის ღირსი,
ვულკანის ძირში
დაკრეფილი თაიგულები!

ლილი ხუციშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ა რ წ ი ვ ი

ჩემო არწივო, შენ განთიადს ზეცაში ხვდები,
მაშ, ამიყვანე მაღალ მთიებში ძლიერი ფრთეებით,
რომა ვიხილო სხვა სამყარო,
რასაც ვერ ვწვდები...
ნიჟარასავით მავიწროვებს მე ეს სხეული.
მე კი მსურს შენებრ ცაში ნავარდს
ვიყო ჩვეული,
მინდა შენსავით აჭრა მთიებში,
მომეცი ფრთეები!

გაზაფხულის ღამე

უძილო ქარმა დამიფრთხო ძილი
და შემოალო კარები ფრთხილად,
მოვიდა წვიმა, ზაფხულის წვიმა,
მოსიყვარულე გულივით თბილი.
ქარი ჯავრისგან ლეწავს კრამიტებს,
დე, ცის ცრემლები მკერდზე აწვიმდეს,
შევეფარები გაწეწილ ნაძვებს,
ზაფხულის ქარი ცხელ თითებს მახებს,
და ქარი ისე წეწავს ოცნებას,
თითქოს არასდროს შეიფოთლება.

საშობლოს

შევფარებივარ შენ თბილ კალთას, მშობელო მხარეო,
და ძვირფასია ჩემთვის შენი ჩრდილიც და მზვარეც...
საშობლოს ცაო, არ მომაკლო შენი ნათელი,
სიკეთისათვის ჩავიწვები, როგორც სანთელი.
განსაცდელისას ჭირთა თმენა შემაძლებინე,
ლერწმის ღერიდან სალამური გამთლელვინე,
ამ წუთისოფლის, ტკბილი და მწარე,
ეს ფიალა მეც დამალევინე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მედეა შავლიაშვილი

არა იპარო!

მოთხრობა

წყალი ნაფოტს მოათამაშებდა. ხან ზევ-ზევით ატივტივებდა, ხან თეთრი ქაფის ქობაშემოვლებულ ტალღებში მალავდა, მაგრამ მალემსრბოლივით შეუჩერებლივ მოაქანებდა, არსად აყოვნებდა. მიჰქონდა იგი თითქოს ავი ამბის სამცნობად, სასწრაფო გაფრთხილების გადასაცემად.

ვამეხმა ნაფოტი შორიდანვე შეამჩნია და როცა დამბაზე ამმართველ ბოძს გაუთანაბრდა, წამმზომს დახედა. მერე ძუნძულით გადაირბინა და მეორე ბოძთან დაუცადა. სამოცი მეტრის გაცლას ნაფოტმა თორმეტი წამი მოანდომა, რაც იმას ნიშნავდა, რომ მდინარე აჩქარებულიყო და წამში ოთხი მეტრის ნაცვლად, ხუთის გარბენა დაეწყო.

„სისულელეა, ალბათ ზუსტად ვერ გავზომე; რომ ადიდებულიყო, სიგანეზე გავიდოდა...“ — შეედავა ვიღაცას, ვინც საგანგებოდ მიჩენილივით უწეწავდა და უფორიაქებდა ნერვებს.

კაშხალთან შეგუებებულ წყალს მოაჯირმორღვეული ხიდიდან გადახედა და უკვე გული შეუკრთა — საგრძნობლად აწეული მოეჩვენა დონე. წყალმიმღებთან დამაგრებულ ლარტყაზე ციფრები რომ ვერ გაარჩია, მარცხნიდან შემოუარა — დილანდელთან შედარებით ხუთი თუ ექვსი სანტიმეტრით მეტი დაეფარა წყალს.

„ახე უმნიშვნელო ადიდება თვალს ვერ უნდა შეემჩნია“, — გაიფიქრა შეძრწუნებულმა და უკვე მიხვდა, რომ ეს წინათგრძნობა იყო, რაღაცა ავის, აუცილებლად მოსახდენის და გარდუვალის წინათგრძნობა, თუ მოლოდინი. ხიდის ბოლომდე სირბილით მივიდა, სამუშაოთა მწარმოებელს ხელი დაუქნია, მოიხმო და ისეთი კატეგორიული ხმით გამოუცხადა — ეს ჯებირი სასწრაფოდ გაარღვიეთ და გვირაბში მუშაობა შეწყვიტეთო, — საკუთარი ხმა თვითონვე ეხამუშა.

— რათ გავარღვიოთ?

— იმიტომ, რომ თქვენთვის არც მაგის პროექტი მოუცია ვინმეს და არც აშენება დაუცალებია.

— როცა ვაკეთებდით, ვერა ხედავდით? — სამუშაოთა მწარმოებელი ახალგაზრდა იყო.

—ვხედავდით, როგორა არა, ვხედავდით და ვამბობდით ნუ აშენებთო! მაგრამ თქვენ თუ ყველაფერი ჟურნალში არ ჩაგიწერათ კაცმა, ისე ნათქვამს არაფრად აგდებთ.

— მაგას მე არ უნდა მეუბნებოდეთ. მაგისთანა ხაკითხებს უბნისა და მშენებლობის უფროსები წყვეტენ. სანამ

ისინი არ მეტყვიან, ვერც ჯებირს გავარღვევ და ვერც მუშაობას შევწყვეტ.

— მე კიდევ გაფრთხილებ, ახლავე გაარღვიე და გვირაბიდანაც ახლავე გამოიყვანე-მეთქი ხალხი. რა დროს უფროსებია, ვერა ხედავ რა ამბავია?! თქვა და თვითონვე გაოცდა. თვალებგაფართოებულ სამუშაოთა მწარმოებელს მზერა აარიდა და ირგვლივ ისე მიმოიხედა, თითქოს შეამოწმა, აბა რა ამბავიაო?

არაფერი ამბავი იყო. მოკრიალებულ ცაზე მზე ჩახჩახებდა. მდინარე გულარხეინად მოიმღეროდა. ეგ იყო, ჩვეულებრივზე ცოტა უფრო თავხედურად მოატყლაშუნებდა ტალღებს. თითქოს ნაბახუსევი იყო და ქვეყანას ფეხებზე იკიდებდა. ვინ იცის როდის გაჩენილ კუნძულზე ველური ვაშლი ჰყვაოდა. არა, კი არ ჰყვაოდა, ველური ვაშლი თეთრი ყვავილის ფანტელს ათოვდა კუნძულს. ისე ათოვდა, მწვანე ფიანდაზის მტკაველსაც არ სტოვებდა დაუფარავს. ტყემლებს კი ლორთქო ფოთლით შემოსილი რტონი ნიავისათვის დაენებებინათ საალერსოდ და საჩურჩულოდ.

— გეუბნები, ახლავე შეუდექი-მეთქი საქმეს. მომეცი ჟურნალშიც ჩაგიწერ! — საქციელწამხდარივით დაუწია ტონს, მაგრამ ხმას ფოლადი მაინც არ მოაკლო, მაინც მტკიცედ იდგა ნათქვამზე.

სამუშაოთა მწარმოებელი თვალებს ახამხამებდა. პროექტის მთავარი ინჟინერი ეგეთი ჯერ არასოდეს ენახა. „მაინც როგორი „ეგეთი“? — შეუბუზღუნა საკუთარ თავს, მხრები აიჩეჩა და ჩქარი ნაბიჯით ტელეფონისკენ წავიდა.

პროექტის მთავარ ინჟინერს სათქმელის დამთავრებამდე სიცილი უსწრებდა მუდამ. ისე ჩაიქილიკებდა ხოლმე, თითქოს უკანასკნელი ბგერები აღარ იცდიდნენ, ერთმანეთს თავზე ახტებოდნენ, კაცს ყელში უღიტინებდნენ და სულის მოთქმას უძნელებენო. ახლა კი სიცილი რას ერქვა, ლამის ხმალამოღებულად იდგა კაცი.

— ალო! არა, უბნის უფროსი არ მინდა, მშენებლობის უფროსი მომეცი! — ჩასძახა ყურმილს სამუშაოთა მწარმოებელმა. — „უბნის უფროსი რაქველია, სანამ ის გაინძრევა...“

და თუმცა ვერა ხედებოდა, „სანამ ის გაინძრეოდა“, რა მოხდებოდა, ტელეფონის მილს სიჩქარისაგან ენადაბორკილმა სხაპა-სხუპით გადასცა სათქმელი. როცა ლაპარაკი დაამთავრა, მაშინღა უგრძნო გულმა, რომ მშენებლობის უფროსს პროექტის მთავარი ინჟინრისაგან რაღაცა ცუდის მოლოდინი თუ ავის წინათგრძნობა ცოცხალი გამტარივით გადასცა.

მუშაობა საჩქაროდ შეწყვიტეთო, გვირაბს საყვირმა აუწყა.

შავმა „ვოლგამ“ ხიდის ყურში გაატრიალა თვლები.

— რა მოხდა, ვამეხ? — მანქანიდან გადმოსულმა მშენებლობის უფროსმა პროექტის მთავარ ინჟინერს ჩამოსართმევად გაუწოდა ხელი.

ვამეხმა იმ ბავშვივით თვალდახრილმა შეაგება ხელი, საკუთარი საქციელის ახსნა რომ ვერ მოუხერხებია, გაწითლდა და ცას ახედა.

კენწეროში მოქცეული მზე იქაურობას გადაბუგვით ემუქრებოდა. ცაზე ღრუბლის ნაგლეჯი დაცურავდა. აბა ის რა ქომაგად გამოადგებოდა ქვეყანას, როცა მზე ისე მოწადინებული ირჯებოდა.

— შენა გგნია წამოვა? — მშენებლობის უფროსმა თავით მთებზე ანიშნა.

ვამეხმა თავი დაუქნია.

— ბოლო ერთ საათში თხუთმეტი სანტიმეტრით აიწია დონემ, — თქვა და უცებ მადლიერების შუქმა გაუბრწყინა სახე, რადგან ის საშიშროება, რომელიც ასე უხეთქავდა გულს, მაგრამ რომელსაც მხოლოდ გუმანით ხვდებოდა და ამიტომ სახელს ვერ არქმევდა, ამ კაცის მიხვედრილობისა თუ გამოცდილების წყალობით აშკარა სინამდვილედ იქცა.

— გუნარ!

სამუშაოთა მწარმოებელი გაქვავდა, სადაც იდგა.

— გუნარ, გვირაბი შეამოწმე, რეზოს უთხარი სამტონიანი ამწე წამოიყვანოს; სანამ წყალში შეისვლება, ეგება დიდი გირით გავანგრიოთ ჯებირი.

გუნარი უბნის უფროსის საპოვნელად გაიქცა.

ხიდზე დარჩენილებმა ისე გადახედეს მდინარეს, თითქოს შეტევაზე შეპარვით გადმოსული მტერი იყო და დამხვდურებს თავდაცვის სამზადისს აიძულებდა.

თვითონ მდინარე კი არაფრის ბაიბურში იყო. არხეინად მორბოდა და მოიქოშრებოდა. ტყემლის რტოზე ნიბლია ქანაობდა. ჯუჯა ვაშლის კენწეროზე შემომჯდარი თვალწითელა ღაჟო თავგადაკრული გალობდა, ყველა დედალს ერთად უხმობდა, შემომხედეთ როგორი სანეფო ბიჭი ვარო.

— ასე თუ გააგრძელა, დღეს დიდძალ წყალს გაატარებს ალბათ, — მშენებლობის უფროსი თვალმოუშორებლად მისჩერებოდა მდინარეს.

— ღმერთმა დაგვიფაროს. — ვამეხს ფერმა გადაჰკრა.

— რათა, ხო ერთ პროცენტზეა ნაანგარიშევი?

— ჰო, მაგრამ ერთ პროცენტს, ანუ იმ მაქსიმალურ ხარჯს, რომელმაც ეს წელიწადში ერთხელ უნდა ჩაიაროს, უკვე აშენებულმა ნაგებობამ უნდა გაუძლოს. დაუმთავრებელ კაშხალებს ყველაზე უფრო შავი დღე ახლა ადგათ...

— თუ მაინც წამოვიდა? აგერ მზე რა ამბავშია. ყინულეთის დნობის ორმოცი პროცენტი ამ მდინარეს ჩააქვს ზღვაში.

— მაშინ... — ვამეხს სიტყვა გაეჩხირა, ვერ ამოთქვა, უკვე აშენებული უნდა გავარღვიოთო, მხოლოდ მზერა მიაპყრო მიწის კაშხალს.

— არა, მანამდე არ მივა საქმე! — დანგრევაზე ფიქრიც არ უნდოდა უფროსს.

წყალი კი მატულობდა და მატულობდა. კუნძულს ნაპირებს ულოკავდა. მიწაზე მოფენილ ვაშლის ყვავილებს მკერდზე იტივტივებდა. რომელიღაც ბუჩქის ძირიდან დათრეულ ნიბლიის ბუდეს ციმციმ მიარბენინებდა ქვეითით.

მერე საგუბარგანგრეულივით უეცრად მოვარდა. აიქოჩრა, აირია, აღრიალდა. ნაპირები გადმოლახა, გაძალიანებული ხეები ფესვებიანად ამოატრიალა, ვეება ლოდები დაიტაცა, ყველაფერი ერთმანეთში აურია, ზედა ბიეფში ასვეტებულ პროექტორის ბოძებს დაუშინა, ჯერ დააგვერდელავა, მერე წამოაქცია და ჩააქვესკნელა. ბაყაყებმა ხმა გაწყვიტეს. მაჟალოს წვერსშერჩეული თვალწითელა ღაჟო გულისმომკვლელად გასწიოდა. წელამდე წყალშემდგარი ტყემალი წითელ რტოებს ხელებივით ცისკენ იშვერდა. ხიდი ციებიანივით ცახცახებდა. ორივე ნაპირს უამრავი ხალხი შემოსჯარიოდა: ყველას რაღაცა ავის, აუცილებლად მოსახდენის და გარდუვალის მოლოდინი დაუფლებოდა.

და მაინც უბედურება იქიდან არ მოვიდა, საიდანაც ელოდნენ.

გვირაბის შესამოწმებლად გაგზავნილ გუნარს შიგ კომბაინი დახვდა. გამოყვანა აბელს და მძღოლს დაავალა. ფრთხილად, ისარი არაფერს წამოედოსო, დაადევნა. მანქანამ ის ორასიოდე მეტრი მშვიდობით გამოიარა, მაგრამ აბელი აღარ გამოიყვანა გარეთ.

— კაცი რა უყავი? — გუნარი მანქანასთან მიიჭრა.

შოფერმა კისერი მოღრიცა და პირკატა ეცა.

— მე მეგონა უკანიდან შემომახტა...

ხალხი გვირაბს მიაწყდა.

იქიდან წყალმა გადაუღობა გზა.

— აბეელ! ჰაუ, აბეელ! — დაიყვირა ვიღაცამ.

— აუეე! აუეე!... აუე!.. — დაიგუგუნა გვირაბმა.

— ჰოუუ!...

ვერ დაადგინეს, შემოესმათ თუ მოეჩვენათ.

გუნარმა ლაჯებზე აიჭიმა რეზინის ჩექმების ყელი და გვირაბში შეავარდა. წყალი მუხლებამდე შემოსწვდა, მაგრამ სირბილი მაინც გაუჭირდა და ნაბიჯით წავიდა. ის ადგილი ინიშნა, სადაც კომბაინი იდგა, კაცი კი ვერსად დალანდა.

— აბელ!...

— აეეე... — ისევ გააჯავრა მიწისქვეშეთმა.

— ჰოუუ!

— ოუუ...

ახლა ნამდვილად აბელის ხმა იყო, თანაც ახლოდან გაისმა, ოღონდ, რაკი იქ გვირაბი უხვევდა, თვალით არ ჩანდა. გუნარმა ნაბიჯს მოუმატა, ნახევარრკალს გასცილდა და მაშინვე დაინახა მაცხოვარივით კედელს აკრული აბელი.

— რას შვრები, აბელ?

— ვერ ჩამოვდივარ, უფროსო!

მიწიდან ორი მეტრის სიმაღლეზე ეკიდა კაცი. ცალი ხელი მაშველი რგოლივით დახვეულ ელექტრონის ზონარზე ჰქონდა ჩაბღაუჭებული, მეორეთი ყალიბის ფიცარს ჩაფრენოდა.

— რატომ ვერ ჩამოდიხარ?

— ბეტონიდან გამოჩხერილი მავთული ლაჯებს შორის გამომეფდა. გავინძრევი თუ არა, ყველაფერს მაგლეჯს.

გუნარმა სული მოითქვა.

— რა თარსი კაცი ხარ, ყველაფერს შენ როგორ უნდა გადაეყარო, გასწი ფეხი!

გადაგრეხილმა მავთულმა ბეტონი გაკაწრა წვერით. აბელმა ამოისუნთქა და ბოდიში თუ მადლობა წაიბურტყუნა. მერე ცალი ხელით ჩექმების გადმოშვებული ყელი აჭიმა, მაშველივით დახვეული თეთრი ზონარი ლურსმნიდან ჩამოხსნა, მხარზე ჩამოიკიდა და წყალში ჩახტა.

— ეგ რაღად გინდა?

— ვინ იცის რა მოხდეს, წყალს რად გავატანოთ?

— ჩქარა, თორემ წყლის გასატანებელი თვითონ გახდები.

კედელ-კედელ წამოვიდნენ. მუხლამდე მომდგარ წყალს ტყლაშატყლაში გაჰქონდა ფეხქვეშ. ახალ ბეტონზე ფრთხილად აცეცებდნენ ნაბიჯებს. ზევით ნახევარრკალად შეკრული ფიცრის ყალიბი იყო — დასაბეტონებლად გამზადებული, ქარგილებგამაგრებული.

ყალიბის ბოლომდე ორიოდე მეტრილა რჩებოდათ. მერე შეუმოსავი კლდე იწყებოდა. კლდეში გაჭრილ გვირაბს გვერდებსა თუ ჭერში წვეტიანი ქვების ხორკლი აეშვა.

მოულოდნელად მთელი გვირაბი საზარელმა ზათქმა და ღრიალმა შეაზანზარა. ხმამ ისე დაიქუხა, გეგონებოდათ რაღაცა ზღაპრული ძალა გორგალივით შეიკუმშა და გვირაბიდან, როგორც თოფის ლულიდან გამოვარდაო.

იმ რაღაცამ ორივენი ხელნაკრავივით გაყარა წინ.

— რა მოხ-და? — აბელს ყბა მოეღრიცა.

— მგონი გვირაბში წყალი შემოვარდა. ჩქარა, თორემ წაგვლეკავს. რა დროს გულყრაა, გადმოადგი ნაბიჯი, ჩქარა!..

გუნარმა მუხლმოკვეთილი გვირაბგამყვანი ტომარასავით მოიგდო ზურგზე.

ბრიალის ხმა ელვის სისწრაფით ახლოვდებოდა. როცა მიხვდა, ფეღარ გაასწრებდა, შეჩერდა, აბელი დაბლა ჩამოსვა, ფეხზე ძალით გააჩერა, სახეში მაგარი სილა გაულაწუნა და გონზე მოიყვანა. მერე კედელს მიეყრდნო, ოდნავ მოხრილი ფეხი წინ წადგა, აბელი თავისკენ შემოაბრუნა და უბრძანა, მუხლიდან მარჯვენა ხელზე, მერე მხარზე, მერე ზეაღმართულ მარცხენაზე, როგორც საფეხურებზე ისე ასულიყო და რკალად აფიცრულ ყალიბში შეცოცებულიყო. თვითონ მეჩხერად გამოშვერილ არმატურებს ჩაეჭიდა, მაიმუნივით მეორეზე და მესამეზე გადაინაცვლა, ტანი აზიდა და აბელს გვერდით მაშინ მიუწვა, აზვირთებული წყალი უთვალავი ლომის ღრიალით შეუმოსავ კლდეს რომ მიასკდა.

— უჰ, სად მოგვისწრო?!. ერთმა წამმა გადაგვარჩ...

გუნარის ენა აღარ დაემორჩილა, აღარც ტუჩები.

აბელს მთელი სხეული უცახცახებდა.

დაბლა წყალი ბობოქრობდა და მიწისქვეშეთს დანგრევით ემუქრებოდა. მაღლა ორნი ისხდნენ — ჭერში მერცხლებივით შეყუჟულები. დასაჯდომი ადგილი სად იყო, — იწვნენ. ნახევარმეტრიან ბეტონის საყალიბე რკალზე იწვნენ. ცოტა უხერხულად გაინძრეოდნენ და აქა-იქ გამოშვერილი წვეტიანი ქვები მწარედ უსერავდათ სხეულს. მხოლოდ ჭარბნაღებებში ითქვამდნენ სულს. რასაც გუნარი ამფეთქებლებს ეომებოდა, ზედმეტს ნუ ანგრევთ, ბეტონის გადახარჯვა გვექნებაო და ახლა სწორედ იმ ღრმულებისათვის სწირავდა მადლობას ღმერთს.

ვინ იცის, მერამდენჯერ მოუარა ხურვებამ აბელს. ჯერ შეამცივნებდა, მერე გავარვარდებოდა და ოფლად დაიღვრებოდა. ბოდავდა, ბორგავდა. წყალში გადასახტომად იწევდა. გუნარმა ნეილონის ლურჯი ქურთუკი გაიხადა, შიგ გაახვია და ზევიდან ხელები გადააჭდო.

— ნუ გეშინია, აბელ, ეგ შიშის ხურვებაა, არ დავიღუპებით, გადაგვარჩენენ.

— ვის-სა აქ-ქვს ჩვენი დარდი, უფროსო, ვინ გად-დაგ-გვარჩენს?

— როგორ თუ ვის? უკვე ქვეყნის ხალხი მოაწყდებოდა გვირაბს...

— ქვეყ-ყნის ხალხი ს-სეირის საყურებლად მოვიდოდა, თაგ-გვებივით გამომხ-ხრჩ-ჩვალებს როდის ჩამო-ჩამოატარებსო წყალ-ლი...

მერე გვიან, კარგა ხნის შემდეგ, როცა შიშს ასე თუ ისე დაუპატარავდა თვალები, რადგან აიღე-დაიღე, მაინც გვირაბი იყო. ის გვირაბი, სადაც, ვინ იცის, რამდენი ასი დღე დაეღამებინათ და ღამე გაეთენებინათ. და თუმცა დაბლა წყალი გააფთრებული მიღრიალებდა, ზევითამდე ვერ აღწევდა მაინც. გარედან ელექტრონის შუქმა შემოაღწია.

— ეს პროექტორი გვირაბის თავზე ჩვენი გულისთვის დაჰკიდეს, აბელ.

— ჩვენ რა მშველელად გამოგვადგება. წმინდანები ხო არა ვართ შუქს ავყვეთ.

იქაურობა ზანზარებდა.

პროექტორი ყოველ საათში შეთქმულივით სამჯერ აპა[illegible]ნებდა თვალს, მერე ჩამობნელდებოდა ხოლმე, ახლა თქვენი ჯერიაო. როცა გუნარის ჯიბის ფანრით მიცემულ პასუხს მიიღებდა, გულს დაიარხეინებდა და ისევ გაიბრდღვიალებდა ცალ თვალს.

აბელს მაინც ეჩვენებოდა, რომ წყალი ზევით იწევდა.

— ეს გვირაბი უდაწნეოა, წყალი ჭერს ვერ მიწვდება.

— უდაწნეო რა არის?

— გვირაბის ზღურბლთან წყალი არა გუბდება, მაშასადამე, გვირაბი მთლიანად ვერ გაივსება.

— რო დაგუბდეს?

„რო დაგუბდეს, ამოვიხრჩობით აქა“, — შიშმა ისევ გაიფართოვა თვალები, — მაგრამ ეგ არ მოხდება!

— რო მოხდეს?

— მაშინ მიწის კაშხალს ააფეთქებენ და წყალს გზას იქით მისცემენ, — „ნამდვილად ააფეთქებენ“! — დაატანა ფიქრში.

— ჩვენი გულისთვის მიწის კაშხალს დაანგრევენ?

— დაანგრევენ!

— რომელიც ორი წელი აშენეს და ორი მილიონი მიახარჯეს?

— ჰო, იმას.

— ორი კაცისათვის დაანგრევენ?

— დაანგრევენ-მეთქი, რატო არა გჯერა?

— აბა როგორ დავიჯერო, უფროსო, რომ იმოდენა შრომა და ფული ვლირვართ. მე მაინც ვის რაში ვარგივარ, ვის რაში ვადგები?

— აბელ, დედა გყავს?

— არა, სახლის აშენებას გადაჰყვა.

ბეტონის ქარხნის გადალმა უშველებელი სახლი ედგა აბელს — ორსართულიანი, თორმეტოთახიანი, განიერი

აივნითა და ორი ვეება კიბით დამშვენებული.

— როგორ გადაჰყვა?

— მოუსვენარი ქალი იყო. მზეში თუ თქვენში თვითონ ეხმარებოდა მუშებს. ბლოკებს აწვდიდა, ბეტონით სავსე ვედროებს დაათრევდა. შუაცეცხლზე ხან ოცდაათი კაცის სადილს ამზადებდა. ჩემი ცოლი ფეხმძიმედ იყო და ბეტონის ქარხნიდან წყალსაც ის ეზიდებოდა ვედროებით.

წყალს იმ სიშორიდან იმიტომ ეზიდებოდნენ, მილები, რომელთაც თითოეულ კომლამდე უნდა მიეყვანა წყალი, იმავ ოჯახებმა წაიღეს ნამალავად და ყურძნის თალარებს შეუყენეს ბოძებად. სამილსადენედ კიდევ მოიტანენო.

ისეთი მაღალი თალარი აბელის ეზოშიაც გაჩნდა მაშინ.

წყალი კი დღემდე გამოუყვანელი დარჩა.

— საწყალი დედაჩემი. სულ გვარიგებდა: თქვენზე თეთრი სარეცხი ვერავინ უნდა გაფინოს, თქვენზე დიდი სახლი არავის ედგას, შესაწირიც სხვაზე მეტი თქვენ უნდა გაიღოთო მუდამ... თვითონ იმდენმა შრომამ ისე მოტეხა, ღრმა მოხუცივით დამჭკნარი ხელები ეწყო გულზე...

გუნარის დედას ხელები უცვლიდნენ თვალებს...

ულვაში უკვე აშლოდა და ძილის წინ მაინც გულისფანცქალით ელოდა დედას... მშვიდი ნაბიჯით, უხმაუროდ შემოვიდოდა, თავისი გრძელი თითებით მთელ სხეულს გაუსინჯავდა შვილს, ჯადოსანივით გააქრობდა ყოველგვარ დაღლილობას თუ დაძაბულობას, საოცარ სიმშვიდეს, ლამის ნეტარებას მოჰფენდა სულს, ძილი ნებისას უსურვებდა და იმ ჰაერს აკოცებდა, მისი შვილი რომ სუნთქავდა, ლოყასაც არ შეახებდა ბაგეს.

მერე დილით:

— სანდრო, შეხედე, ბიჭს ცალი ბეჭი მეტადა აქვს გამოშვერილი.

მამა ცალი თვალით დიდხანს ათვალიერებდა წელამდე გაშიშვლებულ შვილის ზურგს. წინ და უკან ატრიალებდა, მაგრამ ვერავითარ ნაკლს ვერ ამჩნევდა.

— სანდრო, ექიმს უნდა ვაჩვენოთ.

ექიმი ხან სათვალით სინჯავდა, ხან უსათვალოდ და უარის ნიშნად თავს აქნევდა, პათოლოგიას ვერ ვხედავო.

დედა თავისას არ იშლიდა.

ბოლოს, როცა მაინც დადასტურდა მცირე განსხვავება, ლამის მთელი ინსტიტუტი შეიყარა გაოცებული, ამ ფაზაში სქოლიოზი არა თუ მშობელს, ექიმსაც არ შეუმჩნევიაო.

დედამ თვითონ დაადგინა მოზარდი სხეულის ცალ მხარეს გადაძალვის მიზეზი — ჩოგბურთის ჩოგანი შვილს ხელიდან გააგდებინა და ტანვარჯიში დააწყებინა.

გუნარის დაბადებამ დედის ორივე თვალის ჩინი შეიწირა.

დედას ყურებიც უცვლიდნენ თვალებს.

გუნარმა ზღარბი მოიყვანა ტყიდან. პატარა, ცხვირწვეტიანი, თვალების ადგილას ბრჭყვიალა მძიგებჩასმული.

ზღარბი ნთქავდა ყვალაფერს: ჭიაყელებს და ბაყაყებს, თაგვებს და ტყის მარწყვს. ხანდახან საკუთარი წონის ოდენას სჭამდა. ფუთფუთებდა, შრიალებდა, მოძრაობდა. განსაკუთრებით ღამით არ ისვენებდა.

ერთ დილას დედამ შიშველი ფეხი დაადგა უნებურად და ეკლებზე ტერფი დაისისხლიანა. გუნარმა ზღარბი მინდორში გაადგა. იმავე ღამეს საწოლქვეშ აქოთქოთდა ძრავასავით. მამამ ტყეში წაიყვანა. ლამის ხუთი კილომეტრით დააშორა სახლს.

სამი დღის შემდეგ, შუალამისას დედამ სიცილით გააღვიძა მამა, მომილოცავს ოჯახის ერთგული წევრის მშვიდობით დაბრუნებაო.

ზღარბი კარის დირეკთან იჯდა.

მერე აღარავის უცდია მოშორება.

დედამ თქვა: განგებას მისთვის ისე მოკლე სიცოცხლე მიუნიჭებია, ის ორი

თუ სამი წელი დაე ჩვენთან იცხოვროსო.

სახლზეკით ნაყანარში ისხდნენ. დედამ თავთავი დაფშვნა, ხელის გულზე დაიყარა და გვრიტივით დაიღუღუნა. რამდენიმე წამში მოგოგმანდა ჩიტი. ერთხანს ირგვლივ უყარა ურწმუნოდ. შორიახლოს იტრიალა, მერე მიუახლოვდა, მაჯაზე შეაფართხალდა და ხორბლის კენკვა დაიწყო.

ზღარბი გამალებული საქმიანობდა.

— გუნარ, გვრიტს კისერზე შავი სახელო ნახეცარ მთვარესავითა აქვს შემოვლებული, არა შვილო? ნაცრისფერ ბუმბულს ვარდისფერი გადაჰკრავს. ფრთები და კუდი კი ყავისფერი უნდა ჰქონდეს.

დედა ისე ზუსტად აღწერდა ფერებს, გუნარი გაოცებული შეჰყურებდა უჩინო და მაინც უძირო თვალებში. როცა დედა იმ მზარეს იხედებოდა, სადაც გუნარი, მამა ან ჩიტები ეგულებოდა, ცისფერი თვალები საოცარი სინაზით გასხივოსნდებოდა ხოლმე. სადღაც, სილრმეში სამუდამოდ ჩაწოლილი მწუხარება მცირე ხნით ქრებოდა. არა, კი არ ქრებოდა, პატარ-პატარა მზეების ქვეშ იმალებოდა მაშინ.

ზღარბი გატვრენილი იჯდა. მერე როგორღაც დაიფრუტუნა. ზღარბის დაფრუტუნება და დედის ფეხზე წამოხტომა ერთი იყო. ელვაზე უსწრაფესად წამოიჭრა, გუნართან მიიჭრა, ხელი დასტაცა, მკლავებში მოიქცია, მერე ის მკლავები მაღლა აჭიმა და შვილი ზეაიტაცა.

ზღარბმა საოცარი ნახტომი გააკეთა.

დედა ქანდაკებასავით გაშეშდა.

გუნარმა კისერი შემოატრიალა და მაღლა თავშემართული გველი დაინახა.

უხსენებელი მონუსხულივით შესჩერებოდა დედას. პირდაპირ თვალებში, იმ უჩინო თვალებში შესცქეროდა. გუნარი მიხვდა, რომ დედა წამწამს არ ახამხამებდა. შუბლის კუნთიც კი, რომელიც ნერვიულობის დროს მუდამ უთრთოდა, ახლა გაქვავებულიყო. მხოლოდ ბაგე ამბობდა უხმოდ რაღაცა ლოცვას თუ შელოცვას.

ზღარბი ნელა დაიძრა და გველს ნზვერავივით მიუახლოვდა. ცოტა ხანით შეჩერდა, მერე უცებ ისკუპა, გველს კუდზე უკბინა და ისევ უკან გადახტა. გაშიშვლებული შუბლი გულადი მეომარივით მიუშვირა, აჰა, გადმოდი შეტევაზეო. მაგრამ როცა გველმა თავი სწრაფად მოაბრუნა, ღია შუბლის ნაცვლად გორგალივით დახვეულ ეკლის ბურთს შეახია სასა...

გვიან, ძალიან გვიან, როცა ყველაფერი ჩათავდა და დედამ შვილი ძირს ჩამოსვა, თვითონაც ჩაჯდა, აკანკალებულ მუხლებს ორივე ხელი შემოხვია და უცხო ხმით იკითხა:

— გუნარ, ზღარბმა გველი თავიანად შეჭამა?

— არა, თავი იქით გადააგდო.

— მაშ ის გველი ძალიან შხამიანი ყოფილა, შვილო.

— აკი ზღარბზე შხამი არა მოქმედებსო?

— ზედმეტად ბედის გამოცდისა ზღარბსაც შინებია, როგორც ხედავ...

თვალების მაგივრობას დედას ნერვებიც უწევდა ხშირად. უსაზღვროდ დაძაბული და დაჭიმული, მაგრამ საოცრად გაფაქიზებული ნერვები. არა, მაგივრობას კი არ უწევდა. უსინათლობა მეტს აკისრებინებდა, ბევრის დაძლევას აიძულებდა იმ ნერვებს...

თუ ძალიან ბევრს, თუ ძალიან დიდხანს, თუ ძალიან დიდი სიყვარულით ფიქრობ ვინმეზე, გამუდმებით ფიქრობ, წამჩაუგდებლად, გადაურთველად, მაშინ შენი ნერვები რადიომიმღებივით ჰაერის უმცირესი ტალღებით იჭერენ მის ფიქრებს და განწყობილებებს. მეტიც, მისანივით წინასწარმეტყველებენ მოსახდენ უბედურებას თუ ბედისწერას — ასე სჯეროდა დედას.

მამამ, მანქანით დავბრუნდებიო, დაიბარა. ულელტეხილი ხშირ ზვავებს საზიფათო სამგზავროდ გადაეფარა. დედა დილიდანვე ჩიოდა, მაჟრიალებსო. ხან თვალი უშტერდებოდა... თვალი როგორ გაუშტერდებოდა, ჩინი არ ეცდა

თვალში. გაქვავებულივით ერთ ადგილზე გარინდდებოდა ხოლმე. რამდენჯერმე ძაღლს მიაყურადა, დაიყმუვლაო, მგონი. შებინდებას ძლივს დაუცადა, ლოგინში ჩაწვა. გუნარი ახალი ჩაძინებული იყო, დედის ყვირილმა, სანდრო, სანდროო, ლოგინიდან რომ წამოაგდო. დედამ მაშინვე საათზე დაახედინა: ათს ათი წუთი აკლდა...

ორ საათში მამაც მოვიდა — მშვიდი, მომღიმარი, საღ-სალამათი. ორივენი ლოგინიდან წამოყარა, გაყინული ვარ და ჩაი ერთად დავლიოთო.

სამი დღის შემდეგ მოუყვა ცოლშვილს: უღელტეხილზე გასავათებულმა, სამშვიდობოს რო დავიგულე თავი, ჩამძინებოდაო. შენი ძახილი შემომესმა: სანდროო, სანდრო, ხელნაკრავივით წამოვვარდი და უნებურად შოფერს წავარტყი იდაყვი. თურმე იმასაც ჩასთვლემოდა. მანქანა კი ნელა მიგორავდა ზედ ხრამის პირას...

ვისაც მოუყვნენ, ყველამ ისა თქვა, მისტიკაოო. მამამ კი დედასავით დაიჯერა, რომ თუ ძალიან ბევრს, თუ ძალიან დიდხანს, თუ ძალიან დიდი სიყვარულით ფიქრობ ვინმეზე...

აღრიალებულმა წყალმა გატეხილი ტომრები ჩამოატარა. აბელმა თხუთმეტამდე დაითვალა. წყალი ტომრებს ტიკინებივით წალმა-უკულმა ატრიალებდა.

— მეტი იქნებოდა, შენ ვერ დაინახავდი, — თქვა გუნარმა. — ეტყობა ქვიშიანი ტომრებით სავსე მანქანა უცებ ჩაცალეს ზღურბლთან, წყალს ერთბაშად გადავუკეტავთო სავალს, მაგრამ წყალმა დაასწრო და ყველა აქეთ გამოიტაცა.

— ჩაყრას თუ აპირებდნენ, აქამდე სად იყვნენ?

— სანამ ტომრებს ცენტრალური საწყობიდან ჩამოიტანდნენ, თორემ ამ ამბის შემდეგ, აქაურში ალბათ აღარაფერი დარჩა...

აბელი გაიტრუნა.

„ის ამბავი“ საწყობის დარაჯის დათრობა და რამდენიმე ასეული ტომრის გამოტანა იყო. ქურდი დაიჭირეს, მაგრამ ტომრების დიდი ნაწილი ხელსა და თვალს შუა გაქრა.

ოცდაათ ტომრამდე აბელის სასიძინდის ორმაგ იატაკში ნაჩუქარივით დარჩა მაშინ.

— უფროსო, ფარები რო ჩაწეული ყოფილიყო, გვირაბში მაინც შემოვარდებოდა წყალი?

— აღარ შემოვარდებოდა.

— ფარების ჩამოკიდვა რაღად დააგვიანეს?

— ეგ შენს მეზობლებსა ჰკითხე...

აბელს ხმა ჩაუწყდა.

ფარების დაკიდვის დღისათვის ამწე მექანიზმები მთლიანად შეღებილი უნდა ყოფილიყო. ყვითელი საღებავით საგსე კასრი გახსნას ელოდებოდა.

იმ დილას, სათავისაკენ მიმავალ შარაზე ჩამწკრივებული თითქმის ყველა ღობე და ყველა ჭიშკარი ყვითლად აბზინდა. მხოლოდ ამწე მექანიზმები დამწუხრებულიყვნენ ქანგისფრად.

აბელის ღობე-ჭიშკარი მომიჯნავეებს ეტრაბახებოდა, საღებავი ჩვენ თქვენზე სქლად გვაცხია.

წყალმა ჯერ რკინა-ბეტონის ძელი ჩაატარა, მერე სიმკარი.

— გუნარა უფროსო, არ იქნება ეგ ძელები ჩვენს იქით რო გაიჭედნენ და ისე შეტბორონ წყალი?

— „რატომაც არ შეიძლება. აი, მაშინ დაგვიდგება ორთავ თვალი...“ — არ იქნება, აბელ, იმიტომ, რომ ჩვენს იქით გვირაბი ბეტონში აღარა ზის, მაშასადამე, იქით ერთი მეტრით განიერია. — „ეგ კი ეგრეა, მაგრამ ამ წყლისათვის კანონები არა სწერია, ვინ იცის, სად შეატრიალებს მაგ ძელს...“ — აბელ, იმოდენა სახლი რისთვის გჭირდებოდა?

— როგორ თუ რისთვის? — აბელმა ისე იწყინა კითხვა, თითქოს სწორედ ის შეურაცხყვეს, რაც მის სიამაყეს წარმოადგენდა, — ოჯახია, სტუმარია, კაცნი ვართ...

„ალდე" — ხელნაკრავივით გამოალვიძა ფიქრმა.

და უცებ გულმა საოცარი ძალით გაიწია გვირაბგარეთ, ალდესაკენ, მზის ქვეყნისაკენ.

ფოსფორიანი ისრები ატყობინებდნენ, ტყვედ ჩავარდნიდან ცხრამეტი საათი გასულიყო უკვე.

მდინარე ოდნავ დაშოშმინებულიყო. რაც გუშინ მზეს ეცადნა და ყინულეთი ედნო, წუხელ უკლებლივ ჩაებარებინა ზღვისთვის. დღეს ნარჩენს ეზიდებოდა. დღეს თუ ღრუბელი გაიმარჯვებდა, ეგება დონეს ისე დაეკლო, პატიმრობას დაღწეულიყვნენ. არადა, ვინ იცის, როდემდე ისხდებოდნენ გვირაბის მძევლებად.

და წელანდელივით მძლავრად გაიწია გულმა გარეთ. თავი ვეღარ დაიჭირა, დაბლა ჩაიხედა, ლამის ჩახტომა დააპირა, მოეჩვენა ასეთ წყალში ჯიდეცაც გავცურავო, მაგრამ აბელს გადახედა და სიბრალულისგან გული შეეკუმშა: მარტო რომ დაეტოვებინა, ნამდვილად შეიშლებოდა აბელი.

ინსტიტუტის დამთავრებისთანავე მოვიდა ალდე.

როგორღაც ასაფრენი ჩიტივით მოვიდა, უკვე ბუმბულდაგებულ ბუდეში ჩასაჯდომად გამზადებული. ყველაფერს მოკლე დროით საზღვრავდა, მხოლოდ საიმედოდ, თითქმის საიმწუთოდ.

— რაკი განაწილებითა ხართ მოსული, სამ წელს რომ ვეღარსად გაგიშვებთ, ხომ იცი? — უთხრა მშენებლობის უფროსმა.

—რო გავთხოვდე?

თქვა და გაწითლდა.

მშენებლობის უფროსიც გაწითლდა.

შეუძლებელი იყო ალდესათვის გეცქირა და მისი განწყობილება არ გადაგდებოდა: არადა, არც არცქერა შეიძლებოდა.

ბინაში სხვასთან შეასახლეს. უკრაინელი გოგო იყო, ცოტას წაიუცნაურებდა.

— არა უშავს, რა, ხო ცოტახნით უნდა ვიყო... — თვითონვე დაამშვიდა სახლთმმართველი.

ამ მთებს, გორაკებს, ჭალებს და მინდვრებს, სადაც განგებას დარდიმანდულად, მოუტეხებლად ხელგაშლილად ჩაელვარა მუქმწვანე ფერი, ისე დახარბებული შეჰყურებდა, ხვალ და ზეგ ველარ იხილავდა თითქოს.

— უჰ, ასეთი მზის ჩასვლა არსად მინახავს. რანაირად აწითლებს ზეცას.

— განა რამდენი მზის ჩასვლა გინახავს სულ?

— მაინც...

იტყოდა და გაწითლდებოდა. იმ ზეცასავით გაწითლდებოდა, როგორღაც საზეიმოდ, თითქოს გასაბრწყინად შექმნილი ფერით.

ბუნებით მორცხვი იყო. მაგრამ ახლა თავს ვერ იოკებდა და ყველაფერზე იცინოდა. ხანდახან ისე ჩაახველებდა, თითქოს ყელსმობეკნილი სიხარული დაბრჩობით ემუქრებაო. ერთთავად ღიმილი ეფინა სახეზე, მოუთმენელი ღიმილი: თითქოს მეჯლისზეა და სული ელევა საცეკვაოდ როდის მიიპატიჟებენო.

და უცებ...

ერთ დღეში, თუ ერთ ღამეში მოხდა სასწაული.

მეორე დღეს ფრთაჩამოვარდნილი, არა, ფრთებდამტვრეული ჩიტივით გამოცხადდა სამსახურში. ჩაღამებული, ეაკრეკილი, გაარარავებული. იმ ნიბლიასავით აბუზული, დილით, მრავალი წლით დაშორებული დილით აივანზე რომ დახვდა გუნარს, ფრთამოტეხილი და აცახცახებული...

იმ დილიდან მოყოლებული სულ უჩინოდ იქცა გოგო. იყო და არც იყო.

უკვე რამდენიმე ჯაბა ჰქონდა, მაგრამ ვერავინ იტყოდა იმ დღეს რომელში ნახა. თმები ხომ ერთთავად სახეზე ჰქონდა რიდესავით ჩამოშლილ-ჩამოფარებული. საღამოს ხუთწუთიან თათბირზე ან ტექნიკურ საბჭოზე სადღაც კუთხეში იჯდა თვალდახრილი, ლამის არარაობად ქცეული. ერთი სიტყვით,

ველარც სხვა ამჩნევდა და აღარც თვითონ იმჩნევდა, რომ არსებობდა.

გუნარმა სწორედ მაშინ გამოიგდო არქივში საჩხირკედელაო. ცვლის მეორე ძილის მაგიერ ნახაზებს ქექავდა და აშრიალებდა. განუწყვეტლივ აშრიალებდა, ძალიან გულმოდგინედ, ძალიან თავგამოდებული. აქაოდა, ტიხარგაღმელებო, აქა ვარ და რაც ჩემი ყურებისათვის არა გაქვთ გამიზნული, ის ჩურჩულითა თქვითო... და, რაც მთავარია, აქა ვარო... ჰო, აქა ვარ და გახსოვდეთ... ნუ დაივიწყებთ, რომ აქა ვარ, გახსოვდეთო...

მაგრამ სწორედ იმას არ ახსოვდა, ვისი ხსოვნაც სჭირდებოდა. იმ ფრთებჩამოშვებულ, რიღაცით უზომოდ დაჩაგრულ და აბუზულ ნიბლიას.

— ალდე, ალბათ ძალიან ძნელი სიბერე ელის კაცს, ვინც ცხოვრებაში რაღაცა დიდს გვერდით ისე ჩაუარა, ვერ შეამჩნია, — უთხრა ერთხელ.

— ეგეთი რამ არ ხდება. ის დიდი თვითონ შეამჩნევინებდა თავს.

— ეგრე არ არის თაყაო... ზღვა დიდია?

— დიდია.

— დოსტოევსკი და გოგოლი დიდები არიან?

— არიან.

— ჰოდა, ისე ჩაათავეს ცხოვრება, იმდენი დიდი წიგნი დაწერეს პეტერბურგზე და შიგ ზღვა ერთხელაც არ ახსენეს. საერთოდ ვერ შეამჩნიეს, თითქოს არც ყოფილიყოს ზღვა, რომელიც პეტერბურგს ზედ ეკრა, მისი გამოუყოფელი ნაწილი იყო.

— ნუთუ მართლა არ უხსენებიათ?

— მართლა. მე ყველაფერი გადავჩხრიკე.

— პუშკინს და ლერმონტოვს, ისინიც ხომ პეტერბურგელები არიან?

— ისინი არ შემომოწმებია, — ისე თქვა, თითქოს გაკვეთილის უსწავლელობაში გამოიჭირეს. — არც ახლაა გვიან, — წამოიძახა უცებ. — მოდი ერთად. შენ — ლერმონტოვი, მე — პუშკინი. მოდის?

— მოდის, — კარგა ხნის შემდეგ ხელჩაქნეულივით თქვა ალდემ.

მეორე დღეს კი ისევ ისეთი უკარება გოგო მოდიოდა სამსახურში. გუნარს ისე თავაზიანად ესალმებოდა, თითქოს საღღაც გაეცნო, მაგრამ ვერ იხსენებდა. დაჩაგრული, აბუზული, ლამის დამცირებული ჯდებოდა თავის მაგიდასთან და დღის ბოლომდე თავს არ იღებდა.

ხოლო საღამოს:

— გალაკტიონი წერდა, ქართულ პოეზიაში ზღვის თემა მე შემოვიტანეო. და მართლაც განა მისი დახატული არ არის ზღვაც, ცაც, მთელი ქვეყანაც:

...შენის სულმნათისად
ასვლა ეროვანი,
ყელი გუმბათისა,
მაღალეროვანი.
ცამდის აღერილი,
სათნოდ აღერილი
გშვენის ნიკორწმინდა.

— ნიკორწმინდა არ მინახავს, — ჩურჩულებდა ალდე.

— ეგ როგორ მოახერხე? ნიკორწმინდის არნახვა ხომ მოცარტის არასოდეს მოსმენას, მიქელანჯელოს შემოქმედების არნახვას, სერვანტესის არწაკითხვას უდრის.

ალდე იღიმებოდა.

— ჩემს ირგვლივ, შენს გარდა, კაცი არ მეგულება, ნიკორწმინდა არ ენახოს, — ჯავრობდა გუნარი.

თვალების გუგებში პაწაწინა მზეები ჩნდებოდა.

— მაგრამ ვინც ნახა, ყველა მივიდა, ნახა და წავიდა, — ხმა უსერიოზულდებოდა ბიჭს. — გალაკტიონი კი მოვიდა, ნახა და დაწერა ლექსი „ნიკორწმინდა“, ტაძარ ნიკორწმინდის დარი და საფერი. აი, რა განსხვავებაა...

— ჩემსა და გალაკტიონს შორის? — იცინოდა ალდე.

— არა. გენიასა და მომაკვდავთ შორის.

— გუნარ, მაგდენ ლექსებს როგორ იხსომებ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ადრე დედაჩემი მახსომებინებდა.

— დედა ხომ?..

— ჰო. და სწორედ მაგით ხარგებლობდა. წამიკითხე, მინდა დავიზეპიროო და იმდენჯერ მაკითხებდა, სანამ მე არ დამაზეპირებინებდა. თორემ თვითონ მეორე წაკითხვის შემდეგ წაუბორძიკებლად იცოდა თურმე.

მუსიკაც ასე შემაყვარა.

იმ დღეს ნახაზებით გართულმა უნებურად ტიხარგადალმა ნათქვამიდან ის მოისმინა, რაც მისი ყურებისათვის არ იყო დანიშნული.

— იმ ლექსებით და საუბრით გაბრუებული, სახლში მისვლისთანავე „იმის“ წერილებს ვკითხულობ, ემანდ ამის ნათქვამი არ დამეჯეროს, ემანდ ქვეყანაზე კიდევ ვინმესი რამე არ ვირწმუნო-მეთქი. თუკი ამ ქვეყნად ყველაზე უკეთესმა ის შესძლო, საკუთარი ქორწინების ღამეს ჩემთვის ასეთი წერილი მოეწერა და სიკვდილამდე სიყვარულის ფიცი ხელახლა მოეცა, რა უნდა ვირწმუნო ამ ქვეყნის.

გუნარს გააჟრჟოლა.

„ამ ქვეყნისო...“ — სწორედ ასე თქვა.

იმ ფრთებჩამოყრილ ნიბლიას აბა რალა განუკურნავდა იარას, თუკი მთელი ქვეყნის, ამ ვეებერთელა ქვეყნის ნდობა ასე უკანდაუბრუნებლად და საბოლოოდ დაჰკარგოდა.

და მაინც იმავე საღამოს...

— ალდე, ქორწილში რო დაგპატიჟო, წამოხვალ?

ალდემ ქვევიდან ზევით საცოდავად ახედა.

— არა, ქორწილში კი არა, ქორწილებში. ჩიტების ქორწილებში გეპატიჟები, ალდე, წამოხვალ?

— სადა აქვთ ქორწილი?

— დედაჩემის სამშობლოში.

— ბალტიისპირეთში?

— ჰო.

— მხოლოდ იქაური ჩიტები ქორწინდებიან ხოლმე?

— არა, მაგრამ გაზაფხული ხო სხვადასხვა დროსაა ყველგან.

— დაპატიჟების ქალალდი მოგვიტანდა უკვე?

— ჰოდა, შენც შიგ სწერიხარ.

— გზა თუ იცი?

— გზა არ დაგებნევა?

— არა, დედაჩემი მიგვიყვანს.

— დედაშენი?

— ჰო, დედაჩემი.

გოგომ ურწმუნოდ გაიღიმა.

— ალდე, დედაჩემი ტყის შვილია. მამა მეტყევე ჰყავდა და დაბადებიდან შუაგულ ტყეში ცხოვრობდა. მაგრამ ამან ხელი ვერ შეუშალა, ან იქნებ სწორედ ამან შეუწყო ხელი ასე ძალიან შეჰყვარებოდა მუსიკა და პოეზია. გარდა ამისა, მამამისი, ყოფილი მეზღვაური, ინგლისურ ენას ასწავლიდა, ხოლო დედა, მღვდლის შვილი, ბიბლიას აკითხებდა და აზეპირებინებდა.

ომის დროს ის ტყის ქოხი წარამარა გადადიოდა ხელიდან ხელში. ერთ ღამეს გერმანელებს ეძინათ შიგ, მეორე დღეს ჩვენები ბრუნდებოდნენ ისევ.

რაც თავი მახსოვს, დედა იმ ერთი თვის მოლოდინით ცხოვრობს, მთელი წელი გაზაფხულის იმ ერთ თვეს ელოდება, როცა თავის ტყეში შევა, გაიტვრინება და ჩიტების საქორწინო მოძახილს ყურს დაუგდებს. უამრავ ჩიტს გალობითა სცნობს, უამრავ ყვავილს — სურნელით.

— გუნარ!

— რა, ალდე?

— გუნარ, მამაშენსაც ასე ძალიან უყვარს დედაშენი?

— უფრო მეტად, ალდე.

აბელს გაეღვიძა.

— უჰ, ისევ აქა ვართ შეყუჟულები? რა კარგი სიზმარი ვნახე და... წყალი ძალადაკარგული ღრიალებდა, მაგრამ იხტიბარს მაინც არ იტეხდა. შიოდათ, სციოდათ, ეშინოდათ.

რაც კი ოდესმე გემრიელი საჭმელი ეჭამათ, ყველა ჩამოთვალეს, ბოლოს:

— დედაჩემის ქელეხიდან მორჩენილი სამასი კილო პური საღორედ და

საძროხედ გახდა. ერთი დიდი პური მოგვცა ახლა...

— განა რამდენი ხალხი გყავდათ, აბელ, მაგდენი პური რომ დაგრჩათ?

— დღეში ხან ხუთასი კაცი ჯდებოდა.

— რამდენ დღეს, აბელ?

— მეშვიდე დღეს გავასვენეთ.

— მაგდენი ხანი, კაცო?

— ეგ რა არის. მამაჩემი თერთმეტი დღე სახლში გვესვენა.

— რათა, აბელ?

— ჩვენ მეცხრე დღეს ვაპირებდით, მაგრამ მეზობლებმა გვთხოვეს, ეს ორი დღე ჩვენ გვაჩუქეთ, პატივი გვინდა ვცეთო.

— მერე, სცეს?

— როგორ არა სცეს, დღეში ხან ოცდაათ კაცამდე მუხლჩაუხრელად გვემსახურებოდა. დაწყდა ხალხი.

— ნიგოზი რა ღირდა მაშინ, აბელ?

— მაშინ ორჯერ იაფი იყო. კილოს ცხრა მანეთად იშოვიდა კაცი.

— იმ შენს ოცდაათკაციან ჯარს მაგდენ დღეში ათასკაკლიანი ტყის გაშენება შეეძლო შენი მშობლების სახელობაზე, აბელ!

— კაკლის ტყე რად გვინდოდა?

— შენი მშობლების ხსოვნას გაახანგრძლივებდა, ნიგოზს გაიაფებდა, ნიადაგს გაანოყიერებდა, მდინარეს გააწყლიანებდა, ჰაერს გასწმენდდა, ჩიტებს მოამრავლებდა...

— ეგ როდის იქნებოდა?

— სახლი შვილებისათვის არ გინდა, აბელ?

— იმ კაკლის ტყეს შეღობავდნენ, მეურნეობისაო და ჩემს შვილებს ფეხსაც აღარ შეადგმევინებდნენ შიგ.

— მაინც რად გინდოდა იმოდენა სახლი აბელ?

— მამაჩემზე შემოსული შესაწირი ბევრი დაგვრჩა და დედაჩემი ატყდა, ეს ქვა და ბეტონი ხომ თითქმის უფასოაო...

— რათ იყო უფასო, აბელ?

— ქვა მდინარეს მოჰქონდა და ბეტონის ქარხანა კარზე იყო...

— მდინარიდან ქვა ხელიით ამოგქონდა?

— მანქანა ხან დღეში ათას კუბს იღებდა, ჩემი ექვსი კუბი რას დაეტყობოდა.

— ჩუმად მოგქონდა?

— მაშ სასულე ორკესტრითა და ბაირაღებით ვინ გამატანდა?

— იმ ქვების გორებს მართლაც არაფერი დაეტყობოდა. აი, შენ კი კარგა გვარიანად დაგეტყობოდა.

— ქვას სუნი აუვიდოდა?

— მამაჩემი ამბობს, ქურდი ჯერ თავს იქურდავსო.

— როგორ?

— საკუთარ სახელს იპარავს, უსახელო რჩებაო.

— ქვის წაღება რა ქურდობაა... თანაც მარტო მე ხო არა ვარ, ქვეყანა ეგრეა. მე ერთი უსწავლელი კაცი ვარ, აი, რო მესწავლა...

— ღმერთსაც ნუ ექნა.

— რათა, რას მერჩოდა ღმერთი?

— ერთმა ჭკვიანმა პრეზიდენტმა თქვა: უსწავლელი ქურდი სატვირთო ვაგონიდან იპარავს რამეს, ნასწავლს მთელი რკინიგზის მოპარვა შეუძლიაო.

— განა მაშინაც ისე წავიღებდი...

— ვინ იცის, აბელ. მერე დედაშენი სწორედ იმ სახლის აშენებას გადაჰყვა?

— იმას გადაჰყვა. ისე მოკვდა, ერთხელაც არ სძინებია ზეგით.

— შენ გძინებია?

— არა. და როგორც ეტყობა, არც მე მეღირსება.

— მაშ რად გინდოდა იმოდენა სახლი, აბელ?

— სტუმრისათვის, მოყვრისათვის...

— განა რამდენჯერ გესტუმრა მაგდენი სტუმარი?

— ჯერ სად მესტუმრებოდა, სად მოვიცალე იმათთვის.

— რატომ ვერ მოიცალე?

— რაც თავი მახსოვს, სულ მაგ სახლს ვემსახურები, თორმეტი ოთახი ცოტა ხომ არ არის.

— არა, თორმეტი ოთახი ცოტა არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

არის. მაშ როდისლა გამოიყენებ მავთულის, როდის მოიცლი?

— საჭირწინოდ ხომ გამოვიყენებ, საქელეხოდ ხომ გამოვიყენებ?

— ორი დღისათვის მთელი სიცოცხლე გასწირე, აბელ?

— მარტო მე ხომ ასა ვარ. ქვეყანა მაგრეა. ჩემ მეზობლებს უფრო დიდი სახლები უდგათ.

— „ბრმაო რასა უჩივი და ორთავ თვალსაო. მარტო შენ რომ იყო, ხა უჭირდა, უბედურებაც მაგაშია, შენისთანა ბევრი რია, თვალის გულისთვის თვალი რომ გამოითხარეს, ბევრი შრომა, ბევრი ფული, ბევრი მასალა დახარჯეს და ამის ფასად ეგვიპტური პირამიდებივით უსარგებლო პალატები წამოიშენეს“, — თავისთვის გაიფიქრა გუნარმა — შენი ცოდვა მე მაწევს კისერზე, აბელ, აქ რომ შემოგგზავნე, ძალიან დავაშავე, — თქვა ხმამაღლა.

აბელი გაიტრუნა. უფროსს დანაშაულში არ ჩაეზიარა. მაშველი რგოლივით დახვეული ელექტრონის თეთრი ზონარი მარჯვნივ გააჩოჩა ოდნავ.

გვიან, ძალიან გვიან, აბელმა თქვა:

— გუნარა უფროსო, კუკლის ტყეო. რომ თქვით... ან იმდენი ნერგი სად უნდა ეშოვათ, ან იმდენი ორმო სად ეთხარათ, ეგ ეგრე ადვილია?

— ძნელია, აბელ, ძალიან ძნელია ეგ საქმე კარგად ვიცი. მამაჩემს ჩემ სახელობაზე ასთექვსმეტი ხე აქვს დარგული.

— უჰ, როგორ გაუმდიდრებიხარ, უფროსო.

გუნარს გაეცინა.

— მარტო მე რათა, გზის პირას ჩარგა.

— მარტომ?

— რათა მარტომ, ჩვენც ვეხმარებოდით.

— მერე?

— მერე, სოფელი წახედულებითაა. რომ დაინახეს უჩინო ქალს და უწლოვანი ბიჭს იხმარებსო, თვითონაც გამოვიდნენ. ახლა ცენტრიდან ჩვენს სახლამდე გზას იმოდენა კაკლები მოჰყვება, მზე სხივს ვერ აძვრენს შიგა.

უფროსი გვიან კიდევ იკითხავ აბელმა:

— კიდევაც რომ მომესწრო კომბაინზე შეხტომა, ეს დღე ხომ მაინც არ ამცდებოდა, ხო შეიძლებოდა შემთხვევით ადრე შემოვარდნილიყო წყალი და მანქანაზე მოვეხრჩვე?

— გრიალი ხომ ადრე გაგიგეთ და სანამ წყალი ექვს კილომეტრიან გვირაბს გაირბენდა, კომბაინი იმ ორას მეტრს...

მოულოდნელად გუნარს კრიჭა შეეკრა და სიტყვა გაუწყდა. ცხვირში გაზის სუნი ეცა. აბელს ანიშნა, ყალიბის ნაპირთან მიცოცდი და თავი რამდენადაც შეგიძლია ქვევით ჩაჰკიდეო. რაკი წყლის აჩქარებული დინება ჰაერის ჭაღლსაც იტაცებდა, ეგება გადარჩენილიყვნენ დახრჩობას.

აბელმა შეიგინა და მაშველი რგოლივით დახვეული ელექტრონის ზონარს წიხლი უთავაზა მტკივნეულ.

გვირაბში ტყვედ მოხვედრიდან მესამე დილა თენდებოდა. მზე ჯიბრში ჩამდგარივით ისევ გადაბუგვით ემუქრებოდა ქვეყანას. გვირაბის გამოსასვლელს ზღვა ხალხი მისწყდომოდა. მდინარე ადრინდელივით ათასი ლომის ლრიალით მობლაოდა და ზევით დათრეულ ლოდებს გამეტებით უხათქუნებდა კაშხალებს და ბურჯებს. ორ წელიწადს ლამის ორასი კაცის მიერ ნაშენები კაშხალი ასაფეთქებლად და გასანგრევად განწირულიყო. ჯერ-ჯერობით კი გვირაბის ზღურბლის ამოქოლვას ცდილობდნენ დაბეჯითებით.

რკინა-ბეტონის ძელებით და სიმკარეებით, ბეტონის სამტონიანი კუბებით, რკინის დახლართული ფერმებით და, ვინ იცის, რამდენი რაგინდარათი ძარასავსე მანქანები შარაზე ჩამწკრივებულიყვნენ და საპალნეაკიდებული ჯორებივით მოთმინებით უცდიდნენ ჯერს. ქვეყნის რომელი კუთხიდან არ იყვნენ მოსულნი, ქვეყნის რომელ კიდეს არ გამოეშვირა დახმარების ხელი.

ხმაჩახლეჩილი ვამეხი, ვინც მოხვდე-

ბოდა, იმას აჩეჩებდა საყვირს, ბრძანება გადაეცია. მესამე დღე იყო ფეხიდან ჩექმა არ გაეძრო და დაბიჟინებულ თითებს რეზინთან ყოველი შეხებისას ცეცხლი ეკიდებოდა ლამის.

ხალხი ნაპირისაკენ იწევდა, წინანებს ავიწროვებდა, მდინარესავით ბორგავდა. მხოლოდ ერთი რკალი რჩებოდა თავისუფალი და იმ რკალის ცენტრში თეთრთმიანი მოხუცი იდგა.

ვამეხი იმ მხარეს ვერ იხრებოდა.

მესამე დილა თენდებოდა, მოხუცს არ ჩაემუხლა, წვეთი არ დაელია, ხემსი არ ჩაედო. ცალი თვალით ერთთავად, თვალმოუშორებლად მისჩერებოდა გვირაბის გამოსასვლელს და წყლის მიერ გამოტაცებული ყველა ხე და ყველა ძელი საკუთარი შვილის გვამად ეჩვენებოდა.

შუაღამის შემდეგ გვირაბიდან ნიშნების მიცემა შეწყდა. არავინ იცოდა წყალმა ამოახრჩო თაგვებივით, ხანჩაგდებით გაჩენილმა გაზმა გაგუდა, ჩამოშვავებულმა კლდემ მოიყოლა ქვეშ თუ უბრალოდ შუქი გამოელია ფარანს.

ვინ იცის, კიდევ რამდენ ხანს იბობოქრებდა მდინარე, მაგრამ რამდენ ხანსაც არ უნდა ეომა, მამა იმ ადგილს არ მოშორდებოდა ალბათ. არ მოშორდებოდა, იმიტომ, რომ შვილი იქ ეგულებოდა და წასასვლელი აღარსაით ჰქონდა. არ მოშორდებოდა იმიტომ, რომ ვაჟკაცობა არ ეყოფოდა დედისათვის ეთქვა, მაგ ბრმა თვალებით, მაგ ხელების ფრთხილი ფათურით გაზრდილი შვილი მოგიკვდაო. ეს წერტილი იქნებოდა და წერტილის დასასმელად ის ქებული ვაჟკაცობა უღალატებდა, რადგან იმ წერტილის შემდეგ ერთმანეთისთვის უნდა ეყავარჯნათ, ერთმანეთის გულისთვის ეჯახირებინათ, უსაგნოდ ეგრძელებინათ ჯოჯოხეთადქცეული სიცოცხლე, მაშინ, როცა სიცოცხლის შეწყვეტა ორივესთვის ნეტარება იქნებოდა.

სულის ამოსვლაც რომ ყოფილიყო, ალბათ ასე ზეზეულად ამოხდებოდა, ერთხელაც არ დაიკვნესებდა, მშველელს ხომ სულ არ ეთხოვდა [illegible] ერა.

ხალხი ცოდვით იმდუღრებოდა. იმათღა ეხმარებოდა — იმ კენტ თვალს რამდენიმე ასი ეხიდებოდა. ძელი თუ ბოძი გვირაბს გამოტაცებული არ იყო, ასი ხმა ერთად ყვიროდა: ძელია! ხეა! ბოძიაო!..

ახლოს მისვლას ვერავინ ბედავდა. სკამი მიართვეს, მაგრამ დაბრძანდიო, ვერ უთხრეს.

მეორე დღეს ალდე მივიდა. გრძელი ნაბიჯით მიუახლოვდა და უბრალოდ უთხრა, მე ალდე ვარო.

მოხუცს კენტი თვალიდან ერთად ერთი ცრემლი ჩამოვარდა. ხელი ასწია, მაგრამ თვალის შემშრალების მაგიერ ის ხელი ალდეს დაადო მხარზე. დაადო და აღარც მოუშორებია.

ასე იდგნენ იმ ტყვეობის მესამე დილას — თეთრთმიანი, მაღალი მოხუცი და გამხდარი, წელშიგაშლილი გოგო.

ზუსტად შესასვლელის გასწვრივ, გვირაბის თავს ბეტონის სამტოტიანი კუბებით დატვირთული ორი მანქანა ორივე მხრიდან ერთდროულად მიადგა. ორივემ ერთნაირად წამოსწია ძარა, ორივე შოფერი გადმოხტა კაბინიდან და საფეხურზე შედგა, ემანდ აყირავებულ ძარას არ გადაეძალა, მანქანა გაავებულ მდინარეში არ გადაშვებულიყო და ისინიც თან არ გადაჰყოლოდნენ.

ასეთ ორფლანგოვან და ძლიერ იერიშს აღარ მოელოდა გაურჩებული მდინარე. რკინა-ბეტონის ძელებს და სიმკარეებს გააფთრებული ეტაკა, მაგრამ ვეღარ მოერია და კუბებს შორის დარჩენილ ნახვრეტებში შხუილით გადაუშვა წყალი.

მშენებლობის უფროსმა შოფერს აღარ დაუცადა, თვითონ მიუჯდა საჭეს, ვამეხი გვერდით მოისვა და გვირაბის გამოსასვლელისაკენ გააქანა მანქანა.

გამოსასვლელთან ჩაშვებული ძრავიანი ნავი დაბმული ცხენივით შფოთავდა და აწყვეტას ლამობდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყლის დონის დაკარგვა ყველაზე ადრე გვირაბში გამომწყვდეულებმა შეამჩნიეს...

როცა გადარჩენის სიხარულს მოეროვნენ, როცა ყველში გაჩხერილი ბურთი ცხელმა ცრემლმა გაადნო, გუნარმა აბელს მხარზე ხელი დაარტყა და ეთხრა: იმ საიქიოს შენი ცოდვის ზიდვას გადავრჩი.

— არა, უფროსო, — აბელს ხმა უკანკალებდა, — სიკვდილის წინ ვაპირებდი აღსარებას...

— „მადლობა ღმერთს, კისრულობს“ — წინასწარ შემინდვიხარ, — ნამდვილ მოძღვარივით დაიბუბუნა გუნარმა.

— შენ კი არა, მე უნდა მეზიდა შენი დალუპვის ცოდვა... ეს ოხრადდასარჩენი მავთული რო არა, არაფერიც არ მოხდებოდა. ვიფიქრე, ოჯახია, გამოდგება-მეთქი და ნახე რა გამოვიდა... შენი გადარჩენილი ვარ უფროსო... სიცოცხლითა ვარ შენგან დავალებული...

— რათა ჩემგან?

— შენგანაცა და ქვეყნისგანაც. ჰოდა, სიკვდილამდე ვალში ვიქნები...

— აბელ?

— ჰოუ.

— ათი მცნება გაგიგონია?

აბელს ძლივსშესამჩნევად გაეღიმა.

— მოდი, ჩამოთვალე.

— თავიდან დავიწყო?

— არა, შუაგან.

აბელმა ბავშვივით მოხარა თითები.

— ესა ერთ ჭკლა, არა იმრუშო, არა იპარო...

— აბელ, სდექ!

— ჰო, არა იპარო. სიკვდილი რომ თვალებში ჩაგხედავს, კაი ბიჭი ხარ და ნუ გაიმეორებ, არა იპაროო.

— არა, ძრავიანი ნავის ხმა შემომესმა და...

სწრაფად მოახლოვებულმა ძრავის ქოთქოთმა იქაურობა გააყრუა.

გუნარი, სულსწრაფი ბიჭივით ყალიბიდან პირდაპირ ნავში ჩახტა, მერე შემობრუნდა და აბელს შეაშველა ხელი.

სიბნელეში სამოცდაათსაათიანი პატიმრობის შემდეგ მზემ თვალი მოსჭრა ტყვეებს.

მაშველი რგოლივით დახვეული ელექტრონის ზონარი ყალიბის რკალში ისე მიგდებულიყო, როგორც სხვენზე დავიწყებული ძველმანი. ასიოდე მეტრი მავთული იყო — თეთრი, ერთმანეთზე დახვეული, მეტრი ათ კაპიკად ღირებული.

რკინა-ბეტონის ძელებით, ბეტონის კუბებით, რკინის დახლართული ფერმებითა და ათასი რაგინდარათი ძარასავსე მანქანები უკან წასასვლელად თავიანთ ჯერს ელოდნენ.

აფეთქებას გადარჩენილი მიწის კაშხალი თეთრქაფიან ტალღებს ხალისიანად აგებებდა მკერდს.

ხალხი მდინარესავით ბობოქრობდა, ყვიროდა, ვეღარ მშვიდდებოდა.

სადღაც, შორს, თავწითელა ღაჟო გალობით უხმობდა ტოლებს.

გაზაფხული მეფობდა ირგვლივ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რევაზ ჯაფარიძე

მძიმე ჯვარი

წიგნი მეოთხე

მუმლი მუხასა

თავი მეცამეტე

მდინარე ტეხურის პირზე, ნოქალაქევთან, კაცია დადიანის. ქვითხუროებს დიდი ხნის წინათ დაუქმებული ხიდის დულაბის ბურჯები ამოჰყავდათ. ახლა, როგორც საზოგადოდ ზამთრის თვეებში, წყალი დავარდნილი იყო და ქვითხუროებს მოხერხებული დრო შეერჩიათ საშვილიშვილო საქმის დასაგვირგვინებლად. ვიდრე თოვლი დნობას დაიწყებდა და ლაკადის პატარ-პატარა ღელეებით გალონიერებული ტეხური არ ადიდდებოდა, ქვითხუროებს ხიდის მაღალი ბურჯები კლდოვანი ნაპირების გასწვრივ უნდა ამოეყვანათ, რათა ტფილისიდან მოწვეულ ხიდის ოსტატებს გარდიგარდმო გასადები მუხისა და ძელქვის კოჭები გაემართათ და გაზაფხულის კოკისპირული წვიმების დაწყებამდე საგულდაგულოდ გათლილი ფიცრების დაგებასაც შესდგომოდნენ.

მთელი ოდიში, ლაკადა თუ სამურზაყანო აქ იყო.

მდინარის ვიწრო ყელში აუარებელი მუშახელი, ქალი თუ კაცი, დაუღლელი ხარ-კამეჩი, ცხენი და სახედარი ირეოდა. აქ იყო თვით ოდიშის ბატონი კაცია დადიანიც, რომელსაც მდინარის კლდოვან ნაპირზე, ნოქალაქევის ძველ ნაბანოვართან, ცოლისძმა ერეკლე მეფის ნაჩუქარი აღმოსავლური კარავი დაეცა და ბურჯების გარეშემო მოფუსფუსე ხალხის გამალებულ საქმიანობას თვალყურს პირადად ადევნებდა.

— რა გახარო, კაცია-ბატონო, — კარვის კარში უბრალო ყმა-გლეხივით სამუშაო ჩოხაში გამოწყობილი და აქაიქ კირში ამოსვრილი თავადი ფალავა ჩამოდგა. — სიძე-ბატონის კაცები გეახლნენ იმერეთიდან, შენი ნახვა უნდათ!

— სიძე-ბატონის კაცები? სოლომონის?

დადიანი ჭადრაკს ეთამაშებოდა კაცო ჩიჩუას და მესამე ხელს ზედიზედ უგებდა. ჩიჩუას მეფე მის ეტლსა და კუს კუთხეში მიემწყვდია და აღსასრულს ერთი ქიში-ღა აკლდა.

— დიახ, სოლომონის! — იმერთა მეფის ძველი თანამებრძოლი თავადი ფალავა სიხარულს ვერ მალავდა. ბოლო დროს სოლომონის ირგვლივ ოდიშში

გაგრძელება იხ. „მნათობი", № 1, 2.

ათასი ურთიერთსაწინააღმდეგო ხმა დადიოდა. ზოგი ამას ამბობდა, ზოგი იმას. ბევრს, მათ შორის თვით ფაღავასაც, ის ცოცხალი აღარც კი ეგონა და ბედისაგან ულვთოდ განწირულ თავდადებულ მამულიშვილს გულში კიდევაც გლოვობდა.

დადიანმა კუ დასძრა, უკანასკნელი სვლა გააკეთა და კმაყოფილმა, რომ სამთავროს ერთ უპირველეს მოჭადრაკე კაცო ჩიჩუას ფარ-ხმალი ერთხელ კიდევ დააყრევინა, ხელები მოიფშვნიტა. — რაო, რა თქვი? — უცებ კარში ჩამომდგარი ფაღავა გაახსენდა და შუბლი შეიკრა.

— მეფე სოლომონისაგან კაცები გეახლნენ, ბატონო, — გაიმეორა ფაღავამ. — აგერ არიან და შემოშვებას ითხოვენ.

ტახტიდან ჩამოგდებული სიძე მთავარს კარგა ხნის გამოტირებული ჰყავდა და მისი გახსენება ახლა აშკარად არ ესიამოვნა.

— ვინ კაცებია?

— აზნაური ავალიანი, მეღვინეთუხუცესი. სამი გლეხი ახლავს და ერთი უწლოვანი ბავშვი.

— ბავშვი? — ოდიშის ბატონმა თავი ასწია და ჭადრაკში ხელმოცარულ ჩიჩუას შეხედა. — მათხოვარი იქნება ვინმე. ვინ მოასწავლათ ჩემი სამყოფელი? ეტყობა, აქ ვერც ისე უშიშრად ვართ! ათქმევინე, მთავარს არ ცალია, ხომ ხედავთ თქვენი თვალით, ცალი ხელით კიდია, სხვა დროს მობრძანდითთქვა.

— ივარგებს, ბატონო კაცია? ეგ რას ემგვანება. დაგვძრახავენ, შენ ნუ მომიკვდები. ზოგს მაინც იმისთანა მყარალი ენა აქვს! ამოდენა გზა გამოიარეს, ამდენი გაჭირვება შეხვდათ. მარტო გვინდა მთავრის ნახვა, მისმა უმაღლესობა სოლომონმა საიდუმლო სიტყვა დაგვაბარაო.

— გაჩხრიკე, კარგად გამოარკვიე, ვინ არიან და აქ რა მიზნით მოსულან. დააწყვე, კაცო, ერთი ხელი კიდევ ვითამაშოთ!

ფაღავა მაინც არ მოეშვა:

— მე ვიცნობ აზნაურ ავალიანს, ბატონო კაცია, ხრესილში ერთად ვომობდით!

— რაც გითხარი, ის გააკეთე, თავადო, ახლა ავალიანი კი არა, ღვიძლი ძმა აღარ არის სანდო, ვერ ხედავ, რა ხდება? — და კაცია ჭადრაკს მიუბრუნდა, მეფის წინა პაიკი ორი უჯრედით წინ წასწია.

გაწბილებული ფაღავა ის იყო გარეთ გასვლას აპირებდა, რომ კარვის კარი, რომელშიაც ის იდგა, კიდევ უფრო ფართოდ გაიღო და კარავში გლეხურად ჩაცმული და თავით ფეხებამდე შეიარაღებული იმერელი მხედარი შემოვიდა.

— რა მოხდა, შე კაცო, დიდი ოტია დადიანის შვილი და მოდგმა ამისთანა მშიშარა და სტუმრის მოძულე როდის გახდი?!

მთავარი შეკრთა, სახეზე ფერფურმა გადაუარა, მერე მრისხანების ცეცხლი მოეკიდა და ხელი უნებლიეთ სატევრისაკენ წაიღო. ვინ იყო ეს გლეხუჭა, ამისთანა გაუგონარ თავხედობას რომ ბედავდა, პირში სალანძღავ სიტყვას აგონებდა და კარავში დაუპატიჟებლად უხტებოდა.

— აბა, კარგად დამაკვირდი, იქნება მიცნო! — მიახალა მოსულმა, თვალებამდე ჩამოფხატული ღაზლის ჩაბალახი მოიხადა და კეფაზე აკრეფილი გიშრისფერი ნაწნავები მხრებზე ჩამოეშალა.

— მარიამ! — შეჰყვირა კაცია დადიანმა და ზეზე წამოვარდა. — აქ რომელმა ქარმა გადმოგაგდო, დაო?

— მოვედი, როგორც ხედავ, — მიუგო მარიამმა, როცა შეხვედრის პირველმა მღელვარებამ გაიარა და მათ ერთმანეთს ახედ-დახედეს. — გაჭირვებას ბევრი რამე შესძლებია. გაიცანი, ეს შენი დისწული გახლავს, ბატონიშვილი ალექსანდრე!

მოულოდნელობისაგან და საკუთარი სულმოკლეობისაგან თავგზააბნეულმა კაცია დადიანმა ახლა-ლა შეამჩნია გლე-

ხის ბიჭად გადაცმული შავთვალწარბა ყმაწვილი, რომელიც დედას ზურგზეკან უდგა, მოუსვენრად აქეთ-იქით იყურებოდა და, რაკი სხვა გზა არ იყო, ბიძასთან წარდგენის თავის რიგს უცდიდა.

— ალექსანდრე! — გულწრფელი სიხარულით შესძახა ოდიშის ბატონმა და ხელები გაშალა. — ეს რა ბედნიერი დღე გამითენა გამჩენმა ღმერთმა! მოდი, ბიძია, აგრე უნდა? რა განზე გამდგარხარ!

ყმაწვილი ბატონიშვილი ადგილიდან არ იძვროდა, თავი ჩაეღუნა და მიწას ჩასცქეროდა.

— რა მოუვიდა? — შემცბარმა და თითქოს განიარაღებულმა დადიანმა ეს მარიამს ჰკითხა, დისწულს თვით მიეახლა, მხრებში ხელი ჩასჭიდა, ალერსიანად შეანჯღრია, თვალებში ჩახედა და გულზე მიიკრა.

— მეგრული არ იცის, ქართულად ელაპარაკე!

— მართლა, ბიჭო? — კაცია უმალ ქართულზე გადავიდა. — რატომ არ იცი მერე? შეგირცხვა თავი!

ბიჭმა რაღაც გაურკვეველი ჩაიდუდუნა და ბიძას თვალი ისევ აარიდა.

— ეე, არ მომწონს, დაო მარიამ, ეს მე, ბალღი გაგიგარეულებიათ, პირქუში და გულჩახვეული გაგიზრდიათ.

— ჩვენ გაგვიზრდია, კაცია? როდის გაგვეზარდა! ბავშვები ახლა თავისით იზრდებიან. ჩვენ ვინღა რაღას გვეკითხება. ნუ ნაღვლობ მაგას, ყურადღებას ნუ მიაქცევ, მოგეჩვევა. შვილო ალექსანდრე, მე შენ აგრე დაგარიგე?

ამ ამბის შემსწრე შეცბუნებულმა თავადებმა, ჩიჩუამ და ფაღავამ, დრო შეარჩიეს, მათ ხელში გაზრდილი და დაქალებული დედოფლის წინაშე კრძალვით მუხლი მოიყარეს და ძველი მეგრული წესითა და რიგით თაყვანი სცეს.

— ბოდიში უნდა მოვიხადო ორივესთან, — თქვა მარიამმა. — უნდა დამტოვოთ ᲘᲔᲛᲡ ძმასთან მარტო. მადლობელი ვიქნები, თუ სანამ მე და ჩემი შვილი აქ ვართ, კარავში არავინ შემოვა.

— ბატონი ბრძანდები! — ერთხმად უპასუხეს თავადებმა, ხელები გულზე გადაიჯვარედინეს, თავი მდაბლად დაუკრეს და კარისაკენ უხმაურო ნაბიჯით გაემართნენ.

მარიამი დისწულის ალერსში გართულ კაციას მოუბრუნდა:

— ვხედავ, არა ხარ ცუდად, ამ მეორეთმოსვლაში ხიდის მშენებლობაც წამოგიწყია.

— ვაშენებთ, — დადიანმა იგრძნო დის გამკილავი კილო და დამნაშავესავით დარცხვენით უპასუხა. — ხიდის უქონლობამ ნამეტანი გაგვაწვალა. შემოსავლელი გზების კეთებას ვეღარ ავუვედით. გადავწყვიტე. ვიცი, უხიდობა უფრო ძვირი გვიჯდება, — მერე საუბრის საგანი უცებ შეცვალა: — ტანზე არ გამოიცვლი? ახლავე ვუბრძანებ და ტანისამოსს აქავე მოიტანენ. რას გავხართ დედა-შვილი, ღმერთო ჩემო, ნეტავი სარკეში ჩაგახედათ!

— როდი-ღა არის გამოცვლის დრო, კაცია, ჩვენ ახლავე უკან უნდა გავბრუნდეთ!

— უკან უნდა გავბრუნდეთო? — იწყინა ოდიშის ბატონმა. — ეგ როგორ გეკადრება, მარიამ, ჩემო საყვარელო დაო! რამდენი დღე და საათია, შენ საყოლში ალარ ყოფილხარ, ჩვენი ალექსანდრეც პირველად გვასტუმრე აქეთ, დღეს და ხვალ, თუგინდ ორი-სამი კვირის შემდეგ, ნააღდგომევამდე, უკან ვინ გაგიშვებს, უსახლკაროები კი არა ვართ! არა, არ მოგიკვდეს კაცია, ეგ მეორედ ალარ წამოგცდეს. თქვენი საქმე მოსვლა იყო, გასტუმრება ჩვენი საქმეა. ხომ, ბიძია, ალექსანდრე?

მარიამი თვალს არ აშორებდა უჩვეულოდ აცუნცრუკებულ ძმას.

— არც შენთვის იქნება სახეირო, ჩვენი აქ ყოფნა თუ ვინმემ შეიტყო.

— მერე მაგის გულისთვის დასა და დისწულს სახლის კარი მივუკეტო? ღმერთო კი მომკალი! მეხი დამეცეს მაშინ! რძალი ხომ უნდა ნახო, მიუ-

ლოცო, შენებურად გული გადაუშალო. მომკლავს! მის საყვედურებში გინდა ჩამაგდო?

— ჰო, მართლა, მომილოცავს. ისე კი, შე კაცო, ნუ მიწყენ და, თუკი თანამეცხედრესთან გაყრას და აფხაზეთის მთავრის მომდურებას აპირებდი, ამილახვრის ნაცოლარი რომ არ მოგეყვანა და ცოლად არ დაგესვა, ქალი გაწყდა ამერ-იმერეთში?

კაცია აიმრიზა, მსუქანი ქვედა ტუჩი წინ გამოუვარდა.

— ის „ამილახვრის ნაცოლარი“ მეფე ერეკლეს ღვიძლი და გახლავს, დედოფალო. წელან ამბობდი, გაჭირვებას ბევრი რამე შესძლებიაო. ნურც შენ დაივიწყებ, ძვირფასო დაო, იმერეთის დედოფლის გვირგვინი როგორ დაიდგი. აბა, კარგად მოიგონე! სანამ შენ ეგ პატივი გეღირსებოდა, გვირგვინი, თუ მეხსიერება არ მღალატობს, სხვის თავს ამშვენებდა. ისე, რომ...

— კაცია! ვერ ხედავ, ბავშვი გვისმენს? — მეგრულად შესძახა ძმის შხამიანი სიტყვების მოსმენით შეძრწუნებულმა მარიამმა.

— ბავშვი! — თითქოს ეს მუდარა არც გაეგონოს, დადიანმა კვლავ ქართულად განაგრძო და ახალი, თითქმის დაუჯერებელი ამბის შეტყობით გაოგნებულ ალექსანდრეს, აქამდე რომ გულზე ჰყავდა მიხუტებული, ხელი გაუშვა. — ბავშვი კი არა, ბატონიშვილია, ამან ყველაფერი უნდა იცოდეს!

— უმჯობესი იქნებოდა, შენი სიძის ამბავი გეკითხა, ის მაინც გაგეგო, ამ სისხლის წვიმაში დედა-შვილი აქ რა გაჭირვებამ მოგვიყვანა!

— დამაცალე? შენ ხომ ისე არ შეგიძლია, თუ დანახვისთანავე ყელში არ მეცი და ბრჭყალები არ ჩამასვე. ბალღობიდანვე აგრე ხარ დაჩვეული!

— სოლომონმა შენთან შუამავლებად გამოგვგზავნა, კაცია, საქმეზე უნდა მოგელაპარაკოთ. წუხს, რომ თავად ვერ შესძლო მოსვლა. შენს შეწუხებასაც მოერიდა და იქით ველარ დაგიბარა.

დადიანმა ლერწმისზურგიანი სელის სკამები დაუდგა ორივეს, დაელოდა, სანამ დასხდებოდნენ, მესამე სკამზე თვით დაჯდა, ჭადრაკის დაფა გადმოაბრუნა და ტყავგადაკრულ ყუთში სპილოს ძვლისაგან გამოკოპიტებული წითელი და თეთრი ფიგურების ჩალაგება დაიწყო.

— სოლომონი ჯარს კრებს. გაზაფხულზე თუ არა, მაისის დიმლევს, შუა ზაფხულში მაინც, ქუთაისზე გალაშქრებას აპირებს, — ძმის წინასწარ შეუმზადებლად განაგრძო მარიამმა და გვერდზე მომჯდარი ალექსანდრეს პატარა ხელი კალთაში ჩაიდო. — ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ შენ, ჩემი ღვიძლი ძმა და ოდიშის ბატონი, ცხონებული მამაჩვენის კვალს გაჰყვები და ურჯულო აგარიანისაგან სამშობლოს გათავისუფლებაში იმერეთის კანონიერ მეფეს მხარში ამოუდგები!

კაცია ჩაფიქრდა, ჭადრაკის ფიგურებს თავი მიანება. ის, რასაც ღვიძლი და და იმერეთის დედოფალი ასე უბრალოდ, ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე სთავაზობდა, უბრალო საქმე სულაც არ იყო, რომ თვალის დახამხამებაში ხელაღებით გადაეწყვიტა.

მარიამი თვალს არ აშორებდა. ძმის ასე ნაცნობი და ახლობელი სახის ნაკვთები სიმართლეს ვერ დაუმალავდნენ. მას წინასწარ უნდოდა გამოეცნო კაციას ხანგრძლივი დუმილის მიზეზი.

— რას გაუჩუმდი? — ჰკითხა ბოლოს. — სათქმელი ნუთუ არაფერი გაქვს?

— სათქმელი დიახაც ბევრია, ჩემო დაო, მაგრამ... — როგორც იქნა დასძრა ხმა ოდიშის ბატონმა და თვალები დახარა, პირში შემოჩერებულ დედა-შვილს მზერა აარიდა. — ვისი იმედით აპირებს ჩემი სიძე თათართან შებმას?

— შენი იმედით!.. — ფიცხლად უპასუხა მარიამმა და უმალვე დაუმატა: — და თავისი ერის იმედით. განა მცირე ძალა იქნება?

დადიანმა თავი გადაჰხარა და დას გვერდიდან გამოჰხედა.

— მთელი სათათრეთის წინააღმდეგ?

— რატომ მთელი სათათრეთის წინააღმდეგ, ნუთუ ტახტის მოცილე ურჯულო თეიმურაზი „მთელი სათათრეთია“?

— თეიმურაზის ზურგსუკან მთელი სათათრეთი დგას. გესმით თუ არა! აგრე რომ იყოს, თქვენ რომ გგონიათ, ილორის წმინდა გიორგის მადლმა, იმას მარტო მე ვეყოფოდი და ქუთაისს შენი სოლომონის დაუხმარებლად დავიჭერდი, როგორც ერთ დროს ვამეხ დადიანმა ჰქნა. თეიმურაზის წინააღმდეგ ხმლის აღმართვა და ახალციხიდან ახალი სერასკირის მოსვლა ერთი იქნება. სასლლისმსმელი ჰასან-ფაშა ასე ადვილად დაივიწყეთ თქვენც და თქვენმა დიდებულებმაც? ვერა, დაო, გინდაც ძალიან გეწყინოს, მე მაგ საქმეში ვერ გავერევი და სამთავროს ბედს სასწორზე ვერ შეგაგდებ, ოსმალოს ვერ გადავიკიდებ!

ბიძის მკვახე პასუხით საბოლოოდ გულგატეხილმა ბატონიშვილმა ალექსანდრემ დედას მუხლით უბიძგა, უსიტყვოდ ემუდარებოდა, წადიდეთო, მაგრამ მარიამმა შვილს ყური არ ათხოვა, წარბები შეჰყარა და კამარის შესაკვრელად მომზადებულ ფოცხვერს დაემსგავსა.

— შენ ფიქრობ, რომ თეიმურაზმა მარტო იმერეთი იგდო ხელთ, ვინაიდან სოლომონის დოყი სჭირდა, და ხვალ შენ არ მოგადგება, ცხენისწყალს ლაშქრით არ გადმოვა, რომ ქრისტეს ჯვარი აღგიკვეთოს და შენი მამა-პაპის ცდითა და გარჯით შემომტკიცებული ყმა-მამული თავის ბეგებსა და ფაშებს დაურიგოს? ის ვინ იყო, ათასობით გოგო-ბიჭი რომ შეაწყვეტს და ყულეცში თავისი ფეხით მიაყვანინეს, შენ თუ ჩვენ? იმისი შიში მაინც აღარა გაქვს, რომ ერი ამდენს აღარ მოგითმენს და, ჯვარი აქაურობას, სახლეულით საკუთარ ჭერქვეშ ამოგყუჟავს?

— თავზე ნუ დამჩხავი, ქალო, — კაციამ ხმა აიმაღლა და ორჭოფული ფიქრით გატანჯული სახე ასწია, მაგრამ გაფთრებულ დედოფალს თვალი მაინც ვერ გაუსწორა. — რაც მოსავალია, მოვა, ბედისწერას მე და შენ ვერ შევაჩერებთ!

— მაშ, გულხელი დავიკრიფოთ და ველოდოთ? როდემდე, მე შენ გეკითხები! დედაკაცი ვარ და ეგ შენი დედაბრული წუწუნი მეც კი სამარცხვინოდ მიმაჩნია. ვატყობ, სულ ტყუილად ამოსდიოდა შენზე მზე და მთვარე ჩვენს საწყალ, მიწაში ამოდებულ მამას! ვერ გაუმართლე იმედი, კაციო. საფლავში შეიძრებოდნენ მისი ძვლები, შენი შერცხვენის ამბავი რომ ესმოდეთ. გაიხსენე ხრესილის ომი, გაიხსენე ჩვენი ერთობა. განა მაშინაც „მთელი სათათრეთის“ წინააღმდეგ არ მოგვიხდა გამოსვლა? მერე გამარჯვება ვის დარჩა?

— ჩემზე უკეთ იცი: მე მარტო არა ვარ, მარიამ, — დადიანს ყვრიმალები უხურდა, შიგნიდან ათასი გრდემლის განუწყვეტელი წკრიალი ესმოდა. — ხელ-ფეხი შეკრული მაქვს. შენ გინდა, ვაის გავეყარო და ვუის შევეყარო? დედოფლობა გარგუნა მაღალმა ღმერთმა და შენს მშობელ კუთხეზე ფიქრიც გმართებს. მარტო ქმარსა და შვილებს რომ უერთგულო, აგერ ალექსანდრესთან გეუბნები, ეგ ვერაფერი სანაქებო საქციელია!

— მაგას დღეს პირველად არ მეუბნები, კაციო, და ვწუხვარ, რომ აქამდე ვერ მოიშალე. რას ჩაცივებიხარ ჩემს ქმარსა და შვილებს, ან ალექსანდრეს დამოწმება რისთვის გჭირდება? მე დღეს შენს, ოდიშის ბატონის, წინაშე იმერეთის კანონიერი მეფის წარმოგზავნილი შუაკაცი ვარ და არა ვისმე თანამეცხედრე ან დედმამიშვილი. მე რომ არ მეკისრა აქ წამოსვლა, ვინმე სხვას გამოგზავნიდნენ. ქვეყანას უჭირს. ერი გადაშენების გზაზეა. წარიწირა სარწმუნოება. გათათრება კარზე მოგვდგომია. შენ კი, ოდიშის დიდი მთავრების ნაშიერი, დამდგარხარ აქ, ოთხივე კუთხივ ხალხი შეგიყრია და ტეხურზე ხიდს აშენებ. ხიდი, იცოცხლე, კარგი და საჭირო იყოს, ქონება ვის მოყირჭებია, მაგრამ რა დროს ხიდია, შე დალოცვილო, ქვეყანა თავზე გვენგრევა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს მე და შენ, ოტია დადიანის შვილებს, გვარგუნა ზენაარმა, სამშობლოს მწედ ვექმნეთ, სულთმობრძავი გამოვაბრუნოთ. მადლი მაღალ ღმერთს, რომ რჩეულებად დაგვბადა, ხელში ერის დროშა დაგვაჭერინა! პატიოსანი კაცი, ღვთის მორწმუნე, დამიჯერე, ახლა თბილ ქვეშაგებში არ მოკვდება. ღმერთმა ასე დაგვიწესა. ჩვენა ვართ პირველი? არც პირველი ვართ და არც უკანასკნელი ვიქნებით! ასე გახლავს საქმე, ჩემო ძვირფასო ძმაო. თავად განსაჯე. გვიჯობს აქავე დაგვკლა მე და ჩემი შვილი, სანამ უკან უარით დავბრუნდებოდეთ. მაშინ რაღა პირით დავუდგე გვერდში სოლომონს? რაღა პირით გავიყო მისი ტახტი და სარეცელი?

— ჩუ! თავი მაინც აღარ გებრალება, ან ბიჭის აღარ გრცხვენია? — ოდიშის მთავარს მთელი ნებისყოფის დაძაბვა დასჭირდა, რომ კრიჭა გაეხსნა და ეს სიტყვები ხმამაღლა წარმოეთქვა. — მაცალე, რაღაცას მოვიფიქრებ. ისე კი თავს ისე ნუ დაიჭერთ ნურც შენ და ნურც შენი ქმარი, თითქოს მარტო თქვენ იღვწოდეთ ქვეყნისა და ერის საკეთილდღეოდ, საქვეყნო ტკივილი მარტო თქვენ ორს გტკიოდეთ, ყველა სხვას კი ერთიცა და მეორეც ფეხებზე გვეკიდოს. არ გახლავს აგრე, მარიამ, თქვენო უმაღლესობავ, დედოფალო. ვაითუ სხვებიც არანაკლებ ვცდილობდეთ და წელებზე ფეხს ვიდგამდეთ?

— აქ მაგის იმედმა მომიყვანა. მაგის იმედი რომ არა მქონოდა, თავს შავ დღეში არ ჩავიგდებდი და შენ არ მოგადგებოდი.

— რას იტყობინება მაქსიმე ქუთათელი რუსეთიდან?

— შენ რა იცი, რომ მაქსიმე ქუთათელი რუსეთშია?

— ვითომ რატომ არ უნდა ვიცოდე? აბა გაუგებელი დარჩებოდა? რას იტყობინება? არის რაიმე იმედი?

— ბევრი არაფერი. რუსხელმწიფის საბოლოო პასუხი ჯერაც არ მიგვიღია. გვეგონა, ცა ჩვენთვისაც გაიხსნებოდა და თარ ბათალიონ რეგულის ჯარს და ცოტაოდენ ფულს მაინც მოგვაშველებდნენ ლაშქარში მთიელების დასაქირავებლად, ანდა დროებით თავშესაფარს მაინც მოგვცემდნენ, რომ სული მოგვეთქვა, მაგრამ ჯერ არაფერი ჩანს.

— აგრეც ვფიქრობდი. რუსეთს ახლა ხელს არ აძლევს ჩვენი მფარველობა. სულთანი დანაზე ეხევა. ყირიმის ხანი დღე და ღამ უჩიჩხინებს და ისედაც გახელებულს კიდევ უფრო ახელებს. კონსტანტინოპოლში ახალი ომის საბაბს ეძებენ. რუსეთი, როგორც ეტყობა, ამ ომისათვის ჯერ მზად არ არის და სანამდე ხელს მოიწყობდეს, არ უნდა, ეს ოხერი, ოსმალო, წინასწარ აიმხედროს.

— ეგ შენ ნამდვილად იცი, კაცია? რომელი წყაროებით?

— ვიცი. ყურთბალიშზე არც მე მძინავს.

— ისე, ვარაუდით, ჩვენც აგრე ვხსნით საქმის შეყოვნებას, საბოლოო იმედს მაინც არ ვკარგავთ, მაგრამ, შენც დამემოწმები, ყველა იმედი ფუჭი აღმოჩნდება, თუ ტახტს როგორმე არ დავიბრუნებთ და ღვთის მგმობელ თეიმურაზს ქვეყანას ხელიდან არ გამოვგლეჯთ. ვიცით, მაგ გველის წიწილის დღე დათვლილია, ფაშა ერთობ უკმაყოფილო ჰყავს, აქ დიდხანს არ აბოგინებენ, მაგრამ საქმე ისეა, რომ ქრისტიანი მეფის მაგიერ სულთანი ქუთაისშიაც ბეგლარბეგს დასვამს და ლიხთიმერეთს ვილაიეთად გამოაცხადებს. მაშინ, თუ ამის დრო და საშუალება მივეცით, რუსეთის გზა სამუდამოდ უნდა დავიტოვოთ და მამა-პაპის სისხლის ფასად აქამდე მოლწეული ქვეყანა მტერს სიტყვაშეუბრუნებლად ჩავბარეთ.

— სწორს ამბობ, მარიამ, — დაეთანხმა მთავარი. — სწორედ ეგ დღე მოგველის. მადლობა უფალს, მიმხვდარა ჩემი სიძე-ბატონი. სხვის ჯამში რას იყურები, [illegible] ! მერე რას ფიქრობთ, როგორ აპირებთ კარზე [illegible] ?

დედოფალს სიწითლე შეეპარა ღაწვებზე, თანამეცხედრის უდიერი მოხსენიება, თანაც ყოვლად დაუმსახურებელი, გულზე ფინდიხივით ეცა, მაგრამ წყენა არ შეიმჩნია და ძმას გადაჭრით უპასუხა:

— უნდა გავერთიანდეთ, კაცია, შეერთებული ძალით უნდა მივეჭრათ მტერს. ფაშა ჰაჯი-ალიბეგი, ჩვენი რჯულისა და მოდგმის შეურიგებელი მოძულე, აქ ოთხი ათასი ასკერითა და იანიჩარით დგას. ამის ნახევარი ან ცოტა უფრო ნაკლები ცოტა ხნის წინათ კიდევ მოუვიდათ. თუ ვიმარჯვეთ, ჩვენ ორჯერ და სამჯერ მეტი ვიქნებით.

— ჩვენს ბატონ ბიძას, დედიჩვენის ძმა როსტომ რაჭის ერისთავს, უკვე არაფრად თვლით? — ოდიშის მთავარმა მწარედ გაიღიმა, თავი ისევ გვერდზე გადახარა და დას კვლავ გვერდიდან. თითქოსდა ნიშნისმოგებით შემოჰხედა.

ისევ წაეკიდა ალი მარიამის ღაწვებს. მას ერთხელ კიდევ მოუხდა დიდსულოვნად თავის შეკავება. კაცია თითქმის მოტეხილი და საკეთილოდ შემობრუნებული იყო. სულ მცირეოდენ შეცდომას, უადგილო გაფიცხებას და აპილპილებას ადვილად შეეძლო გაღმა გაყვანილი ურემი ისევ ხევში ჩაეჩეხა. ამიტომ საკადრისი მკვახე პასუხის გაცემას ისევ ქალური დაყვავება ამჯობინა:

— ვთვლით, კაცია, როგორ არა ვთვლით. სწორედ ის არის იმერეთში ურჯულო თეიმურაზის ერთადერთი დასაყრდენი. მაგრამ როსტომის ნაქები ჯარი, რითაც თავი ასე მოაქვს, თვით როსტომისთვისაც და მით უფრო თათრის რჯულზე მდგომ თეიმურაზისთვისაც, სანდო არ გვეჩვენება. როგორც არ უნდა მოწამლონ და რაც არ უნდა უჩიჩინონ, ღვთის მორწმუნე რაჭველი კაცი სარწმუნოების წინააღმდეგ არ წავა, ქვეყნის ამაწიოკებელ ურჯულო თეიმურაზს არ მიუდგება და საკუთარ დედულ-მამულს გულში ხანჯალს არ ჩასცემს!

— ვითამ? — ეჭვიანად ჩაიქნია თავი მთავარმა. — მაგრამ მე რას მიშვრებით, თქვე კაი დედმამიშვილებო, მე რა დღეში მაგდებთ? ხომ იცით, რომ სისხლით ნათესავ ერისთავთან ფიცით ვარ შეკრული. სადაც ერისთავი, იქ მეც. არ გახსოვს, საწყალი მამაჩვენი რას გვეხვეწებოდა და გვეუდრებოდა? ახლა როგორ მოვიქცე, ძვირფასო დაო და დისწულო, მამის ანდერძი ფეხქვეშ გავთელო, ფიცი გავტეხო და თქვენს სასიამოვნებლად ერთგული მოყვარე მტრად მოვიკიდო?

მარიამი მოიღრუბლა, შვილის ხელს, კალთაში რომ ედო, ორივე ხელი მოუჭირა, თვალები სივრცეს გაუშტერა.

— ჩანს, ამაოდ დავმშვრალვართ, აქამდე წყალი გვინაყია.

— წყალი გვინაყიაო?—კაცია აენთო. — როგორ თუ წყალი გვინაყია!

— ბედისწერა კარზე მოგვადგა. დღეის ამას იქით ან უნდა ვიყოთ და ან აღარ, შენ კი თავს უფლებას აძლევ და ამისთანა დროს მეკითხები, გავტეხო თუ არა ფიცი, მოვიკიდო თუ არა მტრად მოყვარეო. დიახაც უნდა მოიკიდო, კაცია! მაგას კითხვა უნდა? თუ ერისთავი ისე გონებადაბნელებული და თავკერძა ბრძანდება, რომ გულში ამოჭრილი აქვს, ნაამაგარი ქვეყანა, რჯული, შვილი და მომავალი თავის პირად კეთილდღეობას ანაცვალოს, გვმართებს ჩვენ, ოტია დადიანის შვილებს, მის გვერდზე დგომა? ეს დაგვიბარა მამამ? ეს ანდერძი დაგვიგდო? გულზე ხელი დაიდე და პირდაპირ მითხარი! გატყობ, გეძნელება სიმართლისათვის თვალის გასწორება და პატიოსანი ალიარება. რაკი აგრეა, მე თავად გეტყვი, კაცია: არა, არ გვმართებს! რაჭის ერისთავის გვერდში დგომა, იმის თქმა და მტკიცება, რომ ერისთავთან ფიცით ხარ შეკრული, დღეს ქვეყნისა და სარწმუნოების ღალატია. გესმის თუ არა? ღალატი!

— კმარა! გაჩუმდი! — თითქოს გავარვარებული შანთით დასწვესო, ისე გამწარებით შესძახა კაცია დადიანმა და მაგიდას ხელი დაჰკრა. ჭადრაკის ყუთი შეხტა, ჰაერში გადატრიალდა, გაიხსნა და აქეთ-იქით მიმობნეულ ფიგურებში

დაეცა. — მაცალეთ ორი დღე. მივიხედ-მოვიხედავ, საქმეს ავწონ-დავწონი.

— არა, კაცია, ძვირფასო ძმაო, — დედოფალი მიხვდა, საქმის სახვალიოდ გადადება მის სანახევროდ წაგებას უდრიდი და არ დასთმო. — პასუხი ახლავე უნდა მოგვცე. ან ასე, ან ისე! მეფე მოუთმენლად ელის შენს გადაწყვეტილებას. როგორც მაშინ, მიტაცებული გვირგვინი რომ დავიბრუნეთ, იმერეთის ტახტის ბედი დღესაც შენს ნება-სურვილზე ჰკიდია!

მარიამმა უკანასკნელ ღონეს მიმართა — ძმის პატივმოყვარე ზრახვებს მისწვდა და თუმცა გულში თავადაც ასე მიაჩნდა და ოდიშის ბატონების საგანგებო დამსახურებას იმერეთის ტახტის წინაშე საშვილიშვილო ვალად თვლიდა, ეს მაინც დიდი გაჭირვებით აღიარა.

— ოღონდ ერთ რამეს გეტყვი, მარიამ, და ეს შენც კარგად გაიგონე, ჩემო საყვარელო დისწულო, — დედმამიშვილის უკანასკნელი სიტყვებით უალრესად ნასიამოვნებმა ოდიშის ბატონმა მზერა წრესგადასული მღელვარებისაგან ფერწასულ ბატონიშვილ ალექსანდრეს მიაპყრო და ყმაწვილის გამომეტყველებაში რაღაც მისებური, დადიანისებური დაიჭირა, რამაც გული ერთბაშად გაუთბო და ბავშვისადმი მშობლიური სინაზე იგრძნო. — სანამ ხელში იარაღს ავიღებდეთ და ურჯულოს გასადევნად ქუთაისს შემოვეწყობოდეთ, რადაც უნდა დაგვიჯდეს, თეიმურაზს სახელი უნდა გავუტეხოთ აგარიანის თვალში. ჰასან-ფაშა სიტყვითაც უნდა დავარწმუნოთ და საქმითაც, რომ ქვეყანაში გამეფებული არეულობის მიზეზი მხოლოდ და მხოლოდ თეიმურაზია და ლიხთიმერეთი მანამდე არ დაწყნარდება და ხარკის გადახდას არ განაახლებს, სანამ ტახტზე ისევ ქრისტიან მმართველს არ დასვამენ და სოლომონს ერთადერთ კანონიერ მეფედ არ სცნობენ!

მარიამს სიხარულის ცრემლი მოეძალა, გული აუკანკალდა და კარგა ხანს ველარ მოახერხა რისამე თქმა. კაციამ იგრძნო, რა გაუნელებელი ცეცხლიც ტრიალებდა კარზე დახმარების მისალებად მომდგარი დის გულში, მღელვარება, დედა-შვილი რომ მოეცვა, მასაც გადაედო, მაგრამ გონიერება მაინც მოიხმარა და დაწყებული სიტყვა კიდევ მეტი დამაჯერებლობით დაასრულა:

— თუ ეს ასე არ იქნა, ძალით ვერაფერს გავხდებით. უბრალოდ სისხლს ვერ დავღვრი, სამთავროს ბედს, წელანაც მოგახსენე, სასწორზე ვერ შევაგდებ.

— ეგ რჩევაა თუ პირობა, კაცია?

— როგორც უფრო მოგეწონოს, ისე დაუძახე!

— მაშ, საბოლოოდ მაგას გვპირდები?

— ჯერჯერობით ეს ვიკმაროთ, დაო. ვნახოთ, მომავალი რას გვიჩვენებს!

— წავიდეთ, შვილო, ალექსანდრე, — მარიამი ადგა, ბატონიშვილს ხელი გადასდო მხარზე და ძმასთან გამოუმშვიდობებლად კარისაკენ პირი იბრუნა. — ბიძაშენი სათუო პირობას გვიდებს. მაგის შესრულება რომ ჩვენ შეგვეძლოს... ეტყობა, აქ არ უნდა მოვსულიყავით. ვაი, რომ დრო ტყუილად დაიკარგა!

— მარიამ! — დაადევნა კაციამ, რომელიც დის მოულოდნელმა და თანაც გამომწვევმა საქციელმა ერთ ადგილზე გაახევა. — თავი არ მომჭრა, გარეთ არ გახვიდე, დაგავიწყდა, ტანზე რა გაცვია? — ეს სიტყვები დამთავრებულიც არ ჰქონდა, რომ ის კართან გაჩნდა და დედა-შვილს გზა გადაუღობა. — ახლავე მობრუნდით! თუ ჩემი ძმობა გწამს, მარიამ. მუმაში შურს გოფუჩანქ! მამის სულ გაფიცებ! მაცალე, მივდგე-მოვდგე, სამი-ოთხი დღე მომითმინეთ. რა მოხდა, შე დალოცვილო, მაგისთანა, ცეცხლი ხომ არ გიკიდია! ომში შემწეობა თქვენ ფლავის ჭამა ხომ არ გგონიათ? ამასობაში დაისვენებთ, მგზავრობას მოიხდით. გორდში გაგაგზავნით. აქ საქმეს მივაწყობ-მოვაწყობ და ორ-სამ დღეში მეც იქ გავჩნდები. არ გენატრება იქაურობა? მამაპაპეული ხელახლა ავაშენე. ავის თვალს არ ენახვის!..

— რა გვინდა, კაცია, გორდში, რა დაგვრჩენია, ჩვენ ახლა მისვლა-მოსვლის და თვალის გახელის დრო გვაქვს? — ნაღვლიანად შენიშნა შორეული მგზავრობით მართლაც დაღლილმა მარიამმა და თმა კეფაზე აიკრიფა, ძვლის უბრალო სარჭით დაიმაგრა და გლეხური უხეში ჩაბალახი თავზე სწორედ ისე შემოიხვია, როგორც კარავში შემოსვლისას ჰქონდა. — არა, მამის სული ნუ წამიწყდება. ტყუილად ნურც ჩვენ შეგვაწუხებ და ნურც შენ შეიწუხებ თავს. ეგ სტუმრობა სხვა დროისათვის გადავდოთ, თუ ღმერთმა ინება და ერთმანეთი კიდევ გვანახვა. ცხენისწყალგაღმა ხალხი გველოდება, სოლომონსაც რა ხანია აქეთ უჭირავს თვალი.

უკმაყოფილო კაცია დადიანმა მხრები აიჩეჩა.

— კეთილი, რაღაი არ იშლით, მე რაღას დაგაკავებთ, მარა... არ მინდოდა ასე ნაუცბათევად თქვენი გაშვება. ან მტერი რას იტყვის, ან მოყვარე! ბიჭო, ალექსანდრე, გულში ხინჯად არ ჩაგრჩეს ეს ამბავი, არ თქვა, ეს რა პურძვირი ბიძა მყოლიაო და თავზე მეფის გვირგვინს რომ დაიდგამ, ჩხუბი არ ამიტეხო, ძველი წყენა არ გამიხსენო!.. — ოდიშის ბატონი თავისმავე ნათქვამმა ბააცინა და ბატონიშვილს ლოყაზე ხელი მოუთათუნა.

დედოფალს ეს მოუხეშავი ხუმრობა არაფრად ეჭაშნიკა, ძმას მორიდებულად უსაყვედურა:

— ბავშვს ნუ გადარევ, კაცია, რა დროს ამის გვირგვინია, ჯერ პირზე რძე არ შეშრობია. უკანასკნელი სიტყვა გვიბრძანე, რას გვაბარებ სიძე-ბატონთან?

დადიანმა გულხელი დაიჭდო, მზით დამწვარი მაღალი შუბლი კლაკნილმა ნაოჭებმა დაუსერა.

— იქონიოს ჩემი იმედი. შენ რომ კაცს შეუჩნდები... აფხაზებსა და სვანებსაც ავძრავ. რა გითხრა მეტი, მეტი რაღა დაგპირდე. ჩემს ძვირფას დისწულს, ბატონიშვილ ალექსანდრეს, პირველ ელჩობას ვერ გავუწბილებ, — დადიანმა აქ ისევ გაიღიმა. — ოღონდ ერთი პირობა დამდვია: ბიძას ნუ შეწყენინებთ. ბოლოს იქნება იმასაც ქე შეექნას გული და პირი ჩვენკენ იბრუნოს. ცდა ბედის მონახევრეა.

— მაგის პირობას ვერ მოგცემთ, კაცია. გაჟეჟილს გატეხილი ჯობს. ერისთავმა ისე შორს შესტოპა, რომ იქიდან უკან დასახევ გზას აგრე ადვილად ვერ იპოვნის, გურიელს კი უსათუოდ მივუგზავნით კაცებს და იმერეთში სალაშქროდ მოვიწვევთ.

— ვატყობ, ზოგი რამ თქვენს ყურამდე ჯერ არ მოსულა. აგერ მეორე კვირეა, რაც ჰასან-ფაშას რაყამის თანახმად თეიმურაზმა მამია გურიელი გურიელობიდან გადააყენა და გურიელობა მის ძმას, გურიელყოფილ გიორგის მისცა. მამია სახლეულით და ორასიოდე სანდო კაცით სურების ტყეშია გახიზნული და სოლომონთან დასაკავშირებლად მალემსრბოლს მალემსრბოლზე აგზავნის. ახალმა მთავარმა გიორგიმ თეიმურაზის ერთგულებაზე დაიფიცა, შინ უფროსი ვაჟიშვილი დასტოვა სამთავროს განმგებლად, თავად კი ფაშა ჰაჯიალი ბეგს ახლავს ჯარით.

— ღმერთო, შენ დაგვიფარე! — აღმოხდა სამწუხარო ამბის შეტყობით თვალებგაფართოებულ დედოფალ მარიამს. — უთუოდ ქრთამით მოაღორა გაუმაძღარი ჰასან-ფაშა და ახლა, თუ მოახერხა, ჩვენს სისხლს დალევს!

— საბაბიც აქვს, ჩემო დაო. ერთი ცხვრისკენ და ერთიც მგლისკენაო. გურია ორ დასად არის გაყოფილი. ერთი ერთ ძმას უმაგრებს ზურგს, მეორე — მეორეს. ისე, როგორც ამბობენ, მომხრე მამიას მეტი ჰყავს. გიორგის ხმა დაუყარეს, რომ ისლამი მიიღო და თეიმურაზს ხალხის გათათრება დაპირდა. ოზურგეთში კარის ეკლესია მეჩეთად გადაუკეთებიათ. ღმერთო, აქ კეთილი ქენი და, უკეთესი დღე არც შემოქმედისა და ჯუმათის მონასტრებს დაადგება. ისე რომ, ღვთის მადლით, მამია ფეხზე დგას და მისი გამოყენება ჯერ კი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დევ შეიძლება. სოლომონს ასე გადაეცი ჩემს მაგივრად.

— მეც ხომ შემიძლია, ერთი პირობა მოგთხოვო, კაცია?

— ბრძანე!

— ჩვენი ეს შეხვედრა საიდუმლოდ უნდა დარჩეს.

— მაგას თქმა უნდა? ფაღავასი არ მეშინია, მაგრამ ენაჭარტალა კაცო ჩიჩუას პირს ვინ აუკრავს?

— ეგ შენ იცოდე. შენს ნებას აქ ვერავინ გადავა. ერისთავი ნათესაობით არ დაგვინდობს. გახსოვს, როცა დასჭირდა, საწყალ თამთას რა დღე დაათია? თუ ყურში მისწვდა, ჩემზე უკეთ შენ მოგეხსენება, დაგვასწრებს და ურჯულო ავარიანს პირში მიგვცემს!

— ეჭვი არ მეპარება, მარიამ. ორივე თავადს სასახლეში გამოვკეტავ და ფეხს არ გამოვადგმევინებ. დღეს სანდო ქვაც აღარ არის! ახლა კი, თქვენის ნებართვით, მსახურს მოვიხმობ და რაკი გორდში წასვლაზე უარს მეუბნებით, სახელდახელო სამხარს მოვატანინებ. პური გავტეხოთ, დავლოცოთ ჩვენი ახალი საქმე!..

თავი მეთოთხმეტე

მიუხედავად სიფრთხილის ყველა ზომის დაცვისა, ხმამ მაინც ფეხი აიდგა, იბობღა და ბარაკონზე სახლეულითურთ დაბუდებულ როსტომ რაჭის ერისთავს კარზე მიადგა. როსტომი უამისოდაც ეჭვის თვალით უყურებდა თავის დისწულს. იცოდა, რომ გაორებული ოდიშის ბატონი ბოლო დროს ბიძასა და ტახტწანართმევ სოლომონს შორის მერყეობდა, მაგრამ როდესაც დადიანის კარზე საგანგებოდ მიჩენილმა მსტოვრებმა ახალი შემაშფოთებელი ცნობები მოიტანეს, უმალ შვილები დაიბარა, ალი ენგიჩარსაც მოუხმო მინდაციხიდან და კაციას მზაკვრობის ამბავი შეუფარავად გამოუცხადა. ერისთვიშვილები აღშფოთდნენ. კაციასაგან ამას არავინ მოელოდა. გადაწყდა, ყოველივე დაუყოვნებლივ თეიმურაზისათვის შეეტყობინებინათ ქუთაისში, თავად კი მტრის მტრულად დახვედრის სამზადისს შესდგომოდნენ. ყაბარდოს ბატონის სიძე ერისთვიშვილმა იაგორამ თავს იდო ქედს გადაღმა წასვლა და სიმამრისათვის დამხმარე ჯარის გამოთხოვა. შეძლებული და ლაშქარმრავალი ყაბარდოს მფლობელი ისე როგორ წახდებოდა, სახელოვანი მძახლისათვის ორი-სამი ათასი ცხენოსნისა და ქვეითისაგან შემდგარი ჯარი არ მოეშველებინა. თუ ამას გარდა ათასიოდე კაცს სხვასაც დაიქირავებდნენ, რაც იოლი საშოვრის მაძიებელ ღარიბ-ღატაკ მთიელ ტომებში არცთუ ისე საძნელო საქმე იყო, რაჭის საერისთავო არამცთუ საკუთრივ რაჭაში, იმერეთის ველებზედაც კი მრისხანე ძალად გადაიქცეოდა. დგებოდა ჟამი დადიანისაგან წართმეული და უკანონოდ მისაკუთრებული ლეჩხუმის უკან დასაბრუნებლად. სხვის ფეხისხმას აყოლილი უგუნური კაცია იმას ხომ მაინც ვერ იტყოდა, ბიძამ პირი მიქცია, სამთავროში ცეცხლითა და მახვილით შემომეჭრა და მის დასაქუცმაცებლად ომი ამიტეხაო.

გვიან ღამით, ნავახშმევს, წესის სასახლის დიდ პალატში, სადაც დადგენილი ჩვეულებისამებრ ხალხმრავალი წვეულებები და სხვადასხვაგვარი თავყრილობები იმართებოდა ხოლმე, აგუზგუზებული ბუხრის შორიახლო ჯერ კიდევ ისხდნენ როსტომი და მისი ვაჟები და სახვალიო გეგმებს აწყობდნენ, როდესაც კარი ხიდიკრის მეციხოვნეთა უფროსმა, აზნაურმა გალაქტიონ გოცირიძემ, იგივე ღალაკომ, შემოაღო, დამხვდურთ მდაბლად მიესალმა და ბატონს

ეროვნული ბიბლიოთეკა

უწმიდეს კათალიკოს ბესარიონის მობრძანება იუწყა.

როსტომს დასცხა. გოცირიძეს გაკვირვებულმა ჰკითხა, მაგას მართლა ამბობ, თუ ყურმა მომატყუაო. არა, ერისთავს ყური არ ატყუებდა, კათალიკოსი მართლა მობრძანებულიყო და ჯორზე ამხედრებული ახლა, ალბათ, ნინიას ციხის ალმართში ამოდიოდა.

უჩვეულოდ აფუსფუსებულმა როსტომმა შვილები და ალი-ენგიჩარი იახლა, რასაც ძე-ხორციელის წვევისას არ სჩადიოდა, თუნდაც ის მეფე ან ბატონიშვილი ყოფილიყო, წინ მემაშხალეები გაიძღოლა და თვით გამოვიდა მღვდელმთავარი ძმის შესახვედრად.

—რასა იქ, ბესარიონ, რავა ხარ, ვეჟო, ხომ მშვიდობა არი ქვეყნიერებაზე, გლახა ამბავი ხომ არაფერი მოგვიტანე? — გულგაშლილად მიეგება იგი ეკლესიის საჭეთმპყრობელს, როგორც კი ვაუკაცმა ერისთვიშვილებმა მისი უწმიდესობა ჯორიდან ციმციმ ჩამოსვეს, ლოცვა-კურთხევა მიიღეს, ხელზე მხურვალედ ეამბორნენ და განცალკევებით მდგომ მამას წარუდგინეს.

— ღმერთმა მშვიდობა ნუ მოგაკლოთ, საყვარელო ძმაო როსტომ, საყვარელო ძმისწულებო, შეგეწიოთ მამაზეციერი, გფარავდეთ ღვთისმშობელი დედა! — თქვა იმით გულაჩუყებულმა კათალიკოსმა, რომ ყველას მრთელსა და უვნებელს ხედავდა და ვიდრე თავად გადაეხვეოდა და გულში ჩაიკრავდა, ერისთავს ჯვარზე ამთხვევინა.

— რას მივაწერო შენი უცაბედი მოსვლა? წინათ ასე არ იცოდი, წინასწარ გვატყობინებდი ხოლმე. არავინ გახლავს, სულ მარტო ბრძანდები?

— როგორ არა, ძმაო, ბერები უკან მოდიან. მე გულმა აღარ მომითმინა და ცოტა დავწინაურდი. აქ ნურას მკითხავ, როსტომ, საქმე ერთობ საიდუმლოა, გზაშარაზე ლაპარაკი არ ივარგებს!

— რავარც გენებოს, ჩემო ბესარიონ, სასახლეც ახლოა, რა დიდი ხანი იქამდე მისვლას უნდა! შეჯდები თუ ფეხით გავყვეთ? ეი, ბიჭებო, მოართვით მის უწმიდესობას ჯორი!

— შევჯდები, კი, როსტომ, გზამ ძალიან გამლახა. ეტყობა, ის აღარა ვარ, რაც გუშინ და გუშინწინ ვიყავი. აქით რავა არის საქმე, რავა მოიზამთრიანეთ. რავარი გაზაფხული დადგა, ნამყენებმა თუ გეიხარა, წერეთლისეული ვაზის ნერგმა თუ იხეირა?

— გათენდება და ყველაფერს შენი თვალით ნახავ!

— იქით რატომ დოუძვირეთ-ყე სიარულს? არც შენ ჩანხარ, აღარც ბიჭები, სიძე-კაცი ასე უნდა მიატოვოთ?

— რა ჭირს ჩვენი მისახმარებელი, ბესარიონ, ღმერთმა ნურაფერი გოუჭირვოს, ფაშა მისი მწყალობელია და ხონთქარი!

— ნეტაი კი, ნეტაი კი!.. — გაურკვევლად ჩაილაპარაკა კათალიკოსმა, სადავე ხელში დაიმოკლა, უზანგში ფეხის ჭვინტი შესდგა და ძმისწულების დახმარებით ნაპატივებ ჯორს კეხზე მოექცა.

ამ გაურკვეველმა „ნეტაი კიმ“ როსტომს საფიქრალი და საჯავრელი გაუჩინა. როგორ, ნუთუ ის, რომ რაჭის ერისთავთა სახლს გვირგვინოსან სიძეს მხარში ფაშა და თვით დიდი სულთანი უდგნენ და ზურგს უმაგრებდნენ, დღეს ვისთვისმე სათუო და საეჭვმანო იყო? მას ერთი სული ჰქონდა, როდის მიაღწევდნენ სასურველი სტუმრის მისაღებად გაჩირაღდნებულ სასახლეს და ძმასთან ერთად განცალკევებულ ოთახში როდის ჩაიკეტებოდა.

კარიბჭემდე ისე იარეს, კრინტი აღარავის დაუძრავს, არც უკან ჩამოტოვებულ ასაბიისათვის მოუცდიათ. უჩვეულოდ დამძიმებული კათალიკოსი, ოდესღაც ერთი უპირველესი მხედარი და მოისარი, ჯორზე როგორღაც მოსხლეტილი იჯდა და გრძელ ფეხებს თითქმის მიწაზე მიაფრატუნებდა. როსტომი დროდადრო გაჰხედავდა მას და გულს ნაღველი ეუფლებოდა. მოუსვენარ, მუდამ სხვათა სარგო საქმეში გართულ, დღენიადაგ მოუცლელ ბესარიონს სიბერე მორეოდა. ეს აღსასრულის მო-

ახლოების უტყუარი ნიშანი იყო და როსტომს არ უნდოდა ამაზე ეფიქრა. მიუხედავად ასაკოვნობისა, თავად კვლავინდებურად არაფერს უჩიოდა, უფრო თავს ირწმუნებდა, არაფერს ვუჩივიო, მხოლოდ ათასში ერთხელ სჭირდებოდა კარის მკურნალ გოგობერიშვილის მოწვევა წამხდარი სისხლის გამოსაშვებად და წურბელების დასხმის შემდეგ გვამში ისეთ სიმსუბუქესა და სილაღეს გრძნობდა, მზად იყო, ცხრა მთა მუხლის ჩაუხრელად გადაევლო.

„მაგრამ ჩვენი ბოლო მაინც ეს არის!“ — ეძალებოდა ფიქრი თავადაც სიბერეში შესულ ერისთავს და ორღობეში ჩაქჩაქით მიმავალ მოხუცებულ ძმას, მისი ყრმობისა და სიჭაბუკის განუყრელ მოზიარეს, უნებლიეთ თვალს არიდებდა.

როსტომს კარგად ესმოდა, რომ ათი თუ თორმეტი ბერის, ასე მცირე ამალის, თანხლებით რაჭაში კათალიკოსის ანაზდეული მობრძანება საკეთილოს არას უქადდა, მაგრამ ბესარიონის მიერ მოტანილმა ერთიმეორეზე უარესმა ამბებმა ყველა მის მოლოდინს გადააჭარბა.

ბარაკონზე უკვე სარწმუნოდ იცოდნენ, რომ სადღაც ზემო იმერეთის ულრან ტყეებში თავშეფარებულმა სოლომონმა დალისტანში კაცები და ხაზინა გაგზავნა ლაშქრის დასაქირავებლად, რომ რაჭის ჩრდილოეთ საზღვარზე, ჭანჭახისა და რიონის ხეობებში, იმ მტაცებელი ჯარის გამოჩენა დღე-დღეზე სავარაუდებელი იყო, იცოდნენ ისიც, რომ ტახტდაკარგული მეფის ელჩები ჯერ ყიზლარში და შემდეგ ასტრახანში ისხდნენ და საგარეო საქმეთა კოლეგიისაგან თუ თავად პავლე პოტიომკინისაგან პეტერბურგისაკენ გამგზავრების მოწყალე ნებართვას ელოდნენ, რათა ხელმწიფე-იმპერატორ ეკატერინესათვის თავიანთი ბატონის თხოვნა-მუდარა გადაეცათ, მაგრამ წესის სასახლის ჭერქვეშ დღეს პირველად გაისმა, რომ სოლომონის კაცები, თურმე ნუ იტყვი, ერეკლეს კარზეც მოქმედებდნენ და რაჭის ერისთავის ძველი კეთილისმყოფლის, ქართლ-კახეთის მეფისაგან, სულთნის წინაშე სოლომონის სასარგებლო შუამდგომლობას მოითხოვდნენ.

უწმიდეს კათალიკოს ბესარიონს მრავალგზის შემოწმებული ცნობები აღმოაჩნდა, რომელთა თანახმადაც ადრე დადებული სათანამდგომო პირობის ერთგულმა მეფე ერეკლემ ეს შუამდგომლობა კიდევაც გასწია და შეთქმულ პაატა ბატონიშვილს გაუსწორდა თუ არა, ჩილდირის ბეგლარბეგ ჰასან-ფაშას მდიდრული არმაღანით ხელდამშვენებული ელჩები აახლა. ბეგლარბეგმა ელჩები მიიღო, სამ დღეს რაბათში ისტუმრა და მეოთხე დღეს, მთელი ქალაქის ვაჭარ-ხელოსნებისა და ჯარის თვალწინ, დიდი პატივითა და საპასუხო საჩუქრებით, ტფილისს დააბრუნა.

რა ითქვა იქ, რაბათში, და რა გადაწყდა, ამაზე მხოლოდ მარჩიელობა თუ შეიძლებოდა, ვინაიდან ელჩებისათვის გამართულ დარბაზობაზე ფაშამ თვით ყველაზე უფრო დაახლოებული თავისი კარისკაცი, იანიჩარ-აღა მუთი-ბეგ ფალავანდიშვილიც კი არ დაისწრო, მაგრამ განა გონების განსაკუთრებული სიმახვილე სჭირდებოდა იმის დადგენას, რომ მუხანათი ჰასან-ფაშა, თავისი უღონობა და უნიჭობა რომ რითიმე გაემართლებინა და დიდი ვეზირის წინაშე პირნათელი გამოსულიყო, თეიმურაზის წინააღმდეგ საშიშ ბადეს ქსოვდა?

— დაიმახსოვრე ჩემი სიტყვა, — თქვა ერისთავმა. — წესს აუგებენ მაგ ცოდვისშვილს. უპირულ ჰასან-ფაშასაგან კაის რას უნდა მოელოდე!

— თეიმურაზის დაღუპვა ჩვენს დაღუპვას ნიშნავს, როსტომ, — თავშეკავებულად შენიშნა კათალიკოსმა. — თუ მაგ დალოცვილს ოსმალო გადაუდგა და სოლომონს პირში შეატოვეს, მერე, იცოდე, ყველაფერი ჩვენ დაგვბრალდება.

ერისთავი აიფოფრა, შუბლზე ოფლის მსხვილი წვეთები დაასხდა, ხმაც აიმაღლა, თითქოს უბინარ მოსამართ-

ლეთა მიერ წამოყენებული ბრალდების გაბათილებას ლამობსო.

— მე რა უნდა დამბრალდეს, ბესარიონ, მე რა შუაში ვარ, ქვეყანამ იცის, ხელიც არ გამინძრევია, ყველაფრისაგან განზე ვიდექი. დედიმისის შვილია, აქეთ შემომეჭრას ვინმე. იქით საქმე არა მაქვს!..

— ვისაც „იქით“ საქმე არა აქვს, შენ ჯვარი გწერია და, ის ვერც „აქ“ იბოგინებს, ძმაო როსტომ. ეს ხომ შენ ჩემზე უკეთ მოგეხსენება. ერთმანეთს, ღვთის მადლმა, მოდი, გულს ნუ ვატკენთ, მხარი მხარს მივცეთ და მოვიფიქროთ, რით გავლონიერდეთ. ასე ნაუცბათევად ამისთვის გეწვიე და ღმერთს მადლობას ვწირავ, შინ რომ დამიხვდი.

— მე იქით საქმე არა მაქვს-თქვა, გითხარი, ტახტს მე არავის ვეცილები, აქეთ თუ ვინმე მობრძანდება, მე ვიცოდე და იმან!

— შენ მაინც შენსას გაიძახი, როსტომ. თუ იქ, სადაც შენ გულისსმობ, საქმე შენს გუნებაზე არ მოეწყობა, აქაც აღარავინ დაგაყენებს. ამას რა დიდი ლარი და ხაზი უნდა, შე კაცო! ტყუილად შევხაროდით მე და შენ, მთელი ჩვენი სანათესავო, თეიმურაზის ტახტზე ასვლას და ობოროდი სოლომონის დამხობას? ხომ გვეგონა, ქვეყანასაც საშველი დაადგებოდა და ჩვენც თავისუფლად ამოვისუნთქებდით? არ მოეწყო საქმე აგრე, ღმერთმა არ ინება, კიდევ მეტ გაჭირვებაში ჩავცვივდით. ერი დანასისხლად გადაგვეკიდა. ვისაც კი საკუთარი პერანგის თრევა შეუძლია, ყველა შფოთისთავ სოლომონს მიუვიდა ტყეში. ამ მშიერ ლიანგს რომ ხელში თოფ-იარაღს მისცემ და გამოუშვებ, სი მაგას, ეგ არის შენი გამლატაკებელიო, ხეირს დაგაყრის? რატომ სახლ-კარიანა არ გადაგბუგავს! შენ აქ ზიხარ, განცხრომას ეძლევი და კი არ იცი, ბარში რა ამბავია. სოფლები ნასოფლარებად იქცა. ღმერთო და იესო მაცხოვარო, რაღა მოაშენებს ამ დაქცეულ ქვეყანას! ოგერ დიდმარხვა გაშუალდა და აქა-იქ თუ დალანდავ თვალს დამუშავებულ მიწას. ვინ-ღა დახნას და დათესოს, დიდი და პატარა ტყესა და ღრეში გახიზნული! გზებზე, შენის სიკეთით, აღარ გაივლება. გატყიურებული ხალხი აღარავის ზოგავს, არც თავისიანს და არც უცხოს!..

— სად იყავით, რატომ თქვენ უფრო ადრე არ მიუგზავნეთ კაცები ერეკლეს და ჩვენდა ჭირად გაჩენილ სოლომონს გზა არ მოუჭერით? — როსტომმა ბრალი მაინც სხვას დასდო, თუმცა ამ საქმის მოგვარება თავად მართებდა, და ჯავრისაგან გულშემოყრილმა კათალიკოსს სიტყვა შეაწყვეტინა.

— შენგან არ მიკვირს, ძმაო როსტომ? — გაიოცა ბესარიონმა. — ნუთუ არ იცი, რომ კურთხეულ მეფე ერეკლეს შენი სიძის სახელის გაგონებაც არ უნდა და მისი წარგზავნილი ელჩები სათოფეზეც არ გაიკარა?

— ვიცი, ქვე რავა არ ვიცი, შე კაცო, მარა ელჩიც არის და ელჩიც. იმისთანა კაცებს გავგზავნიდი, რომ ერეკლეს ხათრი მოედო და ასე უცხვირპიროდ დახვედრა ვერ შეებედა.

— მაგისთანა მარტო მე და შენ ვართ, როსტომ, წასვლა სხვაზე მეტად შენ შეგეფერებოდა, როგორც ერისთავს და მეფის სიმამრს, მაგრამ ვინ სულწაწყმედილი იფიქრებდა, თუ ერეკლე თვით ძლევამოსილ სულთანსაც არაფრად ჩაგდებდა და მისი ნებით ტახტზე აყვანილი მეფის ელჩებს კარს მიუკეტავდა.

— რუსუკეები ათამამებენ. ისინი უბნევენ გზა-კვალს. აქამდე ჭკუიანი კაცი მეგონა და ახლა ვრწმუნდები, რომ არც ეგ ყოფილა მთლად დალაგებული. ვაი, რავა უკუღმა მიდის ჩვენი საქმე, რავა გეიხარა მტერმა!

— დღეს გვმართებს ჭკუა და გონება, როსტომ, მტერი მართლა არ გავახაროთ და ქვეყნის სასაცილო არ გავხდეთ. გულახდილად, ფიცის ქვეშ მითხარი, შენ რას აპირებ?

— ციხეებს ვამაგრებ, შენ ხარ ჩემი ბატონი, ჯარს თავს ვუყრი, ნუზლსა და ტყვია-წამალს ვიმარაგებ, სხვა რა ვქნა! თუ წერეთელმა ლეკები მომისია, მზად

ეროვნული ბიბლიოთეკა

უნდა დავხვდე, ყმა-მამულს ხომ არ წავახდენინებ. სოლომონს თავისიანებში დაუქადნია, ერისთავს ჩემს წყენას სისხლით ვაზღვევინებ, ქვას ქვაზე აღარ დავუტოვებო. ვნახოთ, ვინ ვის!

— იცოდე, თეიმურაზი ვერაფერს შეგეწევა, იმას იქით ჭირდება შენი მიხმარება!

— ჭირი მომჭამოს და სატკივარი! რას მოეთრეოდა, თუ მეტის თავი არ ქონდა. სხვის მორთმეულ ლუკმას საპყარიც ქე მოუქნევს ღრანჭს, ტახტზე ჩემი იმედით ეკიდა?

— ახლა შანის მოგების დრო და განზე გადგომის დრო არ არის, როსტომ, ყველა ერთ ტაფაში ვიწვით, დანა ყელზე გვაქვს მობჯენილი. რაც მთავარია, ამ ორთაბრძოლაში ჰასან-ფაშას კეთილგანწყობილება უნდა შევინარჩუნოთ. ასე არ არის? თუ ფაშამ ზურგი შემოგვაქცია და მეფე ერეკლეს შუამდგომლობა ყურად იღო, ჩვენ ის-ღა დაგვრჩება, — ღმერთო, კაი ყურით გეიგონე! — ერთმანეთს სამუდმოდ გამოვეთხოვოთ. ამბობენ, რუსხელმწიფე ხონთქართან საომრად ემზადებაო. თუ ეს მართალი გამოდგა და ომი მართლა ატყდა, რუსეთს წარგზავნილი სოლომონის ელჩები უსათუოდ ხელმწიფის ჯარს მოიყვანენ და აქ მეორეთმოსვლას დაატრიალებენ. ოდესღაც ჩვენც ვნატრობდით ამ დღეს. ახლა სამას სამოცდახუთი სანთელი უნდა ავანთოთ და ღმერთს შევევედროთ, რომ უბედურებისაგან დაგვიფაროს!

— არც ისე წვიმს, როგორც ქუხს, ბესარიონ, — თავდაჯერებულად, თითქმის დამარცვლით წარმოთქვა როსტომ ერისთავმა და მოკლედ შეკრეჭილი ჭაღარა წვერით დაფარული მაგარი ნიკაპი მუშტით მოისრისა. — ჯერ კაცი-შვილს არ სმენია, რაჭის ციხეები ვისმე გაეტეხოს. მამა-პაპას არც ჩვენ, მე და ჩემი ბიჭები, დავუვარდებით. ღვთის შეწევნით, მტრის დახვედრა ჩვენც შეგვიძლია. დედიმისის შვილია და ვინმემ ხელი გაანძრიოს!..

კათალიკოსმა თავი უკმაყოფილოდ გადააქნია.

— შენ მარტო შენს რაჭაზე დარდობ, როსტომ, შენი ფიქრი მარტო აქაურობას დასტრიალებს!

— დიახაც! აბა, შენ რა გგონია? მე იქით საქმე არა მაქვს! ახლა არ გითხარი? ყველამ თავის საბუდარს მოუაროს!

— გლახა დასაყოლიებელი ხარ, რაც მართალია, მართალია, ადამიანი ვერაფერს შეგაგნებინებს. ნუთუ არ იცი, რომ მტერი, თუ გარედან ვერა დაგაკლო რა, ციხის კარს შიგნიდან გაგიტეხავს? მეც და შენც დედის მუცლიდან ფხიზელი გონება დაგვყვა. თავს ტყუილა ნუ მოვიტყუებთ, გარემოება ფხიზელი თვალით შევაფასოთ. შენს საბრძანებელ რაჭაში სოლომონს ბევრი აშკარა და ფარული მომხრე ყავს. როგორც კი ის წელს წამოსწევს და ამათ იმედი მიეცემათ, ერთმა ღმერთმა იცის, ვინ რა ჭკუაზე დადგება. მიმიხვდი?

— ეგ სიმართლეს გავს, ბესარიონ, — თქვა ერისთავმა და გაირინდა, შინაგან ხმას ყური მიუგდო. — მაგაზე მეც ბევრი მიფიქრია, ერთი ორჯერ, წარმოიდგინე, ბიჭუნებმაც ქე თქვეს, ენაცვალოთ მამა, და მე არაფრად ჩავაგდე. რას მირჩევ, ხომ არ მოვკიდო ხელი ეჭვმიტანილებს?

კათალიკოსმა მტკიცედ იუარა:

— ღმერთმა დაგიფაროს! მაგით ერთგულსაც გაიორგულებ, ღალატის გზაზე დააყენებ. პირიქით, თავი ისე უნდა გეჭიროს, თითქოს აინუნშიაც არაფერი მოგდის, ოღონდ ფალია იქონიე მშრალი. შენი მთავარი საყრდენი და შეუვალობის იმედი დღეს თეიმურაზია. ღვთისა და ჩვენი შეწევნით თუ ის კარგად გვეყოლა, აქაც, დამერწმუნე, სიმშვიდე იქნება, ბუზსაც ვერავინ აგიფრენს, მაგრამ თუ ღმერთმა გვიმუხთლა და სიძებატონს ფეხი გადაუბრუნდა, წელანაც ვამბობდი, იმისთანა ცოდვისკითხვა დატრიალდება, დედა შვილს არ ეიყვანს!

— შენ, ისე ვატყობ, სულ რადაცას

უტრიალებ, რაღაცის თქმა გინდა და არ მეუბნები. მითხარი ბარემ!

კათალიკოსი ორიოდე წამს კიდევ ყოყმანობდა, შემდეგ პირდაპირ თქვა:

— **რას** იტყვი, რომ დავიწერო პირჯვარი, ახალციხეს რომ გადავიდე და ჰასან-ფაშას პირადად წარვუდგე?

— ღმერთო, ნუ გადამრევ! — ბესარიონის ეს წინადადება, რის გასამხელად და ძმასთან წინასწარ მოსათათბირებლად ამოდენა გზა გამოვლო, როსტომისათვის მეტად უცხო და წარმოუდგენელი გამოდგა. — შენ, კათალიკოსი, ლიხთიმერ-აფხაზეთის ეკლესიის წინამძღვარი?

— ჰო, კათალიკოსი, წინამძღვარი, ასე ძალიან რატომ გაგიკვირდა? ჯერ არ გსმენია, ჩემი წოდების საეკლესიო მოღვაწეს უცხო ხელმწიფის კარზე ელჩობა გაეწიოს?

— ღმერთმა ხელი მოგიმართოს, ძმაო, — ერისთავმა მებაღისა და მევენახის დიდრონი, დაბუჟებული ხელები გაშალა. — საწყენად არ მომიხსენებია, არ გავწყდე შვილებით! როდი იქნება ურიგო საქმე, თუკი შენ თავად არ დაიზარებ და ამხელა პატივს დაგვდებ, ოღონდ მეშინია, არაფერი გავნოს იმ ურჯულომ, შეურაცხყოფა არაფერი მოგაყენოს. ჰასან-ფაშასაგან, ეგ იმნაირი ზნის არი, ყოველნაირ სიგლახეს უნდა მოელოდე კაცი!

— მე მარტო არ ვიქნები, როსტომ. ბეგლარბეგის კარზე წასასვლელად უკვე მზად არის და ჩემს საბოლოო თანხმობას უცდის მეფე ალექსანდრეს ქვრივი, შენი ფრიად პატივმცემელი და მწყალობელი დიდი დედოფალი თამარი!

ერისთავმა თვალები ასწია და ერთხანს მოჯადოებულივით ხმაგაკმენდილი იჯდა.

— ეგ კი მართლა მშვენიერად მოგიფიქრებია, — თქვა შემდეგ. — მაგრამ რას უნახავდი, რატომ აქამდე არაფერი მითხარი?

—ყველაფერს ერთად ხომ ვერ გეტყოდი, მოაწია დრომ და ვთქვი!

— მე რა უნდა გირჩიო, ბესარიონ, ძმაო, ჭკუასა და რჩევას მუდამ ექით გეკითხებით. ღმერთმა ნურც მოგვიშალოს შენი თავი! თამარი! ეს ქალი ან ანგელოზია, ან ტარტაროზი, ან აგვაშენებს, ან ერთხელ და სამუდამოდ ამოგვაგდებს ყველას. როდის აპირებთ გამგზავრებას?

— ალარ გვეგვიანება, მივბრუნდები თუ არა, მეორე ან მესამე დღეს, რაგვარც შევძლებ.

— ეცადეთ, დიდი და ბრწყინვალე ამალა გაიყოლოთ, სამღვდელოებიც და ერისკაცებიც. ხომ გაგიგონია, თვალი ჭამს და თვალი სვამსო.

— გიორგი გურიელი შემპირდა, მხარს დაგიმშვენებო. მას შემდეგ, რაც თეიმურაზის მეცადინეობით გურიელობა დაიბრუნა და ძმისეულ სახლ-კარსა და სამთავროს დაეპატრონა, ალარ იცის, რით და როგორ გვასიამოვნოს. სამღვდელოებიდან ბერძნის მიტროპოლიტი დანიელ დასკალი მეყოლება და ორი არქიმანდრიტი. დანიელ დასკალს, ხომ იცი, ჭირის დღესავით სძაგს სოლომონი, მეტადრე მისი კუდი მაქსიმე ქუთათელი, გელათის საეკლესიო კრებაზე მაშინდელი გაცუცურაკების გამო. ხომ გახსოვს, რავა სამარცხვინოდ გამოაჭენა და გააქცია?!

— აკი შერიგდნენო? — პირქუშ როსტომს თვალებში ეშმაკები ჩაუსახლდნენ. — ალდგომა დღეს გვერდიგვერდ მჯდარან მეფის სუფრაზე გეგუთის სასახლეში!

— რა ექნა, რომ არ შერიგებოდა, ახლა კი სხვა საქმეა. ფარა შებრუნდა და კოჭლი ცხვარი წინ მოხვდა. რაბათში მაგის სიტყვას ანგარიშს გაუწევენ. რაც გინდა თქვი და, აქ კონსტანტინოპოლის მსოფლიო პატრიარქს წარმოადგენს. ვგონებ ცდა არც თავად დააკლოს!

— ყველაფერი მოგითავებიათ და ეგ არის. შენს ადგილზე რომ ვყოფილიყავი, აქ ამოსვლით გზას სწორედ არ გავიმრუდებდი.

— ვერ გადავწყვიტე შენს უნახავად, როსტომ, თან, რაღა დაგიმალო, იმედიც მქონდა, წიგნუკას გამატანდი ფაშასთან,

შენგნით სიტყვას შემოგვაწევდი. შენს სიტყვას სხვა წონა და გამავლობა აქვს!

როსტომი მიხვდა, ეკლესიის უწმიდესი მამა ეშმაკობდა, უფსკრულში ითრევდა, მისი სიტყვიერი მხარდაჭერითა და წაქეზებით არ კმაყოფილდებოდა და წერილობით დასტურს მოითხოვდა.

კათალიკოსმა ყურადღება არ მიაქცია ერისთავის წამიერ შეკრთომას, ის თითქოს არც შეუმჩნევია, საქმიანად განაგრძო:

— შორს ნუ გადავდებთ, წიგნი ახლავე შეადგინე და ხვალავე უკან გავბრუნდები, წუთი რომ წუთია, იმის დაკარგვაც აღარ შეიძლება!

— დაგჭირდებათ ვითამ ჩემი წიგნი? — როსტომი უკანასკნელ იმედს ჩაეჭიდა, წელი აითრია, იქნებ ჩემს ჩაურევლადაც მოგვარდეს საქმეო, მაგრამ გარეგნულად მშვიდმა და უდრტვინველმა კათალიკოსმა ბესარიონმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა:

— დაგვჭირდებაო? რას ბრძანებ, როსტომ, ძმაო, რას ფიქრობს და ვის მხარეზეა რაჭის ერისთავი, მაშ, ფაშამ არ უნდა იცოდეს? მოლაპარაკების დროს ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა ექნება!

— ჰო, კაი, რაღაი აგრეა... — ბიჭო! — იმაში ღრმად დარწმუნებულმა როსტომმა, რომ ძმის გადამკიდე მეტად საშიშ თამაშში ებმებოდა, საიდანაც თავის დაღწევა თითქმის შეუძლებელი იყო, ტაში შემოჰკრა და ტალანს გასძახა. — მდივანს მიხმეთ ერთი, მელანი, ქაღალდი და საწერკალამი მოიტანოს!..

თავი მეთხუთმეტე

ერისთავის წინასწარმეტყველება და პირად გამოცდილებაზე დაფუძნებული ვარაუდი საფუძველმოკლებული არ გამოდგა. ჰასან-ფაშამ დიდი დედოფალი თამარი და მისი მხლებელი კათალიკოსი ბესარიონი, ამალითურთ, ერთობ მოწყალედ მიიღო, ვახშამიც გაუმართა, ღამის გასათევად ბინაც თვით რაბათში, რუსუდანისეულ სასახლეში მიუჩინა, სადაც სრული მორჩილების გამოცხადების სანაცვლოდ დახმარების მისაღებად მობრძანებული ქართველი მეფემთავრები ჩერდებოდნენ ხოლმე, მაგრამ საქმიანი მოლაპარაკების დაწყებას არ ჩქარობდა, ხან რას იმიზეზებდა და ხან რას.

ერთი კვირის თავზე იმერელ დიდებულთ ძვირფასი დროის ეს ფუჭი ფლანგვაც არ აკმარეს, დიდი დედოფლისა და კათალიკოსის მხლებელი საკმაოდ მრავალრიცხოვანი ამალა ორად გაყვეს, დააცალკევეს და ღვიძლ შვილზე შურის საძიებლად საფაშოში საკუთარი ფეხით მოსულ აბაშიძის ასულს და ლიხთ-იმერ-აფხაზეთის ეკლესიის უწმიდეს მამას, ბესარიონს, ერთიმეორესთან დაუბრკოლებელი მიმოსვლა შეუწყვიტეს.

ეს ყოველივე კარგს არაფერს მოასწავებდა. როგორც მისი მოქმედებიდან ჩანდა, ფაშას ჯერ გადაწყვეტილი არ ჰქონდა, ვისი მხარე დაეჭირა, თავის მიერვე აღზევებული თეიმურაზისა, თუ ტახტიდან იარაღის ძალით ჩამოგდებული, ტყეში გავარდნილი მოუხელთებელი სოლომონისა, და სათანადო განკარგულებას, შესაძლოა, ვაზირ-აზამისაგან, ან თვით სულთნისაგან ელოდა.

მაისის თერთმეტს კათალიკოსმა სარწმუნოდ შეიტყო, რომ დიდი დედოფლის დაჟინებულმა ხვეწნა-მუდარამ გასჭრა და იანიჩართა კარგა მოზრდილი რაზმის თანხლებით, რომელსაც ბეგლარბეგ ჰასან-ფაშას ბრძანების თანახმად სათავეში იანიჩარ-აღა მუთი-ბეგ ფალავანდიშვილი ჩაუდგა, კათალიკოსთან გამოუმშვიდობებლად და მისი ლოცვა-კურთხევის გარეშე, იგი ყარსს გა-

ისტუმრეს, ხიდანაც ყარსის ბეგლარ-ბეგი, ჰასან-ფაშას შემცვლელი, კონსტანტინოპოლს, ბედნიერი სულთნის კარზე გაგზავნიდა, ახალციხელი იანიჩრები კი კვლავ შინ მობრუნდებოდნენ.

ბესარიონი უკვე მწარედ ნანობდა, რომ ბოლომდე მოუფიქრებელი ნაბიჯი გადადგა, აჩქარდა, თავის სასარგებლოდ გამეცადინებული ძმის რჩევა დაჯერა და ღვთის მსახურისათვის სავსებით შეუფერებელ საქმეში გაერია. ახლა უკან დაბრუნებაც გვიანი იყო. იმერეთში მტერმაც იცოდა და მოყვარემაც, რომ შვილზე დანასისხლად გადაკიდებული აბაშიძის ასული თამარი და რაჭის ერისთავთა ხახლის შეურიგებელი მოძულე სოლომონის ფარული მოწინააღმდეგე კათალიკოსი ბესარიონი ახალციხის ფაშასთან მოსალაპარაკებლად რა მიზნითაც წამოვიდნენ.

თამარის გამგზავრების მეხუთე დღეს, 16 მაისს, ბანაკად ზემო იმერეთში მდგომი ჰაჯი-ალიბეგისაგან კაცები მოვიდნენ და ფაშას უაღრესად შემაშფოთებელი ცნობები მოუტანეს. ეს ცნობები შალე გავრცელდა, მთელ ქალაქს ხანძარივით მოედო და რუსუდანისეული სასახლის ოთხკედელშეა გამოკეტილი კათალიკოსის ყურამდეც მიაღწია.

ჰაჯი-ალიბეგი ტყეში გახიზნული სოლომონის პატარ-პატარა რაზმებთან განუწყვეტელი შეტაკებებით შეთხელებული, თითქმის განადგურებული მართლმორწმუნე ჯარის შევსებას, ახალ დამსჯელ რაზმს, სულ ცოტა, ხუთი ათას კაცს, თარაღ-საბურველსა და ზარბაზნებს ითხოვდა. თუ ახლავე არ მოგვეშველეთ და დამხმარე ჯარი დროითა არ გამოგზავნეთ, იცოდეთ, ხაფანგში ვართ გაბმული და ვაითუ ეს დაპყრობილი უფრო ადვილად ქვეყანა თავიდან დასაპყრობი გვიჯდესო.

საქმე ის იყო, რომ დალისტნიდან ლეკისა და ნოღაელების დაქირავებული ჯარით მობრუნებულ ქაიხოსრო წერეთელს, სოლომონის ნებითა და ბრძანებით, მთელი ზემო რაჭა უწყალოდ მოერბია, გლოლის, ონისა და სვეის ციხეებში, იქაურ მეციხოვნეთა ამოწყვეტის ან დატყვევების შემდეგ, თავისი ხალხი ჩაეყენებინა და ახლა ქვემო რაჭას საავდრო ღრუბელივით ჩამოსწოლოდა. როსტომს და მის ვაჟებს ვერ მოესწროთ საკმაო ჯარის შეყრა, მცირედი, სულ ათასიოდე კაცისგან შემდგარი ჯარით ბარაკონზე გამაგრებულიყვნენ და წერეთელს იქ ელოდნენ.

დაქირავებული ლაშქრის რიცხვი, რომელიც ზემოიმერის სარდალ ქაიხოსრო წერეთელს ახლდა, აშკარად გაზვიადებული იყო. ზოგი თორმეტი ათას კაცს ამბობდა, ზოგი კი ამ რიცხვს თხუთმეტ-თვრამეტ ათასამდე ბერავდა.

„ჩვენ მიგვაჩნია, რომ რაჭაში მარბიელი ჯარის შეშვება გიაურ სოლომონის მზაკვრული ფანდია, — იტყობინებოდა ოსმალო სარდალი. — მას უნდა, ჩვენ იქ, ციხეებში გამომწყვდეული ერისთავის მისაშველებლად შეგვიტყუოს, თვით კი გზები გადაგვიკეტოს, სატახტო ქალაქ ქუთაისს მოულოდნელად დაეცეს, ციტადელი დაიკავოს და ოქროს ჩარდახზე თავისი უწმინდური ალამი ათრიალოს!“

— მაჰმადის წვერს ვფიცავ, ცხენის კუდზე გამობმის ღირსი ხელით სათრევი თეიმურაზიც და მაგასთან ერთად მამალი ინდიურივით გაფუყული ჰაჯი-ალიბეგიც! — აბობოქრდა დივანის სხდომაზე ახალი წარუმატებლობის შეტყობით განრისხებული და პირზე დორბლმომდგარი ჰასან-ფაშა. მას ჯერ ოდიშის მთავარ კაცი დადიანის ხაეკვო ფუთფუთიც ვერ მოენელებინა, რის გარშემოც დადიანის კარზე მიგზავნილი მსტოვრები წამდაუწუმ იტყობინებოდნენ, გადაწყვეტილი ჰქონდა, ხელს მოიწყობდა თუ არა, ქედს გადაღმა ერთხელ კიდევ ელაშქრა და ორპირი დადიანისათვის ტყავი კუდის რიკამდე გაეძრო. — მართლმორწმუნენო, სირცხვილით თავი სად-ღა გამოგვეყოფა? — ჰასან-ფაშამ ხმას აუწია და საგანგებოდ შეყრილ სანჯაყ-ბეგებს და ალი-ბეგებს, დივანის უცვლელ წევრებს, ძრწოლვის

მოშვრალი, ალბალა მიმზირალი ელამი თვალებით მიაჩერდა. — ტყეში გავარდნილი, მშიერი და უიარაღო მეკობრე უნდა მოგვერიოს და კუდით ქვა გვასროლინოს? ეს სად გაგონილა, სად უნდა გავამხილოთ? ხომ შევრცხვით, ხომ დაგვესხა თავს ლაფი! რას მიქვია წერილი და მისი ლაშქარი, მე თქვენ გეკითხებით და მიპასუხეთ! რიდის იყო, ლომს კატის კნუტი აშინებდა და სორომში აძვრენდა! ეტყობა, ლოთობასა და კახპებთან კოტრიალს გადაჰყვნენ იქ ჩვენი ნდობით აღჭურვილი სერასკირი თეიმურაზი და ჰაჯი-ალიბეგი. ერთიცა და მეორეც ომის დროის კანონებით დაიხჯება. თუ ეს სამარცხვინო ამბავი უახლოეს ორ-სამ დღეში არ გამოსწორებულა და გუდამშიერი წერილი თავისი აბრეგებით უკან არ გაუბრუნებიათ, ვფიცავ ალაპს, ორივე დამნაშავის საქმეს იმპერიის მუფთი გაარჩევს. შარიათი არავის მოეფერება! როგორა გგონიათ, ძალიან მინდა, ვინმეს მაგიერ თავი წავაგო და ცალი სწორი სულთნის ერთგული სამსახურში გაჭალარავებულმა უბედური ჩემი წინამორბედის ბედი გავიზიარო? — საკუთარი ქვეშევრდომების თვალწინ ბრმა ლეკივით გაგუდული, ყველასაგან უკვე დავიწყებას მიცემული ჰაჯი-ალიბეგმა სასოწარკვეთილებაც კი ალარ მოიხსენია და ყარსიდან სწორედ წინადამეს დიბრუნებულ ფალავანდიშვილს მიუბრუნდა. — მუთი-ბეგ, თუ ალაპი მართლა გაგვირისხდა და საქმემ მოითხოვა, რამდენი კაცის მიშველება შეგვიძლია?

— არც ერთის, თქვენი აღმატებულებავ, არც ერთის, — წამოდგა და დარბაისლური ქართულით მიუგო იანიჩარ-აღამ. ბეგლარბეგის დაახლოებულ კარისკაცთა შორის ნიჯვორის მებატონე მუთი-ბეგ ფალავანდიშვილი, ახალქალაქის ფაშა, ერთადერთი იყო, ვინც სამცხის ძარძველი თავადაზნაურობის საყოველთაო გათაურების მიუხედავად, დავანის სხდომებზე ქართულად გამოდიოდა და მის მიმართ ოსმალურად დასმულ კითხვებზეც მამაპაპური ქართულით პასუხობდა. — ერთი კვირის წინ ათას ექვსას ორმოცდაათი კაცი კიდევ გავგზავნეთ ხოფას, ორი ამდენიც დღე-დღეზე უნდა გავასტუმროთ. ვშიშობ, თქვენო აღმატებულებავ, — იანიჩარ-აღამ კიდევ მეტი კრძალვითა და მოწიწებით განაგრძო, — ამასაც არავინ დაგვჯერდება. ყარსის ვილაიეთიდან ყოველი მესამე კაცი გაიწვიეს. თიმარები ღელავენ. ბევრმა ნაამაგარი სახლ-კარი მიატოვა და თავი ტყეს შეაფარა. ასევე იმატა ძარცვამ და ხალხის მოტაცებამ. საქმე დღითიდღე უარესდება. სწორედ ახლა მინდოდა, თქვენი აღმატებულებისათვის მომეხსენებინა...

ბეგლარბეგმა საყვარელი კარისკაცის უკანასკნელი სიტყვები თავისი მოდვაწეობის განსჯად მიიღო და შეაწყვეტინა:

— გაუგზავნეთ კაცები ჰაჯი-ალიბეგს და ასევე აცნობეთ! მე აქ საბუდარში არა ვზიავარ და ჯარს არა ვჩეკავ. სად არის ჯარი! კეთილი ინებონ და ადგილობრივი ძალებით გაღონიერდნენ. აჩიკ-ბაშში ჯერ ხალხი არ გამოლეულა. მე იმათ, თეიმურაზს და ჰაჯი-ალიბეგს, მალალი ალაპისა და ბედნიერი სულთნის ნებით, განუსაზღვრელი უფლებები ვუბოძე და დალაგებულ-დაწყნარებული ქვეყანა ჩავაბარე. იმასაც ვეღარ უნდა მოუარონ?

— როდის ინებებთ კაცების გაგზავნას? — კვლავ მოწიწებით შეესიტყვა მუთი-ბეგ ფალავანდიშვილი, რადგან მის გარდა ყველა გაჩუმებული იყო და შიშით, განრისხებული ბეგლარბეგის რისხვა თავს არ დავიტეხოო, ჰასან-ფაშას თვალს არიდებდა.

— თუნდაც ახლავე, ამ წუთში! ყველა ჭეშმარიტმა მუსულმანმა, ჭეშმარიტი ღმერთის სარწმუნოებაზე ახლად შემდგარმა თუ დაბადებითვე მაჰმადიანმა, დროა იცოდეს, რომ ბედნიერი სულთნის სამსახური მალალი ალაპის სამსახურია და როგორც ღმერთს, ზეციდან რომ დაგვყურებს და ყოველ ჩვენს ნაბიჯს ხედავს, ისე არც სულთნისაგან მონდობილ საქმეს ეღალატება.

ამას არავინ გვაპატიებს. ოთხში ამოგვიღებენ. რაც შეეხება ტყეში გასულ თიმარებს და ჯარში გამოსვლისათვის თავის არიდებას, მაგაზე ცალკე მოვილაპარაკოთ და ზომებიც ულმობელი მივიღოთ. ეტყობა, უფრო გაბედულად უნდა ავყაროთ აქაური მკვიდრი მოსახლეობა, ვისაც თვალი ტყეზე უჭირავს და ჩუმ-ჩუმად, უცხო თვალს რომ მოეფარება, პირჯვარსაც იწერს, და მათს ნაფუძვარზე საიმედო ხალხი გადმოვასახლოთ იმპერიის შიგა ვილაიეთებიდან. ეს აქამდეც უნდა გვექნა და ფუჭ იმედებს არ უნდა ავყოლოდით. სად არის აჩიკ-ბაშის კათალიკოსი? — თვალებამღვრეულმა ჰასან-ფაშამ, რომლის გული და გონება მხოლოდ და მხოლოდ ურჩ ქვეშევრდომთა ღირსეული დასჯისა და საბოლოოდ დამორჩილების აზრს შეეპყრო, სრულიად მოულოდნელად ოქროს გალიაში კარგამოკეტილი ბესარიონი გაიხსენა. — ახლავე აქ მომგვარეთ! აჩიკ-ბაშში იქნებ სწორედ ის გაგვეგზავნა და ჩვენი კაცებიც მისთვის გაგვეყოლებინა?

ჰასან-ფაშა ისევ მუთი-ბეგ ფალავანდიშვილს მიმართავდა და ამომწურავ პასუხსაც მხოლოდ მისგან მოელოდა.

იანიჩარ-აღამ არ დააყოვნა.

— ნება თქვენია, თქვენო აღმატებულებავ, — ფრთხილად შეაპარა მან ვილაიეთის უზენაეს განმგებელს. — მაგრამ მგონია, თუ გიაურ მღვდელს ერთხანს კიდევ აქ ვიყოლიებთ, ჩვენთვის უმჯობესი იქნება. ვინ იცის, რაში დაგვჭირდეს. ამას გარდა, ნუ გამირისხდები და, გავბედავ მოგახსენოთ, რომ სანამ თეიმურაზს ჯარით არ მივეხმარებით და არეულ ქვეყანას ისევ არ დავუწყნარებთ, არა მგონია, თქვენს აღმატებულებასთან თეიმურაზის სასარგებლო შუამდგომლობის გასაწევად მოსულმა კათალიკოსმა უკან გაბრუნება ინებოს. აბრაგი სოლომონის შიშით, თქვენო აღმატებულებავ, — განმარტა ფალავანდიშვილმა, თან ცალი თვალით კოპებშეკრულ ბეგლარბეგს გაჰხედა, რა შთაბეჭდილებას ახდენს ჩემი ნათქვამიო. — იქიდან წამოსვლა ადვილი იყო სამაგიეროდ, სანამ სოლომონი ისევ ფეხზეა და თავისი მარბიელი რაზმებით მოსვენებას არც დღე გვაძლევს და არც ღამე, კათალიკოს ბესარიონს, ქუდიც რომ შეუგდო, აჩიკ-ბაშში ვეღარ შეიტყუებ წეღან თქვენი აღმატებულება ბრძანებდა, ოთხში ამოგვიღებენო. ღმერთმა ნუ ქნას, მაგრამ ოთხში ამოღება მაგისი უნდა ნახოს კაცმა, თუ ბედმა უმტყუნა და სოლომონს სადმე ხელში ჩაუვარდა!..

მუთი-ბეგ ფალავანდიშვილის მსჯელობას საბუთიანობა და დამაჯერებლობა არ აკლდა, საწინააღმდეგო თვალსაზრისი არც არავის გამოუთქვამს, მაგრამ სანახევროდ შინაურ პატიმრობაში მყოფ ბესარიონს მაინც უხმეს და დარბაზში ბეგლარბეგის მესტუმრეთა თანხლებით შემოიყვანეს.

ფაშასთან მოლაპარაკების საჯაროდ, მთელი დივანის თანდასწრებით გამართვა ყოველგვარ საჭოჭმანო საქმეში ფრთხილ და წინდახედულ ბესარიონს არაფრად ეჭაშნიკა. მას მშვენივრად მოეხსენებოდა, რომ დივანი შიგნიდან ჭრელი იყო, სხვადასხვა ზნისა და მიდრეკილების წევრებისაგან შესდგებოდა. თუ ზოგი გუშინდელი ქრისტიანე, დივანის წევრი, ისლამს გულით აღიარებდა, მამა-პაპის გუშინდელ სარწმუნოებას ფეხქვეშ თელავდა და სულთანს ცისქვეშეთში მაღალი ალაჰის მოადგილედ და ღვთაებრივი ნების აღმასრულებლად სახავდა, ზოგი ქვას უბეში მალავდა და ჯერ კიდევ იმედოვნებდა, წყალი სადინარს არ დაკარგავს, ძველი კეთილი დრო, როცა ქვეყანაც ჩვენი იყო და ყმა-მამულიც, ისევ მობრუნდებაო. ესენი, არამტკიცე მუსულმანები, მეჩეთში რომ დაეჭვებული, მხოლოდ სხვათა დასანახად დაიარებოდნენ, რასაკვირველია, ქრისტეს ჯვრის აღმსარებელ სოლომონს იმერეთის ერთადერთ კანონიერ მეფედ თვლიდნენ, ფარულად კიდევაც თანაუგრძნობდნენ და ჰასან-ფაშას ზურგსუკან, ვინ იცის, სულთნისაგან შერისხულ იმერთა ბა-

ტონს საიდუმლო ცნობებსაც კი აწვდიდნენ.

თუ ეს ასე იყო, და რომ ეს ასე იყო, შეიძლებოდა, იოტისოდენა ეჭვიც არავის შეეპარვოდა, დივანში წარმოთქმული ყოველი სიტყვა სოლომონის ყურამდე დაუბრკოლებლივ მიდიოდა და იქ, მეკობრეთა ბანაკში, შესაფერ შეფასებასაც პოულობდა.

ამგვარ რთულ ვითარებაში ბეგლარბეგის დახმარების მაძიებელ კათალიკოსს ორივე მხარის გუნება-განწყობილების გათვალისწინება მართებდა. ბესარიონმა შუაგზა აირჩია, ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ არც მწვადი დაეწვა და არც შამფური და, ამგვარად, როგორც იტყვიან, წყლიდან მშრალი ამოვიდა.

მაგრამ ეს იმედი ნაადრევი გამოდგა. ფაშა მიუხვდა ეშმაკობას. იმერთა კათალიკოსზე არანაკლებ გამოცდილმა დიპლომატმა შეუმცდარი ალღოთი იგრძნო, რომ აქ ყოფნის განმავლობაში „გიაურ ბერს“ ყველა „ჰო“ და „არას“ გულდასმით გადასინჯვა მოესწრო და მის ძველ სიმტკიცესაც, მოსვლის პირველ დღეებში რომ იჩენდა, ბზარი შეპარვოდა.

გაორების უმთავრესი და ერთადერთი მიზეზი უთუოდ ის გახდა, რომ თვალად და ყურად გადაქცეულ ბესარიონს აქამდე დანამდვილებით ვერ შეეტყო, რა აზრს ადგა თვით ფაშა, ვისკენ იხრებოდა. დიდ დედოფალ თამარის კონსტანტინოპოლს გამგზავრების შემდეგ, რაიც სრულიად საიდუმლოდ მოეწყო, ის, შეიძლება ითქვას, მარტოდმარტო დარჩა, ირგვლივ შემოკრებილ თავისიანებისადმი ადვილად ასახსნელმა უნდობლობამ შეიპყრო და კაციც აღარა ჰყავდა, რომ ხმა გაეცა, გულისნადები გაეზიარებინა და რჩევა ეკითხა.

მღვდელმთავარს თავიდანვე ყალბ მდგომარეობაში აგდებდა ის, რომ აჩიკ-ბაშთა ქრისტიანული ეკლესიის წინამძღვარი, სულით ხორცამდე ქრისტიანე და რჯულის ურყევი ბურჯი, როგორადაც მას დღემდე იცნობდნენ, ასე იყო თუ ისე, მაჰმადიანი თეიმურაზის ერთ უპირველეს მხარდამჭერად გამოდიოდა და ფაშასაგან და დივანისაგან „ქვეყნის მხსნელი მისი ტახტის“ განმტკიცებას მოითხოვდა. კათალიკოსი, როდესაც ამას ამბობდა და მწყალობელ ფაშას თეიმურაზის მტრების ამოსაძირკვავად იმერეთისაკენ ეპატიჟებოდა, რაღა თქმა უნდა, პირადი კეთილდღეობის კარნახით, საკუთარი ტყავის უვნებლად გადარჩენის სურვილით მოქმედებდა და რაკი დღეს თავისი სულიერი მრწამსის წინააღმდეგ ილაშქრებდა, ხვალ, უკეთუ იგივე პირადი კეთილდღეობა და საკუთარი ტყავის მოფრთხილების აუცილებლობა სხვას მოსთხოვდა, ამის საწინააღმდეგო ნაბიჯსაც კიდევ მეტი ხალისით გადასდგამდა და დღევანდელ თანამდგომს, თეიმურაზი იქნებოდა თუ ვინმე სხვა, დაუძინებელ მტრად მოეკიდებოდა.

აქ, დივანში, აჩიკ-ბაში ბერის გასასულელებელი არავინ იყო. ჰასან-ფაშაც ასე მიაჩნდა და პატრონის ამ აზრს სხვებიც უსიტყვოდ კვერს უკრავდნენ. კათალიკოსისათვის ნიღაბი აქვე უნდა ჩამოეგლიჯათ და ორმაგი თამაშის საშუალება წაერთმიათ.

მუთი-ბეგ ფალავანდიშვილმა, რომელიც მღვდელმთავრის შეგონებებსა და მტკიცებებს მოწიწებული ყურადღებით უსმენდა, ფაშას თავი დაუკრა, პირველი სიტყვა ითხოვა და მის უწმიდესობას ფრთხილად, დაშაქრული ღიმილით მიმართა:

— ვინ გვეყოლება თავდები, მამაო ბესარიონ, რომ სულთნის ძლევამოსილი დროშების ქვეშ დარაზმული მართლმორწმუნე მხედრობას, აქედან რომ გიაური სოლომონის დასათრგუნავად გაგაყოლებთ, მტერს უბრალოდ არ შეაწყვეტთ და უკან ნადავლით დატვირთულს გამოუშვებთ? კავკასიის ქედს მომდგარი გიაური რუსები ჩვენთან წაჩხუბების საბაბს ეძებენ, აჩიკ-ბაშს უსირცხვილოდ ეპოტინებიან და ადრე დადებულ საზავო ხელშეკრულებებს არაფრად აგდებენ. რამდენი დღე და სა-

ათია, თავიანთი წარმოგზავნილი ვილაც კაპიტანი თუ მაიორი ლევოვიც კი უზით ტფილისში, მეფე ერეკლეს ჯარზე! ეგ ლევოვი ვითომდა პეტერბურღელი სწავლულია და აქ პეტერბურღის აკადემიამ მოავლინა. კავკასიის ბუნებას და მიწის წიაღის სიმდიდრეებს სწავლობს. ვის უბამთ თვალებს? ვის ატყუებთ? ლევოვი ერთხანს სოლომონთანაც იყო და თქვენს ჭკუამოკლე მეფეს პეტერბურღიდან დაბარებული ტყუილებით ბერავდა! მადლობა დიდ ალაჰს, ბოლოს თქვენც მიხვდით, რა შვილიც ბრძანდებოდა და ახლა უკან ადარ ეპატიჟებით, რუსხელმწიფეს იქით უგზავნით ელჩებს, მოდი, დაგვიპყარ და იბატონეო!

— სრულ სიმართლეს ბრძანებ, ბატონო მუთი-ბეგ, — მხურვალედ დაეთანხმა კათალიკოსი და შუბლზე დამსხდარი ოფლის მსხვილი წვეთები შავ ანაფორის განიერი სახელოთი მოიწმინდა. — მე მუდამ ვამტკიცებდი, რომ...

— მაგრამ იმას რით დაგვიმტკიცებ, რომ სწორედ რუსების მოგზავნილი არა ხარ და შენს ქვეყანაში ხაფანგს არ გვიგებ?

— ბატონო მუთი-ბეგ...

ფალავანდიშვილმა ხელი ასწია, სიტყვა შუაზე გაუწყვიტა.

— მე პირველად ვხედავ, თქვენც. ალბათ, ბატონებო, — ის დივანს მიუტრიალდა და ბეგლარბეგ ჰასან-ფაშას მადლიერ გამოხედვას წააწყდა. — რომ ქრისტიანი მღვდელთმთავარი თავისი სარწმუნოების მგმობელებთან სამეგობრო კავშირის შეკვრას ლამობდეს. მართალი არა ვარ? ეს ხომ ჩვენცა და თქვენც რჯულითა და ადათით გვეკრძალება!

ფალავანდიშვილის ამ სიტყვებმა ბესარიონი თითქმის გამოუვალ ჩიხში მოაქცია. ის კარგა ხანს ფიქრობდა, სანამ პასუხს ასე თუ ისე თავს მოუყრიდა და უნდობლობის ბურუსის გაფანტვას შეძლების კვალობაზე შეეცდებოდა.

— აი, რას გეტყვი, — დივანისა და თვით ყოვლისშემძლე ფაშას ერთსულოვანი მხარდაჭერით ძალამოცემულმა მუთი-ბეგ ფალავანდიშვილმა სიტყვა ახლა მეტი გააფთრებით გააწყვეტინა. — თუ მართლა სიკეთე გწადია და არა სტყუი, თუ მართლა გინდა, სამყაროს მფლობელ ცათა სწორ სულთანს ქვეშევრდომული სამსახური გაუწიო, ახლავე გაიძვრე ეგ ძონძი, შენ რომ ანაფორას უძახი, ეგ უწმინდური ჯვარი მოიხსენი, წვერი გაიპარსე და, როგორც ჩვენ, — იანიჩარ-აღამ მხერა ისევ მოავლო მდუმარე დივანს. — მაჰმადიანურ წესზე მოინათლე. ჰა, რას იტყვი? არა არს ღმერთი, თვინიერ ალაჰისა, და მუჰამედი არის მოციქული მისი!..

უკანასკნელი პირობა, რაღაც გამორჩეული ზიზღითა და ნიშნისმოგებით ალტკინებული იანიჩარ-აღა ქრისტიანი თანამოძმისაგან რომ მოითხოვდა, კათალიკოს ბესარიონისათვის ისე მოულოდნელი აღმოჩნდა, რომ მან ორივე აკანკალებული ხელით ყელზე ძელჯვით ჩამოკიდებული ოქროცურვილი ჯვარი ჩაბღუჯა, თითქოს შეშინებია, არავინ წამართვასო და გველისთავიანი კვერთხის კაკუნით ორიოდე ნაბიჯით უკან, კარისაკენ დაიხია.

ფალავანდიშვილმა მღვდელმთავრის შეცბუნებით ისარგებლა და ნათქვამს იმავე დაშაქრული ღიმილით დაუმატა:

— ჩვენ ძალას არ დავატანთ, ბერო. ბედნიერი სულთნის ღვთაებრივი ხელისუფლება დედამიწაზე მცხოვრებ ყველა ჯურის ხალხის სარწმუნოებას შემწყნარებლად ეკიდება. მაგრამ სად შენიანის, შენი ღმერთის აღმსარებლის ნდომა და სად ვადამთიელისა! ასე არ არის? ვადაწყვიტე! შენს არჩევანზე, იცოდე, საქმის წარმატება ჰკიდია.

მუხლმოკვეთილმა, ხუნთქვამოხშირებულმა და საფლავიდან ამოღებულივით გაფითრებულმა ბესარიონმა ვეღარ გაბედა, საბოლოო მსჯავრი თვით ჰასან-ფაშასაგან მოეთხოვა და აშკარა ლიქნითა და დამამცირებელი თავმდაბლობით, რის ნებასაც რაჭის ერისთავთა ამაყი სისხლის არც ერთი წვეთი არ აძ-

ლევდა, ისევ ფალავანდიშვილს მიმართა:

— იმედი მაქვს, შვილო მუთი-ბეგ. მისი ალმატებულება ფაშა ჩემთვის ესოდენ ძნელი არჩევანის გაკეთებაში არ ამაჩქარებს და მოსაფიქრებლად მცირეოდენ დროს მომცემს!..

პასუხი არავის გაუცია. დივანი კვლავ დუმდა. იანიჩარ-ალამ ბეგლარბეგის ნება აღასრულა — ტაში შემოჰკრა და იქვე დადარაჯებულ მესტუმრეებს თვალით სიმწრის ოფლში გაწურულ აჩიკ-ბაშების მღვდელმთავარზე ანიშნა, გაიყვანეთო. უზომოდ შეურაცხყოფილი, საქმის წარუმატებლობით საგანგებლობაში ჩავარდნილი და სინდისის ქენჯნით შეპყრობილი კათალიკოსი კვლავ თავის სადგომში დააბრუნეს, საიდანაც გამოსვლა, ვინ იცის, კიდევ როდის ეღირსებოდა. გარეთ, სადარბაზო კართან, იანიჩართა შეიარაღებული ბადრაგი დადგა. ბესარიონი მიხვდა, ეს რასაც ნიშნავდა და აქედან უსიკვდილოდ გაქცევის აზრმა თავში პირველად გაურბინა.

თავი მეთექვსმეტე

ლეკთა მარბიელი ურდო, რომელიც ქვეყნის ფარგლებიდან ოსმალების გასადევნად და ხოლომონისათვის კუთვნილი ტახტის დასაბრუნებლად ზემომხრის ხარდალმა ქაიხოსრო წერეთელმა და ასისთავმა როსაფ მაჭავარიანმა დაღისტნიდან მოიყვანეს, არც ისე ადვილი ხამართავი გამოდგა, როგორც მათ ადრე ეგონათ. რაჭის საზღვრებში შემოსვლისას, როდესაც გლოლის ციხე ეერიშით აიღეს, გლოლა უწყალოდ გაძარცვეს და ნაძარცვით დატვირთული ჭანჭახს დაბლა, რიონის ხეობისაკენ დაუყვნენ, სადაც ფასის მთაზე გადმოსული მეორე მრავალრიცხოვანი რაზმი ელოდებოდათ, წერეთელს, იმის შიშითა და რიდით, ბელადები არ გავანაწყენო და პირი უკან არ იბრუნონო, ძარცვა-ტყვევნაში ლეკებისათვის ხელი არ შეუშლია, მაგრამ მარბიელებს მადა ჭამაში მოუვიდათ და ყოველგვარ ზომას გადააჭარბებს. მტრის მოულოდნელი თავდასხმით შემძრკალმა და აწიოკებულმა ზემო რაჭამ, მამისონის თოვლიანი კალთებიდან ვიდრე სორის ჭალებამდე, სახლ-კარი და წვიმა და დავით მოყვანილი სარჩო-საბადებელი მიატოვა და მიუვალ მთებში გაიხიზნა. რისამე წაღებას ან პირუტყვის ჯოგების გარეკვას ვინ-ღა ჩიოდა, მთავარი იყო, როგორმე ცოცხალს გაგესწრო, მდევარს კლანჭებიდან გასხლტომოდი და სახიზრამდე, სადაც გადამთიელი მტრის ხელი ველარ მოგწვდებოდა, სული მიგეტანა.

მთასა და ბარს კალიასავით მოდებული ლეკები ამან კიდევ უფრო გაახელა და გააცოფა. უსახლკაროდ და ულუკმაპურობოდ დარჩენილ რაჭველებს კვალდაკვალ დაედევნენ და უბედურება უბედურებაზე დაატრიალეს. დიდისა და პატარის, ქალისა და კაცის გარჩევა აღარ იყო. შეპყრობილთ და უცხოეთის ტყვეთა ბაზრებზე გასაყიდად განწირულთ სათვალავი აღარ ჰქონდა. ბავშვს, კაცს, ქალს თუ მოხუცს, ვისაც კი ხელის განძრევა და რისამე გაკეთება შეეძლო, თავი დიდ-დიდ ჯგუფებად მოუყარეს და ონის დასავლეთით, რიონისა და ჯეჯორის შესართავთან, ერთ დიდ მინდორში მოწყობილ ბანაკში შეჰყარეს.

თავზარდაცემული ხალხი მოსთქვამდა, ვიშვიშებდა, სწყევლიდა და აქებებდა ლეკებს, საძულველი ერისთავის დასამხობად აქ მისმა მოსისხლე მტერმა წერეთელმა რომ მოიყვანა, სწყევლიდა თვით წერეთელსა და მეფე სოლომონს, რომლებმაც რაჭის ბატონ როსტომ ერისთავს ჭკუა-გონებით ვე-

რაფერი დააკლეს და, ჯავრი რომ ამოეყარათ, ერისთავის ყმა-მამული, მთელი რაჭა, უწყალო ლეკებს სათარეშოდ მისცეს.

საგონებელში ჩავარდნილი ქაიხოსრო წერეთელი უკვე თავადაც ხედავდა, რომ შორს შესტოპა, რომ უნებლიეთ საჯაყი საქმე ჩაიდინა და ამის გამო სოლომონის რისხვას ვეღარსად წაუვიდოდა, მაგრამ სინანული და თითზე კბენანი უკვე დაგვიანებული იყო, წამხდარი საქმისათვის როგორმე სხვა მხრიდან უნდა შემოეკლო.

როსტომ ერისთავის კარზე განცვიფრდნენ და უმალ სატევრებზე დაიხედეს, როდესაც იქ მტრის ბანაკიდან საიდუმლოდ გაგზავნილი მალემსრბოლები მივიდნენ და მინდა-ციხეში შვილებითურთ გამაგრებულ როსტომს ქაიხოსრო წერეთლის წიგნი წარუდგინეს. ასისთავ მაჭავარიანის რჩევითა და ჩაგონებით შედგენილი ეს წიგნი ბარაკონზე თვით როსაფმა მიიტანა. ასისთავს სხვებზე უკეთ მოეხსენებოდა, რომ შურისძიების ჟინით შეპყრობილი ერისთავის ბადეში გაბმა ახლა მისთვის აბობოქრებულ რიონში გადავარდნაზე უარესი იყო, მაგრამ დაიმედებულმა, როსტომი გონიერი კაცია, გაიგებს ჩემი თავგანწირვის ფასს და ჯეროვანსაც უთუოდ მომიზღავსო, მიუხედავად თავისიანების რჩევისა, გამძვინვარებულ ერისთავს არამც და არამც არ მინდობოდა, ეს ერთობ სახიფათო ნაბიჯი მაინც გადასდგა.

ქაიხოსრო წერეთელი თავის წიგნში მტერ-მოყვარე ერისთავისადმი დიდ მწუხარებას გამოთქვამდა ყოველივე იმის გამო, რაც მოხდა, მაგრამ ყველაფერს გულხარბ ლეკ ბელადებს აბრალებდა და ერისთავს აქეთ თხოვდა, სორის ბოლოზე, ვიწროებში, ჯარი მოეშველებინა, რათა მარბიელთა მადა იარაღის ძალით მაინც დაეცხროთ და ისინი ქვემო რაჭის ფარგლებში არ შეეშვათ.

— მე დიდ პატივს გცემ შენ, ჩემო როსაფ, თუმცა მხარში ჩემს მტრებს უდგახარ და იმათ ნება-სურვილს კაი ყმის შესაფერი გულმოდგინებით ასრულებ, — უთხრა მაჭავარიანს მოსალოდნელი განსაცდელით არცთუ სახუმაროდ შემკრთალმა ერისთავმა. — მაგრამ ქაიხოსროს, იმ ულმერთოს, რაობით ვერწმუნო, მისი მოყვრობა რაობით დევიჯერო!.. ლეკი თავს დამახვია და ახლა ჩემი მომადლიერებაც უნდა? დიდება შენდა, ღმერთო!..

— ენდე ჩემს ჭაღარას, ბატონო როსტომ, ჩემს ფიცს და პატიოსან სიტყვას, — ასისთავმა მძიმე ხელი გულზე მიიდო და მასპინძელს, თავი ოდესღაც რაჭის ბატონის ყმა მაისაშვილად რომ გააცნო, თვალებში შეხედა. — აქ ჩვენი საწყალი მშობელი კუთხის გადარჩენის სურვილმა მომიყვანა!..

— თუ აგრე იყო, რისთვის მოგყავდათ ლეკები, ან შენ ან შენს ბატონს, თქვენს ტყავში რატომ ვერ დაეტიეთ? — მამას პასუხის გაცემა აღარ დააცალა და რისხვით შენიშნა ძმებში ჩამდგარმა ნაბერალმა მეთოდემ. ის უკვე მზად იყო, თუ მამა და ძმები ხელს არ შეუშლიდნენ და წინ არ გადაუდგებოდნენ, სოლომონ მეფის ამ ერთგული ძაღლისათვის თავი ხმლის ერთი მოქნევით წაეცალა.

— მეთოდე! — რბილად უსაყვედურა შვილს ერისთავმა. — არ გეკადრება, მამაშვილობას, შენზე უფროსს ამ სიტყვებით მიმართო. გვადროვე, შე კაცო, ჯერ ხომ შენთვის რჩევა არ მითხოვია.

— მიპასუხოს იმაზე, რაც ვკითხე, მამაჩემო! — ჯიუტად უპასუხა მეთოდემ და ძმებს გადახედა. — ახლავე გამოვარკვევთ, ვინც ბრძ[illegible]ება ეს ვაჟ-ბატონი და რა კუჭის ტკივილმაც მოიყვანა!

— თუ ფიქრობთ, რომ სადავოდ გეახელით, ნამდვილად შემცდარხართ, ყმაწვილო, — შეატყო, დავაკაცებული შვილები სიბერეში შესულ მამას წინ წასვლიანო და თავშეკავებულად, მთელი ღირსებით უპასუხა მაჭავარიანმა. — აგერ მოგახსენებდით: მტერი კარზეა.

ჩვენ უჯაროდ გახლავართ, კაცის სიტყვა არ ესმის და ვეღარ ვახერხებთ მის შეჩერებას. ღმერთმა ხვალინდელ ზიარებას ნუ მომასწროს, თუ რაიმეს ტყუილს ვამბობდე! სარდალი ჯარს გთხოვთ. დროის დაკარგვა, მე ვფიქრობ, საბედისწეროა!

— ყმაწვილი და შენი დასარიგებელი შინ გეყოლება. ის დაარიგე! მე პასუხს მოვითხოვ: თუ შენ და შენს ბატონს ჩვენი სახლისათვის სიკეთე გინდოდათ, ლეკები რისთვის მოგვისიეთ, მამული რისთვის აგვიოხრეთ, ყმები რისთვის აგვიწიოკეთ? თავის გასამართლებლად ერთი სიტყვა მაინც გაგვაგონე, თუნდაც ნახევარი! ხედავ? ხმას არ იღებს! — გაალმასებულმა ნაბერალმა ისევ მამასა და ძმებს გადაჰხედა, თავდახრილ, იარალაყრილ მაჭავარიანზე მიუთითა. — რა უნდა თქვას, ქვე რა აოხრია სათქმელი! თვალს გვიბამს, გულს გვიჩუყებს. მართლა ბრმები და ყრუები ვგონივართ. ჰაიტ, ჩემი ნება იყოს!.. — მეთოდემ ლეკურზე გაივლო ხელი და გაამშვლა. — მომეცალეთ! მე ვიცი, ამას რა ეკუთვნის!..

მტრის კეთილგონიერებას მინდობილი როსაფ მაჭავარიანის სიცოცხლე სწორედ ბეწვზე ეკიდა, ნუზლის მარაგის შესავსებად დაბლა ჩასული ალი ენგიჩარი ამ დროს ციხეში რომ არ შემობრუნებულიყო და როსტომ ერისთავისთვის უაბარდოში გაგზავნილი თავისი ვაჟის, იაგორას მშვიდობით მობრძანება რომ არ ეხარებინა.

— ჯარით არის თუ უჯაროდ? — მოუთმენლად ჰკითხა ერთგულ ყმას სიხარულისგან თვალებგაბრწყინებულმა ერისთავმა.

— ჯარით, ბატონო, ხუთასი ცხენოსანი ახლავს და ორასი ქვეითი, ერთ ამდენ ქვეითს კიდევ მოველიო.

გასაჭირში ჩავარდნილ მამას იაგორამ სწორედ დროზე მოუსწრო. ახლა სათუო და სადავიდარაბო თითქმის აღარაფერი ჰქონდათ. სიხარული, რომელსაც ყველა მოეცვა, იმდენად დიდი იყო, ერისთავსა და მის ვაჟებს წუთით მაჭავარიანის არსებობაც კი დაავიწყდათ. როსტომი წელში გაიმართა, აწრინდებული რიხი და ზვიადი გამომეტყველება მსწრაფლ დაიბრუნა.

— აბა, შვილო მეთოდე, გიორგუნა, ბარძიმ, მამუკა, იოანე, დიმიტრი, რაკიღა ღმერთმა კეთილად გადმოგვხედა, დეილოცოს იმის მადლი, მშველელი მოგვივლინა, გეეგებეთ-ყე, თქვენს გაზრდას, ჯარს. მამაც ახლავე გეახლებათ-თქვა. სარდლობა, შვილო გიორგი, შენთვის მომინდვია. ძმებში უფროსი ხარ და შენ უფრო შეგფერის. ჩააგე, მამაშვილობას, მეთოდე, ხმალი! ეს კაცი აქ არის, ჩვენი ტყვეა და სანამდი ჩვენ არ ვისურვებთ, აქედან ვერსად წაგვივა. მუხლის ხიდს იქით, სორის ბოლოზე, რავარც წერეთელი იტყობინება, გაღმა-გამოღმა გამაგრდით. ტყვია-წამალი ბლომად იქონიეთ. ნუ დაზოგავთ. არ დამენახვოთ არც ერთი, ერთმა კაცმა თუ გამოგასწროთ და აქეთ შემოვიდა. ერთმანეთს მოუფრთხილდით, იცოდეთ, მხარი მხარს მიეცით. ახლა პარაკლისის დრო არა გვაქვს. პარაკლისს მერე გადავიხდით, როცა ღვთის შეწევნით შინ გამარჯვებული მოვბრუნდებით. აბა, თქვენ იცოდეთ და თქვენმა ვაჟკაცობამ! ის არავის ათქმევინოთ, მამა მოუხუცდათ და შვილებმა ბუხარში ცეცხლი გამოაქვრესო. ღმერთი იყოს თქვენი შემწე! გფარავდეთ ველიეთის წმინდა გიორგი!..

მაჭავარიანი რომ დათქმულ დროზე არ დაბრუნდა, ონის ციხეში გამაგრებული ქაიხოსრო წერეთელი მიხვდა, საქმე კარგად არ იყო და უკანასკნელი მოლაშქრენი, რომლებიც დალისტანში ყოფნისას სხვებთან ერთად თან ჰყავდა, კუდაროს გზით ქართლს გაისტუმრა კეხვის ციხის მოურავის გასაფრთხილებლად, რათა მას, თავის მხრივ, წერეთლის დანაბარები ერეკლე მეფის ყურამდე მიეტანა.

საქმე ის იყო, რომ ნადავლით ყელამდე ავსებულმა ლეკთა რაზმებმა, რომლებმაც ზემო რაჭის მოთარეშებით იმერთა სარდლის წინაშე ნაკისრი ვალ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დებულება შესრულებულად სცნეს, წინ უამრავი ტყვე, ასობით დასაპალნებული ცხენი, ყვავარშებმული ურმები და იალაღებზე ნასუქი პირუტყვის ჯოგები გაიძღოლეს და შინისაკენ გზას გაუდგნენ. მათი გზა ამჯერად ქართლზე იდო. მამისონის ულელტეხილზე და ფასის მთაზე, რომელზედაც ისინი აქეთობისას გადმოვიდნენ, მოულოდნელად არშინი თოვლი დასდო და ვიდრე არ აიღებდა, იქით მხოლოდ თავზეხელაღებული ლტოლვილი თუ გაბედავდა მგზავრობას. ეგეც რომ არა, ტყე-ღრეში გახიზნული ზემორაჭველები, ქალი თუ კაცი, თანდათან გონს მოეგნენ, მხნეობა დაიბრუნეს, პატარა-პატარა რაზმები შეადგინეს და რიონის პირზე რამდენიმე ალაგას დაბანაკებულ ლეკებს მოსვენებას არ აძლევდნენ. თქმა არ უნდა, ეს მოუხელთებელი მფრინავი რაზმები მამისონის კლდეებშიაც ჩასაფრდებოდნენ, მისასვლელებს წინასწარ ჩახერგავდნენ და საქარავნო გზაზე არამცთუ ქვეყნის გამატიალებელ მტრის ლაშქარს, კაცს-სულიერს არ გაატარებდნენ.

ძარცვა-ტყვეობაში გამოცდილმა და აქაური ადგილმდებარეობის ზედმიწევნით მცოდნე ლეკმა ბელადებმა ეს საშიშროება უმალვე იგრძნეს და შედარებით უშიშარ ქართლის გზას თვალი იმთავითვე დაადგეს. ქაიხოსრო წერეთლის ვარაუდი და კეხვის ციხის მოურავისათვის კაცების გაგზავნაც სწორედ ამ გადაწყვეტილებას ემყარებოდა. ახლა, როცა წისქვილი უკულმა დატრიალდა, მხოლოდ ქართლ-კახეთ შეეძლოთ, რაჭიდან მომავალ ლეკ მარბიელებს სადმე ვიწროში დახვედროდნენ. ომი გაემართათ და, თუ ყველას არ გაულეტდნენ, ტყვეები და ალაფი მაინც დაეყრევინებინათ.

სამ დღეს იდინა ჯარმა ჯეჯორის ხეობაში. მეოთხე დღეს მეწინავე რაზმებმა კუდაროს მიაღწიეს და თავის მოსაყრელად ერწოს ტბის მიდამოებში დაიბანაკეს. ქედს იქით, ლურჯ ნისლში, ლიახვის ხეობა და ათასი გამოუცნობი ხიფათით გულის შემძვრელი ქართლის მთა-გორები მოჩანდა.

როცა დაინახეს, წერეთლის ბიერ საერისთავოს ასაკლებად მოყვანილი ლეკები ქვემო რაჭისაკენ გამოლაშქრებას რაღაც მიზეზის გამო აღარ აპირებდნენ, სორის ბოლოზე, რიონის გაღმა-გამოღმა ჩასაფრებულმა ერისთავიშვილებმა თავად გადაწყვიტეს, სახუნდარები დაეტოვებინათ და წუნკალ მტერს იქით მიხტომოდნენ. ძმებთან მოთათბირების შემდეგ, ის იყო, გიორგიმ ჯარის აყრისა და ტაფობში რიგრიგობით მოგროვების ფიცხელი ბრძანება გასცა, რომ ქარაფზე დაყენებულმა მზირებმა ბატონი მამის, როსტომ რაჭის ერისთავის, მობრძანება ამცნეს. ძვირფას თოფ-იარაღში ჩამჯდარი და მძახლის ნაჩუქარ ყაბარდოულ ულაყზე ამხედრებული როსტომი მრავალრიცხოვანი ამალის თანხლებით მოსულიყო, თავისი საპატიო ტყვე როსაფ მაჭავარიანიც წამოეყვანა და ციხე მინდა ალი ენგიჩარისა და მისი ორმოციოდე მეციხოვნის ანაბარა დაეგდო. გიორგი, როგორც სარდალი, მამას პირველი მიეგება, თავი მძიმედ დაუკრა და ცხენის უზანგი დაუჭირა.

— არა, შვილო, გიორგი, მე არ ჩამოვალ, — ლმობიერად, თითქმის ალერსით უთხრა როსტომმა. — რავა ატყობ, კიდევ დიდხანს გვალოდინებენ ეგ რჯულძაღლები?

— სორში ვგონებ არავინ უნდა იყოს, ბატონო მამა. აქ დგომით რას გამოვრჩებით, არა სჯობია, ეკიყაროთ და წინ წავიდეთ?

— გული მეც მაგას მეუბნება, გიორგი, შვილო, მაგრამ ვაითუ ხიფანგს გვიგებენ. მზირები უნდა გაგეგზავნა და კარგად დეგეზვერა იქაურობა.

— გავგზავნე, ბატონო, ამ დილას, მამლიყიულზე, მეორედ გავგზავნე. არავინ არისო, ასე მოიტანეს ამბავი. აგერ არიან და თუ გინდა, თავად გამოკითხე.

— აბა, ქვე რაღას უცდი, შე კაცო, აქანა ყურყუტის დრო გვაქ? გეეცი ბრძანება და გამოიყვანე ჯარი! ვინ

იცის, შეიძლება კიდეეცაც მისწვდათ ყურში, ჩვენ რომ ყაბარდოდან მაშველი მოგვივიდა, რა არი გოუგებარი, და აქეთ შემოტევის მაგიერ დახვიეს ხელი ჩვენს სარჩო-საყოლებელს და უკან მოუსვეს...

— ჩვენც აგრე მიგვაჩნია, მამა, და რალაი შენი აზრიც ეგ არის, აწი უფრო გაბედულად გავწევთ წინ!

არ გაუცლია ერთ საათსაც, რაშველყაბარდოელთა შეერთებული ლაშქარი ორივე მხრიდან დიდრონი მუხებითა და ვერხვებით დაჩრდილულ საქარავნო გზაზე გაიჭიმა. სორში რომ შედიოდნენ, ნაბერალმა მეთოდემ მამა განზე გაიხმო, დაიმარტოხელა და როსაფ მაჭავარიანის დათმობა მოსთხოვა. სახლეულის და ქვეშევრდომთა სიტყვაშეუბრუნებელ მორჩილებას ჩვეული როსტომი ცოტა არ ოყოს შეაკრთო შვილის მოურიდებელმა კილომ და გაჩერებულ თვალებში ჩამდგარმა შურისძიებამ.

— ასე რამ მოგაწყურა სისხლი, მეთოდე, ქრისტიანი ხარ, ურჯულო ხომ არა! — როსტომმა წყენა არ დაუმალა საყვარელ შვილს, ოდესღაც მღვდელმთავარი ბიძის კეთილ კვალს რომ ადგა და მღვიმეების მონასტერში ბერად აღიკვეცა, პირში მიახალა. — ჭკუას აქეთ უნდა გვარიგებდე და გულში ლმობიერებას გვინერგავდე ყველას! გგონია, ჩვენი საქმე უკეთ მოგვარდება, თუ ტყვე შენ დაგითმე და მისი შენებურად დასჯის ნება მოგეცი? მაჭავარიანის ზვარაკად შეწირვით, ყური უგდე ჩემს სიტყვას, არაფერი შეიცვლება. მაგისთანა მაჭავარიანი ტყეში გავარდნილ სოლომონ მეფეს ერთი და ორი კი არა ჰყავს. მარტვა მტერს გავიმრავლებთ და სოლომონსაც და მის დამჭაშ წერეთელსაც უფრო გადავიკიდებთ!

საჩხუბრად შემართულმა მეთოდემ იგრძნო, გაჯიუტებული მამის დაყოლიება ამჯერად ადვილი არ იქნებოდა, მაგრამ დათმობით არც თავად დათმო, ერისთავს შეფარული მუქარით და ყვედრებით მიმართა:

— სანანებელი გაგვიხდება, მამაჩემო, ეგ შენი გულმოწყალება, ბოლო დროს რომ დაგჩემდა, თუ არა აგერ ნახავ! ეგ შენი დღევანდელი ტყვე, შენც უგდე ყური ჩემს სიტყვას, ბალღი ალარ ვარ, რა ვუყოთ, თუ უმცროსი ამდენს არ უნდა გიბედავდე, პირველი იქნება, ვისაც სოლომონი ჩვენზე გამოუშვებს და მაშინ რალას იტყვი?

როსტომი გულში კმაყოფილი იყო, რომ ამბოხებულ შვილს მოერია, დაიმორჩილა, როგორც ყოველთვის, ახლაც თავის ჭკუაზე გაატარა.

— მაშინ ომში შევხვდებით და თავად ღმერთი გადაწყვეტს, ვის მიკერძოს, მობარებული კი, ნუ დაგწყდება გული, მეთოდე, მამაშვილობას, მგელმა შეინახა!..

□ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲘᲥᲜᲔᲑᲐ□

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კარლო კოგბერიძე

საფეხბურთო ნოველა

უკვე ორჯერ შეიწამლა ვენახები, ხვალ-ზეგ მესამედაც უნდა გადალურჯდეს, თორემ მერე ყვავილობაში შეგასწრებს და, მტერს მფარველი მოუკვდეს, პატრონიც აღარ შეიშვება შიგ. თუ არ დაიშლის და მაინც შევა, ბარაქაზე რა მოგახსენოთ, საშემოდგომო დარდს კი ნამდვილად მოიკიდებს. ისე, კაცმა რომ თქვას, ახლა ვისლა აწუხებს შიმშილი, მაგრამ ერთიც ვნახოთ, ღვინის ქარხანას მაინცდამაინც შენი მიუტანელი ყურძენი დაუკლდეს გეგმას, სირცხვილით სადღა გამოგვეყოფა თავი? დიახ!.. ვაზის ყვავილობისას ვენახი შეეწამლოს, ანუ ასეთი აღუ არ იცოდეს, მილიციის ინსპექტორითაც რომ ეძებო, დაუპატიჟებელ სტუმარსაც ვერ მიაგნებ სოფელში. არადა, გუშინ რაიონის სპორტის უფროსობას უბრძანებია, ხვალ შუადღისას მოვდივართ და ოციოდე მაგარი ჯეილი დაგვახვედრეთო. ამ ოციოდეს იმდენი გამვლელ-გამომვლელი, ჩვენებური და აქეთ-იქითა სოფლელი უსაქმური მიემატა, სამ ვეება ცაცხვის ჩრდილშიც ვეღარ ეტევიან, თან იმხელას ყაყანებენ, ღელისპირა ცაცხვის ფულუროში გულყვითელებს აქვთ ბუდე და ბარტყები ეხოცებათ შიმშილით: ჭიაღუა ვერ მიუტანიათ შიშით. ერთი წუთით მაინც რომ ჩაფიქრდნენ, დედ-მამასაც ეშველებოდა, ბარტყებსაც, მაგრამ იმდენი აბდაუბდა, იმდენი ეშმაკის დაწნულ ძუასავით ჩახლართულ-ამოხლართულია საკითხია მოსაგვარებელი, რა დროს გულყვითელაა, თუ ღმერთი გწამს! რადიოც ყველას ეჩურჩულ-ელიღინება, ტელევიზორიც, გაზეთებიც მოსდით და მსოფლიოს ამბებიც სულ წყალივით იციან: „ჟაკლინ კენედი ქონებამ თუ არ გადარია, რაღა გადაყრუებულ არისტოტელე ონასისზე დაიწერა ჯვარი, ჩემს გვიან დაქვრივებულ სიმამრს გამოჰყოლოდა, „ტელე“ რაღა ჯანდაბა და დოზანაა, აკი ამასაც არისტო ჰქვია; სიფათი სიფათად და, არც ხალისი აკლია, არც — ჯანი. თუ არა გჯერათ, წადით და ხევ-ხევ თებრონესა ჰკითხეთ“... „საფრანგეთში თურმე ლოკოკინას ჭამენ: ხან შემწვარს, ხან მოხარშულსაო. აქაც ხომ ქრისტიანები ვართ და აქაც დადის ლოკოკინა, მაგრამ ჩვეულებაა ყველაფერი, აკი უფროსობაც ჩვეულებაა — ხმაც უნდა დაიბოხო, ბღვერა-ტურტურიც ისწავლო... ლოკოკინის ჭამა ჩვენშიც იყოს მოდაში, ავშენდებოდი კაცი. ბოლო გაწვიმებისას ბაზარ-ვანის ღელეში რატო ცხრაასი სახლკარ აკიდებული ლოკოკინა არ მიიქნევდა რქებს!“... „ცოტავანოს ცხენი ადმირალის ეზოში გადასულა. თვითონ ადმირალმა თქვა, იდგა

და ბალლინჯოს ვარდისა სუნავდაო. მეოცე საუკუნეა, გენაცვალე და, მუშა ცხენებიც გაგვიკულტურულდნენ!"... „ხეკაკუნას ქალის გათხოვება ალბათ თხოვება ჰგონია, თორემ კვირის თავზე შვილს უკან წამოიყვანდა?"... „გაგიქეცასა ვარ კაცო! — ოქროსია თუ ოქროს ისვრის, მაშ ნემსიყლაპიას თავისი დავარდნილი ვირი ორას ათი მანეთი უნდა დაეფასებინა?! „ნეტა, არქტიკაში საპირველმაისოდ რა ეღირება კილო კიტრი?", „ახლა არ თქვა, თემურ ალმაშენებელო, პინგვინები მარტო კიტრსა ჭამენო!"...

შენ ის გაგიკვირდეს, კაცი ნახო სოფელში, სალაყბოზე დანათლული მეტსახელი — თიკუნი არ ერქვას. თიკუნის გამოძებნა კი დიდ დაფიქრებას, აწონ-დაწონას, მოსანათლის ფიზიკური მონაცემებისა და ჩაცმა-ხასიათის გათვალისწინებას მოითხოვს, რაც დარქმევის შემდეგ ისე ბუნებრივად მიესადაგება მის კანონიერ მფლობელს, პასპორტში რა უწერია, ამას მარტო მაშინ ექვს მნიშვნელობა, რომელიმე არჩევნები რომ მოახლოვდება ხოლმე, ანდა შემოხვევითი სტუმარი შეუჭრიალებს კარს. ზოგიერთი მსოფლიო ალმოჩენისა არ იყოს, თემურის ზედმეტი სახელიც მთლად უბრალოდ, მოულოდნელად მიაგნეს: მეცხრე კლასში რომ გადაიყვანეს, აიკრა ენაზე და ვეღარ ააფხიკეს — ცოლის თხოვნას ვაპირებ და ცალკე უნდა გავიდეო. მამამისმა ქვახარშიამ, იფიქრა, დავაშინებო, საქმიანი ხალხი მოიყვანა და ოჯახის უფროსის სიმკაცრითა ბრძანა: სულკურთხეულმა მამაჩემმა გვარი-სახელის მეტი არაფერი დამიტოვა, მე კი, აი, ჩრდილოეთის კედელს ვაძლევ, სამი კედელი კიდევ თვითონ მიაშენოსო, რვა ოთახიდან მარტო ის არ არგუნა?! კარგიო, დაეთანხმა სიყრმისშვილი, მილიციის სახათაბალოდ მიდგა-მოდგა მაშინვე, საღლაც იშოვა დინამიტი და იმავე საღამოს ააფეთქა თავისი კედელი — ეზოს ბოლოში ვაპირებ ბუდრუგანის ჩაქოხებას და ეს ქვა-აგური იქ უნდა გადავიტანოო. დინამიტმა [illegible]ზე დააღებინა სახლს პირი, [illegible] მეც არ წაეღოთ, ნამჯილეპიას ამბარი შეეტეოდა უჯახიროდ. გაიცინა სოფელმა და ალმაშენებელი დაარქვა ქვახარშიას პირველჩენილს...

შუადღე რა ხანია გადავიდა, რაიონიდან კი ჩამიჩუმი არ ისმის ჯერჯერობით. რომ ალარ მოდიოდნენ, მე შენ გეტყვი, თავაზიანობა აკლიათ და, ან ტელეფონს შეაწუხებდნენ, ან საბოდიშო სიტყვას გამოატანდნენ ვინმეს. ჯანდაბას, არ მოდიან და ნუ მოდიან — ის მაინც იცოდნენ, რაზე იბარებენ, ამდენი ბიჭი რაზე მოაცდინეს ვენახების შეწამლას! ყვავილობამდე არ შეგიწამლია, დაეტაკება ჭრაქი და ისე გამოსვლეპავს მტევანს, მეყურძნე ძაღლის ნაოსტატარი გეგონება... ანდა კიდევ, როდის აქეთ დაედო ჯანს ფასი, აკი ქვეყნის ავ-კარგი ჭკუა-გონებაზე ჰკიდიაო?.. სხვები, ჰო, მაგრამ ბურნა რაღა დასაბარებელი იყო, ორი კვირაა სოფელს ალავლავებს — უქორწილოდ მოიყვანა ცოლი და, როგორა გგონიათ, ამას ახლა ჯანიღა მოეთხოვება?.. ამ გრილოში ყურყუტს ის არა სჯობდა, რაიონში დაებარებინათ? ავტობუსში აილალებოდნენ და სხვაც არა იყოს რა, ავტოსადგურის უფროსს, წუილაანთ ხვთისოს ბიჭს მაინც გაახარებდნენ: ბარონ მიუნჰაუზენის ფანტაზიით რომ გაუბერეს კვარტალურ-წლიური გეგმა, ორიოდე გროშით შეეწეოდნენ და მადლსაც მოისხამდნენ...

მახნოს ცხვირი დააცემინა. ღვთის ცეცხლიო — მიუალერსა ვილაცამ. შენ იყავიო — მახნომ გამეტებით ჩააზილა წიხლი გულალმა გაშხლართულ დენიკინს. თავფეხიანად გადაირია დენიკინი: წამოვარდა გინებით, აგურის ნატეხი აიყოლა და, პიპინმოკლეს არ ემარჯვა, ხელი არ აეკრა, მახნოს მძოვარათი გაქეციანებულ გოგრას წითლად გაუნათებდა ნაღდად.

ვიდრე დააჯერებდნენ, დენიკინი კი არა, ლაფნიჭამია იყოო, ბოლო ინსტანციამ — მესაფლავემ ჩამოიარა; იმ გა-

განია სიცხეში გარიბანდი ეხურა. მოიხადა გარიბანდი, გულზე მიიჭმუჭნა, თავი მდაბლად დახარა, ჭუჭყით დახუჭუჭებული ჭაღარა უჩვენა ბიჭებს, და მოკრძალებით თქვა:

— ჩემს კლიენტურას გაუმარჯოს!

ვინმე ასწავლიდა, თორემ, რაღა დარჩა — კინალამ სამოცი წელია, ფიქრში იჩიჩქნება და, რისი „კლიენტურა“, ისიც ვერაფრით გაურკვევია, რატომ წაართვეს მამაპაპეული სახლ-კარი და ეზო-ყურე, ტყე-ჭალა და ველ-მინდორი, ზვარი და ხვასტაგი... მათი წიგნებით რატომ ამოახურეს თონე, დავიჯერო, ფიჩხის შოვნა გაძვირდაო?... თავხე აქვს დაცერავებული და აქაიქაც ამიტომ ამოჰკრავს ხოლმე. ვერც წაუსტვენ — ამხელა ალალი ქონების პატრონს მშრალზე რომ დაგსვამენ, რა გასაკვირია, ან საყვავე ჩამოგიტყდეს, ან სამტრედეში დაიწყოს ქარმა ქშუილი. სოფელს უყვარს მესაფლავე, თანაც ჭამაზე მუშაობს, ჭამასა და პაპიროსის ფულზე. ეცოდება და იმიტომ უყვარს. ყოველ წელს დაბადების დღეს უხდის სოფელი: ქალს არ გაირევენ ფიქრიანი ბიჭები, ფულს ჩამოვლენ, იყიდიან საკლავს, რომელიმე შეიწერს თონის, მარნის, ჭერის, ჯამ-ჭურჭლის შეწუხებას, ბოლო ინსტანციას დაისვამენ სუფრის თავში და მიდის რია-რია: გულით ნათქვამი სადღეგრძელო, ერთმანეთს ადევნებული სიმღერა, ჩახვეული ბუქნა და მისამართიანი გინება. მაშინ შემოდგომა საცაა ჩამოეცლება ზამთარს, ჭირნახული დაბინავებულია და ფასიც ედება ფიქრს, მხიარულებას, ცოდვა-მადლს, ჯავრსაც.

— მოდი აქ, ბოლო ინსტანციავ! — ხელს უქნევს ლაფნიჭამია, — ჩვენთან თავი არ აგდევს, ქვეით რას იყურები?

— რა ვიცი, კაცო, მაღაზიაში ხო არ შეეიხედო-მეთქი! — გარიბანდს ამრგვალებს მესაფლავე.

— გიჭირს რამე?

— იქნებ პაპიროსი მანისიაოს ვირთაგვამ!

— შენ მარტო ფილტვები არ დაინანო და, ბოლს მოგაკლებენ?

და გარიბანდში ერთმანეთს აცვივა „კოსმოსის“, „მზიურის“, „დაისის“, „პრიმის“, „ფილიპ-მორისის“, „ლაიკის“ ღეროები; ვისაც რისი შოვნა მოუხერხებია, იმას იმეტებს.

— აგაშენოთ! — უხარია მესაფლავეს.

— ასე რამ დაგლუპა, კაცო? — ეკითხება ბურნა.

— მაგარი უმუშევრობაა! — სიგარეტის ღეროებს ჯიბეში იყრის მესაფლავე, — აემითვინ მეკვავრება გაზაფხული — იმდენი საქმე აგორდება ხოლმე, ქორწილს ვინ მამაძალი ჩივის, სიკვდილისთვისაც ძლივს იცლიან!.. ღმერთმა დალოცოს შემოდგომა — სულ გარეთა ვარ მაშინ!

— ეგეც იქითა სოფელში გუშინაც მასვენებდნენ, ჩვენ რაღა დარდუბალა ვ. გვემართა, არ ვიცი?...

— მეც მაგას არ ვამბობ? — მეორე სიგარეტს უკიდებს მესაფლავე, — სოფელში მკვდარი რომ გამოილევა, ის აღარც სოფელია!

— მე, მაგალითად, ექიმების ბრალი მგონია!

— რას ამბობ, ბურნავ? ეგენი არ იყვნენ, ვინღა დაგვაჯანდაგებდა წამლებით!.. ენაცვალოთ ჩემი თავი, შავი ანგელოზების მოგზავნილები არიან!..

ახლა კვრინჩხამ ჩამოიარა, ეტყობოდა, აფთიაქში იყო: ორივე ხელი შუშისა და კოლოფის წამლებით ჰქონდა სავსე.

არც გაჩერება აცალეს, არც — სალმის თქმა, ჯერ გომბეში დაეხმაურა:

— მაგრად მიიხუტე, თორემ გაგიფრინდებიან!

მერე, წრეწუნ-ვანო:

— შენ თუ უკულმართი არა ხარ, დილას აქეთ აფთიაქში რა გინდოდა?

მერე, ჯორ-ვანო:

— აქამდე არ წასულა?

— ვინა? — თავიც გააქნია კვრინჩხამ.

— შენი სიმამრი, ღამურია, ისევ აქ არის-მეთქი!

— ძალიან მოგნატრებია ხაშლამა!.. მოიცა, შენი სიმამრიც მოიყოლევევა ელიოზიანთ ყორესავით, ერთხელ შენც ჩაგყვება სიზმარში მოკლე-ავეოს კლარნეტი!

ბიჭები სიცილით კვდებიან. კვრინჩხას ჰგონია, ჩემს სიტყვებზე გამოაჩინეს კბილებიო, წრუწუნ-ვანომ რომ ჰკითხა, იმაზე კი იგუდებიან.

— შინ მიხვალ? — ახლა ბოლო ინსტანცია ეკითხება.

— რა გინდა, რო?

— ხო იცი, გამოსალეგი კაცი ვარ და, ავანსად დამპატიჟე.

— რაო?!

— იგრე მეჩვენება, მალე დამეხმაურები-მეთქი და, დროებითი უმუშევარი ვარ, ძალიან დაზარალდები რო დამპატიჟო?

კვრინჩხასაც გაეცინა:

— შენისთანა მადლიან კაცს ხელმწიფეც უნდა მოეფეროს!.. წამო, ბოლო ინსტანციავ, წამო, ისეთი დეიდალი დაგიკლა, საწყალი დეიდაბრის მოვლილი გეგონოს!

— ჰოდა, მე კიდევ იგეთი სასახლე გავუთხარო, იგეთი, შურმა ამოგიჭამოს მტრებმა!.. სოფლური სამუდამდღეო მოსასვენებელი ხო ერთი საქენია, შენი ხათრით ერთ-ნახევარზე ჩავალ.

— ქურდი იყო, გაუგებელი ქურდი, ომის დროს დაობლებულ ძმისწულებსაც დაუკრიფა ვენახი, ჯერ რა ესხა და ისიც დაუკრიფა! პირქვე უნდა დაიმარხოს, პირქვე და ბოლო ინსტანციას ჯანსაც შეღავათი მიეცემა — ერთი არშინიც თავისუფლად ეყოფა, — ამბობს ლაფნიჭამია და კბილებს აკრაჭუნებს. ბიჭები ხედებიან: თუ იწყინა კვრინჩხამ, ჩალოგინებული სიმამრის წამოსაყენებლად მოხვეტილ წამლებს, ცხვირ-პირზე მიანაყავს ლაფნიჭამია: ამათ კიდევ საქათმე დაუცარიელა. ღამურამ თავი დაიძვრინა ომიდან და უმამაკაცო ოჯახებს ქურდობით აწიოკებდა, — ადამიანები ვინ ოხრები ვართ, სიკვდილია ნადი კანონმდებელი! მაგასაც წაიყვანს და შენც, შენ უფრო ადრე ხარ წასაყვანი, მაგ არაკაცის შვილი რომ ითხოვე!—ქეჩოს იქექავს ლაფნიჭამია— ეს იმას ნიშნავს, ცოტაც და გაუჭანდება.

დენიკინი თვალით ანიშნებს კვრინჩხას, გაერიდეო.

კვრინჩხა თავდაღუნული მიიტუზება თავქვე, მესაფლავე შორიახლო მიჰყვება.

ბიჭები ალარ ხუმრობენ — ფიქრში არიან წასულები: ვის სიკვდილ აფიქრებს, ვის ბოროტება. ამასობაში გულყვითელებს ჭიალუა შეაქვთ ფულურაში და ამ დუმილში სიმხნევეად ისმის ბარტყების ჭყლაპინი.

მაღაზიასთან „ვოლგა“ ჩერდება. ყველანი იქით ისედებიან.

— ქალაქში წავიდაო და აქ კი ყოფილა ფილოქსერა, — ამბობს ღერღეტა და რწყილას მუჯლუგუნს ჰკრავს. — შენი ბიძაშვილია, მიდი, ჰკითხე, როდემდელა ველოდოთ-თქო, არ მოგშივდა მაინც?

— მოიცა, ჯერ მალაზიიდან გამოვიდეს.

ფილოქსერას კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ეძახიან, რაც გასოფლისთავკაცდა მას შემდეგ დაარქვეს, მანამდე მარტო საზამთრო უყვარდა და მარტო ყარფუზა ერქვა.

გამოვიდა ფილოქსერა მაღაზიიდან, უკაცრავად — ვარლამ ადამოვიჩი, ჩაჯდა მანქანაში და ბიჭებისკენ წავიდა. ცაცხვებს რომ მიუახლოვდა, მანქანა გააჩერებინა შოფერს, რაღაც უთხრა, მერე ბიჭებისკენ მიბრუნდა, ღია სარკმელში გამოყო თავი და სინანულით თქვა:

— რევიზორები დაგვეცნენ და მზის ჩასვლამდე ვერ ამოვალთო.

— როდის დაგვეცნენო? — ჰკითხა თემურ ალმაშენებელმა.

— დილას, ათ საათზე.

— მერე. ველარ გადმორეკეს?

— დაავიწყდებოდათ... რაც იყო იყო... მზის ჩასვლისას ამოდით კანტორაში... რა ვქნა, ბიჭებო, რა ჩემი ბრა-

ლია!.. უფროსი იმის უფროსია, უნდა დაუთმო — სხვანაირად არაფერი გამოდის!

— ვერ მოვერევით, თორემ, მე ვიცი, რომელ უფროსს რასაც დავუთმობდი! — ჩაილაპარაკა წრუწუნ-ვანომ და საათზე დაიხედა, — შობელძალლები, თვითონ თავიანთ უფროსობას მყრალა ბალახივით ეფინებიან ფეხებქვეშ, ჩვენთან არაფერი ესაქმებათ და ჩვენგანაც ამას მოითხოვენ!.. არც ამოვალ და არც არაფერი: დავადებ თავსა და ჩავალ ბოლოზე! ამ საღამოს შაბიამანი თუ არ დავაყენე, ხვალ მაინც თუ არ ავუარ-ჩავუარე ვენახს, მშრალზე დამსვამს და ნუგეშიღა მიშველის!

— ისე ამოხვალ, ლამაზად! — გაბრაზდა თავმჯდომარე.

— ვნახოთ!

— ბარდიანში სამი მწკრივი რომ გაქვს ზედმეტი, იმას აგარიდებ ხრალივით და ისიცა ვნახოთ!

—ეგა ხართ, აი, ეგა ხართ!—წრუწუნ-ვანოს ნაცვლად ლაფნიჭამია წამოიქოჩრა, — დამუქრების მეტი რა იცით!.. სულ წართმევ-წაგლეჯით იმუქრებით, ერთხელ არ აგიბრიალდებათ ყურები არც სირცხვილით, არც — ცოდვით!.. მაგას რომ წაართმევ, ჩემიც ზედ მიაყოლე! მერე გადმოდექი ტრიბუნაზე და ივაგლახე, ახალგაზრდობა ქალაქში გარბისო! წადი, ერთი, თქვენი!..

მაგრამ თავმჯდომარე აღარ უსმენს, შოფერს თავი გაუქნია წადიო. მანქანა ადგილიდან მოსწყდა.

— რა გაგასწრო? — ლაფნიჭამიას გაუღიმა რწყილამ.

— იმან გამასწრო და შენ აქ არა ხარ!.. წრუწუნ-ვანოს თუ სამი მწკრივი აქვს ზედმეტი, შენ კიდევ ორი ნორმა გიჭირავს!

— ჩემგან რაღა გინდა, გიშავებ რამეს?

— ამალამ ხელებს რომ ამოიდებ თავქვეშ და იაკო დიაკვანისეულ ლამფას ააჩერდები, მაშინ დაუკვირდი საით მიიმღვრევა ჩახრიალა!

— როდის მოეშვები ეგეთ ბლეების ჭამას? — შარვლის ჯიბეში ჩაიცურა ხელი რწყილამ.

— წინ იყურე, ნაგავო, საქმე არ გაუჩინო ბოლო ინსტანციას!

— რა ამბავია! — იყვირა მახნომ, — ეგეთ რამეზე ჩხუბი გაგონილა?!. მამა გიცხონდათ, ახლა გაიგეთ ქვეყანა უკულმართობისაო და, თქვენი პატიოსნების პატრონებს თავზარი დაგეცათ! — შუაში ჩავარდა და საჩხუბრად დალესილი ბიჭები დააშოშმინა, — ერთმანეთს ვერ იტანთ და საბერველის ფერდებივით ერთმანეთს კი ეხახუნებით მაინც!.. საღამომდე არ შეერიგებულხართ, ერთსაც დაგკარგავთ და მეორესაც!.. ბიჭოს!..

— ახლა ჩხუბის დროა! — ჩაიქირქილა ჯორ-ვანომ, — აგე, მკვდრების ხელმწიფე მოდის ვენახიდან!.. თოხს ტარი წაუძვრებოდა და აუკვირაძლებია!

მართლაც მკვდრების ხელმწიფე იყო, ამომველელ მანქანას ამოჰყვებოდა და იმიტომ მოდიოდა მაღაზიის მხრიდან... ისეთი მიცვალებულია, ხე რომ გადაეღობოს, მხარის აქცევა დაეზარება და ცხვირ-პირს შეახეთქებს. იწვებოდე, ერთ პეშვ წყალს არ მოგასხამს. მაგრამ შენი სახლიდან საპურმარილო სიმღერა თუ გამოვიდა და ყური მოჰკრა, რაღაც უკბილო რამეს მოიმიზეზებს და, ოქროს სტუმარი გყავდეს, გვერდით მოგიჯდება ორივე ყბის ქნევით — მე შენ გეტყვი, ძღომა ეკიდება!.. ეტყვი, აიბარგეო?.. კაცი უნდა გერქვას, თორემ ეს პურ-ღვინო მაინც თავზე საყრელია — გულზე ეფინებდე, ვინ დაგაყვედრებს, სოფლის სალაპარაკოდ ვის მოძულებია თავი!..

— ოთხი დღეა მეხუთე ცოლი მოიყვანა და იმიტომ მოეჩქარება, — თქვა დენიკინმა.

— მოიტაცებდა, — გაეცინა ღერღეტას, — ნეტა რამდენი წლისაა?

— პატარძალი?

— არა, ნეფე.

— რას გაიგებ — ჯორცხენასავით

მთვარე-მთვარე გაახლდება ხოლმე; რაც თავი შემისწავლია, სულ ამოდენა მახსოვს... ეგრე, რა — სამოცდასამისა იქნება!

— სამოცდახუთიც ნუ გშურს!

— დამენიძლავე!

— რა დროს მკითხაობაა! — ხელი აიქნია მახნომ, — მოვა და ვკითხოთ.

მაგრამ ვიდრე მკვდრების ხელმწიფე მოვიდოდა, მოსახვევიდან სატვირთო მანქანა გამოვარდა, ცაცხვებს რომ მიუახლოვდა, ერთბაშად დამუხრუჭდა, კაბინიდან ლაბადიანი კაცი ქოშინით გადმოვიდა, ჯერ სალამი თქვა, მერე იკითხა:

— აქაურები ხართ, ბიჭებო?

— ყველანი არა, — უთხრა ლაფნიჭამიამ.

— ორიც საკმარისია. ბესარიონ ნახუცრიშვილს ვეძებ.

ღერღეტამ და დენიკინმა თვალი უყვეს ერთმანეთს, ორივეს კი მახნომ დასწრო:

— ნახუცრიშვილი რამდენიც გინდა, მაგრამ ბესარიონი არავინ გვეგულება.

— ეს ხომ საბჭოა? — ორსართულიან, მოუვლელობით ჩაყამებულ შენობისკენ ხელი გაიშვირა უცნობმა.

— დიახ!

— ჰოდა, იმ ახლომახლო ცხოვრობს.

— რაშია საქმე? — ვითომ ახლალა დაინტერესდა ჯორ-ვანო.

— ჩემი მამიდა გამოთხოვდა აქა.

— აი, მკვდრების ხელმწიფეც ნახუცრიშვილია და, თუ ეცოდინება ვინმეს, ისევ ამას ეცოდინება.

მკვდრების ხელმწიფე ცაცხვის ჩრდილში შევიდა, თოხის ტარს დაეყრდნო და ისიც უცნობს მიაჩერდა.

— ნათლობის სახელი რა გქვია, მკვდრების ხელმწიფეო? — ჰკითხა ჯორ-ვანომ.

— ბესარიონი.

— ვერ უყურებ?!

სიცილი და ქირქილი ერთმანეთში აირია.

უცნობსაც გაეცინა, მკვდრების ხელმწიფეს ჩამოსართმევად გაუწოდა ხელი:

— ნანოს ძმისწული ვარ!

— კეთილი!

ახალი ნათესავები მანქანაში ჩასხდნენ, წავიდნენ და აწყვეტილი სიცილიც მაშინ გაისმა...

— ზოგი სალამოთი ვიცინოთ, — თქვა ლაფნიჭამიამ და პირველი გავიდა მზეში.

არ ამოვალო, დაიქადნა წრუწუნ-ვანომ, არადა, პირველმა თვითონ ახსმაურა კანტორის კიბე, უკან კი რწყილა მიჰყვებოდა, რწყილა და ლაფნიჭამია. ცოტა გადაეკრათ და თვალები უჟუჟუნებდა სამივეს.

— არც შენ იცი, რა უნდათ? — აივნის მოაჯირზე გადაყუდებულ ალმასრულებელს ჰკითხა ლაფნიჭამიამ.

— არ ვიცი, — წელში აიშალა ალმასრულებელი და მტევანწაჭრილი მარცხენა შუბლზე გაისვა.

— მა რაღა იცი?

— ისა, რო დამირეკეს — არ დაიშალნენ, ამოვალთო, ათის ნახევარზე ამოვალთო.

— თავმჯდომარეში შეეშლებოდი.

— ეგრეა.

— როდის ამოვალთო?

— ათის ნახევარზეო.

— იმათი მზე ძალიან გვიან ჩადის.

მზე რომ ჩავიდა, ყველა დაბარებული უკვე კანტორაში იყო — თავმჯდომარის კაბინეტში. თავმჯდომარემ სიას ჩააყოლა თვალი, მერე ბიჭებს გადახედა და ალმასრულებელს უსაყვედურა:

— კაცო, ილო თევდორაძე სადღაა?

— წუხელ ვენახში დარჩენილა. ბარეს კაცს გავატანე სიტყვა, კანტორაში გიბარებენ-მეთქი და, რა შესვამს ეშმაკის ცხენზე — ამოვა, ღელის მაყვლიანი ფერდობი რომ გააახოვა და ვენახს წაუმატა, სხვაც არა იყოს რა, იმისი შიში ამოიყვანს.

— იქნებ ამოვიდა კიდეც, აქვე არა ცხოვრობს, მიირბინე და იკითხე.

ალმასრულებელი რომ გაბუზღუნ-

და გარეთ, რაიონის სპორტის უფროსებსაც ეღირსა გამოჩენა. ორნი იყვნენ, ორივე მაღალი, ჭაღარა — ორმოცდაათ წელზე მეტს არცერთს არ მისცემდი, ვიწრო ჯინსები ეცვათ და ისე გამოსხლტომოდათ ღიპები, გეგონება, ორჩაფიანი კასრები ჩაუდგეს ხალათის შიგნითო. სალამი კართან დატოვეს და, გვეჩქარებაო, მაშინვე საქმეზე გადავიდნენ:

— თქვენი შველა გვჭირდება, — თქვა უფრო ჭაღარამ, დაიხარა, სკამს შეუბერა და მერე დაჯდა, — სასწრაფოდ უნდა ჩამოვაყალიბოთ ფეხბურთელთა გუნდი.

— სადა? — ჰკითხა ლაფნიჭამიამ.

— ამ სოფელში.

— მარტო აე?

— სხვაგან ჩამოყალიბებას დღეს და გუშინ მოვრჩით... ხვალ წაივარჯიშებთ და ზეგ გაიმართება პირველი კალენდარული მატჩები.

— მერე, ვინ უნდა ითამაშოს? — ჩაეღიმა ღერღეტას.

— თქვენ.

— რაო?!

— ჰო, თქვენ უნდა ითამაშოთ. თუ ზეგვე არ შესდგა თამაში, ულაპარაკოდ მოგვხსნიან! დღეს რევიზორები იყვნენ ქალაქიდან და საფეხბურთო გეგმა გაქვთ ჩაშლილი, გამოსასწორებელ ვადას — ორმოცდარვა საათს წუთი არ წაუმატეს. არ თქვათ, ფეხბურთი არა-სოდეს გვითამაშიაო!

— ბავშვობაში დედასაც გავეტირებოდი ხოლმე და, ახლაც გავეტირო?

— მოიცა! — მოიღუშა კოლმეურნეობის თავმჯდომარე, — სერიოზული ხალხი ვართ და სერიოზულადაც გეუბნებით — ჩვენი რაიონის ღირსება მოითხოვს, რათა სოფლებს შორის დაგეგმილი შეჯიბრი ფეხბურთში დროულად და უდანაკარგოდ შედგეს. გეგმამ, ამხანაგებო, „არ მცალია“, „ავად ვარ“. „მეზარება“ არ იცის! გაიგეთ? თუ ვერ გაიგეთ, მიწისმზომლებს ვეტყვი და ისინი გაგაგებინებენ!

— ხუთი წელია ბურთისთვის ფეხი არ მომიქნევია და რა უნდა ვითამაშო! — თქვა დენიკინმა, — თქვენ თამაშს ამბობთ და ტელევიზორში რო ფეხბურთია ხოლმე, იმის საყურებლადაც ვერ გამომიძებნია დრო.

— გამოგაძებინინებთ!.. ამ ცნობილი ადამიანების მოხსნას ეგრე ადვილად ვერ შეეგუები!.. წლიდან წლამდე ჯანს არ ასვენებთ, უგარჯიშობაზელა წუწუნებთ?

— მე ფეხბურთის თამაშზე გეუბნები, თორემ წაუძინე-გიოს შინაბერა, ასკილოიანი ქალიც რომ ამკიდოთ, შეუსვენებლად ავიტან ტბაწვერზე... მიწისმზომელებიო?.. არ იქნება ჩვენ კიდევ იმათი საკარმიდამო ნაკვეთები ავზომოთ?..

— ეგეც იქნება და ისიც, დედაშენის კოვლი რომ გავაუქმოთ... მოკლედ: შეეთანხმდით...

— ვინ და ვინ? — გაეცინა მახნოს.

— ჩვენ და თქვენ!

— ეგენი მოხსნას გადავარჩინოთ და ჩვენ კიდევ დავიღუპნეთ?

— თქვენს დაბადებამდეც იყო ვენახები, მაგრამ უთქვენოდ არ განადგურებულა და აქამდეც სულ შრიალ-შრიალით მოაღწია!.. ზეგ სალამოს შვიდ საათზე ყველანი სტადიონზე გამოცხადდებით. მანამდე ვენახების შეწამვლასაც მოასწრებთ და დასვენებასაც.

— კარგი, ასე იყოს, — დაეთანხმა ძუნძულა, — მაგრამ წავაგებთ და ახლა ამაზე არ დაგვამუქრო მიწისმზომელები.

— ნუ გეფიქრებათ, — მშვიდად თქვა ნაკლებ ჭაღარა რომ უჩანდა იმ ამხანაგმა, — არც სხვებს მოუკლავთ თავი ვარჯიშით. გეუბნებით, მეგობრებო, გეგმაა და სწორედ ამიტომაც ვჩქარობთ...

— კატების ყაიდაზე, — ჩაილაპარაკა ბურნამ და ყველანი გააცინა.

— შემდეგ კი, — განაგრძო მეორე ამხანაგმა, — მყარ გუნდს ჩამოვაყალიბებთ... ჯერჯერობით ხელი უნდა შეგვიწყოთ. ამ შემთხვევაში ანგარიში ბევრს არაფერს ნიშნავს...

— ფორმის საქმე როგორ არ იქნება?

— რომელი ფორმისა? — ვერ მიუხვდა.

— ყველა გუნდს თავისი ფორმა არა აქვს?

— ეგ უკვე თქვენზეა დამოკიდებული — ერთ-ერთი გუნდი ტრუსითა და უსახელოებითი ითამაშებს, მეორე — საქამრეს ზევით შიშველი. ამ საკითხში შეთანხმება არც ისე რთულია... რაც შეეხება ბუცებს, ჩვენ ამოგიტანთ... აგერ,— სიი მიაწოდა, — თქვენი გვარის გასწვრივ დაწერეთ თქვენი ფეხის ნომერი. ფულზე არ შეწუხდეთ, დღეს უკვე გადმოგვირიცხა ვარლამ ადამოვიჩმა, რაზედაც ულრმეს მადლობას მოვახსენებთ თქვენი სახელით.

— მაშ, გაგვიხმაურებია ჩვენი სოფელი! — თქვა ღერღეტამ, თავმჯდომარეს კალამი გამოართვა, მავედრებელ სტუმარს ქაღალდის ფურცელი, ჯერ თავისი ფეხის ნომერი ჩაწერა და მერე სიის ამოკითხვას შეუდგა:

— შენი ნომერი, ბურნავ!

— ორმოცდაერთი.

— შენი, მახნო?

— ორმოცი.

— შენი, რწყილავ?

— ოცდაცხრამეტი.

— შენი, დენიკინო?

— ორმოცდათოთხმეტი.

— რა, ბიჭო, ფეხი?

— პალტოს ზომას არ მეკითხები?

ეს რანაირი სახელები რქმევიათო — სტუმრებმა გაოცებით გადახედეს ერთმანეთს...

აღმასრულებელი დაბრუნდა, თავმჯდომარეს უჩურჩულა:

— ილო თევდორაძე მოდის.

— ხმამაღლა ვერ მითხარი, კაცო, ეს რაღა საიდუმლოა?

— სულ იმას არ შუუბნები, ყურში მითხარი ხოლმეო?

— სხვა რაღა იცი? — გაუწყრა თავმჯდომარე.

—სხვას კიდევ მაშინ იტყვის, აქედან რომ გააგდებ, — გაიცინა ღერღეტამ და ფეხბურთელთა სია დაუდო წინ.

— სახელზე მუშაობდით? — აღმასრულებელს ჰკითხა ჭალარამოსილებულმა ამხანაგმა და უმტკივნო ხელზე დახედა.

— არა, ქერჩში დავტოვე.

— მამაჩემი კიდევ მთლად იქ დარჩა.

— ღმერთმა აცხონოს!

ბიჭები დადუმდნენ, დანაღვლიანდნენ.

ამ დუმილში მკვეთრად, უსიამოდ გაისმა ზანტი ნაბიჯის ხმა და ჯოხის კაკუნი. ყველამ ლია კარისკენ გაიხედა: წლების სიდუხჭირით დაკოტავებული ილო თევდორაძე გამოჩნდა. ცხონებული, ისე იყო მოხვრილი წელში, თითქოს რაღაც დაუკარგია ხელიდან და იმას ეძებსო. კაცის შეხედვა რომ უნდოდა, ორივე ხელით დაეყრდნობოდა შინდის მოკლე, გატუსული ჯოხს და, წელში რომ ვერ იშლებოდა, კისერს ატანდა ძალას — კეფას მხრებში ჩარგავდა და ასე შეხედავდა ხოლმე.

ორივით დაეშვა სკამზე და მაშინ თქვა:

— აქა მშვიდობა!

გაგიმარჯოსო.

— რამდენი გაზაფხულია ეს კიბე ალარ შემიწუხებია! — ისე გამართული იჯდა სკამზე, გავლილი არ დაგენახა, ვერ იფიქრებდი, კინაღამ ოთახზე დადისო.

— ახლა რაღამ შეგაწუხათ, ილო პაპავ? — ჰკითხა ფილოქსერამ, უკაცრავად: ვარლამ ადამოვიჩმა.

— ეგ შენ უნდა იცოდე.

— საიდან მეცოდინება, გულთმისანი ვარ, თუ ზიარელი მკითხავი?

— რა ვიცი, ორი დღეა, გეძახისო.

— ვინაო, კაცო?!

— ვისაც ველაპარაკები!

— უკაცრავად, რა გვარისა ბრძანდებით? — ჰკითხა ჭალარამოსილებულმა ამხანაგმა და სხვათა შორის ჩაიხედა ფეხბურთელთა სიაში.

— თევდორაძე, ილო თევდორაძე.

— ვინაო?!

— ილო თევდორაძე.

— ეს რას გავს? — თავმჯდომარეს მიაჩერდა გაოცებული.

— რაშია საქმე, ამხანაგო თამაზ? — ჰკითხა შეფიქრიანებულმა თავმჯდომარემ და მიწოდებული ფურცელი გამოართვა.

თამაზმა თითით უჩვენა:

— ეი, ილო თეოდორაძეო!.. ამან უნდა ითამაშოს ფეხბურთი?! — აქაოდა თანამდებობის კაცი ვარო, ღიმილი რომ შეეკავებინა, ქვედა ტუჩი მოიგდო კბილებშუა.

ჭერის ერთბაშად შეასკდა სიცილი. ილო პაპასაც გაეღიმა:

— რა უნდა ვითამაშო, შვილო?!

მაგრამ ბიჭების სიცილში თვითონაც ძლივს გაიგონა თავისი ხმა.

თავმჯდომარე წამოვარდა და მაგიდას ლონივრად დასცხო მუშტი:

— ნაბირში ხომ არ გგონიათ თავი!

უცებ ჩადგა სიცილი, ლაფნიჭამია კი მუცელზე ხელებმიჭერილი გავარდა ივანზე. ისე ხარხარებდა, ლამის პირი გაიხია. თუ სასაცილოა, თავმჯდომარის ყვირილი კი არა, უპატრონო ძაღლთან სახსენებელი ჰიტლერი რომ გააცოცხლო და ის დააყენო თავზე ავტომატით, მაშინაც ვერ გაიჩუმებ.

— აქ რა გიწერია, ვის დაუძახეო? — თავმჯდომარემ აღმასრულებელს ფურცელი აუფრიალა ცხვირთან.

— ილო თეოდორაძესო, — მშვიდად უპასუხა აღმასრულებელმა და მშვიდად ჩაიხედა აცახცახებულ ქაღალდში.

ამ სიმშვიდემ უფრო გადარია სოფლის თავკაცი:

— არ იცოდი, რაზე ვიბარებდით?

— არ გითქვამს და საიდან მეცოდინებოდა?

— ილო პაპას ბიჭს რა ჰქვია?

— ჭყეტელა.

— პასპორტით გეუბნები, პასპორტით!

— მთელი სოფელი ჭყეტელას ეძახის და, მე რა ვქნა! — გაბრაზდა აღმასრულებელი, — ილოო და, ილო კიდევ ეს არის!... ამ სოფელში კაცი არ მეგულება, ზედმეტი სახელი რომ არ ერქვას და, ესეც ჩემი ბრალია? საიდან მეცოდინებოდა, შვილიც ილო თუ იყო:

თავმჯდომარემ გადაკრული სიტყვად მიიღო აღმასრულებლის ნათქვამი:

— მაშ, ჩვენს სოფელში ყველას ჰქვია ზედმეტი სახელი, არა?

— ყველას!

ივანზე გავარდნილ ლაფნიჭამიას ახლა ხველებამერეული სიცილი აუტყდა.

თავმჯდომარეს ფერფური წაუვიდა, მაგრამ წაყრუება ამჯობინა:

— როგორ დამაჯერებ, ვერ მიხვდი, ამ ჯანადქცეულ მუტრუკებს ეს დაჩამიჩებული ბერიკაცი რომ არ შეეერეოდა!

— ვიფიქრე, მიწების თაობაზე იბარებენ-მეთქი.

— მაშინ, კანონით, შენც იქნებოდი იმ სიაში.

— თუ მართლა კანონზე მიდგება საქმე, მთლად თავში შენ უნდა ეწერო!

— ეგეთი გაუგებარი ლაპარაკი რომ იცი, იმიტომაც გაგაგდებ ხოლმე კვირაში შვიდჯერ! სხვასაც ჰყავს პროფესორი ძმა, მაგრამ სოფლის თავკაცობა კი არ აუგდია ამუჩად! ხათრი ხათრიო და, აღარც დიდ-პატარა გაგეგება, აღარც უფროს-უმცროსი და აღარც სტუმარი! ხვალვე მოვიწვევ გამგეობის კრებას და მოგხსნი, ლამაზად მოგხსნი!

— ვის ემუქრები! — უყვირა აღმასრულებელმა, — მე რომ გერმანია, კიევიდან მოყოლებული ქერჩამდე, მოსაკლავად დამდევდა „მესერშმიდტით", შენ მაშინ უნიფხვო დატანტალებდი ორღობეში! მომხსნი თორემ სეიფი არ დამილუქო მდივნით გამშვენებულ კაბინეტში! თვეში სამოცდაათ მანეთს მაძლევ და, ამ შენგან გაუპატრონოებულ სოფელში წანწალით მაგისი საღირალი მარტო ფეხსაცმელი მიცვდება! ზოგჯერ იგეთ დავალებას მაძლევ ხოლმე, ლამის შენს მაგივრად მე ვეჩვენო გიუების ექიმს! ვითომ პატარა ბიჭი ვიყო, პაპიროსზედაც მგზავნი ამდროულა კაცსა და აქეთაც მებუზღუნები? — გატრიალდა წელანდელი აღმასრულებელი და ივანზე გაბრახუნდა. ვიდრე კიბეზე დაეშვებოდა, ერთხელ მოიხედა

უკან,—ფეხი თუ წაგიცურდა და ვინმე ჭკვიანს გავახსენდი, გიჩვენებ, როგორი წერა-კითხვა ვიცი და სიფათის გარდა სხვა კიდეც რა მცხია პროფესორი ძმისა!..

— მოდი და ამისთანა რეგვენ ხალხთან იმუშავე? — ხმადაბლა თქვა თავმჯდომარემ, მერე ბიჭებს გადახედა და ისევ აყვირდა, — რაღას უყურებთ და ვიღას ელოდებით!

— მწყერი ხეზე შემჯდარიყოს, ისიც გამიგია, მაგრამ დალაგებულ დროებაში ფეხბურთის თამაში არ გეხალისებოდეს და ითამაშეო, ეს კი — არა!.. კიევში ვართ და გერმანელებმა აგვიღეს, თუ რა ამბავია ჩვენს თავს? — მხრები აათამაშა ღერღეტამ.

— ვინ გითხრათ ბრძანებაარ?

— დამუქრება ბრძანებაა, სხვა რაღა სატკივარია? ჰო, ბრძანება კიდეც დამუქრებაა!

— ვინ მოგახსენათ? არც გემუქრებით და არც გიბრძანებთ!

— ჩვენ მხოლოდ გთხოვთ, — ჩაერია გაჭაღარავებული ამხანაგი.

— ასე — ჩვენი თავი გენაცვალოთ! წავიდეთ ბიჭებო! საღამოს შვიდ საათზე, არა?

— ცოტა ადრე.

ბიჭები წასასვლელად შეიშმუშნენ.

აქამდე არც ხმა ამოუღია ილო პაპას, არც გაჩუჩუნებულა, ახლა კი ისე ლონივრად დაჰკრა ჯოხი იატაკს, თვით კოლმეურნეობის თავმჯდომარეც კი შეკრთა:

— ვარლამო, რათ ამომიყვანე ვენახიდან!

— შენს ბიჭში შეგვეშალე, ილო პაპავ!

— თუ სამაიმუნოთა?

— როგორ ვეკადრება?!

— ოჰ, შენი სუყველაფერი! — ჯოხი მოუქნია, მაგრამ დროზე მიასწრო ძუნძულამ, პირზე კი ვეღარ ააფარა ხელი, — შე ყარფუზავ! შე ფილოქსერავ! კაცი დამცინოდეს, ვითომც არ გამიგია, შენი მასხრად ასაგდები ვარ, შე კაბინეტიანო ყაჩაღო! სოფელს ყურძენი არ შეარჩინე, ფური, ღორი და წყალი, გაანიორწყლე ყველაფერი, შე ჯიშგასანიორწყლებელო! გამიშვი, — მე მაგის სუყველაფერი!..

ეცოდება ძუნძულას: ხელი რომ გაუშვას, წაიქცევა.

— რა დაგიშავე, ილო პაპავ, რას მერჩი?! — ყბა ჩამოუვარდა თავმჯდომარეს.

— ვინ აგირჩია, აქ რო ზიხარ, შე მფარველაძაღლებულო! თან კიდევ ბებრებს გვაპამპულებ? ფეხბურთი ითამაშეო?! საფლავში მაინც ჩამიშვით ჩემს გემოზე, თქვე არაკაცებო, თქვე უნამუსო ბანდიტებო! ძაღლმა როგორ უნდა გაჯობოთ, ბალღსა და ბერიკაცს არც ულრენს და არც აშინებს...

ბერიკაცი ვერაფრით ვერ გააჩუმეს. მაშინ ჯორ-ვანომ ხელში აიყვანა და ასე ჩააქანა ეზოში. ახლა იქიდან ისმის სიბრაზით მისუსტებული ხმა:

— შენისთანების მფარველის სუყველაფერი!.. იმათიცა და შენიც!.. კაცი რო თავის სოფელს არ დაინდობს, ის ქვეყანას გამოადგება! თვალებდაჭყეტილო ბრმებო! მოლაქლაქე მუნჯებო! მოსიარულე მკვდრებო! ფულში ჩაფლულო მათხოვრებო!..

იმ ღამეს წვიმა მოვიდა. წვიმდა გაბმულად, ბარაქიანად მოშრიალებდა ფოთლებში, მიირხეოდა თხრილებში, მოწანწკარებდა კრამიტებიდან. გვალვით დაშაშრულ მიწას მალამოდ, სიცოცხლედ დაეცა ღრუბლის ნაჟური.

მეორე დღეს ღრუბელი არ გადიყარა ზეცამ — პირი ვერ შეიშრო დაჭინჭოხებულმა მიწამ და ვერც ვენახები შეწამლეს.

მესამე დღეს კი დილითვე გადმოდგა მზე და დილითვე ააბმაურა ზვრები...

აფიშებმა დაგვიძახა, ხუთ საათზე სტადიონის აქეთ-იქითა ჩრდილიანი ეზოები სეირის მაყურებელი უსაქმურებითა და გოგო-ბიჭებით გაივსო, ეზოებიცა და საქონლითა და ქათამინდაურით მოხრიოკებულ-გაშარავებული სტადიონიც. რაკი „ლელა“ გაქვს

გამოწერილი, ფეხბურთიც გეცოდინებაო, თავმჯდომარემ ჯდომით მორყეულ-გაცვეთილი სკამიდან წამოაგდო მოანგარიშე — ჩალია ბირკაშვილი და კოლმეურნეობის სპორტის მმართველობა ჩააბარა, თან დააიმედა: ხელფასიც მეტი ვექნება, დროც, დრო თავზე გადაგვა და ვენახსაც უსაყვედურროდ მიხედავო. ამით ერთი საქმე ნამდვილად დაილაგა, სამაგიეროდ მეორე აიწყო: მაშინვე წარმოიდგინა, რა ტელეფონების რეკვაც, შინაურების მისვლა-მოსვლაც, რაიონში გამოძახებაც და ათასი დავიდარაბა ატყდებოდა, არიქა, მოანგარიშის ადგილი გამოჩნდაო. მაგრამ ესეც არაფერი: წელიწადში ბარე ცხრა რევიზიას უძლებს და ამასაც რამენაირად გაუძლებდა. ღმერთმა აცოცხლოს ოჯახის მოყვარული, მადლიანი, დამჯერე, წინგახედული რევიზორები! ჭამა ნეხვის ჭიასაც უნდა, უფროსო, ინდაურსაც, სახედარსაც და ადამიანსაც!

ღმერთმა ამრავლოს ბურთზე გადარეული უსაქმურები. ბურთს თუ არ დასდევენ, ფეხბურთზე მაინც ლაპარაკობენ. სწორედ მათი წყალობაა, სტადიონზე კარის ძელები მოუფამფალებლად რომ დგას; ძელების ჩაყრაც მათი წყალობაა და გადარჩენაც — ხალხმა იქით მოიპარა სახერხი ქარხნიდან და, ეგლა აკლიათ, ამათ კიდევ აქეთ მოპაროს სხვამ!

შვიდის ნახევარზე ყველამ მოიყარა თავი. პირველად ძუნძულამ იკითხა, ბურთის საქმე როგორაო; ენის მოსაფხანად იკითხა, არადა, საამისო თადარიგის დამჭერი არავინ აღმოჩნდა. ვიდრე საგონებელში ჩავარდებოდა ჩალია, მანამდე გამოჩნდა მშველელი, ყურას ბიჭი ყურაქვიტა გამოსრუტუნდა თავისი ეზოდან და მთლად ახალი ბურთი არ გამოაგორა? — გუშინ იაგო პაპამ გამომიგზავნაო. ეს თუ ახლავე შერეკილი არ არის მამამისივით, მაშ შარშან დასაფლავებული კაცი გუშინ ბურთს გამოუგზავნიდაო? რას არ დაპირდნენ, შებინდებამდე გვათხოვეო, მაგრამ ვერაფრით დაიყოლიეს. კრეტელამ წაიბუზღუნა, ამის ყურეებდაგრძელებულ მამას უმაღლესი აქვს დამთავრებული. როგორ და რანაირად დაამთავრა, ვინა კითხულობს, საბუთსა ჰქვია ცოდნა — იმას ვერაფერს გააგებინებ, შვილს რა უნდა ელაპარაკო, შენობა გვღირსებოდა — წლეულს საბავშვო ბაღში უნდა ეცლოო. უბნის წვრილფეხობა იხმეს საგანგებო მრჩევლად და საქმეც მოგვარდა — ათხოვე და ყურაქვიტას აღარ დაგიძახებთო. მას შემდეგ მართლაც აღარ დაუძახიათ ყურაქვიტა — ყურაპანტურა დაარქვეს. ხიტყვის პატრონს რა გამოლევს ამ ქვეყანაზე!

— უსახელო ბიჭი კაცი ვარგა, არც სოფელი და არც ზურგგადალეტილი სახედარი, — თქვა ლაფნიჭამიამ.

— მართალია! — დაეთანხმა ჯორვანი.

— მართალია და, ჩვენს გუნდსაც დავარქვათ სახელი.

ვინ — აბლაბუდიანი ტკიბაო, ვინ — წითელაო, ვინ — ნაცარიო... ხან ესა, ხან ისაო და, ფილოქსერა ამჯობინეს.

— მერე, თავმჯდომარეს არ ეწყინება? — ვითომ შეფიქრიანდა ღერღეტა.

— იტყვის, მე მქვია და გუნდს რატომ არქმევთო? — გაეცინა ძუნძულას.

— კარგი საძრომელია, ღმერთმანი! თემურ ალმაშენებელო, იმოდენა ზვრები ეგრე ადრე შეწამლე?

— როგორც კი ინათა, მაშინვე დავიწყე... ეგრე ვარ დაღლილი, ძლივს ვსუნთქავ!

— მე კიდევ ვენახის გადალურჯებასაც მოვრჩი და სიმინდსაც შემოვუხვევე მეორედ. ძილი დამნატრულდა, კაცო!.. რა დაიღუპე თავი, არა, ბურნავ?

— რაზე ამბობ, თავცარიელო?

— ღამეც რო ჯაფა გადგას, იმაზე.

— აბა, აბა! — გაუწყრა ბურნა.

— ახლა მაინც მიხვდი ბკვიანი გლეხკაცის სიმღერის აზრს: „წაუყვანელს არ გაგიშვებ, მოვიდეს შემოდგომაო“, ჰა, მიხვდი?

— რას ჩამაცივდი, რა გინდა?

— შენ ეგ მარტო სასმელ-საჭმელის გულუხვობისათვის ხომ არ გეგონა?

— ვაჰ, დღეს მე ვარ მოდაში?!

— ახლა ხომ გაიგე-მეთქი.

— გაიხარე: ჰო, გავიგე! — და თვითონაც გაიცინა...

შვიდს თოთხმეტი წუთი რომ აკლდა, ორი სატვირთო მანქანით გამოცხადდა მოწინააღმდეგე — სოფელ ხილოვნის გუნდი. ეტყობოდა თავმდაბალი ფეხბურთელები იყვნენ: მოთამაშეებსა და გულშემატკივრებს ვერაფრით ვერ განასხვავებდი ერთმანეთისაგან. ძარადან ჩამოხტნენ თუ არა, მაშინვე შეცვივდნენ ხახვთა მეფის კაკლის გრილოში. ალბათ, მათთვის საკმაოდ ცნობილი იყო „ფილოქსერას“ შეკოწიწების ამბავი და საარაკოდ განადგურებას უპირებდნენ, თორემ ან სალმის დავიწყება რა იყო, ან შორიდან ზვერა-თვალთვალი!

იქიდან ისინი იბლვირებოდნენ, აქედან ესენი.

ბოლოს ერთი ბიჭი გამოეყო სტუმრებს, მასპინძლებისკენ წამოვიდა, თავის დაქნევით მიესალმა ყველას და იკითხა:

— მწვრთნელი რომელია?

— მე ვარ, — ხელი გაუწოდა ჩალიამ.

— ერთი წუთით, საქმე მაქვს, — ისე გაიყვანა გვერდზე, ხელზე ხელი არ გაუშვია, — რა გქვია?

— ვალერიანი. შენა?

— სევერიანი... ერთი სათხოვარი მაქვს და, თუ ძმა ხარ, არ დაიუარო. მაგადანში მე არა ვარ და კალიმაში — შენ, შეცვლებით და ეს სიკეთე ჩემზე იყოს.

— მითხარი, კაცო, უკვდავების წყალს არ მოინდომებ და, თავ-ხელი არ მიმიწვდებოდეს, ისეთ რამეს, ალბათ, არც შემომჩივლებ!

— მართალია. რამდენი ხანია, რაც ბიჭებს ჯარიშებ?

— ძალიან ცოტა.

— მაინც?

— სამთვენახევარი ზუსტად გუშინ გახდა.

სევერიანი შეწუხდა.

— მაგარი მომზადებულები ყოფილხართ!

— მე, მაგალითად, არა ვარ კმაყოფილი, ნამეტნავად ნახევარდაცვა, მთლად დაცვა და მეკარე არ მომწონს — გუშინდლამდე ცხრა ბურთი გავცვითეთ და მაინც ვერ შეეწყნენ ერთმანეთს, — ჩალიამ თავი მიაბრუნა უკან, — აის, მაღალი, „პრიმას“ რომ ახრჩოლებს, დაბალი — ტყემალს რომ ეყუდება და „კოსმოსს“ აბოლებს, ცოტა იქით, წამოწოლილი რიგია და „მზიურს“ ეწევა, ძმათა შვილები არიან. სამივეს ერთი გოგო მოეწონა და ამაზე დაირივნენ. მაგათი საკითხი პროფკავშირის დახურულ კრებას გადავეცი განსახილველად, მილიციის უფროსის ცოლისდაც ჩავრიე, ყოფილი რაიკომის პირველი მდივნის ყოფილი შოფერიც, მოსამართლის სიდედრიც, მაგრამ ვერაფრით ვერ შევარიგე! თავდამსხმელები მაინც არ იყვნენ, ერთმანეთს არ აწვდიან ბურთსა და რას გაიტანენ! თუმცა იმედს მაინც არ ვკარგავ — ვარჯიში ვარჯიშია და, მოწინააღმდეგესთან ალბათ ერთმანეთის წყენას დაივიწყებენ. პატრიოტიზმი, ჩემო ძმაო, გაჭირვებასაც გამორიცხავს, უცოდინარობასაც, უვიცობასაც და, ხშირად, საკუთარ თავსაც... უკანასკნელად: რა დროა? ეს ოხერი „სეიკო“ სპორტდარბაზში დამრჩა! ჯარი მე დავკეტე, გასაღები კი ყარაულს მივეცი; გუშინ თურმე, სიდედრი მოტაცეს ქელეხიდან, იქ გაქცეულა და გასაღები თან არ გაპყოლია?! ნეტა, უშველოს რამე მაინც და ჯანდაბას, უფორმოდ ვითამაშებთ.

სევერიანმა საათზე დაიხედა:

— რვის ხუთი წუთია. აგვიანებენ! თქვენც ბუცებს ელოდებით?

— სხვა გამოსავალი არც არის: თავი მოიკლეს, ჩვენი ნასყიდი ბუცებით არ ვითამაშებთო.

— ჭკვიანი ბიჭები ყოფილან!

— უბედურად!

— რაღას უყურებ, ჩალიავ? — დაუძახა ლაფნიჭამიამ.

ჩალიამ წაუყრუა.

— არ გეყურება, უფროსო?

— მგონი შენ გეძახის, — ჩალიას მიაჩერდა სევერიანი.

— ვინ მეძახის?

— აის, მალალი, „პრიმას“ რომ ახრჩოლებს.

— ეგა, ჩემი მეზობელია და, შინაურულად, მოფერებითი სახელით მომმართავს ხოლმე. რა გინდა, ბიჭო?

— თუ ვიწყებთ, ბარემ დავიწყოთ, თორემ გავტრიალდები შინისკენ და ერთ ჰექტარ საველახე მიწას დამპირდეთ, ისიც ველარ მომპირუნებს!

— რამ გაგაჯავრა, კაცო?

— ვითომ არ იცი?

— ცოტაც მოიცადე და მოვლენ მსაჯები!

— იქნებ გადადეს?

— არა მგონია!

— ხუთ წუთსაც დაველოდები, მერე წავალ და წავუძინებ. წლეულს ალაზნიდან მზიური მეორეთ ამოველ შინა და, სიზმარს მაინც გამოვრჩები!

სევერიანმა ისევ საათზე დაიხედა:

— ზოგი ხათრით, ზოგი შიშით — ძლივს წამომყვნენ. არ წამოსულიყვნენ, ან შაბიამანს დავლევდი, ან ინტრათიონს. თუ ვერც ერთს ვიშოვნიდი, ვერც მეორეს, თოკს რაღა დაუდგებოდა წინ: შევხსნიდი ჩვენს სახედარს და ჩამოვეკიდებოდი ლორქლიავაზე!

— რათა, ძმაო? — ვითომ გაიოცა ჩალიამ.

— იმათ რომ უყურებ, — თავისი ხალხისკენ გადაიქნია თავი, — ფეხბურთელებს გარდა, ყველა სალაყბოს შტატია. მოიუმზადებლად ვითამაშოთ, გაგვაბოლრჩალოელებენ და ამათი ენის წყალობით შინიდან ველარ გამოვალთო. ჩვენი უსაქმურები, ჩვენი? ჰოდა, გვეცით პატივი, დიდი ანგარიშით ნუ მოგვიგებთ. აკი წელანაც გითხარი, დანარჩენი ჩემს კაცობაზე იყოს-მეთქი. მთა მთას ვერ შეხვდება, თორემ კატა და თაგვი კიდეკვაც შეხვდებიან ერთმანეთს!

— მართალია, — დაეთანხმა ჩალია, — კატა თაგვსაც შეხვდება და, არც ის არის საკვირველი, მეფესაც შეხვედოს! მოკლედ, ჩაწყობილი თამაში გავუშვათ, არა?

— ჰო.

— მერე?

— რაღა მერე?

— მაგით რა გამოდის ვითომ?

— კაიკაცობა.

— არა გრცხვენია!? — იწყინა ჩალიამ, — სულ ახლახანს მიმიღეს პარტიის წევრობის კანდიდატად და არ იტყვიან, დახედეთ, როგორ მოვტყუვდითო, ეს კაცი რას სჩადისო! ასეთი... ასეთი, უკაცრავული პასუხია, თამაში შეიძლება?! რომ გახმაურდეს, რას იტყვის რაიონის ხელმძღვანელობა! ხალხი პატიოსნებას გადაეგო და ჩვენ აქ ჩავწყოთ?! ქვეყანა ნეგატიურ მოვლენებს ებრძვის, ძლივს მოვიშორეთ გამფლანგველ-გამომძალველ-კომბინატორები, ალარც შტერებს, იდიოტებს აწინაურებენ, ენაც დაიწმინდავეს უფროსებმა, შენ კიდევ მეუბნები, ანგარიშზე წინასწარ შევთანხმდეთო?!. სტუმარი არ იყო, — თითი დაუქნია, — გამოვიძახებდი მილიციას, წაგიყვანდნენ და ისინი მოგაქცევდნენ კაცად, მე შენ გეტყვი, სინდის-პატიოსნების ნიმუშად არ გამოდგებიან! ძლივს დაედო პატიოსნებას ფასი და ახლა...

— უკაცრავად — სადაური ხარ? — შეაწყვეტინა სევერიანმა.

ჩალიამ აქეთ-იქით მიიხედა, უკანაც:

— მე, მეკითხები?!

— დიახ.

ჯიბიდან „კოლხეთი“ ამოიღო და მიაწოდა:

— შენი აზრით სადაური უნდა ვიყო?

— არ ვიცი, — სიგარეტს მოუკიდა სევერიანმა, — ათი წელი რომ ვიფიქრო, ვერაფერით ვერ მივხვდები! — ნაფაზი დაარტყა, — სად იშოვე?

— რაიონში.

— ზუსტად?

— მილიციასთან რომ მალაზიაა, იქა.

— ზემოთა თუ ქვემოთა?

— ქვემოთა. სამოცი კაპიკი ღირს. გამყიდველმა „ვოლგა“ უნდა იყიდოსო, ისა — 24. ღარიბი ყოფილა და ხელს უწყობენ. საერთოდ, ღარიბებზე ზრუნვა ჩვენი ერთ-ერთი წმიდათაწმიდა მოვალეობაა! კარგი ბიჭი ჩანხარ და ის უხეირო სიტყვა როგორ წამოგცდა, ღმერთმანი, ძალიან მიკვირს!

— რას იზამ, არ გაგიგია, გაჭირვება მიჩვენე და უკანონობას გიჩვენებო!

— წენგო! — დაიძახა ვილაცამ.

სეფერიანმა მხარი აიწურა.

— წენგო! — ისევ დაიძახა.

ჩალიამ ტუჩების ცმაცუნით შეხედა სეფერიანს:

— მგონი შენ გეძახის, — გაეღიმა.

— ეგ ჩემი მეზობელია, მეფერება, — თვითონაც გაეღიმა და შეტრიალდა, — რაო?

— მგონი მოვიდნენ, — ხელი გაიშვირა სტადიონზე აფუტფუტებული „ჟიგულისკენ“.

მანქანიდან ოცდაოდე წლის ბიჭი გადმოვიდა გასაღებების ჩხრიალით და იკითხა:

— მწვრთნელები სად არიან?

— ეგე, მოდიან, — უპასუხა რწყილამ.

ჩალია და წენგო მივიდნენ.

— რაიონის სპორტკომიტეტის ინსტრუქტორი გახლავართ, ამჟამად — მსაჯი ჰამლეტ როლანდის ძე სომხიევი. ბუცები მოვიტანე, — ხელი გაუწოდა ჩამოსართმევად.

— კეთილი — ვალერიანი!

— სასიამოვნოა — სეფერიანი.

ჰამლეტამ ორი ქაღალდი ამოიღო პორტფელიდან, ერთი ჩალიას მიაწოდა, ერთიც წენგოს:

— განაცხადებია, შეავსეთ. ნომრების მიხედვით ჩაწერეთ ფეხბურთელები, სათადარიგო კი ბოლოში მიაწერეთ... ჰო, გუნდებს სახელები უნდა ერქვას, ესეც აუცილებელია, ამხანაგებო! ფიზიკებს, სახელში ჩანდეს სოფლის ისტორია, მისწრაფება, ამედი, — ენთუზიაზმი, მომავალი, ყველაფერი ის, რასაც განათლება-გონებასთან აქვს საქმე!

— კალამი ხომ არ გექნებათ? — ჰკითხა ჩალიამ, — რის ვაივაგლახით ვიშოვე და, მილიციის ინსპექტორმა არ მომპარა გუშინ?!

— შინ დამრჩა, — თქვა მსაჯმა და ჯიბეები მაინც მოიჩხრიკა.

წენგომ ქაღალდი მანქანის კაპოტზე დადო და თავის ხალხს ხელი დაუქნია:

— ყველანი მოდით აქ! — მეორე ჩალიას შეხედა, — შენებსაც დაუძახე, ბარემ ჩაიცვან ბუცები, თორემ დაგვაღამდება.

— ჯერ განაცხადები არ შეავსოთ?

— ვიდრე ჩაიცმევენ, ცხრა-ცხრას შეავსებ ამისთანას.

— შენ ეგრე გგონია! ვერ გაიგე, რა თქვა, უსახელო გუნდს სათამაშოდ არ გაუშვებო!

— მართალია, — დაეთანხმა მსაჯი.

— თქვენი გადაწყვეტილებაა? — დაინტერესდა წენგო.

— ზეიდან მომითითეს.

მსაჯმა მანქანის საბარგული გახსნა: ორი მოზრდილი ყუთი გამოჩნდა, ორივე სავსე იყო ბუცებით:

— ხილოვანი რომელია?

— მე ვარ, — უპასუხა წენგომ.

— მარცხენა ყუთი გადმოიღე, მარჯვენა კი ამათი იქნება, მასპინძლებისა.

— ნამდვილად! — დაეთანხმა წენგო და ყუთი გადმოიღო, — საიდან იცით, რომ სწორედ მარცხენა ყუთია ჩვენი და არა მარჯვენა?

— ეგე, ზედ არ აწერია?

წენგომ ყუთს შემოუარა და გაეღიმა:

— რისი ხილოვანი — პირველი ხარისხის მაკარონიო!

— რა დროს ხუმრობაა! — გაბრაზდა მსაჯი და თვითონაც ყუთს შემოუარა, — ჰოო... აბა, მეორეც გადმოიღე.

გადმოიღო.

— ამას კი აწერია! — თქვა წენგომ.

მაგრამ მსაჯმა არ დაუჯერა და დიდი გულისყურით შემოუარა მეორე ყუთსაც:

— პაპად მერგება, თორემ ჩემი ხელით არის მოსაკლავი! — უფრო გაბრაზდა მსაჯი, — ზუსტად ორჯერ ვუთხარი, ხილოვანი რომელსაც აწერია, მარცხენა მხარეს ჩადე-მეთქი და მარჯვნივ არ ჩაუდია?! ეგეთი დაბნეული საწყობის გამგე ხუთი არ მეგულება ამ ქვეყანაზე! დგას მთელი დღე და გაუთავებლად ლაქლაქებს!.. არ მეთქვა მაინც, კაცო, ზუსტად ორჯერ მაინც არ მეთქვა, ხილოვანი მარცხნივ ჩადე-მეთქი!

— იქნებ მარჯვნივ უთხარი? — დაეჭვდა ჩალია.

— არა მგონია!.. დროა, ჩაიცვან ბუცები.

— ჯერ განაცხადები არ შევავსოთ? — ისევ ჩალიამ ჰკითხა.

— ბუცების ჩაცმა რას გიშლით?

— კალამი არა გვაქვს.

— მე მაქვს, — თქვა ხილოვნის გუნდის მოთამაშემ და ჯიბეზე იკრა ხელი.

— კარგია, — მოიწონა მსაჯმა და კალამი გამოართვა, — შევთანხმდეთ: მასპინძლები საქმრეს ზეით გაშიშვლდებიან. რაკი ჯერჯერობით სათანადო სპორტული ფორმა არ გვაქვს, ასე უნდა მოვიქცეთ. კიდევ: გუნდებს რას არქმევთ?

— ჩვენსას „ფილოქსერას“, — უთხრა ჩალიამ.

— ჩვენსას კიდევ „ჭრაქს“, — თქვა წენგომ.

— ეგ რომელი „ჭრაქი“, ღამე რომ ანათებს და ზოგჯერ გაჭრება ხოლმე? — ჰკითხა მსაჯმა.

— არა, ვენახის ავადმყოფობა რომ, ისა.

მსაჯი ცოტა ხანს დაფიქრდა:

— არ შეიძლება, — თავი გააქნია, — ჩვენში დარჩეს და საკმაოდ უვარგისი სახელია ერთიცა და მეორეც!

— ჩვენც მაგას ვამბობთ, მაგრამ რომ არ გვეშველება არც ერთი? — დაეთანხმა ჩალია, — ვმუშაობთ, ვმუშაობთ და ძლივს ვერევითა: ფილოქსერას, მაღლა — ჭრაქს.

— მეკვენახეობის რაიონში ვცხოვრობთ და ეს სახელებიც ზედგამოჭრილია, — თან ბუცს იცვამს ლაფნიჭამია, — თუ პირადად შენ არ მოგწონს, ეს სხვა ამბავია. მართალი გითხრა, მე არც „დინამო“ მეხატება გულზე, არც „ტორპედო“ და არც „ლოკომოტივი“. სიცილზე არ მიდგეს საქმე, თორემ ამაზე უფრო სასაცილო სახელები ბევრი არ მეგულება სამზეოში.

— შენ ვინლა ხარ? — მიუბრუნდა მსაჯი.

— „ფილოქსერას“ თავდამსხმელი.

— მერე, რატომ არ აცლი უფროსებს ლაპარაკს? დააცადე, იმსჯელონ!

— უფროსებმა სულ ილაპარაკონ, სულ იმსჯელონ, ჩვენ კიდევ სულ ვიმუშაოთ, არა? ავადმყოფობა რომელილაა ადვილი, მაგრამ ლაპარაკით დაავადება ყველაზე დიდი სატკივარი ყოფილა, განსაკუთრებით მაშინ, როცა იცი, არავინ გისმენს. თუ გგონია გისმენენ, ეს უკვე სამარცხვინო ავადმყოფობაა. არსებობს შესაცოდი ავადმყოფობა და სამარცხვინო... არ იფიქრო, თითქოს შენგან მეჩოთირა რამე; ქვეყანა მე მარიგებს ჭკუაზე და შენც რომ არ დამარიგო, ნამდვილად მეწყინება!.. რაკი „ფილოქსერა“ და „ჭრაქი“ დაიწუნე, მაშინ ერთს „როტორი“ დავარქვათ, მეორეს „დიფერი“ ან — „რადიატორი“ და „კბილანა“. რას იტყვით?

— რაც დავარქვით, დავარქვით! — თქვა წენგომ,—განაცხადებში ჩავწეროთ უკვე და, არაფრით არ შეეცვლით. ამ ნათელი სახელებით გვათამაშებენ, ხომ კარგი, არადა, არ გამოვალთ სტადიონზე!

— მეც მანდ ვარ! — დაეთანხმა ჩალია.

მსაჯს შეეშინდა, მართლა არ ჩაიშალოს გეგმაო და დათმობაზე წავიდა:

— ჩემი უფროსები რას იტყვიან, თორემ მე რა მაქვს საწინააღმდეგო?

— რა უნდა თქვან, ვითომ? — ახლა ძუნძულამ წამოყო თავი.

—სპორტული სახელები არ არისო.

— სამაგიეროდ სავენახოა.

— რაც არის არის!—თქვა მსაჯმა, — მზათა ხართ!

— თითქმის.

„ფილოქსერას“ მოთამაშეები საქამრეს ზეით გაშიშვლდნენ, მწკრივის თავში დენიკინი დაიყენეს და ამით უმთავრეს საქმეს მორჩნენ. მსაჯმა ახლალა მოატარა თვალი სტადიონს და გაოცდა:

— ეს რა ამბავია?

— რაზე ამბობ? — ჩალიამაც იქით გაიხედა, საითაც მსაჯი იხედებოდა.

— ეზოებზე.

— უანგელოზოდ დაიგულეს სოფელი და ეშმაკები დაეპატრონნენ.

სტადიონის ქვემოთა მხარეს საუბნო გზა გადიოდა და ამან შეუშალა ხელი. თორემ აქეთ-იქიდან ზედ კარის ძელებზე გაატარეს ლობეები, ზემოთა მხრიდან კი კირის ნარჩენით გავლებულ პირით ხაზზე მოაყენეს ეზოები. ზოგმა პირდაპირ სტადიონის თავზე გადაჰკიდა ივანი. თანაც, რაღა ზეიდან მოეუარეთო, სტადიონის მხრიდან საბილიკო კარი დააყოლა ყველამ. ამიტომაც იყო, საქონელსა და ქათამ-ინდაურს გადარჩენილი ბალახი ფეხით წაშალეს, პარალელური ხაზებით დასერეს არავისი მიწა.

თამაშის დაწყებამდე კარგა ხნით ადრე აივნები სახლის პატრონებითა და მათი მეზობლებით გაივსო. ხახვთა მეფემ კი ლია აივანზე სუფრა გაშალა. რაო, რაო, ურმიანი ქვევრი დახარჯაო? — რაც სოფელში ძმაკაცი ჰყავდა, ყველამ იმ დღეს ამოიცალა გული და მეუღლის სანახავად მიაკითხა. მის მეუღლეს სამი თვის წინ, კუდზე ფეხი დამადგაო, კოლმეურნეობის ყოფილი თავმჯდომარის ფირუზ უნაფქოშვილის მეძებარმა გამოაგლიჯა ბარკალი და, მიუხედავად იმისა, რომ ავტორიტეტული ვეტექიმების კონსილიუმმა დამტკიცა, ძაღლი ჯანსაღიაო, ხახვთა მეფის კენინას ცოფის საწინააღმდეგო ოცდაათი ვეება ნემსი მაინც გაუკეთეს, რა თქმა უნდა, პროფილაქტიკის მიზნით.

მსაჯი მანქანაში ჩაჯდა, დაქოქა და სტადიონიდან გაიყვანა: იქვე ყურას სახლის კედლის ჩრდილში გააჩერა და ფორმაც უცებ ჩაიცვა. სასტვენი ამოიღო რეიტუზის ჯიბიდან, მწვრთნელებთან მივიდა და თქვა:

— რა ვქნათ, ჰა?

— დავიწყოთ, — ურჩია ჩალიამ.

— შეიძლება ეზოში გადავარდეს ბურთი.

— ეგეც არაფერი! ვინც გადააგდებს, მანვე უნდა გამოიტანოს.

— ასე ბევრი დრო გაიფლანგება. რაღაც უნდა ვიღონოთ.

— მაგალითად?

— მაგალითად: პატარა ბიჭები წინასწარ გადავგზავნოთ ეზოებში.

ჩალიამ დაუძახა პატარა ბიჭებს და ისინიც ხალისით დათანხმდნენ, ოღონდ იმ პირობით, თუ პატრონები არ დაიჭერდნენ. თავდები მე ვარო. ენდნენ. მაგრამ მერე ატყდა მთელი ამბავი — ყველამ იმ ეზოში მოიწადინა გადასვლა, სადაც ალუჩა, ბალი ან ხომარდული იდგა.

ბოლოს ეს საქმეც მოგვარდა, თუმცა კიდევ ერთი გაუთვალისწინებელი გასაჭირი გამოჩნდა — თურმე გვერდითი მსაჯებიც ყოფილა საჭირო! ფიქრის დრო აღარ იყო და ასე შეთანხმდნენ: ერთ გვერდით მსაჯს „ფილოქსერა“ დანიშნავდა, ერთსაც „ჭრაქი“.

დანიშნეს.

ჰამლეტამ მოედნის ცენტრში დადო ბურთი და მოთამაშეები სტადიონზე იხმო.

კენჭი ყარეს: „ჭრაქმა“ კარი აირჩია და მსაჯმაც ჩაბერა სასტვენს. ვიდრე დენიკინი ბურთს ფეხს მოუქნევდა, საგანგებოდ გამოყოფილი ბიჭები ეზოებში შეცვივდნენ.

დენიკინმა ბურთი ჯორ-ვანოს გაუგორა და თამაშიც დაიწყო. ჯორ-ვანომ ძუნძულას მიაწოდა, მაგრამ მოწინააღ-

მდეგემ ჩასჭრა, ოდნავ გაიგდო წინ და გამეტებით მოუქნია ფეხი. ბურთი ისე გასხლტა ძელებშუა, მეკარე ჭრიალა არც გატოკებულა. ბურთი მახნოს ბიძის, ჩოკინას მესერს მიეხეთქა და ისევ ძელებშუა გამოვარდა. ჭრიალამ ახლა იქიდან გამოაყოლა თვალი.

მარტო სტუმრებმა დასცხეს ტაში. აჩაკუნეს ლაწირაკს რომელიღაც რესპუბლიკის ცენტრალურ სტადიონზე ეგონა თავი და, წაიხულიგნა — ორივე თითი იტაკა პირში, დაუსტვინა. მგელიჭამიაანთ მიხამ სილაქი უჩვენა:

— კიდევ ჩამიძვრები ყურში და, აი!

თამაში ცენტრიდან დაიწყო: დენიკინმა ბურთი ისევ ჯორ-ვანოს მიაწოდა. ჯორ-ვანომ გაუქანა ფეხი და ბურთის ნაცვლად შიშით შებრუნებულ სტუმარს ამოჰკრა კუკუზნაკში. სტუმარი მოტრიალდა, მკვახედ მოიქნია ფეხი და ისეთი ძალით გაისროლა ბურთი, ჭრიალა დაიღუნა. ანგარიში ორამდე გაიზარდა.

— რატომ არ დაიჭირე! — უყვირა თემურ აღმაშენებელმა.

— მაგას რა ჯანდაბა დაიჭერდა, შტერო!

— გეცადა, იქნებ დაგეჭირა!

— რას მიედ-მოედები, წინ რომ გადავდგომოდი, მესერზე მიმატყლაპებდა!

მსაჯმა ცენტრში დადო ბურთი. გაბრაზებულმა დენიკინმა პირდაპირ კარისკენ გაგზავნა. მეკარემ ვერ იმარჯვა. „ჭრაქის„ ყინწა მოთამაშემ კი თქვა, ასე გატანილი ბურთი არ ითვლებაო, მაგრამ მსაჯმა — წესებს ვერავინ მასწავლისო, და ანგარიშის სხვაობაც შემცირდა.

ათი წუთის შემდეგ მსაჯმა კიდევ ერთი გატანილი ბურთი ჩაინიშნა, რაც უკვე ხუთით ხუთს ნიშნავდა.

გუნდის კაპიტნებმა რაღაც წაუჩურჩულეს ერთმანეთს და გაგორებულ ბურთს ოცი ფეხბურთელი დაედევნა: ხან ერთი კარისკენ აგორდნენ, ხან მეორე კარისკენ და უსაქმობით თავშებეზრებული მეკარეებიც შეცვივდნენ ჯგროში. მაშინ, შემთხვევით, ღმერთმანი, შემთხვევით, პიპინმოკლე მსაჯს წააწყდა, თვითონაც წაიქცა, ისიც წააქცია და ზედახორა გაიმართა. ძლივს გამოათრიეს მსაჯი. ბევრი იდავეს და ვერაფრით ვერ დაადგინეს, ამ ზედახორაში უფრო დამნაშავე ვინ იყო.

მსაჯმა სადავო ბურთი შეაგდო.

— ახლა ამისი დროა მქონდა, შეუწყალობით მიოხრდება ვენახი! — თქვა „ჭრაქის“ თავდამსხმელმა და საკუთარ კარში შეაგდო ბურთი. ერთი წუთის შემდეგ „ფილოქსერას“ საჯარიმო მოედანზე პატარა არეულობა მოხდა, რწყილა თავით ვერ შესწვდა ბურთს და ხელით მოიგერია. მსაჯმა თამაში შეაჩერა:

— რომელი ნომერი ხარ?

— არ ვიცი.

— არ გითხრეს?

— თავმჯდომარეს არ უთქვამს და სხვა ვინ მეტყოდა!?

— ჯერჯერობით მარტო გვარი-სახელით ჩაგწერ დამნაშავედ, — თერთმეტმეტრიანი დანიშნა.

ჭრიალა კარიდან გამოვიდა და გვერდზე გადგა.

— რატომ გამოხვედ? — გაუჯავრდა მსაჯი.

— მაინც ვერ ავიღებ და, რაღა ძალაა!

ძლივს დააყენეს ძელებში. წარმოიდგინეთ, მართლაც ვერ აიღო — პირდაპირ ლაჯებში არ გაუძვრა ბურთი?!

მაყურებელი თანდათან მატულობდა. სხვა მხარეს ადგილი არ იყო და საუბნო გზა გაავსეს. ხალხიც მატულობდა და სიცილიც.

მეოცე წუთზე თავისი ეზოდან გამოვიდა ყურას ბებია ნუშო, ხელში ორხელადიანი ეჭირა; ეტყობოდა, მაზლთან მიჰქონდა ღვინო. სტადიონზე აჰყვა ბილიკს და თერთმეტმეტრიანის აღმნიშვნელი თეთრი რგოლის გვერდზე გაიარა.

— ნუშოს მიაწოდეთ, ნუშოს! — დაიძახა ბურნამ და დახოცა ხალხი სიცილით. კაცმა რომ თქვას, რა აცინებდა,

ისედაც დიდი ჯაფა გადგასო, სათადარიგოთა სიაშიც ხათრით შეიტანეს.

— ერთი ყლუპი დამალევინე, დიდედ, ხახა მიშრება, — შეეხვეწა „ჭრაქის“ მეკარე.

— ჭიქა რომ არა მაქ, შვილო?

— ჭიქა რათ მინდა, წინაპრების მოსაგონარი უნდა დავლიო.

ნუშომ მაშინვე მოიძრო ფუჩეჩის საცობი და მიაწოდა:

— ისიამოვნე, შვილო!

მეკარემ გამოიძრთვა ხელადა, ორივე ხელით დაიჭირა, მაღლა ასწია და თქვა:

— ამ ბარაქიანი სასმისით იმ ჩვენს პატიოსან წინაპრებს გაუმარჯოს, დიდედ, ფეხბურთის სათამაშოდაც ძალით რომ არ ერეკებოდნენ. ახლა, სადაც სამართალია, სიონაღში უნდა ვიყო, სასტუმროსთან: საცოლეს პაემანი დავუნიშნე და ვერკი წავედი — საქვეყნო საქმეს ვერ ვუღალატე, უფრო: მამაპაპეულ ვენახს. არ წამოვსულიყავ, გიორგასს რას გაიგებ და, ერთიც ვნახოთ, მართლაც ჩამოეპრათ, მერე? მერე მესაფლავეობა უნდა დამეწყო. თუმცა მესაფლავეებსაც გეგმა აქვთ და არც იქ დამადგებოდა კარგი დღე! ერთი სიტყვით, ამ უპატრონო ფეხბურთის გულისთვის ცოლს ვეღარ ვირთავ, დიდედ.

— ბურთის დევნითვინაო?!

— დიახ.

— აგრემც მაგის მამგონი წასულა მამაჩემის გზა-კვალზე!

— ამინ!... ჰოდა, ჩვენს საცოდავ წინაპრებს გაუმარჯოს!... ჩვენსავით არც ტელევიზორის ნათურა გადაეწვებოდათ ხოლმე და არც აბაზის საღირალშა აძლევდნენ თუმანს. ტკბილი ხალხიც იმიტომ იყო, რომ ღმერთის შიში ჰქონდათ და მოვდლის რიდი. ჩვენ კი დიდად, მეურნეობის ერთი გავირებული დირექტორი გვამასხარავებს, მთელი სოფელი წავესიეთ და ადგილიდან ძვრა ვერ ვუყავით, ობერ-ვიცეცვიცეცები იცავენ და როგორ გინდა გამოაგდო კაბინეტიდან! იმის უნამუსო დამცველებს თოფი ეჭიროთ ხელში, არ შევუშინდებოდით, მაგრამ ქალამსავარძელი უჭირავთ და ვეღარც ვერაფერს ვუხერხებთ. იმ გრძელ-ქვეყანაზე იმედით წასულ ჩვენს საცოდავ წინაპრებს გაუმარჯოს, დიდედ! — მოიყუდა.

— ამინ, შე უბედურო!

ორიოდე ყლუპი რომ გადაუშვა, კარში შეავარდნილი ბურთი კინალამ ხელადას მიეხალა. მეკარემ მაშინვე მოიხსნა სასმისი და გაბრაზებულმა იკითხა:

— რომელმა დაარტყა?

— მე ვიყავი, — უთხრა მახნომ.

— ხელადა რომ გამვარდნოდა ხელიდან, როგორა გქონდა ვარაუდი?

— რა არის შიგა?

— რა იქნება ვითომ?

— ე? — ხელადა გამოართვა, — ვისი სადღეგრძელო დალიე?

— წინაპრებისა.

— გაუმარჯოთ? — ისე ხარბად სვამდა, მკერდზე ისხამდა ნახევარს.

სხვა მოთამაშეებიც შემოესივნენ:

— ცოტა ჩვენც დაგვიტოვე, უვარგისო!

მსაჯს კი ნუშო ბებია ეცა თვალში.

— სტადიონიდან გადი, ბებო!

— შენ არ მოიყარე ჩემი სწორი, ვის ეუბნები, გადიო?

თამაშის დროს არ შეიძლება უცხო პირის სტადიონზე შემოსვლა!

— ამ უბანში ვარ დაბადებულიც, გაზრდილიც და დაქმარშვილებულიც. სადღაციდან მოთრეულხარ და ჩემ მიწაზე არ მაყენებ? ვინ გითხრათ, მოდით და ითამაშეთო? მე დაგპატიჟეთ?

— კანონმა გვიბრძანა.

— კანონი კი არ უნდა გვიბრძანებდეს, უნდა გვეფერებოდეს!..

თითო-ოროლა ყლუპი ყველას შეხვდა, ცარიელი ხელადა დაუბრუნეს ნუშო ბებიას და ისიც წყევლა-წყევლით წახუსხუსდა შინისაკენ...

— ნეტა, რა ანგარიშია? — რწყილას ჰკითხა კრეჭელამ.

— მაყურებელს ეცოდინება... დამაწყდა მუხლები!

— შენ დაღლა ჩემი უნდა იკითხო!

ერთი პუქტარი ხარხატის ხიმინდი ჯიბრზე რომ მოიზიდა ფილოქსერამ, მაშინ არ დამილევია ამდენი ოფლი!.. რა ანგარიშია, ხალხნო!

— ცამეტით თორმეტი, — ბარე ოცმა უპასუხა ერთად.

— ვის სასარგებლოდ?

— ჩვენი!

— მალე დამთავრდება პირველი ტაიმი?

— თვრამეტ წუთში!

— რა ნელა გადის ეს უპატრონო დროს! მიმაწოდე, მასხნო! ეგრე! — ბურთი მიიღო კრუპელამ და დაარტყა.

ანგარიში გათანაბრდა.

— ჩვენკენ რათ ურტყამ, კრეპელ? — ვითომ ეწყინა დენიკინს, — შენი და სხვისა კარი ვერ უნდა გაარჩიო?

— სხვისა კარში არ შეეგდე?!

— იმითი კარი აკი მარცხენაა!

— ჩვენი და სხვისი რას გეუყვია! ეგ გასწავლეს სკოლაში? მაგ ტვინით ვინდა აშენო უკლასო საზოგადოება?

ბურთი ადმირალის ეზოში გადავარდა. მასპინძლებმა ერთმანეთს გადახედეს: ერთი კვირის წინ ეზოდან „ეიგული“ მოპარეს ადმირალს და ამან აალრიანა. სოფელი კიდევ იმაზე ბობოქრობდა, რაღა დროს სამოცდაათი წლის ბერიკაცის მანქანა და საქეა, შვილს რატომ არ დაანებებსო... ხაყვარელი ჰყავდა ადმირალს, „ბალლამა“ ერქვა, უცვე ჰენსიაში ბრძანდებოდა ისიც. პენსიამდე გეოგრაფიას ასწავლიდა სკოლაში და, თქვენს კატას მათ ეზო-სახლში ქვეყნის ამომგდები თავვიც რომ დაეჭირა, წასული იყო შენი საქმე — არაბული ხახელმწიფოები ხომ კნუტებივით ჰვევანან ერთმანეთს, ისინიც მოგეხაზა რუკაზე უშეცდომოდ და არც დედაქალაქები შეგშლოდა, მაინც არ მოგაშორებდა ორიანს. ამიტომაც დაარქვეს „ბალლამა“. სადუჩივლებდი და ვისთან — სკოლის დირექტორი კიდევ ფილოლოგი ადმირალი იყო და, რაკი სიყვარული წიგნებისკენ აღარ ახედებდა, ფუტურიზმს, შოვინიზმს, რეალიზმს, ერთმანეთში ურევდა. მიუხედავად ამისა, მისდამი დაქვემდებარებული საშუალო სკოლადამთავრებულები უმაღლესში ისე შედიოდნენ, ბილეთებიც ჰქონოდათ, ასე ადვილად „დინამოს“ სტადიონის ჩრდილოეთის ტრიბუნაზეც ვერ მოხვდებოდნენ. ისტორიის, ფილოლოგიის, ფილოსოფიის ფაკულტეტებზე რა მოგახსენოთ და ამგვარი ცოდნა საჭიროზე მეტიც იყო იმ უმაღლესი განათლების მისაღებად, შემდეგ მდივნებად, გამომძიებლებად, წვენების სპეციალისტებად, რევიზორებად, ათასი ჯურის მმართველ-მდივნებად რომ მოეკლინებიან ხოლმე ქვეყანას და ცოდნით გამოტენილი თავები ხიცილადაც არ ჰყოფნით... კინალამ გულიდან გადამივარდა: ამ ადმირალმა, წესის თანახმად, სადაც ჯერ არს, იქ შეიტანა განცხადება, ასეა და ასე ჩემი საქმე, მანქანა მომპარესო. თითქოს მისამართი შეეშალაო, ის განცხადება უბნის ინსპექტორს დააწერეს. მივიდა ინსპექტორი, მიიხედ-მოიხედა ეზოში, მიზვერ-მოზვერა იქაურობა, მერე ჰკითხა, ეჭვი ვისზე გაქვსო. ადმირალმა რსაიმილიციის უფროსი, პროკურორი, სასამართლის თავმჯდომარე და ცოტა დიდებიც არ დასახელა? ასეთ შეურაცხყოფაზე პასუხს გაგებინებენო, დაემუქრა მისი ნამოწაფარი ინსპექტორი. რათა შვილისა, ეგენი და მაგისთანები პატიოსნად რომ ისხდნენ თავიანთ სკამებზე, მანქანას კი არა, კიტრსაც კი ვერარ მოპარავდნენ შინა ვენახიდან და ჩემი ცოლიც სულ იქ აღარ დაეყუდებოდა საფრთხობელასავითო. ინსპექტორმა კანონის ჰუმანურობას გაუსვა ხაზი. მაშინ კი, იცოცხლე, გაბრაზდა ადმირალი, ისე გაბრაზდა, შვილს არ გაეჩერებინა, უარესსაც იტყოდა: კანონი იმისი კანონი უნდა იყოს, გოდორივით არაფერი ეყურებოდესო; როცა ქურდს, გამფლანგველს, კომბინატორს არაფერი სცხია ჰუმანურობისა, კანონი რაღად ეჰუმანურებაო?! მერე კოლეგა თუ კოლეგები ახსენა რატომღაც და შვილმაც მიაფარა პირზე ხელი. ასე იყო. ახლა, როგორი ამბავია, ამ უთავ-

ბოლოდ გადარეულ კაცს დაუძახო, შენს ეზოში ბურთი გადმოგვივარდა, მოძებნე და მოგვაწოდეო! არადა, ეზოებში ბალღების წინასწარ გადასხმის საკითხი რომ ირჩეოდა, ადმირალის სახლწინ ბალიც იდგა, ალუჩაც, ხომარდულაც, მაგრამ ყველამ დაიუარა, ვერ მოვეკვლევინებითო. მართლაც ძნელია სიკვდილი! ძნელი რომ არის სიკვდილი, აკი ტელეფონიც იმიტომ გამოიგონეს; სხვედან ოფიცრები კეთილმოწყობილ მიწაში და იქიდან წარმართავენ ომს, აბა! ადრე თვითონ მიდიოდნენ წინ და ამიტომაც იხოცებოდნენ ადვილად, თანაც ჩინ-ორდენებსაც ცოტას იღებდნენ; შეიძლება მაშინ ცოტაც იყო, რა ვიცი!.. საკუთარი უბედურების დასაცავადაც შეიძლება სიკვდილი, სხვათა ბედნიერებისათვისაც, მაგრამ ჩვეულებრივი ბურთისათვის კი ნამდვილად უხერხულია!

მაყურებელიც ფიქრში იჩხრიკება, ფეხბურთელებიც გამოსავალს ეძებენ და ამ დროს არ აყვირდა ადმირალი?

— ეზოა თუ სტადიონი, მე შენი!..

ამ ყვირილს კუტიკარის ლაწანი მოჰყვა და სტადიონზე დაფეთებული ნეზვიც გამოვარდა, უკან ადმირალი მოსდევდა ჭოლოკით:

— საიდან შემოძვრა, მე ამისი!

მაყურებელმა ტაში დასცხო.

ადმირალმა ნეზვს ჭოლოკი წამოუსვა და ღორის ნაცვლად სუნსული ნასყიდას მარნის ცხაურიანი სარკმლის მინა კი ჩალეწა.

ღორმა სიგრძე გადასჭრა სტადიონი, ორივე ძელებშუა გავარდა და თავქვე დაეშვა. მაგრამ ახლა სტადიონზე სუნსული გამოვარდა ნაჯახით:

— ვის უმტვრევ ფანჯრებს, რო უმტვრევ!.. გამიშვით!

ადმირალი ერთბაშად გახეოდა, ალბათ არ მოელოდა.

რწყილამ ნაჯახზე უტაცა ხელი:

— რას შვრები კაცო, შენი ბიძაშვილი მაინც არ იყოს!

— მალე გამოიტანეთ ბურთი, თორემ გამეცინება, — ხმამაღლა კი სხვა თქვა, — დამიშავებია რამე შენთვის?

ადმირალმა პირჯვარი გადაისახა:

— ღმერთი-რჯული!

— მაშინ, კეტს რალათ უშენ ჩემს სახლსა?

— აი, ხალხი, ჰკითხე — ღორს ეესროლე!

— დაიფიცე!

— შვილებს გეფიცები!

— ეგრე გეთქვა შე კაი კაცო, რაღას მაბრაზებდი!

— მკითხე და დაგიმალე?.. ნეტა ვისი ღორი იყო?

რწყილამ ბურთი ცალი ხელით ასწია მაღლა:

— გადმოვაგდო?

— მოიცა, — შეაჩერა მსაჯმა და ადმირალს მორიდებით უთხრა, — ბოდიში, მაგრამ დროით გადი სტადიონიდან.

ადმირალი აჩქარებული ნაბიჯით წავიდა თავის სახლისკენ. რწყილას რომ მიუახლოვდა, გაჩერდა და ღიმილით უთხრა:

— ღორი არ გამომტყვრალიყო, ფიწლით დაგიჩუტავდი ემაგ ბურთს.

მსაჯმა სასტვენს ჩაბერა — პირველი ტაიმი დამთავრდა.

დამთავრდა პირველი ტაიმი და ორივე გუნდი ცალ-ცალკე დადგა კაკლის ჩრდილში. ცხელი მზე, თან სირბილი და, ერთიანად გაყოდნენ ბიჭები. ვინ ცხვირსახოცით, ვინ ხალათით, ვინ კაკლის ფოთლით მოიშორა მლაშე ოფლი.

ჭყეტელა მიწაზე გაიშხლართა გულალმა.

— ადე, თორემ გაცივდები და ბოლო ინსტანციის საამებლად იქნებ ორი სანთელი დაიჭირო ხელში, — უთხრა დენიკინმა.

— მეც ორდენებიანი ბალიშით გამაცილებენ, ხო იცი!

— სიცოცხლეც ამიტომ გინდა, მკვდარო! ცოტაც მოიცადე, სულ ცოტაც და არც შენ დაგსვამენ მშრალზე, მარტო, აი, ბევრი ლაპარაკი ისწავლე

— ბევრი მუშაობა და ბევრი ლაპარაკი არ გამოდის, ამხანაგო!

— ლაქლაქს უფრო დიდი ფასი ადევს და, შენ რაღა გენაღვლება, იქით გაუტიე. მაღლა-მაღლა რომ არ ვიარო, აგე, ჩვენი თავმჯდომარე აქ არ არის?

— მოიცათ, — ტაში შემოჰკრა ჩალიამ, — თექვსმეტით თექვსმეტია, არა?

— ზუსტად არ იცი, კაცო?! — გაუკვირდა დენიკინს.

— ზუსტად ყურას ეცოდინება, კენჭები მიაზიდინა ბიჭს, — თქვა პიპინმოკლემ.

— ყურაც! — დაუძახა ჩალიამ, — ერთი წუთით მოგვხედე, თუ ძმა ხარ! — მერე ისევ ფეხბურთელებს გადახედა, — ათი ბურთიც გაიტანონ ზედმეტი, მაინც სტუმრები ჰქვიათ და სირცხვილია, მშივრები გავუშვათ.

— ამისთანა ნათელი სიტყვა, შენი სიდედრი რომ გავაცილეთ მოუსავლეთში, გამომშვიდობებისასაც არ გითქვამს!—მოუწონა კრეტელამ, — მაშ ამაღამ დამიყენებია ლაბები!

— რა გნებავთ? — იკითხა ყურამ, — რათ წამომაგდეთ, უხერხულად ვიჯექი ყორეზე?

— ზუსტი ანგარიში ეცოდინებაო, — ღერღეტამ ნამწვი გამოართვა თემურ ალმაშენებელს, ნაფაზი დაარტყა და ჯორ-ვანოს მიაწოდა.

— ჩვიდმეტით ჩვიდმეტია.

— ბენზინი გიდგას მანქანაში?

— ბლომად!

— გადაირბინე მაწანწალასთან და ერთი ფუთი ლორის სამწვადე გამოართვი.

— მერე, ფული?

— ჩემი სახელით მიდი და ფული თუ გიხსენა, ამას წინათ საბჭოს თავმჯდომარეს გინება რომ მიაყარე, ის მშვენიერი სიტყვები არც ჩემთვის დაიშურო... ცოტა აჩქარდი, მზე აკი ჩაიწვერა და საცაა ჩამობნელდება.

— სად მივიტანო?

— ჩვენსა, — თქვა მახნომ, — დღეს ხუთი თონე ჩააკრა დეიდაჩემმა.

ახლა რწყილამ მოიქაჩლა თავი:

— აქედან რომ გაივლი, ჩვენებს დაეხმაურე, ვიდრე მივიხედ-მოვიხედავ, შვიდი ქათამი გაქერქეთ და შეწვითთქო.

პიპინმოკლემ:

— მთელი ფუთიანი ვედრო კიტრის წნილი-თქო.

ძუნძულამ:

— ხირხატისა დახარჯეთ და ჯერჯერობით სამ ოცლიტრიან შტოფში ამოიღეთ-თქო.

ჯორ-ვანომ:

— ჩემს ცოლს უთხარი, ველისციხიდან ხიზილალა და სათალი რომ ამოვიტანე ბებიაშენის წლისთავისათვის, ის გამომიგზავნე-თქო. ცხონებული კეკე უიმისოდაც იოლას გავა...

მეორე ტაიმი დაიწყო.

ეტყობა, ხახვთა მეფის სტუმრებმა ნელ-ნელა შეაყოლეს სმა, თორემ აქამდე მოეკიდებოდათ ღვინო და სიმღერასაც შემოსძახებდნენ აქამდე. ახლა კი აივნიდან ისეთი სიმღერა გადმოეფინა სტადიონს, მასპინძლებს ყური ჰქონდათ მიჩვეული და სტუმრებს გაექცათ იქით თვალები.

— ღმერთო შენ მიშველე, — ჩაილაპარაკა ძუნძულამ და აივანს უმარჯვა ბურთი. ბურთი აივანში შევარდა, კედელს მოხვდა. ხახვთა მეფეს არ ემარჯვა, მაგიდაზე დაეცემოდა და ერთმანეთში აურევდა ხელადებსა და თეფშებს. ისევ სკამზე დაეშვა ხახვთა მეფე, სანამ „შაშვი-კაკაბის“ ბოლო მუხლიც არ ჩაათავეს, მანამდე სტადიონისკენ არც გამოუხედავს.

— გადმოაგდე! — დაუძახა მსაჯმა.

— ვიდრე არ მოხვალთ და ჭერს არ დამილოკავთ, მანამდე აქ იქნება ეს ბურთი.

— პირველობაზეა, კაცო!

— პირველობაზე, თორემ დღეს ტელევიზორი იცემს თავ-პირში, ხვალ კიდევ გაზეთი აყვირდება! — ბურთი ილლიაში ამოიჩარა ხახვთა მეფემ, მეორე

ხელით კი სასმისი ასწია და აივნის მოაჯირს ისე გადმოეყრდნო, თავდაპირველად მაყურებელი გაისუსა, ცოტაც და თავით გადმოეშვებაო, — ამით, მოთამაშეებო, თქვენს დახლართულ ფეხებს გაუმარჯოს! იმდენი სატკივარი არ დაელიოს თქვენს გამფეხბურთებლებს, რამდენი მოქნეული ბუკიც ბურთს აგიცდათ! თქვენ ხომ, ახლა მე რო მაოხრია, იმაზე ორასი გრამით ნაკლები ტვინი გაქვთ, მაგრამ იმათ უფრო მეტად აქვთ ნიათი გამქრალი, ვინც ეგეთი, სავალდებულო თამაში ბრძანა! ვენახები აგვიბალახდაო?... ამდენი მუტრუკი მოგაცდინეს, ამდენი შტერი მაყურებელი მოგვაცდინეს და რატო უარესად არ უნდა აბალახდეს! ჩვენ რა გვიჭირს, ჩაციებულ ღვინოს მაინცა ვსვამთ!

— ცეცხლათ შეგერგოთ! — ხელიც გააქნია ჯორ-ვანომ.

ხახვთა მეფემ ჭიქა გამოცალა და მერე დაუბრუნა სამადლობელი:

— რათა, შე ვირიშვილო, ეზოში შემოხველ და ფხიზელი გაგიშვი? — ბურთი ისე ღონივრად მოისროლა, სტადიონის მეორე მხარეს, მაყურებელში ჩაადგო და თვლემამორეულ მგელიჭამიაანთ მიხას თავში მოხვდა; იმხელაზე დააჭყლეტინა თვალები, ვიღაცამ თქვა, რთვლამდე აღარც დაეძინებაო.

ამ დროს მიწის მგელის, აბრიას სიდედრი ბაბალე გამოვიდა ეზოდან, ვარია და ხელწალდა გამოიყოლა:

— დამიკალ, შვილო, — შეეხვეწა „ჭრაქის“ მეკარეს.

— ჩემი თავი გენაცვალოს, ბებო! მოიტა, — ვარიას ძელზე მიადებინა თავი, მოუქნია ხელწალდა და თავი რომ გააგდებინა, ბურთიც გავიდა კარში. ვიდრე კაპიტანი გაუწყრებოდა, ახლა მიწის მგელის გერი ნაზო აყვირდა და იმავე ეზოდან ჩონჩორიკას კურკლა გამოვარდა სტადიონზე: ალუჩით უბე ჰქონდა გამოტენილი, თან მორბოდა, თან ალუჩა ებნეოდა. ფეხბურთელები ალუჩას დაეხვივნენ, მსაჯი კი გაშეშებული იდგა, ხან უპატრონოდ მიგდებულ ბურთს უყურებდა, ხან საათს დასჩერებოდა მაჯაზე.

დგანან ფეხბურთელები და ჭასქასით ახრაშუნებენ მყავე ალუჩას.

— გამოდით, ბიჭებო! — თავის გუნდს უბრძანა წენგომ.

ფეხბურთელები მკვირცხლად გაიკრიფნენ სტადიონიდან.

— მე აქ მსაჯი ვარ თუ ვინა ვარ! — გაბრაზდა ჰამლეტა და ჩაჩაჩული რეიტუზი აიწია, — რაშია საქმე?!

— წუთშესვენებას ვიღებ, — თქვა წენგომ.

— რასაო?!

— წუთშესვენებას.

— რას ამბობ, კაცო, წუთშესვენება მარტო კალათბურთშია დაშვებული!

— ძალიანაც მიუქარნიათ! კალათბურთის ტაიმები ოც-ოც წუთიანია და ოთხჯერ იღებენ წუთშესვენებას, თანაც ხშირად ცვლიან მოთამაშეებსაც. ფეხბურთში ასეთი სიკეთე რომ არ არის, მე პირადად დიდი დანაშაული მგონია!

— კალენდარულ მატჩს ნუ მიშლი, ამხანაგო, თორემ!... ამ უთავბოლობაზე სხვები იფიქრებენ!..

— ამდენი ხანია ველოდები და ვერ მოიფიქრეს. სხვამ ვერ მოიფიქრა და მე მოვიფიქრე.

მსაჯმა სასტვენს ჩაბერა, მაგრამ ხმა ვეღარ ამოაღებინა.

— შემოდით, ხალხნო!

თუმცა მსაჯის თქმაც აღარ იყო საჭირო — ბალს კენწეროზე მოჰქცეოდა ვიღაც ბიჭი და კუნწულები არ გადმოუყარა სტადიონზე?!

ფეხბურთელები ახლა ბალს წაესივნენ.

— ოცდახუთი წუთი კიდევ დარჩა, ხალხნო! — იხვეწება მსაჯი, — ბარემ დავამთავროთ და მერე თუნდაც ძირხვენას დაუწყეთ თხრა!

— ბურთს ვეღარა ხედავენ და, როგორ ითამაშონ? — უთხრა ჩალიამ.

მსაჯმა მიიხედ-მოიხედა და საწყლად თქვა:

— ჰო, დაღამებულა... რა ვქნათ, ამხანაგებო!

— [illegible] და [illegible].

— მოიტა ხელი.

ჩალიამ, წენგომ და მსაჯმა ხელი ჩაურტყეს ერთმანეთს.

ოქმი რომ გააფორმეს და ანგარიშიც ჩაწერეს ოცდასუთით-ოცდასუთი დამთავრდათ, ყურიც დაბრუნდა: ყველაფერი რიგზეა, ხტუმრობილა გვაკლიაო. მსაჯმა — ხალხსახურო მიკრძალავსო, ფარი თქვა პურ-მარილზე, ჩაჯდა მანქანაში და წავიდა...

მესამე დღეს რაიონულმა გაზეთმა ამ მატჩის მოკლე მიმოხილვა გამოქვეყნა, ასეთი: ერთმანეთს შეხვდნენ სოფელ ხილოვნის „განთიადი" და ბარდიანის „წიმსვლა", შესვენების ფრუდ, ორითორი დამთავრდათ. კიდევ ოთხი დღის შემდეგ კი, კიდევ ოთხი დღის შემდეგ, რაიონის ხელმძღვანელობა დაჯილდოვეს სიგელებითა და ფასიანი საჩუქრებით, ხპორტული მასიურობისა და კურძოდ — ფეხბურთის მატჩების მადალ დონეზე ჩატარებისა გამო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აკაკი გეწაძე

ფეხშიშველა სასიძო

არც ისე სასაცილო ამბავი

მზე რომ ამაღლდა, თეკლე და თეონა გამოჩნდნენ ბილიკზე. თეონას ხელში კალათა ეჭირა. გათიბულ ფერდობთან შეჩერდნენ და აქეთ-იქით დაიწყეს ცქერა. შევატყე, მე მეძებდნენ.

— დილა მშვიდობისა! — გადავძახე კლდის ცხვირიდან.

— ა, ეგერ არ ყოფილა! — წამოიძახა თეონამ.

წუთში ქალებთან ჩავფხოწიალდი.

— რა იყო, რატომ მიყურებთ გაკვირვებული?

— იმ კლდეებში რას დაეძებდი? — მკითხა თეკლემ.

— პატარა სათიბი იქაც არის, ზვინნახევარი მაინც გამოვა.

— ჩვენ კი რა არ გავიფიქრეთ! — საყვედურივით მითხრა თეონამ.

— მაინც ისეთი რა გაიფიქრეთ?

— გათიბული ფერდობი რომ დამხვდა, გამიკვირდა, როდის შესძლო-მეთქი. — თეონას თეკლემ დაასწრო პასუხი. — მერე, რომ მიმოვიხედე და ვერსად დაგინახე, უფრო გამიკვირდა, ეტყობა, მთელი ღამე თიბავდა და ბალახს ცვარი რომ შეაშრა, შინ გაუტია-მეთქი. ღამე თიბავდი, ხომ?

— უმთვარო ღამეში?

— აბა, ამდენი რაფერ მოასწარი?

— რიბირაბოზე ავდექი. ალიონზე უკვე აქ ვიყავი.

— თუ ასე თიბე, ასიცხებამდე კი მორჩები. — თქვა თეონამ.

— რაღა დარჩა.

თეკლემ კალათა ჩამოართვა თეონას.

— აბა, შვილო, მუხისქვეშ მივიდეთ! პატარა წავისაუზმოთ. ისედაც დაგვიგვიანდა.

— არ მინდა, შინ წავიხემსე. — ვიუარე მე.

— აბა, აბა, თავპატიჟს ნუ იდებ!

მეტი გზა არ იყო, წავყევი თეკლეს მუხისაკენ.

ირგვლივ ნათიბის სურნელი იდგა, ყვავილოვანი სურნელი, მზის სურნელებით შეზავებულ-შეკაზმული. ეს სურნელება ახლა განსაკუთრებით ვიგრძენი, თითქოს იგი აქ კი არ გაჩნდა, თეონას მოჰყვაო.

თეკლემ საუზმე ჭრელ მუშამბაზე გაიწყო. პირნისკარტა დოქით ღვინოც კი ამოეტანა. დოქს ფუჩეჩით ჰქონდა თავი დაცობილი.

თეონამ დიასახლისობა მთლიანად მამიდამისს მიანდო, თვითონ კი უცხოსავით მუხის მსხვილ ფესვზე ჩამოჯდა და ბერხევისკენ დაიწყო ყურება. ჩემკენ ერთხელაც არ გამოიხედა. მეწყინა.

თეკლე ხან მუხლ ლორს მაძალებდა, ხან ჭყინტ ყველს. მე თავპატიჟს სულაც არ ვიდებდი, უცებ დამეკარგა მადა.

გაგრძელება. იხ. „მნათობი", № 2.

7. „მნათობი", № 3.

ხუთიოდე ლუკმა ყველი მივატანე თბილი ჰადის ნატეხს, სამი პატარა ჭიქა ღვინო გადავკარი და წამოვდექი.

— ჩიტი ხარ?! — გაიკვირვა თეკლემ.

— თუ არ მინდა, რა ვქნა?

აღარ ჩამაცივდა. საუზმე ისევ კალათაში ჩაალაგა, დოქსაც ისევ დაუცვა ფუჩეჩი.

— კაი, ბატონო, შინ ვისადილოთ! — ამითლა დაიმშვიდა თავი და მერე მკითხა: — როდის დავდგათ? დღესვე ხომ არ მოასწრებს გახმობას?

— არა. ერთი ღამე მაინც გაათიოს ცისქვეშ, დაიცვაროს და გაშრეს. ხვალ დავდგათ ასიცხებამდე.

თეონა ისევ უცხოსავით იჯდა მუხის სქელ ფესვზე. ახლა ღელისგაღმა ფერდობზე ნახირს უყურებდა.

— მომაგონდა, — წამოიძახა თეკლემ. — ეგების აქ დაზვინვა არც იყოს საჭირო? ბარემ ბულულებად ჩავიტან შინ და შევყარი საბძელში. ზვინებისთვის ეზო ცალკე არც შემომიღობავს. საბძელი კი ცარიელია.

— კი, ბატონო, ჩემთვის სულ ერთია, საბძელში შევინახოთ. ეგრე აჯობებს.

— ჩატანასა და შენახვაზე შენ ველარ შეგაწუხებ, ისედაც გაგსარჯე! — თეკლემ ბოდიშის მოხდასავით მითხრა.

— რა შეწუხებაა, ექვსიოდე ზვინი გამოვა. ამის ჩატანა-შენახვას რა უნდა. არც მარხილი მინდა, არც ხარები. თოკით შევკრავ და თვითონ ჩავიტან რამდენიმე გზობაზე. ნამდვილად ასე აჯობებს.

თეკლემ ძალიან იუარა, მე იმითაც დიდად დამავალე, ცელი რომ მომახმარე, დანარჩენ საქმეს თვითონ მოვუვლიო, მაგრამ არც მე დავიხიე უკან, რაც ვთქვი, ავასრულე კიდეც. ზურგით ჩავზიდე თივა თეკლეს ეზომდე. მერე დაბინავებაც ვიკისრე.

კედლებფარღალალა საბძელი ბოსლის თავზე იდგა და თავისი ღია აივანიც ჰქონდა. თეკლე და თეონა თივას ფიწლებით ისროდნენ აივანზე, მე ფიწლითვე შემქონდა საბძელში და ვტენიდი იატაკიდან ჭერამდე.

თეკლემ იქნია, იქნია ფიწალი და დაიღალა.

— მამიდა, წადი, შენ ვახშამი მოგვიმზადე, ამას მეც ვეყოფი. — უთხრა თეონამ.

— ჰო, თქვენდენი მე სადღა შემიძლია, ახალგაზრდებო! — დაეთანხმა მამიდა.

მე და თეონაც მარტო შევრჩით საქმეს. ეს ისე მესიამოვნა, მეგონა, სადაცაა ფრთები გამომესხმება და ცაში გავფრინდები-მეთქი. მინდოდა, ეს დღე არასოდეს დაღამებულიყო, არც ეს საქმე გამოგვლეოდა.

ზოგჯერ საბძლიდან რომ გამოვიდოდი, თეონა თივის ბულულს ზუსტად მაშინ ამოისროდა ისე მაღლა, მე მეყრებოდა თავზე.

— გულო, ასე მაღლა ნუ ისვრი ფიწალს, მზეს არ მოსთხარო თვალი! — ჩავძახოდი მხიარულად.

— შენ მომარიდე თვალი, მზისა ნუ გედარდება. მზისთვის ჯერ თვალი არავის მოუთხრია! — თივის ბულულს და ამ სიტყვებს ერთდროულად მესროდა გოგო.

უტკბილესი იყო ხავერდივით თბილი და რბილი მისი ხმა.

იმედი მომეცა, მგონი, თივის დაბინავებამ მორიდებულობის ბორკილი ორივეს მოგვხსნა-მეთქი.

— ერთობ მარჯვე ყოფილხარ, გულო!

„გულო“ ჩემი საალერსო სიტყვაა კარგა ხანია და მხოლოდ თეონასთვის მემეტება. ეს სულ ერთია, ცხადად ვესაუბრები, სიზმარსა თუ ფიქრში.

— გულო, ფერმაშიც ასე გულმოდგინედ მუშაობ ხოლმე?

— საქმეს არსად არ ეღალატება.

— მამაძაღლი ფერმის გამგე რომ გყავს?

— რა ვქნა? მე რაც მევალება, იმას ვაკეთებ...

საქმეს მთლიანად რომ მოვრჩით, ორივე თივის მტვერში ვიყავით ამოგანგლული. ტანსაცმელი დავიბერტყეთ და

ხელ-პირი დავიბანეთ. ისევ მცემდა თივის სურნელი და მაბრუებდა.

თეკლე ვახშმად შემეპატიჟა შინ. წინადღინდელივით უარი არ მითქვამს, გვერდით თეონა მომიჯდებოდა და მეც მეტი რა მინდოდა!

სუფრასთან თავისუფლად მეჭირა თავი, თეონას იქით ვაძალებდი ვახშამს: შენს პატარა ჭამას რომ ვუყურებ, მგონი, მადა მეც მეკარგება-მეთქი. ღვინისთვისაც არ დამიკლია ხელი. სადღეგრძელოები ისე ჩამოვარიგე, ბოლოს ყველას მაინც თეონას დალოცვა დავაყოლე: ღმერთმა კარგი ბედ-იღბალი მოგცეს-მეთქი.

თეონა ცოტას მორცხვობდა, მაგრამ არც ისე, თავის ჩალუნვით ჩემთვის თვალი აერიდებინა. სამიოდეჯერ მადლობა ღიმილითაც კი გადამიხადა.

მერე ჭიშკრამდეც თეონამ გამომაცილა. ერთმანეთს მარტო რომ შევრჩით, წამით გავიფიქრე, ამაზე ხელსაყრელი დრო როდისღა მეღირსება, ორივე ისეთ გუნებაზე ვართ, თუ რამე გვაქვს ერთმანეთისთვის სათქმელი, უეჭველად ახლა უნდა გავუმხილოთ-მეთქი. ვარაუდად სიტყვებიც კი დავალაგე ჩემებურად. ჯერ ხუმრობით უნდა მეკითხა: გულო, გათხოვებას როდის აპირებ-მეთქი. წინდაწინ ვიცოდი, მეტყოდა: ჯერ რა დროს ჩემი გათხოვებაა. ასე მივყვებოდით და საუბარში ქათინაურს შევაპარებდი: ხომ იცი, კარგა ხანია ჩემი დილა ის არის, შენ რომ დაგინახავ თუნდაც შორიდან, ხოლო საღამო — შენ რომ თვალს მიეფარები-მეთქი. რამდენჯერ მომიმზადებია ეს ქათინაური და გულშივე დამრჩენია, ან ენის წვერზე. მერე ხელსაც ვთხოვდი და ქორწილის ვადასაც დავუდებდი. ფიქრში ყველაფერი ადვილად მოვაგვარე, ხოლო ენის დასველება რომ დავაპირე, მეუხერხულა: რაღაცნაირად ლამაზი არ გამოდის დღეს, თითქოს ასე გულმოდგინედ ოჯახს იმიტომ მივეხმარე, რომ სამაგიეროდ ქალიშვილი მოვითხოვო-მეთქი. ჩემ სიცოცხლეში ანგარებით არაფერი გამიკეთებია და ახლა ვინმეს ასე რატომ ეგონოს-მეთქი. თეკლესა და თეონას თვალებით შევხედე საკუთარ თავს და მომეჩვენა, რომ ჩემს ორდღიან მუყაითობას თითქოს მართლაც ასდიოდა ანგარების სუნი. მოცდა ვამჯობინე: ხვალაც ამ თვისაა, რაკიღა თეონას ღიმილს მოვესწარი და მეც მორიდებულობის ბორკილი მოვიშორე, ამიერიდან გოგო სად გამექცევა-მეთქი. ხელის ჩამორთმევით დავემშვიდობე მასპინძელს და შინისკენ ღიღინით გავწიე.

მეორე დღეს, დილიდან საღამომდე წყაროს გზას გავყურებდი, თეონას გამოჩენას ველოდებოდი, ავემგზავრები და ყველაფერს გულმშვიდად ავუხსნიმეთქი. თითქოს ჯიბრზეო, არ გამოჩნდა. დილითაც და საღამოთიც კოკით თეკლემ ჩაიარ-ჩამოიარა. ეტყობა, თეონა თავის მაგივრად გაგზავნა ფერმაში.

მერე ისე წაეწყო ამბები, მხოლოდ ერთი კვირის თავზე მოვკარი თვალი თეონას წყაროსთან, თამამად გავეშურე მისკენ და მიახლოებისთანავე ისევ გამიქრა სითამამე, გულაჩუყებულს ენა დამება და გავხევდი.

საკვირველია, ასე თვალსა და ხელს შუა სად დამეკარგა ის სანატრელი სითამამე, საბძელში თივის შეზიდვისას რომ გამიჩნდა და თეონასთან თავისუფლად დამალაპარაკა? ის სხვა თეონა იყო და ეს სხვაა? ახლა რატომ ვერ გავუბედე რაიმეს თქმა? ნუთუ მხოლოდ თივამ გამათამამა მაშინ? შეუძლებელია ასე კიდევ დიდხანს გაგრძელდეს. გასათხოვარ ქალიშვილს იმდენი უთვალთვალებს! ვაითუ, ერთ დაწყევლილ დღეს ვინმემ დააგლოს ხელი და... მერე რაღად მინდა სიცოცხლე, დავეჯახები კლდეს თავით და... მივეფშვნები ზედ.

გაგულისებული მთაში გავიქეცი, ეგებ თიბვამ ყველაფერი დამავიწყოსმეთქი. მთავარი იყო, თეონაზე არ მეფიქრა და თავს ხშირად ვუწყრებოდი: რაც გინდა გააკეთე, ოღონდ თეონაზე არ იფიქრო-მეთქი.

გაგონილა! ვერაფრით ვაჯობე თავს. პირიქით, ეს ფიქრი თანდათან უფრო გამიჯიუტდა. ყველაფერი თეონას მაგო-

ნებდა, ყვავილი, პეპელა, ჩიტი, მოთიბული ბალახის სურნელიც კი. თითქოს საბძელთან მუშაობისას თეონამ თავისი განუმეორებელი სურნელება შეურია არა მარტო მაშინდელ თივას, არამედ ყველა გასათიბ მინდორს, სადაც მე ცელი უნდა ვამღერო.

თეონას თმისა და სხეულის სურნელებით გაივსო გარემო.

ამ სურნელებამ ახალი ფიქრი გამიჩინა: ეს გოგო მუდამ თან მახლავს უხილავად, სადაც არ უნდა ვთიბო-მეთქი. და ამ ფიქრმა თეონასთან განშორების ტკივილი დამიამა.

ერთად ავღიღინდით მე, ცელი, ბალახი და ჩემს ახლო უხილავად მდგარი სანდომიანი გოგო.

მხოლოდ თეონაზე ვფიქრობდი, მხოლოდ თეონაზე. ჩემი ფიქრი გაჟღენთილი იყო იმ სურნელებით, თივას და თიბვისას ჩემს გვერდით უხილავად მდგარ თეონას ერთდროულად რომ ასდიოდა. ამ სურნელებით დამთვრალ-გაბრუებული ვიქნევდი და ვიქნევდი ცელს.

— შვიტ! შვიტ! შვიტ! შვიტ! — ნება-ნება, ღიღინით წვებოდა მოცელილი ბალახი და ისევე ღიღინით და მოცელილი ბალახივით ნება-ნება წვებოდა ჩემი ფიქრი. ღიღინი ფიქრს არ უშლიდა ხელს და ფიქრი — ღიღინს.

მხოლოდ თეონაზე ვფიქრობდი, მხოლოდ თეონაზე.

იმდენი ვიფიქრე, ყოველგვარი სურნელების შეგრძნებაც კი დავკარგე, აღარც გაბრუებას ვგრძნობდი. ალბათ, ისევე დამემართა, გადამთვრალი ადამიანი ღვინის გემოსა და სურნელებას რომ ვეღარ იგებს.

არ მახსოვს, როდის დამეძინა. ტოროლას გალობამ გამომაღვიძა. ცაში აჭრილი მზის ამოსვლას უმღეროდა. ნათიბ ნედლ ბალახზე ვიწექი გულაღმა. ცელი შორიახლოს იდო.

გუშინ აბელა დალაქს თივა მივუტანე. არ მომეშვა და პირის გასაპარსად დამსვა. ვისაუბრეთ აქეთურზე-იქეთურზე, მერე ხუმრობით ვუთხარი:

— მე და შენ ერთი ხელობის ხალხი ვართ, ხომ იცი.

— იტყვი რაღაც უცნაურს! — სამართებლიანი ხელი აგდებულად აიქნია აბელამ.

— მეც ვპარსავ, ოღონდ მთას.

— ხომ კი!

— ასეა და... აი, ერთხელ მაინც წამომყევი, ვნახო, მთას როგორ გაპარსავ.

— რას ამბობ, ბიჭო? მე რომ ცელით მთა გავპარსო, სამართებელს ვეღარ დავიჭერ, ხელი გამიუხეშდება და კაცს დავჩეხავ. დალაქს ფაქიზი და მჩატე ხელი სჭირდება. ცელს კი არა, თოხსა და ბარსაც არ ვეკარები, ხელი რომ არ გამიმაგრდეს.

— ბიჭოს!

— აბა, არ იცი! მაგალითად, შენ მაგ შენი დაკორძებული ხელით რომ ვინმე გაპარსო, თავბედს დაიწყევლის, მეორედ აღარავინ მოგეკარება. ყველაფერს, შვილიკო, თავისი ალღო და მუღამი უნდა, ყველა ხელობას თავისი ხელი სჭირდება, მარტო გული, თვალი და გონება კი არა, აბა! მე რას მედრები! შენ პირუტყვის ფაშვს ემსახურები, მე — მშვენიერებას. მე რომ ვპარსავ, ადამიანს ვალამაზებ, შენ რომ მთას პარსავ, ლამაზდება? — რამ გაგაფითრა ბიჭო?! აბელა სარკეშიც დამაკვირდა და ისეც. — იმნაირი რა გითხარი, დალოცვილო?!

— მე მეუბნები?

— აბა, აქ სხვა ვინაა კიდევ? თქვი, ბიჭო, იმნაირი რა მოგხვდა გულზე?

— არაფერი, არაფერი! გამპარსე ბარემ, მეჩქარება!

აბა, იმას ხომ არ ვეტყოდი, სარკეში თვალი მოვკარი, თეონა და ნადირა გზაზე წყვილად მიდიოდნენ-მეთქი!

ისინი წინათაც მინახავს წყვილად მიმავალი, ასეთი ელდა კი არასოდეს მცემია. კინაღამ ცალყბაჩამოპარსული წამოვხტი და გავეკიდე.

ერთი სული მაქვს, როდის ავდგები, აბელა კი არ ჩქარობს.

— მეყოფა, კაცო, წვერი აღარა მაქვს

და ამ ცარიელ ლოყებს ტყუილუბრალოდ რაღას მიფუტკავ? მაინცდამაინც კანი უნდა გამოლიზიანო?

— მე შენ თიბვას გასწავლი, შვილიკო? — იუკადრისა ჭკუის დარიგება დალაქმა. — დამაცა, ჩემი საქმისა მე უკეთ ვიცი. შენ შენი ხელობა გიყვარს, მე — ჩემი. შენი სიჩქარისთვის ხელს ვერ გავიფუჭებ...

ვიცოდი, აბელა ლაპარაკს დიდხანს არ გაათავებდა, არც ვაციე, არც ვაცხელე, წამოვხტი, დავავლე ქუდს ხელი, აბელას მადლობა ვესროლე და გარეთ გავშურდულდი.

— სად გამექეცი, ბიჭო? გაწყენინე რამე?! — მომაძახა გაკვირვებულმა დალაქმა.

აბელა უპასუხოდ დავტოვე.

ჩვენი უბნისკენ მიმავალ გზას გავეკიდე.

თეონა და ნადირა, ეტყობა, მაღაზიიდან გამოვიდნენ ერთად და შინისკენაც, ალბათ, წყვილად გასწიეს-მეთქი.

გამიმართლდა ვარაუდი.

აფორიაქება არ შემატყონ-მეთქი, განგებ არ დავეწიე, შორიახლოს მივყევი.

ჩემკენ არც ერთს არ გამოუხედავს.

თითქოს არც ერთმანეთს ელაპარაკებოდნენ.

ღელის გაღმა თეონამ მარჯვნივ გაუხვია, თავისი სახლისკენ, ნადირა პირდაპირ აუყვა გზას. ეს იყო და ეს.

ერთხანს წისქვილთან ვიდექი და წყლის გამუდმებულ ჩხრიალს ვუგდებდი ყურს. მერე მაღაზიისკენ გამოვბრუნდი.

ჯუბიკა მარტო დამხვდა. დახლზე საანგარიშო ედო და კოჭებს თავგასართობად აჩხაკუნებდა.

— ტუხას ვახლავარ ოცდაათი ცხენოსნით! — გაეხარდა ჩემი დანახვა და საანგარიშო გვერდზე მიაგდო. — სად დამეკარგე, ბიჭო? თავი მომანატრე, ღმერთმანი. თიბავ შენებურად, ხომ?

— წელს ბლომად არის სათიბი და, რა ვქნა? ცოდვაა, რომ დავტოვო.

— ნამეტანი გემადლიერება ხალხი, ისიც კი, ვისაც არ უთიბავ. შენს გულს და მუყაითობას ვენაცვალე, გაიხარე, გაიხარე! ა, ღარულადან საგანგებოდ შენთვის წამოვიღე. ვიცი, ამისთანა პერანგი გიყვარს. — დახლქვეშიდან ჭრელი ჩითის კვართი გამოაძვრინა და წინ ამიფრიალა გაშლილად. — ძლივს ვიშოვე შენი ზომა. ერთი გაისინჯე, თუ კაცი ხარ!

— ისედაც ვატყობ, კარგად მომერგება.

— ჩემი თვალით მინდა ვნახო...

— მომერგება-მეთქი.

— კაი, შინ გაისინჯე და თუ ვიწრო მოგივიდეს, ნუ მომერიდები, დამიბრუნე.

— აგრე ვიზამ. რაა მოსარიდებელი.

ჯუბიკამ ძღვენი მონაცრისფრო ქაღალდში გამიხვია ფაქიზად:

— ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროს!

— დიდი მადლობა, შენი ჭირიმე!

— რა მადლობა, ბიჭო? დიდი ამბავი, შენს სარგო ხალათ-შარვალს თუ გიშოვი ხოლმე. მამაშენისგან იმდენი სიკეთე მახსოვს, ალბათ, ჩემ სიცოცხლეში ვერ გადავიხდი. არც დედაშენისგან მაკლია პატივისცემა.

თქვენც იცით, ჯუბიკასთან რაიმეს გამოსართმევად არ მივსულვარ, სხვა რამ მაინტერესებდა, ოღონდ არ ვიცოდი, როგორ მეკითხა, ამიტომაც შორიდან შემოვუარე:

— ნამეტანი სიცარიელეა შენთან.

— აჰ, ეგ არ თქვა! რაც ბერხეველებს სჭირდებათ, თითქმის ყველაფერი შემოვზიდე. ომი კი აღარაა, არაფერი რომ არ იშოვებოდა. შენ რა გინდოდა?

— არაფერი... საქონელის სიცარიელეზე არ მითქვამს...

— აჰ, მუშტარი რომ არ მახვევია? იცის ხოლმე, განსაკუთრებით ცხელი ალოსთავის დღეებში.

აქ დრო ვიხელთე და ვკითხე:

— დღეს სულ არ გყოლია მუშტარი?

— რავა არა, შე კაცო. დილით ფუტკარივით მეხვია. მერეც მესტუმრა შვიდიოდე კაცი.

— ნესტორას დისწულს ხომ არ შემოუვლია, ნადირას?

— კი. შაქარი იყიდა ათი კილო, დედაჩემი მაყვლის მურაბას ხარშავსო. შენ ეს რაზე მკითხე, ჩემო ტუხა?

— ნადირასთან პატარა საქმე მქონდა. რაკი სოფელშია, ვნახავ.

— სად დაიკარგება.

— მარტო იყო?

— კი, მარტო.

— თეონაც ხომ არ მოჰყოლია?

— აბა, თეონა? თეკლეს ნაშვილები? თავი დავუქნიე.

— ნადირას მოჰყვა თუ არა, დანამდვილებით ვერ გეტყვი, აქ კი ერთად შემოვიდნენ. იმანაც შაქარი იყიდა. ამ თვეში ყველაზე მეტი მუშტარი შაქარს ჰყავს. შენც ხომ არ წაიღებდი?

— არა.

— წაიღე, ნუ მომერიდები. რამდენიც გინდოდეს, წაიღე. დედაშენს ახლა თუ არა აქვს ფული, ნისიად იყოს. თუნდაც, სულ ისე წაიღე! თქვენი ოჯახიდან იმდენი სიკეთე მახსოვს!..

— არ მინდა შაქარი.

— დარიკო არ ხარშავს მურაბას?

— იშვიათად. არა ვართ ჩვენ მურაბის მუშტრები.

— რატომ მერე? გემრიელია მურაბა. ჩემს კასანიას, მაგალითად, ძალიან უყვარს. ერთი თვის წინ კაკლის მურაბაც კი მოხარშა. ამბობენ, ერთობ სასარგებლოა, ზოგი წამლადაც კი ხმარობს, გულს უხდებაო.

ჯუბიკასთვის რომ ყური მეგდო, ვიცოდი, სამ საათს მარტო კაკლის მურაბის სიკეთეზე ილაპარაკებდა. ვის ჰქონდა ამის გაძლების თავი. გავიგე, რაც მაინტერესებდა და იქ რაღა გამაჩერებდა, მაშინვე დავემშვიდობე და შინისკენ გავუტიე.

ხომ დავინამდვილე, რომ თეონა და ნადირა იმ დღეს შემთხვევით აემგზავრნენ ერთმანეთს, წყვილად მათი დანახვის ელდამ მაინც დამიტოვა უსიამო კვალი სულში.

და ისევ ჩემს წამალს მივაშურე.

მთაში ვარ ახლა.

ადრინდელივით მოვიმარჯვე ცელი.

ჩემს თავს ვეღარ ვცნობ. პირველი შემთხვევაა, რომ თავდავიწყებით ვერ ვთიბავ, ჩემებურად ვერ დავუდე გული საქმეს.

მერედა, არ იკითხავთ, რა მიშლის ხელს? ფიქრი.

ჩემებურად ღიღინს ვერ ვახერხებ და ვინაიდან მე ვერ ვღიღინებ, აღარც ცელი მღერის და აღარც ბალახი. ნათიბმაც დაკარგა გამაბრუებელი სურნელება, ის სურნელება, თიბვისას გვერდით რომ მიყენებდა თეონას უხილავად.

წინათ ცელის შხუილს მიჰყვებოდა ჩემი გულის ღიღინი და იმ ღიღინს ფიქრი. დღეს პირველი შემთხვევაა რომ ვერ ვახერხებ ცელის ქნევას, ღიღინს და ფიქრს. თუ ვფიქრობ, ვეღარც ვღიღინებ და ვეღარც ვთიბავ. ფიქრმა ამომიგდო გულიდან ღიღინი.

ვცდილობ, არაფერზე ვიფიქრო, ვერ ვჯობნი თავს.

ეტყობა, ფიქრის შეჩერება შეუძლებელია: ზვავს შეაჩერებ და ფიქრს — ვერა. ხილული რომ იყოს, დავავლებდი ხელს და მოვიშორებდი, უხილავს კი რას უზამ, ვერ დაიჭერ და შენს ნებაზე ვერ მიდრეკ-მოდრეკ, ვერც მოათვინიერებ. თავს ზევით ვისა აქვს ძალა. ერთ ფიქრს რომ მოვიშორებ, უმალვე მეორე ენაცვლება.

დღეს რაღაზე აღარ ვფიქრობ. თითქოს ცაც და დედამიწაც სულ სხვანაირია.

შორეული მთის ზურგიდან ლურჯად მოხასხაზე ცაზე რუხარშიებიანი თეთრი ღრუბლები ამოგორდა ეს დიდრონ-დიდრონი ქულა ღრუბლები თანდათანობით გაიფურჩქნა და გაიზარდა, მეტ ცას დაეპატრონა.

ვაკვირდები. მთლიანად თეთრი ვარდების უზარმაზარ თაიგულს ჰგავს.

ეს თაიგული ლურჯ მორევში ტივტივებს.

ვიღაცა თაიგულში უხილავ ხელს აფათურებს, ვარდებს არშიებს უცვლის და ქულა ღრუბლებში რაღა აღარ ეხატება.

წამოიმართა მაღალი კოშკი, წუთით ზვიადად გადმოხედა ქვეყანას და დაიშალა. გეგონებათ, ზვიადობა არ აპატიეს, ძირი გამოუთხარეს და წააქციესორკუზიან აქლემს თავზე გაფხორილი ინდაური დააჯდა. აქლემმა თავი გაიქნია და ორივე გაქრა. დათვი და ირემი ალერსით შეადნენ ერთმანეთს. ორიოდეჯერ გაბუტული ქალ-ვაჟიც გამოჩნდა. ფრთიანი ცხენი განიაღვარდა და იმ ნიაღვარში ჯერ მგელი ამოტივტივდა, მერე კრავი. მგელი და კრავი ერთმანეთს ჩაეხვია. ყველაფერი წამისწამ იცვლის სახეს. ინდაური კოშკად იქცევა, კოშკი — ძაღლად.

აი, ღმერთიც! ღრუბლების ღმერთი!

ბავშვობისას სწორედ ასე წარმოვიდგენდი ხოლმე უხილავ ღმერთს.

საკარცხულში ჩამჯდარა თეთრწვერა მოხუცი და ჩაფიქრებულა.

ქულა ღრუბლის ღმერთს თოვლისფერ ფრთიანი ანგელოზების გუნდი შემოეხვია. იქნებ უგალობენ კიდეც. ციდან ხმა აღ ისმის. ღრუბლები თუ არ გაშავდა და ერთმანეთს არ დაეჯახა, ციდან არავითარი ხმა არ ისმის.

ეგებ ღრუბლების ასეთმა მოხატულებამ აფიქრებინა ადამიანს, რომ ცაში ღმერთია?

დიდხანს არ დასცალდა ღრუბლის ღმერთს ღმერთობა, ჯირკად იქცა.

ანგელოზები ამ ჯირკში შეძვრნენ.

ლამაზი იყო ღრუბლების ეს უცნაური თამაში, მე მაინც მალე მომწყინდა.

მიწას დავუბრუნდი.

დედამიწა ცასავით არასოდეს სდუმს. აქ ყოველთვის რაღაც ხმაურობს, შრიალებს, სუნთქავს, ფუთფუთებს. იმიტომ, რომ აქ სიცოცხლეა, ცაში კი არა.

შავი კლდეებისკენ მომავალ ბილიკთან, მთის კალთაზე, წიფლისა და რცხილის ტყის პირას, მოზრდილი სათიბი ფერდობის მეზობლად, წყაროს ზემოთ დგას დიდრონი მსხალი. შუა ზაფხულში მწიფდება და თითქმის ორ თვეს ასხია, ზუსტად იმ დროს, ახლომახლო მთიბავები რომ მუშაობენ. მართალია, წვრილნაყოფაა, სამაგიეროდ ისე დაიხუნძლება ხოლმე, ტოტებს ძლივს იკავებს, თანაც გემრიელია, ყველა თაფლა მსხალს ეძახის.

მთის იმ კალთაზე ცელი პირველად შვიდიოდე წლის წინათ მოვიქნიე. შინ წამოსვლისას ჩემი ბლის კანით დაწნული ჩანთა მსხლით გავივსე და დედას მივუტანე: გასინჯე, რა გემრიელია-მეთქი. დააჭაშნიკა თუ არა, ღიმილად იქცა: ეს ხომ ბაბუაჩემის დარგული მსხალია, ამა და ამ ადგილას დგასო.

თურმე დედაჩემის ბაბუას, პავლიას, ტყეში პანტის ბარტყი ამოუთხრია, წყაროს მახლობლად უქარო ადგილას დაურგავს და დაუმყნია, მთიბავები ხანდახან პირს გაისველებენო. მსხლის დახუნძვლას თვითონ ვერც მოსწრებია, უდროოდ მომკვდარა, სამაგიეროდ, ყმაწვილკაცობისას ამ მსხალზე აფორთხება ძალიან ჰყვარებია ბაბუაჩემ ტუხას.

ეს რომ გავიგე, თაფლა მსხალი სიცოცხლესავით შემიყვარდა. ახლა ამაზე ტკბილი ქვეყნიერების ზურგზე არაფერი მეგულება.

მთაში ისე არ ამოვალ, აღ მოვინახულო და ზედ არ ავიდე, მარტოოდენ პირის ჩასატკბარუნებლად კი არა, ისეც — თუნდაც აქედან რომ გავხედო მთა-ბარს.

ამ თაფლა მსხალზე ადიოდა ბაბუაჩემი პატარაობისას და მერეც. ახლა მე ავდივარ, პავლიას ბადიში.

მე არ მინახავს ტუხა ბაბუა, ის კი ადრევე გავიგე, მისი სახელი რომ დამარქვეს. ბაბუაჩემის მამას პავლია რომ ერქვა, თაფლა მსხალმა გამაგებინა.

იქაურ ბილიკზე ავლა-ჩავლისას ხშირად ვფიქრობ: პავლია სულაც არ მომკვდარა, მხოლოდ დროებით გაუჩინარდა და მერე აქ მსხლის ხედ დადგა-მეთქი. კი არ დარგო, თვითონ იქცა ხედ და ახლა ხელგაშლილად სთავაზობს თაფლა მსხალს ყველას, ვისაც მთებში ამოსვლა არ ეზარება.

ეს დედაჩემის ბაბუაა, ცოცხლად დარჩენილი. ხან ზურგზე მომიკიდებს, ხან მკლავზე დამისვამს და უგემრიელესი მსხლით მიმასპინძლდება. თან იდუმლად ჩამჩურჩულებს: მხოლოდ ერთ რა-

მესა გთხოვ, არ მიმატოვო და არ დამივიწყოო.

პავლიას ან ტუხა ბაბუას სიკვდილი ჩემი თვალით რომ მენახა, ეგებ ასეთი ფიქრი არასოდეს გამჩენოდა, ისე კი ჩემი ნაოცნებარი სინამდვილედ დავიჯერე. ალბათ იმიტომ, რომ ასე მინდოდა ყოფილიყო.

შარშან გაღმა მთებში მეც ამოვირჩიე ბინულის მახლობლად უქარო ადგილი და დავრგე პანტაც და მაჟალოც. პანტას პავლიას თაფლა მსხალზე აჭრილი ტოტის კალამი დავამყენი, მაჟალოზე დასამყნობად კი ჩვენ ეზოში მამაჩემის ხელით დარგული საზაფხულო ვაშლის ტოტი ამოვიტანე. ორივემ ჩინებულად გაიხარა.

კიდევ დავრგავ — გაღმაც, გამოღმაც. დავრგავ მსხალსაც, ვაშლსაც, კაკალსაც, სხვა რამესაც. ცას ვინ გამოჰკერებია. მე რომ ამ ქვეყნიდან წავალ, ისინი შეინახავენ ჩემს სიცოცხლეს...

ისინი და ჩემი შვილი. ჰო, შვილიც უნდა დამრჩეს უეჭველად, ამ მთებში ჩემს გახარებულ ხეხილს რომ მოუაროს.

კარგა ხანია ვიცი, ღმერთი არ არის ცაში, მიწაზე ხომ არ არის და არ არის. არც ადამი შეუქმნია ღმერთს. სამაგიეროდ მწამს, რომ სადღაც შორს, ადამიანთა მეხსიერებისა და დრო-ჟამის მთათა მიღმა, უეჭველად ცხოვრობდა ჩემი წინაპარი, რომლის სისხლიც წინანდებურად ცოცხლობს ჩემ ძარღვებში. ამ სისხლმა, ვინ მოთვლის, რამდენი საუკუნე გადმოლახა, რამდენი თაობის ძარღვებსა და გულში გამოიარა ჩემთან მოსვლამდე! იქნებ სისხლს სულიც მოჰყვება და სწორედ ამის ბრალი თუ წყალობაა, ლოცვა თუ წყევლაა, მე რომ ასე უსაშველოდ მიყვარს თიბვა. ეგების უხსოვარ დროში ცხოვრობდა ზუსტად ჩემისთანა სულის ტუხა, რომელსაც ასევე თავდავიწყებით უყვარდა ოთხი რამ: თავისი დედა დარიკო, თავისი თეონა, თიბვა და ფეხშიშველა სიარული?!

განუწყვეტელი სიცოცხლის ჯაჭვის ერთ-ერთი რგოლი ვარ. ოღონდ ეს ღირსება რომ არ დავკარგო, უნდა გავაჩინო ჩემი მსგავსი არსება... მარტო ჩემი კი არა, თეონას მსგავსიც: მეც მგავდეს, თეონასაც. ესაა ჩემი უპირველესი მიზანი. ეს იქნება ჩემი სიცოცხლის, ჩემი ამა ქვეყნად მოსვლის უმართლესი გამართლებაც.

ტრიალებს ლურჯ მორევში თეთრი ვარდების თაიგული და იმ თაიგულში უხილავად მოფუთფუთე ხელი ყოველ წუთში ახალ-ახალ სურათებს აჩენს...

ცელს კი ვიქნევ კვლავ, დღეს გული აკლია ჩემებურ თიბვას.

მონუსხულივით გავშტერდები ხოლმე, ნათიბის სურნელების შეუგრძნობლად გავირინდები და ფიქრის ქულა ღრუბლები ნაირნაირად ტრიალებენ ჩემს სულსა და გონებაში.

როგორც კი თეონას გავიხსენებ, იქვე ჩნდება ნადირა. ჩემ ფიქრშიც კი დასდევს უკვე.

ეს ხილვა ეჭვით მაფორიაქებს.

ნადირას კარგა ხანია თეონა თვალში უზის... ალბათ — გულშიც.

იქნებ თეონასაც მოსწონს უკვე?

რაზეც არ უნდა ვფიქრობდე, თეონას ხმა მესმის.

დილიდანვე ამეკვიატა, მეძახის-მეთქი.

ნამდვილად მისი ხმაა. მთაში ამოსულა, შორიახლოს დამდგარა და მიხმობს.

ვთიბავ და სადღაა ცელის ხმა, მხოლოდ ჩემი სახელი მესმის.

მივიხედ-მოვიხედავ, არავინაა. არც თეონა, არც სხვა ვინმე, ვთქვათ, რომ მაფიქრებინოს, თეონას ხმით უცხო ქალი მეძახის-მეთქი. მარტო ვარ.

ეს რა იდუმალი ხმაა?!

იქნებ ვინმე ჩამისაფრდა და მახელებს?

აქ წინათაც არავინ ამოდიოდა არც სათიბავად, არც იხე. ახლა ხომ სულ არავინ ამოდის, თუნდაც იმისთვის, თოვლიან მწვერვალებს რომ გახედოს აქედან.

აბა, მოლანდება მეძახის?

იქნებ თეონას უჭირს რამე, ან-.

რატომ ტრიალებს ნადირა თეონას ახლომახლო? ტრიალებს კი არა, დასდევს და... გასათხოვარ გოგოს მეტიც არ უნდა. ერთხელ ეტყვის ბიჭს უარს სიყვარულზე, მეორედ, მესამედ, მერე გულმოსული დაიწყებს იმ ბიჭზე ფიქრს და.- ბოლოს უნებლიეთ იქნებ შეუყვარდეს კიდეც. ვიცი მე ეს, უფროსებისგან გამიგონია. ზოგჯერ თურმე სიძულვილიც კი იქცევა სიყვარულად, თანაც ჭეშმარიტ სიყვარულად. საქორიელი ალექსა ჰყვებოდა: იცით, ეს ჩემი ცოლი რანაირად შემიყვარდაო? ბავშვობისას ინდაურს მეძახდა, გაფხორილი დადიხარო. დაცინვის საპასუხოდ თმაში ვწვდებოდი და გულმოსული ვცემდი. ერთ მშვენიერ დღეს კი, როცა წამოვიზარდეთ, დავინახეთ, რომ თურმე ერთმანეთი გვიყვარს, უსაშველოდ გვიყვარს, უერთმანეთოდ სიცოცხლე არ შეგვიძლია და.. დავიწერეთ ჯვარი. ზოგჯერ ახლაც მეძახის ხოლმე ინდაურას და მეც მაშინვე თმაში ჩავავლებ ხელს და მივსწი-მოვსწევ. ორივეს გვიხარია ეს ამბავი. სიყვარულს რას გაუგებს კაციო-

იმ სიყვარულის არ იყოს, ეშმაკმა უწყის, ახლა რა ხდება თეონას გულში. მერე რა რომ უბღვერს ხოლმე ნადირას და ერთადაც უბრებივით დგანან ან დამდურებულებივით მიდიან გზაზე, იქნებ სწორედ ესაა მათი სიყვარულის საწინდარი, ფარული ცეცხლის გამჩაღებელი?

ერთხელ ჩემი თვალით ვნახე, თეონა გაუწყრა იმ მგელ ბიჭს: უკან ნუ დამდევო, მერე კი რატომღაც გაუღიმა. ორიოდეჯერ ასე რომ გაუღიმოს, იმ მგელს მეტიც არ უნდა, მოიგდებს ზურგზე ცხვარ გოგოს და წააძუნძულებს ბუნაგში. მერე სდიე და ეძებე სამართალი. მე შენ გეტყვი, ადვილი საპოვნელია ახლა ბერხევსა თუ სხვაგან.

საბძელში რომ თივას ვყრიდით, მეხუმრა თეონა, ახლა კი, ვაითუ უფიწლოდ მომთხაროს ორივე თვალი, მე გული მომიკლას, ნადირა კი გაახაროს.

აქ ისიც მომაგონდა, მწყემსობისას თითქმის ყველა გოგო-ბიჭი ოჯახობანას რომ თამაშობდა ჩემსა და თეონას გარდა.

ესეც რა იყო ვითომ? ჩვენ რატომ არ ვთამაშობდით, რისი გვერიდებოდა? მაშინ ხომ ცოლ-ქმრობისა თითქმის არაფერი გაგვეგებოდა?!

აქამდე შავი კლდეების ზურგზე რომ ამოვიდოდი სათიბავად, ორი-სამი დღე მთაშივე ვრჩებოდი, კლდის უბეში ვათევდი ღამეს, ახლა კი...

ეს სათიბი სად გამექცევა! დღესვე უსიკვდილოდ უნდა შევხვდე თეონას და სიყვარული ავუხსნა, ცოლ-ქმრობის პირობაც ჩამოვართვა.

მორჩა! საბოლოოდ გადავწყვიტე, რადაც არ უნდა დამიჯდეს, ამ საღამოს მოველაპარაკები თეონას. თეონასაც მოველაპარაკები და ნადირასაც გავაფრთხილებ: ტყუილად გაგექცა იმ გოგოსკენ თვალი, საშენო არ არის, მისკენ აღარ გაიხედო, თორემ ყოველთვის კი არ მოგითმენ, ერთხელაც იქნება გავბრაზდები, გაგკრავ ფეხს და რიყის ქვასავით გადაგაგდებ გიჟურას გალმა! მე არც ბიძაშენის მეშინია და არც სხვა ვინმესი-მეთქი!

მზის ჩასვლისას თეონა უეჭველად გამოჩნდება ორი უბნის საზიარო წყაროსკენ მომავალ ბილიკზე. იქნებ სამ გზობადაც. ჩავლილს ან ამოვლილს დავუდარაჯდები და ყველაფერს გულახდილად ვეტყვი, მთლიანად გადავუშლი გულს.

მზე ჯერ დასამხრეებულიც არ იყო. თიბვას თავი მივანებე და ცელი დავკეცე. წინათ ხშირად ცელს, ფიწალს, ცელის საკვერავს, სალესსა, წალდსა და ნაჯახსაც პატარა გამოქვაბულში ვინახავდი, შინ რაზე წავიღო, მაინც მალე ვარ ამოსასვლელი-მეთქი. ახლა ყველაფრის თან წაღება გადავწყვიტე. რა ვიცი, თეონა რას მეტყვის და რა გუნებაზე დავდგები, იქნებ კარგა ხანს ვერც ამოვიდე.

თასმებგადაბმული წუღები მხარზე გადავიკიდე და გზის შესამოკლებლად ტყის ბილიკით გამოვწიე შინისკენ. კი არ მოვდიოდი, მოვრბოდი, თითქოს ვი-

ნმეს ცეცხლი ეკიდა და ჩემს მისწრებაზე იყო დამოკიდებული მისი გადარჩენა. მოვრბოდი და ისევ თეონაზე ფიქრი მომდევდა.

მგელს კი ეძახდა ნადირას, მაგრამ ახლა იქნებ მგელი და ცხვარი უკვე ერთად ძოვენ?

წარმოვიდგინე, რომ ისინი ერთად არიან საწისქვილე ღელის ტირიფქვეშ განმარტოებულნი და ტკბილად ჭუკჭუკებენ, საქორწილო ამბებზე ზრუნავენ უკვე.

გული ამიჩქარდა და ამიგანგაშდა. სწორედ ამ აგანგაშებულ გულში თითქმის ფიცივით შევღაღადე თეონას:

— შენი თავი რომ ვინმემ წამართვას, გულო, მე ხომ თიბვაც შემძულდება? თიბვა თუ შემძულდა, სიცოცხლეც შემძულდება და თავსაც დავკარგავ. შენ ყვავილოვანი თივის დამათრობელი სურნელი აგდის, თეონა! ქვეყნიერების ზურგზე შენისთანა სურნელება არავის გააჩნია. უსიკვდილოდ ვერ შეგელევი! შენა ხარ ჩემი ზამთარ-ზაფხული, შემოდგომა და გაზაფხული, დღე და ღამე-შენ ჩემთვის ყველაფერი ხარ, თეონა: მზე, ბალახი, ცა, დედამიწა!.. ჰო, შენ ჩემი დედამიწა ხარ, ყველაფრის მომცემი!.. უშენოდ როგორ ვიცოცხლო? შენს იქით გზა არა მაქვს!

ტყის ბილიკი კლდეს მიადგა. თავზე მოვექეცი და ჩამოვჯექი.

მახლობლად პატარა ვაკე მინდორი ძევს. მინდვრის შუაგულში დედის ცრემლივით წმინდა ტბა კამკამებს. აი, ეს ტბა კი ჰგავს ნამდვილად ღმერთის გაჩენილს. თითქოს ტბა კი არა, სარკეა, მთებმა რომ შიგ ჩაიხედონ ხოლმე.

თეონა თუ იყურება სარკეში?

მე არ დამინახავს, მაინც მგონია, რომ იყურება ზოგჯერ. ქალია და, აბა, რა ქნას? იქნებ მური აცხია ცხვირზე? კაცი როგორც არ უნდა გაიმუროს, არაფერია, ქალს კი არ შვენის, სირცხვილია.

ისევ იმაზე დავფიქრდი, როგორ შევხვდები თეონას და რას ვეტყვი.

რაც მთავარია, არ ავღელდები. უპირველეს ყოვლისა, სიტყვის ბარაქად შევთავაზებ, კოკას წამოგიღებ-მეთქი. აბა, ამგზავრებისთანვე კეტივით ხომ არ ჩავარტყამ თავში: მიყვარხარ და ცოლად უნდა წამომყვე-მეთქი! მერე გავიხსენებ, ბავშვობისას პატარა სისულელე რომ ჩავიდინე, ჭინჭრით რომ დავსუსხე. ერთხელაც მოვუხდი ბოდიშს, დაგვიანებულ ბოდიშს.

შემთხვევით სახლის აშენებაზე თუ ჩამოვარდება სიტყვა, პირობას ჩამოვართმევ: ვიდრე ქვიტკირის პალატზე შედგმულ ახალ ოდა-სახლს არ ავიშენებ, უნდა მომიცადო-მეთქი.

ამ შემოდგომაზე მივდგებ-მოვდგები, მასალას მოვიმარაგებ, გაის ამ დროისთვის უკვე აშენებული მექნება და რთველს რომ მივიკარებთ, ვიქორწილებთ. ქორწილი უფრო შემოდგომას შვენის.

ამ ფიქრს სხვა ფიქრი წამოეწია.

ქორწილისთვის რა საჭიროა ახალი სახლი! ადრე უფრო სწორედ ვფიქრობდი. ცოლ-ქმარმა თავისი საგუნებო სახლი თვითონ უნდა აიშენოს ერთად, მერე უფრო შეუყვარდებათ ის სახლიც და ერთმანეთიც.

არა, ახალი სახლის აშენებას არ მოვუცდი, ამ შემოდგომაზევე ვიქორწილებ.

— შენ რომ იჭერ თადარიგს, ერთი სხვასაც ჰკითხე! მარტო შენს ნება-სურვილზე კი არ ტრიალებს წუთისოფელი! — ჩამომძახა იდუმალმა ხმამ. — შენი ფიქრი დიახაც კარგია, მაგრამ სანამ შენ აქ ასე ფიქრობ, იქნებ იქ უკვე... ამ შარახვეტია ნადირას იმდენი ქომაგი ჰყავს... სახლიც კარგა ხანია აუშენა გაიძვერა ბიძამ... ჰოდა...

ისე ვისკუპე კლდიდან, თითქოს ვიღაცამ ანაზდად ხელი მკრაო.

კვლავ ტყე-ტყე დავეშვი, მოკლე ბილიკით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სასიამოვნო ტკივილი

მთიდან მომავალ ვიწრო ბილიკზე ბარაქიანი ნაბიჯებით მოჯლაგუნობს ტუხა. მოკლესახელოებიანი ჭრელი ჩითის კვართის ყველა ღილი გაუხსნია და მზემოკიდებული, ხორბლისფრად მოლაპლაპე მაღალი მკერდი ხეობიდან მონაბერი გრილი ნიავისთვის მიუშვერია. დაკეცილი ცელი მხარზე კი არ გაუდვია, მარჯვენა ხელში დაუჭერია და მოაქანავებს. ცხვირნისკარტა წალდი ქამარში გაურჭვია. შიშველა ფეხს ისე თამამად ადგამს ქვაღორღიან ბილიკზე, გეგონებათ, გზაზე რბილი ხალიჩა უფენიაო.

ტყის ბილიკმა ფერდობზე დაკიდებულ ბილიკთან მიიყვანა, ფერდობის ბილიკმა — სამარხილე-საურმე გზასთან, შემდეგ ორგულას ხეობაში გაჭრილ ახალ სამანქანო გზას მიადგა. აქედან მჟავეწყლებისკენ გადახვევა უყვარს ხოლმე ტუხას.

„ფუცხუნა მჟავეწყალი, დიახაც, მსიამოვნებს, მაგრამ თეონამ რო გამასწროს? არა, დღეს მჟავეწყლის დასალევად არა მცალია“.

ცაზე გაბნეული ღრუბლის ჯოგი ზანტად მიბალახობს. მზე ჯერ მთებზე არ გადაგორებულა. ეტყობა, ცის კიდურზე დაგროვილ ღრუბლებში ყვინთავს. შორეული მწვერვალი სამიოდეჯერ განათდა და ჩაქრა.

ახლად გაჭრილი სამანქანო გზა ხეობიდან გავიდა და სადაც მუხლმარდი ორგულა მდინარე გიჟურას უერთდება, ფართო, ასფალტიან გზას მიუახლოვდა. გზაჯვარედინთან ღელეა.

ტუხამ ავტომანქანის ბორბლებისგან მთლად გაბრტყელებული ბაყაყი დაინახა. იგი კარგა ხნის გამხმარ-გაწოვებული იყო და მაინც ისე ჩანდა, კაცს ეგონებოდა, სადაცაა უკანა ფეხებზე აიწევს და გზიდან ისკუპებსო.

ჯოხი აიღო ტუხამ და ბაყაყი ბუჩქებისკენ ისროლა: სანამ მტვრად არ გაქცევენ, აქაურობას არ უნდა მოშორდეო!

თითქმის ერთი თვეა, ღელეზე ხიდია ჩანგრეული, გზაჯვარედინთან. მანქანები ამ ხიდს გვერდს უქცევენ და ღელით გადი-გამოდიან.

„ყველა ერთმანეთს ეჯიბრება სიგლახეში, — გაიფიქრა ტუხამ, — ღელეში გასვლისას შოფერიც წვალობს, მგზავრებიც ინჯღრევიან და მანქანაც ფუჭდება. რა დიდი ამბავი ამ ხიდის გაკეთებას უნდა, მაგრამ, ვინ არის პატრონი! ბებია უცხონდება ამ გზის მეთვალყურესაც და ჩვენი სოფლის მეთაურებსაც, იმათ არაფერი ედარდებოდეთ. ორიოდე ბიჭი რომ დამეხმაროს, მე მოვუვლი ამ საქმეს. არც საგზაოს ფული მინდა და არც კოლმეურნეობის შრომადღე. ძალიან თავშეუწუხებელი ხალხი წამოვიდა, ძალიან. ხვალ იქნებ ვნახო ვინმე. ცოტა დაყიალობს უსაქმოდ!“

ტუხამ ცელი, წალდი და ჩანთა ღელისპირა მინდორზე დაალაგა, ზედ ქუდი დაადო, თასმებით გადანასკვული წუღები გახსნა, ქვაზე დააწყო, შარვლის ტოტები მუხლებამდე აიგორგლა, წყალში ჩადგა და ფეხების ბანას შეუდგა. ღელე ნელთბილი იყო.

„როდის იქნება, ნაჯაფარს ჩემი თეონა რომ დამბანს ფეხებს. ჩემითაც მეხერხება, მაგრამ ის რომ ხელს შემახებს, უფრო მესიამოვნება. გემრიელ ვახშამსაც დამახვედრებს ყოველთვის. არაფრით არა მჯერა, რომ თეონას არ ვუყვარვარ. ქალია და თავს იჭერს. თუ არ ვუყვარვარ, დედაჩემს რატომ ეფერება ხშირად? დედაჩემიც რატომ ჩამიარაკებს ხოლმე, თეონასთანა გოგო დუნიაზე არ მეგულებაო?“

სიწყნარეა ირგვლივ, ზაფხულის საღამოს სიწყნარე. მხოლოდ ღელე მოხტის ქვებზე და ლიკლიკებს უდარდელად. ცელქ გოგონასავითაა ღელე.

ტუხა პატარა მორევს ჩაჰყურებს და ტანმოსხლეტილ კალმახსა ხედავს. ეს კალმახი მისი თეონაა.

შხუუუუ!

გაწუწული ტუხა გონმიუცემლად გადახტა ღელიდან და თვალის დახამხამებაში შემოტრიალდა. მოეჩვენა, ანაზდად მოვარდნილმა ცეცხლმა გაიბრდღიალაო. მერე მიხვდა: ცეცხლისფერმა „ვოლგამ“ გამიშხუილაო.

— ბებია გიცხონდება, ვიღაცა ხარ, შენ ჭკუადალაგებული არ იქნები! — არ შეუგინებია, მხოლოდ ეს მიაძახა მანქანას ტუხამ. სხვანაირად ლანძღვაგინება არც ემარჯვება.

„ვოლგა“ ღელის აღმართზე ავარდა, ასფალტზე საბურავების კვალი სველ ჯვრებად დატოვა და უფსკრულთან მიჭენებული ცხენივით შეჩერდა.

მერე ტუხამ დაინახა, მანქანის წინა კარი გაიღო და ვიღაც გადმოვიდა.

„თუ ესაა შოფერი, ღლაპი ყოფილა და რა ველაპარაკო! წადი, ბიჭო, გზას ბარაქა დაატანე!“

ის ღლაპი მისკენ გამოეშურა.

„ბიჭოს, შევცდი?! ეს არც ბიჭი ყოფილა და არც შოფერი!“

ტუხასკენ მოკლედ თმაშეკრეჭილი შარვლიანი გოგო მოაბიჯებდა.

— ბოდიში, აქაური ხართ? — ჰკითხა ბექობზე შემომდგარმა გოგომ.

— რა გნებავთ?

— აქაური ხართ-მეთქი?

— თქვენ რა გნებავთ? — შეკითხვა შეუბრუნა ღელეში კოჭებამდე ჩამდგარმა ტუხამ.

— ბერხევისკენ რომელი გზა მიდის?

— რომე[illegible] ადგახართ, ქალიშვილო, დავიჯერო, შოფერმა არ იცის გზა?

— რომელმა შოფერმა?

— ვისაც მიჰყავხართ.

— შოფერიც მე ვარ და მგზავრიც.

— კაი ერთი!

— ღმერთმანი, მარტო ვზივარ.

— ოჰო?! — ისედაც დიდრონი თვალები უფრო გაუდიდდა ტუხას და გოგოს გულუბრყვილო გაოცებით ახედ-დახედა. შოფერ ქალს პირველად ხედავდა. ისიც კი ვერ წარმოედგინა, თუ ასე ტანმორჩილი, წელწვრილი, პირხმელი და ვაფანდარა გოგო თუნდაც მსუბუქი ავტომანქანის მართვას შესძლებდა. ამ შოფერს ბენზინის ნაცვლად ნელსაცხებლის სუნი ასდიოდა. ვაჟკაცს გაკვირვება თანდათან მორიდების ფიქრით შეეცვალა. იგრძნო, გოგო გაღეღილ მკერდზე მომჩერებიაო და სასწრაფოდ შეუდგა კვართის ღილების შეკვრას. ყველა ღილი შეიკრა, მერე დაიბნა და ორი ზედა ღილი უნებლიეთ ისევ გაიხსნა, ასე რომ, მაინც გულგაღეღილი დარჩა. — ბერხევში ვისთან მიდიხართ?

— მანანა ჩიხრაძესთან.

მოსაუბრის ხმას სიცივე დაჰკრავდა, სიტყვას რაღაცნაირად წელავდა. ეს არ იყო მთლად გაჭყლარტული სიტყვა, მაგრამ ბევრიც არაფერი აკლდა. ყოველ შემთხვევაში, ტუხას ასე მოეჩვენა.

— არ იცნობთ? მაამისი კოლმეურნეობის თავმჯდომარეა.

— კოლმეურნეობის თავმჯდომარეს ვინ არ იცნობს, სოფლის პირველი თამადაა. ჰო, თამადობა ნამდვილად პირწყლიანი იცის.

— მანანა ჩვენს ქუჩაზე ცხოვრობს, თითქმის მეზობლად.

— აჰ, თბილისელი ხართ? კეთილად იმგზავრეთ! — ისე ჩაურთო ტუხამ, თითქოს მოსაუბრემ უკვე თავი მოაბეზრა და იშორებსო.

გულგრილი დუმილი ჩამოწვა, უხერხულიც. ეს ცივ დუმილზე უარესი იყო.

გოგომ გაბრუნება დააპირა, მერე მოაგონდა თავისი დანაშაული და პატიება ითხოვა:

— ბოდიში, მგონი, გაგწუწეთ...

— არა უშავს... — ტუხამ ჯიშიანი სიმინდის მარცვლებივით ბრტყელი და ფართო თეთრი კბილები გამოაჩინა, მერე სქელ შავ ულვაშებზე ცერი გადაისვა რატომღაც. — სუფთაა ღელე, არ გავსვრილვარ.

— მაინც არ არის სასიამოვნო. მგონი, შეგაშინეთ კიდეც...

— არ შემშინებია. შემიძლია ეგ ფურფუტელა მანქანა გულზეც კი გადავიტარო.

— ოჰო?! მე კი მომეჩვენა, რომ...

— ჩაფიქრებული ვიყავი და... უნებლიეთ განზე გავხტი. რა თქვენი ბრალია,

ძალიან კი არ შემოგიშხეფებიათ... უნებლიედ ხა არ ხდება...

ისევ დუმილი ჩამოწვა.

გოგომ კვლავ დაიპირა წასვლა და რაღაცამ შეუბორკა ფეხები. ახალი შავი შალის შარვალში ჩატანებული თეთრი კოფთა შეისწორა და მაღალი მკერდი ისე შეათამაშა, თითქოს ვინმეს ახარბებსო.

— აქ რას აკეთებთ? — ჰკითხა მცირე დუმილის შემდეგ.

— არაფერს, ისე... — ტუხამ მისთვის ჩვეული გულალალობით კინაღამ უთხრა, მთიდან ჩამოვედი და ფეხებს ვიბანო, მაშინვე იგუმანა, უცხოსთან ამის თქმა უხერხულიაო და სიტყვა ენის წვერზე დაკიდებული დარჩა.

— ამ პატარა ნაკადულში თევზაობთ? — ჰკითხა გოგომ.

— აქ თევზი არც იცის. ზოგჯერ მდინარიდან ლიფსიტები თუ ამოვლენ, ეგ არის და ეგ. მთიდან ჩამოვედი და ნამგზავრი ფეხებს ვიგრილებ... — კინაღამ დუმატა, თუ მიდიხარ, წადი ბარემ, რახ მომაშტერდი, წყალში ჩამდგარი ადამიანი არ გინახავსო? ამის თქმაც ეუხერხულა, ირიბად კი გახედა.

სალამო არც ისე ჩამუქებული იყო, გოგოს ვაქის ალმაცერი შემოხედვა ვერ შეემჩნია. ეწყინა: ეს ვინ ყოფილა, ქალიშვილთან საუბარი ეზარებაო.

— ბოდიში! კიდევ ბოდიში! — გაწელა სიტყვა შარვლიანმა გოგომ, შებრუნდა და უწადინოდ წავიდა. შემოტმასნილი შარვალი სხეულს, დიახაც, უფარავდა, მაგრამ უფრო მკაფიოდ კი უჩენდა ყოველი ნაკვთის რხევას.

ტუხამ უნებლიეთ გააყოლა თვალი და თავი ჩაღუნა, იფიქრებდით, რაღაცის შერცხვაო, ღელიდან ამოჩრილ ლოდზე ჩამოჯდა და გამალებით დაიწყო ფეხების ბანა. ზევით ახედვაც არ უნდოდა, ეგ ვიღაც უტიფრად მკერდწამობურცული შარვლიანი უცნობი გოგო თვალში კიდევ არ მომხვდესო.

„ვინ ოხერი გდია... თეონას ფეხის ფრჩხილადაც არა ღირს... თავს შემოევლოს ჩემს თეონას დედამიწის ზურგზე მოსიარულე ყველა ქალი!“

იქვე სხვა ფიქრი ჩაეზიარა:

„რატომ შევადარე თეონას? ვინ მითხრა, გვერდი-გვერდ დააყენეო?“

ცეცხლისფერი „ვოლგა“ ნელა აგუგუნდა, ხმას მოუმატა, ერთი დაიბღუილა, კვამლი გამოაბოლქვა და წაგრიალდა.

„მადლობა ღმერთს!“

ისე შეებით ამოისუნთქა ტუხამ, თითქოს ვინმე რამეს აძალებდა და, როგორც იქნა, თავი გაითავისუფლაო. ქვაზე შედგა, ჯერ ერთი ფეხი გაიქნია, მერე მეორე, წყალი დაიბერტყა, წუღები ჩაიცვა, წალდი ქამარში გაირჭო, ჩანთა გადაიკიდა და დაკეცილ ცელს დასწვდა. მერე ჩაიღიღინა:

არც არავის ყმა ვყოფილვარ,
არც არავინ ყმად მყოლია...

— ბოდიში, თქვენც ხომ ბერხეველი ხართ?

ტუხა შეკრთა. ბექობზე კვლავ ის შარვლიანი გოგო იდგა და ძეწკვზე აკინძულ გასაღებებს სალოკ თითზე ატრიალებდა.

— აკი წახვედით? — მიუგო პასუხად ტუხამ.

— დიახ, წავედი, მაგრამ...

ტუხამ უნებლიეთ კვლავ შეავლო გოგოს თვალი.

წვრილად გადაკალმული წარბები, კოხტად ჩამოქნილი ცხვირი და ბეჭდის თვალივით პატარა პირი საკმაოდ სანდომიანს ხდის ოდნავ ჩამოგრძელებულ გამხდარ სახეს. ტუჩის გადაყოლებით შავი ბუსუსები ემჩნევა და ეს სუსტი ღინღლიც ეშხსა და სითბოს მატებს. მაღალი ყელი ხაზს უსვამს ქალიშვილის სიგამხდრეს და ხორცნაკლულობას. შარვლის ნაცვლად კაბა რომ ეცვას, იქნებ თეძოები ასე მკაფიოდ არც გამოჰკვალთოდა. მხოლოდ მკერდი უჩანს მაღალი.

გოგოს ეტყობა, რაღაცის თქმა სწადია და ღელავს. გეგონებათ, სუნთქვა ეკვრისო, ისედაც პატარა პირს ოდნავ აღებს ხოლმე.

— მანქანა გაგიფუჭდათ? — ჰკითხა ტუხამ.

— ჯერ ჩემს მანქანას რა გააფუჭებს, ახალთ-ახალია... თქვენც ხომ ბერხევში მიდიხართ?

— აბა, სად წავალ?

— ჰოდა, აგიმგზავრებთ ბარემ...

— გმადლობთ, ნუ შეწუხდებით...

— მე შევწუხდები? პირიქით, გზას მასწავლით.

— ეს გზა არსად უხვევს, პირდაპირ ბერხევს მიადგებით... უჩემოდაც არ აგებნევათ გზა-კვალი.

გოგომ გაიღიმა. ამ ღიმილის თავიდათავი აზრი ის გახლდათ, რა ვაჟკაცი ხარ, ქალიშვილი გეპატიჟება, მანქანით წაგიყვანო და შენ უარს ეუბნებიო.

გოგოს ვაჟის უარმა ქალური თავმოყვარეობა გაუხელა. ჰოდა, უკან დახევა არც უფიქრია.

— მანანას სახლი?

— რა მანანას სახლი?

— ამ დიდ გზასთან დგას?

— სოფლის თავკაცს რა ძალა ადგას, გზის მტვერი ყლაპოს. წინათ კი ცხოვრობდა გზასთან... ის ძველი სახლი გაყიდა და ახალი აიშენა. სოფლის ხიდს რომ დაინახავ, მარჯვნივ მიუხვიე, ღელისკენ. გორაკზე დიდაივნიანი ორსართულიანი სახლი დგას. ეზოს ციხე-სიმაგრესავით მაღალი გალავანი ავლია და რკინის ჭიშკარი უბია, შავად შეღებილი, ყველა ჭიშკრისგან გამოირჩევა.

— აქედან მისწავლებას არ ჯობია, ახლოდან დამანახო?

— თავმჯდომარის სახლი მთელ ბერხევში ყველაზე ადვილი მისაგნებია, რა მისწავლება უნდა! — დაბეჯითებით უთხრა ტუხამ.

მეგზურობაზე ვაჟის უარმა გოგოს ქალური თავმოყვარეობა უფრო გაუხელა, რატომღაც ეს ამბავი შეურაცხყოფადაც კი მიიჩნია, თითქოს ამ წარბგაჩეხილმა ტანტრე ბიჭმა სილა გააწნაო, ლოყაზე კი არა, გულზეო. მერე ამ შეურაცხყოფას ქალური თავმოყვარეობის გახელების გარდა ცნობისწადილის გაღიზიანებაც მოჰყვა: ვინაა ეს გოლიათი ვაჟკაცი ასე ახირებულად რომ იქცევაო. მტკიცედ გადაწყვიტა: რაკი აქამდე მოვედი, ხელმოცარული და იმედგაცრუებული უკან უსიკვდილოდ არ გავბრუნდებიო. ვაჟკაცის უცნაურობასთან ერთად რაღაც იდუმალი დაინახა და ამ იდუმალების გახსნის სურვილი ჟინად აღეგზნო გულში.

— შენ, მგონი, რაღაცის გეშინია?! — გოგო ბექობიდან დაბლა ჩავიდა და დაცინვაშეპარული მედიდური ღიმილით ახედა მიწაზე ცელის ტარდაბჯენილ ახმახს.

— მე არაფრისაც არ მეშინია, — მორცხვი ღიმილი დაუბრუნა ახმახმა, თეთრი ბროლის კბილები მხოლოდ ოდნავ გამოაჩინა და წარბი შეათამაშა.

— გეშინია... ალბათ, ფიქრობ, ამ წრიპა გოგოს როგორ ვენდო, ვაი თუ სადმე ხევში გადამიძახოსო. — შარვლიანმა ქალიშვილმა წარბებგადაკალმული თვალები ისე მილულა და გაახილა, თითქოს ძილი დაჰკლებია და უნებლიეთ ეთვლიმებაო. ეს — ვნების ცეცხლის გაღვიძება-თვლემასაც ჰგავდა, რაღაცის ხვეწნა-მუდარასაც, იქნებ — თავის შებრალების ცდასაც: ხომ ხედავ, ასე სუსტი გოგო მარტოა, მხოლოდ თანამგზავრობას გთხოვს, სხვას არაფერს, შენ კი უგულოდ ექცევი, ოდნავადაც არ გებრალება, ზედაც არ უყურებო.

იმ წუთში გოგოს მედიდური შერჩა მხოლოდ პოზა და ამაყად აწეული ყელი. მაგრამ ეს ვერ ფარავდა მის უსუსურობას, ვერც იმ ტკივილს, თავს დაჩაგრულად რომ გრძნობდა.

— ჰა, გამოტყდი, ვაჟკაცო, ხომ გეშინია, ამ კაფანდარა გოგომ სადმე ხრამში არ გადამჩეხოს და ტყუილ-უბრალოდ არ დავიღუპოო?

ეს რაა? თავს აცოდებს გოგო, თუ მართლა საცოდავია?

დაჩაგრულ ადამიანს, ვინც არ უნდა იყოს, უცნობი თუ ნაცნობი, ტუხა გულგრილად ვერ მოექცევა. იქნებ თავისი დაჩაგვრა მოითმინოს, სხვას კი უეჭველად გამოექომაგება, თუ მისაშველებლად ჯან-ღონე არ გამოადგება, ნუგეში-

ანი სიტყვით მაინც დაეხმარება. ახლაც, ქალის სევდიანმა ხმამ თანაგრძნობის სურვილი გაუჩინა:

— აბა, ეგ საიდან მოიგონე, სტუმარო? ჯერ ერთი, მე ხრამში კიდეც რომ გადავიჩეხო, დარწმუნებული ვარ, მაინც არ დავიღუპები, საღ-სალამათი ამოვალ და, მეორეც, ვისაც სიკვდილის ეშინია, უფრო მალე კვდება. გარდა ამისა, შენისთანა გოგოსთან უფსკრულში გადაჩეხვაც არ უნდა იყოს მაინცდამაინც სანაღვლო...

ეს რომ თქვა, ენაზე იკბინა ტუხამ, რა წამომცდაო, და უმალვე ფიქრი მიაშველა, მხოლოდ თანაგრძნობისთვის წამომცდა, მხოლოდ თანაგრძნობისთვის, ნამდვილად კი არ მითქვამსო.

ჰო, ეს ქათინაური მხოლოდ თანაგრძნობისთვის წამოსცდა ტუხას, გოგომ კი ვაჟის ნაღდ გულისთქმად ჩაიბარა, მალამოდ დაიდო ნატკენ გულზე და შელახული ქალური თავმოყვარეობაც უმალვე მოუშუშდა.

— კეთილი. თუკი ასეა, წავიდეთ... ვინაიდან შენ არ გეშინია გადაჩეხის, მე სულ არ მეშინია. რატომ ითრევ ფეხს, კიდევ ყოყმანობ? ერთი შემოხედვით ადამიანს ეგონება, მთას მუშტით დაფშვნისო, შენ კი... დაშინებული ხომ არა ხარ?

— რას უნდა დავეშინებინე? — ტუხამ სვანური ქუდი შუბლისკენ გადმოიწია.

— ეგ წარბი, შემთხვევით, მანქანაში ჯდომისას ხომ არ გაიტეხე?

ტუხამ თავი გადააქნია:

— არა. შვიდი წლის წინათ მე და ერთი მეზობელუბნელი ბიჭი შამილა სკოლიდან შინ ერთად მივდიოდით. შამილამ გზისპირა კაკალს ქვა ესროლა. ტოტმა აირეკლა და მე მომხვდა. მაშინვე წავიქეცი. შამილას ეგონა, შემოვაკვდი და შეშინებული ღრიალით გაიქცა. მე კი თითქოს აქ არაფერიო, წუთში წამოვდექი და არხეინად გავუყევი გზას.

— მერედა, ასე უშიშარი ადამიანი რამ დაგაფრთხო, მანქანაში მეგზურად რომ მიგიპატიჟე? — გოგოს ახლა ის უფრო აინტერესებს, ამ ვაჟკაცის საქციელი სოფლური სიმორცხვის ბრალია, თუ სხვა რამის.

ტუხა იმას ხომ არ ეტყვის: მანქანაში ჯდომა არ მიყვარსო, ანდა: მანქანაში უცნობი ქალიშვილის გვერდით ვაითუ თეონამ მომკრას თვალი და, ეშმაკმა უწყის, რა არ იფიქროსო? არადა, რატომ უნდა ეგონოს ამ ვიღაც შარვლიან ქალაქელ გოგოს, თითქოს ტუხას რაიმესი ეშინია... მისი ან მანქანაში ჯდომის? გოგომ მიგიპატიჟოს: მანქანაში ჩამიჯექი და მეგზურობა გამიწიეო, შენ კი გააწბილო? მაშინ რა ვაჟკაცი გქვია ტუხა? მოიხადე ეს შენი სვანური ქუდი, მანქანას შეუგდე ბორბლებქვეშ და ქალის თავსაფარი დაიხურე, ეს ულვაშიც მოიპარსე!..

— კეთილი, წავიდეთ... ოღონდ, ბოდიში, სახელიც კი არ ვიცი...

გოგოს თვალებში თითქოს ციცინათელებმა ჩაიბუდესო, ხელი ხალისიანად გაუწოდა:

— ინგა... ინგა დაღიაშვილი!

— ტუხა... ხატაველი!

— ვაი!.. ვაი!..

ტუხამ ჩვეულებრივ ჩამოართვა ხელი, მოჭერა არც უფიქრია, მაგრამ სოფლელი კაცის მსხვილთითება, დაკოჟრილი და უხეში ხელი ქალაქელი ქალიშვილის პატარა, სათუთ ხელთან შედარებით თავისთავად აღმოჩნდა ძალოვანი. ინგას ეგონა, რკინის მარწუხები მომიჭირესო. წვრილმა ძვლებმა გაიტკაცუნეს.

— მაპატიეთ! რა მოხდა?! — ვერ გაიგო ტუხამ.

— შენ თუ ყველას ასე ართმევ ხელს...

— აბა, როგორ ჩამოვართვა?

— ღმერთმა გაძლება მისცეთ.

— გეტკინა?

— მეტკინა, ოღონდ... არ მემწარა... რალაცნაირად თითქოს ეს ტკივილი მესიამოვნა კიდეც. — ინგამ გაღიმება სცადა.

— თუ გეტკინა, როგორღა გესიამოვნა, სტუმარო?

— ძნელია ახსნა... განა ადამიანმა ყვე-

ლაფერი იცის?.. ტუხა... ტუხა... ალბათ, ნამდვილად ევტიხი გქვია.

— რაც თავი მახსოვს, ყველა ტუხას მეძახის, შინაურიც, გარეულიც...

— პასპორტში?.. პასპორტში რა გიწერია?

— პასპორტი ჯერ არ ამიღია... ქალაქში არ მივდივარ და არაფერი, პასპორტი რა ჭირად მინდა... ამ სოფელ-ქვეყანაში ვითომ უპასპორტოდ ვერ ვივლი? წინათ თურმე ბერხევში პასპორტი არც არავის ჰქონია...

„აი, კიდევ ერთი უცნაურობა!“ — გაიფიქრა ინგამ, მანქანის კარი გამოაღო და საჭეს მიუჯდა.

ტუხა ისევ შეყოყმანდა.

„ჯერ ერთი, ღმერთმა ხომ იცის, არ მიყვარს მანქანით სიარული, მეორეც, სოფელი ჭორიანია. ძნელია, ჩემხელა ადამიანი ამ მანქანაში დაიმალოს. თეონამ რომც ვერ დამინახოს, ეტყვიან და... რა იცი...“

უარის თქმაც უკვე გვიან იყო. ვაჟკაცი რომ ნაბიჯს გადადგამს, უკან აღარ უნდა დაიხიოს, სირცხვილია. რას იტყვის ეს შარვლიანი თბილისელი გოგო.

ტუხამ უკანა კარი გამოაღო.

— წინ დაჯექი, ნუ გერიდება! — შეიპატიჟა ინგამ.

— არა, უკან არ ვჯდები... ცელს, ჩანთას და წალდს დავდებ აქ... შეიძლება?

გოგომ თვალებით უთხრა, ეგ რა საკითხავიაო.

ტუხა მოიხარა, ჯერ ზურგშექცევით შუატანი შეყო მანქანაში, ჩამოჯდა და მერე გრძელი ფეხებიც შეითრია. გაუჭირდა დატევა. კარი ფრთხილად დახურა.

—მაგრად მოარტყი, დაკეტილი არაა!— უთხრა გვერდით მჯდომმა ინგამ. — მოსახვევში ანაზდად რომ გაიღოს, გადავარდები და... შარის თავი მაქვს? შენხელა ვაჟკაცი საიდანღა გავუჩინო ბერხევს!

— ნუ გეშინია, გზა არ გატყდება! — მიუგო ტუხამ.

ინგამ სარკეში დაინახა მისი თეთრი ბაკლები.

კარი დგაფუნით დაიხურა.

— გზა კი არ გატყდება, მაგრამ თავმჯდომარის სახლისკენ მიმავალ გზას ვინღა მიმასწავლის? — ტუხას ხუმრობას ხუმრობითვე უპასუხა ინგამ.

— არ დაიკარგები.

„კარგი თვალადია, ოღონდ ერთობ თამამიცაა, — გულში გაივლო ტუხამ, — ისიც საკითხავია, რატომაა ასე გამხდარი? შინ არაფერს აჭმევენ? იქნებ რამე ისეთი ავადმყოფობა სჭირს, რო... თუმცა, სიგამხდრე სულაც არაა ავადმყოფობა, ზოგჯერ სიმსუქნე უარესია. ამბობენ, ქალაქში ქალიშვილების სიგამხდრე მოდაშიაო. ქალაქელების აკვინტრიშების ამბავს რას გაუგებ! ეგეც, ალბათ, მოდას აჰყვა, თორემ ღარიბს რა უგავს... დონდლო სიმსუქნე ვის არგია, მაგრამ არც ასე ვარგა... რას არ გამოიგონებენ... ჩაუცვამს ბიჭივით შარვალი...“

ტუხას თვალი უნებლიეთ გაექცა ინგასკენ ერთხელ, ორჯერ, სამჯერ.

მოხდენილად უზის საჭეს შარვლიანი გოგო, თითქოს თავისი დღე და მოსწრება ზედ არის შეზრდილიო. ზოგჯერ იმასაც კი ახერხებს, საჭე ცალი ხელით დაიჭიროს, მეორე კი თმაზე გადაისვას. მარცხენა ხელის შუათითზე დიდი ბეჭედი წამოუცვამს. იქნებ ბიჭედი არც არის, უცნაურ ხუფიან საათსაც ჰგავს... შეიძლება თეთრი ოქროს საათი? ალბათ, ესეც მოდაშია. სამაჯური ნაირფერად უბრჭყვიალებს. პატარა ბიბილოებზე ფირუზისფერი საყურეები ჰკიდია. მოსაწყვეტად გამზადებული ჩამოგრძელებული ცრემლის მსგავსი. კისერზე ავგაროზიანი ოქროს ჯაჭვი ჩამოუკონწიალებია. მოკლედ: გამოუფენია მთელი თავისი ავლადიდება: შემომხედეთ, რა მდიდარი ვარო.

„საწყალს, ეტყობა ბრჭყვიალა სამკაულები ჰგონია ყველაფერი... ვისთვისაც დაგიხარბებია, იმასვე დაახარბე! მე სამკაულების ბრჭყვიალით ვერ დამაბრმავებ, ზედაც არ შემოგხედავ... თეონას ერთი უბრალო შემოხედვა მთელ შენს ავლადიდებას გადაიწონის!“

ასე ფიქრობს ტუხა, თვალი კი მაინც გოგოსკენ გაურბის ზოგჯერ.

ნელსაცხებლის მკვეთრი სუნი ცხვირში უღიტინებს. სად თივის გამაბრუებელი სურნელება და სად ეს, მაგრამ თავისებურად ესეც სასიამოვნოა თითქოს.

— მანანამ მითხრა, სოფელში გემრიელი მჟავეწყალი გვაქვსო. მართალია?

— არა გვაქვს სოფელში მჟავეწყალი. უბრალო სასმელი წყალიც კი არა გვაქვს ყველა უბანში. მთელ ბერხევში ოთხიოდე ბინული მოწანწკარებს საცოდავად, ეგ არის და ეგ. ჩემი ბავშვობისას ნესტორა თავმჯდომარე ხალხს დაპირდა, მოსკოვში ფეხით წასვლა რომ დამჭირდეს, ავიკიდებ ხურჯინს და გავუტევ, ბერხევის ყველა უბანს კი მთის ცივ წყალს ჩამოვუყვან და კარდაკარ ჩამოვურიგებო. სოფელში ფულიც კი აკრიფა წინდაწინ.

— მერე?

— ბებია უცხონდება, მაგის მეტი ტყუილი არ უთქვამს ჯერ. არც წყალი ჩამოუყვანია, არც ის ფული დაუბრუნა ხალხს. უსირცხვილოდ შეიტყაპუნა.

— ალბათ შენ და თავმჯდომარე ხშირად ჩხუბობთ და...

— მე არავისაც არ ვეჩხუბები... თუ ფეხის დადგმას დამიპირებს ვინმე, მაშინ კი... ისე, მჟავეწყალი მართლაც არის ჩვენში, ოღონდ სოფელში არა. — სიტყვას გეზი უქცია ტუხამ. — მე რომ დაგხვდი, იქ უნდა გაპყვე ხეობას, გადაივლი მთას, გაიმინდვრებ, მერე ტყეში შედის გზა, იქიდან კი ალარც მჟავეწყალია შორს. მოწითალო კლდესთან მოჩუხჩუხებს საყვარლად. ცივიც არის და გემრიელიც.

— გიყვარს?

— ღვინით ქეიფს მირჩევნია. ფუცხუნა მაჭარივითაა. მე რომ სოფლის თავკაცი ვიყო, იმ მჟავეწყალს ამ მთავარი გზის გზაჯვარედინთან მოვიყვანდი მილებით და დალევდა ყველა მგზავრი. ბებია უცხონდება ჩვენი სოფლის უფროსებს, ამაზე ვინ ფიქრობს!

8. „მნათობი", № 3.

გზამ მიუხვ-მოუხვია და გამოჩნდა ფერდობზე შეფენილი სოფელი.

რკინის წითელმოაჯირიან ხიდს მიუახლოვდნენ და ასფალტიანი გზიდან რიყის ქვებით მოკენჭილ შუკაზე გადაუხვიეს.

ტუხა ცდილობდა რაც შეიძლება დაპატარავებულიყო და მანქანაში დამალულიყო. ვერაფრის გზით ვერ ახერხებდა. არადა, უფრო მოეძალა შიში, ვაითუ ვინმემ დამინახოსო.

ყორეზე რუხი ძაღლი გადმოხტა და მანქანას აედევნა გაანჩხლებული ყეფით. ხან წინ გაუსწრო, ხან კუდში მოექცა, ორიოდეჯერ შეახტა კიდეც და კარის სახელურს უკბინა. რკინას, რა თქმა უნდა, ვერაფერი დააკლო, თვითონ კი კინაღამ ბორბლებქვეშ ჩავარდა. მგლისფერი ძაღლის ღავღავზე სხვა ძაღლებიც გამოცვივდნენ და გულმოცემულნი ხროვად მიესივნენ ცეცხლისფერ მანქანას, ითქოს მისი დაბრდღვნა სწადიოთ.

— ეს რა ავი ძაღლები გყოლიათ ბერხევში, ისიც ამდენი... — გადმოულაპარაკა საჭესთან მჯდარმა შარვლიანმა გოგომ თანამგზავრს.

— კი, გაძაღლებულია მთელი სოფელი, — მოუგო ტუხამ ისე, რომ ინგასკენ არც გაუხედავს.

— ყველა მანქანას ასე მტრულად დასდევენ?

— არა, თავისიანს სცნობენ. შენი „ვოლგა", ეტყობა, ერთობ უცხოდ მოეჩვენათ, ისეთი ფერისაა...

ძაღლებმა წითელი მანქანა უბნის ბოლომდე მიაცილეს თავგადაკლული ღავღავით და რაკი რკინას ვერაფერი დააკლეს, საწისქვილო ღელესთან ეულად გაუშვეს.

ღელესთან ოღროჩოღრო გზა დაიწყო, აქა-იქ გუბეებიც იდგა. ორიოდე გუბე ტლაპოდ ქცეულიყო.

— თავმჯდომარე თავისთვის ახალ გზას აკეთებინებს და ეს ძველი გზა იმიტომ არის აყრილი, — გაანათლა ტუხამ სტუმარი.

მანქანამ ოღროჩოღრო გზაზე რწევას მოუხშირა. ინგას შიშველი მკლავი ორი-

ოლეგერ ტუხას მკლავს მიელამუნა. ასეთი რამ ტუხას არასდროს განუცდია. ჟრუანტელმა თავში რომ დაჰკრა, ფეხის გულებში გაატანა.

მზე ალარსად ჩანდა. ჯერ არც ნათურები ენთო სოფელში.

ფერდობზე „ვოლგას" ხმა დაუბოხდა, მერე თავისებური ხრიინწიც შეეპარა.

უცებ ტუხა მუშტივით მოიკუმშა, თავი ლამის ლაჯებში ჩარგოს.

ინგას ეს შეუმჩნეველი როდი დარჩა.

— შენ ისევ შეგაშინა რალიცამ, ჯიკოლიკ?!

— შიში რა შუაშია, წელაში ხვინჭკა ჩამვარდნია, შემაწუხა და ამოვიღე! — ჭირივით ეჯავრება ტუხას ტყუილის თქმა, მაგრამ, აი, ათქმევინეს. გარემოებამ აიძულა. ამ წუთში სხვა ვერაფერი მოიფიქრა და რა ექნა. უცხო სტუმარს იმას ხომ არ გაუმხელდა, წყაროს ბილიკიდან შუკაში ამოსული თეონა დავინახეთ?

„ვოლგა" მხარზე კოკაშედგმულ ქალიშვილს დაეწია.

მანქანის ბღუილმა გაგონებისთანვე თეონა განზე გადგა და კოკაჩამოუდგმელად ლობეს გაეკრა.

ინგას ქალიშვილის პირისახე არ დაუნახავს. ერთი რამ შეამჩნია მხოლოდ. თეთრკოპლებიანი გრძელი ლურჯი კაბა ხალვათად ეცვა. ორი სქელი ნაწნავი კოჭებამდე დახთრეოდა. კარგა ხანია, ასე გრძელნაწნავებიანი გოგო ალარსად დაუნახავს.

„ვოლგამ" გაიქროლა და ცხვირწამოშვერილ კლდესთან, მოსახვევში მიეფარა.

ლელეზე ფეხებგალაჯულ წისქვილს რომ გასცდნენ და გალმაუბნის ხიდს მიადგნენ, ტუხამ წყრომანარევად შეუძახა, გამიჩერეთ, კარი თვალის დახამხამებაში გამოაღო და ისკუპა, უკანა ხავარძვლზე მიყრილი ცელი, ჩანთა და წალდიც უმალვე დაითრია.

— რა მოხდა?! — ისედაც დიდრონი თვალები უფრო გაუფართოვდა ინგას.

— არაფერი, მოვედით. მე გამოლმა ვცხოვრობ. ნესტორას სახლი ე, ის არის, გორაკზე წამოჯგიმული უნამუსოდ რომ გადმოჰყურებს მთელ სოფელს.

— გეტყობა, მაგარი ნაჩხუბარი ხარ.

— იმ გუდაფშუტასთან საჩხუბრად მცალია სწორედ, ბებია უცხონდება!

„თურმე თავმჯდომარესთან შეხვედრას გაურბის, მე კი მეგონა, ჩემს თანამგზავრობას თაკილობს–მეთქი". — თავის ქალურ თავმოყვარეობას ახალი მალამო გამოუნახა ინგამ და სხვა რამეს ალარც ჩაეძია.

— ნახვამდის! — ამაყად გაუწოდა ხელი მეგზურს.

ტუხამაც არ დაიყოვნა ხელის ჩამორთმევა.

ინგამ ერთხელაც ახედ-დახედა ტუხას, კარი დგაფუნით მიიხურა, მანქანას მწარე კვამლი გამოაბოლქვებინა და უმოაჯირო ხიდზე თამამად გადაიარა.

მთის ნიავმა უმალვე გაფანტა ბენზინის, მწარე კვამლის და ნელსაცხებლის სუნი.

ლელის შეუწყვეტელ ჩხრიალს ჭრიჭინების ღამეული კრუალი ჩაეზიარა.

გზას გახედა, თეონა ხომ არ გამოჩნდათ.

„დამინახა ვითომ? კოკა ისე ჰქონდა ამოფარებული, არა მგონია... მეც ისე ვიყავი ჩაყუჟული... ტყუილად გადამიქანდა გული. კაცმა რომ თქვას, თუნდაც დავენახე, ცუდი რამე რატომ უნდა ეფიქრა? არ შეიძლება, უცხო ადამიანს, თანაც სტუმარს, მანქანაში ჩაუჯდე და გზა ასწავლო? რა არის საეჭვო და დასაძრახი?

რაც ქვეყნიერების ზურგზე ქალიშვილი დადის, ყველა შემოევლოს თავზე ჩემს თეონას, არავიშიც არ გავცვლი. თეონაზე თვალტანადი, გულკეთილი და ყოჩაღი ვინ არის კიდევ? ზოგს სიმდიდრე ყელზე ჩამოუკონწიალებია ოქროს ძეწკვად, თითებზე წამოუცვამს ნაირნაირ ბეჭდებად, ძვირფას სამაჯურებად უკეთია, ოქროს საყურეებად ჰკიდია... თეონა არც ერთი ამ სიმდიდრით არ იწონებს თავს. მთელი მისი ავლადიდება უბრალოა: შეუღებავი სილამაზე, ფეხშიშველა ჯანმრთელი სხეული, გამრჯე

მკლავები და სათნო გული. სხვებს სიმდიდრე, ეშმაკმა უწყის, რა შავი გზებით არ უშოვეს მშობლებმა, თეონას კი დედამ ეს უბრალო სიმდიდრე დაბადებისთანავე აჩუქა და მხოლოდ ამის ამარა მიატოვა მზისქვეშ. ესაა ნამდვილი სიმდიდრე, დანარჩენი ყველაფერი მოგონილია".

ჰო, ასე ფიქრობს ტუხა.

რისი წართმევაც და მოპარვაც შეიძლება, მოგონილი სიმდიდრეაო, — თურმე ასე იტყოდა ხოლმე ტუხას ბაბუა, დიდი ტუხა, — ჭეშმარიტი სიმდიდრე ის არის, ღმერთიც რომ ვერ შეგეცილება, ეშმაკიც რომ ვერ მოგპარავს და ყაჩაღი ვერ წაგართმევსო.

თეონას ჭეშმარიტად ისეთი სიმდიდრე აჩუქა ბუნებამ, ვერც ვერავინ მოპპარავს, ვერც ვერავინ წაართმევს, ვერც ვერავინ შეეცილება.

ტუხას იქნებ ქვეყნიერების ავ-კარგისა ბევრი არაფერი გაეგებოდეს, ეს კი ჩინებულად იცის. თვითონაც ხომ მხოლოდ ასეთი სიმდიდრის ბატონ-პატრონია, მეტის არაფრის. არც სწადია სხვა სიმდიდრე. თუ სადმე ოქრო-ვერცხლი, ბრილიანტი და მარგალიტია, ერთად რომ დაუხვავონ წინ, თეონას ნეკის ფრჩხილშიც არ გაუცვლის არავის...

აი, გამოჩნდა თეონა! რა ლაღად მოაბიჯებს! მხარზე შედგმული კოკაც კი მღერის თითქოს.

— ან დღეს, ან არასოდეს! ან დღეს, ან არასოდეს! — აჩურჩულდა ტუხა. მღელვარების დასაწყნარებლად სჭირდება ეს. — ახლა უეჭველად გადავუშლი ჩემს გულს თეონას! როდემდე, როდემდე შეიძლება სიყვარულის კუკუდამალობანას თამაში! ან დღეს, ან არასოდეს, ან დღეს, ან არასოდეს!

მონიავქარობს ტანაშოლტილი გოგო. სანდლები აცვია. კარგა ხანია ფეხშიშველა სიარულს თემშარაზე ერიდება. წელი ბეჭდის თვალში გაეტევა, თუნდაც იმ ბეჭდის თვალში, ინგას რომ უკეთია თითზე. ორი მსხვილი შავი ნაწნავი კოჭებამდე სწვდება. თეთრკოპლებდაყრილ მუქლურჯ კაბაში მაღალი მკერდი ველარ ეტევა. სადაც ძუძუები აწვება, კაბა მალე გაცვეთილა. ვიდრე მთლად გამოიხეოდა, გოგოს ამ კაბის ნაჭერივე დაუკერებია ზედ, ოღონდ ისე ფაქიზად, ეხდება კიდეც, თავისებურ იერს მატებს. ოდნავადაც არ გეცემათ თვალში გახუნებულ კაბაზე ახალი საკერავები.

ყელყარყარა გოგო მსუბუქად მოაბიჯებს, თითქოს დიდი კოკა მხარზე არც უდგასო.

ტუხამ ცელი მარცხენა ხელში გადაიტანა და მარჯვენათი თაფლის სანთლით მუცელდაკერებულ კოკას წაეტანა.

— რა გინდა? — განზე გაიწია თეონამ და ზედა კბილები ქვედა ტუჩს დააჭირა.

— რატომ შემომწყერი? წამოგაღებინებ... შორიდან მოგაქვს...

— არ მინდა.

— რატომ?

— საპყარი ვარ? მიჭირს? — მაღალი წარბები უფრო მაღლა აზიდა მხარზე კოკაშედგმულმა გოგომ. — წყლის მისატანადაც თუ ვინმეს დახმარება დამჭირდა, კარგად ყოფილა ჩემი საქმე. — თეონამ ახლა ქვედა კბილები დააჭირა ზედა ტუჩს.

ღელის ღიღინი, ჭრიჭინების ღამეული კრუალი და თეონას თბილი, ღუღუნა ხმა თითქოს ერთმანეთს ეხმატკბილებიანო.

ამიტომ ვერ დაიჯერა ტუხამ გოგოს გულისწყრომა. ცდილობს თვალებში ჩახედოს, როგორც ბავშვობისას სჩვეოდა. გაგონილი აქვს, გოგოს უყვარხარ თუ არ უყვარხარ, თვალებში ამოიკითხავო. რაიმეს რომ ეტყვი, ნაპერწკლები აუპარპალდება და იმ ნაპერწკლების იერი უნდა გამოიცნოო. გოგოს თვალში ორნაირი ნაპერწკალი ინთება თურმე: ცეცხლის ნაპერწკლისნაირი, თბილი — სიყვარულისაა, ფუტუროსნაირი, ცივი — ზიზღისა და სიძულვილის.

ტუხას ათბობს თეონას თვალის ნაპერწკლები, თუმცა გოგოს პირისახეზე მრისხანება ახატია. სახე ერთს ეუბნება, თვალები — მეორეს. ტუხას თვალებისა უფრო სჯერა.

— მერე მე როდის გითხარი, საპყარი ხარ-მეთქი? უბრალოდ ხელს შემოგაშველებ... დიდი ალმართი გაქვს ასავლელი...

— ავივლი უშენოდ... ჯერ არ ამივლია თუ? — თეონამ გვერდი აუქცია ტუხას და გზა განაგრძო.

— იცოდე, ხმას აღარ გაგცემ, გულო! — ამ წუთში სხვა სიტყვა რომ ვერაფერი იპოვა ტუხამ, ესღა დაადევნა.

თეონას ტუხას მუქარაზე გაეღიმა, შეჩერდა და არხეინად მიუგო:

— ხმას არ გამცემს!.. ჯავრით მოვკვდები, შენმა მზემ! არ გამცემ ხმას და უფრო მშვიდად ვიქნები.

— მართლა? — წამით გახევებულმა ბიჭმა დაჰკრა ფეხი და წინ დაუდგა გოგოს — რატომ გამირბიხარ? შენ ხომ იცი, არშიყობა არ ვიცი, არცა მცალია საარშიყოდ... არა, მოცლით კი მოვიცლიდი, არ მეხერხება... გუნებაში რაც მაქვს, პირდაპირ ვამბობ... შენ ხომ იცი, მე უშენოდ... შენ უჩემოდ... მე შენ... — ალუღლუღდა ტუხა.

— გადაირიე, ბიჭო? რა იწილო-ბიწილო აგიტყდა დღეს? ისეთი რა დაგესიზმრა წუხელი?

— ცხადშიც და სიზმარშიც შენა გხედავ, გულო! — გათამამდა ტუხა.

— ეგ ტყუილების გუდა როდის გაბერე? — თავი ჩაღუნა თეონამ.

— ჩემი ტყუილების გუდა ვის უნახავს, გულო? ისე სიცოცხლის გამგებელმა ჩემი სული შეიყვაროს, რავარც მე შენ მიყვარხარ! ჩვენს სიყვარულს აღარ სჭირდება კუკუდამალობანას თამაში. შენც იცი, მეც ვიცი და, ალბათ, სხვებიც ამჩნევენ, ერთმანეთი რო გვიყვარს. — მღელვარებამ აუმღვრია ტუხას ხმა, მერე თანდათან დაშვიდდა და ხმაც დაეწმინდა. — რაღად გვინდა მკითხაობა ან მაშუალი, ერთმანეთისათვის ვართ დაბადებულები... ჰოდა, ამ შემოდგომაზე ვიქორწილოთ.

— უი, მეხი კი დამეცეს, რას მიბედავს ეს ბიჭი! ჯერ რა დროს ჩემი გათხოვებაა, ადამიანო! — თეონამ ხან ერთი ტუჩი მოიგდო კბილებქვეშ, ხან — მეორე.

— გოგო რომ დაქალიშვილდება, უნდა გათხოვდეს, აბა, რა! ბიჭს რო ულვაში ამოუვა, ქალი უნდა მოიყვანოს. ვითომ არ გაგიგია.

— გამიშვი, ბიჭო! გამიშვი! გზას ნუ მიღობავ!

— არ გაგიშვებ! — დაბეჯითებით უთხრა ტუხამ. — ერთხანდელივით, კოკას გაგიტეხავ, სულ გაგწუწავ და არ გაგიშვებ! ბარემ გადავწყვიტოთ ჩვენი ბედ-ილბალი! — კიდევ უფრო დაბეჯითა ტუხამ და წარბი შეათამაშა. — ასწიე თავი, გულო! გამისწორე თვალი!

— ნუ ხარ, ბიჭო, ახირებული! მომეშვი!

— ვერ მოგეშვები!.. თუ ძალიან გამაბრაზებ, ადარისიდეს მოგაკითხავ და დარჩები სულ მარტო!

— ერთბაშად თვალები დამაწყდება შენი ბილიკისკენ ყურებით. მეც ეგ მინდა, თუ ადარ მოგაკითხავ!

— დაიფიცე! დედის სული დაიფიცე! თეონას ენა დაება, ვერ დაიფიცა და ტუხას ეს დუმილი სასიამოვნოდ დაურჩა: კეთილ ტყუილზე გამოვიჭირეო, ხელი უნებლიეთ ისევ კოკას წაატანა.

— გამიშვი, ბიჭო, გამიშვი! ობოლი გოგო რომ ვარ, მიბრიყვებ?

— არაფერსაც არ გიბრიყვებ! სხვა ვინ დამიბრიყვებია, შენ დაგიბრიყვო? სიყვარული დაბრიყვებაა?

— რას გადამეკიდე, ადამიანო?

— რა მზეთუნახავიც შენა ხარ, ის მზეჭაბუკი ვარ მეც, ჰოდა, ფერი ფერს და მადლი ღმერთსო...

— რა ჭკვიანი ხარ! შენვე ჭრი და შენვე კერავ! ისევ ის სულელი ხარ, ერთხელ ჭინჭრით ფეხები რომ დამისუსხე.

— ჰო, ვაღიარებ! ის მაშინ სისულელით მომივიდა. ბოდიშს გიხდი ახლა, ერთად ას ბოდიშს. ღმერთმაც იცის და შენც იცი, მტრობით არ ჩამიდენია...

— ის რაღა იყო, კოკა რომ გამიტეხე შურდულით?

— ვაღიარებ. ეგეც სისულელით მომივიდა. სისულელით კი არა, სიყვარუ-

ლით... მაშინ ხომ ძალიან მიყვარდი, ახლა ასჯერ მეტად მიყვარხარ...

— მე კი... არც მაშინ მიყვარდი, არც ახლა მახატიხარ გულზე... ერთი ბეწვის ოდენადაც არ მიყვარხარ, კი...

— ბარემ ისიც მითხარი, ჩემი თავი შენთვის არ მემეტება-თქო.

— არავისთვის არ მემეტება.

— გემეტება. უკვე გასათხოვარი ხარ და გემეტება... ვიცი, გემეტება. ჰოდა, ახლავე გამოტყდი, ვისთვის გემეტება, თვარა!..

— არ არის შენი საკითხავი!

— აბა, ვისი საკითხავია? იმისი?

— ვინ იმისი?

— ვინც გიყვარს.

— ვინ მიყვარს?

— ის...

— ვინ ის?

— ვინ და... მაინცდამაინც გინდა მათქმევინო. ნადირა! ჰო, ნადირა. თვალტანადობა არ აკლია. კარგი სახლი უდგას, თავმჯდომარე ბიძა ყოველნაირად ეხმარება...

— გაჩუმდი! შენ ჭირსაც გადაჰყრია ნადირაა თუ ჯანდაბა... თავის სახლიანბიძიანად... მე არავინაც არ მიყვარს... არც შევიყვარებ, თუ... რას არ მოიგონებ!

— ნადირას უყვარხარ!

— მერედა მე რა ვქნა? მოვკლა, ნუ გიყვარვარ-მეთქი? იქნებ შენც უყვარხარ ვინმეს, დაუშლი?

— არაფერი არ ვიცი. თუ შენ ჩემი არ იქნები, თავს არ ვიცოცხლებ!

— თავის მოსაკლავი რა გჭირს, ცოტაა გოგო ქვეყანაზე?

— მე გულო, სხვა არავინაც არ მინდა!.. შენს გარდა ვერავის შევიყვარებ! გიმეორებ, უშენოდ სიცოცხლე აღარ შემიძლია! პირობა მომეცი, რომ ჩემ გარდა არავის შეიყვარებ შენც... ცოლქმრობის პირობა უნდა დამიდვა დღესვე... აქვე, ახლავე, ამ წუთში!

— უიმე, გამიშვი!

— ვერ გაგიშვებ, სანამ პირობას არ მომცემ და ან შემომფიცავ!

— ღმერთო ჩემო, რას გადამეკიდა! გამიშვი-მეთქი! ეგ რა ვაჟკაცობაა! ვიკივლო? გზა, თვარა!..

— კეთილი! წადი ახლა!.. ასე, მართლაც, უხერხულია... ამდღეებში მამიდა-შენთან მოგელაპარაკები! დედაჩემსაც მოვიყვან! ჰო, ასე აჯობებს!

თეონა ჩქარი ნაბიჯით აუყვა ალმართს.

ტუხა ალარ გაჰკიდებია, ის კი გაიგონა: გოგოს ტირილი წასკდა.

„რატომ ატირდა?! იქნებ იმ შარვლიან ქალაქელ გოგოსთან მანქანაში მომკრა თვალი და ეწყინა? არა მგონია. მაშინ საყვედური წამოსცდებოდა რამენაირად. არა, თეონას თვალებში სიძულვილის ნაპერწკლები არ გაჩენილა... მაგრამ რა იცი, იქნებ უკვე ნადირას მისცა პირობა და ახლა... ახლა ნანობს? დედას ვუტირებ იმ ავყიას და უსაქმურს!.. თუ ბოლმას ყელში ამომიყვანენ ბიძამისიც და ისიც, მე ღმერთი კი არა ვარ, ყველას ყველაფერი ვაპატიო!..“

კარგა ხანს იდგა ტუხა შუა გზაზე. თითქოს ხუნდები დაადესო, ფეხი ვერ წადგა წინ.

ისევ უპასუხოდ დატოვა თეონამ — არც იმედიანად, არც უიმედოდ.

ანწლებიდან გამოფრენილმა ციცინათელამ ციმციმით ჩაუარა გვერდით.

გეგონებოდათ, ნაპერწკალი ჰაერში მიხტისო, სადაც დახტება, ინთება და ქრებაო.

ცაზე ვარსკვლავებმა გაახილეს თვალები, მთვარეც ამოცურდა და მკრთალი შუქი გადმოასხივა ელექტრონათურებით ავარსკვლავებულ სოფელს.

ჭრიჭინების ღამეული კრუალი კვლავ ეხმატკბილებოდა ღელის ღიღინს.

იდუმალებით იყო სავსე ეს კრუალიც და ღიღინიც.

ტუხამ ყური მიუგდო. უნდოდა ამ იდუმალ სიმღერაში თეონას ღუღუნა ხმაც გაეგონა. ვერ გაიგონა.

შინ წასვლა რომ დააპირა, ერთხელაც გახედა იმ გზას, მხარზე კოკაშედგმული თეონა რომ აუყვა ტირილით.

მოეჩვენა, რომ ახლა მარტოდ დარჩენილი გზაც ტიროდა.

შინ მისვლისთანვე ტუხამ ტახტს მიაშურა და ლოგინში გაეხვია.

— რა მოგვიდა, შვილო, ავად გამიხდი? — შეეშინდა დარიკოს და უმალვე შუბლზე დაადო ხელი, სიცხე ხომ არა აქვსო.

ტუხამ დედის ხელი ალერსიანად მოიშორა:

— ავად კი არა... ჩემი ავადმყოფობა ვის გაუგონია! მეძინება.

— ჯერ ვახშამი გეჭამა, ბიჭო. ლორში ჩახრაკული პარკი ლობიო ხომ გიყვარს შენ?

— არა მშია, დედა. ჩააქრე შუქი, გეხვეწები!

— კაი, შვილო, კაი, რავარც გესიამოვნება. — დარიკომ ტუხას ოთახში შუქი ჩააქრო და კარი გაიხურა. ერთხანს ბუხართან ფუსფუსებდა, მერე გარეთ გავიდა. ასე სჩვეოდა: ძილის წინ უეჭველად შემოიათვალიერებდა ეზო-მიდამოს, ყველაფერი ხომ რიგზეაო. მერე თავის ოთახშიც ჩააქრო შუქი და დაწვა. მთელი დღის ნაფუსფუსებ-ნაჯაფარს მალე ჩაეძინა.

ტუხასაც ეგონა, დაწოლისთანვე დამეძინებაო, თვალი დახუჭა და გაიტრუნა. არ მოგეცეთ გასაჭირი, თვალს რული ვერ მიაკარა. წამდაუწუმ იცვლიდა გვერდს.

თეონას უარი არ უთქვამს, არც იმედი მოუცია. ამან უფრო ააფორიაქა. ფიქრმოძალებულმა წუთით ისიც კი გადაწყვიტა: თუ არ წამომყვა, დავავლებ ხელს, ნაბადში გავახვევ, როგორც წინათ იცოდნენ, მოვიგდებ ზურგზე და მთაში გავიტაცებო. მაშინვე გაუწყრა თავის ფიქრს: ძალით ცოლ-ქმრობა სად გაგონილა, თუ ადამიანს ადამიანი არ უყვარს, ერთად როგორღა იცხოვრონო.

ტუხას ყველა მოძალადე სძულს, არც სიყვარული უყვარს ნაძალადევი.

ნადირას რომ დაემუქრა, დედას გიტირებო, ისიც კი ცხელ გულზე წამოსცდა. იქნებ ნადირა მოძალადე სულაც არ არის და რას ერჩის!

„თავს იჭერს, ნამდვილად თავს იჭერს თეონა. იცის, უიმისოდ სიცოცხლე რომ არ შემიძლია და მეთამაშება, ქალურად მეთამაშება“. — აქ ადრინდელი ფიქრიც წამოეშველა ტუხას. — ჰო, ქალია. და თავს იჭერს. მე თუ არ ვუყვარვარ, დედაჩემს რატომ ეფერება? დიახაც, ვუყვარვარ და ყურძნის სიყვარულით ღობეს კოცნის“.

დაიიმედა თავი, იქნებ დავიძინოო. ამ იმედმაც ვეღარ უშველა, ვერ აჯობა ძილს. გაუბრაზდა და რაც უფრო გაუბრაზდა, მით უფრო ვერ მოითვინიერა ძილი, მეტად გაუჯიუტდა.

შუალამემდე იბორგა და გაწამებულს ძლივს მოერია რული.

არეული სიზმარი ნახა. შავი და თეთრი თხების არვეში იყო გარეული და ყველა თხა რქებმომარჯვებული მისკენ მოიწევდა. სიზმარმა გულგახეთქილი წამოაგდო ლოგინიდან.

შეშინებულმა მიმოიხედა. ფანჯარაში ალიონი იყურებოდა.

ახლა ძილის დამფრთხობ სიზმარს გაუბრაზდა, სასწრაფოდ ჩაიცვა, გავიდა გარეთ, დაავლო ცელს ხელი და მიაშურა მთას.

ფერად-ფერადი ფიქრები

ვინ მოთვლის, თამადობისას რამდენჯერ უთქვამს რიხიანად ნესტორას: კარგი სტუმარი ის არის, რომელიც მასპინძელს ამდიდრებს არა მარტო სულიერად, მატერიალურადაცო. ვითომ უხუმრია. ასე კი სწამს ნამდვილად. თუ ვინმესგან არაფერს გამოელის, სარფიანს და სახეიროს, ისეთი არც სტუმარი სიამოვნებს და არც მასპინძელი. რა ქნას, ამ მხრივ ერთობ გულახდილი კაცია:

ხელი ხელს ბანს და ორივე პირსო.

ბევრი სასურველი სტუმარი სწვევია ნესტორას ამ ოციოდე წელიწადში, დღევანდელი კი გამორჩეულთა შორის გამორჩეულია. ასე გახარებული ნესტორა ჯერ არავის უნახავს. ვარსკვლავებს კრეფს ციდან. სტუმარი ეწვია და რა სტუმარი, ოცნებაშიც რომ ვერასოდეს წარმოიდგენდა. ნესტორამ ის რომ გაიგო, მანანა მავანი დიდი კაცის ქალიშვილს ახლო იცნობსო, ურჩია, როგორმე სოფელში დამიპატიჟეო. ჰოდა, ახლა ის გოგო უცებ თავისი მანქანით მოგრიალდა ჭიშკართან ისე, მანანაც რომ არ ელოდა. ერთხელ ჰაიჰარად უთქვამს: ზაფხულში თუ დრო დაგირჩეს, ერთი ჩვენკენაც ამოიგრიალე, რა გენაღვლება, ბერხევიც ნახე, გემრიელ მჟავეწყალს დაგალევინებ, გიჟურას რიყეზე ერთად ვითამაშოთ, თუ მოგეხასიათოს, ვიბანავოთ კიდეცო. აბა, რას იფიქრებდა, თუ ასეთ მიპატიჟებას ინგა გულზე დაიწერდა და მის ოჯახში სტუმრობას იკადრებდა, თანაც ასე მოულოდნელად ეწვეოდა, შეუტყობინებლად.

ნესტორამ უმალვე აამუშავა თავისი პრაქტიკული ჭკუა და ეს ამბავი უუდიდესი ბედნიერების დასაწყისად მიიჩნია, თითქოს ცა გაეხსნაო.

„ეს უკვე საქმეა, — გაიფიქრა მან, — აქამდე თუ რამე მინატრია, ყველაფერს ავისრულებ, ერთდროულად რამდენიმე კურდღელს დავიჭერ, ოღონდ ჭკუის გონივრული მოხმარა მმართებს...“

ფერად-ფერადი ოცნებებით აევსო ფიქრი.

ნამგზავრი სტუმარი ავახშმეს და ცალკე ოთახში მოასვენეს ბუმბულის ლოგინში. მანანამ მეზობელ ოთახში დაიძინა.

ცოლ-ქმარმაც მალე მიაკითხა ტახტს. მაგრამ ფერად-ფერადი ფიქრების მოზღვავებულ ღრუბლებში გახვეულ ნესტორას რა დააძინებდა და ცოლსაც დაუფრთხო ძილი.

— კაცო, ასე რომ გადაირიე სიხარულით, ვისი შვილია ეს ჩვენი მოულოდნელი სტუმარი, აღარ მეტყვი?—ჰკითხა არიშამ ქმარს.

— დიდი კაცის ქალიშვილია, დიდი კაცის. მამამისი ისეთ თანამდებობაზეზის, კიდეც რომ შეეპირფერო, არავინ დაგძრახავს.

— მაინც რა ჰქვია მაგის დიდ სკამს თუ სავარძელს?

— ზუსტად რა ჰქვია, ვერ გეტყვი... ნამეტანი გრძელი სახელია... მარტო სახელს რა მნიშვნელობა აქვს, მთავარი სახრავია. სოფელ-ქალაქის ხორცეულით და ბევრი სხვა რამით მომარაგების ავანჩავანი ბატონ კაპიტონს აბარია... ახლა კი, ხომ იცი, სული ვიღას ახსოვს, მთავარი ხორცია, ხორცი! გაიგე?

— აჰ, „ბოინის“ უფროსია?!

— იიჰ, შენს მიხვედრილობას კი ვეღარ ვცვალე! „ბოინის“ უფროსები და სხვა იმისთანები ხელზე მოსამსახურე ბიჭებივით ჰყავს. მინისტრი არა ჰქვია, მაგრამ, სახელი ნაკლები არა აქვს.

— შენ თვითონ თუ იცნობ?

— პირადად ჯერ არა, მარა, თუ ღმერთმა კარგი თვალით გადმოგვხედა, არა მარტო გავიცნობ... რაკილა მისმა ქალიშვილმა ჩვენთან სტუმრობა იკადრა, აწი მე ვიცი.

— ნუ გიყვარს ტრაბახი! ო, ჰო, ჰო, რას იზამ ვითომ?

— რას ვიზამ და...

ნესტორა ახლა ცოლს უმხელს თავის გეგმას, თორემ სხვასთან ჯერ როგორ წამოსცდება.

ბერხეველთა თავკაცს კარგა ხანია თავისი აზრი უფუთფუთებს ცხოვრებაზე. სამყარო, უპირველეს ყოვლისა, ქალისა და კაცის ურთიერთობაზეა დამყარებული, ესაა ყველაფრის საწყისთა საწყისი, დანარჩენი, მათ შორის თანამდებობრივი ამბებიც კი, მოგონილია.

ამ საწყისზე ააგებს ნესტორა ყველაფერს და სინამდვილედ აგორდება ყველა მისი ადრინდელი ნატვრისთვალის დიდი გორგალი.

— ერთობ ბუნდოვნად ლაპარაკობ დღეს, სახელოვანო თამადავ! — შენიშნა არიშამ. — ცოტა გარკვევით ამიხსენი, კაცო!

უპირველეს ყოვლისა, ინგამ თავისი

დისწული უნდა მოაწონოს და შეაყვაროს. ორივე ისეთ ასაკშია, ეს ძნელი სულაც არ არის. თუ ღმერთმა ქნა და ასე მოხდა, მერე გორგალი თავისი გზით წაგოგმანდება, კეთილად და ლამაზად. ქვეყანა ნესტორაზე ალაპარაკდება. კაცმა რომ თქვას, ამ გამწლიკვულ გოგოს ნადირა პირველი შეხვედრისთანვე რატომაც არ უნდა მოეწონოს ვითომ? მე შენ გეტყვი, ბიჭად ბიჭი არ ვარგა, ან მარიფათი აკლია. ერთი ვაჟკაცის ფასი მხარ-ბეჭის გაქნევა და თვალების აბრდღვიალება იცის. მოწიფულ გოგოს ოღონდ კარგი ბიჭი დაანახვე და მეტიც არ უნდა, იმ წუთას ჩაუვარდება გულში.

ნესტორამ სხვა რამეც იცის: ქალი რა უკარებაც არ უნდა იყოს, თუ კაცი მიეძალება, შეუძლებელია, მისი გული არ მოინადიროს. ეს ჯერ მარტო იცის, ცხოვრებაში გამოსცადა კიდეც. ჰოდა, ნადირა ზღაპრის გმირივით სწრაფად გამდიდრდება. კაპიტონ ხარიტონიჩს არც სახელი აკლია და არც ქონება, ყველაფერი თავზე საყრელადა აქვს. აწი ხელი რომ აღარ გაანძრიოს, ავლადიდება ათას წელიწადს არ შემოელევა. ინგა დედისერთაა, მამამისის მთელი უძრავ-მოძრავი ქონება მისი არაა საბოლოოდ!

ნამდვილად მოეწონება გასათხოვარ გოგოს მოხდენილი ვაჟკაცი. მერე ნადირამაც უნდა ივარგოს, ისე დაიჭიროს თავი, ინგა აქეთ შემოეხვეწოს: ოღონდ მითხოვე და შენს უკითხავად შინიდან ბუზს არ გავაგდებო. მერე, რა თქმა უნდა, ნადირას თბილისში წააგრიალებენ, მზამზარეულ ქონებაზე დასვამენ და უმალვე უმაღლესშიც მოაწყობენ. პოპინას მაშინ გული რომ დაწყდა ძმაზე, რატომ ჩემი ბიჭიც არ მომიწყე უმაღლესშიო, ა, ბატონო, ახლა მოუგვარებს... ცოტა გვიან, მაგრამ გემრიელად. კაპიტონ ხარიტონიჩს ეს ამბავი ჩიტის ბრდღვნადაც არ ეყოფა, თვითონ თითის განძრევაც არ დასჭირდება, ყველა საქმეს ხელქვეითები მოუგვარებენ. ვინმემ კაპიტონის სახელი ახსენოს სადმე და ამ სახელით რა არ გაკეთდება, თუ დასჭირდათ, მთვარეს ჩამოხსნიან ციდან და ეზოში დაუკიდებენ. კაპიტონ დაღიაშვილს ყველა პატივს სცემს და მის ოდნავ წყენინებასაც კი ერიდება ყველა. სადაც საჭიროა, მისი სურვილი ყველგან კანონია. სიძის უმაღლესში მოწყობა, რომელ ინსტიტუტშიც არ უნდა იყოს, რა სალაპარაკოა, ხარიტონიჩი თუ ინებებს, მთელ ქალაქს თავდაყირა დააყენებენ.

მალე ნადირას დიდ კაცსაც გახდიან, სიმამრისტოლა კაცს. თუ თვითონაც გამოიჩენს მარიფათს, იქნებ უფრო დიდსაც და... ნადირას გამზრდელი ღვიძლი ბიძაც თვალსა და ხელშუა სულ სხვა კაცად იქცევა. რაკიღა ასეთი ნათესავ-მოყვრები ეყოლება თბილისში, ყველა საქმეს თვალის დახამხამებაში მოაგვარებს.

თავისი ფერად-ფერადი ფიქრების ცისარტყელაში ახვევს ნესტორა მეუღლესაც. არიშაც აჰყვა ქმრის ტკბილ ოცნებას.

— ჰმ! რამდენჯერ დამემუქრნენ მოხსნით, რამდენჯერ დიდ-პატარა საყვედურიც ამკიდეს. ჩემი ჩარხი რომ არ ჩამეტრიალებინა, კარგა ხანია თავმჯდომარე აღარ ვიქნებოდი. ინგას მამა თუ დავიმოყვრე, ყველა ფეხქვეშ გამეგება, მიტროფანე კლასიონიჩიც კი. პირველ ხანობას ეგებ რაიაღმასკომის თავმჯდომარის სკამზეც კი დამსვან, მერე უფრო მაღლაც და... გავკეთდები შავი დედალივით. თუმცა, თუ ინგა ჩვენი რძალი გახდა, რა თანამდებობაც არ უნდა მეჭიროს, მაინც კაცი ვიქნები, ყველასათვის საჭირო კაცი. ხოლო როცა ყველას სჭირდები, ქვეყანა შენს ხელშია... კაპიტონ ხარიტონიჩს მოვიწვევთ ხოლმე და დავიახლოვებთ. ვისაც თბილისში რამე ექნება გასაკეთებელი, მე ვუშუამავლებ კაპიტონთან და... ოღონდ ხალხმა ეგ.კაცი ჩემ ეზოში გავლილ-გამოვლილი თუნდაც ერთხელ დაინახოს, მერე ყველა პატივს მცემს: ზოგი ნამდვილად, ზოგიც შიშით. ვიცი ხალხის ამბავი. მიტროფანე კლასიონიჩიც კი მორიდებით დამიწყებს ყურებას. თუ არ დამა-

წინაურებს, კოლმეურნეობის თავმჯდომარეობიდან მაინც არ მომხსნის და ვიქნები ჩემ ნებაზე. კაცმა რომ თქვას, მეტიც არაფერი მინდა ჯერჯერობით.

დიახ, კარგად იცის ნესტორამ ეს სიბრძნე: როცა ზევით დიდი კაცი გყავს, შენც დიდი კაცი ხარ, იმ შენს მოყვარეზე ნაკლებად როდი გცემენ პატივს, პირიქით, ზოგჯერ მეტადაც და თამამადაც. იმ გიჟსა და გადარეულ ტუხუნიასაც ადვილად მოიშორებს მაშინ... იქნებ ანდერძიც კი აუგოს ისე, ძეხორციელმა ვერაფერი შეიტყოს. თუ მავანი და მავანი რამეს გაიგებს, შიშით კრინტს ვერ დასძრავს. მთავარია დიდი კაცი გყავდეს ზევით, ინგას მამა კი ჭეშმარიტად დიდი კაცია, თითქმის მინისტრისხელა კაცი...

შუალამე გადავიდა, ისინი კი კვლავ ჩურჩულებდნენ და გეგმებს აწყობდნენ. ოჯახს ბედნიერება თავისი ფეხით ეწვია, ჭეშმარიტი ბედნიერება. ახლა მთავარია მარიფათი და მოულოდნელი სტუმრის ისეთი დახვედრა, ქვეყანას საარაკოდ დარჩეს.

ამ სასიხარულო საზრუნავით ჩაეძინა ცოლ-ქმარს სწორედ იმ წუთში, ტუხამ მთისკენ რომ გაუტია ცელით.

ნესტორამ არიშაზე ადრე გაიღვიძა, სასწარაფოდ დაიბანა ხელ-პირი, ახალი ნაცრისფერი კიტელი ჩაიცვა, ჯიბეში უხმარი ჭადრაკული ცხვირსახოცი ჩაიდო, მოახტა „კოლხოზნიკს“ და ღარულასაკენ გაეჭენა. მანქანა სახანძრო რაზმის მიყრუებულ ეზოსთან დააყენა და ჯერ ერთ ქუჩას გაუყვა-გამოუყვა, მერე—მეორეს.

ეს სიარული ნესტორამ გაღვიძებისთანავე ჩაიფიქრა და ახლა წინასწარ-დასახული გეგმით მოქმედებს. საქმე აქვს თუ არა აქვს, ყველა დაწესებულებაში შედის, თუნდაც ორიოდე წუთით, და ვისაც იცნობს თუ არ იცნობს, ყველას ჭადრაკული ცხვირსახოცის ფრიალით ესალმება. დამხვდურებიც ჭადრაკულ ცხვირსახოცებს უფრიალებენ. ასეთი მისალმება აქ აღარავის უკვირს, კარგა ხანია ჩვეულებადაქცეული.

ვითომ სოფლის საჭირბოროტო საქმეების მოსაგვარებლადაა შესული, ნესტორა ცალყბად რაღაც უმნიშვნელო რამეს იკითხავს, რაც დიდი ხანია ისედაც გარკვეულია და მერე ისე დაიჭერს თავს, თითქოს გაქცევაზეაო, კართან მისული კი ფეხს განგებ ითრევს, აქაოდა, ხომ არაფერი დამავიწყდაო, დგას მანამდე, ვიდრე ვინმე არ ჰკითხავს, ასე ძალიან სად მიგეჩქარებაო. ვითომ ამას არ ელოდა, შემკითხველს სხვათა შორის გადაუგდებს ზუსტად მოფიქრებულ თერთმეტ სიტყვას: შინ ისეთი სტუმარი მიზის, კაცო, რას იტყვის, დიდი ხნით რომ მივატოვოო.

სტუმრის ხსენებაზე ყველა ას ყურს გამოისხამს.

კარგა ხანია ღარულაში გემრიელი ქეიფის მიზეზივით არაფერს ეძებენ და , გულახდილად რომ ვთქვათ, საბაბის პოვნა მაინცდამაინც არ უჭირთ. აქაურების საუბარში პურ-მარილის და სუფრის ყოველგვარი მოკაზმულობის ხსენებამ პირველი ადგილი დაიმკვიდრა. ეს რომ იცის ნესტორამ, ამიტომაც ისვრის ასე თამამად თავის ანკესს — აინტერესებს ხალხს.

ნესტორას რომ წამოსცდება, სტუმარი მყავს ან მომდისო, ეს იმას ნიშნავს, ბერხევის მაღალ გორაკზე, ორსართულიანი სახლის დიდგალავნიან ფართო ეზოში, სადაც მუდამ საამო ნიავი უბერავს და პურ-მარილს გემოს მატებს, უეჭველად გაიშლება სუფრა და... ერთი სტუმრის საპატივცემლოდ ზოგჯერ ას კაცსაც მიიწვევენ. იმ ას სტუმარში მოხვედრის იმედი კი ბევრს უდევს გულში.

— ისეთი ვინ გეწვია, კაცო? — ერთდროულად ეტანება ნესტორას გადაგდებულ ანკესს რამდენიმე კაცი.

— ჰმ! — ჩვეულებისამებრ მუჭაში მსუყედ ჩაახველებს ნესტორა, მსმენელებს ცნობისწადილი რომ გაუძლიერდეს, და მერე ისევ სხვათა შორის ჩაილა-

პარაკეპს: — თბილისიდან ერთი გოგო მომიგრიალდა „ვოლგით“.

— გოგო?! გოგო რა სტუმარია?! — ერთმანეთს ამრეზილად გადახედავენ პურ-მარილის მოტრფიალენი.

— ეს სტუმარი გოგო, ამხანაგებო, კაპიტონ დაღიაშვილის ქალიშვილი გახლავთ. იცით, ვინ არის კაპიტონი? ოო, ამაშია საქმე! — მეტი მნიშვნელობის მისანიჭებლად სათქმელს რეზინივით გაწელავს ნესტორა და ყველას სათითაოდ შეათვალიერებს: ერთი ვნახოთ, ჩემმა სიტყვამ ვისზე რა შთაბეჭდილება მოახდინა.

ღარულაში ბევრსა აქვს გაგონილი, კაპიტონ დაღიაშვილი ვინცაა.

— ჰოო! ეს უკვე საინტერესოა! მართლაც ერთობ საპატიო სტუმარი გწვევია, მე და ჩემმა ღმერთმა! — დარბაისლურ იერს იღებს ყველა, ვინც წეღან ამრეზილად იყურებოდა.

ვისაც კაპიტონ დაღიაშვილის სახელი აქამდე არ გაუგონია, ნესტორა უმალვე გაოცებით შეხედავს:

— მთვარიდან ხომ არ ჩამოფრენილხარ, კაცო, შენ? კაპიტონ დაღიაშვილი თუ არ იცი, ვინაა, აპა, რაღა იცი?

— რატომ უნდა ვიცოდე ვითომ?

— იმიტომ უნდა იცოდე, ჩემო კარგო, რომ მინისტრია.

— მინისტრი? რისი მინისტრი?.. მინისტრი არა, იხვი! ყველა მინისტრის სახელი ხუთი თითივით ვიცი... დაღიაშვილი... დაღიაშვილი... არა, ეს გვარი მინისტრების სიაში არსად შემხვედრია. იტყუები რაღაცას.

— არაფერსაც არ ვიტყუები... მართალია, მთლად მინისტრის სახელი არა ჰქვია, მაგრამ, ისე კი მინისტრივითაა... კაპიტონის სიტყვას ყველგან გავლენა აქვს, უნდა აგაშენებს, უნდა დაგაქცევს. ჰოდა, თუ პატივს სცემენ, ბევრს ეშინია კიდეც მისი. ჩვენს დროში ხომ იცი...

— შენ საიდან იცნობ ასე ახლო?

— დაღიაშვილის ქალიშვილი ინგა და ჩემი მანანა დებივით არიან, დებზე მეტადაც კი უყვართ ერთმანეთი... ხომ ხედავ, ზაფხულშიც ვერ გასძლეს უერთმანეთოდ, მოიკითხა. ქალიშვილს მალე ალბათ მამაც ჩამოაკითხავს და იმ უძვირფასეს სტუმარს, ხომ იცი, რა დახვედრაც უნდა... — აქ წამით შეყოვნდება ნესტორა და კვლავ მნიშვნელოვნად დასძენს. — მით უმეტეს, ისეთი კარგი ამბავი მოგველის, რომ...

— რა კარგი ამბავი?

— მალე დავმოყვრდებით კიდეც...

— დამოყვრდებით? შენი გოგო უნდათ რძლად დაღიაშვილებს?

— არა, კაცო... ინგას ძმა არცა ჰყავს, დედისერთაა. ჩემი დისწული ხომ გინახავთ, ნადირა? ეს ჩვენი ვაჟკაცი ერთი ნახვით ჩაუვარდა თვალში ინგას და...

რა თქმა უნდა, ეს ჯერჯერობით მხოლოდ ნესტორას ფერადი ფიქრია, მაგრამ ძალიან უნდა, უკვე სინამდვილე იყოს და ხალხში ნაღდ ამბად ასაღებს. წინასწარ გათვალისწინებით იცის, ამის თქმას რაც მოჰყვება. მოჰყვება კი არა, უკვე ხედავს ნაყოფს: უმალვე მაღლდება ბევრის თვალში. ცხოვრებამ ნესტორას ამის მეტი რა ასწავლა. ჰოდა, ვინაიდან საბაბი იშოვა, პრაქტიკულად იყენებს ცხოვრების გამოცდილებას. დადის დაწესებულებების კარდაკარ და ყველგან ტოვებს ინგას მოულოდნელი სტუმრობის და დაღიაშვილებთან მოსალოდნელი დამოყვრების ამბავს.

— აბა, გვიქეიფნია რჯულზე, ნესტორ ბატონო! — ზოგი უკვე საქორწილოდაც ილესავს კბილებს.

— ვნახოთ! — დინჯად ეპასუხება ბერხეველთა თავკაცი. — ღმერთმა კაი ყურით გისმინოს! ჩვენ პურ-მარილი არ გვენანება და არც ქვაწვიანობა გვჭირს.

— თავის ნაოფლარი დაეხარჯება რამე, თუ! — გადაულაპარაკებენ ხოლმე ერთმანეთს ისინი, ამ სუფრაზე მოხვედრის იმედი რომ არა აქვთ.

თავის სიცოცხლეში რაიონული ბიბლიოთეკის კარი რომ არ შეუღია, ნესტორამ დღეს იქაც შეიარა ახალი ამბის დასატოვებლად, მაგრამ უამრავი წიგნის გვერდით მთვლემარე შინაბერა ბიბლი-

ოთეკარის მეტი არავინ დახვდა და ტყვიანაკრავივით გამოვარდა გარეთ.

„ჯანდაბას ბიბლიოთეკა და მისი მომგონიც! ღარულაში დაწესებულებების მეტი რა არის და... ჩემი ყურის დამგდებიც“ — ასე დაიიმედა თავი.

ზოგი ნესტორას ეშმაკობას უმალვე ხვდება, რადგან არც თვითონაა ნაკლები ეშმაკი. ზოგსაც ნესტორას მარიფათი შურს: ეტყობა, ყველაფერი წინასწარ ჩააწყობ. შურს ამ კაცის მოხერხება და უფრო — ბედი: ეგ ღდინძაღლი ქრისტეს პერანგშია დაბადებულიო.

ზოგი უკვე ქორწილზე თავის გამოჩენის თადარიგსაც იჭერს, სხვაზე ხელდამშვენებული როგორ მივიდეს დაღიაშვილთან, პირადად გაეცნოს და მერე... მერე, ვინ იცის, ბედმა როგორ გაუღიმოს. ეგებ ნესტორას ბედი მის ბედთან შედარებით მოგონილიც გამოდგეს.

ზოგმა რაიმე საბაბით ახლავე გადაწყვიტა ქალიშვილთან მოსაკითხით მისვლა. თუმცა, განსაკუთრებული საბაბი რა საჭიროა, აქაური ოჯახის კარგი სტუმარი ხომ მთელი ამ სოფელ-ქვეყნის სტუმარიცაა, ჰოდა, ყველას თანაბრად შეუძლია პატივი სცეს...

ხალხს ახალი საფიქრალ-საზრუნავი გაუჩნდა. იმ დღეს ყველა ნესტორას სტუმარზე ლაპარაკობდა ან ტელეფონით, ან ისე. გაჩნდა ათასი ვარაუდი, დაღიაშვილებთან დამოყვრებულ კაცს თანდათან როგორ დააწინაურებდნენ. ზოგი ვის ხსნიდა და ზოგი ვის, რომ ნესტორასთვის ადგილი გაეთავისუფლებინა.

არისტომ თავის კაბინეტში შემოსული ნესტორა რომ დაინახა, პირველი თვითონ გაიქცა მისკენ ჭადრაკული ცხვირსახოცის ფრიალით, გადაეხვია დიდი ხნის მონატრულივით და ალერსით ლამის ზედ შეადნა ამსისქე კაცი:

— კერიას ნახშირი! ბიჭო, ესაა ჩვენი ძმობა? რა ხანია არ მინახავხარ. სირცხვილი ალარ იცი? ძვირფასი სტუმარი რომ გწვევია, ეს პირველად მე არ უნდა გამეგო? აქამდე სად იყავი? ასე უნდა დამივიწყო, პირძაღლო?

— ა, ხომ გამოვასწორე შეცდომა? გამოსწორებული შეცდომა — შეცდომა. დომა აღარაა, როგორც მონანიებული ცოდვა აღარაა ცოდვა... — თავი იმართლა ნესტორამ.

— გეგონოს! ეს ჩვენ მოვიგონეთ, რომ მონანიებული ცოდვა ცოდვა აღარაა და გამოსწორებული შეცდომა — შეცდომა. თავს ვიიმედებთ, თვარა, ყველაფერი ძველებურად რჩება. ხომ დაფრინავ ახლა შენ მეცხრე ცაში?

— კი, ანგელოზის ფრთებიღა მაკლია.

— მოკლედ, მე და შენ რომ ვეწყობით ხასიათით ერთმანეთს, ისე ტყუილია. გუშინ სარკეში ჩავიხედე და ერთხელ კიდევ დავრწმუნდი, რომ მე და შენ, მართალია, მთლად ტყუპისცალებივით არა, მაგრამ, ძალიან კი ვგავართ ერთმანეთს. ძმებს ტყუილად კი არ გვეძახიან, თითქმის ერთნაირები ვართ პირისახით, მოყვანილობით და... ა, ამითაც კი, ერთნაირი ცხვირსახოცები რომ გვიჭირავს და ერთნაირ ნაოჭებიან კისრებზე ერთნაირად რომ გვიყვარს მოსმა. არა, თუ?

— კი, ნამდვილად! — კვერი დაუკრა კოლმეურნეობის თავმჯდომარემ მილიციის უფროსს.

— მოდი, ერთხელ, ძმურად, ასეთი რამ ვცადოთ: ჩემი კიტელი შენ ჩაიცვი, შენსას მე ჩავიცვამ, აბა, თუ მიხვდება ვინმე, შენ რომ მე არა ხარ და მე რომ შენ არა ვარ. დაგეწაძლეოდეს!

— ბედნიერად მეყოლე, ბედნიერად, ჩემო არისტო! ბოდიში და, ძალიან მეჩქარება, არადა, რომ არ მენახე, ესეც არ შემეძლო. ნახვამდის!

ნესტორამ დაინამდვილა, არისტოს მისი ახალი ამბავი უიმისოდაც რომ გაუგია, აქ მეტი აღარაფერი აინტერესებდა და ძმადწოდებულს უმალვე გაშორდა.

მიტროფანე კლასიონიჩთანაც დააპირა შესეირნება, მაგრამ კოპწია მდივანმა ქალმა აუწყა, გუშინწინ შვებულებით კისლოვოდსკში გაემგზავრა ოჯახითო.

ნესტორა ცივად გამობრუნდა უკან.

ბერხევის თავკაცის ამ ერთმა გავლა-გამოვლამ შეცვალა ღარულა და იქ გასეირნებით თვითონ ნესტორაც შეიცვა-

ლა. სულ სხვა კაცი გამობრუნდა შინ. გზადაგზა არა მარტო ინგას სტუმრობას, თავის გეგმაზომიერ გამჭრიახობასაც ლოცავდა გულში, თან ჭადრაკის დაფის იერისმაგვარ კურთხეულ კუბოკრულ ცხვირსახოცს სიამოვნებით ისვამდა ნაკეცებიან კისერზე და გუნებაში არა მარტო რაიალმასკომის თავმჯდომარის, თვითონ მიტროფანეს კაბინეტსაც იზომავდა.

ტუხასთან ადრინდელი იმედგაცრუების შემდეგ, ჭადრაკული ცხვირსახოცის იფრიალების ძალა წინანდებურად იწამა.

რძალ-მული ცალკე ოთახში ჩაიკეტა. არიშა ნოხდაფენილ ფართო ტახტზე ზარზეიმით ჩამოჯდა, პოპინა დივანზე დასვა. ამდენი „შენი ჭირიმე“ და „გენაცვალე“, დღეს მულის საალერსოდ რომ დახარჯა არიშამ, თავის სიცოცხლეში არ უთქვამს. ხან გუნებიერად მხართეძოზე წამოწვებოდა, ხან წამოჯდებოდა და მსხვილ ფეხებს ტახტის კიდეზე გადმოჰკიდებდა. სამი საათი ეპუტუნა და სულ ამაოდ, თავისი საგუნებო სიტყვა ვერ გამოსტყუა.

— რას მეუბნები, ქალო, ამისთანა ანგელოზივით გოგოს იწუნებ? ამისთანა თვალტანადი და ყოველნაირად შემკული ქალიშვილი არ მოგწონს?! რა ღმერთმა დაგაბრმავა, რა ეშმაკმა აგიხვია თვალები? — მულთან ალერსით რომ ვერაფერს გახდა, ბოლოს და ბოლოს, შემოსწყრა რძალი.

— თვალი ჭამს და თვალი სვამსო, არ მომწონს და რა ვქნა? — თავისი გზიდან არ გადაუხვია პოპინამ.

— მითხარი, რა აქვს შენი დასაწუნი? რა? — მიახალა რძალმა. — კამფეტივით გოგოა.

— ჰო, ნაწუწნ კამფეტს კი ჰგავს! — ზიზღით გამოსცრა კბილებიდან მულმა.

— რაო? ნაწუწნი კამფეტიაო? — წამოხტა მხართეძოზე წამოწოლილი არიშა და გულმოსული აფაფაშდა ოთახში. — ეგ რა სიტყვაა, შე ქალო? მანანა ხუთი თითივით იცნობს. ზოგიერთ თავაშვებულ გოგოს კი არა ჰგავს, ჯერ ბიჭთან ხელკავითაც არ გაუვლია, აპა! აკვნის ბავშვივით უცოდველი... წმინდა და პატიოსანია! ეგ რამ გაფიქრებინა, ადამიანო, და თუ გაიფიქრე, რამ გათქმევინა? დმერთო კი მომკალი! ყველა ყველა და, მანანა თავისი მამიდაშვილისთვის ცუდ გოგოს მოინდომებს, ქრისტიანო? უი, მომიკვდეს თავი!.. უი!.. უი, ეგ რამ გაფიქრებინა, შე ქალო?..

პოპინამ შეატყო, გადავამლაშეო, და ნათქვამის შესარბილებლად სიტყვა ჩამოიართვა რძალს:

— მოიცა, არიშა, ნუ იცი უცაბედი გაცხარება... სიტყვას არ დაამთავრებინებ ადამიანს... ცუდი რამე კი არ მიფიქრია, შე ქალო... რა უფლება მაქვს, თუ არ ვიცი... გამოწოვილ კამფეტში სულ სხვა რამე ვიგულისხმე... წეღან შენ რომ მითხარი, მთელი ქვეყნის ხორცით და სხვა რამითაც მომარაგება მამამისის ხელშიაო, იმის პასუხად ვთქვი. ეს მის ქალიშვილს ოიტისოდენად მაინც თუ ეტყობა? ასე რამ ჩამოახმო, შინ არაფერს აჭმევენ? უხორცო და უფერული, ავადმყოფს ჰგავს. არ გამოადგება ჩემს ბიჭს. მკლავები მაგრად რომ მოხვიოს, ხელში შემოაკვდება ბეღურა ჩიტივით.

— იტყვი რაღაცა უცნაურს! ახლა, შე დალოცვილო, ჩვენი ახალგაზრდობის დრო კი აღარაა, ქალის ღირსება ფერხორციანობით რომ იზომებოდა. გამხმარ-გაწიგებული გოგოებია თურმე მოდაში, გაიგე? ინგა ავადმყოფობით კი არაა ჩამომხმარი, ტანი აქვს ასე დაყენებული. კარგად დააკვირდი, გენაცვალე, რა წელწვრილი და წვივებჩამოქნილია. თურმე ხორცი რომ ჩამოყარონ, ყოველ დილით ვარჯიშობენ, მთელ კოლოფ ასანთს ყრიან იატაკზე და ღერა-ღერა კრეფენ. შენ დაგითვლია, კოლოფში რამდენი ცალია? არც მე. ორმოცდაათი ყოფილა. წარმოიდგინე ახლა შენ ყოველ დილით ორმოცდაათჯერ წაკუზვა და წელში გამართვა. რა ხორცი შეგრჩება? გარდა ამისა, თურმე საჭმელსაც ერჩევიან. დიეტა ჰქვია თუ რაღაცა ჯანდაბა, იმას არიან აყოლილები. კვირაში ერთ დღეს მხოლოდ ვაშლს ჭამენ და

ჭიქა მაწონს აყოლებენ. ეგ გოგო კიდევ თურმე ერთ წელიწადს ბალერინების სკოლაში დადიოდა...

— ასეა თუ ისე, ქალაქელი ქარაფშუტა გოგო საჩვენო არაა. სოფელში რას გამიკეთებს? ბოსტანს დამიკვალავს, კოკით წყალზე გამეგზავნება, ძროხას მომიწველის თუ ვენახში მომეხმარება? გამწლიკვული ქალაქელი ქალი, შენი ჭირიმე, არაფრად გამომადგება. ის მე ვერ გამიგებს, მე იმას ვერ გავუგებ და იქნება გაუთავებელი ჩხუბი. სულ უკმაყოფილებასა და დავიდარაბაში მტერმა მოჭამოს წუთისოფელი.

— კი, მაგრამ, ასე შენით რომ გაარიგე ყველაფერი, დალოცვილო, სხვას რატომ არაფერს ეკითხები? თვითონ რომ დაგიჯდეს ბერხევში, შენ დაისვამ? ჯერ ერთი, თურმე უცხო ენების ინსტიტუტში სწავლობს, მეორეც, მაგის დედამამა ერთადერთ შვილს აქ საცხოვრებლად გაიმეტებს, ოქროს სასახლეც რომ აუშენოს ვინმემ? შენს ბიჭსაც თბილისში წაიყვანენ, გენაცვალე, და კაცს გახდიან, სახელოვან კაცს. ღმერთმა ბიძა დიდხანს უცოცხლოს, მარა, სულ ბიძის კისერზე ჯდომის იმედით ხომ არ იქნება? ვაჟკაცი თვითონაც უნდა ეწიოს საწადელს, მოინახოს თავისი გზა! ინგას მამა თურმე მეფესავით ცხოვრობს, დედა კი — დედოფალივით.

— იცხოვრონ, ბატონო!..

— შენ ახლა ალბათ გაიფიქრე, მერე ჩემს შვილს რაო? ხომ გაიფიქრე?

— არა.

— კი გაიფიქრე და კარგად დამიგდე ყური. ისინი ცას კი არ შეაბერდებიან, მალე ყველაფერი ინგას და ნადირას დარჩებათ. იცოდე, იქით მიეძალე, თვარა, მერე სანანებლად დაგირჩება. ინგასთანა ანგელოზ გოგოს მუშტარი არსად დაელევა. იცი, ჩვენს დროში დიდი ქონება რას ნიშნავს? გეტყობა, არ იცი...

— მარტო ქონებაც ბევრი არაფერია, ჩემო რძალო. ქალი ქალი უნდა იყოს. თქვენს სტუმარს უშნოდ გამობზუკული მკერდის მეტი ქალისას არაფერი უგავს.

— ისევ ინგას სიგამხდრეს ჩაეჭიდა პოპინა.

— შენ, აპა, მართლა ის დონდროხა თეონა გდომებია რძლად და ეგ არის.

— ნეტავი კი წამოჰყვეს ჩემს ბიჭს, თვარა!.. ვიღაცების ქონება რა ჭირად მინდა — ნაარმი და ნაქურდალი, თეონას რომ სიმდიდრე აქვს, ყველაფრად მეყოფა.

— თეონას რა სიმდიდრე აქვს, ქალო?!

— ის, რაც ღმერთმა მისცა...

— ესე იგი, თუ წამოჰყვა, მოაყვანინებ?

— აბა, რას ვიზამ? ყასიდადაც არ ვეტყვი უარს.

— არ გეწყინოს, ჩემო მულო, და ზოგჯერ ძალიან დაუკვირვებელი ქალი ხარ.

— რითი ვარ დაუკვირვებელი, ჩემო რძალო? — იქედნურად შეხედა პოპინამ არიშას.

— გინდა შვილი იმ დევბიჭა ტუხუნიას მოაკვლევინო? ცელით გამოსჭრის ყელს ორივეს.

— თუ გოგო თავისი ნებით წამოყვება, ის შენი ტუხუნია ბუზსაც ვერავის აუფრენს.

— გეგონოს! — აქ რძალმა კინაღამ უთხრა მულს, იმ ბიჭს შენმა ძმამ ვერაფერი მოუხერხა და შენ რისი იმედითა ხარო, ეს ქმრის დამცირებად მიიჩნია და ენაზე მომდგარი სათქმელი გადაყლაპა. — თავდაჯერება კარგია, მაგრამ, ყოველთვის არა... ნეტავი იცოდე, რამდენ რამეს ვერ ითვალისწინებ შენ, რამდენ რამეს...

— ყველაფერს ვითვალისწინებ...

— ნადირა ბიძამ გაზარდა. თავზე გადმოგყვა ძმა და ყველა პატივისცემას წყალში უყრი...

— უმადური სხვაც მეჯავრება. რატომ ვუყრი პატივისცემას წყალში? რაკი ზოგ რამეზე ჩემებურად ვფიქრობ და ყველას ფეხის ხმას არა ვარ აყოლილი? უფლება არა მაქვს, ზოგ რამეზე ჩემი აზრი მქონდეს?

აქ ცოტა ხნით ორივე გაჩუმდა. დუმილი არიშამ დაარღვია.

— შარშან გული რომ დაგწყდა, ძმამ ჩემი ბიჭიც რატომ არ მომიწყო უმაღლესშიო, ახლა მოგიწყობენ, ბატონო, ჩავა თუ არა თბილისში, მაშინვე, სადაც თვითონ ისურვილებს...

— არ მინდა... ჰო, აღარ მინდა უკვე, ჩემი შვილი რომ ქალაქში წავიდეს, თუნდაც უმაღლესში სასწავლებლად. ძალიან არც შარშან მინდოდა. რომ დავუფიქრდი, გამეხარდა კიდეც, ქალაქში წასვლა რომ არ დასჭირდა. სადა მყავს ქალაქში გადასაგდები შვილი.

— ეგ უკვე შენი სიჯიუტეა, პოპინა!

— რაც არი, ეს არი, მე ვეღარ შევიცვლები.

— ვერ შეიცვლები და წააგებ! მარტო შენ კი არა, შვილსაც ავნებ. შენმა ძმამ ნადირას ჯარში წაყვანა სამიოდე წლით კი გადაადებინა, მაგრამ, რა იცი, ყოველთვის იპატიებს? თბილისში კი ისეთი სიმამრი ეყოლება...

— წავიდეს ჯარში... ახლა ომი არაა, იქ რამეს მაინც ისწავლის... მირჩევნია, ჯარში წავიდეს, ვიდრე ქალაქში...

— რატომ?

— თუნდაც იმიტომ, რომ... — პოპინამ კინაღამ ამოისროლა გულიდან ნამდვილი მიზეზი და ჯერჯერობით გამქღავნება გადაიფიქრა. — იმიტომ, რომ... მარტო ვერ დავრჩები აქ...

— ჯარში თუ წავიდა, მარტო არ დარჩები?

— ის სხვაა, ეს სხვაა... ჯარიდან მალე ჩამოვა, ქალაქიდან კი... ვერა, ქალაქში ვერ გავუშვებ და მარტო ვერ დავრჩები აქ...

— გამომიძებნა ახალი ამბავი! ვიცი, ვიცი, რამაც შეგაშინა!.. ცოტას რომ მოიდგამს ფეხს იმ ოჯახში, შენც წაგაგრიალებს. ბერხევს კალთაზე კი არა ჰყავხარ გამოკერებული. ხომ ხედავ, ახლა ვისაც ოდნავ ხელის განძრევა შეუძლია, ყველა ქალაქში გარბის... რაღა დაგიმალო და, ნესტორა რომ თავმჯდომარე არ იყოს, მეც აღარ გავჩერდებოდი ამ დაყრუებულ ბერხევში. ადამიანი კი არ ეძებს ბედს, გენაცვალე, ბედი თვითონ ეძებს ადამიანს. ეს დალოცვილი ბედი კარზე თავისით მოგადგა, მწიფე მარწყვისფერი „ვოლგით“ მოგიგრიალდა, მარწყვივით გოგო მოგიყვანა და შენ კიდევ ფიქრობ, ჭიშკარი გავუღო თუ არაო? ეს ბედი შენც წაგაგრიალებს ქალაქში.

— რა შავი ჭირი მინდა იმ თქვენს სანატრელ ქალაქში!

— ეს რანაირი შურისძიებაა, პოპინა? აქაოდა, გადამთიელმა ქალაქელმა ქალმა ქმარი წამართვაო... მაგ შენი უთაური ჭირვეულობით გააქციე ქმარი გადასაკარგავში! დედა, იმ ერთმა ქალმა ასე რავა შეგაძულა ყველა?! დედა, ეს რამხელა სიძულვილი დაგგროვებია გულში, ქალო, მეშინია, ღმერთმანი!

— კი, ბატონო, არ ვმალავ, მძულს ყველა ქალაქელი და ეგ თქვენი სტუმარიც მძულს! — ბოლოს და ბოლოს, გამოუტყდა მული რძალს, გადმოღვარა გულის ხვაშიადი.

— ეგ რა თქვი, ქალო? სხვაგან მაინც არსად წამოგცდეს! არაფერს არ უკვირდები! რაც მოგადგება ენაზე, ლაშლაშებ! რიგიან-პირიანად გაგლანძღავდი მე შენ, მარა, მეცოდები, საწყალო, ბედისგან დაჩაგრული ქალი ხარ... ბოღმისგან გულგასიებულს გონება გიბნელდება ხოლმე და რას ჯლიყინებ, თვითონაც აღარ იცი.

— არ მინდა ეგ თქვენი ინგა რძლად! — თავის დასაცავად ისევ ამ აზრს ჩაეჭიდა პოპინა. — ჩემი ბიჭი ინგას სიყვარულმა ჩირივით რომ ჩამოაჭკნოს და დააჭლექოს, მაინც არ ვათხოვნინებ! საბოლოოდ ასე მითქვამს მე.

— ერთი უყურეთ ამას, პირზე ხელსაც რომ მაფარებს! მე კი არ გეკამათები შენ, შენ მეკამათები და მედავები მე! ვაი, რა უგუნური და ახირებული ქალი ყოფილხარ, აქამდე რავა ვერ გავიგე ეს! შენი ჭირვეულობით ჯერ ქმარს გაუმწარე სიცოცხლე და ახლა შვილსაც ღუპავ?

— ძალიან გთხოვ, ჩემი ჭკუის დარიგებას მოეშვი! ბენია ბრიგადირის ცოლი

ეროვნული ბიბლიოთეკა

არა ვარ, მუდამ შენს ჭკუაზე ვიარო!

— ო, ჰო, ჰო, ჰო! ოცი წელიწადი ყველაფერზე გვეთანხმებოდა და უცებ... უცებ გაუჩნდა თავისი ჭკუა, ჩვენ აღარ ვჭირდებით! ა, ამას ჰქვია უმადურობა!..

პოპინამ საპასუხოდ ვერაფერი უთხრა, ენა დაება. არიშამ განაგრძო:

— ძნელია შენთან ლაპარაკი, ყბები დამეღალა! ჩვენ შენი სიკეთე გვინდა, შენ კი!.. რძლის სიტყვა თუ არა გჯერა, სადაცაა მოვა შენი ძმა და ის მოგელაპარაკება, იმედია, ძმას მაინც ათხოვებ ყურს!..

ღარულადან უამრავი იმედით გამაძღარი და დატვირთული ნესტორა დის საქციელმა ისე გააბრაზა, იქვე რომ დაეხრჩო, არ დაენანებოდა. ჯერჯერობით მაინც ალიაქოთის ატეხვისაგან თავის შეკავება ამჯობინა, ოღონდ მკაცრად კი გააფრთხილა პოპინა:

— თავის უბედური ნუ იქნებ... შენი დღე და მოსწრება! იცოდე, თუ ოდნავ მაინც ხელს შეუშლი ინგას და ნადირას შეუღლებას, სამუდამოდ ამოგირეცხავ გულიდან... ვიტყვი: არც და მყოლია ოდესმე, არც — დისშვილი-მეთქი!

პოპინამ ერთი სინანულით ამოიოხრა და ძმას გაშორდა.

ღმერთის არსებობა იქნებ ვინმეს სწამდა ბერხევსა თუ ღარულაში, მაგრამ ახლა ძეხორციელმა არ იცოდა, რას ფიქრობდა ცაში ის ღმერთი, ან საერთოდ ფიქრობდა რამეს?

ნესტორას დიდი სახლი კი თავიდან ფეხებამდე ფერადი ფიქრებით იყო გატენილი და დახუნძლული.

ჭალაჭური ჰამაკი და სოფლური საქანელა

ეს რა ღვთისწყრომაა, გული აღარსად მიჩერდება. ხალხში ვტრიალებ, მარტო ყოფნა მწადია, მარტო ვარ — ხალხში ყოფნა მენატრება. უკვე მომწყინდა ბერხევში.

ნუთუ ეს ყველაფერი იმის ბრალია, დედისერთა ქალიშვილი რომ ვარ?

ძნელი ყოფილა, ძნელი.

მთელმა ჩემმა ბავშვობამ ისე გაიარა, თანატოლ გოგო-ბიჭებთან არ მითამაშნია. რასაც ვისურვებდი, მისრულებდნენ, ოღონდ ეზოში არ მიშვებდნენ. დედაჩემს ეშინოდა, არ წავქცეულიყავი, ვინმეს ბურთი არ მოერტყა, ქვიშა არ შემოეყარა თვალებში, არ დავსვრილიყავი. ფანჯარასთან ვიჯექი ხოლმე და გადავყურებდი, ბავშვები პატარა მწვანე ნიჩბებით ქვიშას რომ იღებდნენ და მომცრო წითელ ვედროებს ავსებდნენ. ისინი ხშირად ისვრებოდნენ, ხშირად ჩხუბობდნენ, ტიროდნენ და ერთმანეთსაც ებუტეტებოდნენ, მაგრამ მალე ისევ რიგდებოდნენ და კვლავ ხალისით თამაშობდნენ. მე კი მეცვა გაქათქათებული კაბა, გაპრიალებული სანდლები და ვიჯექი ჩემთვის.

თითქმის ყოველ ზაფხულს ზღვაზე დავდიოდით დასასვენებლად, ოღონდ მარტო მე და დედაჩემი. მამაჩემი საგარაკოდ ვერასოდეს იცლიდა. დედაჩემმა ცურვა არ იცოდა და წყალში კოჭებამდე შესვლასაც არ მანებებდა. დაჯდებოდა რიყეზე ქოლგისებური საჩრდილობლის ქვეშ, გვერდით დამისვამდა და ვუყურებდით, უამრავი ხალხი როგორ ბანაობდა ერთი სიცილ-კისკისით და ჟრიამულით.

რამდენჯერმე ვთხოვე დედას, მაბანავე-მეთქი. ყური არ მათხოვა. რაკი თვითონ ვერ ჩადიოდა წყალში, ჩემს თავს არავის ანდობდა. ერთხელ ვიღაცამ უთხრა, ბავშვი დაიხრჩოო და... სანამ ზღვისპირას ვიჯექით თუ ვიდექით, ხელსაც არ მიშვებდა, ელანდებოდა, რომ მე გაქცევას და ზღვაში შევარდნას ვაპირებდი. დედის ამ შიშმა თანდათან მეც გამიჩინა ზღვის შიში და გამიქრო ცურვის სურვილი. მერე და მერე, დედას კი-

დეც რომ გავეშვი, წყალში ფეხის შედგმას თვითონაც ვეღარ ვბედავდი.

ეს ხამოიდე წელიწადია, ზღვაზე წასვლის სურვილიც დამეკარგა. სხვებმა ზვირთებში ქანავონ, ფრიალონ, მე კი შტერივით ვიჯდე რიყეზე? ზღვის ჰაერი დიახაც კარგია, მაგრამ იქ ჩემი უბადრუკობა კიდევ უფრო მაღიზიანებს და მიჩანს, ხულაც ორ გავეკარო ახლოს.

მეცხრე კლასში რომ გადავედი, დღიურების წერა დავიწყე. ჩემს ფიქრებს სამოიდე თვეს სქელ რვეულში აღვნუსხავდი. მერე გადავიკითხე და შემომეყარა გულს. ვის აღარ ვეჩხუბებოდი, ყველაზე ხშირად კი — დედ-მამას. ეს რა სისულელეები მომიჩმახავს-მეთქი, წავიდე და ის ნაჯღაბნი მტკვარში გადავუძახე.

ცხოვრებაში არასოდეს მკლებია რამე. ნივთებიდან რა უნდა მენატრა, უმალვე არ ეყიდათ. ალბათ, ამიტომაც მეჩვენებოდა, რომ ყველაფერი მაკლდა. ჩემი სურვილის შესრულებას არავითარი სიამოვნება თუ სიხარული აღარ ახლდა. შარშან ერთი წამომცდა, „ვოლგა“ მიყიდეთ-მეთქი და უმალვე მომივრიალეს. სანამ მანქანის ტარებას ვსწავლობდი, მეცხრე ცაში მეგონა თავი, მერე ესეც ჩვეულებრივი გახდა. საოცრად პარადოქსულია ეს ოხერი ცხოვრება: რაც არა გაქვს, თავს იკლავ — გქონდეს, მოგიტანენ და არაფერი, უმალვე გწყინდება. ეტყობა, ყველაფერი მანამდეა ძვირფასი, სანამ ეძებ, მერე იპოვი და... მოსაწყენი ხდება. მგონი, ფუფუნება აჩენს ამ გრძნობას... თუ რამე კარგია ამ ქვეყნად, გვინდა მარტო ჩვენ გვქონდეს, სხვასაც თუ აქვს, ჩვენსას ფასი ეკარგება...

ამბობენ, მამაჩემი სამსახურში ძალიან მკაცრი, მომთხოვნი და დაუნდობელიაო, შინ კი სულ სხვა ადამიანია. კეთილია საოცრად, მაგრამ, ჩემი ფიქრით, ერთობ უძლურია მისი სიკეთე... ყველაფერში დედაჩემს ემორჩილება თითქოს. შინ დედაჩემი მეფობს ენითაც და ისეც. ეცინებათ, ის იყოს დიდი თანამდებობის ადამიანი, მამაჩემი კი მისი ხელქვეითი.

მამაჩემს სახლიც და აგარაკიც, ყველაფერიანად, დედაჩემის სახელზე აქვს გაფორმებული. ეტყობა, რაღაცის ეშინია. დედაჩემი კი ამ მდგომარეობასაც თავისებურად იყენებს. ოჯახში ყველაფრის ბატონ-პატრონი მე ვარო, მთელი უძრავ-მოძრავი ქონება ჩემიაო და ამიტომ ქმარიც ყოველნაირად უნდა დამემორჩილოსო.

დედაჩემს გათხოვებამდე მელანო რქმევია. მერე ეს სახელი აუთვალისწუნებია და თავი თვითონვე მოუნათლავს მარგალიტად. დედამისის შვილი იქნება ვინმე და მელანოს დაუძახებს.

მამაჩემი შინ იშვიათადაა, მაშინაც თავისთვის ფუსფუსებს ან ჩაფიქრებული ზის და რაღაცას ანგარიშობს. მიკვირს ხოლმე, ასე ბუნჩულა ადამიანი სამსახურში როგორ იცვლება, მკაცრი და დაუნდობელი რანაირად ხდება?! დედაჩემის ჯავრს თანამშრომლებზე იყრის?

ოჯახში რაღაცნაირად ესეც მაღიზიანებს უკვე. ბოლო ხანს დედ-მამასთან სიახლოვეს ვეღარ ვიტან. ერთ ჭერქვეშ ვცხოვრობთ და მაინც თითქოს მე გამოღმა ვარ, ისინი გაღმა არიან.

ამ ზაფხულს დედაჩემმა ზღვაზე წაყოლაც მთხოვა, მინერალურ წყლებზეც, საზღვარგარეთაც, არსად წავყევი. წყნეთში საკუთარ აგარაკზე თბილისიდან აგრიალებას რა უნდა, ესეც კი ვუარე.

წლევანდელივით აფორიაქებული არასოდეს ვყოფილვარ. ერთბაშად უამრავი თაყვანისმცემელი დამეხვია. შემძულდა გარეთ გასვლაც და ტელეფონის ზარიც. ვინღა აღარ მინიშნავდა პაემანს, ვინღა აღარ მემუდარებოდა, ერთმანეთს გავეცნოთო. შინაც ბევრი მაკითხავდა და თავხედურად მთხოვდა ხელს. ვერ ვიტყვი, თაყვანისმცემლებში თვალტანადი ვაჟკაცებიც არ ერევნენ, ჩემს გულს ჯერთიც ვერავინ გავაკარე. იქნებ იმიტომაც, რომ ვგრძნობ, მამაჩემის ქონება

და სიმდიდრე უფრო აინტერესებთ, ვიდრე მე.

ერთი ასპირანტი ბიჭია, ჯონი, მოსვენებას არ მაძლევს, თავს მაჩვენებს, რომ ჩემი სიყვარულით გიჟდება, სადაც წავალ, ჩრდილივით დამდევს, წერილობითაც ბევრჯერ შემომითვალა, უშენოდ სიცოცხლე აღარ შემიძლია, ბარემ მოვაწეროთ ხელიო. დავცინი, ის კი თითქოს ვერ ხვდებაო, მაინც არ მეშვება.

თაყვანისმცემლების მომრავლებით თავი მომაბეზრა თბილისმაც და გადავწყვიტე: სადმე მარტო, უდედოდ წავალ-მეთქი. მომაგონდა, მანანამ ბერხევში რომ დამპატიჟა. დედაჩემმა შეიცხადა: მარტო არსადაც არ გაგიშვებო. მეც კატეგორიულად ვუთხარი: არ გამიშვებ და შენ მაინც არსად წამოგყვები, თბილისის ბულში ამოვიხრჩობი-მეთქი. მამის დახმარებით რის ვაივაგლახით დავითანხმე. პირველი შემთხვევაა, მარტო რომ გამომიშვეს.

თვითონაც არ ვიცი, მაინცდამაინც ბერხევში წამოსვლა რატომ მომესურვა. წამდაუწუმ ვეკითხები თავს, რა მინდა აქ? პასუხს ვერ ვპოულობ.

რა თქმა უნდა, ჩემი პირველი მიზანი თბილისიდან გამოქცევა და მთიანი სოფლის სიმყუდროვეში განმარტოება და დასვენება იყო. გაგიგონია! ვინ განებებს განმარტოებას ან შენს ნებაზე დასვენებას. ყველაფერი პირიქით ხდება. ჩემი მასპინძლის ოჯახში ყოველ დღე ვიღაც-ვიღაცები მოდიან, ნაირნაირი ბიძიები და ბიცოლები, და იმდენი ნაირნაირი რამ მოაქვთ მოსაკითხად, დიდ წვეულებას რომ გაისტუმრებს. თან რატომღაც ყველას ჩემი გაცნობა სწადია. თავი მომაბეზრა ამდენმა ყურადღებამ. ყელში ამომივიდა ამდენი ქათინაური და ყოველგვარი მოსაკითხი. არავისი პატივისცემა არ მინდა, არაფერი არ მინდა, ოღონდ მომასვენონ. სუფრას დღეში შვიდჯერ შლიან, თანაც ისეთს, ჩიტის რძეც რომ არ აკლია. ფაშფაშით მოსიარულე მანანას დედა არიშა წამდაუწუმ თავზე დამტრიალებს, ზედმეტი ზრუნვით მომაბეზრა თავი, ლამის თავისი ხელით ჩამიდოს ლუკმა პირში, როგორც აკვნის ბავშვს აჭმევენ ხოლმე. მომკლა ამდენი ხვეწნა-მუდარით: ეს გადაიღე და ის გადაიღე, ეს გასინჯე და ის გასინჯეო. სხვებიც ისე მექცევიან, თითქოს თამარ დედოფალი ვიყო. ერთობ უინტერესო ხალხია, ჭამა-სმა ჰგონიათ ყველაფერი.

სხვას არადა, მანანას კი შევჩივლე:

— ძალიან გთხოვ, ასე ხშირად სუფრას ნუ შლით, ჩემი პატივისცემა ის იქნება, საჭმელად რაც უფრო ნაკლებად დამიძახებთ. არც ის მომწონს, ჩემთან უამრავი ხალხი რომ მოდის მოსაკითხით. მე ხომ აქ არავის ვიცნობ და უხერხულობაში ვვარდები.

— რა ვქნათ, ასე სტუმართმოყვარეა ჩვენი ხალხი და რომ დავუშალოთ, მამაპაპეულ ადათ-წესებს მოეშვით-მეთქი, ეწყინებათ. — ასე იმართლა თავი მანანამ.

მეორე დღეს შედარებით ამოვისუნთქე. იმის საშუალებაც კი მომეცა, მსხალსა და ვაშლს შუა ჩემი ჩამოტანილი ჰამაკი გამება, შიგ ჩავწოლილიყავი და წიგნის კითხვა დამეწყო. თან ვიგულე სელინჯერის მოთხრობა „თამაში ჭვავის ყანაში“.

ნესტორა ჩიხრაძის მოზრდილი ეზო გორაკის ბრტყელ ზურგზეა დაწოლილი. როგორი ცხელი დღეც არ უნდა დადგეს, აქ მუდამ საამო ნიავი უბერავს, ზენა ან ქვენა. არც მზე აკლია, არც — ჩრდილი.

არიშამ მოლზე ხალიჩა დააფინა, ზედ ჭრელი მუთაქა და ჯინჯილებიანი ხავერდის ბალიშები დაყარა: როდესაც ჰამაკში წოლა მოგწყინდება, აქ მოისვენეო.

ნადირამ დიდი კაკლის მსხვილ ტოტზე სოფლური საქანელა ჩამოჰკიდა. ზედ ჯდომელაც შეიძლება ქანაობა და დგომელაც. სქელი ფიცარი ორგანაა გახვრეტილი, აქეთ-იქით. ტოტებიდან ორ ტოტად ჩამოშვებული ჯაჭვია ამ ხვრელებში გაყრილი და ქვეშ მავთულით გადაბმულ-შეკრული. ხის ტოტი მაგარია, საიმედო, ჯაჭვის ტოტებზე არა ნაკლე-

ბად მაგარი. ჯაჭვზე, სადაც მოქანავემ ხელი უნდა მოჰკიდოს, ნადირამ მიტკალი დაახვია.

— სტუმარო, ქალაქური ჰამაკი დიახაც კარგია, მაგრამ იქნებ სოფლური საქანელა უფრო გესიამოვნოს. — მიმიპატიჟა მასპინძელმა.

— გმადლობ! — ვიუარე მე.

— აჰ, ოღონდ უარი არ იყოს. ეს ჩვენებური საქანელაც გასინჯე. ჰაერში რომ გაიქროლებ და ზევიდან ქვევით დაეშვები, სხეულს თითქოს ვეღარც გრძნობ, სუნთქვა გეკვრის, იცლები და ივსები, იცლები და ივსები. მაღლიდან დაბლა ეშვები, მერე ისევ მაღლა მიფრინავ. გასინჯე, გასინჯე, რა სასიამოვნოა!

ხათრი აღარ გავუტეხე, წიგნი ჰამაკში ჩავაგდე და საქანელასთან მივედი, ნადირა მომეშველა და ფიცარზე შემაყენა.

— ახლა რა ვქნა?

— ჯაჭვებს მიტკალთან ხელები მაგრად ჩაჭიდე და ჩაბუქნე. ჰო, ასე! უფრო მაგრად!

ჩავბუქნე ერთხელ ,ორჯერ, სამჯერ. საქანელა ოდნავ შეირხა.

— ბიჭო, ჯერ შენ გააქან-გამოაქანე! რა გეშინია ხელის მოკიდება, კი არ გიკბენს! — გადმოსძახა აივნიდან მანანამ. — ო, რა მორიდებული ხარ ზოგჯერ!

ნადირამ ზურგიდან მომიარა, ფიცარს აქეთ-იქით დაავლო ხელები, რამდენიმე ნაბიჯით უკან დაიხია, წამით შეჩერდა და მერე მოწყვეტით წინ გამაქანა, მომყვა, ვიდრე ფიცარმა ბიძგის მომცემის თავზევით არ აიწია, ხელი მაგრად მკრა და მაღლა ბურთივით ამისროლა.

მე ერთი „ვაის“ შეკივლება მოვასწარი მხოლოდ, საქანელა უკანსვლით დაბლა დაეშვა. ნადირა უმალვე ოთხზე დადგა და საქანელა თავზე გადაიტარა. მერე, ვიდრე იგი ისევ წამოეწეოდა, განზე გახტა.

— ახლა, როგორც კი უკანდახეული წინ წამოსვლას დააპირებ, ოდნავ ჩაუბუქნე და მეტიც არ უნდა, ყოველ ჩაბუქნაზე მოუმატებს გზას სიგრძესაც და სიჩქარესაც. ჰო, ნუ გეშინია! უფრო თამამად! ასე!

შუა ადგილას მოხერხებულად დადგა და ფიცარს ხელს ჰკრავდა ხოლმე, მაღლა ასროლილ საქანელას უფრო გრძელი ტრაექტორია რომ მოეხაზა ჰაერში.

იყო ამ ქანაობაში რაღაც სასიამოვნო შიში.

არ წამომეხადოს-მეთქი, კაბის კალთას მუხლებით ვიჭერდი, ჩაბუქვნისას მაინც გამირბოდა და ფრიალებდა. ახრჭიალდა საქანელა და კაკლის ტოტმა რხევა დაიწყო. ირხეოდა მხოლოდ ის ერთი ტოტი.

ჯაჭვმა ჭრიალს მოუმატა, ტოტმა რხევას და ჩემი კაბის კალთამ ფრიალს.

— ყოჩაღ! — შემაქო ნადირამ. — ხომ კარგია?

— კი, ოღონდ ხელს ნუღარ მკრავ! მე თვითონ, მე თვითონ! — ხამოვძახე დამხმარეს.

— აბა, იმ ტოტს თუ მიარტყამ ფეხს! უფრო მაგრად ჩაბუქნე, ნუ გეშინია, არ ჩამოწყდება! ჰა, ცოტაც, ცოტაც და...

— მეტი აღარ შემიძლია, გული მიფრიალებს! ჩამომსვი! არ გესმის? აღარ მინდა. მერე შარვალს ჩავიცვამ და... კი, ბატონო.

ისევ ჩემს ჰამაკს დავუბრუნდი.

საქანელაზე ახლა ნადირა შეხტა და ჩაბუქნა. ოდნავ რომ შეირხა, კიდევ ჩაბუქნა, თანდათან აჩქარდა და აჭრიალდა ჯაჭვი.

— აბა, წავედით კოსმოსში! — უკან დახეულმა, თითქმის ჰორიზონტალურად გაჭიმულმა ნადირამ, დაბლა წამოსვლისთანვე მაგრად ჩაბუქნა, სწრაფად ჩააცურა ხელები ჯაჭვზე და ფიცარზე დაჯდა, გაქროლებული თავდაყირა დაეკიდა, ფეხები კაკლის ტოტს მიარტყა და უკანვე გამოქანდა. მერე ხან დგებოდა, ხან ჯდებოდა, აქეთ-იქით მიმოფრინავდა. ჯაჭვების ჭრიალს ნადირა შეძახილს ააყოლებდა ხოლმე: — წავედით კოსმოსში! აბა, ჰე!

თავს მაწონებდა: ნახე, ნამდვილი ქანაობა როგორ უნდაო. მე კი მისკენ თითქმის აღარც ვიყურებოდი, კვლავ სელინჯერს ვკითხულობდი.

როცა სუფრას არ შლიან, არიშა და მისი მული, ნადირას დედა პოპინა ცალკე ოთახში ჩაიკეტებიან და პუტუნებენ. იქიდან გამოფაშფაშებული არიშა მიღიმის, მეალერსება, პოპინა კი ისე მიბღვერს, თითქოს რამე წამერთმიოს, ხანაც ისე ტუჩაბზუებით შემომხედავს, აშკარად ემჩნევა, ვეზიზღები. ნეტავი რა დავუშავე?

დღესაც ჩაიკეტნენ და იპუტუნეს. ცნობისწადილი გამიხელდა, ეს ყველაფერი რას ნიშნავს-მეთქი. განგებ ხომ არ მივიდოდი იმ ოთახის კართან და ჯაშუშივით ყურს ხომ არ მივუგდებდი. ერთი საათის შემდეგ იქიდან გამოფაშფაშებულმა არიშამ მოსაკითხით მოსულ ერთ მანდილოსანს ხმამაღლა უთხრა: ნამდვილად მიხვდი, ინგას და ნადირას ერთი შეხედვით მოეწონათ ერთმანეთი, შეუყვარდათ კიდეც და, ალბათ, მალე დავმოყვრდებითო.

. . . აი, ფურმე რას ფიქრობენ. თავისი სურვილი, ვითომ შემთხვევით, მეც გამაგონა არიშამ, რომ ჩავუფიქრდე ამ ამბავს და ბიჭის სიყვარული გულში ჩავიდო. თვითონ ჭრის და თვითონვე კერავს. ეტყობა, პოპინას არ მოვწონვარ, არიშას კი სწადია, მე და ნადირას ერთმანეთი შეგვიყვარდეს.

ნადირაც ცხრა ტყავში ძვრება, მე რომ თავი მომაწონოს. სულ თავზე დამტრიალებს, ზოგჯერ უშნოდაც მეტმასნება, თვალ-წარბში შემომყურებს, რა გაგეხარდებაო. ღამით ორგულას წყალზე წავიდა სათევზაოდ და დილით მთელი ვედრო ცოცხალი კალმახები მომიყვანა. წითელფორეჯიანები ძალიან ლამაზები იყვნენ. შეწვას უპირებდნენ, სასტიკად ვიუარე: თევზი არ მიყვარს-მეთქი. აქ ახლა ჩემი სიტყვა ყველასთვის კანონია. ნესტორას ეზოში საგანგებო აუზი მოუწყვია. თევზები შიგ ჩავყარე. ნეტავი გენახათ, როგორ გაიხარეს. მთელ ამ მიდამოში ყველაზე მეტად დღესდღეობით ეს კალმახები მიყვარს. ალბათ იმიტომ, მე რომ გადავარჩინე სიკვდილს.

— ხომ არ მოგეწყინა, სტუმარო? — ხან ვინ მეკითხება და ხან ვინ. მოსაკითხის სიმრავლესავით ამ შეკითხვამაც გამიწყალა უკვე გული.

ძალიანაც მინდა მარტო ყოფნა და მოწყენა, ვინ გაცლის, თორემ კაი შენ! ჩემი თავი მე აღარ მეკუთვნის, წამითაც არავინ მტოვებს მარტო, სანამ დასაძინებლად ცალკე ოთახში არ გავალ.

— როგორ მოგწონს აქაურობა, სტუმარო?

გულში ვამბობ ხოლმე: ნეტავ იცოდეთ, როგორ მომაბეზრეთ თავი ამდენი ზრუნვით და ჩემ გარშემო ფუსფუსით. მე. თავისუფლად ყოფნა ყველაფერს მირჩევნია. ვჭამო, როცა მომშივდება, დავლიო, როცა მომწყურდება, ბერხევში გასასუქებლად არ ჩამოვსულვარ-მეთქი. მაგრამ, რაც არ უნდა იყოს, მე ახლა აქ სტუმარი მქვია და მასპინძლებმა გულახდილობა უმადურობად რომ არ ჩამომართვან, ზრდილობისთვის ყველას ერთნაირად ვეპასუხები:

— კარგია, ძალიან კარგია.

ვერ იგებენ, უგულოდ რომ ვამბობ.

ყელში ამომიყვანეს ყველაფერი, განსაკუთრებით ნადირამ გამიწყალა გული თავისი ზრუნვით. მისი დანახვაც აღარ მინდა.

გულისწყრომა ვეღარ დავმალე და მანანას შევბედე ცალკე:

— შენი ჭირიმე, ეგ შენი მამიდაშვილი მომაშორე როგორმე, თვალებში მაზოლები გამიჩინა. საქმე არაფერი აქვს, სულ მე რომ მომჩერებია?

— ერთი ნახვით შეუყვარდი და, აბა, რა ქნას? — ვითომ იხუმრა მანანამ. — გადამირიე მამიდაშვილი, შე გასახარებელო!.. არ მოგწონს?

— კარგად მოუარე, არსად დაგეკარგოს.

— რას უწუნებ? თვალტანადობა აკლია თუ ვაჟკაცობა?

— თვალი ჭამს და თვალი სვამსო, ნათქვამია. სხვისთვის არ ვიცი, რა აკლია და რა არა, მე არ მომწონს... — რაკი საქმე პირდაპირ ლაპარაკზე მიდგა, ხვაშიადი ამოვიღე გულიდან: — რადაც-

ნაირი ლაქუცაა. ვაჟკაცი უფრო სხვანაირი უნდა იყოს.

ვიცი, ნადირამ გაიგო ჩემი აზრი, მაინც არ მომშორდა. წინანდებურად ერთგული ძაღლივით შემომყურებს თვალებში.

ალბათ აქამდეც გავიქცეოდი ბერხევიდან, ერთ რამეს რომ არ დავეინტერესებინე. ვინაა ის ტუხა, ადამიანის რა იშვიათი ეგზემპლიარია? ასეთი ვინმე ჩემ სიცოცხლეში არავინ შემხვედრია. იმ ვაჟკაცში რაღაც არის მიმზიდველად იდუმალი და მეც სწორედ ამ იდუმალმა დამაინტერესა. ძილშიც კი ჩამყვა. მესიზმრა თითქოს პალტო მიყიდა. იმ პალტოს ნახევარი კონკიძველა იყო, ნახევარიც — ახალთახალი. ცხადში ასეთ პალტოს დავავლებდი ხელს და სანაგვეში გადავუძახებდი, სიზმარში კი ჩავიცვი და ძალიანაც მომეწონა.

მინდა, ერთხელაც შევხვდე იმ ბიჭს და უკეთ გავეცნო. მართლა საინტერესო ადამიანია თუ პირველნახვისას მომეჩვენა ასე?

სელინჯერს ვეღარ ვკითხულობ, იმ ბიჭზე ვფიქრობ.

გაღიმებული მანანა წამომადგა თავს:

— რამ ჩაგაფიქრა, ინგა? თბილისი მოგენატრა?

— არა, თბილისი არა! ის რა უცნაური ბიჭი გყოლიათ სოფელში...

— ვინ?

— აი, ტუხა რომ ჰქვია... ხატეველი.

მანანას უმალვე შეადნა ღიმილი პირისახეზე.

— სად ნახე?! ეზოდან არც გასულხარდა..

— თქვენი გზა ტუხამ მომასწავლა... ამემგზავრა მაშინ.

— აგემგზავრა?! აი, სასწაული? ის ტყიდან გამოვარდნილი ნადირი მანქანაში ჩაგიჯდა?

— რა მოხდა მერე?

— მანქანაში ჯდომა არ უყვარს.

ჰო, ეგ მეც შევამჩნიე. იმიტომაც გამახსენდა ახლა. ვინაა და რას აკეთებს?

— რა უნდა გააკეთოს გიჟმა? ერთი უთაური ვიღაცაა, თავხედი და ყაჩაღი, კუდიან ვარსკვლავზე დაბადებული ავი სული. ორმოცოდე ნაბიჯიდან ხეს ასჯერ ესვრის ხოლმე ფინურ დანას და ასჯერვე ერთ წერტილში ახვედრებს წვერით. ყველას შიშის ზარსა სცემს. მოზვერივით დაბღუის.

— მე კი მომეჩვენა, ზედმეტად მორიდებული და მორცხვია-მეთქი, ბატკანივით უწყინარი, შინაგანი ვაჟკაცობით აღსავსე.

— უცხო თვალს ეგრეც ეჩვენება ხოლმე პირველად. რეგვენია, გონებაჩლუნგი. სკოლაც კი ვერ დაამთავრა. ფეხშიშველა დაჯლაგუნობს ყველგან.

— რატომ ფეხშიშველა? ასეთი რა გაუჭირდა?

— ვერ გუობს ფეხსაცმელს. ეტყობა, ძაღლის სისხლი აქვს, მდუღარე. ერთი სიტყვით, ყოველნაირად პირუტყვია. მარტო პირუტყვი კი არა, ჯაჭვით დასაბმელი ველური ნადირიც. დებილმა თიბვის მეტი არაფერი იცის. თუ არ თიბავს, რიყეზე ბავშვებს ეთამაშება, ვერ შეამჩნიე რამხელა ფეხები აქვს?

— მერე?

— არ გაგიგონია, უჭკუო თავი ფეხებს ატანს ძალასო? უთაური ფეხშიშველა ხეტიალით გაეზარდა ის ფეხები. ბავშვობის მერე ჭკუა არ მომატებია. ერთი გამოღმაუბნელი შავტუხა მურთხი გოგო უყვარს. სულ ესაა მისი სულიერი ავლადიდება.

— მურთხი რას ნიშნავს?

— ერთი ძონძროხა და შეუხედავი, სოფელ-ქვეყანაში გამოუსვლელი გომბიოა, თეონა ჰქვია.

მანანამ ლანძღვა-გინების გუდას თავი მოხსნა, მიჰყვა და მიჰყვა, მიწასთან გაასწორა ბერხევის ყველაზე მაღალი ბიჭი, რაღა ადარ დააბრალა — სიშტერე, ჭკუააფრაკობა, მთვარეულობა...

გულისყურით ვუსმენდი და რაც უფრო აძაგებდა, მის სიმართლეში ეჭვი მეპარებოდა და ტუხა საინტერესო ბიჭად მესახებოდა.

— შენ ამბობ, რომ ის აყლაყუდა ბიჭი რიყეზე ბავშვებში თამაშობს ხოლმე?

— კი, ერთობა. მეტს ვერაფერს გასწვდა მისი ჭკუა და, აბა, რა ქნას?

იმ დღეს არაფერი და მეორე დილით კი ვუთხარი მანანას:

— ისე ჩამკეტეთ ამ მაღალგალავნიან ეზოში, როგორც მზეთუნახავი კოშკში. რიყეზე მაინც გავისეირნოთ. ხომ დამპირდი თბილისში? ცურვა არ ვიცი, მაგრამ მდინარის პირას მაინც კარგია ყოფნა.

წავგრიალდით. „ვოლგა" რიყესთან დავაყენეთ და ტირიფისქვეშ, დიდ რუხ ლოდზე ჩამოვსხედით.

ნეტავ აქამდეც მომეფიქრებინა. გიჟურას რიყე ნამდვილად მშვენიერი დასასვენებელი ადგილია. მერე რაა, აქაც ბევრი ხალხი რომ ირევა, ეს სხვა ამბავია. აქ მდინარე და მდინარის ქვიშიან-რიყიანი ნაპირია ყველაფერი. ჩემ გარშემო კი არა, გიჟურას და რიყის გარშემო ფუსფუსებს ყველა. ჩემთვის ვისა სცალია.

ჰოდა, მეც ვზივარ ჩემთვის ტილოდაფენილ ქვაზე და ხან მდინარის ზვირთების სრბოლას გავყურებ, ხანაც თვალყურს ვადევნებ, რაც ირგვლივ ხდება.

აქ ჩემთვის ბევრი რამ არის საინტერესო.

გამიგონია, მდინარეს რამდენიც არ უნდა უცქირო, არ მოგწყინდებაო. იმასაც ამბობენ: რაც არ უნდა აღელვებული იყო, მდინარის ყურება დაგაწყნარებსო. მართალი უნდა იყოს. ამის მიზეზი ალბათ ის არის, რომ მდინარე შეუსვენებლად მიდის და მიდუდუნებს, თან მიაქვს შენი ყოველგვარი ფიქრი და გული გიხალვათდება.

ბერხევში კლუბი არ არის. ათიოდე წლის წინათ მოუმარაგებიათ მასალა და... ის მასალა ნესტორას სახლად ქცეულა. ეს ამბავი ჩუმად გამანდო მოსაკითხით მოსულმა ერთმა ქალმა, მგონი, ბიბლიოთეკის გამგემ. ახლა ყველა ახალგაზრდა, აქაური თუ მოაგარაკე, ზაფხულობით რიყეზე იყრის თავს.

რიყეზე პატარა საფეხბურთო მოედანიცაა, გვერდით კი სავარჯიშო ღერძი გაუმართავთ, ორ მაღალ ბოძშუა ბაგირია დაკიდებული, იქვე ორძელიცაა.

ჩვენგან ოციოდე ნაბიჯის დაშორებით ერთი თავხოტორა ბიჭი ბანჯგვლიან შავ ძაღლს ათამაშებს. გადააგდებს ბიჭი ჯოხს წყალში, ძაღლი შევარდება, დაავლებს პირს, გამოცურდება ნაპირზე, შეძიძგილდება, ქუჩქზე წყალს შეიბერტყავს, ჯოხს პატრონს მიურბენინებს და მერე თვალებში შეჰყურებს, ალბათ ეკითხება, ხომ გიერთგულეო. ბიჭი ისევ ისვრის ჯოხს ზვირთებში და ძაღლიც კვლავ იჭერს. ამ ერთი და იგივე საქმის კეთება არც ერთს არ სწყინდება.

ხოზიკა ბიჭი და კაფანდარა ერთმანეთს ეჯიბრებიან, ვინ უფრო მარჯვედ ისვრის რიყის ბრტყელ ქვას ისე, რომ იგი წყლის ზედაპირზე გასრიალდეს და გაღმა რიყეზე დავარდეს. კაფანდარას ნასროლი ქვა ზვირთებზე მიცურავს სწრაფი ხტუნვა-ხტუნვით და გაღმა კლდეს ხვდება ფეხში, ხოზიკას ნასროლი მდინარის შუაგულსაც ვერ აღწევს, გზაზე შეხვედრილი პირველივე ზვირთები იტაცებს და ყლაპავს.

— შენ კარგ ბრტყელ ქვებს არჩევ! — ბუზღუნებს ხოზიკა.

— შენც აირჩიე, ვინ გიშლის, ამხელა რიყეზე ქვის მეტი რა არის! — არხეინად ეპასუხება კაფანდარა.

ერთ ჯგუფს კარტის თამაში გაუჩაღებია, მეორეს — ფანტიაობა.

ფეხშიშველა ბიჭები ბურთს დასდევენ ყიჟინით.

გაღმა კბოდე კლდოვანია, გამოღმა ნაპირი — გაშლილი. ეტყობა, მდინარე აქეთ ხშირად იცვლის კალაპოტს. აქ ქვიშაც ბევრია და რიყეც. გიჟურას ზემოთისკენ რომ გახედავთ, გეგონებათ, დიდი შავი კლდის ფეხიდან გამოდისო, ქვემოთისკენ—მოთეთრო მაღალ კლდესთან უხვევს. მდინარეს ამ თვალსაწიერზე რამდენიმე ფონიც გაუჩენია და მორევიც, არც დაქანება და შხივილით მომავალი ზვირთები აკლია. აქა-იქ გადალესილ ლოდებსაც ამოუყვიათ თავი.

ბიჭები რიყე-რიყე გარბიან ზემოთისკენ, შავი კლდიდან ხტებიან და მდინა-

რის შუაგულით მოთეთრო ყლდისკენ მიუყვებიან ზვირთებს რწევა-რწევით. ზოგი ორივე ხელსაც ასწევს ხოლმე და ჰაერზვან კოცნას უგზავნის ნაპირთან მიმდგარ გოგოს. ამით სხვა რამესაც ანიშნებს: აქაოდა, ნახე, ღრმა სულაც არ არის, ფსკერს ფეხით ვწვდებიო. ნამდვილად კი ეს მხოლოდ კარგი მოცურავის ინბაზობაა, სწრაფმავალ მდინარეში მარტოოდენ ფეხების ქნევითაც ახერხებს ცურვას. გიჟურა, ეტყობა, არა მარტო შუაგულში, ნაპირზეც ღრმაა.

ვინც რიგიანი ცურვა არ იცის, გიჟურას მათთვის პატარა ტოტი გადმოუგდია ცალკე. ზოგი მდინარის ტოტშიც ვერ ბედავს ბანაობას და ტანსაცმლის გაუხდელად წუწაობს. ასე იგერიებს სიცხეს. სველი კაბა უფრო მკვეთრად აჩენს სხეულის ყველა ნაკვთს.

გიჟურადან და მისი ტოტიდან გამოსული გოგო-ბიჭები ერთად გორაობენ ცხელ ქვიშაში. ზოგჯერაც წყლისპირა ტლაპოდან ქვიშიან ტალახს ბოჭავენ და ერთმანეთს ესვრიან. ტალახით უჭრელდებათ მზემოკიდებული სხეული. კივიან, წივიან, ხორხოცებენ.

პატარა გოგო-ბიჭები სულ ტიტლიკანები დარბიან, დედიშობილა. რიყეზე ამოყრილი თევზებივით დახვათქალობენ.

საოცრად მომინდა ამ მობანავე ხალხში გარევა. გიჟურას ზვირთებში შეცურება და მერე ცხელ ქვიშაში გახვევა.

ახლა უფრო მომივიდა გული დედაჩემზე, პატარაობისას ცურვა რომ არ მასწავლა. რამდენი სიამოვნება დამაკლო, რამდენი! ჩემ თავზედაც დამწყდა გული, მერე ჩემით მესწავლა-მეთქი. მაგრამ, ეტყობა, ეს უკვე შეუძლებელი იყო. ისე ძლიერია ბავშვობისას ჩანერგილი შიში, მერე როგორც არ უნდა გამამაცდე, ის შიში ისევ ცოცხლობს შენში და გბორკავს.

ვინაიდან ცურვა არ ვიცი, კაბის გახდა და მდინარის ტოტში ჭუჭმპალაობაც მერიდება. ზოგი ალბათ გამჭორავს კი დეც: ამხელა გოგო მდინარეში ვერ შედის და მხოლოდ თავის სხეულს ვგახარებსო. მე კი სულაც არა მწადია, აქ ვინმეს ჩემი სხეული დავახარებო.

ტუხა არსად ჩანს. დღეს იქნებ არც ჩამოვიდეს. რა უშავს, ხვალ იყოს, ზეგ...

რაკი ეს დასასვენებელი ადგილი ალმოვაჩინე, ამიერიდან ბერხევში დარჩენა აღარ გამიჭირდება.

ფეხსაცმელები გავიხადე და კოჭებამდე წყალში ჩავდექი. სასიამოვნო სიგრილემ დამიარა მთელ ტანში.

ვიღა-ვიღაცები ცნობისმოყვარეობით მითვალთვალებენ, რაღაცას ჩურჩულებენ და იცინიან. მერე ნადირასკენ გარბიან და რაღაცას ეუბნებიან. ნადირა გაბრაზებული იგერიებს ონავარ ბიჭებს.

დიახ, ნადირაც აქ არის. ადრევე გაიგო, აქ ჩამოსვლას რომ ვაპირებდით და ჩამოგვასწრო. მანქანიდან რომ გადმოვედი, გიჟურას ტოტში ბანაობდა. დამინახა თუ არა, მდინარეში გადაინაცვლა. ოღონდ ღრმად შესვლას ვერ ბედავს. მანანამ დანახვისთანვე გააფრთხილა: რა კარგი ცურვა შენ იცი. წყალს არ გაუთამამდე, თორემ თუ გაგიტაცა, ვერავინ გიშველისო. ეტყობა, ნადირა თავმოყვარეობამ შეაწუხა, ჩემს მოსაჩვენებლად აკეთებს ყველაფერს, აქაოდა, არ იფიქრო, მდინარეში ცურვას ვერ ვბედავ, თუმცა, ვატყობ, ეშინია, მაინც იმაზე ღრმად შედის მდინარეში, ვიდრე გული ნებას რთავს და უმალვე უკან ბრუნდება, სწრაფად წვება და აცახცახებული სხეულის დასაწყნარებლად ორივე ხელით ხვეტავს ცხელ ქვიშას და შიგ გამალებით ეხვევა, თან ხუმხუმად მითვალთვალებს, მისკენ ვიყურები თუ არა.

არა, საგანგებოდ მისკენ არ ვიყურები. წინანდებურად, ხან მდინარის მარად მსრბოლავ ზვირთებს გავცქერი, ხანაც მთელ რიყეს ვუთვალთვალებ.

ჯერ ჩემს თავსაც ძლივს ვუმხელ, რისთვისაც ჩამოვედი აქ და ვის ვეძებ. ჯერ თვითონაც ვერ გავრკვეულვარ, მართლა ის მაინტერესებს, იმხელა აყლაყუდა ბიჭი სათამაშოდ პატარა ბიჭებში რომ გაერევა, როგორც გულივე-

რა ლილიპუტებში, თუ სხვა რამ? ვთქვათ, კიდევ რითი ჰგავს ტუხა ცხელ-სისხლიან ძაღლს? იქნებ მდინარეშიც ძაღლივით ცურავს და გამოსვლისას ისიც ძაღლივით შეიბერტყავს ხოლმე ტანს?

მინდა მანანას დღესაც გამოვკითხო მისი ამბები, მაგრამ... პირდაპირ ტუხაზე სიტყვის ჩამოგდებას როგორ გავბედავ, შორიდან შემოვლით ვიწყებ:

— ის მურთხი გოგო არ არის აქ?

— ვინ მურთხი გოგო? — შეკითხვა შემომიბრუნა მანანამ.

— გუშინ რომ მითხარი, იმ ველურ ბიჭს უყვარსო... დონდროხა თუ ძონ-ძროხა თეონა.

ჰოო! ტუხას მზეთუნახავი? არა. ის რიყეზე იშვიათად ჩამოდის.

— ცურვა არ იცის?

— ცურვა, იცოცხლე, იმან იცის, გა-ღმა-გამოღმა იხვივით გადი-გამოდის, ბიჭებსაც კი სჯობნის, მაგრამ ბოლო ხანს გაშიშვლებას ერიდება.

— ტუხა კარგად ცურავს?

— ველური, აბა, რას იზამს!.. არ წა-ვიდეთ შინ?

— რა გვეჩქარება.

— სადილის დროა უკვე.

— არ შშია, ღმერთმანი. სულ არა შშია, ლუკმას ვერ ჩავიდებ პირში. შენ საქმე გელოდება შინ, წადი.

— მერე მარტო დაგტოვო?

— მარტო რატომ? მილეთის ხალხია.

ვიღაცა ზურგიდან წამომეპარა და თვა-ლებზე ხელები ამაფარა.

გამიკვირდა: ასე შინაურულად და თამამად აქ მანანას გარდა ვინ მექცევა-მეთქი. ეს კი უმალვე ვიგრძენი, ქალის ხელები იყო. წამიც და, აქაური რუსიკო მომაგონდა, თბილისში მანანასთან გაც-ნობილი. იმას უყვარს ასეთი ხუმრობა-თამაში.

— რუსიკო, მომაშორე ხელები!

— ფეხაკრეფით მოგეპარე, როგორ დამინახე?! — გაიკვირვა რუსიკომ.

— გუშინ გავიგე, რომ ჩამოხვედი. აქ სხვა ასე ვინ მომექცეოდა? — მანანას მივუბრუნდი. — ნანატრივით არ გამო-ჩნდა! ა, რუსიკოსთან დავრჩები.

— კეთილი. უჩემოდ არ მოიწყინოთ. ინგა, იცოდე შუადღისას ამოხვალ, თო-რემ დედაჩემი მომკლავს, აქ წამომაღე-ბინებს სადილს. რუსიკო, შენც წამოჰ-ყევი.

მანანა წავიდა. დღეს ერთობ შემოტ-კეცილი კაბა ეცვა, ისე ვიწრო, ნაბიჯის გადადგმა უჭირდა. კაბის ქობა მუხლებ-ზე ებორკებოდა.

— მართლა გუშინ ჩამოხვედი? — ვკითხე რუსიკოს.

— კი, გუშინ.

— მაგრა ცხელა თბილისში?

— კი, ურჯულო სიცხეები დაიჭირა.

— აკი წვიმა იყო?

— წამოწკუმპლი ერთი. უარესი ქნა, გახურებულმა ასფალტმა ისეთი ბუღი აუშვა, კინაღამ დავიხრჩეთ.

უბრალო ნაცნობი სადმე სხვაგან გან-მარტოებით რომ შეიმოგზაურებ, რაკი შენიანი არავინაა ახლო, ის ხდება შენი ახლობელი.

მე და რუსიკო მალე გავუშინაურდით ერთმანეთს და გავაბით წყნარი საუბარი აქეთურზე-იქითურზე.

სად იყო და სად არა, წყლისპირა ლო-დისსაფარიდან პირში ჯოხდაჭერილი ბანჯგვლიანი ძაღლი გამოვარდა და აძი-ძგილავებულმა მთელი წყალი მე შემო-მაბერტყა. ეს ისე მოულოდნელად მოხ-და, გონმიუცემლად გადავბარბაცდი და ალბათ წავიქცეოდი კიდეც, ვიღაცას ხე-ლი რომ არ შემოეშველებინა. ხელის შე-მოშველებამ რატომღაც ისევ დამაფრთ-ხო და იმის მაგივრად, რომ განზე გავმხ-ტარიყავი, შემშინებელსვე მოვეხვიე. ავიხედე და თვალებს არც დავუჯერე, ჩემ წინ ტუხა იყო. გავშტერდი. ისიც მომაშტერდა. ეტყობა, უცებ ვერც იგუ-მანა, რატომ ვეცი და ჩავეხვიე. პირვე-ლი მე მოვეგე გონს:

— ბოდიში, ძაღლმა წყალი შემომა-ბერტყა და...

— ძაღლმა?! ჰოო! არ გამიკვირდა, რა დაემართა-მეთქი?!

ქურქგაბერტყილმა ძაღლმა რაღაცნა-

ირად იგრძნო დანაშაული და ისე მომაჩერდა, თითქოს ბოდიშს მიხდისო, მერე თავი ჩაღუნა და პატრონისკენ წასუნსულდა.

რა იყო ეს? ძაღლს გავექეცი და დევკაცს კი ჩავუვარდი მკლავებში... ჩავუვარდი კი არა, თვითონ ჩავეხვიე. ასე დამატრიალა ციბრუტივით დაბნეულობის ბორბალმა. ოღონდ ტუხას დანახვამ არა მარტო დამაბნია, შემაშინა კიდეც და ამ შიშმა თუ შეუცნობელმა სასიამოვნო რაღაცამ მთელ ტანში ჟრუანტელად დამიარა. ჩემი ქვისაკენ მთვრალივით წავბარბაცდი და დავჯექი. სული რომ მოვითქვი, უფრო ვიგრძენი, ტუხას მკლავებმა შიშშერეული სასიამოვნო ტკივილი რომ გამომაყოლა, ცხელი და გემრიელი ტკივილი... იქვე სხვა ფიქრიც გამიჩნდა, თავი დამცირებულად ვიგრძენი. ასე ჩიტივით როგორ დამიჭირა ხელში ტუხამ, იმასთან შედარებით მე ალბათ თვალხუჭულა თოჯინას ვგავდი. მერე ტუხა შემეცოდა: აფსუსი არ არის ასეთი თვალტანადობის ვაჟკაცს ჭკუაც შესაფერისი არა ჰქონდეს-მეთქი!

არ ვიცი, ტუხამ რა გაიფიქრა, წამით შეჩერდა და მერე თითქოს არც არავის შესჯახებია და არც არავინ ხელში სჭერიაო, ჩვეულებრივ გაუყვა ბილიკს. ბილიკი ყორესთან უხვევდა. ეტყობა, იქ ოდესღაც რაღაც შენობა მდგარა, წყალს დაუნგრევია და კედლიდან ეს ყორეღა დარჩენილა. ტუხა გაუქცევლად და ხელფეხის დაუკარებლად გადაახტა ყორეს და რიყეს მიაშურა. ჯერ ორძელზე ყირა გაჭიმა, მერე ასევე გაჭიმულად ღერძზე დატრიალდა ერთხელ, ორჯერ, სამჯერ, ასე ვთქვათ, მზე დახატა და ასევ ყირა გაჭიმა, ამჟამად ცალ ხელზე. მერე მეორე ხელი ჩაანაცვლა.

რიყე აჩოჩქოლდა. ბავშვები წაერიამულდნენ და ალყაში მოაქციეს ღერძიდან ჩამომხტარი ადამიანი.

— ტუხა ბიძია, ცაში ამაბურთავე რა! გეხვეწები! — ყელგამოწვდით შეემუდარა ხოტორა ბიჭი.

— ტუხა ბიძია, შენებურად დამატრიალე! შენი ჭირიმე!

— მოიცათ, რა დროს დატრიალებაა, — თანატოლების ალყა ჯმაჯურით გაარღვია ცხვირნისკარტა ბიჭმა. — ტუხა ბიძია, მიშველე! ეკალი შემერჭო.

— ეი, შე ჩანჩლე! ზაფხულობით მეტი უნდა ირბინო ფეხშიშველმა და აღარც ეკალი შეგერჭობა, არც სხვა რამე. პარპალა ხანჯლის პირზე რომ დაადგა ფეხი, აღარ გაგეჭრება.

— კაი, აგრე ვიზამ. ოღონდ ახლა ამომაღებინე.

— ეშმაკივით რომ წამოგზრდია ფრჩხილები, გამოიყენე. აქეთ-იქით მოუჭირე თითები, ეკალი თავს ამოყოფს, მოეჭიდე ფრჩხილებით და ამოგყვება.

— ვცადე, ვერ ამოვიღე.

— კარგად არ გიცდია.

— დედას გეფიცები!..

— მაშინ უფრო დიდი ეკალი იშოვე და ეკალს ეკლითვე ამოიღებ. ოღონდ ტკივილის არ შეგეშინდეს. რა გენაღვლება, ესეც სცადე. თუ ვერაფერი მოახერხო, მერე მოგეშველები, აბა, შეაყოლე.

ცხვირნისკარტა ბიჭი აკაციის ხისკენ გაიქცა კოჭლობით.

ტუხამ ჯერ ერთი ბიჭის ხელები დაიჭირა, მოიქნია და ჰაერში დაატრიალა, ის რომ დასვა, მეორე აიტაცა, მერე მესამე, მეოთხე... თვითონ ღერძივით ტრიალებდა. ტრიალდამთავრებულ ბიჭს თვალბრუალა ემართებოდა და კარგა ხანს ფეხზე ვეღარ კავდებოდა, გეგონებოდათ, უგონოდ მთვრალიაო. ვისაც ამ მდგომარეობიდან მალე უნდოდა თავის დაღწევა, საპირისპირო მიმართულებით უნდა დაეწყო ტრიალი. მაგრამ ასე არავინ იქცეოდა. ეტყობა, სწორედ ეს გაბრუება თუ თავრეტის დასხმა სიამოვნებდა ყველა ბავშვს.

— ახლა მე! ახლა მე! — ეხვეწებოდნენ დაუტრიალებელნი. გამოფხიზლებული დატრიალებულებიც ეხვეწებოდნენ.

— კიდევ რა, კიდევ, ტუხა ბიძია!

ტრიალებენ ბავშვები ჰაერში წალმაუკულმა. წალმა ტრიალ-ბრუალით რომ

თვრებიან, საპირისპირო მხარეს ტრიალით ინელებენ იმ ბრუალით გამოწვეულ სიმთვრალეს და ისევ დათრობა სწადიათ.

— კაი, გეყოფათ! ახლა იჭიდავეთ! ვნახო, ვის მოემატა ღონე და ვის დააკლდა.

ჭიდაობენ მზით დამწვარი ბიჭები. ქვეშ ხალიჩის მაგივრად ქვიშა უგიათ. ზოგს ჭიდაობისას ტრუსის ხვანჯარი უწყდება და თუ წაიქცა, თავის დამარცხებას ამას აბრალებს.

— მიდი, შეიკარი ხვანჯარი და ისევ დამეჭიდე! — ამაყად აცხადებს გამარჯვებული.

ტუხამ ბიჭები რომ აჭიდავა, მერე სირბილში გააჯიბრა.

— ვისაც აბურთავება სწადია, ჩაიყუნცოს! — დაიძახა ტუხამ.

რამდენიმე ბიჭმა ჩაიყუნცა ერთდროულად, მკლავები ბარძაყებქვეშ ამოიდო და თითების თითებში გაყრით ხელები გადააჭდო. ტუხამ ის ბავშვები აიტაცა, ააბურთავა, გაარბენ-გამოარბენინა თავზევით ატაცებული და გიჟურაში ისროლა თორმეტიოდე ბიჭი. ყველა ბავშვი ჰაერში გადატრიალ-გადმოტრიალდა და...

— დგაფ! დგუფ! დგაფ! დგუფ!

ეტყობა, ბიჭები შეჩვეულები არიან, მდინარეში დგაფუნით ჩაცვენილები ოდნავადაც არ იბნევიან, უმალვე ამოყვინთავენ, ნაპირს მიაშურებენ და ქვიშაში ეხვევიან.

ნადირამ უყურა უყურა ტუხას და... მიეჭრა:

—რა მოგვიდა, ვაუკაცო, რას დაერიე ბავშვებს?

— დაერიე? ხომ არაფერი გელანდება? ვათამაშებ.

— ეს შენთვისაა თამაში ბავშვების აბურთავება და წყალში ჩაყრა, ერთი თვითონ ბავშვებსაც ჰკითხე...

— რა ვკითხო? ვინმეს რამე დავაძალე, თუ?

— ბავშვი სულელია, რომ უთხრა, წამხედურობით კლდეზე გადახტება. შენ რომ უფროსი ხარ, გონიერად უნდა მოექცე!

— ბებია გიცხონდება, შენი ჭკუის სწავლებაღა მაკლია! — ამრეზილად გამოხედა ტუხამ, შარვალ-ხალათი სწრაფად გაიხადა და გიჟურაში მოკლე საცვლების ამარა გადაეშვა, ზურგით შეცურდა წყალში, გულაღმა დაწოლილმა გაცურა გაღმა და ასევე გულაღმა გამოცურა. ქვიშაზე გაიშხლართა და ბავშვებს მოუხმო, ქვიშა მომაყარეთო. ბავშვები რომ მოშორდნენ, ტუხას თავიღა უჩანდა.

„თითქოს სხვა სამყაროდანაა მოსული... ეგებ სხვა დრო-ყამიდანაც. — გავიფიქრე მე — ენერგია მოსჭარბებია და არ იცის, სად დახარჯოს“.

რუსიკო გაღმა ქედს გაჰყურებს, ეტყობა, ფიქრებშია ჩაფლული.

უცნაური ტუჩები აქვს ამ გოგოს, ისე აუბზუებია, გეგონება, მუდამ ვიღაცაზეაო გაბუტული.

— რუსიკო!

— ჰა, რა იყო?

— ეგ თქვენი ტუხა სპორტულ შეჯიბრებებში არ მონაწილეობს?

— აჰ, არა. ერთხელავე ჩააგონა თავს — თიბვისთვის და მიწაზე სამუშაოდ ვარ დაბადებულიო. თუ საქმე შემოელია, ტყუილად მაინც ვერ ჩერდება, ან ძველი ეკლესიის ეზოში დევისკვერცხა საჯილდაო ქვას აბურთავებს, ან მორებს ეწევა, ან აქ, რიყეზე ჩამოდის და, აი, ასე აჭიდავებს ბიჭებს, სირბილსა და ცურვაში აჯიბრებს, ფეხბურთშიც. რიყის ლოდებსაც აწევინებს. ძალიან უყვარს ბავშვების წვრთნა. ასე ერთობა თვითონაც. ესაა მაგის თეატრი. ის ორძელი, ღერძი და ბაგირი აქ თავისი ხელით გააკეთა, ბავშვები ივარჯიშებენო.

— ფიზიკურად, იცოცხლე, ამირანი ჩანს, მაგრამ, აი, გონებრივად თუა ნორმალური?

— რას ამბობ! სხვებზე მეტად გონებაც უჭრის და... არც სწავლა-განათლება აკლია. მეათეში ერთი გულღრძო მასწავლებელი გადაემტერა სიმართლის თქმისთვის, დაჰკრა ფეხი და სკოლისკენ

ალარ მიიხედა. რაღაცა უცნაურობები კი სჭირს, მაგრამ თითო უცნაურობა ვის არა გვჭირს... ან — რაღაც ნაკლი ვის არა გვაქვს? ადამიანები ვართ. ახმახი ხალხის უმრავლესობა უეშმაკო და მიამიტია. ტუხას ნაკლიც ეს არის. ზედმეტად პირდაპირი და სულგახსნილია. რაც გულში უძევს, ენაზეც ის აკერია მუდამ. ახლა კი ეს ისე იშვიათია... იშვიათიც და... ვინც ყოველთვის სიმართლეს ლაპარაკობს, ეტყობა, სიცრუის მოყვარულები გიჟად ნათლავენ, სწორედ ისინი, ვისაც სიმართლის თქმა ხელს არ აძლევს. არის ხალხის გარკვეული ფენა, რომელიც ტუხას არ უყვარს: უსაქმურები არიან, მოგონილი, ცრუ საქმის მკეთებლებიო. ზოგიერთ რამეზე თავისი შეხედულება გაუჩნდა და საკუთარ აზრს ჯიუტად იცავს.

— შინ ვინ ჰყავს?

— მხოლოდ დედა. მამით ობოლი, დედისერთა ბიჭია.

— მე ისიც მითხრეს, ველურია, ნადირი და ყაჩაღიო. მუდამ დანას ატრიალებს და სოფელს შიშის ზარსა სცემსო.

— მაგასაც ნესტორას ოჯახში გეტყოდნენ. ეს დევივით ვაჟკაცი შიშის ზარს სულაც არა სცემს სოფელს. ტანით კი ჰგავს დევს, მაგრამ სიკეთით სავსე დევია. ბევრს უყვარს ბერხევში, განსაკუთრებით ბავშვებს, ქვრივ-ობლებს და უმამაკაცოდ დარჩენილ ოჯახებს, ბავშვებს, შენც ნახე, როგორ დაჰფოფინებს თავზე. მთიდან რომ თივა ჩამოაქვს ზურგით, უკაცო ოჯახებს და ქვრივ-ობლებს ურიგებს საჩუქრად. ყანა-ვენახშიც ეხმარება მეზობლებს ასევე უანგაროდ და უსასყიდლოდ. ჯერ არავის ახსოვს, ტუხას გასამრჯელო მოეთხოვოს. თუ ვინმეს შეუძლევია, ცივი უარი უთქვამს და საწყენადაც დარჩენია. ზოგს ესეც სიგიჟედ ეჩვენება.

— საინტერესოა, საინტერესო. მე მგონია, ტუხა დასცინის ჩვენს სამყაროს.

— დასცინის? არა მგონია. ნაიარევი წარბის შეთამაშება უყვარს ხოლმე. სულ ესაა მისი აღელვებაც და დაცინვაც, როცა რამე არ მოეწონება.

— ფეხშიშველა? ფეხშიშველა რატომღა დადის? დევკაცა ვაჟკაცს, მუდამ მშრომელს, ჩვენს დროში რა გაუჭირდა ისეთი, ფეხსაცმელი ვერ იყიდოს?

— ფეხსაცმელი აქვს... მართალია, მაგისი სარგო მაღაზიაში თითქმის არ მოაქვთ, მაგრამ აქაურ ხარაზს აკერინებს სანდლებსაც და წუღებსაც. ჩაცმა არ უყვარს.

— ფეხი ეოფლება?

— ოფლი სულ არ იცის... ფეხშიშველა სიარული უფრო სიამოვნებს.

— მხოლოდ ღმერთს შეიძლება ოფლი არ გამოსდიოდეს, თუ სადმეა...

— ტუხამ ადრევე დახარჯა ასი ადამიანის დასაღვრელი ოფლი და გამოელია. გამგელებული სიცხე რომ იყოს, უძლებს, ქვის მტეხელ ყინვასაც ასევე არ ეპუება. საოცრად მკვრივი სხეული აქვს, ფოლადის კუნთები. ოფლი, ეტყობა, სისუსტის ნიშანი უფროა. ბავშვები სიყვარულით ამბობენ ხოლმე: ტუხა ბიძიამ ყველაზე დიდ მთას წკიპურტი რომ მიარტყას, წააქცევსო. მუხის ქვეშ რომ იძინებს, ისე ღრმად სუნთქავს, ყველა ტოტზე ფოთლები შრიალს იწყებენო. ორგულას ხეობაში ერთი ძველისძველი ციხეა, ბილიკებჩამორეცხილი. იქ ახლა ტუხაღა ახერხებს აფხოწიალებას. ჰოდა, რა გასაკვირია, ეს ადამიანი ბევრს რომ უყვარდეს. მხოლოდ ნესტორას და მის კაცებს არ ეპიტნავებათ, რაკი მათ ჭკუაზე არ დადის და გამგეობას კრიჭაში უდგას. კოლმეურნეობაში მუშაობა კი არ ეზარება, პრინციპულად არ გადის სამუშაოდ. ზოგიერთ ამბავში ჯიუტი, კერპი და უსაშველოდ ურჩია, კაეის ქვასავით გაუტეხელი, თავისი სიტყვის ბატონ-პატრონი. ნესტორას კაცები ვერაფერს უხერხებენ, ვერც სიტყვაში სჯობნიან, ძალ-ღონით ხომ სულ ვერა. ჰოდა, რაკიღა ვერ იმორჩილებენ, ავი ძაღლებივით უღრენენ, სახელის გასატეხად რას არ უგონებენ. კოლექტივში სხვებიც არ მუშაობენ ამ ბოლო ხანებში, მაგრამ... მარტო ტუ-

ხა ითვალწუნეს და გადაემტერნენ. ოგერ, თავმჯდომარის დისწული ნადირა არსად არ მუშაობს, კაციშვილი კი უბატონოდ ხმას არა სცემს.

— ესე იგი, შენ ამბობ, რომ გონიერიც არის და კეთილიც?

— ამაზე კეთილი ბიჭი ჯერ ქვეყნიერების ზურგზე არ დაბადებულა, მგონი. ხომ ამხელა ძალ-ღონის პატრონია, თავის ჭარბ ენერგიას ბოროტად არასოდეს იყენებს, საავკაცოდ არასოდეს ხარჯავს. მე რომ მწერალი ვიყო, მოთხრობას დავწერდი ტუხაზე. მერე რა, რომ უცნაურია და რაღაც ნაკლი სჭირს, ადამიანები განა ერთმანეთისაგან ჩვენ-ჩვენი უცნაურობით და ნაკლოვანებით არ განვსხვავდებით და ამით უფრო არა ვართ საინტერესონი?

— შენ ასეთ ბიჭს წაჰყვებოდი ცოლად? — ეს რომ ვიკითხე ხმამაღლა, გაკვირვებული თვითონვე შევცბი, რამ მათქმევინა-მეთქი, მაგრამ უკვე გვიან იყო. სიტყვა რომ პირს გამოსცდება, უკან ვეღარ დაიბრუნებ.

— მეე? — ჩუმად ჩაიცინა რუსიკომ. — მე რატომ უნდა წავყვე?

— ისე გკითხე, სხვათა შორის.

— ეჰ, ჩემისთანას არ ითხოვს...

— რომ გითხოვოს, წაჰყვები? — რაკი წამოვიწყე ამაზე საუბარი, ბარემ ბოლომდე მივყვები-მეთქი. მორიდებას აზრი აღარ ჰქონდა.

— გეუბნები, ჩემისთანას არ ითხოვს, თორემ... — თითქოს სინანულით მომიგო რუსიკომ.

— პირობითად გეუბნები, რომ გითხოვოს, წაჰყვები? — არ მოვეშვი.

რუსიკოს ენა დაება, პირდაპირ პასუხს მოერიდა და უხერხულობის მოსაშორებლად საუბარი სხვა ბილიკზე გადაისროლა:

— შენ რას ეძებ ამ ადამიანში?

— არაფერს. უბრალო ცნობისმოყვარეობით გკითხე.

— მხოლოდ უბრალო ცნობისმოყვარეობით?

— აბა, სხვა რა უნდა მაინტერესებდეს, გოგო? არა გრცხვენია!

— სირცხვილი რა შუაშია?

ახლა უკვე მე დამება ენა, არ ვიცოდი, რა პასუხი გამეცა.

სწორედ ამ დროს ხსნასავით წამოგვადგა თავს ერთი ჩემი ნაცნობი.

— გამარჯობათ, გამარჯობათ! როგორ მიხარია, ინგა, თქვენი ნახვა...

— ჯონი?! აქ საიდან?! რა ქარმა გადმოგაგდო?! — ნამდვილად გავიოცე. ჯონის მოულოდნელი გამოჩენის გარდა, მისმა ჩაცმულობამაც გამაკვირვა.

ტანდაბალ, მსხვილთავა, ძვირფას სათვალიან, ფერმკრთალ ახალგაზრდა კაცს ზაფხულის თაკარება სიცხეში, ირგვლივ ქვეყანა რომ იწვოდა, ეცვა შავი კოსტუმი და ლურჯი სქელი პერანგი, ეკეთა უზარმაზარი ჭრელი ჰალსტუხი, ეხურა ფეტრის ქუდი, მარცხენა მკლავზე კი საწვიმარი ლაბადა ეფინა, იტალიური.

— აქ როგორ მომაგენი?

— გაუგებარი ქვეყნად არაფერია. გავიკითხ-გამოვიკითხე და ზუსტად გამოვარკვიე, ინგა ღარულას რაიონის სოფელ ბერხევში წაგრიალდაო. ჰოდა, იმწუთშივე დავკარი ფეხი და გამოვეშურე. აქ ბიძაშვილის ცოლის ნათესავი მყავს ერთი. — მოულოდნელმა სტუმარმა მსხვილი თავი გაიქნ-გამოიქნია და ჰალსტუხი შეისწორა.

— აჰ, ჩემ დარაჯად ჩამოხვედი, რომ არავინ მომიტაცოს? ნუ გეშინია, ჯონიკო, ჯერჯერობით არავინ მიტაცებს. დაამთავრე დისერტაცია?

— ჯერ სადა ხარ! დავიდარაბა ახლა მეწყება! დისერტაცია იქნება!.. საღამოს გავისეირნოთ სადმე.

— რუსთაველზე თუ ვაკის პარკში?

— სადაც რუსთაველის გამზირი ან ვაკის პარკი არაა, ხალხი აღარ სეირნობს?

„ო, რა მაღალფარდოვნად ლაპარაკობს ეს უბედური! ჰალსტუხიც როგორ უჭერს!“

— აქ ხალხი საღამოობით ადრე იძინებს, ჯონიკო. მე სტუმრად გახლავარ.

— მაშ ხვალ ტყეში წავიდეთ, სოკოები მოვკრიფოთ...

— მე ტყეში არასოდეს ვყოფილვარ, არც სოკო მომიკრეფია ჩემ სიცოცხლეში, შხამიანს და საჭმელს ვერ ვარჩევ, ასე რომ, ბატონო მომავალო მეცნიერო, ისევ ჯობია, ქალაქში გაბრუნდე და შენი დისერტაციის საქმეების მოგვარება გააგრძელო.

— მაგდებ აქედან, ძვირფასო?

— გირჩევ! აქ ტყუილად ნუ მოსცდები.

ჯონიმ ლაბადა მარცხენა მკლავიდან მარჯვენაზე გადაიგდო.

— იცოდე, ინგა, რაც არ უნდა ირბინო აქეთ-იქით, ვერ გამექცევი, ბოლოს მაინც დაგეწევი და ჩემი იქნები. წავიდეთ ხვალ ტყეში!

— არ მინდა ის შენი სოკოები, ვერ გაიგე?

— ვიხეტიალოთ! ისე, უბრალოდ!

— ტყეში ხეტიალით აპირებ დისერტაციის დაცვას? შემთხვევით, ულრანი ტყის სოკოების ბუნება-ხასიათის ფილოსოფიური ასპექტის გამოკვლევაზე ხომ არ მუშაობ?

ჯონიმ სათვალე შეისწორა.

— გეყოფა ხუმრობა, წამო, ახლა ბადმინტონი მაინც ვითამაშოთ!

— ბადმინტონის ბურთმა სათვალის შუშა რომ ჩაგიტეხოს, არ გეშინია? აქ სად იშოვი სამაგიეროს ან ვინ ჩაგისვამს? ვაითუ, ცალთვალა მეცნიერადაც დარჩე!

— ეჰ, ინგა, ინგა, ოდესმე გაგახსენებ ამ საუბარს და ინანებ! ნახვამდის!

— ჯონიმ თავი ააკანტურა და გაგვშორდა.

— ეგ ის ასპირანტი ხომ არაა, ყველგან ჩრდილივით რომ დაგდევს? — მკითხა რუსიკომ.

— არ ეტყობა? ოღონდ ამ ზაფხულს უკვე ასპირანტურა დაამთავრა და ახლა მეცნიერებისათვის თავის შესაწირავად ემზადება. ერთხელ შაყირით ვუთხარი: უშენოდ სიცოცხლე აღარ შემიძლია-მეთქი, მაშინვე ჩაეჭიდა ორივე ხელით, სიმართლედ იყიდა და კარგა ხანია აბეზარივით დამდევს, თავს მაჩვენებს, თითქოს დღედაღამ ჩემზე ფიქრობს და ნატრობს ნატრობს იმ ბედნიერ დღეს, როცა ერთ ჭერქვეშ დავიდებთ ბინას.

— იქნებ მართლაც უსაშველოდ შეუყვარდი და...

— კი, იმ ჭკუაზე ვარ, მაგ პიეონს წავყვე... ჯონიმ ნამდვილი სიყვარულის რა იცის! დაეწიე და ჰკითხე, მე უფრო ვუყვარვარ, თუ მამაჩემის ქონება? იმის შემდეგ გაუსკდა ჩემი სიყვარულის ჭიპი, რაც გაიგო, ვისი ქალიშვილი ვარ. მანამდეც მიცნობდა, მაგრამ ზედაც არ მიყურებდა. ასეთი გონიერი და სიყვარულით გაგიჟებული ვაჟბატონი გახლავთ!

ჯონი საით წავიდა, არ დამინახავს. ისევ ტუხასკენ გამექცა თვალი.

ქვიშიდან ამომძვრალი მის წინ ჩაყუნცულ ბიჭებს კვლავინდებურად იტაცებდა მაღლა, ერთხანს აბურთავებდა და მოწყვეტით ისროდა გიჟურაში. მერე თითონაც ხტებოდა წყალში დგაფუნით, გასცურ-გამოსცურავდა და ქვიშაში ეხვეოდა.

ამ ადამიანში რაღაც იყო ერთდროულად საშიშიც და მიმზიდველიც. უფრო სწორად, მე გამიჩნდა ტუხასადმი მიმზიდველი შიში და იმას მივაწერე.

რა გრძნობაა ეს, როცა ადამიანის გეშინია და სწორედ ეს შიში გიზიდავს. ნუთუ შიშსაცა აქვს მიზიდულობის ძალა?

ნეტავ ერთი მეც დამავლოს ხელი და ამაბურთაოს ცაში, რაც იქნება, იქნება! ეს სურვილიც ამ წუთში გამიჩნდა, ადრე ფიქრადაც არ მომსვლია. ამ ფიქრს მეორე ნატვრაც ჩაეზიარა: ნეტავ მეც შემეძლოს წყალში ჩადგაფუნება და მერე ქვიშაში გახვევა-მეთქი. დარწმუნებული ვარ, ცხელ ქვიშაში გახვევა წყლიდან გამოსვლის შემდეგ უდიდეს სიამოვნებას ანიჭებს ადამიანს, თითქოს მზეს ჩაეხუტაო.

თვალები დავხუჭე და წარმოვიდგინე, როგორ გავეხვეოდი ქვიშაში, ტუხას გვერდით, მიმზიდველი შიშით აღტყინებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბავშვთა ყიჟინამ გამომაფხიზლა.

ხოზიკა ბიჭი კაფანდარას პირისპირ დაუდგა და მუშტი მოუქნია. ეტყობა, ყვრიმალზე უმიზნებდა, კაფანდარამ სწრაფად დალუნა თავი და ხოზიკას მუშტმა ჰაერში მოხაზა წრე. მერე კაფანდარამ ნიკაპში აარტყა მუშტი და ქალაქელი ბიჭი ქვიშაზე გაიშხლართა ფულაღმა.

ბავშვები შემოეჯარნენ მოჩხუბრებს, აყაყანდნენ, აირია მონასტერი.

ატყდა მუშტების ხათქუნ-ბრაგუნი.

ასეც ვიფიქრე ალრეკვე: ეს ორი ბიჭი დავას, ბოლოს და ბოლოს, ჩხუბით დაამთავრებს-მეთქი.

კაფანდარამ ხოზიკას ბრტყელი ქვების ზვირთების პირზე გასრიალებაში რომ აჯობა, მერე ძიძგილაობა დაიწყეს. უანჩებივით ცალ-ცალ ფეხზე დამდგარნი, ერთმანეთს მხარს ურტყამდნენ. თამაშის წესით, დამარცხებულად ითვლება ის, ვინც წამოფორხილებისას მეორე ფეხსაც შეახებს მიწას; თუ წაიქცევა, დამარცხებაზე მეტია. წნელივით მოქნილი კაფანდარა ბიჭი ცქვიტად დახტოდა ცალ ფეხზე, ლალად და მსუბუქად, ხოზიკა მხარის დაურტყმელადაც ძლივს იკავებდა მსუქან და დონდლო სხეულს. აქ სხვა რა საქმე მქონდა, დავიწყე თვლა. ოცდაერთხელ მიეძიძგილავენ. კაფანდარამ მხოლოდ სამჯერ დააკარა ქვიშას მეორე ფეხი, ხოზიკამ — თერთმეტჯერ, შვიდჯერაც წაიქცა.

ადუღდა ხოზიკა.

— დაგავლებ ხელს და გაღმა გაგაშურდულებ კენჭივით!

— სცადე, ერთი! — წინ დაუდგა კაფანდარა და დიინჯი შემოიყარა, აქოდა, წინააღმდეგობის გასაწევად ხელსაც არ გავანძრევო.

— არ მინდა შენთან თამაში! — მუქარა უკან წაიღო ხოზიკამ.

— მერე, ვინ გეძალება, მეთამაშეო? თვითონ არ გამეჯიბრე?!

— მე არაფერიც არ გაგეჯიბრე.

— შენ არ დაიწყე, ქალაქი სჯობია თუ სოფელიო?

— ეგ სხვა არის... ქალაქი რო სჯობია სოფელს... არ სჯობია, თუ?

— რითი?

— ყველაფრით.

— მაინც?

— რითი და... — სხვა რომ ვერაფერი მოიგონა, ხოზიკამ წამოიძახა — მე მერსედესი მინახავს.

— ვინ არის მერსედისი, შე უპატრონო?

— ა, ესეც არ იცის! მერსედესი მსუბუქი ავტომანქანაა, შტერო, საზღვარგარეთული.

— მერე შენ საზღვარგარეთული მანქანა სად გინახავს? იყავი საზღვარგარეთ?

— საზღვარგარეთ რა მინდოდა, ტელევიზორში ვნახე.

— ტელევიზორში, ალბათ, მეც ვნახე, ოღონდ სახელი არ ვიცოდი... დიდი ამბავი, მერსედესი უნახავს ბიჭს! იმ თქვენს მერსედესს ტუხა ბიძია ნეკით ასწევს და გაღმა ისვრის ჯირკვით, — დაიტრაბახა კაფანდარამ.

— მერსედესს მარტო სპილო მოერევა.

— რა იცი?

— ვიცი. მე სპილო მინახავს, ცოცხალი სპილო.

— სად?

— ზოოპარკში.

— ზოოპარკში ნანახი სპილო რა სპილოა, ბალიაში დამწყვდეული?!

— მე ცირკშიც მინახავს სპილო.

— არც ცირკის სპილოა ნამდვილი... მოშინაურებულია. მე მგელი მინახავს ხაფანგში გაბმული. შენ გინახავს მგელი ტყეში?

ხოზიკამ პასუხის გაცემა ვერ მოა-

ხერხა და თავისი უპირატესობის დასამტკიცებლად სხვა რამე ჰკითხა კაფანდარას:

— აბა, მითხარი, ინგლისურად ძაღლს რა ჰქვია?

— ინგლისურად ძაღლის სახელის ცოდნა რა ჭირად მინდა, ჩემმა ცუგრიამ ინგლისური ყეფა კი არ აცის! — მოუჭრა სიტყვა კაფანდარამ.

— ქალაქში ცირკია, სოფელში — არა! — მიახალა ხოზიკამ.

— სოფელში ტუხა ბიძიაა, ქალაქში არა, რასაც ცირკში ჯამბაზობენ, ტუხა ბიძიას ყველაფერი შეუძლია. — მშვიდად მიუგო კაფანდარამ.

— ცირკის ყველაფერს აქ ვინ გააკეთებს, არც სპილო გყავთ, არც ლომები, არც მასხარა...

— თუ ქალაქი სჯობია, რატომ მოდიხართ სოფელში?

— ზაფხულში მოვდივართ, აგარაკზე. შენ მე ვერ მაჯობებ, ვერა!

ხოზიკა ბიჭი კაფანდარას პირისპირ დაუდგა და მუშტი მოუქნია...

მერე, ზოგი ხოზიკას მიეშველა, ზოგი კაფანდარას გამოექომაგა, ატყდა ჩხუბი და თავდაუზოგავად დასცხეს ერთმანეთს. ბევრს ცხვირიდან სისხლი წასკდა მაშინვე, ამან შეაშინა და ღრიალით მიაშურა მდინარის ტოტს.

წამოხტა ქვიშაში გახვეული ტუხა. ქალაქელები მარჯვნივ გარეკა, სოფლელები — მარცხნივ.

— აბა, გაქვავდით! რა მოგვიდათ, რაზე ჩხუბობთ? მომიყევით, რა მოხდა?

მხოლოდ გიჟურას ხმა და ბიჭების სლუკუნილა ისმოდა.

მერე ერთი მივიდა და რაღაც უთხრა ტუხას.

ტუხამ თავი სინანულით გადააქნია:

— უტვინოებო, მუშტებით გინდათ ერთმანეთს სიმართლე დაუმტკიცოთ? მუშტით დამტკიცებული სიმართლე რა სიმართლეა, მუშტითვე დაინგრევა. არ იცით ეს თქვენ და მე დამიგდეთ ყური! ჩხუბის ამტეხებო, მოდით ჩემთან!

კაფანდარა თამამად მივიდა, ხოზიკა შორიახლოს დაუდგა, შეშინებული აქეთ-იქით აცეცებდა თვალებს.

— აბა, შენ აქ დადექი, შენ — აქ!

მერე სხვებს მიუბრუნდა:

— დაიშალეთ! მეორედ თქვენი ჩხუბი ალარა ვნახო, თორემ, არ ვიცი, რას გიზამთ!

ყველა თავთავის საქმეს დაუბრუნდა.

„ღმერთო ჩემო, ამაზე თქვეს, ყაჩაღიაო?! უსამართლობაა! ყველაფერი ვაკაცია! ახლა ტუხას გარდა ქვეყნიერებაზე არაფრის დანახვა არ მწადია, არც არაფრის გაგონება — ტუხას ხმის გარდა".

— ინგა, რამ გაგაშტერა, გოგო?

— ჰა?

— რამ გაგაშტერა?

ეს რუსიკოა, გვერდით რომ მიზის...

— რა ვიცი... მომეწყინა ასე... ასეტყუილად ჯდომა... ყველა რაღაცას აკეთებს... ერთობა... მოდი, ბადმინტონი ვითამაშოთ! ვითამაშოთ, ჰა! — ჩემი ხმა თვითონვე მეუცნაურება.

რად უნდა ბადმინტონის თამაშს ხვეწნა-მუდარა?

— მერე სადა გვაქვს ბადმინტონი? — მკითხა რუსიკომ.

— მანქანაშია, ახლავე მოვიტან...

ვერ გამიგია, რამ გამახარა.

დანგრეული შენობის ყორედქცეულ კედელთან, პატარა მინდორი ავირჩიეთ სათამაშოდ. ერთი ბადურიანი ჩოგანი რუსიკოს მივეცი, მეორე მე მოვიმარჯვე და კაპრონის ფრთიანმა ბურთმა, ზოგი რაკეტას რომ ეძახის, დამფრთხალი ჩიტივით აქეთ-იქით დაიწყო ფრენა.

მოკლეშარვლიანი, წელზევით ტიტლიკანა ბიჭი კედელზე აცოცდა, უნაგირა ადგილში მოხერხებულად ჩაჯდა და ჩვენს თამაშს მსაჯივით დაუწყო ყურება.

დაფრინავს ცაში პატარა შავთავიანი რძისფერი კალათა — ბადმინტონის ბურთი, ქვის სავარძელში მოკალათე-

ბული ბიჭი კი წამდაუწუმ ატრიალებს კისერს, თვალით დასდევს იმ კალათას.

რუსიკო კარგად თამაშობს, არც მე ვარ ნაკლები პარტნიორი. მხოლოდ მაშინ მომდის მარცხი, თვალი ტუხასაკენ რომ გამექცევა. ყველაფერს ვამჩნევ, რასაც ის აკეთებს.

ფეხშიშველა დევკაცი რიყეზე კვლავინდებურად თავაწეული დააბიჯებს და რაღაც უხარია. თითქოს მისი ფეხის ტერფები დედამიწას ალერსიან ად ჰკაცნიან, სქელულვაშქვეშ შემალული ბატარა ბაგეები კი— უსაზღვრო ცასა. ცას და დედამიწას ერთდროულად ეალერსება ეს თითქოსდა ერთი შეხედვით უშნოდ აყლაყული, უხეში ადამიანი.

ეი, ტუხას ექვს-შვიდმეტრიანი მსხვილი ძელი მოურბენინეს ბიჭებმა. ტუხამ ძელი ხარის ქედივით მაგარ კისერზე დაიდო და ორივე ხელით ჩაეჭიდა. ბავშვები აქეთ-იქით დაეკონწიალნენ. ტუხა გაიქცა. ნაყარი ფუტკარივით ძელზე შეხირხლული ბავშვები გოჭებივით ჭყიოდნენ. ზოგს ხელებმა უსუსტა და ქვიშაზე დაეცა,— ზოგიც ჩურჩხელასავით დაკიდებული ბოლომდე შერჩა ძელს.

— ახლა ჩაბუქნვაში გაეჯიბრეთ, აბა, ვინ რამდენჯერ!

— მკლავები გავშალოთ?

— ასეც და ისეც.

ბუქნაობენ, ითვლიან.

ტუხამ ფართო წრე შემოხაზა და შუაში ქვა ჩააგდო.

— ვინც ამ ქვას ბუქნავ-ბუქნავით ოცჯერ შემოუვლის, მერე რასაც მთხოვს, შევუსრულებ.

წრეს უვლიან მობუქნავენი.

ტუხა ყირას აკეთებს ქვიშაზე და ცაში ფეხებაშვერილი ისევე თავისუფლად დადის ხელებით, გეგონებათ, ასეა გაზრდილიო.

სადამდე ივლის-მეთქი ასე, ფეხებაღქცეულ ხელებს თვალს არ ვაშორებ. ტუხა შეხერებას არც აპირებს. მარცხენა ხელი მოაშორა ქვიშას და მარტო მარჯვენაზე გაჭიმა ყირა, ასე გაიარა ოცდოდე მეტრი და ფეხებდაუშვებლად მარცხენაზე გადაინაცვლა.

— ჰე, ყმაწვილებო, ვინ გაივლის ჩემსავით!

ბაძავენ ბიჭები. სამოდეს მეტი ვერ ახერხებს ხელებით დიდხანს სიარულს. ცალხელზე კი — ჯერჯერობით თითქმის ვერავინ ჩერდება, თუმცა ბევრი ცდილობს, ებრძვის თავის თავს. მთავარია რომ ებრძვის.

მერე ეჯიბრებიან, ვინ უფრო გრძლად გადახტება ქვიშაში. იქვე სიმაღლეზე სახტომიც მოუწყვიათ ორკაპ ჯოხებზე.

ტუხას სიტყვა აქ კანონია. ეტყობა, პატივს სცემენ, მაგრამ ეშინიათ კიდეც მისი. ვაგლახად ერთი ბიჭი მეორეს ვერ დაჩაგრავს. ტუხა სამართლის სვეტივით დგას იქვე.

ქვიშაში მწოლარე, საულვაშეზე ღინღლ გაჩენილმა ბიჭმა თავაწეულად მიმავალ ტუხას ფეხი სარმასავით დაუხვედრა. ტუხას წაქცევა ვინ თქვა, ოდნავ გაიმრუდა გზა.

— გაგაბრტყელებ, ბიჭო, ლავაშივით! — ღიმილით გაუწყრა ლაზღანდარობის გუნებაზე დამდგარ ბიჭს. ეს ღიმილიანი მუქარა, ალბათ, იმას უფრო ნიშნავს, ნამდვილად რომ მოუქნიოს მუშტი, მართლა გააბრტყელებს, მაგრამ ტუხამ თავისი ძალ-ღონის ამბავი სხვებზე უკეთ იცის და ამიტომ მუშტს ნამდვილად არასოდეს მოუქნევს ვინმეს, თავის ძალას ბოროტად არასოდეს გამოიყენებს, თუნდაც ვინმემ ამაზე მეტადაც გააჯავროს. ეტყობა, ეს სხვებმაც კარგა ხანია იციან და ტუხას ზოგჯერ განგებ ელაზღანდარავებიან.

— ინგა, მგონი, დაგღალე ძალიან! დაისვენე!

— პირიქით, შენ დაგღალე!.. გეყოფა შენ თამაში!.. — რუსიკოს პასუხს ალარც ვუცდი, ისედაც ამ საბაბს ვეძებდი აქამდე, ორივე ჩოგანი და

ფრთიანი ბურთი მე დავიჭირე და ტუ-ხასკენ გავეშურე. ვატყობ, ფეხი მე-ბორკება, მაინც მივდივარ.

— ტუხა! ტუხა! — ხმა მითრთის.

— მე მეძახი?! — გაკვირვებით მომ-ხედა ტუხამ.

— პარტნიორობას ვერ გამიწევ?

— რა პარტნიორობას, სტუმარო?

— ბადმინტონი მეთამაშე.

— რა?! — ისევ გაიკვირვა ტუხამ.

— აი, ეს! — ვაჩვენე ჩოგნები და კაპრონის ფრთიანი ბურთი.

— არ ვიცი მე მაგის თამაში.

— რა დიდი ცოდნა ამას უნდა, ჩო-განს ამ პატარა ბურთს მოახვედრებ და...

— ამხელა კაცმა მაგ ფურფუტელა რაღაცას ვუქნიო ჩოგანი? ეგ ქალების საქმეა...

მართლა ბადმინტონის თამაში იუ-კადრისა, თუ ამ საბაბით უნდა ჩემი მოშორება?

მეწყინა, ძალიანაც მეწყინა და ამ წყენამ გამაბრაზა კიდეც. თავი დამ-ცირებულად ვიგრძენი. ყველას ალერ-სიანად ეპყრობა, მე კი ისეთი რა ვარ, ასე გულცივად რომ მომექცა?

სურვილის გაწბილებას ჩვეული არა ვარ არც ოჯახში, არც სხვაგან. თავმოყ-ვარეობამაც შემაწუხა შურისძიების პატარა ნაპერწკალიც კი გამიჩინა: თბილისში თაყვანისმცემლებს ვერ ავუდიოდი, დღე ერთი იყო და ათასი მირეკავდა, შინაც ბევრი მაკით-ხავდა, არავინ მომწონდა, შენ კი ვი-თომ ვინა ხარ ისეთი, ეს სოფლელი ახმახი ვიღაც, რომ არაფრად მიგაჩნი-ვარ და ზედაც არ მიყურებ-მეთქი. მინდოდა, როგორმე დამესაჯა, მაგრამ როგორ? ეს კი ველარ მოვიფიქრე.

ისევ გამახსენდა ტუხას მკლავებში ჩავარდნისას გაჩენილი შიშნარევი სა-ამო ჟრუანტელი. წამით ისიც კი ვი-ნატრე, ნეტავი ბანჯგვლიანი ძაღლი კვლავ წამომეპაროს, გაწუწული ქურ-ქი შემომბერტყოს და ტუხას მკლა-ვებში ახლა უკვე განგებ ჩამაგდოს-მეთქი. ეს რომ ვინატრე, თან გული მომივიდა ჩემსავე ფიქრზე. ამ ვიღაც ტყიურთან რა მესაქმება, თავს რომ ვუყადრებ-მეთქი, გამოშორება მინდ-და, მაგრამ... თითქოს ტუხამ უხილავი ქამანდი კისერზე მომადო და თავი-კენ მექაჩებაო, რუსიკოსკენ გამობ-რუნება ვერაფრით მოვახერხე. სხვა შემთხვევაში იქნებ მეჯობნა ჩემი თა-ვისათვის, ახლა ისე გამაღიზიანა სწო-რედ იმან, ბიჭმა ჩემი გამოწვევა რომ არ მიიღო, გადავწყვიტე, იოლად არ დამეხია უკან. არადა, ასე დგომაც მე-უხერხულებოდა.

— ჰო, მართალი ხარ, ბადმინტონის თამაში რა ვაჟკაცის საქმეა... ბოდიშს ვიხდი, რომ დაგიძახე... — ამის თქმა-ღა მოვახერხე.

— არაფერს. მე საბოდიშოდ არ მითქვამს, სტუმარო! — ტუხამ ზურ-გის შემოქცევა დამიპირა და...

კვლავ მეწყინა. პირველი თვითონ რომ მშორდებოდა.

მოდი, წინ ჩემს ძეწკვს დავუგდებ, ვითომ შემაწყდა და რომ მომაწვდის, საუბარს კვლავ გავუბამ-მეთქი. ასეთი გულუბრყვილო, აშკარად ბავშვური რამ ვერ ვიკისრე. ხსნასავით სიზმარი გამახსენდა.

— იცი, რა გითხრა?... შენ მე პალ-ტო მიყიდე.

— როდის?! — ისედაც დიდრონი თვალები უფრო გაუფართოვდა ტუ-ხას.

— იქნება ასე ერთი კვირა.

— მე შენ პალტო გიყიდე?!

— დიახ.

— შეუძლებელია?!

— სიზმარში.

— მაინც შეუძლებელია. არ გიყი-დიდი.

— რატომ?

— იმიტომ, რო... — აქ ცოტა შე-ყოვნდა და მერე დაუმატა. — შენ ყო-ველთვის ალბათ ძვირფას პალტოს იცვამ, მე კი... მე ფული საერთოდ არა მაქვს.

— ეს ხომ სიზმარში მოხდა! სიზმარში ყველას შეუძლია მდიდარი იყოს.

— მე მაინც არ გიყიდდი... მე ჩემთვისაც არაფერს ვყიდულობ და... შენთვის რატომღა უნდა მეყიდა რამე?

— აკი გითხარი, სიზმარში ყველაფერი შეიძლება-მეთქი!.. ცხადში ხომ არაფერი მითხოვია...

— ცხადში? ცხადში რა უნდა მთხოვო?.. შენ მე რა უნდა მთხოვო? ჩემი სათხოვარი რა გჭირს?

— რატომაც არა!.. აი, თუნდაც...— იმ წუთას ვერ მოვიფიქრე, რისი თხოვნა შეიძლებოდა. — ცხადში იმას გთხოვ, რაც შეგიძლია... ჰო, მართლა — ციხის ნანგრევის ამბავი მომაგონდა და ენა გამეხსნა. — ორგულას ხეობაში რომ ციხე ყოფილა, თურმე შენს მეტი ვერავინ ადის.

— მერე?

— იმ ნანგრევის ნახვა მწადია ძალიან. ამიყვან?

— შეგეშინდება იმ ნანგრევებში. გოლიათი ხეებითაა დაბურული. უკუნეთივით ბნელა. ჭურები კი პირღიაა. ფეხი თუ გადაგიცდა, ჩაიჩეხები. იქნებ ჩაიხრჩო კიდეც. ხავსმოდებული წყალი დგას ჭურებში.

— წინდაწინ მაშინებ?

— არ გაშინებ, გაფრთხილებ...

— ბარემ ისიც გეთქვა, ციხის ნანგრევებში მგლების ბუნაგია-თქო.

— ეგებ ახლა არის კიდეც, კარგა ხანია არ მინახავს. — თეთრი ბროლის კბილები შემომანათა ტუხამ. გული გამინათა იმ ელვამ.

— შენ თუ იქნები იქვე, რა მიშავს, მგლების ხროვას ერთად მოახრჩობ.— გამათამამა მისმა ღიმილმა. — ამიყვან?

— მართლა ძალიან გწადია?

— აბა, ტყუილების მათხოვარი ვარ?

— კაი, დავფიქრდები და... ეგების აგიყვანო კიდეც. ოღონდ, მანანას ნუ წამოიყვან. — ტუხამ ისევ შემომანათა თეთრი კბილები და კვლავ გამინათა გული.

„აი, თურმე რატომ შემხვდა კუშტად... თავმჯდომარის ქალიშვილის სტუმარი რომ ვარ... გასაგებია ყველაფერი“.

— კეთილი, მანანას არ ავიმგზავრებ, — დავეთანხმე უყოყმანოდ. — როდის წამიყვან?

— არ ვიცი...

— მაინც, დაახლოებით? მოვემზადები.

— აკი გითხარი, დავფიქრდები-მეთქი. ჯერ გადაწყვეტილად ვერაფერს გეტყვი... ვერც აყვანას დაგპირდები დაბეჯითებით.

— არ გცალია?

— მარტო მოცლის ამბავიც არ არის...

— კეთილი, როგორც მოგიხერხდეს! წინდაწინ გიხდი მადლობას! ნახვამდის! — გაცლა ვამჯობინე, მთლად ისეც არ წარმოიდგინოს, თითქოს თავს ვაძალებდე-მეთქი.

რუსიკოს გვერდით ჩამოვჯექი მდინარისპირა ლოდზე. ფეხსაცმელები ალარ გავიხადე და წყალში ალარ ჩავდექი. ახლა უფრო ხშირად გამირბის თვალი ტუხასაკენ.

— ცირკი გვინდა, ცირკი! — შემოეხვივნენ ბავშვები.

ტუხა ქვიშაზე გულალმა დაწვა და ხელფეხზე აწეულმა მხოლოდ მკერდი მიუშვირა ცას. ბავშვები ჟრიამულით აცვივდნენ ზედ, ხელიხელგადაჭდობილებმა ფერხული ჩააბეს და აბუქნავდნენ. მუხლებზე, გულმკერდსა თუ მუცელზე, სადაც კი ფეხის დასადგმელი ადგილი იპოვეს, დაიკავეს. ვინც ფეხის დასადგმელი ვეღარ იპოვა, სხვებს ჩამოეკონწიალა მხრებზე.

— ეს ვინ ყოფილა?! შეხედე, ოდნავადაც არ ჩაეზნიქა მუცელი! —რუსიკოც მივახედე ტუხასაკენ.

— ერთხელ ასე დადგა, ფართო ფიცარი დაიდვა მკერდზე და ოცამდე ბავშვი შეიყენა ზედ. ბავშვებმა ფერხული ჩააბეს და აბუქნავდნენ. ტუხა

კი ადგა გაუნძრევლად და იცინოდა. ბერე ბავშვები დიდებმა შეცვალეს. ტუხა ისევ იცინოდა.

— კახეთელიძე, შე ძველო! — დასძახოდა ხალხი.

კახეთელიძე ცირკის კაცი იყო, რაღაც ამნაირ ამბებს აკეთებდა.

ერთმა შოფერმა ტუხა რომ დაინახა მაშინ, ჰკითხა: ჩემს დიდ საბარგო მანქანას თუ გადაიტარებ გულზეო. უფრო მაგარ ფიცარს თუ დამადებთ, რატომაც არაო. შოფერმა თვითონ ვერ გაბედა ტუხას გულმკერდზე მანქანის გადატარება, ვაითუ ხიფათი მოხდეს და შარში ტყუილ-უბრალოდ გავეხვიოთო, თორემ ტუხა ყოველნაირად დაეთანხმა, ხელწერილის დაწერაც კი დააპირა: მე თუ რამე მომივიდეს. სხვას არაფერი დააბრალოთო. ერთხელაც სხვა შოფერმა უთხრა: აბა, ამუშავებულ მანქანას თუ დაიჭერო. დიდი სატვირთოს მორევას ვერ დაგპირდებით, არ მიცდია, სხვას კი, ხელის ჩასავლები ადგილი თუ ექნა, მოვეჭიდებიო. ბიჭებმა „ვოლგას“ ხელჩასაჭიდად უკან ორი სქელი ქამარი ჩააბეს. ტუხამ შეახსნევინა: გაწყდებაო. მერე ყოველშემთხვევისათვის მანქანის კუდში განივ რკინას დიდი ჩვარი შემოახვია, თითები არ ჩამჭრასო, მიწიდან ოდნავ ამობურცულ ქვას ფეხები მიაბჯინა, მანქანას ორივე ხელით მოეჭიდა, ოდნავ ასწია და შოფერს მიაძახა. ამუშავე და გაუტრიეო. შოფერმა თითქმის ნახევარ საათს ახრიალა და აბღავლა მანქანა, ადგილიდან ძვრა ვერ უყო. საბოლოოდ თავგამოყოფილი უკან წამდაუწუმ იყურებოდა გაკვირვებული, სხვებიც ხომ არ ეხმარებიანო. ამაო იყო მისი ეჭვი. ტუხას ტყუილი ვის გაუგონია! ეს ბიჭი ისეთ საქმეს არც ჰკიდებს ხელს, ვინმეს მიშველება დასჭირდეს. „ვოლგის“ ადგილიდან დაძვრას საშველი რომ არ დაადგა, ხალხი შოფერს აუყვირდა: გეყოფა, ადამიანი მანქანის კუდში არ ამოახრჩოო, მხოლოდ მაშინ მოკაკვა თითი შოფერმა, გნებდებიო.

— ახე მგონია, ზღაპარს მიყვები, დაუჯერებელია!— შევნიშნე მე.

— რატომ არის დაუჯერებელი?

— რა ვიცი... ალბათ, იმის ბრალია, რაც ადამიანს თავისი თვალით არ უნახავს, ხშირად დაუჯერებლად ეჩვენება.

ტუხაზე შემდგარ-შეხუნძლული ბიჭები ერთ ხანს ადგილებს იცვლიდნენ, უფრო მოხერხებულად ეწყობოდნენ და ბოლოს აერიამულდნენ:

— წავედით!

ამოძრავდა ტუხას ხელ-ფეხი და ატორტმანებულმა ბიჭებმა უფრო მაგრად ჩახჭიდეს ერთმანეთს ხელი. ახე გაიარეს ოცდაათამდე მეტრი. მეტსაც გაივლიდნენ, რიყეზე ვილაც რომ არ აყვირებულიყო: არიქა, უშველეთ, ახრჩობთ!

ტუხამ ფეხის დასამაგრებლად ტვირთი გადაიგდო და გიჟურაში შევარდა.

მთელი რიყე გახევდა და დადუმდა. დუმილს მხოლოდ გიჟურის შხივილი და შხივილში არეული ტუხას ყვირილი არღვევდა:

— მკლავზე ნუ მებღაუჭები, ოხერო, ორივე დავიხრჩობით! მკლავებზე გამიშვი ხელები, გამიშვი! ნუ გეშინია, მე არ გაგიშვებ ხელს!

ორიოდე წუთში ნაპირზე გამოყვანილი თითქმის ერთიანად გალურჯებული ნადირა ორ ბიჭს თავდაყირა ეჭირა. გადარჩენილი, მთლიანად რომ დაწრიტეს, ჯერ წყლისფერი გახდა, მერე ოდნავ დაუბრუნდა ადამიანის ფერი და მოსულიერდა.

დააწვინეს. ტუხამ გვითხრა, ნუ შემოეჯარებითო, გაგვრეკ-გამოგვრეკა და ორიოდე ბიჭთან ერთად თვითონ დაადგა თავს.

მოსულიერებულმა ნადირამ ტუხას რომ შეხედა, დაყვირება დააპირა. ხმა არ ეყო, მხოლოდ ამოიხავლა:

— ტუხუნია, შენ რას მიყურებ ასე? გიხარია, ხომ? მომშორდი!

— ვინ მოგშორდეს, საცოდაო, ამან გადაგარჩინა! — უთხრა საულვაშეზე ახლად ღინღლგაჩენილმა ბიჭმა.

— ვინ გადამარჩინა? — მილეული ხმით იკითხა ნადირამ.

— ვინ და ტუხამ, ბიჭო! ტუხას რომ არ ემარჯვა, ახლა კაი ქორწილში იქნებოდი!

ნადირა ჯერ ტუხას მიაშტერდა, მერე, თვალები დახუჭა და ატირდა.

თავი დამცირებულად იგრძნო, რაღა ტუხამ გადამარჩინა, ჩემს მხსნელს უხიაგი სიტყვა რატომ ვკადრეო?

— რა გატირებს, გლახაკო! —შეუტია ტუხამ. ტირილი დედაშენისა უნდა გენახა, ბეწვზე რომ არ მომესწრო. ახი კი იქნება, კაცმა მიგტყეპოს, რაც სიგრძე გაქვს, ის სიგანე მოგცეს. ცურვა რომ არ იცი რიგიანად, წყალს რატომ ეტანები? ვის ეჯიბრები, სად მიძვრები? არ იცი, სხვისი წამხედურობა რომ არ გარგია? წაიყვანეთ შინ!

ამ დროს სოფელში წივილ-კივილი ატყდა და მაშინვე ეს წივილ-კივილი რიყისკენ დაეშვა.

შვიდიოდე ქალი გადმოადგა ბექობს:

— დაიხრჩო, ვინმე?

— არავინ, არავინ!... გადარჩა! — მიაძახეს ბავშვებმა.

წივილ-კივილი დაცხრა და დუმილი ჩამოწვა.

ტუხამ და ახლად ულვაშაშლილმა ჭაბუკმა ტირილით გულამომჯდარი ნადირა ჩემს „ვოლგამდე" მიაცილეს, მე და რუსიკომ მანქანაში ჩავსვით და შინისკენ გავაქანეთ.

. . . . . .

მთელი ღამე ტუხა მედგა თვალწინ, ვედავებოდი, მედავებოდა, რა ალარ ვიფიქრე.

არა, ტუხა ჩემი ოცნების გმირი არ არის. ცა და მიწაა მოწმე, გულშიც არასოდეს გამივლია, ნეტავი ისეთი ვაჟკაცი შემახვედრა-მეთქი. ეს ოცნებას აღემატება.

საოცრად თბილი ხელი აქვს ტუხას, თბილი და საამო. ხელს რომ გართმევს, უნებურად გტკენს და სწორედ ეს გსიამოვნებს — ტკივილი. შენც, ხელს რომ მოჰკიდებ, ვეღარ ელევი, მთელი სიცოცხლე მისი ხელები რომ გეჭიროს, არ მოგწყინდება.

საოცარი იდუმალებითაა სავსე ტუხა, მარტოოდენ უცნაურობით — არა.

რამდენი რამ დავინახე ამ ადამიანში და ჯერაც სრულიად უცნობად მრჩება. ახლა მეტადაც ვგრძნობ: ტუხა უზარმაზარი უცნობი სამყაროა ჩემთვის და ამ დღეებში ამ სამყაროს მეათასედიც ვერ ამოვიცანი-მეთქი. არადა, ამ იდუმალი სამყაროს ამოცნობის სურვილი თანდათან მიძლიერდება და მიფორიაქებს სულს.

ნუთუ ბედისწერამ მიკარნახა და ბერხევში ასე ანაზდეულად გამოფრენა იმიტომ გადამაწყვეტინა, რომ აქ უეჭველად ტუხას შევხვედროდი? აბა, რამ ამამჩატა და რამ მიბიძგა? ანდა, ბერხევში პირველი მაინცდამაინც ეს ბიჭი რატომ შემომეყარა? დავიჯერო, ეს მართლაც ბედისწერაა, თუ?!

ისიც საკითხავია, მაინცდამაინც ამ დღეებში რატომ მომესურვილა ოჯახიდან ასე დაეინებულად მარტო გამოქცევა? ნუთუ მხოლოდ იმიტომ, რომ დედაჩემის ახლომახლო ყოფნა უსაშველოდ მომბეზრდა და მისი ყოველგვარი საქციელი მაღიზიანებდა? ნუთუ მხოლოდ იმიტომ, რომ მანანას ოჯახში, სოფლურ იდილიაში მყუდრო საკანეს ვეძებდი? არა მგონია. მე თუ მკითხავენ, ეს უფრო გარეგნული, მოჩვენებითი საბაბი იყო. აი ხომ ამტკიცებს ზოგი მეცნიერი, ადამიანმა ძალიან ბევრი რამ გაუცნობიერებლად იცის და ეს ცოდნა გარკვეულ დროს ქვეშეცნეულად მეღავნდებაო? ყოველი ადამიანის არსებაში დამალულია იდუმალი რაღაც — ეგებ მისი მეორე მეც, რომელიც ადამიანს თავის ნებასურვილებს ასევე იდუმლად კარნახობს. ალბათ სწორედ ეს იდუმალი ხმა

მეძახდა ერთდროულად ჩემი არსებიდან, ესე იგი, ჩემი უცნობი სულიდან და ბერხევიდანაც... და ამ ძახილმა ამიტაცა და გამომაფრინა აქ, რომ ტუხას შევხვედროდი... თვითონ ტუხაც მეძახდა ადუმლად. ეს ახლაღა გავიცნობიერე, ახლაღა, როცა ტუხას პირისპირ გადავეყარე... ნამდვილად ტუხაც მიხმობდა ბერხევიდან, იმიტომ რომ... მთლად გარკვევით ახლაც ვერ ვგრძნობ, ბოლოდ ინტუიციით ვხვდები, რომ მეძახდა. ჩვენ უეჭველად უნდა შევხვედროდით ერთმანეთს, იმიტომ მეძახდა... და მე ამ ძახილს მოვყევი... მისი ფრთებით გამოვფრინდი... ამ ქვეშეცნეული, მოჩვენებითი საბაბით, თითქოს სოფლის იდეალურ სიმყუდროვეში მეწადა სულის დაწყნარება და დასვენება.

ეტყობა, ადამიანში მართლაც იმდენი რამაა გაუცნობიერებელი, დაფარულად ისეთი ბევრი რამ იცის ადამიანის სულმა, რაც, ასე ვთქვათ, თვითონაც არ იცის მანამდე, სანამ ამ დაფარულს რაიმე შემთხვევა არ გამოამაყღავნებს — სიზმარი ან სინამდვილე, ეგებ ბედისწერაც. სხვანაირად ჩემი აფორიაქება ვერ ამიხსნია, ვერა. ტუხა ჩემთვისაა გაჩენილი, მე ტუხასთვის ვარ დაბადებული...

ასეა თუ ისე, ტუხას მკლავებში ჩავარდნისას აღძრული შიშნარევი საამო ჟრუანტელი ახლაც მაფორიაქებს და არ მაძინებს. ვტრიალებ და ვტრიალებ. ხანაც ჭერს მივშტერებივარ. იმ ჭერიდანაც თითქოს ტუხა დამყურებს. ვეძახი, ტუხას კი რატომღაც მოაქცევია ერიდება.

განთიადამდე ვიწრიალე. ფანჯარაში რიჟრაჟმა რომ შემოიხედა, ღამისტეხვით დაღლილ-დაქანცულს ჩამეძინა. ფერად სიზმრებში გავეხვიე. განსაკუთრებით ერთმა სიზმარმა ამავსო ნეტარებით. ტუხა ცაზეც ისევე მსუბუქად დააბიჯებდა, როგორც დედამიწაზე, მომიახლოვდა, მკლავებზე გადამიწვინა და ვარსკვლავეთში გამაქროლა. მთვარე იყო დიდი, ძალიან დიდი და თეთრი. ოქიმებოდა. მის თეთრ ღიმილში იყო გახვეული მთელი სათვალხილეთი.

— ინგა, ადე! ინგა, არ გესმის? რა ხანია საუზმე გელოდება!

მანანამ გამაღვიძა. უსიამოვნოდ გავახილე თვალი. გულიც კი მომივიდა მანანაზე, ნეტარი სიზმარი რომ წამართვა, ცოტა შემეზიზღა კიდეც.

— რა მოგივიდა? ცუდად ხარ?

— არა, ცუდად რა გამხდის!

—გუშინ, ეტყობა, ძალიან შეგეშინდა, ნადირა რომ კინალამ დაიხრჩო და, ალბათ, ძილშიც ჩაგყვა.

— ნადირა?! ჰო, ნადირასთან დაკავშირებულმა ამბებმა მართლაც ძალიან იმოქმედა... ზოგმა მეც კი გამაგონა, ამ ჩამოთრეული გოგოს ბრალია, ნადირა წყალს რომ გაუთამამდაო. ზოგჯერ ერთობ ბრმაა ხალხი. აი, თვითონ განსაჯე, მივეცი მე რაიმე საბაბი, ჩრდილივით რომ დამდევს? ანდა, მივეძალე, შენი ვაჟკაცობის დასამტკიცებლად მდინარეში თავი დაიხრჩვე-მეთქი? ახლა როგორ არის?

— რა უშავს. ოღონდ შიშნაჭამს სულ ეძინება რატომღაც, თვალის გახელა ეზარება.

— ჰო, ძილი უფრო მოუხდება, ამშვიდებს ადამიანს. ექიმები წამლად მშვიდ ძილსაც კი უწერენ ავადმყოფებს. ეჰ, წინდაწინ რა ვიცოდი, თორემ აქეთკენ არც გამოვიხედავდი!

— კაი, ერთი, ეგ რა სათქმელია! — მანანა დიდი სარკის წინ დადგა, გაშლილი თმები მხრებზე გადაიყარა და შეტრიალ-შემოტრიალდა.

ამ ბოლო ხანს ხშირად იცვლის ვარცხნილობას, ხან რომელ საზღვარგარეთელ მსახიობს ბაძავს და ხან რომელს. სოფლელი თუ ქალაქელებს აჰყვა, მტრისას!

ადრე ასე არასოდეს მიფიქრია, გამაღიზიანა მანანამ.

საუზმობისას ორიოდე ლუკმით წა-

ვიხემსე. შეიცხადა არიშამ. ჩიტი ხარ, ნამცეცი რომ გყოფნისო?! რაც უფრო მეტ საჭმელს ვხედავ, მადა მიფუჭდება-მეთქი, ცოტა არ იყოს ამრეზილად მივუგე. მიხვდნენ, გუნებაზე არ ვიყავი და აღარაფერი დაუძალებიათ.

— დღეს მჟავეწყალზე ხომ არ გაგვესეირნა? — მკითხა მანანამ.

— არა. ისევ რიყეზე მირჩევნია.

— ახლავე წავიდეთ?

ყოველგვარ საბაბს ვეძებდი, მანანასაგან თავი დამეღწია, ერთად არ გვევლო. გაღვიძებისას რომ ზიზღი გამიჩნდა, ჯერაც ვერ მოვიშორე.

— მარტო წავალ, შენ არ შეგაწუხებ! — მივუგე მტკიცედ.

— სტუმარი მარტო სასეირნოდ ვის გაუშვია, ისიც შენისთანა სტუმარი? რას იტყვის ხალხი?

— არაფერსაც არ იტყვის. კიდეც რომ თქვას, მე რა მენაღვლება?

— დედას გაფიცებ, ჩვენგან ხომ არაფერი გეწყინა?

— წყენა რა შუაშია!..— ბედად მომაგონდა, მანანა ამ დილით უქეიფოდ რომ იყო ცოტა, წელს რომ იტკივებდა, და მიზეზად ეს დავიხვიე თითზე. — ავადმყოფი გაგიყოლიო? რომ მჭირდებოდეს, კიდევ ჰო!

— არც ისე ცუდადა ვარ...

— თუ გიყვარვარ და პატივს მცემ, გამიშვი დღეს მარტო. რუსიკო, ალბათ, დღესაც ჩამოვა... არ ჩამოვა და, მარტო უფროც ვისვენებ...

თეთრი კოფტა და მოკლეკალთიანი ქვედა კაბა ჩავიცვი, ხელში სელინჯერის წიგნი დავიჭირე. მანანამ საგზალი ცელოფანში გამიხვია და ხილთან ერთად ჩამიდო ჩანთაში. რატომღაც კონიაკი და, მგონი, თერმოსით წითელი ღვინოც კი მისაგზლა. შენი ამბავი რომ ვიცი, გუშინდელივით სადილად ამოსვლაც დაგეზარება და შიმშილით ხომ არ უნდა მოიკლა თავიო. ამაზე უარი არ მითქვამს. ჩანთა მანქანის დახჩაში შევინახე.

რიყე ისევ სავსე იყო გოგო-ბიჭებით. ტიტლიკანა ბავშვები წყლიდან ამოყრილი თევზებივით ხტოდნენ და ფართხალებდნენ.

ნაცნობ ლოდს მივაშურე, ტილო დავაფინე და ჩამოვჯექი. მდინარიდან მონაბერი გრილი სიო საამოდ მელამუნებოდა პირისახესა და შიშველ ფეხებზე, ზოგჯერაც შუბლზე ჩამოშლილ თმას ოდნავ მირხევდა.

მდინარის ზვირთები თითქოს გარბოდნენ და მაინც ადგილზე რჩებოდნენ.

მალე მომწყინდა გიჟურას ყურება. ვისთვისაც ჩამოვედი, აქ არ იყო. წამდაუწუმ გზისკენ მეჭირა თვალი. მოდიოდნენ და მიდიოდნენ ვილაცები, ტუხა არ ჩანდა.

გუშინდელივით ჟრიამულობდნენ ბავშვები, დარბოდნენ ასკინკილათი, იხვებივით დაბაჯბაჯებდნენ, მაგრამ რაღაც აკლდა რიყეს. რაღაც აკლდა კი არა, ჩემთვის მთლიანად ცარიელი იყო. წყალში შევარდნილ-გამოვარდნილი ბანჯგვლიანი ძალლიც აღარ მეჩხირებოდა თვალში. ზოგჯერ მდინარესაც კი ვეღარ ვამჩნევდი. მერე აღარც ბავშვების მხიარული ყიჟინა მესმოდა, არც მოცურავეთა თავმომწონე გაძახილ-გამოძახილი.

მოლოდინით ვიყავი სავსე, თავდაჯერებული მოლოდინით, რიყისკენ რომ წამოვედი, თავი დავირწმუნე, დღეს ტუხას უეჭველად ვნახავ და გულითადად გავესაუბრები-მეთქი. ახლაც არ ვკარგავ ამ იმედს, რიყეზე თუნდაც ჩემს სანახავად ჩამოვა. მერე რა, გუშინ ყურადღება რომ არ მომაქცია, ასე განგებ მოიქცა, თავი დაიფასა, აქაოდა, ქალაქელმა გოგომ სოფლელ ბიჭს აცუნდრუკება არ შემამჩნიოსო. დღეს კი უეჭველად ჩამომაკითხავს და ციხის ნანგრევზე ასასვლელად მიმიპატიჟებს. მე თუ მთელი ღამე ტუხაზე ვფიქრობდი, დავიჯერო, თვითონ მშვიდად ეძინა?

სამხრობამდე ველოდი. მოლოდინის

ფიქრი რომ არ გამიმართლდა, თანდათან გავლიზიანდი და გავბრაზდი კიდეც ტუხაზე.

ეს რაა ვითომ? თბილისში თაყვანისმცემლებს ვეღარ ავუდივარ, ბერხეველ ბიჭს კი სულ არ მოვუვედი თვალში? ვერაფრით დავაინტერესე? ერთი ამ ვიღაც სოფლელ ამპარტავანს დამიხედეთ, ზედაც რომ არ მიყურებს! რატომ არ მომაქცია გუშინ ყურადღება? შევეჯახე, მერე ბადმინტონის თამაშიც შევთავაზე და არაფერი, თითქოს ნიავს ჩაევლოს მის გვერდით. ან დღეს რატომ არ ჩამომაკითხა? რიგიანად ვერ გაიგო, ვინა ვარ, თუ...

— დაგირჩება ეგ შენი თოხა კბილები, შენს სიყვარულს ვუცდიდი აქამდე, მეტი საქმე კი არ მქონდა, როგორ არა! უშნოდ რომ აწოწილხარ, დიდი ვინმე გგონია შენი თავი! კაცი კი არ გამწყდარა ქვეყანაზე!

უხილავად ვკარი ხელი ტუხას და უბრალოდ კი არ მოვიშორე, შორს გავტყორცნე. მეგონა, მოვისვენებ-მეთქი. უფრო ვეღარ შეველიე.

თავს რაც უფრო შევებრძოლე და ვითომ მოვიშორე ის უცნაური ბიჭი, მით უფრო მიმიზიდა.

შორს მდგომი ჩემს ნება-სურვილს არ ემორჩილებოდა, მიუწვდომელი გახდა, მე კი ასეთი რამ უფრო მიზიდავს.

აქამდე ყველა ჩემი ნება-სურვილის მორჩილი იყო, უმალვე შემსრულებელი, მხოლოდ ეს ერთი შემხვდა ურჩი და მისმა სიურჩემ, განზე გადგომამ გამიხელა ქალური თავმოყვარეობა, სხვა რამეც.

გულში ვემუქრები და ეს მუქარა ცარიელ ჰაერში მუშტების ქნევას უფრო ჰგავს.

— ასე ხომ? არაფრად მაგდებ? დღეს არ ჩამოხვედი რიყეზე? ხვალ ჩამოხვალ! არც ხვალ ინებებ, ვაჟბატონო, ჩამოსეირნებას? დაგელოდებიან! სულ ალარ წავალ თბილისში და მაინც დაგელოდები, სანამ ვიცლებ-ლებ, დაგელოდები...

რომ ვთქვა, აქამდე არავინ მყვარებია მეთქი, ტყუილი იქნება. შემიყვარდებოდა ვინმე და უმალვე მავიწყდებოდა, მერე მეცინებოდა კიდეც იმ სიყვარულის გამო.

ახლა სხვა რაღაც მოხდა.

ოღონდ არ ვიცი როდის შემიყვარდა . იქნებ სიზმარში, პალტო რომ მიყიდა? ან იქნებ გუშინ, ყურადღება რომ არ მომაქცია? ეგების მაშინაც, ხელი რომ ჩამომართვა პირველად და სასიამოვნო ტკივილი დამიტოვა?

ასეა თუ ისე, ვგრძნობ, შემიყვარდა. ასე ინება სიყვარულის ღმერთმა და რა ქნას ქალმა? სიყვარულის ღმერთის სურვილი კანონია, უნდა აღსრულდეს!

ეგებ ეს მარტოოდენ სიყვარულის ძახილიც არ არის. თვალს რომ დავხუჭავ, მეჩვენება, რომ ტუხა მთებზე დიდია, გოლიათზე გოლიათი, თუ დასჭირდა, თვალუწვდენელ მდინარეს ისე გადაალაჯებს, როგორც პატარა, წელში გაწყვეტილ ნაკადულს, გვალვაში სულს რომ ღაფავს. მთიდან მთაზეც გადაალაჯებს, თუ ვინმეს შვილა დასჭირდა... დიდიც არის და ლონიერიც... სულიც დიდი აქვს, მისი სიკეთეც დიდია. მე კი უსუსური ვარ, ჭიანჭველამ ფეხი რომ დამადგას, მგონი, გამსრისავს. რაც ჩემისთანებს ჯანლონე და სიკეთე დააკლო ბუნებამ, ტუხასთვის მიუმადლებია. ამიტომ მე ტუხასნაირი მფარველი და პატრონი მჭირდება. მხოლოდ ასეთ ადამიანს შეუძლია მიშველოს და... მე უეჭველად მივალ იმ ვაჟკაცთან... ისეთი გრძნობა დამეუფლა, გეგონებათ, აქამდე მამაკაცი არსად დამენახოს და არც მე ვყოფილიყო. ქალი, ვხედავდი ბიჭებს, ჭაბუკებს, ვაჟკაცებს, მამაკაცს კი — ვერა. ტუხამ მამაკაცისადმი მიზიდულობა გააღვიძა ჩემში, თვითონ კი ჩემკენ ერთი ნაბიჯიც არ გადმოდგა, პირიქით, თავისი უყურადღებობით

თუ გულცივობით გამაღიზიანა და გამახელა.

— არა, არ შევარჩენ ამ გაწბილებას. ხვალ იქნება თუ ზეგ, შევხვდები და... — რადაც არ უნდა დამიჯდეს, ტუხა ჩემი უნდა გახდეს! — გავივლე გულში.

ოღონდ ამას ისე მოვახერხებ, თავი არ დავიმცირო. თუ აქეთ შემოვახვეწნინებ თავს, კიდევ უკეთესი.

დავკარი ფეხი და გულმოსული გავეშურე მანქანისაკენ, ერთიც მივიხედ-მოვიხედე, კარი ბრაზიანად გამოვაღე, ჩავჯექი, ავაგუგუნე და გეზი კორტოხზე გადმომდგარი ორსართულიანი სახლისკენ ავიღე. ფართო გზა რომ გადავჭერი, თავში გამიელვა, იქნებ ტუხა სადმე სოფელშია-მეთქი. ყველა უბანი შემოვიარე, სადაც კი მანქანას მიესვლებოდა. ხშირად ვჩერდებოდი და აქეთ-იქით ვიყურებოდი. სამიოდეჯერ მანქანიდანაც გადმოვედი. კიდევ კარგი, ვერავინ დამინახა, თორემ არ იტყოდა: ეს ჩვენი სტუმარი ასე თვალების ცეცებით ვის ეძებსო? ქალის ყანა-ვენახებშიც კი ვათვალიერებდი, ვერსად მოვკარი თვალი. ისევ ნესტორას სახლისაკენ ავიღე გეზი და... გულმა აღარ გამიწია იქით. მირჩევნია სადმე მარტო გავატარო ეს საღამო, ვიდრე მანანას და არიშას ვუყურო.

მაგრამ სად? სად შემიძლია მარტო დავრჩე რიყის გარდა?

ორგულას ხეობაში რომ მჟავეწყალი ყოფილა, თურმე იქ ყველაზე მეტად შეიძლება განმარტოება, ხეობასაც დავათვალიერებ.

მჟავეწყალთან ტყეც არის და მინდორიცო.

გვერდითა საქარული სარკმელი გავაღე, „ვოლგა“ ვიწრო გზიდან უკანსვლით ფართო გზაზე გავიყვანე და უცნობი ხეობისაკენ გავუტიე.

გული უმალვე გამიხალვათდა, თითქოს ზედ დადებული ლოდი მომეშორებინოს. უცნობი ყველაფერი უფრო მიზიდავს.

ჟამი ალვსებისა და ჟამი დაცარიელებისა

წითელი „ვოლგა“ ჯერ ასფალტზე მიაშრიალებდა თვლებს, მერე ლელისპირა გზაჯვარედინთან, სადაც პირველად შეხვდა ინგა ტუხას, ასფალტიანი გზა მიატოვა, მარცხნივ გადაუხვია, დანგრეულ ხიდ-ბოგირს გვერდი აუქცია და ორხულას ხეობაში შერგო თავი. აქ ოღროჩოღრო შარა შემოეგება.

ტალახი ზაფხულის მზეს ერთიანად გაეხმო და გორახებად ექცია. ალმართს დალმართი მოსდევდა. ხრეშიალებდნენ მუხრუჭები, თვლები აქა-იქ გზებზე დაყრილი ხრეშის კენჭებს ისხლეტავდნენ ხოლმე და ხან ფრთებს ახლიდნენ სეტყვასავით, ხანაც საფანტივით ისროდნენ გზის ორივე მხარეს.

ასეთ გზაზე თავისი მანქანით ჯერ არ უვლია ინგას და ალღო კარგა ხანს ვერ აუღო, მაგრად ინჯღრეოდა. უკანა საავარძელზე დაყრილი ჩოგნები და სელინჯერის წიგნი ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ხტომაში, მხოლოდ საავარძლის თავთით, თახჩაში შეჩურთული საგზლის ჩანთა ახერხებდა ფეხმოუცვლელად ერთ ადგილზე დგომას. მერე გზა ტყიან კლდეებში დაიკლაკნა, დიდ ლოდებზე მხტომარე ორგულას ნაპირის ახლომახლო, მხოლოდ ერთგან იყო ფერდობი მინდორზე გაჭრილი. მინდორს რომ გასცდა, ინგამ დანგრეული ხიდ-ბოგირი დაინახა. ბოგირის წინ მოზრდილი მორი ეგდო განდაგან, აქაოდა, აქ შეცდომით ღამეში არავინ ჩაიჩეხოსო.

ინგამ მანქანა გააჩერა და ძრავა გამორთო.

ხიდის გვერდის ასავლელად სახლ-

დაბეღლოდ გაკეთებული გზა ღელის ციცაბოზე ეშვებოდა და გალმა ამგვარივე ციცაბოთი უერთდებოდა შარას.

„ჩასვლით როგორმე ჩავალ. მერეა საქმე, ვითუ ველარ ავიდე და ღელეში გავეჩხირო“, — გაიფიქრა და შეყოვნდა. მაგრამ რაკი მყავეწყლის ნახვა გულში ჰქონდა ამოჭრილი და ჯერ გვიან არ იყო, უკან დახევაც არ უნდოდა.

„ხომ შეიძლება, ახლა აქ ტუხა გამოჩნდეს?“ — გაუელვა ფიქრმა და... თითქოს მის ფიქრს მოჰყვაო, სად იყო და სად არა, ტყიდან ბექობზე ჩამოფხოწიალდა სვანურქუდიანი, წელზევით გახდილი, ფეხშიშველა ადამიანი. მხარზე კვართგადაფენილს ნაჯახი ქამარში ჰქონდა გაჩრილი. ქამარზევე ეკიდა თეთრი მათარა. შარვლის მარჯვენა ჯიბესთან.

ინგამ თვალებს არ დაუჯერა. ეგონა, რადგან ტუხაზე ვფიქრობდი, ნაოცნებარი მელანდებაო. მალე დარწმუნდა, ეს სულაც არ იყო ოცნების ტუხა, იგი ნამდვილად მოაბიჯებდა შარაზე.

„ეს რა არის? ბედისწერამ გამომიგზავნა? თუ ბედისწერის ამბავი არაა, რამ წამომაყვანინა აქეთკენ მანქანა? ვინ დამაბრუნა ჩემი მასპინძლებისკენ მიმავალი შუაგზიდან, მაინცდამაინც დღეს გაუტია მყავეწყლებისკენო? მარტო იმან, მანანასთან ყოფნა რომ არ მინდოდა? შეუძლებელია. არის რაღაც ბუნების თუ განგების ძალა, რომელიც ჩვენ არაფერს გვეკითხება, თავის ნებაზე დაგვატარებს აქეთ-იქით. ამ ბოლო ხანს ტელეპატიაზე ტყუილად ხომ არ ლაპარაკობენ! ახლა სადღა გამექცევი, ვაუბატონო! ერთი თუ შემახე ხელი, მერე ჩემი ხარ, საუკუნოდ ჩემი.. ჩავიყვან მანქანას ღელეში და გავაჩერებ, ვითომ გავეჩხირე. შენ ხომ ყველას ეხმარები და დავიჯერო, მე არ წამომაშველებ ხელს?“

მანქანის დაქოქვა და ღელეში ჩაყვანა უკვე გვიან იყო. ტუხამ მხარზე თაკმით გადაკიდებული წულები სწრაფად ჩაიცვა, ბოგირის საცალფეხო მორზე შემოდგა და გამოლმისკენ წამოვიდა.

— სტუმარო, აქ რას უდგახარ?

— ოჰ! თვითონ საიდან გაჩნდი აქ ასე უეცრად, მასპინძელო? — ინგამ ვითომ ახლალა შეამჩნია ტუხა, მისკენ მიტრიალდა, წამით შეყოვნდა და სხვა სიტყვა რომ ველარაფერი იპოვა, მიესალმა: — გამარჯობა შენი, ყმაწვილო!

— გაგიმარჯოს! — ტუხამ ქუდი მოუხადა, ეტყობა, ხელის ჩამორთმევას მოერიდა.

თითქოს ქალ-ვაჟს მთელი სითამამე მხოლოდ აქამდე ეყოო, ორივე უხერხულად გახევდა და დადუმდა.

დგას გოგო და მოკრძალებით მისჩერებია ბიჭს. ისეთსავე სასიამოვნოდ მიმზიდველი შიშის ხელახლა გაღვიძებას გრძნობს, რიყეზე რომ ალუძრა ამ დევკაცამ.

ტუხა დგას და არ იცის, როგორ მოიქცეს, დგომაც ეუხერხულება, წასვლაც. თავჩალუნული თავის წულებს დაჰყურებს და კვართის ღილებს ათამაშებს, იხსნის და იკრავს, იხსნის და იკრავს.

— მათარაში მყავეწყალი ხომ არა გაქვს? — ინგამ საბაბი გამონახა დუმილის დასაძლევად.

— მყავეწყლისკენ დღეს არ გამივლია, — მიუგო ტუხამ, — ცარიელია.

— ლამაზი მათარაა. — ინგამ ისე შეახო ხელი, თითქოს ბავშვს მიეალერსოო.

— მამისეულია. შეირდები თუ არ შეირდება, მაინც დამაქვს ყველგან. მამისეული ესლი შემომრჩა.

ისევ უხერხული დუმილი ჩამოწვა.

— საიდან მოდიხარ? — კვლავ გოგომ დაარღვია სიჩუმე.

— ერთი ჩვენებური ხეიბრისთვის შეშა მოვეჭერი.. მე მხოლოდ ზეზეურად ჩამომხმარ ხესა ვჭრი შეშად. ხე რომ გამხმარია, ზაფხულში უკეთ ჩანს. აქ რას უდგეხარ? მანანას ელოდები?

— არავისაც არ ველოდები... მარტო ვარ, სულ მარტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— სულ მარტო?! სტუმარი სულ მარტო ვინ გამოგიშვა აქეთ?

— საკუთარმა სურვილმა... მე თუკი ასე მინდა!..

— ნადირა როგორ არის?

— კარგად. გაუარა შიშმა.

— მერე ვერ წამოგყვა?

— მაინცდამაინც ნადირა რატომ უნდა წამომყოლოდა?

— ასე თუ ისე, მისი სტუმარიც ხარ...

— არა ვარ მე მისი სტუმარი...

— იქნება მარტო სტუმარიც არა...

„ეჭვიანობს, თუ... დამცინის? არა, ნაიარევი წარბი არ შეუუთამაშებია“.

— აბა, კიდევ რა? რას ამბობენ სოფელში?

— მე სოფლის ჭორებს არ დავსდევ...

— ინგას ნადირა ერთის ნახვით შეუყვარდა და მალე ქორწილსაც გადაიხდიანო?

— ასეც რომ მოხდეს, რა დაშავდება?

— ეგლა მაკლია!

— რაკი სოფლელია?

— სოფლელს გააჩნია. მე ერთი სოფლელი ვაჟკაცი, დიახაც, მომწონს... და მეტიც. — ინგამ წარბი მედიდურად აზიდა და თვალებით უთხრა: ეს ვაჟკაცი შენა ხარო.

ტუხამ ეს ვერ გაიგო. რაც ადამიანს არ სწადია, იმას, ეტყობა, ადვილად ვერც იგებს.

ინგას ეწყინა, ბიჭი ხვაშიადს რომ ვერ მიუხვდა და სევდიანად ჩაილაპარაკა:

— რატომ არაფერს მეკითხები?

ტუხამ მხრები აიწურა.

— არ გაინტერესებს აქ მარტო რამ წამომიყვანა?

— ვიღაცამ გაწყენინა და გამოექეცი.

— ვერ გამოიცანი. პირიქით, ზედმეტ პატივისცემას გამოვექეცი. უამრავი ხალხი დამტრიალებს თავს. მომწყინდა, დავიღალე. მინდა ეს საღამო ასე დავისვენო, ბუნებაში განმარტოებით. შენ, ალბათ, არასოდეს გენატრება ასე დასვენება.

— დასვენება არა... ჯერ არასდროს მომნატრებია დასვენება.

— ღამეს მართლა მთაში ათევ ხოლმე?

— მერე რა?

— სად?

— გამოქვაბულში, ღია ცისქვეშ, თივის ზვინში... სადაც მომიხერხდება.

— მე არასდროს გამითევია ცისქვეშ ღამე. რომ შემეძლოს, თუნდაც ერთხელ დავიძინო თივის ზვინში!..

— მაგაზე ადვილი არაფერია, სტუმარო. მისამართს მოგცემ. სახლს გასაღები არა სჭირდება, კარშეუბმელია თივის სახლი.

— ეჰ, მარტოდმარტო თივის ზვინში კი არა, შიგნიდან ჩაკეტილ მანქანაშიც ვერ გავათევ ღამეს. შიშით რა დამაძინებს! ასე რომ, ჩემს ნატვრას ასრულება არ უწერია, ცაშია გამოკიდებული. თივის ზვინში დღისით რომ შევძვრე ცოტა ხნით, ისიც დიდი გამბედაობა იქნება. თუმცა, შეიძლება ადამიანმა ერთხელ მაინც სცადოს. ახლომახლო შენი თივის ზვინები არსადაა?

— აქ? არა.

— ძალიან მაინტერესებს, როგორია შენი დადგმული თივის ზვინი. შენზე ბევრად მაღალია?

— ზოგი მაღალია, ზოგიც დაბალი.

— როგორ მინდა ვნახო.

— ვერ ნახავ. მე მხოლოდ იქ ვთიბავ, სადაც გზა არ უდგება. შენი მანქანით იქ ვერ ახვალ, ფეხითაც გაგიჭირდება.

— შენ რომ მომეხმარო?

ტუხამ კვლავ აიჩეჩა მხრები.

— ციხის ნანგრევზე აყვანას რომ დამპირდი? შორიდან დავინახე უკვე, მართლაც ლამაზია, ქაჯეთის ციხეს ჰგავს. ახლა უფრო მეტი სურვილი დამებადა. არც იქ შეიძლება? — შეახსენა ინგამ.

— აკი გითხარი, დავფიქრდები-მეთქი! ჯერ არ გადამიწყვეტია.

— ახლა რომ ავიდეთ? მაშინ ხომ მითხარი, მანანას თუ არ წამოიყვანო...

— აჰა! ესე იგი, მარტოდმარტო საგულდაგულოდ იმიტომ წამოხვედი, მე

რომ შემხვედროდი და ციხეზე ამეყვანე?

— არა... რა ვიცოდი... რა ვიცოდი, სად იყავი... ოლონდ ახლა, რაკი ასე თავისთავად შეეხვედით...

— დღეს გვიანია, სანამ იქ ავალთ, დალამდება... ღამით ვერც ავაღწევთ.

— მაშინ ხვალ. დამითქვი, სად და როდის მოხვალ და უეჭველად დაგხვდები.

„ბებია უცხონდება! თავისავით მოცლილი ვგონივარ ამ ქალაქელ მოსეირნეს. თითქოს სხვა საქმე კი ალარაფერი მაქვს, ეს ვაფხოწიალო ფრიალოზე!“ — გულში გაივლო ტუხამ, სტუმარს კი ზრდილობიანად უპასუხა:

— ხვალ ერთი საწყალი ხეიბარი კაცისთვის თივა მაქვს მთაში დასადგმელი და არ მეცლება.

— კეთილი, მერე იყოს. — ციხის ნანგრევზე ასვლის იმედს არ შეეღალა ინგა.

— კარგ დასვენებას გისურვებ! — ტუხამ წასვლა დააპირა.

— ბოდიში! სადღაც აქეთ გემრიელი მყავეწყალიაო...

— ორგულას ნაპირზეა. ხეივს გზიურ და ტყიურ გაპყევი, მდინარეში ოთხკუთხა კლდეს დაინახავ, სვეტივით ამოშვერილს, ზედ ფიქვია ამოსული. იქ გაიჩერებ მანქანას, ბილიკს გაპყვები და თვითონ მიგიყვანს მყავეწყალთან.

— ადვილი მისაგნები ყოფილა.

— კეთილად იმგზავრე! — ისევ დაპირა ტუხამ წასვლა.

— მოიცა! აქ რომ ვერ გავიდე? — ინგამ ღელისკენ გაიშვირა ხელი.

— გახვალ. ყველა გადის.

— ყოველ შემთხვევაში, ცოტა ხანს ნუ წახვალ. თუ ვერ გავიდი, ნუ დამზარდები, შენი ლონიერი ხელი წამომაშველე. გეზარება?

— არა, რატომ... დაგიცდი.

ინგა მანქანაში ჩაჯდა და აამუშავა. კონუსზე დაჭერილი ფეხი აუშვა, სიჩქარე გადართო, ნელა დაიძრა და ღელის დალმართზე ისე დაეშვა, გეგონებოდათ, დიდი ხოჭო მიბობღავსო.

ინგა ასეთ ღრადალრუდეებში სიარულს მიჩვეული არ იყო და ზედმეტად დაც ფრთხილობდა. ღელეში ჩასულმა ტუხასკენ მოიხედა, ხომ მიყურებსო. გაღმა ფერდობის ალმართზე მანქანის აყვანა უფრო ადვილი იყო, მაგრამ ღელეს გასცდა თუ არა, შეაჩერა და ეფთხანს განგებაც აბღუვლა, მერე მოტორი ჩააქრო და გადმოვიდა.

— უჩირს! მომეშველე!

„ოჰ! მაცდურივით რომ დამხვდა აქ, ნეტავი რა სწადია ჩემგან? რას მეთამაშება?“

ნაჯახი და ჩანთა ერთად დააწყო გზისპირას, დალმართზე სირბილით დაეშვა და გაქანებული გადაახტა ღელეს.

— ქვემოდან ნუ დაუდექი, რომ დამიგორდეს, გაგსრესავს.

— ნუ გეშინია, თუ დაგიგორდება, გულზე გადაგიტარებ.

— ძალიან თავდაჯერებული ხარ.

— საკუთარი ძალ-ღონის ამბავი ჩემზე უკეთ ვინ იცის!

ინგამ გაუღიმა, მანქანაში ჩაჯდა და აამუშავა, ტუხა მიაწვა. „ვოლგა“ წითელი ჩიტივით აფრინდა ვაკეზე.

— იქით სულ კარგი გზაა აწი! — დააიმედა ტუხამ.

— მარტო მტოვებ?

— თვითონ არ თქვი, ბუნებაში განმარტოება მწადიაო?

— ვთქვი, ოლონდ... შენ სულაც არ მიშლი ხელს, პირიქით. აგერ, დამეხმარე კიდეც... რაკი მადლი ჰქენ, ბარეს ზედ მარილიც მოაყარე, მყავეწყლამდე მიმყევი. გეზარება?

ტუხამ თავი გადააქნია.

— იქნებ შინ გადაუდებელი საქმე გელოდება და...

— საქმე ისეთი არაფერი... უხერხული არ იყოს-მეთქი, სტუმარო.

— რა უნდა იყოს უხერხული, მასპინძელო? მივალთ, მყავეწყალს დავლევთ და გამოვბრუნდებით. მომიჯექი გვერდით, ნუ დამამადლი მეგზურობას! სხვა თუ არაფერი, გამობრუნებისას ამ ღელეში ისევ რომ გავეჩხირო, ვინ მიშველის? ჩავრჩე?

„ეჰ! გაეჩხიროს!.. რაც იქნება, იქნება, წავყვები... თუმცა, რომ ვინმემ დამინახოს და ამბავი თეონას ყურს მისწვდეს? არა, არ ივარგებს, აქ რომ ვდგავარ, ესეც საჩოთირროა". — ტუხამ გაიხედ-გამოიხედა, ახლომახლო ხომ არაფერ მოდისო. — „თუ ვინმე ჭორიკანამ დამინახა, თეონას ეტყვის და მეტიც არ უნდა, ზედაც ალარ შემომხედავს".

წინ ნაბიჯის გადადგმას ვერ ბედავს, გაქცევაც ეუხერხულება. მამაკაცის თავმოყვარეობა ბორკილივით ადევს, ფეხს არც წინ ადგმევინებს, არც — უკან. ორწყალშუა მოჭეჭეული ფიქრების კორიანტელში გაეხვია:

„არ აჩქარდე, ტუხა, თავს დაუკვირდი. ამ ქალაქელ სტუმარს თუ გაჰყევი, ვითომ ცოუნებას ვერ გადაურჩე და... თეონას ულალატო, არ გაჰყვები, უკან დაბრუნდ და ვაუკაცობის ღალატად მოიანალება შენი საქციელი, მამაკაცური თავმოყვარეობის შებღალვად, და იქნებ სარცხვილით თავის მოჭრადაც. ჭრელია ჭეყანა, ზოგმა ეს ამბავი რომ გაიგოს, ტუხა მოძალებულ გოგოს გამოექცაო, უეჭველად მასხრად აიგდებს. ეგებ ეს ტუხას პატიოსნებად კი არა, ისეთ რამედაც კი მიიჩნიონ... ქალთმოძულე ან მამაკაცობადაკარგული ყოფილაო, იტყვის ვიღაცა და ერთხელავე თუ ასეთი სმა დაგიგდეს, მერე მიდი და უმტკიცე სოფელ-ქვეყანას, სულელური მონაჩმახია-თქო. ალარავინ დაგიჯერებს. სოფლის ყბაში ავად მტერი ჩავარდეს. მერე იქნებ თეონამაც რა არ იფიქროს".

ამ ფიქრს სხვა ჩაეზიარა:

„თუმცა, საფალდებულია წაყოლა ვითომ? ვეტყვი, შენ მეკავეწყალზე ფაირბან-გამოირბინე, მე აქვე დაგელოდები და თუ ღელეში გაეჩხარები, ისევ მოგეშველები-მეთქი. დასტურ, ასე აჯობებს... თუმცა—ყველაფერ-ყველა ფეხი ფიქრმა.—ამ ციდამტკაველაფოგოსთან გასეირნებამ შემაშინა? ჩემი თავის პატრონი არა ვარ? თუმცა... — რა სწრაფად ტრიალებს ფიქრის ბორბალი. — შეუძლებელია, ასე გასეირნებისას არაფერი მოხდეს... ხე ხომ არა ვარ, ან — უსულო ქვა! ძნელია გოგომ გამოგიწვიოს და დამარტოხელებული ცდუნებას არ აყვე... თუმცა... რას ამეკიდა მეეჭლესავით ეს ოხერი, თუმცა?"

— რამ ჩაგაფიქრა, ვაუკაცო? — სეცდანარევი ღიმილით ჰკითხა ინგამ.

ფიქრით გაბრუებული ტუხა გამოფხიზლდა:

— რაზე მეტყობა ჩაფიქრება, სტუმარო?

— გეტყობა. გუნებაში რაღაცას წონი. ორეფოფული ფიქრი გახატია შუბლზე.

„კაცმა რომ თქვას, რატომ იქნება ეს თეონას ღალატი? ჯერ ჩემი ცოლი ხომ არაა? ჯანდაბას, მოხდეს, რაც მოსახდენია. ღმერთია მოწმე, განგებ არ დავდარაჯებივარ აქ გოგოს, თვითონ დამხვდა და მეპატიჟება: უფრო უკაცრიელ და მყუდრო ადგილას გავასეირნოთო".

ნაჯახი და ჩანთა სირბილით მოიტანა, მანქანის უკანა კარი გამოაღო, თავისი სხეული ძლივს შეტენა შიგ, ჩოგნები და წიგნი თახჩაზე აყარა, საავარიელზე ფეხ-ფეხ-ფეხ-

მაგრამ თითქმის არ ახრეგა, ყელაწეული და წელგამართული ოფლიანობის ასარიდებელ საზურგეზეა მიყრდნობილი და ხელში გველის პერანგივით ჭრელი საჭე უჭირავს.

ამ საჭეზე ყურადღების მიქცევამ ისევ შეუცვალა გუნება ტუხას. რაც თავის სიცოცხლეში არ უორჭოფია, თითქოს დღეს ინაზღაურებსო. ერთი პირობა ისევ გაიფიქრა, ერთიმ მაცდურია ეს ქალაქელი გოგო, არ უნდა გამოვყოლოდი, თუმცა არც ახლაა გვიან, გავაჩერებინებ მანქანას და გადავალო.

ფიქრი ისევ ფიქრად რჩება. ნელსაცხებლის მკვეთრი სუნი ცხვირში საამოდ უღიტინებს, ვერ აბრუებს, მაგრამ ბევრიც არაფერი უკლია. მანქანიდან გადახტომას რომ აპირებს, არ უშვებს, უხილავი ჯაჭვით აბამს. სისხლი ძარღვებში ვეღარ ეტევა, საფეთქლებში სცემს და ლამის თავბრუ დაახვიოს. მერე უცებ თეონა დაუდგება თვალწინ, აგონდება მისი თმის სურნელი, ყვავილოვანი თივის სურნელების მაგვარი, და უმალვე უცხრება ვნებათა ღელვა: ჩემი თავი განა მე არ მეკუთვნის მხოლოდ? აქამდე მუდამ ჩემ ჭკუაზე მიცხოვრია და ახლა ვინ მომახვევს თავზე თავის ნება-სურვილსო.

ასე კი ფიქრობს, მაინც უგუნებოდ არის, რაღაც აწვალებს.

ინგამ თითქოს იგრძნო თანამგზავრის უგუნებობა და ამ მდგომარეობიდან მისი გამოყვანა სწადიაო, მანქანის რადიომიმღები ჩართო.

გამოლმით მე ვარ, გალმა შენ,
შუაზე მოდის მდინარე,
ხიდი არ გვიძე წყალზედა...

ინგამ რადიომიმღები გადართო, უცხოური მუსიკა დაიჭირა და შორეული ჯაზის ხმაურით აივსო მანქანა. ვიღაც განწირულად ბღაოდა. იქნებ მთლად ასეც არ იყო, ტუხას მოეჩვენა ასე. არა მარტო მოეჩვენა, შეაწუხა კიდეც ბღავილშერეულმა კაკაფონიამ.

— გააჩუმე!

— რატომ?! — გამოხედა ინგამ გაკვირვებით.

— ყურს მჭრის მაგისთან ჰანგები. ეგ რა სიმღერაა, ხან გულისგამაწვრილებლად ჭყრიპინებენ, ხან დასაკლავი ხარებივით ბღავიან. უბედურების ხმაა.

ინგამ მხრები აიჩეჩა, რადიო გამორთო და ტუხას ირიბად გამოხედა. მერე, აქაოდა დამცხაო, კოფთის ღილები გაიხსნა და მკერდი გაიღიღა.

ტუხამ ეს სარკეში დაინახა და თვალი მოარიდა.

წინ ჯერ სუროთი გაბარდულ-შემოსილი კლდე შემოხვდათ, მერე გზამ ტყის ტეტრში შერგო თავი. ტყემ სიგრილე შემოაგებათ. ინგამ კოფთა ალარ შეიკრა, მანქანის საქარე სარკმელი კი დახურა.

გარბის მანქანა. ტყის სიმყუდროვეს მხოლოდ მისი თვლების შრიალი არღვევს.

მზის სხივები მალალ-მალალი წიფლების, წაბლების და თელების ტოტებში იმსხვრევა. შუქი ფეთქდება და ქრება, ფეთქდება და ქრება. ითინათი მანქანაშიც აღწევს ხოლმე და ხან ინგას უნათდება წამიერად პირისახე, ხან — ტუხას. მზეს კი ვერც ერთი ვერ ხედავს. მზე სადღაც ტყის მიღმაა და ცის დალმართზე ეშვება. დასაძინებლად ემზადება.

გზაზე გარდიგარდმო მსხვილი მორი გდია. ავტომანქანა ვერც შემოუვლის, ვერც გადაახტება. გალმაუბნელ ზოსიმეს მორში ხის სოლები ჩაურჭვია და რკინის ურიოს ურტყამს გახელებით, თან დახვნეშის.

— აჰ! აჰ! აჰ!

ეტყობა, მორი დაღვლარჭნილძარღვებიანია, სოლებს გულში არ უშვებს, ზოგჯერ ირეკლავს კიდეც.

— რაო, ზოსიმე, გეჯიუტება? — გადმოვიდა მანქანიდან ტუხა.

— მეჯიუტება და ისე, ამის პატრონის ქვეყანაც. რა ვიცოდი, ასე კორძიანი გული თუ ექნებოდა, თვარა, ვინ მამაძაღლი მოჭრიდა. ასე მიტოვებაც მენანება.

— რაღა მაინცდამაინც გზაზე გაგიხიდავებია?

— ჩამომიგორდა და რა მექნა, შენი ჭირიმე? ვიფიქრე, ბარემ აქვე დავაპობ-მეთქი. გაგიგონია! შენს გახარებას და გამრავლებას, ან გვერდზე მიმაგორებინე, ან გაპობაზე შემაშველე ხელი. არ ეყო ამ ოხერს ჩემი ჯან-ღონე.

ტუხამ ჯერ ცულით ნასოლარები ჩაჭრა, მერე მორის ვიწრო ნაპრალში ერთმანეთის დაშორებით სამი სოლი ჩაარჭო და ჯანიანად დაუშინა ურო. მორმა წიწკინ-წიწკინით თანდათან დაალო პირი...

ტუხამ ახლა გადაჩაჩხულ მორის ნაპობებს ჩაასვა სოლები და უწვალებლად დააპო. ერთი სოლზე მუშტის დარტყმითაც კი გახლიჩა. მერე ნაკოდები თვითონვე მიყარა გვერდზე ფეხით.

— უჰ, აგაშენა ღმერთმა! — დალოცა ზოსიმემ. — სულზე არ მომისწარი! საით გაგიწევია ამ გადაჩრდილებულზე?

— მჟავეწყალს დავლევთ და გამოვბრუნდებით.

— ჰო, მჟავეწყალი ნამეტანი კაია, კაი! მაგით არ მიდგას სული!

ტუხამ ბექობს ზემოთ ორი მორი დაინახა და თავში აქ დარჩენის ფიქრმა გაუელვა: სტუმარს მჟავაწყალზე მარტო გავუშვებ და, სანამ მობრუნდება, ბერიკაცს ამ მორებსაც დავუპობო. დარჩენის საბაბს ეძებდა და იპოვა კიდეც.

— ზოსიმე, აიტანე ეგ სოლები და ცული ზევით, ბარემ იმ მორებსაც დაგ.პობინებ.

— არა, შენი ჭირიმე, იმ მორებს თვითონ დავაპობ, შენ რავაღა შეგაწუხებ, გზაზე ადგახარ კაცი. აჰ, არა! — ხელები გაასავსავა ზოსიმემ.

ინგამ საყვირი დააპიპინა, თანამგზავრს ანიშნა, რაღას უდგახარ, გვაგვიანდებაო.

ტუხა უხალისოდ წავიდა „ვოლგისკენ“, კვლავ უკანა სავარძელზე დააპირა დაჯდომა, კარის სახელურს მოეჭიდა და... დაკეტილი დახვდა. ინგამ წინა კარი გაუღო და თავის გვერდით მიიპატიჟა:

— აქ დაჯექი! — შეყოვნება რომ შეატყო, ხმაართოლებულმა ნაღვლიანი საყვედურით დაუმატა. — რა გეშინია, არავინ შეგჭამს.

— ვიფიქრე, არ შევაწუხო-მეთქი, — თავი იმართლა ტუხამ და დიდრონი სხეული მანქანის წინა კარში ძლივს შეტენა. ქამარზე შებმულმა ცარიელმა მათარამ გაიწკრიალა.

— რა მოხდა?

— არაფერი. მათარაზე კარის სახელური მომხვდა.

— მოიხსენი და თახჩაში შეინახე.

—იყოს, არ მიშლის.

გაუტიეს.

— რა დაბურულია. ასეთი უსიერი ტყე თუ სადმეღა იყო, აღარ მეგონა.

— მალე აღარ იქნება დაბურული. სადაც სამანქანო გზა უდგება, ასეთ ტყეს ვინ გააჩერებს. წინათ ეს ტყე უფრო დაბურული იყო.

— როდის წინათ, შენი ბავშვობისას?

— ჰო, პატარა რომ ვიყავი.

— ყმაწვილიც დადიოდი აქ?

— აბა, შეშას შენ მომიჭრიდი? ზოგჯერ ღამეც კი გამითევია.

— მერე არ გეშინოდა?

— პირველად შემეშინდა. თანდათან შევეჩვიე.

— მთაში მუდამ მარტო დადიხარ?

— სათიბავად კი. დაზვინვაზე ზოგჯერ დედაც მეხმარებოდა ადრე...

— გრილა მთაში?.. დღისით.

— ტყეში გრილა, სათიბებში — არა. მთის სათიბებში უფრო მწველი მზე იცის, ვიდრე ბარის მინდვრებში. შუადღისას ისე დააჭერს ხოლმე, ნაცარქექიამ დევს სადგისი რომ ჩაარჭო კისერში.

— მერე, იმ გაგანია სიცხეს არ ერიდები?

— რატომ?

— მზემ რომ დაგკრას.

— არა, შეჩვეული ვარ ამასაც.

— ნეტავი შენ, უბედნიერესი ხარ!

— ესეც სანატრელია?

— რატომაც არა. მე მზეში რომ ვივლი, მაშინვე თავი მტკივდება.

— შხუუუ! — მანქანამ ღელე ააშხეფა.

მერე უცნაური ტყე გამოჩნდა. თით-

ქმის არც ერთი ხე სწორად არ იდგა, თანაც ისე, რომ ყველა სხვადასხვა მიმართულებით იყო გაზრდილი, ერთი რომ მარჯვნივ გადახრილა, მეორეს ტანი მარცხნივ გადაუწევია, ზოგიც მათ შუაა გადმოხრილი.

ინგამ სვლა შეანელა.

— ეს რა ტყეა? რატომ არის ასე?

— ზოგი ამბობს, ეტყობა, ოდესღაც მეწყერმა მოარყია მიწა, ხეებსაც მოერყა ფესვები და რაკი თავიდანვე სხვადასხვა მხარეს გადაიხარნენ, ახლა ყველა ხე ასე იზრდებაო. ზოგიც ხუმრობს: ეს ხეები ვიღაცის ქორწილში იყვნენ მაყრებად, დათვრნენ, ბანცალ-ბანცალით წამოვიდნენ და აქ ასე გახევდნენო. ამ ადგილს მთვრალ ტყეს ეძახიან.

— ეს ხეები ნამდვილად მთვრალებს ჰგვანან.

მთვრალ ტყეს რომ გასცდნენ, ინგა ადრინდელ საუბარს დაუბრუნდა:

— მთაში არა გწყინდება?

— რა მომაწყენს?

—მარტო რომ ხარ.

— მარტო სათქმელად ვარ, თვარა მარტო კი არა ვარ...

— ვერ გავიგე?!

— მარტო იმიტომ არა ვარ, რომ ჩემთანაა ცელი, ნაჯახი და კიდევ სიმღერა. ვმუშაობ თუ გზაზე მივდივარ, ვღიღინებ... ჩემთვის ვღიღინებ ხან უსიტყვოდ, ხან ისე... როცა ვმუშაობ და როცა ვღიღინებ, მარტო არა ვარ. თუ ღიღინი მომწყინდება, მთებს გავძახებ და მთები მეპასუხებიან... ამიტომ უფრო მიყვარს მთაში მუშაობა. ბარის ვაკეზე რამდენიც არ უნდა იძახო, ხმას არ გაგცემს მინდორი... მინდორს ექო არა აქვს.

მდინარეს წაადგნენ. გამოლმა დიდი ლოდები იწვა, გეგონებოდათ, განგებ ჯებირად ჩახერგილანო. ლოდებშუა თხმელები ამოსულა. გალმა კი ორგული კლდოვან კბოდეს ეხლებოდა თავგამეტებით და ზვირთებს ისე მაღლა ისროდა, იფიქრებდით, კბოდეზე მხედარი-ვით გადაჯდომა სწადიაო. ვერ ახერხებდა ამას და ატყორცნილი ზვირთები დაბლა ისე ნება-ნება ეშვებოდნენ, თითქოს მდინარე ზვირთების ხელებს კბოდეს ალერსით უსვამსო. მერე ისევ ეხლებოდა და ასე გამუდმებით მეორდებოდა კლდისა და მდინარის შეხლა-შემოხლა და ალერსი. ჭირვეული ცოლ-ქმარივით ხან ერთმანეთს გაანჩხლებით ეჩხუბებოდნენ, ხანაც ფაქიზად ეფერებოდნენ.

აქედან გზა დამეწყრილი ფერდობის თავზე გადადიოდა. მანქანა ალმართს ასკდა თუხთუხით და შეცვაკებაზე გაჩერდა.

— რა მოხდა? რატომ გავჩერდით? — იკითხა ტუხამ.

— რადიატორში წყალი ადუღდა. ცოტა გაგრილდეს ძრავა. გადავდგეთ, ჩვენც შევისვენოთ.

მაღალი ქედის მიღმა თოვლიანი მწვერვალები ქათქათებდნენ. დაბლა ხევში ქაფმორეული ორგულა მიშხუოდა.

— ღმერთო ჩემო, რა ლამაზია! — წამოიძახა ინგამ და ტუხას შეხედა, რას იტყვისო.

— მაინც რა მოგეწონა? — მიმოიხედა ტუხამ.

— აქ ყველაფერი ზღაპრულად ლამაზია: ბუნება, მთები, ხეობა. აი, ის შიშველი რუხი პიტალო კლდე კი თითქოს ყველაზე ლამაზია მწვანე ბუნების ფონზე. რატომ გაიკვირვე? არაა ლამაზი?

ტუხამ მხრები აიწურა:

— მე აქაურობა არც ლამაზი მეჩვენება, არც — მახინჯი. რაც არის, ეს არის.

— რას ამბობ? დააკვირდი, როგორ ცეკვავენ და ლივლივებენ ფერები? ვერ ამჩნევ?

— ცეკვა მე ქალ-ვაჟისა ვიცი, ლივლივი კი — წყლისა.

— ჰო, თუმცა, გასაგებია...

— რა არის გასაგები?

— შენთვის ეს ყველაფერი უაღრესად ჩვეულებრივია. ამ ბუნებაში ხარ გაზრდილი და თვითონაც მთელი ამ ბუნების ნაწილი ხარ უკვე. ბავშვობიდანვე ყოველ დღე უყურებ, თავიდანვე

თვალი გაქვს შეჩვეული და ამიტომაც ვეღარ ამჩნევ მის განუმეორებელ სილამაზეს. ეს ყველაფერი ერთნაირად გიყვარს და არც არასდროს დაჰკვირებიხარ, ლამაზია თუ მახინჯი. შენთვის ბუნება არ იყოფა ლამაზად და მახინჯად, ერთიანია მუდამ... იქნებ შენ ეს არც იცი, მაგრამ ასეა... ხომ ასეა?

— ალბათ, არ დაკვირვებივარ.

ტუხასთვის ერთი სილამაზე არსებობს გამორჩეულად — თეონა. დანარჩენ სილამაზეზე, განსაკუთრებით ბუნების სილამაზეზე, არასდროს უფიქრია. ის სხვა ამბავია, ამ ქვეყნად ზოგი რამ რომ უყვარს და ზოგიც — არა. უთხრას ეს სტუმარს? რა საჭიროა.

ქალ-ვაჟის წინ ორმა პეპელამ გაიფარფატა.

— ეს პეპლებიც არ გეჩვენება ლამაზი?

— ლამაზები არიან...

ჭრელმა პეპლებმა თეონას თეთრკოპლებიანი ლურჯი კაბა მოაგონეს ტუხას, თითქოს თვითონ თეონაც მოჰყვა ამ მოგონებას და დაუდგა გვერდით, მერე კი პირისპირაც, და ჰკითხა, აქ რამ მოგიყვანათ? ტუხას ისევ შეეცვალა გუნება.

— რამ ჩაგაფიქრა? — ჰკითხა ინგამ.

— ამან ხომ არა, ვინ იცის, იქნებ ეს პეპლები შეყვარებულები არიან და ერთმანეთს ფარფატით დასდევენო?

— არა, რაღაც სხვა მომაგონდა...

— დაკვირვებიხარ, პეპლებს რომ რქები აქვთ? თურმე ეს ანტენებია. რადიოსიგნალებით ერთმანეთს შორიდან ესაუბრებიან, ზოგჯერ ხუთ-ექვს კილომეტრზეც კი... მამრი მდედრს პაემანს უნიშნავს: ამა და ამ ადგილას მოფარფატდიო.

— ვინ გაიგო ეგ?

— არიან ამის მეცნიერებიც.

— რას არ მოიგონებენ გასართობად.

— არ გჯერა?

ტუხამ მხრები აიჩეჩა.

— ამბობენ, სიყვარული ხეებმაც ცოდანო...

— არ წავიდეთ?

— რა გვეჩქარება?

— მეკვეწყალს რა ხანია ამოსცილდა. მზე, მთაში მალე ღამდება, მზის ჩასვლისთანვე.

— შორსაა კიდევ?

— ხუთიოდე წუთში იქ ვიქნებით.

ნამეწყარალ ფერდობს გადაუარეს, დაღმა დაუყვნენ, მოუხვიეს და გზაჯვარედინთან გაჩერდნენ. ვიწრო ხეობა აქ თითქოს უცებ გაიშალაო. მდინარის გამოღმა მოზრდილი მინდორი იწვა. ორგულას შუაწყალში დიდრონი ოთხკუთხა კლდე სვეტივით ჩამდგარიყო. თუ კარგად არ დააკვირდებოდით, საგანგებოდ აშენებული ციხე-კოშკი გეგონებოდათ, ოღონდ უსათოფურებო. კლდეს გვირგვინივით ედგა ზედ ამოსული ფიჭვი.

— რა საოცრებაა. რომ მითხარი, მაშინ კი ვერ წარმოვიდგინე. ხე იქ ვინ დარგო?

— თავისით ამოვიდა.

— უმიწოდ იზრდება?

— უმიწოდ არაფერი იზრდება. რაკიღა ერთხელაც გაიდგა ფესვი, საზრდოს პოვნა აღარ უჭირს. ქარს რომ მიწის მტვერი მიაქვს და კლდეს ნაპრალებში აყრის, ობოლ ფიჭვს, ალბათ, ისიც ჰყოფნის. ღონიერია სიცოცხლე.

— აქ ხალხი თუ დადის?

— მხოლოდ მეკვეწყალზე, ისიც გამოვლით, თუ სადმე ახლომახლო მუშაობს.

— სათევზაოდ?

— იშვიათად. როცა ორგულა აიმღვრევა, საჩხრეკი ბადით ამოუყვება ბრიგადირი ბენია, თავის ხაზეინს კალმახები რომ მიართვას, ეგ არის და ეგ. ბოლო ხანს ბენიას ნადირაც დაჰყვება.

— შენ არ თევზაობ?

— არა.

— მე რომ გთხოვო?

— რა ვიცი... ჯერ არასდროს მითევზავნია და... თევზი მოგინდა? აკი თქვეს, ნადირამ კალმახი მიართვა და პირი არ დააკარაო?

— თევზი არ მინდა. რაც ბერხევში ჩამოვედი, უცნაური ფიქრი გამიჩნდა

— მინდა ლიფსიტა დავიჭიროთ... ღელვასთან შენ რომ ფნახე, პირველად მაშინ დამებადა ეს სურვილი. იმ წუთში ვინატრე: ნეტავი ამ ვაჟკაცთან ერთად ლიფსიტა დამაჭერინა-მეთქი. ახლა რომ ჩავიდეთ მდინარეში და ჩემი ნანატრი ლიფსიტა დავიჭიროთ, არ შეიძლება?

— აჯი მყავეწყალი მინდაო?

— მყავეწყალს რომ დავლევთ, მერე...

— მერე ფნახოთ...

— აბა, სადაა ის შენი მყავეწყალი?

— მზე რომ იყოს, დაანახავდი წითლად დაჟანგული კლდოვან ბექობს. ეს ბილიკი კი იმ კლდესთან მიდის. გამიძეხი წინ! ვიქეიფოთ რაფულზე!

— რითი ვიქეიფოთ?!

— მყავეწყლით დავთვრეთ.

— მყავეწყლით? მყავეწყალი, პირიქით, მთვრალს აფხიზელებსო, გამიგია.

— მე იმას ვეძახი დათრობას, ბევრს რომ დალევს ადამიანი, თუ არა, მყავეწყლით მთვრალი კაცი ვის გაუგონია! მყავეწყალი მხოლოდ ერთი რამით ჰგავს ღვინოს, მაღალ ახელებს.

— მე ისედაც მშია უკვე.

— მჭადი და ყველი მიდევს ჩანთაში...

— მეც მაქვს საგზალი... მთელი ჩანთა გამომატანეს... ერთი ბოთლი კონიაკიც კი... თერმოსში, მგონი, წითელი ღვინოც ჩამისხეს.

— აბა, მართლა გვიქეიფია და ეგ არის. მე მხოლოდ წითელ ღვინოს ვსვამ, თეთრი არ მიყვარს, ოღონდ აქ ახლა ჩემთვის უხერხულია...

— რა არის უხერხული?!

— სტუმარს რომ სტუმრად დავუჯდე. წავიდეთ.

მიადგნენ მყავეწყალს. კლდიდან მოხეთქილ ღარდაუგებელ შუშხუნა წყაროს, მდინარისაკენ ლიკლიკით მიმავალს, თავის გზაზე ყველაფერი წითლად შეუღებავს — მიწაც და ქვებიც.

— ვაი, ეს როგორ დავლიო?

— მე, მაგალითად, პეშვით ვსვამ, ჩვეულებრივსაც და მყავეწყალსაც სამ პეშვს, არც მეტს, არც ნაკლებს. პეშვით თუ არ დავლიე, გემოს ვერ ვატან.

— სამი ვითომ რა არის?

— ასე დავეჩვიე. ზოგი ბუერას ფოთოლს იშვლეიებს, ძაბრივით იჭერს, ზოგიც დაუჩოქებს და ეწაფება. ნაბდის ქუდითაც შეიძლება. — ტუხამ ორივე ხელი ერთ პეშვად დაიჭირა, შეუშვირა წყაროს, აივსო და ნება-ნება დალია. — დაილოცოს ამის მომგონი, თითქოს ლმერთის სასმელიაო. სტუმარო, რაღას უყურებ? ღამდება.

— ჰო, ახლავე. — ინგამაც პეშვით დალია. — მართლაც გემრიელია. ღირებულა ამისთვის თავის შეწუხება. ვმადლობ! არ ვიცი, ეს სიკეთე რითი გადაგიხადო. ცოტასაც დავლევ.

გამობრუნებისას ინგას ფეხი აუცურდა და, ალბათ, წაიქცეოდა, ტუხას რომ არ დაეჭირა. ორივე შეცბა.

მერე ინგა უცებ შეტრიალდა და აჩქარებით გაუყვა ბილიკს. ბიჭმა რომ დაიჭირა, გოგომ კვლავ იგრძნო ის სასიამოვნო მომზიდველი შიში, პირველად რიყეზე რომ დაებადა ტუხას მკლავებში უნებურად მოქცეულს. ეს შიში ფარულად მოსდევდა მთელ დღეს, ახლა კი აშკარად წამოუყო თავი. ამ წუთში თითქოს ამ შიშს გაექცა ინგა, მაგრამ... ეს ბუნდოვანი საამო შიში ხომ მასშიგე იყო და ადვილად როგორ დაიღწევდა თავს? ამ სანეტარო შიშიანად გაუყვა მანქანისაკენ მიმავალ ბილიკს... თითქოს ამ უსულო რკინას შეეძლო ამ შიშისგან ცოცხალი ადამიანის გათავისუფლება. უნდოდა კი გათავისუფლება? ესეც არ იცოდა გოგომ, ინსტინქტურად გარბოდა მანქანისაკენ.

ტუხა წამით დაიმნა, მერე მამისეული მათარა მყავეწყლით აავსო, ქამარზე შეიბა და გოგოს კვალდაკვალ გააბოტა.

„დავიჭერო, დავიწყდა, ლიფსიტას დაჭერა რომ უნდოდა? თუმცა ახლა ლიფსიტას ვერც დაიჭერს აქ კაცი, ბინდდება“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გიძინა ფოჩხუა

იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების დღევანდელი დღე

(არნ. ჩიქობავას წიგნის გამოსვლის გამო)

„მრავალეროვანი კავკასია", „კავკასია — ენების მთა", „კავკასია — ენათა ლაბორატორია"... და ვინ იცის კიდევ რამდენნაირი ეპითეტით მოიხსენებენ კავკასიის ენობრივ სინამდვილეს.

ჩვენთვის, ქართველებისათვის ეს სიტყვები განსაკუთრებულად ძვერს — ჩვენც ხომ ჩვენი ენით ამ ოჯახის წევრები ვართ — ქართული ენა იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახს მიეკუთვნება. ამიტომ გვახარებს იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების ყოველი წარმატება

ჩვენი მეცნიერების წარმატების ერთი თვალსაჩინო დადასტურებაა აკად. არნ. ჩიქობავას წიგნის „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალის"* გამოქვეყნება.

ქართული ენა თავისი აგებულებით თვალსაჩინოდ განსხვავდება ინდოევროპულ, სემიტურ, თურქულ და სხვ. ენათაგან. თავისებურია, მაგ., მოთხრობითი ბრუნვა (მან გააკეთა); ბრუნების თავისებურებით სხვა იბერიულ-კავკასიური ენებიც მკვეთრად გამოიჩევიან ზემოთ დასახელებული ენებისაგან.

ბუნებრივია, ქართულის თავისებურებათა გასაღები ვეძებოთ ქართული ენის ისტორიის უძველეს პერიოდებში, როდესაც საგულვებელია მისი მეტი სიახლოვე მთის კავკასიურ ენებთან.

ამ სამუშაოს მიუძღვნა არნ. ჩიქობავამ არაერთი ათეული წელი და არაერთი გამოკვლევა. ამ კვლევის შედეგებს ეცნობოდნენ სტუდენტი-კავკასიისმცოდნეები უნივერსიტეტში, საგანგებო სამეცნიერო კურსის „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავლის" ლექციებზე.

ამ ცოტა ხნის წინათ გამოიცა სათანადო ნაშრომიც, სადაც დაჯამებულია არნ. ჩიქობავას (და, აგრეთვე, მის მოწაფეთა) ნახევარსაუკუნოვანი კვლევა-ძიების შედეგები, გამოვლინებულია კავკასიისმცოდნეობის აქტუალური პრობლემები, დასახულია მათი წარმატებით გადაჭრის გზები.

წიგნის წინასიტყვაობაში ნათქვამია, რომ ნაშრომი „მიზნად ისახავს იბერიულ-კავკასიურ ენათა ბგერითი სისტემის, მორფოლოგიური და სინტაქსური ატრუქტურის საკვანძო საკითხების ანალიზი მოგვცეს და სათანადო ჩვენებათა ისტორიული ინტერპრეტაცია წაიმოგვიდგინოს". ამასთანავე, ხაზგასმულია, რომ „შესავალი" არ შემოფარგლულა მხოლოდ დადგენილის გადმოცემით: „ავტორი სადაო საკითხებს თავს არ არიდებდა; პირიქით, ცდილობდა ნათლად ჩამოეყალიბებინა ეს სადაო, გაერკვია მისი სათავე და დაესახა მისი გადაწყვეტის გზები".

ჩვენში ამ ორმოცი წლის წინათ გამოიცა ამვვარი დამაჯამებელი ხასიათის ნაშრომი — „ქართული და კავკასიური ენების თავდაპირველი ბუნება და ნათესაობა", რომელიც ჩვენი გამოჩენილი მეცნიერის ივ. ჯავახიშვილის კალამს ეკუთვნის. ნაშრომი წარმოადგენს მისი

---

* არნ. ჩიქობავა, იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 1979.

„ქართველი ერის ისტორიის“ ერთ-ერთ შესავალ წიგნს: „ამ წიგნში, — წერდა ავტორი, — ენათმეცნიერული პრობლემების განხილვა ისტორიული ამოცანების გადასაჭრელად, მათი გამორკვევის აუცილებლობით იყო ნაკარნახევი“.

ივ. ჯავახიშვილს, რომელიც იყო, მისივე თქმით, „ისტორიკოსი და არა ენათმეცნიერი, რომელსაც კავკასიურ ენებზე სპეციალურად არ უმუშავნია“, მოუხდა საკუთრივ ენათმეცნიერული კვლევა ეწარმოებინა მის განკარგულებაში არსებულ ლიტერატურაზე დაყრდნობით, რომელიც არც სრული იყო და არც ზედმიწევნილობით ხასიათდებოდა.

უეჭველია, შემდგომი წინსვლა იბერიულ-კავკასიურ ენათა ურთიერთობის შესწავლაში შეუძლებელი იქნებოდა თითოეული მათგანის უშუალოდ, ადგილზე შესწავლისა და მონოგრაფიული გამოკვლევის გარეშე. ამ ამოცანის გადასაწყვეტად არნ. ჩიქობავამ ოცდაათიან წლებში დააარსა უნივერსიტეტში კავკასიურ ენათა კათედრა, მეცნიერებათა აკადემიაში, „ენიმკის“ შემადგენლობაში შექმნა საგანგებო განყოფილება.

ივ. ჯავახიშვილის წიგნის დაწერის შემდეგ დიდი დრო გავიდა. ამ დროის განმავლობაში დაიწერა (თვით არნ. ჩიქობავას მიერ, ან მისი თაოსნობით) არაერთი საფუძვლიანი მონოგრაფია ქართულისა თუ სხვა იბერიულ-კავკასიური ენების შესახებ, რამდენიმე დამაჯამებელი ნაშრომი, მიძღვნილი იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახის ცალკე ჯგუფებისათვის. ამრიგად, საკვლევი მასალის სისრულისა და სანდოობის მხრივ ამჟამად შეუდარებლივ უკეთესი მდგომარეობა გვაქვს.

* * *

იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახი ამჟამად ოთხი ჯგუფის სახით არის წარმოდგენილი. მათგან პირველად დავასახელებთ „ქართველურ ენებს“ — ქართულს, ზანურს, (მეგრულ-ჭანურს) და სვანურს. ქართველურ ენებზე მოლაპარაკენი ყველაზე მრავალრიცხოვან ჯგუფს წარმოადგენენ, ხოლო თვით ქართულ ენას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იბერიულ-კავკასიურ ენათა კვლევისათვის, რაკი იგი ერთადერთი ხანგრძლივი ისტორიის მქონე სალიტერატურო ენაა.

შემდეგს ჯგუფში (დასავლეთიდან რომ მივყვეთ) შედის აფხაზური, აბაზური, ადიღეური (ჩერქეზული), უაბარდოული და თურქეთში გადახვეწილ უბიხთა ენა. ამ ენებს „აფხაზურ-ადიღური ჯგუფის“ სახელით აერთიანებენ.

კავკასიის მთიანეთის ცენტრში ბინადრობენ „ნახური ენების“ წარმომადგენლები — ჩაჩნები და ინგუშები. ამ ჯგუფის მესამე წევრი — ბაცბური ენა (წოვა-თუშების ენა) წარმოდგენილია საქართველოში (კახეთში).

ყველაზე მრავალრიცხოვანია „დაღესტნური ენები“. მათ შედარებით ვრცელი ტერიტორია უჭირავთ — კავკასიის მთიანეთის მთელი აღმოსავლეთი ნაწილი. დაღესტნის ენები სამ ქვეჯგუფს ქმნიან: ხუნძურ-ანდიურ-დიდოურს, ლაკურ-დარგუულსა და ლეზგიურს, სულ ოც ენობრივ ერთეულს; მათი ნაწილი აზერბაიჯანსა და საქართველოში (კახეთშივე) არის წარმოდგენილი.

იბერიულ-კავკასიური ოჯახი ოცდათორმეტ ენას აერთიანებს (აქ არ იგულისხმება კავკასიის ტერიტორიაზე განლაგებული აზერბაიჯანული, სომხური, ოსური და ზოგი სხვა ენა, რომლებიც იბერიულ-კავკასიურ ენათა ოჯახს არ მიეკუთვნებიან).

შეუძლებელია ერთმა წიგნმა დაიტიოს ამომწურავი ცნობები თითოეული ენის შესახებ, თითოეული ფონეტიკურ-გრამატიკული მოვლენის გავრცელებისა და ისტორიის შესახებ. მაგრამ „შესავალში“, მისი მცირე მოცულობის მიუხედავად, მდიდარი მასალა არის წარმოდგენილი ამ ენობრივ ოჯახში შემავალ ცალკე ერთეულთა ბგერითი და გრამატიკული წყობის შესახებ, გამორკვეულია მათი ამჟამინდელი მსგავსება-განსხვავება და აღდგენილია ისტორიული სურათი, რომელშიც ნათლად ჩანს თითოეული მოვლენის ადგილი განვითარების რთულ ჯაჭვში.

* * *

ჯერ კიდევ ასი წლის წინათ აღინიშნა, რომ კავკასიური ენები ხასიათდება ხმოვან ფონემათა (ბგერათა) სიმცირით და თანხმოვანთა სიმრავლით.

„შესავალში“ თანმიმდევრულად არის მიმოხილული თითოეული ენის ვოკალიზმი (ხმოვანთა სისტემა): ყველაზე მარტივი სისტემა აქვს აფხაზურს: აქ სულ ორი ხმოვანი ყოფილა — ა და უფრო „ვიწრო“ S (ამ ასოთი აღნიშნავენ ისეთ ბგერას, რომელსაც ხმოვნურობა კი ახასიათებს, მაგრამ არა აქვს ის კონკრეტული თვისებები, რითაც ერთი ხმოვანი გაირჩევა მეორისაგან. ამგვარი ბგერა მოეპოვება სვანურსაც, ისმის ზემო სამეგრელოშიც).

ქართულ ენას, გარდა ა ხმოვანისა, აქვს აგრეთვე ოთხი სადა ხმოვანი: ე, ი, ო, უ. თითოეულ ამ ხუთ ხმოვანს სხვადასხვა თვისებები შეიძლება ჰქონდეს: სიგრძე, ნაზალობა (როდესაც ხმოვნის წარმოთქმისას ჰაერი ცხვირშიც გამოდის), წინაენისმიერობა (პალატალიზაცია, „სილბო“), უკანაენისმიერობა („სიმაგრე“)... და ამ თვისებათა თავისებური კომბინაციებიც. მაგალითად, გარდა სადა ა ხმოვნისა, არსებობს სხვადასხვა ენაში ამა თუ იმ თვისებით გართულებული რამდენიმენაირი ა.

ამ მრავალრიცხოვან შესაძლებლობათაგან ზოგი რომელ ენაშია განხორციელებული და ზოგი — რომელში: ჩაჩნურში, მაგალითად, თხუთმეტ ხმოვანს ითვლიან, სვანურში (ბალსზემოურ კილოში) — თვრამეტს, ხოლო ტინდიურ ენაში ოცამდე ხმოვანია. არნ. ჩიქობავამ გვიჩვენა, რომ იბერიულ-კავკასიურ ენათა ვოკალიზმის ეს მრავალფეროვნება მეორეულია: ხმოვანი, მაგ., ცხვირისმიერი ხდება იმ შემთხვევაში, თუ იგი აღმოჩნდება ცხვირისმიერი თანხმოვნის მეზობლად (ვ, ნ); ასევე, მეზობელი ბგერის გავლენით ხდება „დარბილებაც" და სხვ. შეიძლება შერწყმის შედეგად იყოს წარმოქმნილი თვით სადა ხმოვნებიც (მაგალითად, აფხაზურში).

* * *

არანაკლებ ჭრელი აღმოჩნდება სურათი, თუ მიმოვიხილავთ თანხმოვან ბგერებს სხვადასხვა ენაში. მაგალითად, ქართულში 28 თანხმოვანი გვაქვს, აფხაზურში — 80-ზე მეტი.

ყველა იბერიულ-კავკასიურ ენას მოეპოვება ე. წ. მკვეთრი ხშულები (პ, ტ, წ, ჭ, კ, ყ), რომლებიც არა აქვთ, მაგალითად, ინდოევროპულ ენებს.

ხშულ თანხმოვანთა სისტემას ართულებს ბგერათა კიდევ რამდენიმე ჯგუფი, რომელთაგან ზოგი რომელ ენასა აქვს და ზოგი რომელს (სხვაობა ზოგჯერ თვით ერთი ენის შიგნით, მის კილოებშიც შეინიშნება): არსებობს თანხმოვნები — რბილი, მაგარი, გვერდითი (ლატერალი), ლაბიალიზებული (რომლის წარმოთქმაშიც დამატებით ბაგეებიც იღებს მონაწილეობას, მაგ., აფხაზური ტ0), ფარინგალიზებული, ნახევრად მკვეთრი... ასევე, მრავალრიცხოვანი ვარიანტებით არის წარმოდგენილი ე. წ. სპირანტები („ნაპრალოვანი თანხმოვნები"): გარდა სისინა და შიშინა სახეობებისა (ს, ზ, შ, ჟ), გვხვდება „სისინა-შიშინა", მკვეთრი სპირანტები და სხვ.

ბევრი ამ რთულ ბგერათაგანის მეორეულობა აშკარაა. მაგრამ გვაქვს ბგერათა გამარტივების შემთხვევებიც. საინტერესოა, მაგალითად, რომ ჭანურს პირველადი ჯ'ს (ჯუმა „ძმა") გარდა გაუჩნდა მეორეული ჯ — ბგერა, მიღებული გ — ბგერის დარბილებით (წინაენისმიერ ხმოვანთა მეზობლად: გ3ირი — ჯ3ირი „საპმელი").

იბერიულ-კავკასიურ ენათა ბგერითი შემადგენლობის დაწერილებითმა მიმოხილვამ და საფუძვლიანმა შესწავლამ ავტორს საშუალება მისცა დაესკვნა, რომ თუმცა „ფონემათა შემადგენლობა დროთა ვითარებაში იცვლება — ზოგი ფონემა (ფონემათა სერია) შეიძლება დაიკარგოს, ანდა შეიცვალოს სხვა ფონემით (ფონემათა სერიით), ანდა, პირუკუ, გაჩნდეს... ერთ შემთხვევაში ფონემათა შედგენილობა მარტივდება, მეორეში — რთულდება", მაგრამ ძირითადი ტენდენცია ასეთია: უკანა წარმოების (უკანაენის და ხახისმიერ) თანხმოვანთა ჯგუფები მცირდება (მაგ., ქართულში დასუსტდა ჰ, გაქრა უკანა წარმოების ხ, რომელიც ქ — ასოთი აღინიშნებოდა), ხოლო წინა-და შუაენისმიერთა წყება მრავლდება... საერთო ჯამში ვიღებთ თანხმოვანთა რიცხვის ზრდას, სისტემის გართულებას. ავტორი საგანგებოდ ვახაზავს, რომ ძველი ფონეტიკური სისტემა ყველაზე უკეთ შემონახულია ქართულში, რაკი იგი სამწერლო ენაა (მას დამწერლობა წარმართობის ეპოქაშიც უნდა ჰქონოდა).

* * *

ერთი და იგივე სიტყვა სხვადასხვა ენაში (ან ერთი ენის სხვადასხვა კილოში) სხვადასხვაგვარად შეიძლება ბგერდეს. მაგ., ქართული ძელ- — მეგრ. ჯა(ლ)-. თუ ბგერადობის მონაცვლეობა რეგულარულია (ძმა — ჯიმა, ძაღლი — ჯოღორი, ძაგს — ჯოგუ), მაშინ ლაპარაკობენ კანონზომიერი ბგერათშესატყვისობის შესახებ. ამგვარი შესატყვისობა ენის შიგნითაც (კილოებში, თვით კილოკავებში) შეიძლება არსებობდეს (ასეა, მაგალითად, ხუნძურში). ამასთანავე, ავტორი სამართლიანად გახაზავს, რომ შესატყვისობის შემჩნევის გარდა, აუცილებელია მათი ურთიერთობის ისტორიული დახასიათება: უნდა გაიარკვეს — რომელი ბგერა არის უწინარესი და რომელი — შერმინდელი. ზოგჯერ უფრო რთული საკითხიც ჩნდება: იქნებ ორივე გვიანდელი იყოს, მომდინარეობდეს მესამე — უძველესი — ბგერისაგან? ისტორიის გაუთვალისწინებლად შედარებას მეცნიერული ღირებულება არა აქვს.

ავტორი მაგალითისათვის მიმოიხილავს დაღესტნის ენებში „ძმის" აღმნიშვნელ სიტყვათა ბგერადობას. მათი ძირი წარმოდგენილია ჩ, ზ, შ და მაგარი ს, ც, წ თანხმოვნებით სხვადასხვა ენებში. ვარაუდობდნენ, რომ აქ პირველადია მაგარი ც; რაც შეეხება დანარჩენებს, ისინი ამ მაგარი ც ბგერის რეფლექსებიაო... ნამდვილად, როდესაც ისტორია იქნა გათვალისწინებული, აღმოჩნდა, რომ პირველადია სულ სხვა ბგერა — ძ, და ცვლილებათა გზაც უფრო რთული ყოფილა, ვიდრე ადრე ეგონათ.

გავრცელებული შეხედულების საპირისპიროდ ავტორი აღნიშნავს, რომ „კანონზომიერი ფონეტიკური ცვლილებები ამ ენებს ისევე ახასიათებს, როგორც სხვა ენებს. ოღონდ მათი მიკვლევა ბევრად უფრო ძნელია, ვიდრე სხვა მონათესავე ენებში", და ჩამოთვლის ამ სიძნელის მიზეზებს:

იბერიულ-კავკასიურ ენებს დიდი ცვლილებები განუცდიათ დიფერენციაციის შემდეგ;

ფონეტიკური ცვლა ამ ენებში ნაირგვარი მიმართულებით მომხდარა;

შესადარებელ ენებში ჩვენს ხელთ არსებული ფაქტები სხვადასხვა ქრონოლოგიური დონისაა (ამიტომ შედარებას უთუოდ უნდა უძღოდეს შესადარებელ ფაქტთა ისტორიის გათვალისწინება);

ენის შინაგან განვითარებასთან ერთად დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იბერიულ-კავკასიურ ენათა კონტაქტებს როგორც ერთმანეთთან, ისე სხვა წარმოშობისა და სტრუქტურის ენებთან, რაც ძალზე აძნელებს შედარების გზით ნამდვილი ისტორიის დადგენას.

* * *

იბერიულ-კავკასიურ ენებში დიდ ინტერესს იწვევს სიტყვის აგებულება და მიმოხრა (ბრუნება-უღვლილება). ამ მხრივ სხვადასხვა ენას შორის შენიშნული ერთგვაროობა უძველესია, განსხვავებები კი, როგორც გაარკვია „შესავლის“ ავტორმა, გვიანდელი ყოფილა. ამასთანავე, სტრუქტურული სხვაობა დღეს შეინიშნება ახლო მონათესავე ენებს შორისაც. ძირითადი განსხვავება იბერიულ-კავკასიურ ენათა მორფოლოგიის ფაქტებს შორის იმაში მდგომარეობს, რომ აფხაზურ-ადიღურ ენებში სახელის ბრუნება სუსტად არის განვითარებული, ზმნა კი უაღრესად მდიდარია ფორმებით. ჩაჩნურ-დაღესტნურ ენებში, პირიქით, ზმნის უღვლილებაა სადა, ხოლო სახელის ბრუნება მდიდარია.

რაც შეეხება ქართველურ ენებს, აქ ფორმებით მდიდარია სახელიც (თუმცა ამ მხრივ დიდად ჩამორჩება დაღესტნური ენების სახელს) და, მით უფრო ზმნა (თუმცა ისიც ფორმების მრავალფეროვნებით ვერ შეედრება აფხაზურს). ამრიგად. მორფოლოგიის მიხედვით ქართველური ენები შუალედურ როლს წარმოადგენს ნახურ-დაღესტნურ და აფხაზურ-ადიღურ ენებს შორის.

ყველა იბერიულ-კავკასიურ ენას ერთგვარი აქვს სიტყვის აგების პრინციპი. ესაა ე. წ. **აგლუტინაცია:** ყოველ გრამატიკულ მნიშვნელობას (ფუნქციას) ცალკე ნიშანი (აფიქსი) გადმოსცემს; თითოეულ აფიქს მხოლოდ ერთი მნიშვნელობა აქვს. მაგალითად, ვაკეთებთ-სიტყვაში თავკიდური **ვ**- მხოლოდ მოლაპარაკის მოქმედებაზე მიუთითებს, ბოლოკიდური **-თ** მხოლოდ მის სიმრავლის აღნიშნავს (შდრ. რუს. **делаем**, სადაც **ем**-დაბოლოებაში ორივე ფუნქცია არის შეერთებული: ერთდროულად სიმრავლესაც გამოხატავს და პირველ პირსაც).

მეორეულია, გვიანდელია ისეთი ვითარება, სადაც ეს პრინციპი დარღვეულია — ერთი აფიქსი რამდენიმე მნიშვნელობით იხმარება, ან ერთ ფუნქციას რამდენიმე აფიქსი ასრულებს. მაგალითად, აშკარად გვიანდელია ქართულ ზმნაში **-ენ**-დაბოლოებიც, როგორც რიცხვის, ისე პირის გამოხატავს: **წერ-ენ** თავდაპირველად **-ენ**′ საც ერთი დანიშნულება ჰქონდა — მხოლოდ რიცხვს გამოხატავდა (მესამე პირის ნიშანი მაშინ არ არსებობდა).

ასევე გვიანდელია, მეორეულია იბერიულ-კავკასიურ ენებში გრამატიკული ელემენტების, **აფიქსების** გამოყენება სიტყვის ბოლოში **სუფიქსად** (ბოლოსართად). ჩვენს ენებში ისტორიულად ადრინდელია პრეფიქსაცია. ქართულ ზმნაში სუბიექტის (მოქმედის) ნიშნად I და II პირში პრეფიქსები გვაქვს: **ვ-არ, ხ-არ.** ეს უფრო ძველი მოვლენაა, ვიდრე III პირის გამოხატვა სუფიქსის მეშვეობით: **არ-ი-ს.** ზოგ მთის იბერიულ-კავკასიურ ენებში კლასოვან-პიროვანი უღვლილება გვაქვს — ზმნაში წარმოდგენილია სუბიექტის პირიცა და ობიექტის (დამატების) კლასიც. ამ ენებში კლასიც გრამატიკული კატეგორია უფრო ადრინდელია, რაკი იგი პრეფიქსით არის გადმოცემული, ხოლო პირის კატეგორია — გვიანდელია: „მე დავიჭირე ჩიტი“ თაბასარანულში ასე ითქმის: **იზუ ბ-ისნუ-ზა ჯაყა,** სადაც წინსართი **ბ-** ობიექტის (ჩიტის) კლასს გამოხატავს (და ადრინდელია), ხოლო სუფიქსი **-ზა** — სუბიექტის, მოქმედის პირს (და გვიანდელია).

ჩვენს ენებში აგლუტინაციის და პრეფიქსაციის როლის გარკვევით არნ. ჩიქობავამ გზა გაუხსნა იბერიულ-კავკასიურ ენათა ისტორიული მორფოლოგიის ურთულეს საკითხთა კვლევას.

* * *

ნაშრომში დაწვრილებით არის განხილული **კლას-კატეგორიის** საკითხი, რადგან „გრამატიკული კლასის კატეგორია მთელ მორფოლოგიას განსმჭვალავდა“, იგი დღესაც უაღრესად მნიშვნელოვან როლს ასრულებს ამ ენათა სიტყვის მიმოხრაში — სახელის ბრუნებაში და ზმნის უღვლილებაში.

გრამატიკული კლას-კატეგორია არის სახელების დაჯგუფება **იმის მიხედვით,** თუ რა დირებულება მიეწერება ენობრივი **კოლექტივის** მიერ სათანადო **საგნებს. იბერიულ-კავკასიური** ენებისათვის **ძირითადია პიროვნების** (პირველ ყოვლისა — **მამაკაცის**) **და** დანარჩენ **საგანთა** თუ მოვლენათა („ნივთთა“) **სახელების** გარჩევა, რაც, სხვათა შორის, ქართულში შემოინახენილია „ვინ“ **და „რა“** კითხვების გარჩევით (ეს კითხვები ქართულში ადამიანს და არაადამიანს **არჩევს, განსხვავებით** რუსულისაგან, **სადაც მსგავსი კითხვებით** გარჩეულია სულიერი **და უსულო**).

ამჟამად გრამატიკულ კლასთა **გამოყენების** მიხედვით **სხვადასხვაგვარი** მდგომარეობაა სხვადასხვა **იბერიულ-კავკასიურ** ენაში. **ზოგში**

ეს კატეგორია მოშლილია, მაგალითად, ქართველურ ენებში, მეტ წილ აფხაზურ-ადიღეურ ენებში — ადიღეურში, უაბარდოულში და უბიხურში, დაღესტნურ ენათაგან — ლეზგიურში, აღულურში და უდიურში. ამ მხრივ განსხვავება ზოგჯერ ერთი ენის ფარგლებშიც გვაქვს: თაბასარანული ენის ჩრდილოური კილო განასხვავებს გრამატიკულ კლასებს, სამხრეულ კილოში კი კლასის კატეგორია თითქმის გამქრალია.

ერთგვარი სურათი არ გვაქვს იმ ენებშიც, სადაც გრამატიკული კლასები გარჩეულია; მაგ., თაბასარანული განასხვავებს მხოლოდ ორ კლასს — ადამიანისას და ნივთისას; ხუნძურში და კიდევ რამდენსამე დაღესტნურ ენაში სამ-სამი კლასია გარჩეული — ადამიანი-მამაკაცი, ადამიანი-ქალი და ნივთი; ბოლოს, ყველა ნახურსა და ბევრ დაღესტნურ ენაში გარჩეულია ოთხი კლასი — ამ ენებში ნივთთა ორი კლასი გაირჩევა.

ადრინდელია პიროვნების (-მამაკაცის) დაპირისპირება საგნებისათვის (რომელსაც ქალებსაც მიაკუთვნებდნენ). პირველი (ადამიანის-მამაკაცის) კლასის ნიშანია ვ, ნივთის კლასისა — დ (და მისი ფონეტიკური სახესხვაობანი — რ, ჲ, ნ, ლ).

საკმაოდ ძველი ჩანს „რა"-კატეგორიის სახელების წარმოდგენა ბ და დ ნიშნიან სახელებად, რაც სათანადო საგნების მეტ-ნაკლებ ფასეულობაზე მიუთითებდა.

უფრო გვიანდელია ადამიანთა მეორე (ქალის) კლასის გამოყოფა ნივთთა კლასიდან. მისი ნიშანი ჲ წარმოადგენს ნივთის კლასის დ ნიშნის სახესხვაობას.

შემდეგი განვითარების შედეგია ჯერ „რა"-კატეგორიის ორი კლასის გაერთიანება და შემდეგ, ასევე, „ვინ"-კატეგორიის ორი (მამაკაცისა და ქალის) კლასის გაერთიანება.

კლასის ნიშანთა ცვლის ისტორიის დაწვრილებითი შესწავლის შედეგად ავტორმა ამჟამინდელი ძალზე რთული და მრავალფეროვანი სურათიდან აღადგინა გრამატიკულ კლას-კატეგორიათა განვითარების ასეთი საფეხურები: I. ორი კლასი — „ვინ" (მამაკაცი, ვ ნიშნით) და „რა" (დანარჩენი); II სამი კლასი — ერთი „ვინ" და ორი „რა" (ბ, დ); III. ოთხი კლასი — ორი „ვინ" (ვ, ჲ) და ორი „რა" (ბ, დ); IV. სამი კლასი — ორი „ვინ" და ერთი „რა" (ბ); V. ორი კლასი — „ვინ" (მეორე კლასის ფორმანტებით) და „რა" ნივთის კლასის ფორმანტებით); შემდგომი საფეხური — გრამატიკული კლასების მოშლა — წარმოდგენილია, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართველურ, მეტ წილ აფხაზურ-ადიღურ და ზოგ დაღესტნურ ენაში.

თუ რომელი კლასისაა არსებითი სახელი — ამჟამად ირკვევა მასთან შეხამებული სიტყვების მიხედვით. მაგალითად, ხუნძურში სიტყვა ემენ („მამა") პირველი (ვ-) კლასის რომ არის, ეს ჩანს მასთან შეხამებული ზმნიდან: ემენ ვ-უგო („მამაა", შდრ. ტილ ბ-უგო „ჯოხია"), ან ზედსართავიდან: ჰიტინა-უ ვას („პატარა ვაჟი").

ძველად კლასის ფორმანტები თვით სუბსტანტივებსაც (არსებით სახელებსაც) უნდა ჰქონოდათ, რაც ამჟამად ჩანს ფუძესთან შეხორცებულ კლასის ნიშნებში: ხუნძ. ვაც „ძმა" — ჲაც „და". „გულის" აღმნიშვნელი სიტყვა ხუნძურში არის რაკ, ბაცბურში — დაკ... (ძირეული კ იგივეა, რაც ბ ქართულ გულ-სიტყვაში).

ქართულ-ქართველურ ენებში გრამატიკული კლასის გარჩევა დიდი ხანია, გამქრალია. მის გადმონაშთს წარმოადგენს მ და სა-წინსართიანი მიმღეობების შინაარსობლივი გარჩევა: გამჭრელი (ადამიანი) — გასაჭრელი (ნივთი), მეხრე — სახრე და სხვ. ფუძეს შეხორცებულია მ- შემდეგს სიტყვებში: მეგრელი (შდ. ეგრისი), მროველი (—რუისი), ს-:ხძე (შდრ. სვან. ლსჯე), სვლა (—ვალს), სიმღერა და სხვ.

გრამატიკულ კლასთა ისტორიის აქ წარმოდგენილი სურათის ფონზე გასაგები გახდება იბერიულ-კავკასიურ ენებში ბრუნება-უღლილების ბევრი თავისებურება.

* * *

ბრუნვის დანიშნულებაა — გამოხატოს სინტაქსური ურთიერთობა სიტყვათა შორის.

ბრუნების მხრივ იბერიულ-კავკასიური ენების თავისებურება ისაა, რომ მათ, მაგ., ინდოევროპულ ენათაგან განსხვავებით, აქვთ მოთხრობითი (ერგატიული) ბრუნვა მხოლოდ აქტიური სუბიექტისათვის (კაცმა გააკეთა, შდრ. კაცი დგას) და არა აქვთ ბრალდებითი ბრუნვა (აკუზატივი), ურომლისოდაც ხსენებულ ენათა ბრუნების სისტემა წარმოუდგენელია.

ინდოევროპული და იბერიულ-კავკასიური ენებისათვის საერთო ბრუნვებიც — სახელობითი და მიცემითიც ძალზე თავისებურია ჩვენს ენებში: სახელობითი ბრუნვა ინდოევროპულ ენებში მხოლოდ ქვემდებარის ბრუნვაა, თანაც ქვემდებარის ერთადერთი ბრუნვაა; იბერიულ-კავკასიურ ენებში, ჯერ ერთი, ქვემდებარის ბრუნვად მოთხრობითიც ვამოდის და, შემდეგ, სახელობითში დაისმის უახლოესი (პირდაპირი) დამატებაც (რაც ინდოევროპული ენებისათვის უჩვეულოა): კატამ (ქვემდებარე მოთხრობითში) დაიჭირა თაგვი (დამატება სახელობითში), შდრ. кошка (ქვემდებარე სახელობითში) поймала мышку (დამატება ბრალდებითში); მიცემითი ბრუნვა ინდოევროპულ ენებში შორეული (ირიბი) ობიექტის ბრუნვაა, ქართულში კი მიცემით ბრუნვაში უახლოესი (პირდაპირი) დამატებაც შეიძლება იდგეს (იჭერს თაგვს).

მოთხრობითი (ერგატივი) თუმცა თითქმის ყველა იბერიულ-კავკასიურ ენას მოეპოვება (და ამით განსხვავდებიან ისინი ინდოევროპული ენებისაგან), მაგრამ სხვადასხვა ენაში ეს ბრუნვა სხვადასხვა ბუნებისა ჩანს (ისტორიულადაც და თანამედროვე ვითარების მიხედვითაც): ზოგან არსებობს თავისთავადი ერგატივი (მაგ., ქართულში -მ დაბოლოება არც ერთ სხვა ბრუნვას არა აქვს გარდა მოთხრობითისა), ზოგან კიდევ ერგატივი საზიაროა სხვადასხვა ბრუნვასთან: მოთხრობით-მოქმედებითი (ხუნძურ-ანდიურ ენებში), მოთხრობით-ნათესაობითი (ლაკურში), მოთხრობით-ადგილობითი (ლეზგიურში), მოთხრობით-გარდაქცევითი (სვანურში)...

მაგრამ ამ მრავალფეროვნების შესწავლის შედეგად ავტორმა დაადგინა ერგატივის ჩამოყალიბების პროცესის სხვადასხვა საფეხური: უძველესი ვითარება წარმოდგენილია იმ ენებში, სადაც ნაცვალსახელებში გაუდიფერენცირებელია სახელობითი და მოთხრობითი ბრუნვები და მხოლოდ შემდეგ გამოეყო ერგატივი სახელობითს როგორც პიროვნების ბრუნვა.

ქართული და სხვა იბერიულ-კავკასიური ენების ბრუნვათა ისტორიულ-შედარებითმა ანალიზმა თვალსაჩინო გახადა აგრეთვე სხვა ბრუნვათა ისტორიული თანმიმდევრობა: ყველაზე ადრე ჩამოყალიბებულა მოქმედებითი და გარდაქცევითი (ვითარებითი) ბრუნვები — კაცით, კაცად: ეს ბრუნვები ახლოს დგანან სიტყვაწარმოებით ელემენტებთან და არ გამოხატავენ სინტაქსურ ურთიერთობას სიტყვათა შორის; შემდეგი საფეხურია ნათესაობითისა და მიცემითის ჩამოყალიბება: კაცის, კაცს; ყველაზე „ახალგაზრდა“ ბრუნვები სახელობითი და მოთხრობითია: კაცი, კაცმა. მათი ბრუნვის ნიშნები განსაზღვრულ ნაწევრებს ეტოლება.

ჩამოთვლილ ბრუნვათა შორის ყველაზე მეტად გადმოსცემენ სინტაქსურ ურთიერთობას ნათესაობითი და მიცემითი. ამასთანავე, მათ ჩამოყალიბებაში მონაწილეობდნენ გრამატიკული კლასის ფორმანტები, რისი კვალიც რიგ ენათა ამჟამინდელ ბრუნვის ფორმებში გვაქვს. მაგ., ხუნძური ენის ანწუხური დიალექტი ოთხგვარად გაარჩევს მიცემითს იმის მიხედვით, თუ სათანადო სიტყვა რომელი კლასის სიტყვას მიემართება: თუ უნდა ითქვას, რომ „შამილს ძმა უყვარს“, მიცემითში I კლასის (ძმის) ნიშანი ჩნდება — შამილი-ვ-ე; „დედის“ შემთხვევაში — II კლასის ნიშანი — შამილი-ბ-ე, სამშობლოსთან („შამილს უყვარს სამშობლო“) — III კლასისა — შამილ-ბ-ე და, ბოლოს, თუ უნდა თქვან, რომ „შამილს უყვარს ბავშვი“, მიცემითი ბრუნვაში IV კლასის ნიშანი რ ჩნდება: შამილ-რ-ე.

გრამატიკულ კლასთა განსხვავება ნათესაობით ბრუნვასაც შეუძლია. მაგ., ანდიურში „მამის ძმა“ არის იმუ-ვ ვოცი, „მამის და“ — იმუ-ბ ბოცი, „მამის ცხენი“ — იმუ-ბ ბოტუ. წარმოშობით კლასის ნიშნებს წარმოადგენენ ქართულშიც ნათესაობით-მიცემითის -ს, მოქმედებით-გარდაქცევითი -დ(/თ), და სვანური -ნ.

* * *

ამჟამად იბერიულ-კავკასიურ ენათა ზმნები მნიშვნელოვნად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. დროის კატეგორია ყველა ენას მოეპოვება, მაგრამ სხვადასხვაგვარია ვითარება კილოს და, საერთოდ, მოდალურ კატეგორიათა ქონების მიხედვით. მაგალითად, შესაძლებლობის შინაარსს ქართული ენა ნაწილაკებით გადმოსცემს — არ, ვერ (არ ვიტყვი — ვერ ვიტყვი), ხოლო პოტენციალისის (შესაძლებლობის) გრამატიკული კატეგორია მკაფიოდ არის გამოხატული ზანურში (ვა მარაგადე „არ მეთქმება“ — ვერ ვიტყვიო, ამის გაგებით), დასტურდება იგი აფხაზურშიც. მაგრამ ქართულშივე შესაძლებლობის გაგება შეიძლება შემორჩენილი ჰქონდეს ვნებითი გვარის ზმნასაც: იჭმება ნიშნავს „შეიძლება შეიჭამოს“, არ იჭმება — შეუძლებლობის ვერ-ნაწილაკის გარეშე — „არ შეიძლება შეიჭამოს“.

ქცევა — კუთვნილების კატეგორია ყველაზე მკაფიოდ ქართულში და სხვა ქართველურ ენებშია წარმოდგენილი (სასუბიექტო აკეთებს, საობიექტო უკეთებს). საობიექტო ქცევა ადიღურ ენებშიც გვაქვს, ნახურ-დაღესტნურ ენათა ზმნა კი საერთოდ არ იცნობს ქცევის კატეგორიას.

გვარის სისტემაც მხოლოდ ქართველურ ენებში არის ჩამოყალიბებული (მოქმ. აკეთებს — ვნებ. კეთდება), იბერიულ-კავკასიურ ენათა დანარჩენ სამ ჯგუფში (ადიღურ-ნახურ-დაღესტნურში) ვნებითი მხოლოდ ჩანასახურად გვხვდება.

უღვლილების მიხედვითაც ნაირ-ნაირი ვითარება გვაქვს იბერიულ-კავკასიურ ენათა ზმნებში: ქართულში (და ზანურ-სვანურში) პიროვანი უღვლილება გვაქვს, ე. ი. ზმნა გარჩეულია იმის მიხედვით — მოქმედი მოლაპარაკეა (ვაკეთებ), თანამოსაუბრეა (აკეთებ) თუ სხვა ვინმეა (აკეთებს).

ხუნძურში, ანდიურ-დიდოურში და ჩაჩნურ-ინგუშურში კლასოვანი უღვლილება გვაქვს — ზმნა გარჩეულია იმის მიხედვით, თუ რომელ კლასს განეკუთვნება მთქმელი: ვაჭანა I კლასისაა, ბაჭანა II კლასისა, ბაჭანა — III-ისა, ხოლო პირი განსხვავებული არაა — თითოეული დასახელებული ზმნური ფორმა საზიაროა სამივე პირისათვის (ე. ი. „მოვედი“, „მოხვედი“, „მოვიდა“ ზმნაში არ არის გარჩეული). კლასოვანი უღვლილება გარეგნულად მოგვაგონებს რუსულ ზმნას ნამეთ სრულში

сделал — сделала-ფორმებით ვერ გავიგებთ მკეთებელი მოლაპარაკეა, თუ სხვა ვინმე, მაგრამ კარგად ვიცით — მოქმედი მამრობითია თუ მდედრობითი.

უღვლილების მესამე ტიპი — კლასოვან-პიროვანი უღვლილება არსებობს აფხაზურ-აბაზურში, ნახურ ენათაგან — ბაცბურში და დაღესტნური ენებიდან — ლაკურში, დარგუულში, თაბასარანულში და სხვ. ამ ენებში ზმნა იუღვლის როგორც პირის, ისე კლასის მიხედვით. მაგ., ლაკურში I პირის („ვარ") ფორმებია: (ვ)ურა I კლასში, ბურა III კლასში...

დაბოლოს, ლეზგიურსა და ალულურში ზმნა არ იცვლება არც პირისა და არც კლასის მიხედვით.

* * *

ზმნა შეიძლება იცვლებოდეს ჩვენს ენებში არა მხოლოდ მოქმედის პირისა თუ რიცხვის მიხედვით, არამედ სამოქმედოს (ობიექტის) მიხედვითაც. ობიექტის პირის მიხედვით იცვლება ზმნა, მაგ., ქართულში: მაქო, გაქო... ობიექტის კლასის მიხედვით ზმნა იცვლება ხუნძურში: „აქო-აქე-ვაქე" ვეცანა დოუ, მუნ, დუნ I კლასისაა: „აქო (მამაკაცი)", ჲეცანა დოუ, მუნ, დუნ II კლასისაა: „აქო დედაკაცი)".

კლასოვან-პიროვანი უღვლილების მაგალითი ზემოთ მოვიყვანეთ თაბასარანულიდან (იზუ ბისნუზა ჯაკა „მე დავიჭირე ჩიტი", რომელშიც ბოლოსართი -ზა ქვემდებარის პირზე მიუთითებს, ხოლო თავსართი ბ- დამატების (ჩიტის) კლასზე).

თუ ყველა იბერიულ-კავკასიურ ენას შევადარებთ ერთმანეთს, კიდევ უფრო თვალსაჩინო იქნება მრავალფეროვნება უღვლილებაში. მაგრამ გაღრმავებულმა ანალიზმა გაარკვია, რომ უღვლილების ეს ნაირნაირი ტიპები წარმოადგენენ განვითარების ერთი ხაზის სხვადასხვა საფეხურს: უძველესია კლასოვანი უღვლილება; მის გართულებას წარმოადგენს კლასოვან-პიროვანი, რომელიც შემდეგ გამარტივდა და პიროვანი უღვლილება მოგვცა. რაც შეეხება ლეზგიურსა და ალულურ ენებს, იქ გრამატიკული კლასების გარჩევა მოიშალა, პირის კატეგორია კი არ განვითარებულა.

ქართველურ (და ადიღურ) ენებში პირის ნიშნად გამოყენებულია ნაცვალსახელური ნაწილაკები (მაგ., I ობიექტური პირის პრეფიქსი მ- აქებ — მომდინარეობს მე ნაცვალსახელიდან), ან ძველი კლასის ნიშანი (მაგ., I სუბიექტური პირის ნიშანი ვ- ვაქებ — წარმოშობით შეიძლება იყოს I გრამატიკული კლასის ნიშანი ვ).

ქართულის კიდევ ერთი თავისებურება ეხმაურება მთის კავკასიურ ენათა უღვლილებას: ძველ ქართულ ზმნაში არ აღინიშნება სახელობითში დასმული ობიექტის პირი, ხოლო მისი მრავლობითობა გამოხატულია, ეს კი კლასოვანი უღვლილების პრინციპია (აღინიშნოს ობიექტის კლასი და რიცხვი და არა პირი).

იბერიულ-კავკასიური ენები უღვლილების შემთხვევაშიც არა მხოლოდ სტრუქტურულ მსგავსებას ამჟღავნებენ: აქ მახალობრივადაც საერთო მონაცემებთან გვაქვს საქმე. გარდა ზემოთ დასახელებული ვ- ფორმანტისა (რომელიც ქართულში I სუბიექტურ პირს გადმოსცემს და წარმოშობით კი საერთო იბერიულ-კავკასიური კლასის ნიშანია), საერთო იბერიულ-კავკასიურ მორფოლოგიურ ინვენტარს მიეკუთვნება, აგრეთვე, ქართველურ ენათა აფიქსებში დადასტურებული ლ, რ.

* * *

ცალკე სიტყვათა აგებულების დახასიათების შემდეგ ბუნებრივია განხილული იქნეს სხვადასხვა იბერიულ-კავკასიურ ენაში არსებული სიტყვათშეხამებათა (სინტაგმათა) ტიპები და მათი ისტორიული ურთიერთობა.

თუ თანამედროვე იბერიულ-კავკასიურ ენებს ერთმანეთს შევუდარებთ იმის მიხედვით, თუ როგორია მათში წინადადების აგებულება, ისევ საოცარ მრავალფეროვნებას დავადასტურებთ. მაგრამ ისტორიული თვალსაზრისის მომარჯვებამ და წინადადების ტიპთა გამოწვლილვით შესწავლამ საშუალება მისცა „შესავლის" ავტორს ამ მრავალფეროვნებაში მიეგნო ერთიანი პრინციპისათვის და ეჩვენებინა, რომ წინადადების ტიპთა მრავალგვარობა ნამდვილად წარმოადგენს ერთიანი პროცესის გამოვლინებას.

წინადადება როგორც „პრედიკატული სინტაგმა" გადმოგვცემს მსჯელობას და, მაშასადამე, შეიცავს სუბიექტს და პრედიკატს. წინადადებაში — მზე ანათებს — სუბიექტია მზე, პრედიკატი — ანათებს. მაგრამ ირკვევა, რომ მოჩვენებითია ზედმიწევნილი შესაბამისობა, რასაც ვარაუდობენ როგორც (ენობრივ) წინადადებასა და (ლოგიკურ) მსჯელობას შორის, ასევე ქვემდებარესა და ლოგიკურ სუბიექტს, შემასმენელსა და ლოგიკურ პრედიკატს შორის.

წინადადებისა და მსჯელობის გათანაბრება იმიტომაცაა მიუღებელი, რომ წინადადების ანალიზისას გამოყოფილ მის წევრებს — დამატებას, გარემოებას და განსაზღვრებას — ვერ ვუპოვით შესაბამის ცნებებს ლოგიკურ მსჯელობაში.

ამიტომ ავტორი წინასწარი, აღწერითი ანალიზის საჭიროებისათვის გვთავაზობს „ლოგიკური სუბიექტის" ნაცვლად გამოთქმას „რეალურ სუბიექტს" მოქმედის, აქტიური პირის აღსანიშნავად და, შესაბამისად, „რეალურ ობი-

ექტს" — უმოქმედოს, მოქმედების საგნის აღსანიშნავად.

იბერიულ-კავკასიურ ენებში რეალური სუბიექტი სულ სხვადასხვა ბრუნვით გადმოიცემა — ზმნის აგებულებისადა მიხედვით:

სახელობითი ბრუნვით (ბავშვი ტიტინებს, დედა ხალათს კერავს).

მოთხრობითით ანუ ერგატივით (დედამ ხალათი შეკერა).

მიცემითი ბრუნვით (დედას ხალათი შეუკერავს, მკითხველს წიგნი მოეწონა).

მოქმედებითით (ხუნძური ინსუცა ბოშტოცა წულ ყოტანა „მამამ („მამით") ნაჯახით შეშა დაჭრა").

ნათესაობითი ბრუნვით (ლაკური თანალ ჩალარ ჩივჩუნნი „მან წერილი დაწერა" — ზედ მიწევნით: „მისი წერილი დაწერა").

ადგილობითი ბრუნვით (ხუნძური დიდა ბოხ'ულა რუყ „მე ვხედავ სახლს" — ზედმიწევნით: „ჩემდა ჩანს სახლი").

ბოლოს, რეალური სუბიექტი გადმოიცემა გაუფორმებელი ფუძით (ძველ ქართულში სახელობით და მოთხრობით ბრუნვათა ნაცვლად გამოყენებულია ოდენ ფუძე: აბრაამ შვა ისაკ; გაუფორმებელ ფუძეს წარმოადგენს ნაცვალსახელიც, რომელიც სახელობითი, მოთხრობითი თუ მიცემითი ბრუნვის ფუნქციით გამოიყენება: მე შენ გეკითხები, შენ მე მეკითხები, ვაშენებ მე (სახ. ბრ.), ავაშენე მე (მოთხრ. ბრ.), ამიშენებია მე (მიც. ბრ.)... ქართულში ამ ნაცვალსახელებში შემორჩენილია უძველესი ვითარება, რომელიც ამჟამად აფხაზურის ყველა სახელს ახასიათებს. კავკასიის მთიანეთის სხვა ენები ამ მხრივ სხვადასხვაობას გვიჩვენებს: ადიღურ ენებში ნაცვალსახელებს I-II პირში არც მიცემითი ბრუნვა აქვთ, არც მოთხრობითი, ნახურ-დაღესტნურში მიცემითი ყველა ენას აქვს, ხოლო მოთხრობითი ზოგსა აქვს, ზოგ ენაში კიდევ ამჟამად ყალიბდება.

რეალური სუბიექტის შვიდნაირი ბრუნვით გადმოცემის შესაბამისად ლაპარაკობენ წინადადების შვიდნაირ კონსტრუქციაზე (წყობაზე): სახელობითიანი (ნომინატიური), მოთხრობითიანი (ერგატიული), მიცემითიანი (დატიური) და ა. შ.

ამათგან მხოლოდ გარკვეული შინაარსის (გრძნობის გადმომცემ) ზმნას ახასიათებს მიცემით-ბრუნვიანი წყობა, მხოლოდ გარდამავალ ზმნას — მოთხრობითიანი წყობა (ერგატიული კონსტრუქცია), რაც შეეხება ნომინატიურ (სახელობითიან) კონსტრუქციას, იგი გარდამავალ ზმნასთანაც გვხვდება და გარდაუვალთანაც.

ავტორი ჩვენი ენების ვითარებას ამ მხრივ ადარებს ინდოევროპულისას და ასეთ სურათს წარმოაჩენს:

ჩვენი მიცემითიანი წყობა გვაგონებს ინდოევროპულ ენათა დატიურ კონსტრუქციას — იგი ორივეგან გვხვდება გრძნობის გამომხატველ გარდაუვალ ზმნებთან (მას მოსწონს — ему нравится)...

სახელობითიანი კონსტრუქცია ინდოევროპულ ენებსაც მოეპოვება, მაგრამ, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, მისი გამოყენება მაინც დიდად განსხვავდება ჩვენი ენებისაგან: ინდოევროპულ ენებში სახელობითი იხმარება მხოლოდ ქვემდებარისათვის, რეალური სუბიექტისათვის, და ქვემდებარე მუდამ სახელობითში დგას. ჩვენში კი სახელობითი გადმოსცემს რეალურ ობიექტსაც (დამატებასაც), ამასთანავე, სუბიექტის ბრუნვადაც მხოლოდ გარდაუვალ ზმნებთან გვხვდება: он лег, он прочел книгу ი ხ დაწვა, მ ა ნ წ ა ი კ ი თ ხ ა წ ი გ ნ ი (ი ხ).

რაც შეეხება წინადადების მოთხრობით-ქვემდებარიან წყობას, იგი ინდოევროპულ ენებში არ გვხვდება, ამდენად ერგატიული კონსტრუქცია ყველაზე თავისებურია იბერიულ-კავკასიურ ენებში.

წინადადების ერგატიული კონსტრუქცია სამწევროვანია; მასში შედის გარდამავალი ზმნა, რომელსაც ეხამება მოთხრობითში დასმული რეალური სუბიექტი და სახელობითში დასმული რეალური ობიექტი: მხატვარმა ხურათი დახატა. შინაარსით მისი მსგავსია წინადადება ინდოევროპიულ ენებში, მაგ., რუსულში: художник нарисовал картину, მაგრამ წყობა აქ არსებითად არის განსხვავებული: ქვემდებარე იქ სახელობითში დგას (художник), ხოლო რეალური ობიექტი, უახლოესი დამატება ინდოევროპულ ენებში მხოლოდ აკუზატივში (ბრალდებით ბრუნვაში) შეიძლება იდგეს (картину).

სხვადასხვა იბერიულ-კავკასიურ ენაში, როგორც ზემოთ ითქვა, მოთხრობითი ბრუნვის გამოყენების თვალსაზრისით სხვადასხვაგვარი ვითარება არსებობს, მაგრამ „უაკუზატივო" დამატება უკლებლივ ყველა იბერულ-კავკასიურ ენას ახასიათებს. ამიტომ არნ. ჩიქობავა ირჩევს (და სამართლიანადაც) — უაკუზატივო კონსტრუქციად დახასიათდეს წინადადების წყობა იბერიულ-კავკასიურ ენებში: ეს გამართლებულია როგორც აღწერითი ანალიზის მიხედვით, ისე, მით უფრო, ისტორიული თვალსაზრისით.

ერგატიულ კონსტრუქციაში სახელის ბრუნვათა თავისებურებას გარდამავალი ზმნის თავისებურება იწვევს. ამდენად „ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა" ნამდვილად წარმოადგენს გარდამავალი ზმნის პრობლემას (ამიტომ ერგატიული კონსტრუქციის პრობლემა ისმის აფხაზურშიც, რომელსაც თუმცა საზოგადოდ ბრუნვები არა აქვს, მაგრამ ერგატივიანი წინადადების თავისებურება იქ ვლინდება ზმნაში — პირის ნიშანთა თავისებურ გამოყენებაში).

რას წარმოადგენს იბერიულ-კავკასიურ ენათა

გარდამავალი ზმნის ის თავისებურება, რამაც ერგატიული კონსტრუქციის არსებობა შეაპირობა? რა ბუნების არის **ზმნა ჩვენს** ენებში? ამ კითხვაზე კავკასმცოდნეობაში სამგვარი პასუხი არსებობს:

ა) ერგატიულ კონსტრუქციაში **გარდამავალი ზმნა პასიურია,** ვნებითი გვარისაა. **არნ. ჩიქობავამ** აჩვენა, რომ ერგატიული კონსტრუქციის პასიურობის მტკიცება უსაფუძვლოა, რამდენადაც სადაც „პასიურზე" ვლაპარაკობთ, იქ „აქტიურიც" უთუოდ უნდა გვქონდეს (პასივი აქტივის შებრუნებაა), ხოლო აქტიური (მოქმედებითი გვარის) ზმნა ენას არ მოეპოვება. ამასთანავე, ვნებითის (პასიურობის) მორფოლოგიური ნიშნები სათანადო კონსტრუქციის შემქმნელ ზმნას არა აქვს. გაუმართლებელია ზმნასთან შეხამებული სახელის ბრუნვის მოშველიებაც: საზიარო მოქმედებით-მოთხრობითი ბრუნვა მხოლოდ ზოგიერთ ენაში გვხვდება (ამიტომ ვერ დავიყვანთ საზოგადოდ მოთხრობითს მოქმედებითზე, რასაც უსლარმა მიმართა). უსაფუძვლო ქართული მოთხრობითის მიცემითთან გაიგივებაც (ამას ამტკიცებდა მარი სემიტურ ენებთან ნათესაობის მცდარი ვარაუდით).

ბ) ერგატიულ **კონსტრუქციაში ზმნა აქტიურია,** მოქმედებითი გვარისაა. იბერიულ-კავკასიურ ერგატივს (მოთხრობითს) ინდოევროპული ნომინატივის (სახელობითის) მსგავსად საგანგებო ნიშანი აქვს, ხოლო იბერიულ-კავკასიური სახელობითი უნიშნოა ინდოევროპული აკუზატივივითო, ამიტომ ინდოევროპულის მსგავსად იბერიულ-კავკასიური ზმნაც აქტიურიაო. მაგრამ **ეს** მტკიცება ფაქტობრივ ვითარებას ეწინააღმდეგება — ნიშანი სახელობითსაც აქვს ქართულში.

გ) ზმნა ნეიტრალურია: გარდამავალი ზმნა **იბერიულ-კავკასიურ ენებში** არც პასიური, ვნებითი **გვარისა** არ არის და არც აქტიური, **მოქმედებითი გვარისა.**

იბერიულ-კავკასიურ ენათა გარდამავალი ზმნის ნეიტრალურობის თეორია შექმნა და განავითარა არნ. ჩიქობავამ, რომელიც ჯერ კიდევ სტუდენტობის დროს მიიყვანა ამ საკითხთან ქართული წინადადების გაუგებარმა თავისებურებამ — ქვემდებარე-დამატების ბრუნვაცვალებადობამ.

„აქტივი" და „პასივი", მოქმედებითი და ვნებითი როგორც საპირისპირო ფორმები უცნობია ნახური, დაღესტნური და აფხაზურ-ადიღური ენებისათვის (გრამატიკულ გვარებს მხოლოდ ქართველური ენები გაარჩევენ). ამიტომ არის შეუძლებელი — წინადადების ერგატიული კონსტრუქცია დავახასიათოთ როგორც აქტიური ან პასიური. იბერიულ-კავკასიური ერგატიული კონსტრუქციის მონაწილე **ზმნა** გრამატიკული გვარის **თვალსაზრისით** ინ-**დიფერენტულია, ნეიტრალურია, ამიტომ თვით** წინადადების ერგატიული **კონსტრუქციაც** უნ-**და** დახასიათდეს როგორც ნეიტრალური.

ინდოევროპულ ენებში გარდამავალი ზმნა მოქმედებითი გვარისაა მორფოლოგიურად, სიტყვის აგებულების მიხედვით; ხოლო სინტაქსურად, წინადადებაში იმით ხასიათდება, რომ რეალურ დამატებას აკუზატივში მოითხოვს.

იბერიულ-კავკასიურ ენებში სხვაგვარი ვითარება გვაქვს: ერგატიული კონსტრუქციის წინადადება ვარაუდობს გარდამავლობა-გარდაუვლობის გარჩევას, სათანადო ზმნა კი არ ვანასხვავებს მოქმედებით და ვნებით გვარს.

მართალია, ქართულში გვარი (მოქმედებითი და ვნებითი) გარჩეულია, მაგრამ ეს შედარებით ახალი მოვლენაა; ამას ადასტურებს ის ფაქტი, რომ ძველ, ერგატიულ კონსტრუქციაში მონაწილე საუღლილებელი ერთეულები (მაგ., ნამყო სრული — **შეკერა, აავსო** და მსგ.) ჯერ კიდევ ინარჩუნებენ თავისებურებას გვარის გამოხატვაში: მოქმ. გვარის **შეკერა, აავსო**-ზმნათა საპირისპირო ვნებითია **შეიკერა** „შეკერილი იქნა", **აივსო** „ავსებული იქნა"; მაგრამ იგივე ფორმები მოქმედებითი გვარის სათავისო ქცევასაც გამოხატავს: **შეიკერა** „შეკერა თავისთვის", **აივსო** „აავსო თავისთვის". როგორც ვხედავთ, ნამყო სრულში გარდამავლობა რამდენიმედ ლაბილურია, მერყეობა, ე. ი. ზმნის გარდამავლობა იმაზეა დამოკიდებული, — ახლავს თუ არა მას ობიექტი: **მან შეიკერა კაბა** — აქ **კაბა** ობიექტია, მაშ **შეიკერა**-ზმნაც გარდამავალია (**მან შეიკერა კაბა** „მან თავისთვის შეკერა კაბა"), მაგრამ **კაბა შეიკერა** („შეკერილი იქნა") უობიექტოა, მაშ იგივე **შეიკერა**-ზმნა ახლა გარდაუვალია. (ლაბილური გარდამავლობა სხვა იბერიულ-კავკასიურ ენებშიც გვაქვს, მაგ., **ხუნძური დოს სთაქან ბექანა** „მან ჭიქა გატეხა" — **სთაქან ბექანა** „ჭიქა გატყდა").

ქართულში ლაბილური გარდამავლობა დროთა განმავლობაში შეცვალა სტაბილურმა, კონტექსტისაგან დამოუკიდებელმა გარდამავლობამ: ამჟამად გარდამავალია არა მხოლოდ ობიექტის მქონე **მან დახატა სურათი,** არამედ უობიექტოც: **მან დახატა.** აწმყოში, რომელიც უფრო გვიან წარმოქმნილი ფორმაა, ზმნა ნომინატურ კონსტრუქციას წარმოადგენს: აქ ვნებითი უკვე საბოლოოდ არის გარჩეული სათავისო ქცევისაგან: **შეიკერება — შეკერავს.**

გარდამავლობის ლაბილურ და სტაბილურ სახეობათა **გარჩევით** არნ. ჩიქობავამ მტკიცე საფუძველი შეუქმნა იბერიულ-კავკასიურ ენათა ამ უაღრესად მნიშვნელოვანი თავისებურების სტრუქტურულ-ისტორიულ კვლევას.

ქართულში ლაბილური კონსტრუქცია გადმონაშთის სახითღა გვაქვს. ლაბილური **კონსტ**-**რუქცია** ცოცხალია **კლასოვანი** უღლილების

მქონე ზმნებთან: ზმნა ან შეიხამებს სახელობით ბრუნვაში დასმულ სუბიექტს (და მაშინ ზმნა გარდაუვალია), ან კიდევ — სახელობითში დასმულ ობიექტს (და მაშინ ზმნა გარდამავალია).

გარდამავალი უგვარო ზმნა „უსუბიექტო" იყო — ზმნაში მხოლოდ ობიექტის კლასი ჩანდა. ასეთ ზმნებთან საკუთრივ სუბიექტი ჩნდება პირის კატეგორიის ჩამოყალიბების შემდეგ, ე. ი. კლასოვან-პიროვანი უღვლილების მქონე ზმნის აგებულებაში აისახება არა მხოლოდ ობიექტი, მისი კლასი, არამედ უკვე სუბიექტიც — მისი პირი.

ამრიგად, იბერიულ-კავკასიურ ენებში არსებული თვალსაჩინო სინტაქსური განსხვავებები მწყობრი დინამიკური სისტემის ელემენტთა სახით წარმოგვიდგა, მართალია, მას შემდეგ, რაც გამოწვლილვით იქნა შესწავლილი მათი ისტორია: „ერთობა დადასტურდა, სადაც ახლა ყველაზე დიდი სხვაობა გვაქვს". (ა. ჩიქობავა).

* * *

ქართულ-ქართველური (იბერიული) და მთის კავკასიური ენები ამჟამად ბევრ რამეში მსგავსებას ავლენენ ერთმანეთთან, ბევრში — განსხვავდებიან ერთმანეთისაგან.

როგორია ამ მსგავსება-განსხვავების ისტორიული ღირებულება? მსგავსება იქნებ შემთხვევითია, ან იქნებ ენათა დაახლოების შედეგია? და, სათანადოდ, განსხვავება ხომ არ არის არსებითი და ოდინდელი?

თუ პირიქით: იქნებ სხვაობა მიღებულია დროთა განმავლობაში, განვითარების შედეგად, ხოლო შორეულ წარსულში მეტი მსგავსება და სიახლოვე ახასიათებდათ იბერიულ-კავკასიურ ენებს?

მაშასადამე, მონათესავენი არიან თუ არა ისინი?

ამის ღასადგენად საჭირო იყო დაწვრილებით გაანალიზებულიყო მთელი იბერიულ-კავკასიური ენობრივი მასალა, შესაძლებლობის ფარგლებში გათვალისწინებული ყოფილიყო თითოეული ლინგვისტური ფაქტის ღირებულება და ცვალებადობა, ე. ი. ადგილი როგორც თანამედროვე სისტემაში, ისე ისტორიულ ჯაჭვში, ერთი სიტყვით, წარმოდგენილ ყოფილიყო იბერიულ-კავკასიურ ენათა ურთიერთობისა და განვითარების ობიექტური სურათი.

ცხადია, ეს დიდი საქმე სასხვათაშორისოდ ვერ გაკეთდებოდა.

ამ საქმეს თითქმის ნახევარი საუკუნე მოანდომა არნ. ჩიქობავამ. „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი" ამ სამუშაოს ერთგვარ დაჯამებას წარმოადგენს.

ეს ნაშრომი ერთხელ კიდევ გვიჩვენებს, თუ რა სიმაღლეებს მიაღწია ჩვენში შექმნილმა ლინგვისტიკის ახალმა დარგმა — იბერიულ-კავკასიურმა ენათმეცნიერებამ.

მაგრამ დიდი სიმაღლიდან დიდი ასპარეზიც გადაიშალა — კიდევ ბევრი შესასრულებელი სამუშაო გამოჩნდა.

არნ. ჩიქობავა მიუთითებს უმთავრესზე: „დღის წესრიგში დგება ლექსიკის შედარება და კანონზომიერ (ბგერათ) ფარდობათა საკითხი. ჯერჯერობით ასეთი ფარდობა არაა დადგენილი არათუ ქართველურსა და მთის იბერიულ-კავკასიურ ენებს შორის, არამედ თვით ამ უკანასკნელთა შორისაც... შესატყვისობათა დადგენა ჰირს ერთისა და იმავე ჯგუფის ენათა შორისაც... ისტორიულ-შედარებითი ლექსიკონი ბუნებრივია მოსდევდეს ისტორიულ-შედარებით გრამატიკას".

როგორც ყველა საეტაპო ნაშრომის, „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავლის" გაცნობაც მომხიბლავ პერსპექტივებს შლის. ახლებურად შეიძლება დაისვას რიგი ზოგადლინგვისტური და კულტურულ-ისტორიული პრობლემები: საქართველოს ისტორიულ-ეთნოლოგიური საკითხები; საკითხები ურთიერთობისა მცირე აზიის ძველ ცივილიზაციებთან; ხმელთაშუაზღვეთის ინდოევროპულამდელი ენების კვლევა იბერიულ-კავკასიურ ენათა კონტექსტში, რასაც, ჩანს, ისევ შემოჰბრუნებია დასავლეთის მეცნიერება; დაბოლოს, ქართულ-ბასკური ნათესაობის საკითხები.

„იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების შესავალი" ამ საკითხთა კვლევის საიმედო საფუძველს ქმნის.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ციური ხეთერელი

ისევ მაისობს მაისი

კოლაუ ნადირაძის დაბადებიდან 85 წლისთავის გამო

იმერეთი... ზემო ბზოვანი... ისრითის ზემოთ, მომაღლო შეფენებაზე გაშენებული პატარა სოფელი, ბროწეულებით დამშვენებული ქვათეთრონი რომ ესაზღვრება. პატარა მდინარე ბონკო... აქ უსმენდა იგი, ჯერ კიდევ ბავშვი, მთელი გულისყურით ჩიტების საამურ გალობას, ჩალურჯებული ყანების შრიალს... სამუდამოდ ჩარჩა მახსოვრობაში აქ გატარებული დღეები, დილიდან ხალამომდე მოფუსფუსე მშრომელი ხალხი, მუშა-კაცის ტკბილი სიმღერა...

პოეტი ახლაც ხულგანაბული უსმენს გარდასულ დღეთა ხმაურს, იგონებს ძველ სახლს „გაცვეთილი საფეხურებით" და საყვარელ მშობლის ლანდს ესაუბრება:

ეგ არა უშავს! ნუ გაფიქრებს ჩემი
ცვლილება,
ხედავ, თვალები სიხარულით ისევ მაქვს
სველი,
ნუთუ ვერ ამჩნევ, თუ რარიგად მეადვილება,
დაეცეს შენს წინ და მუხლებზე მოგხვიო
ხელი?
მხოლოდ დამაცა, დედაჩემო, ნუ გეჩქარება!
ჩავალ ჩვენს ბაღში, ხედავ, ცვარი იწყებს
გაშრობას,
ო, მე ოდესღაც აქ დავტოვე ცისფერთვალება
ჩემი უმანკო სიყმაწვილე, ჩემი ბავშვობა.

(„ჩვენი ძველი, პატარა სახლი").

— ჩემს ბავშვობაში, — იგონებს კოლაუ ნადირაძე — მთელი სოფელი ბზით იყო დაფარული. მწვანეში ჩაფლულ სოფლის მიდამოებში მე და ჩემი ბიძაშვილი ანდრო მთელი დღე დავეხეტებოდით ღელეში, ვიჭერდით „ცხრაფეხას", მშვილდ-ისრებით დავდევდით ჩიტებს. მამა ყოველმხრივ ზრუნავდა ჩემს სპარტანულად აღზრდაზე. ამაში ხელს მიწყობდა ფიზიკური სიძლიერე. განსაკუთრებით მიყვარდა ცურვა და ნადირობა. იხე როგორ წავალ ამ ქვეყნიდან, კიდევ ერთხელ არ მოვინახულო ჩემი სოფელი, სადაც თითოეულ ქვას, კენჭსაც კი ვიპოვი ჩემთვის ნაცნობს და ახლობელს... მახსოვს, რამდენი კალმახი იყო მაშინ შხუილით მონავარდე ხულორის ჩქერებში, განსაკუთრებით დვალიშვილებიდან — ბზვანამდე. მინდა ამ ზაფხულს ქუთაისსაც ვეწვიო. ახლაც შევება კვლავინდებურად რიონის დაუდეგარ ტალღებს, მაგრამ რიონი უკვე ისეთი ალარ არის, როგორიც ჩემ დროს იყო! რა ხიმაღლიდან არ ვხტებოდი ყოველ ცისმარე დღეს, ყველანაირ ამინდში ამ მშფოთვარე, ამობოქრებულ ტალღებში. გაზაფხულზე ლანქერი რომ მოდიოდა, დაწმენდასაც კი არ ვაცლიდი, მარტში, როცა მთელი სიმძლავრით მოექანებოდა იგი, მის გამძვინვარებულ ზვირთებთან შებრძოლება ყველაზე დიდი სიამოვნება იყო ჩემთვის. სხვათა შორის, ბალახვანის მხარეზე, „თეთრ ხიდს" იქით, ზოგჯერ მიხდებოდა ცურვა მაიაკოვსკისთან ერთად, რომელსაც ახლოს ვიცნობდი.

ჯერ სოფელში და შემდეგ ქუთაისში გატარებული წლები ერთ-ერთი ულამაზესი და ტკბილმოსაგონარი ხანაა პოეტის ცხოვრებაში. „ბავშვობიდანვე გულგოროზი ვიყავი, მიყვარდა ტოლებთან ჩხუბი, ჭიდაობა, — ღიმილით იგონებს კოლაუ ნადირაძე, — შემდეგშიც დიდხანს გამყვა ეს გრძნობა, თითქმის ორმოც წლამდე. მაგრამ ადამიანს პატიოსნებაზე უფრო ძვირფასი რა გააჩნია, მიხი ხელყოფა არც

უნდა შეარჩინო არავის" — დასძენს პოეტი.

კეთილშობილების, მეგობრობის, ყოველივე მაღალადამიანურობის გრძნობა დიდი და უსაზღვრო იყო ცისფერყანწელთა წრეში; ეს გრძნობა ისე ამაღლებული და დიადი სულით იყო გაბრწყინებული, რომ ყოველი დროის თაობას მოხიბლავს და შთააგონებს.

1920 წელს გამოდის ქუთაისში კოლაუ ნადირაძის პირველი წიგნი „ბალდახინი". ავტორი სიყვარულით უძღვნის ლექსს თავის ერთ-ერთ უახლოეს მეგობარს ვალერიან გაფრინდაშვილს გულითადი წარწერით: „ჩემს საყვარელ ვალერიან გაფრინდაშვილს, მეგობრობისა და სიყვარულის ჯვაროსანს"; ხანი ერთ დღესაც კი ვერ ძლებენ ერთი-მეორის უნახავად. საინტერესოა პოეტის მოგონება, დაკავშირებული ქუთაისის თოვლიან ზამთართან:

„თოვლიანი ზამთარი ქუთაისის იშვიათი სტუმარია. „ეს ხომ ზამთარი არ არის", ხშირად მსმენია ასეთი თქმა რუსი მეგობარი პოეტებისაგან, რომელთა ოცნება ეალერსება ყინვებით ჩაქედილ ტბებსა და მდინარეებს, მრისხანე ქარბუქით აქვითინებულ უსაზღვრო ველებს.

და განა შეიძლება ზამთარი ეწოდოს დასავლეთ საქართველოში ზამთარს, როცა დეკემბერი და იანვარი ხშირად ისეთი თბილია, რომ შეგიძლიათ სტუმარს აივანზე ან ეზოში გაუშალოთ სუფრა, როცა ეზოებში აყვავებას იწყებენ ტყემლები და ატმები, ხოლო ხეებზე ფრინველების ჟრიამული გაისმის?

მაგრამ... არსად, ვგონებ თვით რუსეთშიც ვერ ახერხებს ზოგჯერ ზამთარი მთელი თავისი სიდიადით გამოვლინებას ისე, როგორც იმერეთში. მაშინ იგი გვევლინება, როგორც ფეერიული დედოფალი, თოვლის სიმფონიად ქცეული. იგი სითეთრისა და ცისფეროვნების უმანკოებით არის შემოსილი, ღრმა ხიჩუმითა და მყუდროებით შემკული".

სწორედ ზამთრის ერთი ასეთი დღე აცოცხლებს პოეტის მოგონების ფურცელს:

„ბალახვანის ქუჩა, სადაც ვალერიანი ცხოვრობდა, თოვლის ბურუსში იყო გახვეული. მარხილი მის სახლთან გავაჩერე. კიბეზე ასვლა დავაპირე, მაგრამ შევჩერდი: ვალერიანი კიბის ზემოთ იდგა უქუდოდ, მარმარილოს ქანდაკებასავით თოვლით დაფარული. იგი თითქოს მელოდა მე. ერთმანეთს გადავეხვიეთ...

მარხილში ჩავსხედით და სანდრო ცირეკიძის სანახავად წავედით. აქედან ნიკო ლორთქიფანიძეს გავუარეთ, მაგრამ იგი სახლში არ დაგვხვდა. ქალბატონმა თამარმა, მისმა მეუღლემ, გვითხრა — „ნიკო ქალაქში სახეირნოდ წავიდაო".

ალორიის ტყისკენ გავეშურეთ. თოვლით დაფარულ ტყეში შევედით. ვალერიანი შეჩერდა და აღელვებული ხმით წაიკითხა მის მიერ ახლად თარგმნილი მალარმეს სონეტი „გედი". მეც ასევე „გედის" ჩემი თარგმანი წავიკითხე, შემდეგ როდენბახის შესანიშნავი ლექსი „თოვლი". შემდეგ ქალაქში დავბრუნდით. ვალერიანი ხმამაღლა კითხულობდა ალექსანდრე ბლოკის ცნობილ ლექსს „კუნძულებზე":

...Две тени, слитых в поцелуе,
Летят у полости саней.
Но не таясь и не ревнуя,
Я с этой новой — с пленной — с ней.
Да, есть печальная услада
В том, что любовь пройдет, как снег.
О, разве, разве клясться надо
В старинной верности навек?
...Я что обряд: легко заправить
Медвежью полость на лету,
И, тонкий стан обняв, лукавить,
И мчаться в снег и темноту...

გადაწყდა, სადამო ვალერიანთან უნდა გაგვეტარებინა. კარგი სუფრა გაეშალა. სუფრაზე ეწყო ჩემი ნანადირევი — შემწვარი ტყის ქათმები. ნიკომ მოგვნახა და მოგვიანებით მოვიდა ჩვენთან. თამადად ვალერიანი გვყავდა არჩეული. პირად სადღეგრძელოს თან მოსდევდა საკუთარი ნაწარმოების კითხვა. ნიკო ლორთქიფანიძემ იმ საღამოს პირველად წაგვიკითხა თავისი „ბებრები", რომელიც სანდრო ცირეკიძეს გადასცა „ვშილდოსანში" დასაბეჭდად. ამ ნოველამ გაგვაოცა და გაგვახარა.

ბუნების მიმზიდველი სახე წარუშლელი ფერებითაა დახატული კოლაუ ნადირაძის ლექსებში, მაგრამ პოეტი განსაკუთრებით გამოარჩევს „შემოდგომის გახუნებულ ფერებს"; საუბარში იგი შენიშნავს: „წელიწადის დროთაგან ყველაზე უფრო შემოდგომა მიყვარს. შემოდგომის ნაზ ფერებს მეტი სიმყუდროვე და სინაზე შემოაქვს ბუნებაში. თითქოს განწყობილებაც სევდიანი იქმნება, უფრო იძლევა განმარტოების საშუალებას". კიდევ უფრო მძაფრ და ემოციურ დატვირთვას იძენს ამ სიტყვების აზრი, როდესაც მის უნაზეს პოეზიას ეცნობი, სულის სიღრმემდე გწვდება პოეტის გულის უჭკნობი მოგონება:

ნოემბრის სევდა... აწი მალე მოვა
ზამთარი,
თქვენს სურნელებას ისევ და ისევ დაეძებ
სახლში,
უტოლოდ დადის ნიამორი თქვენი გამხდარი—
და თქვენზედ დარდობს და ოცნებობს
დაცვენილ ბაღში.
(„ნოემბრის მელოდია").

შემოდგომის პეიზაჟი მრავალთა შორის ერთ-ერთი აუცილებელი და უპირველესი კომპონენტია, ის მგრძნობიარე ხიმია, რომელზეც, როგორც უნაზეს ლირაზე, უნდა აიწყოს პოეტის ლექსები: „ოცნება საქართველოზე", „ხა-

ზი აჩრდილი", „კიდევ ერთი გასაუბრება", „ხამი პოეტის ხოლო", „თოვს", „ჩემი ვარსკვლავი", „მე ისევ მახსოვს", „ვერხალი წვიმაში", „შენი ღიმილი", „როცა მარტო ხარ", „ბუნების ენა"...

ცისფერყანწელთა ერთმანეთთან გაპაექრება უმშვენიერესი პოეტური ქმნილებებით, ეშვიათი თარგმანებით, ურთიერთისადმი ეგზომ მომხიბლავი პოეტური მიმართვები ერთგვარი გადახედვა იყო შორეულ წარსულში, როდესაც ძველი კოლხები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ და ეტოკებოდნენ ორატორობასა და ლამაზსიტყვაობაში. მათი მომხიბლავი პოეზია და პოეტური ცხოვრება არცთუ ეშვიათად ჩამოგვდა ძველ ქართულ დარბაზობას, დამშვენებულს ნატიფი პოეტური თქმებით, რომელიც შეზავებული იყო უდიდესი განცდებით და გრძნობების ხიუსვით.

ბედნიერი შემთხვევა საშუალებას მაძლევს ვუსაუბრო პოეტს მისსავე სამუშაო ოთახში; ხაოცრად ზუსტი ხმენა და ხალი გულისყური მას იმ პირველ ხიამოვნების გრძნობას აღუძრავს, დეიდასთან ერთად რომ განუცდია, როდესაც ჯერ კიდევ პატარა უსმენდა ბახის, მოცარტის, შუბერტის, ბეთჰოვენის მუსიკას... ამ მოგონების ხმები ხევდიანად მოისმის ახლაც კოლაუ ნადირაძის ამ სტრიქონებში:

მგლოვიარედ დგას როიალი დამუნჯებული,
მახსოვს შუბერტის „ტყის მეფე" და ბახის
„ვედრება".

პოეტი კარგახანს ლაპარაკობს კლასიკური მუსიკის დიდ ესთეტიკურ მნიშვნელობაზე, აფასებს მის უაღრესად შთამაგონებელ ძალას, მის უფაქიზეს ზემოქმედებას ადამიანის სულიერ სამყაროზე:

— მინდა შოპენს ლექსი მივუძღვნა, დაწყებულიც მაქვს — ამბობს იგი.

ოთახში ხიჩუმეა. მერე რადიოში გაისმის ქართული ხალხური სიმღერები — „ბასანბეგურა", „ჩაკრულო", „იმერული მგზავრული", „შვიდკაცა", კახური „მრავალჟამიერი", „შვიდნი ძმანი გურჯანელნი", „ზამთარია"... პოეტი აღფრთოვანებით ლაპარაკობს საყოფაცხოვრებო, ლირიკული, შრომის, საგმირო სიმღერების შინაარსზე და ამბობს: „მსოფლიოში არც ერთ ერს არ მოეპოვება ამგვარი უმაღლესი კონტრაპუნქტის ხალხური სიმღერა, ასეთი მრავალხმიანობა, პოლიფონიური წყობა. ყველა ერს შეუძლია იამაყოს ასეთი სიმღერებით.

— ხაიდან წარმოიშვნენ ისინი?

— ისევ და ისევ აქ, ჩვენში, — თვითონვე იძლევა პასუხს შეკითხვაზე და ეხსენებს:

— იცით, თვალსაჩინო რუსმა პოეტმა და ფილოსოფოსმა ვლადიმერ სოლოვიოვმა ხიკვდილის წინ მოისურვა „ლილეოს" მოსმენა".

პოეტის ქალიშვილი, ნელი ნადირაძე მიამბობს:

— როცა მამა მუსიკას უსმენს და მის სახეს ვაკვირდები, ვგრძნობ მთელი მისი არსება როგორ შეერწყმის ბგერებს, ხშირად ცნობისმოყვარეობა შემიპყრობს, ნეტავი რაზე ფიქრობს, რას განიცდის იგი ახე ძლიერად? ზოგჯერ მიფიქრია კიდეც, ალბათ, თვით კომპოზიტორიც არ განიცდიდა ამაზე მეტად იმ პროცესს, როცა იგი ქმნიდა ამ მუსიკას-მეთქი!

— მაგონდება, რა განცდით უსმენდა მამა ერთხელ ხკრიაბინის მუსიკას, — განაგრძობს ნელი, — იგი კარგა ხანს იჯდა სულგანაბული, დროდადრო რაღაცას წერდა. წერის დროს ხშირად დგებოდა, ორ ხტრიქონს დაწერდა, ისევ ადგებოდა. ვხედავდი, როგორ ეცვლებოდა თანდათან სახე და მეც ჩემდაუნებურად თვალს ვერ ვაშორებდი მას. ახლა ძნელია ამ მომენტის ხიტყვით აღწერა, ან გადმოცემა. მხოლოდ ეს კი აშკარად იგრძნობოდა მამას განწყობილებაში, ის ვერაფერს ვეღარ ამჩნევდა უკვე მის ირგვლივ. განსაკუთრებული, რაც მის მუშაობას ახასიათებს, ეს ასაა, რომ ბევრს არ ასწორებს უკვე დაწერილ ლექსში. ამასთან, ერთბაშად არასდროს არ წერდა ბევრს.

ინტიმობა და სისადავე — პოეზიის ეს უმშვენიერესი თვისებები სამარადუამოდ დაუფლებია და ამკობს კოლაუ ნადირაძის წიგნებს. დღესაც პირვანდელი ბრწყინვალებით ანათებენ და აფორიაქებენ მისი ლექსები მკითხველის ხულსა და გულს. ხიძველე არსად დამკარებია პოეტის სტრიქონს. ცხოვრების სიბრძნით დამძიმებული ჩაფიქრებია იგი გარდასულ წლებს და ამ ლამაზი, მშფოთვარე ცხოვრების გზაზე მომხიბლავად გვესაუბრება ბოლოდროს დახტამბული ლექსების კრებულიდან. რა ნაზი განცდით, რა სათუთად იგონებს იგი სახელოვან ერისკაცთა სახეებს... რა ღრმა გულისტკივილით იხსენებს ადრე დაკარგულ უახლოეს მეგობრებს:

და ახლა ისე, ვით მინდვრად ოლე, ვდგავარ
დალეწილ ფრთებით.
ბალახ-ბულახმა ხარბად დაფარა ჩემსკენ
სავალი გზები.
საით წავიდნენ, რად მივიწყეებენ ჩემთან
აღზრდილნი ძმები?
რად აღარა ვგრძნობ მე იმათ სითბოს,
მათი არ მესმის ხმები?

1917 წელს პოეტმა ხიყვარულით მიუძღვნა სანდრო ცირეკიძეს მშვენიერი ლექსი „ოცნება ხაქართველოზე", რომელშიც ხათუთი განცდით არის დანახული ძველი ხაქართველოს მძიმე წარსული — დავიწყებული ფონები, გრილი ტაძარი, ნანგრევები დიდი ციხეებისა... პოეტი ლექსში „ხამშობლოსადმი" ხევდაავსილი წერი

მარადის სისხლის ტბორებზე, მას ახლაც არ შორდება თვალთაგან წარსულის მძიმე სურათები და არ ასვენებს კითხვები:

ეგებ მიმიძღვის ქვეყნის წინაშე რაიმე
ცოდვა-ბრალი?
ეგების ჯობდა რომ დაეთხარათ ჩემთვის
ორივე თვალი,
რომ საშუალამოდ ჩაუქრობელი არ
მომდებოდა ალი,
არ დამენახა დიდ წინაპართა სისხლით
მორწყული კვალი?
(„კვალდაკვალ").

ქართველთა მწარე ხვედრზე მოგვითხრობს მისი შესანიშნავი ლექსი „ბალადა შავი მერცხლისა". ხალხური პოლიფონიური ლექსის ფღერადობა იშვიათ ემოციურ სამოსელში ხვევს დაბრუნებული მერცხლის მონათხრობს:

მოვსულვარ ავის ამბითა,
ხედავ, თვალთ ცრემლი მდისაო,
ვაგლახ, ვერ მიხვალ, ვერ ნახავ,
შორი გზის გავლა ჭირსაო,
ვაი, რომ ძმის გულს განგმირულს
ცრემლი ვერ ნამავს დისაო,
ვერ დაასვენებს მშობელი
ვაქკაცს ალაზნის პირსაო!

პოეტი არც პატარებს ივიწყებს. სიყვარულით მიუძღვნის მათ შესანიშნავ პოემას „დათუნების თავგადასავალი", ხალისიანად ესაუბრება ბავშვებს ვარჯბისთვის შემობრძანებაზე, ხაგაზაფხულო შრომის ფერხულზე, ხალხთა ძმობაზე, „ხვნა-თესვის აურზაურზე", გულში ჩამწვდომ ქართულ სიმღერებზე: „ჩვენი გმირული მგზავრული", „ჩვენი უტკბესი ნაღუარი"... საგანგებოდ შთააგონებს ბავშვებს შრომის სიკეთეს, ბუნების გამოღვიძების, ქართული ხალხური სიმღერის მადლს... მის ღრმად შინაარსიან პოეტურ შემოქმედებაში ხომ ერთ-ერთი განსაკუთრებული ადგილი უჭირავს სოფლის თემას, რომელთანაც ორგანულად არის დაკავშირებული ქართული სოფლის ხისხლ-ხავსე ცხოვრება, უწინარეს, თავისი ტკბილი, მშობლიური იმერეთი. იშვიათი ოსტატობით წარმოსახავს იგი მშრომელი გლეხის მოუსვენარ ყოველდღიურობას:

ისევ ხარები მიდიან ნელა
ვიწროდ ამოჭრილ სოფლის შარაზე
და მზის ჩასვლამდე თოხები ელავს
აბობინებულ გლეხის ყანაზე.

როცა პოეტის მყუდრო ოთახში შედიხართ, უმალვე ხაცნაური ხდება მისი ფიქრი, ხევდიანი განწყობილება, გახსენდებათ ხტრიქონები, რომლითაც ის გაეხმაურა თავის გარდაცვლილ მეგობარს — შალვა კაშმაძეს:

სულ არაფერი არ შეცვლილა, ისევ ისეა
ჩემი ოთახის მყუდროება და სიდარბე...
ისევ ისეა ის მაგიდა, ჩემი წიგნები,
ჩემი მოწყენაც იგივეა, ჩემი ფიქრებიც...

კოლაუ ნადირაძის სიცოცხლის რვა ათეულს შეუცვლელი სიმძიმით აწევს ის ღრმა სულიერი ტკივილები, თუ ალტაცების უწმინდესი წამები, ახალგაზრდული გზნებით რომ განუცდია ცხოვრების გზაზე. უწინარეს კი ძვირფასი მამის სიტყვები ეხმიანება მოხუცის ყურს, ჯერ კიდევ პატარას რომ ჩააგონებდა მშობელი: „უმძიმესი ცოდვაა სუსტის ჩაგვრა, არც სხვას მისცე უფლება სუსტის დაჩაგვრის, გახსოვდეს, პირუტყვს არასოდეს ჩაარტყა თავში"...

„ყველაფერი, რაც ინტელექტუალურია ჩემში, მამისაგან მაქვს, — იგონებს ახლაც პოეტი, — მამამ მაზიარა ქართული ენის სიდარბაისლეს, მან ამიხსნა სიტყვა „რაინდის" ჭეშმარიტი არსი. მხიბლავდა მასში ნათელი გონება, მაღალი მორალი, ყველაფერში ბიძგის მომცემი იყო მამა".

კოლაუ ნადირაძის ეს სიტყვები კიდევ უფრო მეტი ხინათლით ივსება, როდესაც ვისმენთ მის გასაუბრებას ომარ ხაიამთან:

ავავსოთ თასი, ომარ ხაიამ,
ავავსოთ თასი,

და უხმოდ შევსვათ სადღეგრძელო
ადამიანის,
ადამიანის სადიდებლად შევსვათ ეს
ღვინო,

დავბაროთ თავი,
დავუსოქოთ ჩვენ მის წინაშე!

ქუთაისი. კლასიკური გიმნაზიის წლები. მოწაფეთა პირველი ხერიოზული მსჯელობა მსოფლიო პოეზიის საკითხებზე, ლიტერატურის, ფილოსოფიის წრე... საუბრები ბეკონის, ლეიბნიცის, დეკარტესა და სხვათა ფილოსოფიურ შეხედულებებზე. პოეტი სიყვარულით იხსენებს პოლი იაშვილს, ტ. ტაბიძეს, სიმონ ყაუხჩიშვილს, ბესო ლომინაძეს, ვალოდია ჭიქაის, ალადიმერ მაიაკოვსკის, ივანე უიფიანს, ნიკოლოზ კონდელაკს, რომლებიც მაშინ ამ გიმნაზიაში სწავლობდნენ.

„ქუთაისის პერიოდთანაა დაკავშირებული ჩემი და ჩემი მეგობრების ლიტერატურული ცხოვრების ყველაზე სახიხარული ეპიზოდები — განსაკუთრებით „ცისფერი ყანწების" პირველი ნომრის გამოსვლა, ის ბრძოლები, რომლებიც გვიხდებოდა მაშინ პროვინციალიზმისა და მეშჩანობის, ჩამორჩენილობის წინააღმდეგ. შემდეგ ჩემი ლექსების პირველი კრებული, პირველი ხიყვარული...

იქ ჩაიარა ხიჭაბუკის ყველაზე ლამაზმა წლებმა. მახსოვს, შემოდგომის ქარიან, ავდრიან

ღამეებში შევიკრიბებოდით ქუთაისის მყუდრო სადარბაზოებში და გატაცებით ვკითხულობდით ლექსებს. იქვე დაგვათენდებოდა ხოლმე, სახლის პატრონები უკვე გვიცნობდნენ და უდარდელად იძინებდნენ. იქ, იმ თავზე დათენებულ ღამეებში დაიბადა პირველად იდეა პოეზიის დღის დაარსებისა" — ამბობს პოეტი.

ამ გრძნობების ხიჭაბუკეს არასოდეს დაბცემია ხანდაზმულობის ბინდი. ის გულწრფელი აღტაცებები დაუმცხრალად დასადგურებულან პოეტის მთელს არსებაში.

პოეზიის, ხელოვნების ხურნელით სავსეა ოთახი, პოეტის ხაუბარიც — ამ საკითხების შესახებ. ჩვენს შეკითხვაზე, ხელოვნების რომელ დარგს ანიჭებს იგი უპირატესობას — მუსიკე უპასუხებს — პოეზიის შემდეგ, მუსიკას. დედა მუსიკის მასწავლებელი იყო. ბავშვობიდანვე აღვიზარდე მუსიკალურ გარემოცვაში, მაგრამ იმთავითვე მიტაცებდა პოეზია. მახსოვს, დედა მიკითხავდა ხოლმე „დედა ენას", მთელი წიგნი ზეპირად ვიცოდი, 8-9 წლისა ვწერდი ლექსებს ხან ქართულად, ხან რუსულად. ლექსი უფრო ღრმა განცდებს აღძრავდა ჩემში. მე მიმაჩნია, რომ მუსიკა მხოლოდ ემოციური ხასიათის განცდებს აღვიძებს ადამიანში...

მაგიდაზე ძველი, მოზრდილი წიგნი ძევს. „თანამედროვე პოეზიის ანთოლოგია" — ვკითხულობ სათაურს. გამოცემის თარიღი — 1912 წელი. ყურადღებით ვათვალიერებ იტალიური, ფრანგული, ამერიკული, რუსული პოეზიის კორიფეთა ხურათებს...

— თქვენ ძალიან დაგაინტერესათ მაგ წიგნმა, — ჩემს მიერ ჩაწერილ წიგნის სათაურს ამჩნევს და ღიმილით შეუბნება:

— ახლა ვერსად იშოვნით ამ წიგნს. — უკვე ნათელია, რომ იგი პოეტისა და მის თანამედროვეთა უსაყვარლესი სამაგიდო წიგნია. საყვარელი პოეტებიდან ედგარ პოს გამოარჩევს, პროზაიკოსებიდან — კნუტ ჰამსუნს, ლიტერატურული ხასიეებიდან კი — ჰამლეტს; ედგარ პოს „უორანს" და ნიკოლოზ ბარათაშვილის „მერანს" თვლის მხოფლით პოეზიის შედევრებად.

— ერის დროშა პოეზიაა, ის არის ერის ხიდიადის მაჩვენებელი. საქართველოში რუსთაველს უპყრია ეს დროშა ხელთ. რუსთაველის დაყენება უველგან შეიძლება; ვერავინ ისე ვერ დაიჭერს რუსეთის პოეზიის დროშას, როგორც პუშკინი. როდესაც ვახსენებთ ელადას — უნდა ვიგულისხმოთ ჰომეროსი, ვამბობთ იტალიას — ვგულისხმობთ დანტეს, ინგლისს — და ვგულისხმობთ შექსპირს. ვახსენებთ ხვარსეთს და გვაგონდება ფირდოუსი.

ჩვენ, ცახფერყანწელები, — ამბობს კოლაუ, — ხუთი წელი ვებრძოდით, რომ დაგვემტკიცებინა ხალხისათვის ვაუას გენიოსობა. უნდა გვახსოვდეს, როდესაც ქართული მწერლობის შეფასებაზე მიდგება საქმე, მეტი ხიფრთხილეა საჭირო. ზოგჯერ ითლად აუვლიან ხოლმე გვერდს ბარათაშვილს, ილია ჭავჭავაძეს, აკაკის, გურამიშვილს, გ. ორბელიანს.

ბარათაშვილი აბსოლუტური, წმინდა ყალიბის გენიოსია. ბედზე გადავურჩით, რომ არ დაგვეკარგა ბარათაშვილის ლექსები. ბევრჯერ მიფიქრია ამაზე, უყვარდა თუ არა ბარათაშვილი ეკატერინე ჭავჭავაძეს? რომ არ ყვარებოდა, რად წაიღებდა მის ლექსებს სამეგრელოს დედოფალი, ან ასე სათუთად რად შეინახავდა მის რუსეთში, რატომ გადასცემდა ამ წიგნს, როგორც ფასდაუდებელ განძს, ილია ჭავჭავაძეს; ალბათ, გრძნობდა სიკვდილის მოახლოებას დედოფალი, და ამიტომ გადასცა მისი ხელნაწერები ილიას, გრძნობდა, რომ იგი დიდი პოეტი იყო. ხანდახან შიში შემიპყრობს, როცა გავიფიქრებ, ეკატერინე რომ გარდაცვლილიყო პეტერბურგში, მის ოთახს დაალაგებდა ვინმე ქალი, ვინ იცის, ალბათ, ვერც შეამჩნევდა პატარა ხელნაწერებს, ხადღაც გადაგდებდა და დავრჩებოდით უბარათაშვილოდ. და რომ ახე არ მოხდა, ეს ერთი დიდი იღბალია ერის ცხოვრებაში. მე დიდ პიროვნებად მიმაჩნია ეკატერინე ჭავჭავაძე, თუნდაც იმიტომ, რომ უყვარდა ბარათაშვილი და ბარათაშვილის ლექსები შემოგვინახა ჩვენ.

დედოფლისადმი თავის სათუთ განწყობილებაზე ღრმა, მაგრამ მისებურად ხადავემოზიდული ემოციური შთამბეჭდაობით გვეხაუბრება პოეტი თავის შესანიშნავ ბოლოდროინდელ ნაწარმოებში „ბალადა წინანდლის ბაღისა", რომელიც შარშან გამოქვეყნდა „მნათობის" ფურცლებზე. თვით ქვესათაურები: „კოლხეთის დედოფალი", „პეტროგრადში", „დღეები", „ცვარნი ცეურნი", „აჩრდილი" — ეს უკვდავი სტრიქონები მთელი სისავსით დაგვანახვებს ეკატერინე ჭავჭავაძის სულიერ განცდებს, ბარათაშვილის ცხოვრების ტრაგედიას, გვგრძნობინებს ამ უწმინდესი გრძნობების უკვდავებას, სამარადჟამოდ რომ გადაეცემა თაობიდან თაობებს:

ქამს გაზაფხულის,
როდესაც ვარდებს
დრო დაუდგებათ პაემანისა,
როდესაც მთვარის
სხივები ქარვის
აკრთობენ ცრემლებს
მტირალ ვაზისა,
...რომ ალმასები
ცას მოჰქარგავენ
და გაბრწყინდება
უბირო თაღი,
უეცრივ ისევ
ჯადოსნურ ძალით

კვლავ აყვავდება
წინანდლის ბაღი.

— მაგონდება, როგორი აღტაცებით ხაუბრობდა ბორის პასტერნაკი ნ. ბარათაშვილის ლექსის „ხაყურეს“ ვალერიან გაფრინდაშვილისეულ თარგმანზე, — იხსენებს ბ-ნი კოლაუ — განცვიფრებული ვარ, ვერ წარმომიდგენია კიდევ ვინმემ თარგმნოს ეს ლექსი ასეთი გემოვნებით, აჩვენოს თარგმანში ასეთი ხელრმე და ძალა ამ უმშვენიერესი ლექსისა. მართლაც, შეუდარებელია ეს თარგმანი — დასძენს პოეტი და აღფრთოვანებით კითხულობს:

Как легкокрылый мотылек
Качает ландыша цветок,
Вполне отдавшись упоенью,
Под ухом девы дорогой
Серьга, влюбившись в призрак свой,
Играет с собственною тенью.
Как странно счастлив будет тот,
Кто на минуту отдохнет
Под этой тенью безмятежной...

ბევრჯერ დავფიქრებულვარ „დავითიანის“ ბედზეც, დავით გურამიშვილის ამ სათაყვანებელმა წიგნმა რომ უვნებლად მოაღწია ჩვენამდე. ხომ შეიძლებოდა თათრების თარეშის დროს სტეპებში მოეკლა ვინმეს ეს ქართველი კაცი? და კიდევ... რამდენი რამ ეკიდა ბეწვზე ჩვენი ხალხის ცხოვრებაში...

საუვარელ მწერალთა სახეები კვლავ წარსულში გადაახედებს პოეტს. მოსკოვის უნივერსიტეტი... 1913-1916 წლები... ლიტერატურული ხალამოები. ხშირი შეხვედრები რუსული პოეზიის დიდ ოსტატებთან. საგანგებოდ აღნიშნავს ანნა ახმატოვას მომხიბლაობას.

— მოსკოვის პერიოდიდან განსაკუთრებით ღრმად ჩამრჩა მეხსიერებაში ლევ ტოლსტოის დაკრძალვა. კარგად მახსოვს „იასნაია პოლიანაში“ ხაფლავის ადგილიც. ხამგლოვიარო პროცესს ესწრებოდა მთელი მოაზროვნე რუსეთი, მონაწილეობდნენ ქართველთა ხათვისტომოს სტუდენტებიც. მაგონდება თეთრ ჩოხაში გამოწყობილი ოშვიათი გარეგნობის ტყუპები — ლადო და გრიგოლ ჭაფარიძეები, სამარიხებურ ხიჩუმეში მიჰქონდათ კუბო. დიდი მწუხარებით ეთხოვებოდა რუსეთი უზარმაზარ შემოქმედს. დიდი გლოვა ხომ ყოველთვის მდუმარებითაა მოსილი, — ამბობს იგი.

მეხსიერება ღრმა პატივისცემით აცოცხლებს ვაუას, აკაკის, იაკობ ნიკოლაძის, ნიკო ნიკოლაძის, შალვა დადიანის ნათელ სახეებს. განსაკუთრებული ინტერესით ლაპარაკობს მათ დიდ გემოვნებაზე, იხსენებს ხუმბათაშვილ-იუჟინის „ღალატს“ — „მთელი წლობით ვიყავით დამუხტულნი ამ შესანიშნავი ხპექტაკლით; განუმეორებელი იყო შალვა დადიანის ხოლეიმან ხანი, — გატაცებით, შთაგონებით იგონებს ის.

ხიყვარულით, ღრმა ესთეტიკური განცდით ხაუბრობს პოეტი დავით კლდიაშვილის, ალექსანდრე აბაშელის, ნიკო ლორთქიფანიძის, ლეო ქიაჩელის შემოქმედებაზე, მიხეილ ჯავახიშვილის მოთხრობებზე — „მართალი აბდულაჰ“, „ლამბალო და ყაშა“...

—ძალიან მაღელვებს კაროუნახ ამბავი, ვერასოდეს ვერ ვკითხულობ ამ ნაწარმოებს ნერვებაუშლელად, — შენიშნავს იგი და განსაკუთრებული სიამოვნებით იხსენებს ლეო ქიაჩელის მოთხრობებს — „ჰაკი აძბა“ და „თავადის ქალი მაია“. დაუვიწყარია ის მომენტი ზღვის პირას, როდესაც მაია დაფინოს მოუთხრობს ტრაგიზმით აღსავსე თავისი ცხოვრების ეპიზოდებზე და განწირული ზღვაში ჰყრის ხამაჯურსა და ბეჭდებს... მსახურს აგზავნის თავსაკრავის მოსატანად და თანდათან ეძლევა ზღვის ხელრმეს... ვინ შეედრება ამისთანა ავტორს? ამ ამბავს მერიმეც, ბალზაკიც სიამოვნებით მოაწერდა ხელს, და ვინ არ მოაწერდა? არაჩვეულებრივი ადამიანი იყო, ანგელოზივით კაცი, — დასძენს პოეტი მწერლის შესახებ.

— ამასწინათ ერთ-ერთი ჟურნალის რედაქციაში ერთი ახალგაზრდა ლექსს კითხულობდა. ლექსებმა ცუდი შთაბეჭდილება მოახდინა და დაურიდებლად გამოითქვა აზრი იმის შესახებ, რომ ლექსები გაუგებარია.

— ლექსი თუ გაუგებარი არ იქნა, ისე რა ფასი უნდა ჰქონდეს მასო? — კითხულობდა ავტორი გაკვირვებით.

— განა შეხაძლებელია ჭეშმარიტი პოეზია აზრის, ცეცხლისა და ხინათლის გარეშე? — განაგრძობს იგი, — განა რუსთაველი არ გვახწავლის, რომ ლექსი ხიბრძნის ერთი დარგია? შემოქმედებაში ის ლექსები მიმაჩნია ხრულფასოვნად, რომლებიც ნათლად გამოხახავენ ერის მისწრაფებებს, ქვეყნის სამხახურის მაღალ დანიშნულებას, პიროვნების — პოეტის ღრმა განცდებს.

მართლაც, შორს წაგვიყვანს პოეტის ლექსების ჩამოთვლა — „კრწანისის ტრაგედია“, „ხამახი სპარტელი და ხამახი არაგველი“, „ვარძიის დილა“, „ჩემი ხამშობლო“, „ამირხპარხალარი ყუბახარი“, „წიწამურიდან ხაგურამომდე“ და მრავალი ხხვა.

ძლიერია გარემოს აღქმა, ხილამაზის განცდა კოლაუ ნადირაძის ხტრიქონებში:

მე რაღაც ძალა მიწამდე მკეცავს,
მე თითქოს ვუსმენ ვარსკვლავთა
კრებულს
და უფსკრულებით დამყურებს ზეცა
პირქვე დამხობილს და გაქვავებულს.

ხიჩუმეში ჩაღრმავებული ზის იგი თავის ხაწერ მაგიდასთან და ღრმა ფიქრებით შთაგონებული დროდადრო გახედავს გაშიშვლებულ ტოტებს, მომეტებულად რომ ირწევიან იანვრის ყინვიან ღამეში.

ცხოვრების მეცხრე ათეული ჩუმად, უხმა-

როდ, შთაგონების უკვდავ ხიმებად ახლოვდება პოეტის მუუდრო ბინაში. დისონანსებად იჭრება მის არსებაში ფიქრები ძე ხორციელზე. ადამიანის ბედზე ზრუნვას მოუცავს ბრძენკაცის მოწყალე გული:

ზამთრის პირია. ქარი და წვიმა
დათარეშობენ გარეთ.
ვაითუ სადმე დედას არ სძინავს,
აკვანს დასტირის მწარედ!
...ვაითუ სადმე, ვაითუ სადმე
სცივთ უდედო ბავშვებს!
ვაითუ სადმე გზააბნეული
მგზავრი ვერ აგნებს ბინის!..
...ხად, ვინ დაეცა საბედისწეროდ,
ვისი გაისმა კვნესა?
...ვის, ვის სჭირდება სხვისი სიზმრები,
სხვისი ტკივილი იგრძნოს!
წავალ და სადმე გავიხიზნები,
რომ არსად არვინ მიცნოს!

კოლაუ ნადირაძის ღრმა პოეტურ აზროვნებაში გამჯდარია ფიქრი იმისა, რომ ადამიანის დიდბუნოვნებაში, კეთილშობილებაში ძევს უწინარესი ჭეშმარიტება — გიყვარდეს მოყვასი შენი, ხულიერად შეგძრავდეს, გაფიქრებდეს ბედი კაცისა!..

ამ ჭეშმარიტი შემოქმედისადმი მკითხველის ასეთ განცდებს უნებლიედ ბადებს მის მიერ მაღალი ოსტატობით შესრულებული პროზაული ნაწარმოებები: „მოხეტიალის მოგონება“, „მენავთე“, „ნადირობის დროს მოყოლილი ამბები“.

საინტერესოა პოეტის მოგონება მოთხრობა „მენავთესთან“ დაკავშირებით: „თბილისში, ჯაფარიძის ქუჩაზე, სადაც მე ვცხოვრობდი, მახსოვს, ერთი პოლკოვნიკის ოჯახი ცხოვრობდა მეოთხე სართულზე. ამ გრეხილ კიბეზე ხშირად დამინახავს მენავთე, რომელსაც ამ ქუჩის მცხოვრებნი გახპარას ვეძახდით. ერთ უინვიან ზამთრის დღეს გახპარას საფეხურებზე ფეხი დაუცურდა და კიბიდან გადმოვარდა. ეს მომენტი იყო ბიძგი იმისა, რომ დამეწერა მოთხრობა „მენავთე“.

ვისაც კოლაუ ნადირაძის მოთხრობები წაუკითხავს, მისთვის ნათელია, რაოდენ მაღალი ოსტატობით ძერწავს იგი პერსონაჟთა სახეებს, მზატვრისათვის დამახასიათებელი როგორი ხიმძაფრით აღიქვამს იგი მის ირგვლივ არსებულ გარემოს. დაუვიწყარია მის მიერ აღბეჭდილი პერსონაჟების — გრიგოლიკას, არუშანას, გრიგოლიკას დედის, მენავთე გასპარას, მიკიტა მეეზოვის სახეები. ამის პირველმიზეზად კი ის დიდი ზემოქმედება გვევლინება, რომელსაც თვით ბუნებაში არსებული ხაგნები და მოვლენები ახდენენ პოეტზე.

უმჯობესია გავიხსენოთ „მოხეტიალის მოგონება“, რომელშიც ავტორი გრიგოლიკას დედის ხილვისას გვიყვება: „მე ვერ წარმოვიდგენია, თუ ხინამდვილეს შეეძლო ისეთნაირად ადამიანის დამცირება და ისეთი არსების შექმნა, რომლის შედარებით დონატელოს „მოხუცი მარია მაგდალინელი“, ან როდენის „ბებერი ქალი“ კარგავენ თავის ექსპრესიას...

წარმოიდგინეთ მუჭისოდენა, შავებში ჩაცმული, წელში მოხრილი, კუზიანი, გვერდზე თავმოქცეული, რომლის სახეზე ერთი თვალის ქვედა უპე წითლად ჩამოხეულია და იცრემლება. ეს თვალი თქვენ ირიბულად გიმზერთ და არ ინძრევა.

დამჭკნარი, შავი წერტილებით დაფარული ლოყები, წინწამოწეული, წვეტიანი და გრძელი ბალნებით შემოსილი ნიკაპი, რომელსაც ზევიდან მოღუნული ცხვირი დაჰყურებს. მიუმატეთ ყოველივე ამას ჩიყვი, რომელიც მის წვრილ კისერს აზის და ხულთქმას უშლის...“ („მოხეტიალის მოგონება“).

პოეტს არ ეძნელება, თუნდაც კალმის ერთი მოსმით აღწეროს ხურათი, აღსავსე თავისი ცხოველმყოფელობითა და ხიხადავით, ძალდაუტანებლობით: „ყავარზე წვიმის ხმაურთან ერთად გაიხმოდა ნედლი შეშის შიშინი და ღუმელთან მიძინებული ძაღლების დროგამოშვებით ხვნეშა“.

რაოდენ დიდი ტკივილი, სევდა და ხინაზე ახლავს გასაოცარი ნიჭიერებით აღბეჭდილ ხურათებს კოლაუ ნადირაძის შესანიშნავ პოემებში — „ბალადა შოტლანდიელ ცეცხლფარეშზე“, „1905“, „წითელი მოედანი“. მრავალთა შორის განსაკუთრებულია და ღრმა ემოციურობით გამოირჩევა ხურათი პოემაში „ბალადა შოტლანდიელ ცეცხლფარეშზე“, რომელსაც პირობითად შეიძლება „მოლოდინი“ ვუწოდოთ:

შოტლანდიაში,
სადაც გაზაფხულს,
უყვარს სტუმრობა
მთელი სიმდიდრით,
სადაც ზღვის ხავერდს
ოქროს თევზები
ამღვრევენ დილით, —
ისევე მოჩანს
პატარა სახლი,
პატარა ეზო აყვავებული,
ჭიშკართან ქალი,
მკლავებზე ბავშვი,
დიდი ლოდინით
გაკვირვებული,
და ქამს მწუხრისას
დაისის ალში,
ვით ქანდაკება გაქვავებული.

მაგრამ როგორი მძიმეც არ უნდა იყოს ამბავი, რაზედაც გვიამბობს იგი, არასდროს არ ცდილობს მუქ საღებავებს მიმართოს. პირი-

ქით, რომ უფრო ღრმად დაგვაფიქროს დამონებულთა და მშიერ-მწყურვალთა მწარე ბედზე, მათ მძიმე ყოფას ის ხათელი ფერების ფონზე წარმოგვიდგენს. პოეტური გამომსახველობის ამ თავისებურ მანერაში მკაფიოდ ამოიცნობა ზიზღი, პროტესტი მტარვალთა მიმართ, უსამართლობისადმი:

...ასამასი მილიონი
აგდია მტვერში,
ვერ ბედავს თავი
ასწიოს ზეციდ
და გაახილოს
ციამით თვალი.
ზეცა კი არის
ისეთი ლურჯი,
ისეთი სუფთა
და გამჭვირვალე.

(„ბალადა შოტლანდიელ ცეცხლფარეშზე").

წერს იგი და ამ სტრიქონებში აშკარად ვგრძნობთ მის გულისტკივილს და თანაგრძნობას ბედკრულთა მიმართ.

პოეტს არ შეუძლია მძაფრი ტონითა და ირონიით არ შეფეროს თავისი სათქმელი, როცა მეფის რუსეთის ხასტიკ ხინამდვილეზე გვესაუბრება:

...ბოიარების
გამობრძანება,
მათი პირქუში,
მრისხანე სახე,
მძიმე ნაბიჯი
და ოქრომკედით
მიმოქარგული ტანსამოსავი,
აქ არის ყველა:
მშრომელი ხალხი,
მღვდელი, თავადი,
მოხელე, ქურდი,
ქუჩის მასხრები და მათხოვრები,
ეს სიღატაკე დაუფარავი
არვის აოცებს მყრალი ძონძებით.
მეფის რუსეთს კი
ამშვენებს იგი...

(„წითელი მოედანი").

მაგრამ რა მოვლენაზეც არ უნდა წერდეს ის, ვისზეც არ უნდა მოგვითხრობდეს, მისი ოშვიათი ხელწერა მუდამ მიგვანიშნებს, რომ იგი უალრესად ჰუმანისტი პოეტია. ამიტომ არის, რომ კოლაუ ნადირაძის პერსონაჟებიც არაჩვეულებრივად ფაქიზი სულის, ხათუთი განცდის ადამიანები არიან. ამის ნათელსაყოფად ხაინტერესოა გავიხსენოთ ერთი მოტენტი, როდესაც იგი მენავთე გასპარას წარსულ დღეებზე მოგვითხრობს: „გასპარას აგონდება იმავე ზაფხულის დილა, შეიძლება ყველა დილაზე უფრო ცისფერი, მერცხლების ფრთებით გაფერილი". მხოლოდ პოეტის ხათუთი სულის მოძრაობას და მაღალ მოქალაქეობრივ გრძნობას შეუძლია ამგვარი ხურათი დაგვიხატოს:

...პატარა
შეღებილ ყუთში,
რომელიც, ალბათ
მას მიჰქონდა
ბავშვისთვის სახლში, —
აღმოაჩინეს,
სათამაშო
ნივთებთან ერთად,
პატარა დროშა,
აბრეშუმის წითელი დროშა,
ზედ დაქარგული
ნაქუჩის და ნამგალის ნიშნით.
ხოლო მის გვერდით
ვილაც უცნობ
კაცის სურათი,
რომლის ქვეშ მოკლედ
ეწერა: ლენინ!

ასეთი ხულიერი სინაზით გადმოგვცემს პოეტი ინგლისის გემზე დაღუპული მუშის — შოტლანდიელი ცეცხლფარეშის, თავისუფლების სურვილით შეპყრობილი, მეოცნებე კაცის მღელვარე განცდებს.

როდესაც ქალაქს ღრმა ძილით ხმინავს, მოხუცი პოეტის დაუშრეტელი ფანტაზია ავსებს მის მყუდრო ოთახს და სულში უსხეულო კონტურებივით ისახებიან ჯერ დაუწერელი, გაურანდავი სტრიქონები, რომელსაც შემდეგ ჭადოქარი პოეტის სათუთი ხელი შეეხება და მისთვის ჩვეული ხინატიფით ჩამოქნის. ამიტომაც ამბობს ხოლმე: — ღამით ხდება ის, რაც უნდა დაბოლოვდეს დილით. დილით მეტი ნათელია ადამიანში, დაფიქრება, განწყობილება იქმნება ღამით, დღე კონტროლს უწევს იმას, რაც ღამით ჩაისახა ადამიანის სულში. მე ვფიქრობ, ახლა ყველა შემოქმედში. ღამე შთაგონების მომგვრელია, ხოლო მის კრისტალიზაციას, დახვეწას დილა იძლევა.

გულშიჩამწვდომი, გამჭვირვალე სტრიქონებით გვეხმიანებიან პოეტის ახალი ლექსები თავისი ცხოვრების ხანიერ გზაზე და ხავსებით გვჭერა, რომ პოეტს არ აეჭვებს „ყვავილთა ჭკნობა", რადგან მასში მხოლოდ ცვალებადობას სჭვრეტს — „უდიდეს სიბრძნეს განგებისა". პოეტის სულში კვლავინდებურად არ ცხრება ჭარბუქი:

ისევ ჭარბუქი თარეშობს აგი,
არა გრძნობს წამით დაღლას,
ისევ მომინდა გავკვეთილ მკლავით,
ჩემი რიონის ტალღა.

მოულელელი ენერგიით აცხადებს იგი.

სიჩუმეში ჩაყურსული მისებური ხიბლით, პოეტური ხილვებით ეჩურჩულება მისი შეუდრეკელი სული თავის მუზას, რომელიც მარად-

წარუშლელი უკვდავი ფერებით ამკობს კოლაუ ნადირაძის პოეზიას:

მომესმის ჩუმი ნაბიჯების მოახლოება...
ვდგავარ უძრავად, მე ეს მოსვლა სულ არ
მაკვირვებს,
თავდასაცავად არაფერი მომეპოვება,
მაგრამ თავდაცვას, შებრძოლებას აღარ
ვაპირებ...
აღარ ვაპირებ, ლექსის სტრიქონს დაიცავს
ღონე,
მას ხომ ბოროტი ის ღიმილი არ შეხებია!
იგი ჩემს შემდეგ იარსებებს, დარჩება მგონი,
რადგან აქ **სიმნი შთაგონებას** დაურხეია!

მოგონებათა ნაკადს შეუჩერებლად შემოაქვს მეხსიერებაში გარდახულ ხმათა ხმაური... ძველი წიგნებით, გაზეთებით, ჟურნალებით ხავსია მისი ხამუშაო მაგიდა... დროდადრო ძველ ხურათებს დახედავს... მახსოვს, გულის ტკივილით მითხრა პოეტის ერთმა ახლობელმა: „არახოდეს დამავიწყდება ერთი შემთხვევა, გახაოცარ მომენტს შევეხწარი, შეწუხებული დამყურებდა იგი მეგობართა ხურათებს და ცხარე ცრემლებით ტიროდაო". **ეხა** ერთხელ გამიგონია **პოეტისაგან, როცა უახლოესი** მეგობრების ხურათი აუღია ხელში — **„წარმოუდგენელი ხაშინელებაა** ამდენი გარდაცვლილი **უახლოესი** ადამიანი, მიკვირს, როგორ ვარ ცოცხალი?" — **ვოიცებით** უთქვამს ხოლმე. ამიტომაც **გასაგებია, თუ** რატომ **გამოარჩევს** ხსვათაგან თავის ერთ-ერთ **უახლოეს** მეგობარს — ხერგო კლდიაშვილს. ახლაც სიყვარულით შეავლებს თვალს მეგობრის წიგნს, **1946** წელს რომ მიურთმევია მოსთვის ხარუქრად. დიდ სიამოვნებას **ანიჭებს, უყვარს** ამ ავტოგრაფის წაკითხვა:

„ოცდაათი წლის წინათ დაწყებული ჩვენი მეგობრობა და ჩემი სიყვარული შენი პოეზიისადმი ალბათ მხოლოდ ჩემს სიცოცხლესთან ერთად შეწყდება. **ზოგიერთი** რამ ამ **წიგნში** ნამდვილად მიყვარს და ამიტომ **უფრო** თამამად **გაძლევ** ამ **გამოცემას.** ნურასოდეს! ნუ **დავიწყებოდეს** ის **დღეები, როცა** ახალგაზრდები ვიყავით და მხოლოდ **კარგი** ლექსითა **და** კარგი **პროზით** ვცოცხლობდით... **2. IX 46. შენი** ხერგო **კლდიაშვილი**"...

ეს **სტრიქონები** ახლა მწერლის ახდენილი **ოცნებითა** და **ფიქრებით** ცოცხლობენ.

— „ვის **დაეხიზმრა ხამოთხეები, ხელით** ციხ ლაყვარდს **მიხწვდა?** — **წერს** პოეტი **ბოლოდროს** დაწერილ ერთ **ხაუკეთესო ლექსში** „**იანვარი**". ამ **კითხვას** თვითონ მადლიერმა მკითხველმა **შეიძლება** უპასუხოს, **რომ** ეს **უჩვეულო** ხვედრი **თავად** პოეტს **რგებია** წილად. **მაგრამ** პოეტისათვის **აქ** არაფერია **უჩვეულო, რადგან** თავისი ხანიერი **ცხოვრების** გზაზე **მოხ** გონებას **არ** განშორებია **მამის** შეგონება. **აკი** მამისადმი **მიძღვნაში** თავადვე **ბრძანებს** იგი: „**შენ** შთამაგონე **პატიოსნების** რაინდულად **დაცვა, შენგან** გავიგე, **რომ** მშფოთვარე **ხულს** სიმშვიდეს **გვრიან** თვალები, **თუ** მათ **შეაჩვევ** ხშირად **უცქირონ** ციხ **უძირო** ლაყვარდს".

მე მინახავს **როგორი** გარინდებით **უმზერდა** იგი **ზაფხულის** კამკამა **დღეს** ქაშვეთის **კარების** ორნამენტს, **მტრედების** გუნდს, **დღენიადაგ** რომ **დაფარფატებენ** ტაძრის **მიდამოს** და **ამ** ხურათის **ხილვით** ნათლად **გაცხადებულა** პოეტის **განცდისა** და **შთაგონების** ის **წამიც, როდესაც ამ** ხტრიქონებს **ქმნიდა:**

„**მე მიყვარს** დილა, **როდესაც** ხიონს **მტრედების** **გუნდი** **დააფრინდება**, **როდესაც** **მტკვარი** **გახდება** **ლურჯი** **და** **როგორც** **ცრემლი**, **დაიწმინდება**, — **მე** **მიყვარს** **დილა**, **როდესაც** **ხიონს** **მტრედების** **გუნდი** **დააფრინდება!**"

ასეთი **გზნებით** **გრძელდება** **დღესაც** **86** **წლის** **კოლაუ** **ნადირაძის** **პოეტური** **სიცოცხლე.** **ეხ**ესაა, **დაისტამბა** **პოეტის** **დაუშრეტელი** **ფანტაზიით**, **დაუცხრომელი** **განცდებით**, **მღელვარე** **ფიქრებით** **ნაოცნებარი** **ახალი** **ლექსების** **წიგნი**, **ახეთივე** **ალმაფრენით**, **ინტერესით** **რომ** **ეწაფება** **მკითხველი.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხელოვან ქეთელაური

ბავშვი და დედაენა

ბევრჯერ თქმულა და დაწერილა, რომ ჩვენი სასკოლო პროგრამები ჯეროვნად ვერ აკმაყოფილებენ დროის მოთხოვნას და მოსწავლე-ახალგაზრდობას შესაფერის ცოდნას ვერ აძლევენო. ეს საყვედური ყველა სასწავლო საგანს ეხება, მაგრამ ყველაზე მეტ მოთხოვნას მაინც ქართული ენა-ლიტერატურის სწავლებას უყენებს. ეს გასაგებიცაა: მშობლიური ენა-ლიტერატურის ცოდნის გარეშე ადამიანი სრული და ღირსეული მოქალაქე ვერ გაიზრდება და ვერც თავისი ქვეყნის — ხალხის, მიწა-წყლის პატრიოტი იქნება.

მართალია, ბავშვი, როგორც ყველა სხვა საგანს, მშობლიურ ენა-ლიტერატურასაც საფუძვლიანად და სრულყოფილად სკოლის მერხზე სწავლობს და ეუფლება, ამიტომ ქებასაყვედურიც ძირითადად მასზე მოდის. მაგრამ ყველაფერს სკოლას და სასკოლო სახელმძღვანელოს ნუ დავაბრალებთ. არანაკლები მნიშვნელობა აქვს სკოლისგარეშე სამყაროსაც — ოჯახს, ქუჩას, ჟურნალ-გაზეთს, რადიოტელევიზიას, ლოზუნგს, რეკლამას და ა. შ. უფრო მეტიც: სკოლის მერხზე მოსმენილი და ნასწავლი სკოლის გარეთ ანალიზდება, იხვეწება და საბოლოო მყარ ცოდნად სწორედ ამ ზემოთჩამოთვლილი ფაქტორების გავლენით ყალიბდება.

ამ მხრივ კი ყველაფერი რიგზე როდი გვაქვს. განსაკუთრებით შეუწყნარებლად ვამახინჯებთ პრესის ენას. ისე დაუდევრად ვეკიდებით, თითქოს იგი მეორეხარისხოვანი რაღაც იყოს და სწორ, გამართულ სალიტერატურო მეტყველებასთან არავითარი კავშირი არ ჰქონდეს. პირიქით კი არის. ჩვენი დიდი ბელეტრისტი მიხეილ ჯავახიშვილი ერთ-ერთ წერილში ასე ახასიათებს საგაზეთო ენის მნიშვნელობას: „გაზეთის ენის გავლენა ახალერ სჭარბობს წიგნისას, გაზეთი ყოველდღიური საუბრით ადვილად შლის მკითხველის გონებაში დაწმენდილ სალიტერატურო ენას და საკუთარს აბატონებს. ამიტომ აქვს საგაზეთო ენას გადამწყვეტი მნიშვნელობა“.

პერიოდიკის რიცხობრივ-რაოდენობრივი ზრდის კვალობაზე ეს ზეგავლენაც შესაბამისად იზრდება, მაგრამ ამ ფაქტს ჩვენ სათანადო უურადღებითა და სიფრთხილით ვერ ვეკიდებით, ზოგჯერ კი ხულაც არ ვუწევთ ანგარიშს და ჟურნალ-გაზეთების რედაქციებს საკმაოდ ბევრ ენობრივ შეცდომებს ვაწვდით და ვაბეჭდვთ თავზე. მაგალითად, ერთ-ერთ გაზეთში წერია: „ბალი ჩვეულებრივ აეკვნო ხალხს“. აქ ავტორს უნდა თქვას, რომ ბალი ჩვეულებრივ ხალხით იყო სავსე, ან — ჩვეულებრივ ხალხით ავსებულიყო, მაგრამ ისეთი უცნაური გაუგებრობა გამოუვიდა, რომ გასწორებაც კი შეუძლებელია: რით აეკვნო ბალი ხალხს?

იმავე გაზეთში დაბეჭდილ ერთ წერილში ორი ასეთი წინადადებაა: 1. „დღევანდელი ორჯონიკიძის მოედნის იქით არც ერთი შენობა იდგა“. და 2. „მთლიან რეკონსტრუქციას განიცდის დოლიძისა და ხილიანის ქუჩების მიმდებარე უბანი“.

არცერთი არ არის სწორი, მაგრამ პირველ წინადადებაში ხაქმე ისე რიგად არ ჭირს, მხოლოდ „არ“ ნაწილაკი აკლია („არც ერთი შენობა არ იდგა“), მეორე კი, მეტი რომ არ ვთქვათ, პირდაპირ სასაცილოა: განა რეკონსტრუქცია განიცდაა. და განა უბანს, ქუჩას შეიძლება განიცდის უნარი ჰქონდეს. რაღაცას განიცდიდეს?

ასეთი „მაღალი შტილი“, სამწუხაროდ, ჯერ კიდევ შეგხვდებათ ჩვენს პერიოდულ პრესაში; პერიოდიკას, რა თქმა უნდა მოსწავლე ახალგაზრდობაც კითხულობს და ამ მცდარ ფორმებს

დაუსრულებლად ისრუტავს. და რაღა გასაკვირიაო ამის შემდეგ, რომ ახლად სკოლადამთავრებულმა აბიტურიენტმა ქართული ლიტერატურის წერითს გამოცდაზე ცოლ-ქმარ თათქარიძეთა ხაოჯახო კამათი ასეთი ფორმით წარმოგვიდგინოს! „ლუარსაბმა დარეჯანის მიერ წამოყენებული ჩიხირთმის კანდიდატურა უარყო და წამოაყენა საკუთარი — ბოზბაშისა“.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ მშობლიური ლიტერატურის ცოდნა და აგრეთვე სიყვარულიც ძირითადად დამყარებულია სწორ, გამართულ მეტყველებაზე; გაუკულმართებულ ენობრივ ლექსიკას მიჩვეული ბავშვი კი ლიტერატურას ვერ შეიყვარებს და, მაშასადამე, ვერც შეითვისებს. მით უფრო ვერ შეიყვარებს „მშრალ“ მეცნიერებებს, როგორიცაა ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგია, გეოგრაფია და ერთობ ყველა არაჰუმანიტარული საგანი.

რედაქციები განსაკუთრებით დაუდევრად ეკიდებიან ცალკეულ რუბრიკებს („რჩევა-დარიგება ახალგაზრდა დედებს“, „სასარგებლოა იცოდეთ“, „საინტერესო ამბების სამყაროში“ „ექიმი გვირჩევს“ და სხვ.); ამ რუბრიკებს მილიონობით მკითხველი ჰყავს და ამდენად ენობრივი ნორმებიც სიზუსტე აქ უფრო საჭიროა. ხინამდვილეში კი ხანდახან მცდარ ფორმას უხსნიან გზას. ასე, მაგალითად: „ქსოვილისაგან ლაქების ამოყვანის საშუალებები შეგიძლიათ შეიძინოთ როგორც საფთიაქო, ისე ქიმიურ მაღაზიებში“

ამ წინადადებაში არაფერი არ არის ქართული. ქსოვილისაგან მხოლოდ რაღაცის შეკერვა შეიძლება — კაბის, შარვლის, პალტოსი და ა. შ. „ქსოვილისაგან ლაქების ამოყვანა“ სრულიად გაუგებარი და შეუძლებელი რაღაც არის. განა ქართულად ოდესმე ვისმეს უთქვამს, „ძროხისაგან ტყავის გახდა“, ან „კარტოფილისაგან ქერქის გაფცქვნა“?

ასევე „საშუალებებიც“ უადგილოდ არის ნახმარი. ლაქების მოსაცილებელი ხსნარები, ფხვნილები, ხითხეები, ნივთიერებებია და არა საშუალებები; შეცდომასაც რომ თავი დავანებოთ, განა რა საჭიროა ასეთი მცირე ზომის საყოფაცხოვრებო განცხადებისათვის ეს ვითომდა „აკადემიური“ სტილი, როცა იგივე აზრი შეიძლება სრულიად უბრალოდ და ძალდაუტანებლად გამოითქვას,. აი თუნდაც ასე: „ქსოვილისათვის ლაქების მოსაცილებელ ნივთიერებებს შეიძენთ საფთიაქო და ქიმიურ მაღაზიებში“. ასე ხომ უფრო მარტივიც არის, სწორიც და გასაგებიც.

„გან“ ნაწილაკის უმართებულო ხმარების შემთხვევები უფრო თარგმნილ ტექსტებში იჩენს თავს („ნუ დაჯდებით ფანჯარასაგან ზურგშექცევით“) და არც ისე ხშირია. შეცდომა ამდენად ტლანქი და უხეშია, რომ რიგითი მკითხველიც დანახვისთანავე მიხვდება. მაგრამ არის სხვა სახის შეცდომები, ასე ვთქვათ, დედნური, ორიგინალური, რომელთა გამოცნობა ზოგჯერ ენის ზედმიწევნით მცოდნესაც კი გაუჭირდება. მაგალითად, ერთ-ერთი გაზეთის ერთსა და იმავე გვერდზე წერია:

1. „შარშან საწარმოს კოლექტივმა ორჯერ მიიღო საკავშირო სავაჭრო პალატის ჯილდო მაღალმხატვრული, ეროვნული პროდუქციის გამოშვებისათვის“.

2. „აქ ჩატარებულია მნიშვნელოვანი მუშაობა მარცვლეული და პარკოსანი კულტურების მაღალმოსავლიანი ჯიშების გამოყვანისათვის“.

ეს წინადადებები გარეგნულად წვეთი წყალივით ჰგვანან ერთმანეთს და, ერთი შეხედვით, თითქოს არც სადაო და საკამათო რამეა: გრამატიკული თვალსაზრისით ყველა ხიტყვა თავის ადგილზე ზის და მკითხველისათვისაც სავსებით გასაგებია, მაგრამ მხოლოდ ერთი შეხედვით, ხინამდვილეში კი მათ შორის განსხვავებაც იმდენივეა, რამდენიც მსგავსება. პირველი შედეგს გამოხატავს და სწორია — კოლექტივმა ჯილდო მიიღო „მაღალმხატვრული, ეროვნული პროდუქციის გამოშვებისათვის“; მეორე წინადადება კი მოქმედების მიზანს გვამცნობს და, მაშასადამე, გრამატიკული ფორმაც შესაბამისი უნდა გამოსძებნოდა: მუშაობა, რა თქმა უნდა, ჯიშის გამოყვანის მიზნით, ესე იგი, გამოსაყვანად ჩატარდებოდა და არა „გამოყვანისათვის“.

ასეთი უჩინარი, ძნელად შესამჩნევი შეცდომები უამრავია, და საშიშიც ესენი უფროა: შეუმჩნევლობის გამო ადვილად იკიდებენ ფეხს მკითხველის გონებაში და ასევე ადვილად და სწრაფად ვრცელდებიან. ამავე მიზეზით მათ უკონტროლოდ ითვისებს, მოსწავლე ახალგაზრდობაც და, საბოლოოდ, მახინჯი ენით მეტყველებს.

რაკი „თვის“ სუფიქსზე ჩამოვარდა ლაპარაკი, ბარემ ესეცა ვთქვათ: ყოველ წელიწადს ქუჩებში, შენობათა ფასადებსა და ქალაქის ტრანსპორტზე ადლიანი ასოებით ნაწერ განცხადებებს ვკიდებთ: „დაიწყო ხელმოწერა ჟურნალ-გაზეთებზე... ამა და ამ წლისათვის“. წელსაც ასე ეწერა. ყველა ვხედავთ და ვიცით, რომ ეს ფორმა სრულიად შეუფერებელია ქართული ენისათვის, მაგრამ რატომღაც არ ვცვლით. რას ნიშნავს ჟურნალ-გაზეთებზე ხელის მოწერა, ვთქვათ, თუნდაც 1980 წლისათვის? ჟურნალ-გაზეთებზე ხელმოწერა რომელიმე წლისათვის კი არ იწყება — ჩვენთვის, ხალხისათვის იწყება და ეს განცხადებაც ასე უნდა იწერებოდეს: „დაიწყო ხელმოწერა 1980 წლის ჟურნალ-გაზეთებზე“.

ამგვარსავე მცდარ ფორმას დღეში რამდენჯერმე იმეორებენ რადიოსა და ტელევიზიის

დიქტორები. იმის მაგიერ, რომ უბრალოდ თქვან: „მოიხმინეთ ხვალის, ორშაბათის, ზეგის... და ა. შ. გადაცემათა პროგრამაო, ამბობენ: „მოიხმინეთ გადაცემათა პროგრამა ხვალისათვის, ორშაბათისათვის, კვირისათვის“...

ასეთ ხმოვან თვალსაჩინოებას განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ, იმიტომ, რომ მას დიდი ძალა და გავლენა აქვს — თვალსაც და ყურსაც ერთნაირად იმორჩილებს და მეხსიერებაში ჯიუტად მკვიდრდება. სწორედ ამდაგვარი თვალსაჩინოების ბრალია, რომ ქართული ენის მასწავლებელი მეოთხე კლასის მოსწავლეს ხაშინაოდ ასეთ დავალებას მისცემს:

მე ვწერ წერილს დედასთან.
მე დავწერე წერილი დედასთან.
მე დავწერ წერილს დედასთან.

ბავშვმა ეს წინადადებები შეიძლება გრამატიკული დროის მიხედვით კი გაარჩიოს, მაგრამ შეცდომას ვერა და ვერ მიხვდება. ეს მცდარი ფორმა სამუდამოდ ჩაეჭედება ხსოვნაში და თუ რაღაც ბედნიერმა შემთხვევამ არ უშველა, მთელი სიცოცხლის მანძილზე სულ ასე დამახინჯებულად იმეტყველებს. „დედასთან წერილს დავწერ“ და „დედასთან ვისადილებ“ — განა ერთი და იგივეა?

დედაენის წინაშე კერძოდ ჩვენი წმინდა პუბლიცისტურ-სალიტერატურო ეუნრალებიც საკმარისად ხცოდავენ. ერთ-ერთ პოპულარულ, მრავალტირაჟიან ეურნალში წერია: „წყლის პირას ქათმის კრუხი დასეირნობდა წიწილებით“. ეს წინადადება პატარებისათვის განკუთვნილი მოთხრობიდან არის ამოღებული და შეცდომა მით უფრო მიუტევებელია. რას ნიშნავს კრუხი წიწილებით დასეირნობდა? მაშ, ეს წინადადება და „ორბელიანი ეტლით დასეირნობდა“, ერთსა და იმავე შინაარსს გამოხატავს? ქართულად წიწილებიანი კრუხი ჰქვია, როგორც, მაგალითად: კვიციანი ცხენი, ხბოიანი ძროხა, გოჭიანი ღორი და ა. შ. შდრ. გზაზე ბავშვიანი ქალი მოდიოდა და არა — ქალი ბავშვით.

ასეთივეა იმავე ნომრიდან ამოღებული ეს წინადადებაც: „პატარ-პატარა ულუპებით შეხვით ერთი ჭიქა ცხელი ჩაი ლიმონითა და ერთი კოვზი თაფლით“.

შედარებით მეტი სიფრთხილე და ყურადღება გვმართებს ბავშვთათვის განკუთვნილი ნივთების გაფორმება-რეკლამირების საქმეში. ბავშვისათვის განსაკუთრებით მაცდუნებელია ტკბილეული. ბიოლოგიური მოთხოვნილების გარდა, ლამაზად და შინაარსიანად გაფორმებული ეტიკეტი ესთეტიკურ სიამოვნებასაც ანიჭებს და მისი ყოველი ნახატი თუ წარწერა მეხსიერებაში წარუშლელად აღბეჭდება. მიუხედავად ამისა, ჩვენი სარეკლამო ბიუროები ამ მხრივ ოდნავადაც არ ზრუნავენ, პირიქით შეუწყნარებელ დაუდევრობას იჩენენ და ბავშვებს ისეთ რეკლამა-ეტიკეტებს ხთავაზობენ, რომ მათი სწორად გაგება ხშირად მოზრდილსაც კი გაუჭირდება. მაგალითად, ერთ-ერთი დასახელების შოკოლადის გარსახვევზე დიდი ფერადი ასოებით წერია: „შოკოლადი რძით“, და იქვე შედგენილობის ნუსხაა მიწერილი: „შოკოლადი დამზადებულია შაქრისა და კაკაოს მარცვლისაგან მშრალი რძის, დამატებით, არომატიზირებულია ვანილით“.

მოდი და გაიგე, რა არის „მშრალი რძის დამატებით?“ განა ისეთი ძნელია, რომ ეს ეტიკეტი ოდნავ მაინც ქართულად გადმოთარგმნილიყო, აი თუნდაც ასე: „შოკოლადი დამზადებულია კაკაოს მარცვლისა და შაქრისაგან, დამატებული აქვს მშრალი რძე და შენელებულია (შეზავებულია) ვანილით“. თუკი საცივზე, ლობიოზე... და ა. შ. შენელებულს (შეზავებულს) ვამბობთ, რა დაშავდება, რომ შოკოლადზეც იგივე ითქვას? ხვა თუ არაფერი, ბავშვისათვის მაინც გასაგები იქნება.

ჩვენი ლამაზი დედაენა სხვამხრივაც ბევრგვარად მახინჯდება. ვერ იქნა და ვერ მოვიცილეთ თავიდან „დასვენების“ მაგიერ ყოვლად უაზრო სიტყვა „გამოსასვლელი“. პირიქით, უფრო გაგვითამამდა, სავაჭრო და საუწყებო ორგანიზაცია-დაწესებულებებიდან სიტყვაკაზმულ მრეწველობაში გადაინაცვლა და ახალი შინაარსი მოითხოვა: „ნუ წასვალ სამსახურში სულ ახალი, გამოსასვლელი ფეხსაცმელით“.

„გამოსასვლელი ფეხსაცმელი“ ქართული არ არის, სახლის გარეთ, ხალხში, საზოგადოებაში სამსმარ, ახალ, სადღესასწაულო შესამოსელს და, მათ შორის, ფეხსაცმელსაც, ქართულად საგარეოს ვეძახით და ავტორსაც ასე უნდა დაეწერა, თანაც „ფეხსაცმელით“ კი არა, — ფეხსაცმლით.

ნუ ვიტყვით, რომ ეს წვრილმანია. ჯერ ერთი, ენაში წვრილმანი არ არსებობს, და მეორეც ამ „წვრილმანებს“ საკმაოდ დიდი ძალა და გამძლეობა აქვთ, — წყლის წვეთივით ნელა, შეუმჩნევლად აკეთებენ თავის საქმეს და თუ თავიდანვე არ ვებრძოლეთ, მერე შეიძლება დაძლევა გაგვიჭირდეს.

ბრუნვის ფორმათა ასეთი ხელოვნური აღრევა სხვა სიტყვებშიც შეინიშნება. მაგალითად: „იორის არხი“ (ივრის, შდრ, ნივრის მწნილი), „დიღომის მასივი“ (დიღმის), „პამიდროის საწებელა“ (პამიდვრის, შდრ, მინდვრის ყვავილი), „ყვარელის რაიონი“ (ყვარლის) და ა. შ.

ეს მახინჯი ტენდენცია უფრო უცხო სიტყვების ხმარებისას შეინიშნება. ქართული ენის ერთი დედაძარღვი კი სწორედ ის არის, რომ ყველა უცხო სიტყვას საკუთარ ბუნებასა და გრამატიკულ ნორმებს უმორჩილებს. ყველა სხვა უჩვენო ასეთ დიდ მადლს ენისას ორივე

ხელით მოეჭიდებოდა და თავსაც მოიწონებდა. ჩვენ კი თვითონვე უარვყოფთ და სხვათა ენიხადმი ბრმა მოკრძალებითა თუ სხვა რამ მიზეზით ხაკუთარს ვამახინჯებთ, რიხ გამოც ბევრი უცხო ხიტყვა ქართული ენიხ ბუნებიხათვიხ შეუფერებელი ფორმით დაგვიმკვიდრდა ლიტერატურაში. ერთი ასეთთაგანია „იუბილე“. ჟურნალში, გაზეთში, მოსაწვევ ბარათებსა და ლოზუნგებზე ნათესაობითხა და მოქმედებით ბრუნვებში ამ ხიტყვას დღეს ყველგან ასეთი ფორმით ვხმარობთ: „ფართოდ აღვნიშნოთ აკაკი წერეთლიხ იუბილეს დღეები“, „ხაქართველოში საბჭოთა ხელიხუფლების დამყარებიხ 60 წლიხთავის იუბილეს შესახვედრად“.

„იუბილე“ ქართული ენისათვის იხეთივე ხაზოგადო ხახელია, როგორიც, მაგალითად, ღელე, ღობე, მღვიმე და ა. შ. და ბრუნების თვალსაზრისითაც მათხავე ჯგუფს განეკუთვნება. მაშასადამე, „იუბილის“ და არა „იუბილეს“. ამ ორ ფორმას იხევე უნდა ვახხვავებდეთ ერთიმეორიხაგან, როგორც „ღელიხ“ და „ღელეს“: „ღელეს აღმა ავყვები“ და „ღელიხ პირას ჩამოვჯდები“.

ვიხ რად უნდა იხეთი ფორმა ან ხაკუთრივ ხიტყვა, თუნდაც ძალიან სწორი, რომელსაც პრაქტიკულად არავინ არ იხმარს. განა ცოტა ხანია მახ შემდეგ — ბარემ ხუთი ათეული წელიწადი მაინც არიხ — რაც ექიმები დახნეულების, დაავადებიხ მაგიერ „დახნებოვნებას“ წერენ და შიგ გარკვეულ ნიუანსსაც გულიხხმობენ, მაგრამ ცოცხალმა ხამეტყველო ენამ ვერც ეს ხამედიცინო ტერმინი შეითვიხა და ვერც მიხი ნიუანსიხა რამე გაიგო. ხალხი დღესაც ტრადიციულ ფორმას — დახნეულებას, დაავადებას ხმარობს: „ქალი ნუ გინდა უცხო მხრიხ, დახნეულდება, მოკვდება“.

ამგვარი მაგალითები ჯერ ერთეულებია, მაგრამ თუ ასე გაგრძელდა, მალე ათეულებად, ოცეულებად იქცევა და იგივე მოხდება, რაც ა ფუძიანი ხახელების უმართებულო ბრუნებამ გააკეთა—მაწარმოებელ ა-ხა (ფუმფულა, ბღუნძელა, შავთვალა) და ფუძიხეული ა-ს (ბოჩოლა, ხოხნოტა, ღვია) მცდარმა გაიგივებამ იხე არია ხაქმე, რომ დედასიტყვა „დედაც“ კი დაგვიმახინჯა. ერთ-ერთ სულ ბოლო დროს გამოცემულ რომანში ნათესაობით ბრუნვაში ყველგან დედიხ მაგიერ დედა წერია: „ანეტა დედახ დაბრუნებამდე ალერსსა და მზრუნველობახ არ მაკლებდა“, „მე ხავსებით ვენდობი დედახ გემოვნებას“...

ვიმეორებ, ესა და სხვა ამგვარი მახინჯი ფორმები ძირეულ სიტყვებზე უცხო სიტყვათა უმართებულო ხმარებიხ გავლენით გადმოდის, ხაყურადღებოც სწორედ ეს არიხ: ტექნიკისა და კულტურულ-ხაყოფაცხოვრებო ხაშუალებათა განვითარება-გაფართოებიხ გამო, ახლა უცხო ტერმინოლოგია დიდი რაოდენობით შედიხ ყველა ენაში და მათ შორის ქართულშიც. და ჩვენ რომ ამ გზას გავყვეთ — ენიხ კანონები და ბუნება ცალკეულ სიტყვებსა და მათს ფორმებს დავუმორჩილოთ, სულ მოკლე დროში ჩვენს ენახ ჩვენვე ვეღარ გავიგებთ. ყველა სიტყვა, სულერთია, ბარბარიზმი იქნება იგი, ნეოლოგიზმი თუ ხაკუთარი ხაგანძურიდან ამოღებული, ენიხ ბუნებას უნდა ემორჩილებოდეს და არა ენა რომელიმე ცალკეული სიტყვიხ ბუნებას.

გვაქვს ერთიანი ხალიტერატურო ქართული ენა — ხადღეისოდ ყოველმხრივ დახვეწილი და ხიხტემაში მოყვანილი. ამ სიხტემახა და დადგენილ ნორმებს ყველა უნდა დავემორჩილოთ. განსაკუთრებით ეს ეხება მწერლობახ. მწერალი მოზარდიხათვიხაც და მოზრდილიხთვიხაც ერთნაირად ავტორიტეტია და ენიხ სიწმინდიხ დაცვიხ საქმეშიც სხვაზე მეტი მოეთხოვება. მაგრამ ჩვენი მწერლობიხ ერთი ნაწილი ამ დიდად ხაპატიო მოვალეობას ხაჭირო პასუხიხმგებლობით ვერ ეკიდება. მეტიხმეტად მომრავლდა ხიტყვაკაზმულ მწერლობაში მყარი ენობრივი ნორმებიხ თვითნებური და ყოვლად გაუმართლებელი ხახეცვლილებებიხ მაგალითები: „ჩვენ მოფარებულ მერხზე ჩამოვჯექით“, „წინანდებურად ხალხიხ დასანახად ვეღარ ვიჯექით ეზოში“.

რასაკვირველია, ყველა ზემოთქმული სულაც არ ნიშნავს იმახ, თითქოს მწერალი ბრმად უნდა ემორჩილებოდეს ერთხელ და ხამუდამოდ დადგენილ გრამატიკულ ნორმებს და არც ხახმარი ლექსიკური ფონდიხ ჩარჩოებს იქით იხედებოდეს. პირიქით, მწერალს უფლება აქვს და ვალდებულიც არიხ, რომ საჭიროებიხდაკვალად ნებისმიერად შეცვალოს ესა თუ იხ გრამატიკული ფორმა, სურვილისამებრ დაალაგოს წინადადება და ახალი სიტყვა-ტერმინებიც გაბედულად უხვად შემოიტანოს, მაგრამ მხოლოდ ნებისმიერად და არა თვითნებურად, რომ ენიხ ბუნება და ცოცხალი ხამეტყველო კანონზომიერება არ დაარღვიოს, არ დაამახინჯოს, თორემ რა ხდება, ბავშვი, მოხწავლე, ერთგან ერთ ფორმას კითხულობს, მეორეგან — მეორეს და მცდარი და მართებული ერთმანეთში ერევა, ვეღარ ერკვევა, რომელია სწორი, მისაღები, ან უარხაყოფი და ხაბოლოოდ — ეს ყველას თავიხ თავზე გამოგვიცდია — ყველაფერზე გული უტყდება, ხალიხი ეკარგება და თანდათანობით დახწავლა-ათვისებიხ სურვილიც მთლიანად უქრება.

ასევე სხვადასხვანაირად იწერება დღევანდელ ხალიტერატურო ქართულში ხაანგარიშო — ხაანგარიშე, თვითეული — თითეული, შიდა-შიგა და სხვ. სიტყვათა ეს ხელოვნური ხახეცვლილება ზოგი უწყინარია და თავიხ იქით არ მიდიხ, უმეტესობა კი ვარ-

ქვეულ პრინციპს ემყარება და სიტყვამასაც ასეთსავე კანონზომიერს მოითხოვს. მაგალითად, თუ „შიდას“ „შიგათი“ შევცვლით, მაშინ ზედა და ქვედაც ამ პრინციპს უნდა დაეუნორჩილოთ და „ქვედას“ მაგიერ, „ქვეშა“ ვწეროთ: „ქვეშა სართული“, „ქვეშა ყბა“, „ქვეშა პირი“ და ა. შ. მერედა რას მოგვცემს ეს ცვლილება, რას შემატებს ენას? ან რა საჭიროა ენისათვის ეს ეტიმოლოგიური სიწმინდე? რომელი ენაა ქვეყნად ისეთი, რომ თავდაპირველი გრამატიკული ფორმები დღემდე უცვლელად მოეტანოს? და განა სიტყვათა ეს ფონეტიკური სახეცვლილება არ არის ენის სიმდიდრისა და განვითარების ერთ-ერთი ძირითადი წყარო?

ასეთი შეცდომები ზოგს უმეცრებით მოსდის, ზოგს კი სიახლედ მიაჩნია და განუსჯელად იმეორებს. შეიძლება ასეც იყოს, მაგრამ სიახლე მაშინ არის კარგი და მისაღები როცა არსებულს, ძველს სჯობია, როცა ენას რაღაცას მატებს, აუმჯობესებს, აწესრიგებს. ამდაგვარ სიახლეს კი, როგორც ვხედავთ, ენაში არევ-დარევისა და გაუგებრობის მეტი არაფერი შეაქვს. და ახლ რომ გავაგრძელოთ, ერთი დიდი ნაწილი ჩვენი ლექსიკისა სულ თავდაყირა უნდა დავაყენოთ: წალეკვა წალექვიდან მოდის, დაქუცმაცება — დაკუწმაწებიდან, კურდღელი — ყურგრძელიდან, ქვიტკირი — ქვითკირიდან, ბეჩავი — ბედშავიდან და საბოლოოდ გამართლებული, მოწესრიგებული და კანონზომიერი სალიტერატურო ენის მაგიერ ხელთ დომხალიღა შეგვრჩება. თვითონ დომხალიც დოხალიდან მოდის.

ამ ბოლო დროს ჩვენს ენაში ერთი მეტად უცნაური და ყოვლად შეუწყნარებელი სიმახინჯეც გაჩნდა. წერილობითშიცა და ზეპირმეტყველებაშიც (ვგულისხმობ სცენას, ეკრანს, რადიო-ტელევიზიას) ძალიან ხშირად ისმის და იწერება: „ორი დღის უკან“, „ერთი წლის უკან“ და ა. შ. არ ვიცი ეს სიგონჯე საიდან შემოგვეპარა, ეგ კია, რომ ქართულს არაფერი არ უგავს. წინ და უკან სრულიად საპირისპირო შინაარსის მქონე ცნებებია და მათი ერთნაირი შინაარსით ხმარება არაფრით არ შეიძლება. ან ერთი უნდა მივიჩნიოთ კანონიერ ფორმად ან — მეორე. ხოლო თუ „უკან“-ს მივიჩნევთ, მაშინ მთლიანად უნდა უარვყოთ ლამაზი, სწორი და შინაარსიანი ქართული ფორმები — „გუშინწინ“, „შარშანწინ“, „ამასწინათ“ და მათ ადგილზე „გუშინუკან“, „შარშანუკან“, და „ამასუკან“ დავამკვიდროთ. აქ, როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, წინაპრებს მაინც ვცეთ პატივი და უკანაპრებად ნუ ვაქცევთ.

კიდევ ბევრი ხინჯი და კორძი ეძალება ჩვენს დახვეწილ სალიტერატურო ქართულს და სათქმელიც საკმაოდ ბევრია, მაგრამ ამჯერად ამ მცირე შენიშვნებით დავამთავრებ. დასასრულ ვიტყვი მხოლოდ, რომ სანამ ეს ზემოთ მოტანილი მიზეზები იარსებებს, მოსწავლე-ახალგაზრდობისათვის მშობლიური ენა-ლიტერატურის სათანადო დონეზე სწავლების საქმეში მარტო სკოლა და სახელოო სახელმძღვანელო ვერაფერს გახდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

როდიონ ქორჩია

ლევან ასათიანის გახსენება

ორიოდე სიტყვა წინასწარ

ყოველ დროს ჰყავს თავისი ხმაურიანი და უხმაურო მოღვაწენი. ხმაურიანთა სახელი გადადის თაობიდან თაობაში, უხმაუროთა კი თავის თაობაში რჩება.

ლევან ასათიანი ქართული ლიტერატურის მრავალმხრივი და ნიჭიერი მოღვაწე იყო, ოღონდ უხმაური. ცოდვაა მისი სახელი მარტო მის თაობაში დარჩეს. მისი სახელი ღირსია გადალახოს თაობის საზღვარი. ამიტომ ვწერ ამ სტრიქონებს.

რახაკვირველია, სისრულის პრეტენზია ამ მოგონებას არა აქვს; მხოლოდ სურვილი — ახალმა თაობამ ცოტა რამ მაინც იცოდეს ამ შესანიშნავ პატრიოტსა და უხმაურო მწერალზე.

წინაპარმა კვალზე

ზაჰესის დამთავრების შემდეგ პროფკავშირებმა წესად შემოიღეს კვირაობით თბილისიდან მუშა-მოსამსახურეთა გაყვანა ამ პირველი ჰიდროელექტრო სადგურის დასათვალიერებლად. საერთოდ კი, დასასვენებლად თბილისის მკვიდრნი არაორგანიზებულადაც, ჯგუფ-ჯგუფად გადიოდნენ ქალაქგარეთ.

ერთ კვირა დღეს მწერალთა ერთი ჯგუფი გავედით ქალაქგარეთ. ჯგუფში მე და ლევან ასათიანიც ვიყავით. ჩვენ ზაჰესი ნანახი გვქონდა და პირდაპირ მცხეთაში ჩავედით. მცხეთაში, რასაკვირველია, პირველად სვეტიცხოველს ვეხტუმრეთ. იმ დღეს სვეტიცხოველს ათვალიერებდა ტრამვაის მუშათა კოლექტივი. ტაძრის ამბებს მუშა-მოსამსახურეებს ვიღაც უმეცარი ლექტორი უხსნიდა. ეშლებოდა თარიღები, სახელები, და საერთოდ ისტორიაში ნაკლებად ჩახედული ჩანდა.

ლექტორმა რომ თავისი დაამთავრა, ლევანმა მუშებს მიმართა და კედელზე ამოკვეთილ მკლავზე მიუთითა — ხედავთო, და მკლავის ლეგენდარული ისტორია უამბო. მკლავიდან ლევანი სვეტიცხოვლის ისტორიაზე გადავიდა. დაიწყო ქრისტეს კვართიდან და სვეტიცხოველი საუკუნეების მანძილზე გამოატარა. ამ ისტორიაში იქ მყოფმა ადამიანებმა თავისი წინაპრები დაინახეს: მშრომელი, მებრძოლი, ხამშობლოს დამცველი, მამაცი წინაპრები. ლევანის საუბარში პატრიოტულად დაწყვილდნენ სვეტიცხოველი და ზაჰესი, სისხლით სავსე წარსული და ოფლში დანამული დღევანდელობა. არსაკიძის მოჭრილმა მკლავმა ყველას წარმოუდგინა თვალწინ გენიალური შემოქმედისა და ტირანული წყობილების, სიკეთისა და სიავის შერკინება. წარსულში ერთიც იყო და მეორეც. მაგრამ ხალხის გენიამ და შრომამ თავისი გაიტანა. შეიქმნა ეს დიდებული ძეგლი და მან მოალწია დღევანდელ დღემდე. ახლა ამ ძეგლს მთავრობა პატრონობს. გაცემულია განკარგულება სახურავი გადაიხუროს, გუმბათი შეკეთდეს, კედლები გასუფთავდეს. ძეგლი ისტორიულია, ეროვნულია და საბჭოთა მთავრობას მზრუნველობაზე ჰყავს აყვანილი. მოხუცი სვეტიცხოველი და ახალგაზრდა ზაჰესი ერთმანეთის გვერდით ძმურად დგანან. ორივე მშრომელი ხალხის ნიჭისა და შრომის შვილებია, — ახე ამბობდა ლევანი.

ხალხს მოეწონა ლევანის საუბარი, უბრალოდ და გასაგებად აწყობილი, ეროვნული ღირსებით სავსე და ახალი ცხოვრების შუქით განათებული.

ლევანს მადლობა უთხრეს. იქ მყოფთ შორის ბევრს ცოდნია სვეტიცხოვლის ისტორია, მაგრამ მწერლის ენით მხატვრულად გაშუქებული სულ

ხნვა იყო. სწორედ ამან მოხიბლა დია ცის ქვეშ შეკრებილი აუდიტორია.

ეს იყო 50 წლის წინათ. მწერალთა ჯგუფში კონსტანტინე გამსახურდიაც იყო. მე და კონსტანტინე ლევანის ახლოს ვიდექით და უურს ვუგდებდით. ლევანის შემდეგ კონსტანტინემ უთხრა ხალხს: მე ამ თემაზე ვმუშაობ და როცა ჩემს რომანს წაიკითხავთ, ლევან ასათიანის საინტერესო ხაუბარსაც გაიხსენებთო. გახსოვდეთ: ტირანიამ მკლავი მოხეჭა დიდოხტატს, მაგრამ ხული მისი დღესაც ცოცხალია ქართველ ერში, გვახსოვდეს ჩვენი დიდი წინაპრებიო.

მას შემდეგ ნახევარი ხუკუნე გავიდა, აღარ არის ლევანი, აღარ არის კონსტანტინე. მე გავიფიქრდი, მაგრამ ამ მოგონებაში ერთი ჭაღარაც არ ურევია...

კეთილი გულით

ერთ დროს ლევან ასათიანი ეურნალ „მნათობის“ მდივანი იყო. მან მაშინვე შემოიკრიბა გარშემო მწერალთა აქტივი. ადამიანებთან კონტაქტის დამყარების დიდი უნარი ჰქონდა. ეურნალში მუშაობისათვის ამას დიდი მნიშვნელობა აქვს. მე ხშირად მაძლევდა დავალებას ან მასალას ხაკონსულტაციოდ.

ჰოდა, ვზივართ ერთხელ ლევანთან მის კაბინეტში მე და გრიგოლ ცეცხლაძე. ლაპარაკია „ევგენი ონეგინის“ ცეცხლაძისეულ თარგმანზე.

შემოვიდა ვიღაც ახალგაზრდა, მორიდებით იკითხა ლევან ასათიანი.

— ვინ ბრძანდებითო, ჰკითხა ლევანმა.

— მე, ბატონო ლევან, ლექსების რვეული მოგიტანეთ, ეგები წაიკითხოთ? — უპასუხა ახალგაზრდამ.

ლევანმა მიუთითა ხკამზე, გამოართვა რვეული, დაიწყო კითხვა.

ჩვეულებრივ, კონსულტაციას განსაზღვრული დროის შემდეგ ვაძლევდით მწერალთა კავშირში. ამუამად კი ლევანმა მაშინვე დაიწყო კითხვა. მოეწონა ახალგაზრდის მორიდება და ზრდილობა.

ლევანმა რამდენიმე ლექსი გადაათვალიერა, თავისთვის, უხმოდ, შემდეგ ასე უთხრა მოხულს:

— თქვენ გაქვთ ნიჭი. ოღონდ ეს ლექსები, ამ სახით, ახლა არ დაიბეჭდება. თქვენ უნდა გაიწაფოთ, ბევრი იკითხოთ. კარგი პოეტები, რომლებიც მოგწონთ, კარგად შეისწავლეთ. რასაკვირველია, ლექსის წერა არ ისწავლება, მაგრამ — ლექსის წერასაც თავისი წესი და ფორმაც აქვს... ცოდნას და კულტურას დიდი მნიშვნელობა აქვს... ხომ არ გწყენიათ ჩემი დარიგება?

— რას ბრძანებთ, ბატონო ლევან, ამისთვის მოვედი!

— ჰოდა, ნიჭი რომ გაქვთ, ეეც იმიტომ გეუბნები. რას აკეთებთ საერთოდ?

— სტუდენტი ვარ. პირველ კურსზე, ფილოლოგი.

— ჰოდა, ფილოლოგი უფრო ადვილად ჩახწვდება ყოველივე ამას. შემოიარეთ, მეორე კურსზე რომ გადახვალთ!

სტუდენტმა წაიღო თავისი რვეული.

— ერთი წლის განმავლობაში გახდება ეს სტუდენტი პოეტი? — ვუთხარით ჩვენ ლევანს ხიცილით.

— ვინ იცის! გაიცინა ლევანმაც, — ნიჭი მართლა ეტყობა, მშვენიერი შედარებები აქვს, მაგრამ მოქნევა სხვაა და დაკვრა სხვა. მთავარია: ადამიანს, განსაკუთრებით ახალგაზრდას, გული არ გაუტეხო, ხელის გამართვას დიდი მნიშვნელობა აქვს. უნდა წააქეზო... თუ გრაფომანია, მაშინვე უნდა უთხრა სიმართლე, განსაკუთრებით ხანშიშესულს... რედაქციაში ჯობური რჩევა არ შეიძლება... ხომ იცით შალვა დადიანი, ლეო ქიაჩელი, ნინო ნაკაშიძე როგორ აძლევენ კონსულტაციას? არ უნდა დააშინო დამწყები მწერალი, ან, ხაერთოდ, რედაქციაში მოხული. რედაქცია კაცთმოყვარეობის და პატივისცემის ტაძარი უნდა იყოს. თუმცა რალა ბევრს გეუბნებით? თქვენ ხომ უჩემოთაც იცით ეს.

რასაკვირველია, ჩვენც რედაქციის მუშაკები ვიყავით და ვიცოდით ეს.

მაგრამ თუ ამ შემთხვევაში, ამდენი ვილაპარაკე ლევანზე, ეს მხოლოდ და მხოლოდ იმიტომ, რომ ახლაც თვალწინ მიდგას ხათვალიდან გამომზირალი მისი ჭკვიანი თვალები, ტუჩებზე კეთილი ღიმილი და თითქოს მესმის მისი ტკბილი ქართული: ადამიანს გული არ გაუტეხო...

კეთილი კაცი იყო ლევანი. ადამიანი უყვარდა და თვითონაც ნამდვილი ადამიანი იყო, უხინჯო და უეშმაკო...

რედაქციაში მოხულებსაც რჩევა-დარიგებას კეთილი გულით აძლევდა...

დისერტაცია

ხაქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში ლევანი იცავდა დისერტაციას. თემა იყო „აკაკი წერეთლის ცხოვრება და მოღვაწეობა“.

თავმჯდომარე იყო კორნელი კეკელიძე. დაესწარით მწერლების დიდი ჯგუფი.

გაეხარდა ლევანს, რომ დაგვინახა. ნათელი ღიმილი გადაეფარა კორნელი კეკელიძის ლამაზ სახესაც, ჩვენ რომ დაგვინახა და თავი დაგვიკრა.

დისერტაცია ბრწყინვალედ ჩატარდა. ოღონდ დარბაზიდან, კამათი რომ დაიწყო, ვიღაცამ ორაზროვანი შეკითხვა მისცა ლევანს. არ მოეწონა ლევანს შეკითხვა და მიუბრუნდა თავმჯდომარეს:

— ბატონო კორნელი, შეიძლება ასეთი შეკითხვა? ზარზეა ეს კაცი?

ახლა ლევანის შეკითხვა არ მოეწონა კორ-

ნელის, წამოდგა და ასე უპასუხა ლევანს:

— ბატონო ლევან, თქვენ აკადემიაში ბრძანდებით!...

ცხადი იყო თუ რას ნიშნავდა სიტყვა „აკადემიაში".

ლევანი გაჩუმდა. მაგრამ დარბაზი ლევანის სასარგებლოდ ახმაურდა. ჩვენც, მწერლებმა, საუვედურით შევხედეთ იმ „ვიღაცას". იმ „ვიღაცამ" თავი დაღუნა.

დისერტაცია იმით დამთავრდა, რომ კორნელი კეკელიძემ სიხარულით მიულოცა ლევანს გამარჯვება. ჩვენ კი, მწერლებმა, გადავკოცნეთ ლევანი.

დისერტაცია კიდევ იმით დამთავრდა, რომ ლევანს არ დაუხარჯავს ათასი და ათასი მანეთები, ტრიბუნაზე ავიდა ნიჭიერი და კულტურული კაცი, რომელსაც არ ჭირდებოდა არავითი მფარველობა და უაზარმაზარი ბანკეტი.

ჭალადიდელის გადმოსვენება

არ მახსოვს რომელი წელი იყო, ჩავედი ჩემს სოფელ ჭალადიდში, ვინახულე პოეტ ჭალადიდელის საფლავი. რიონი რამდენიმე მეტრამდე მისულიყო საფლავამდე, ანგრევდა ნაპირს. საფლავს მდინარეში ჩაქცევა ემუქრებოდა.

მეორე დღესვე ჩავედი სენაკში. ვეახლე რაიკომის მდივანს. სამწუხაროდ, არ მახსოვს მისი გვარი. მოვახსენე: საფრთხეშია ჭალადიდელის საფლავი-მეთქი.

შეწუხდა მდივანი: გამოიძახა აღმასკომის თავმჯდომარე და იქვე გადაწყვიტეს: სასწრაფოდ გადმოიტანონ ჭალადიდელის საფლავი სენაკში. ზემო-ჭალადიდი, სოფელი საქოჩაქიო, სენაკის რაიონში შედიოდა.

მდივანმა იქვე მომიპატიჟა: ხაზეიმო გახსნაზე უეჭველად ჩამობრძანდითო. რასაკვირველია, მწერალთა კავშირს ვაცნობებთო ოფიციალურად.

მაშინ მწერალთა კავშირის თავმჯდომარედ ხანდრო ეული იყო, გამომიძახა იმავე თვის ერთ დღეს ხანდრომ და მითხრა: სენაკში ჭალადიდელის ნეშტი გადმოუსვენებიათ და ხაზეიმო გახსნაზე უნდა წახვიდეო.

სამწუხაროდ ჩემდა, იმ დღეებში მე ოჯახური საქმეების გამო ვერ წავიდოდი თბილისიდან და ლევან ასათიანი დავასახელე: ის წავიდეს-მეთქი. ლევანი მაშინ მწერალთა კავშირის აპარატში მუშაობდა, ჟურნალ „მნათობის" მდივანი იყო.

გამოვიძახეთ ლევანი. ხიამოვნებით დათანხმდა — მეორე დღესვე გაემგზავრა.

შემდეგ გავიგეთ, რომ ლევანს ბრწყინვალე სიტყვა წარმოუთქვამს. სიტყვის ქარგად ჭალადიდელის ცნობილი ლექსი, სახალხოდ გადაქცეული, „მახსოვს პირველად სასწავლებელში" აუღია. აუტირებია დედები და შეუქია ძველი დედების პატრიოტიზმი, ხოლო ყვავილებით მოხვეულ პიონერებისათვის უთქვამს:

— ჭალადიდელის დროს სკოლა იშვიათი იყო სოფელში. ბავშვებს, ვისაც კი შეეძლო, „მოსწავლეობა გზასა აგზავნიდნენ" სასწავლებლად... —ახლა კი, საბჭოთა დროს, სკოლა ყველა სოფელშია გახსნილი. აბა თქვენ იცით როგორ აასრულებთ ჭალადიდელის დედის დარიგებას, როგორ კარგად ისწავლით და გამოადგებით ჩვენს ქვეყანას!.. სწავლა ხომ საშობლო ენაზეაო?..

ლევანი იდგა ჭალადიდელის საფლავთან; ამ სიტყვების გაგონებისას პიონერებმა ცოცხალი ყვავილები მიართვეს მას.

კარგი სიტყვა

სამამულო ომის დროს რუსეთიდან ბევრი მწერალი და თეატრალური მოღვაწე ჩამოვიდა თბილისში. მათ შორის იყვნენ ვერესაევი, ნოვიკოვი, ნემიროვიჩ-დანჩენკო, კნიპერ-ჩეხოვა, კაჩალოვი. ნემიროვიჩს შეხვედრა მოუწყვეს რუსთაველის თეატრში. დავესწარით მწერლები. იღიმებოდა ნემიროვიჩი, მუდამ ახალგაზრდა სამხატვრო თეატრის დირექტორი.

სცენაზე გამოვიდა ლევან ასათიანი. მაშინ ის რუსთაველის თეატრის სალიტერატურო ნაწილის გამგე იყო. რუსთაველის აკადემიური თეატრის სახელით მოსკოვის აკადემიური სამხატვრო თეატრის ხელმძღვანელს ნემიროვიჩ-დანჩენკოს სიტყვით მიმართა ლევანმა.

ცნობილია სამხატვრო თეატრის როლი ქართული თეატრის ისტორიაში. ცნობილია ისიც, რომ ქართულ თეატრს კულტურული იზოლაცია არ ახასიათებდა.

ლევანმა თავის სიტყვაში აღნიშნა ეს როლი. შემდეგ მან დაახასიათა ქართული თეატრის ღრმა ეროვნული თავისებურებანი.

ლევანი მიესალმა ნემიროვიჩს, როგორც დიდ ხელოვანს, ქართული თეატრის დიდ მეგობარს, სასურველ სტუმარს, მიესალმა როგორც დრამატურგსა და რეჟისორს, რომელმაც საბჭოთა თეატრში სოციალისტური რეალიზმი დაამკვიდრა. და მიესალმა, როგორც ადამიანს.

— თქვენ განა მარტო სტუმარი ხართ თბილისში? — უთხრა ლევანმა ნემიროვიჩს. — თქვენ ჩვენთან თავი უნდა იგრძნოთ, როგორც თავის ხულიერ ოჯახში! დიდი ხელოვნება ხომ ხალხებს აახლოვებს ძმურად, მეგობრულად!

ლევანი ელაპარაკებოდა ნემიროვიჩს, როგორც სწორი სწორს. სიტყვა არ იყო ქედდადრეკილი, რუსთაველის თეატრის დიდად ნიჭიერი კოლექტივი ხაკუთარი ღირსების დაცვით და სამხატვრო თეატრისადმი დიდი პატივისცემით ელაპარაკებოდა ნემიროვიჩს — ლევან ასათიანის სახით...

არავინ იფიქროს, რომ ეს ინფორმაციული მოგონებაა!.. ღირსების დაცვა კარგი საქმეა, კარგი იყო ის სიტყვა...

მართალი კაცი

რუსთაველის თეატრის ხამხატვრო საბჭოს სხდომაა. არჩევენ ერთ-ერთი ავტორის პიესის გენერალურ რეპეტიციას. ავტორმა პროტესტი განაცხადა: პიესის ტექსტი გადაგიკეთებიათ, მე წინააღმდეგი ვარ დამახინჯებული პიესის გაშვებისა. რა უფლება ჰქონდა რეჟისორსო?

თეატრის დირექტორმა რიხიანად განაცხადა:

— ჩვენ თქვენს პიესას კი არა, შექსპირის პიესებსაც ვახწორებთო.

გაეცინა ლევან ასათიანს. ხასაცილო რა არა-ხო? ჰკითხა თავმჯდომარემ. ეს თავმჯდომარე დირექტორობდა თეატრში.

— განა ხასაცილო არ არის, რომ შექსპირს ტექსტს უსწორებენო?.. — უპასუხა თამამად ლევანმა. — ეგ ხომ ლუკა ისარლოვის ამბავია?

ლუკა ისრალოვი აკაკის დროინდელი ცენზორი იყო. წერდა უნიჭო ლექსებს და ხშირად აწუხებდა დიდ აკაკის, უსწორებდა ლექსს.

ამის გახსენებამ ყველას ხიცილი გამოიწვია. ყველამ იცოდა ეს სასაცილო ამბავი. გაბრაზებულმა აკაკიმ დაწერა განგებ ყოვლად უხეირო ლექსი, მიაწერა „ლუკა ისარლოვი“ და გაგზავნა ბათუმის გაზეთის რედაქციაში. რასაკვირველია, რედაქციამ მაშინვე დაბეჭდა, — ეარა ვერ შებედა ცენზორ-პოეტს... ატყდა ხმაური — დასცინოდნენ ისრალოვს. აუვირდა ისრალოვი, მაგრამ გვიანლა იყო... ვერ გადაუხადა სამაგიერო აკაკის... პიესის ავტორმა კი სამაგიერო ამით გადაუხადა რეჟისორსა და ხამხატვრო ხელმძღვანელს, რომ წაიღო პიესა... ამაში, ამ სამართლიან ლიტერატურულ საქმეშიც, ლევანიც დაეხმარა მას...

ლევანმაც დაიცვა ავტორის უფლება და ღირსება: გაბედულად...

პრინციპული და პირდაპირი კაცი იყო ლევან ასათიანი. მდელვარე თეატრალურ და ლიტერატურულ მოღვაწეობაში ის ყოველთვის თავის სიმაღლეზე იდგა. ამიტომ უყვარდათ მწერლებს ის და პატივს სცემდნენ მას, როგორც მართალ კაცს...

მეც ხიყვარულით და პატივისცემით ვიგონებ ჩემს კარგ მეგობარს, მართალ კაცს, ნიჭიერსა და უხინჯოს, ლევან ასათიანს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერი გულადი, პურადი

ახლა ყველასათვის ცნობილია, თუ რაოდენ კეთილისმყოფელი გავლენა მოახდინა და რაოდენ მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ჩვენს ცხოვრებაში საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ „მავნე ტრადიციებისა და წეს-ჩვეულებების წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა შესახებ". ეს იყო დროის მიერ ნაკარნახევი დიდმნიშვნელოვანი დოკუმენტი, რომელიც მანამდე შეინარჩუნებს ცოცხალ, ქმედით ძალას, სანამ მავნე წეს-ჩვეულებები ბოლომდე არ აღმოიფხვრებიან.

დიდი ხანია მომწიფებული იყო საზოგადოებრივი აზრი ნეგატიური მოვლენების წინააღმდეგ საბრძოლველად; და აი, ხსენებულმა დადგენილებამ გვიჩვენა კონკრეტული გზები მათს დასაძლევად. ამ დადგენილებამ ცოცხალი გამოხმაურება გამოიწვია როგორც ქალაქად, ისე სოფლად. აქტიურად გამოეხმაურნენ ამ საკითხს ქართული საბჭოთა პრესაც, გამომცემლობებიც; კერძოდ, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობამ გამოაქვეყნა ვახტანგ გოგუაძის წიგნი „ერი გულადი, პურადი", რომლის ანოტაციაში აღნიშნულია:

„წინამდებარე ნაშრომში ნაჩვენებია ქართული წეს-ჩვეულებებისა და ტრადიციების განვითარების პროცესი, გაანალიზებულია, ერთი მხრივ, მათი მავნე, ნეგატიური მხარეები, მეორე მხრივ კი ის დადებითი მომენტები, რომელთა დახვეწა და სრულყოფა ყოველდღიური ზრუნვის საგანი უნდა იყოს".

ავტორი სავსებით სწორად იქცევა, როცა საკითხს ფართო სოციოლოგიურ და ისტორიულ ასპექტებში იხილავს. როდესაც ეროვნულ ტრადიციებზე ვმსჯელობთ, — წერს იგი, — არ შეიძლება არ გავიხსენოთ ეროვნული კულტურისადმი საბჭოთა მთავრობის ზრუნვის შესანიშნავი დოკუმენტი — „კანონი სსრ კავშირის ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვისა და გამოყენების შესახებ". აქ ისტორიის და კულტურის ძეგლებად მიჩნეულია არა მხოლოდ ნაგებობანი, ადგილები და ცალკეული ნივთები, არამედ „მატერიალური და სულიერი შემოქმედების ნაწარმოებები, რომლებსაც ისტორიული, მეცნიერული, მხატვრული თუ სხვა კულტურული ღირებულება აქვთ". მავნე წეს-ჩვეულებისაგან განწმენდილი ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები უნდა მივიჩნიოთ საბალხო კულტურის ჭეშმარიტ ძეგლად, რომელსაც დიდი რიდითა და კრძალვით გავუფრთხილდებით, რადგან იგი საუკეთესო მხრიდან წარმოადგენს ქართველი ხალხის ზნეობრივსა და ესთეტიკურ სახეს.

როდესაც ჩვენთან რაიმე ცუდის მხილება უნდათ, რაც ხშირად ადამიანის ზნეობრივსა და მორალურ მხარეს ეხება, მაშინვე იტყვიან — ეს წარსულის გადმონაშთიაო. ამრიგად, მონახულია მეტად იოლი გამოსავალი — თვითონ მოიხსნეს პასუხისმგებლობა, მოხსნეს ის თავის თანამედროვეებსაც და განურჩევლად, განუკითხავად, საქმის არსში ჩაუღმავლებლად და გამოურკვევლად გადააბრალეს წარსულს; იქ კი პასუხს ვერავის მოსთხოვ! აი აქ შეიძლება დაიბნეს ადამიანი, და თუ არ იცის ამ ტრადიციების ისტორია, ველარ გაარკვევს რა არის ცუდი და რა კარგი, რა მოიწონოს და რა დაიწუნოს, რა დაგმოს და რას გაუფრთხილდეს და რა შეინახოს, როგორც წინაპართა უძვირფასესი მემკვიდრეობა.

ტრადიციებიდან მავნე გადახვევები ყოველთვის შესამჩნევი იყო მეტნაკლები დოზით. მეცხრამეტე საუკუნის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის დიდი მედროშე ილია ჭავჭავაძე ამ საკითხებსაც არ ივიწყებდა და „ივერიის" ფურცლებზე ილაშქრებდა ნამდვილი ეროვნული ტრადიციების დამახინჯებისა და შერყვნის წინააღმდეგ. ზემოხსენებული დადგენილება იცავს ყოველივე ჯანსაღს, ყოველივე კარგს, კეთილს, ლამაზს, რასაც წინ მიჰყავს ჩვენი ხალხი. ეს თვალსაზრისია გატარებული სარეცენზიო წიგნშიც; მის ავტორს სწორად ესმის, რომ მავნე ტრადიციების უკუგდება ქართული ეროვნული თავნებობა ხასიათის სიმტკიცესა და დაცვას ისახავს მიზნად და არა საერთოდ უაზრო შეტევას ტრადიციების მიმართ.

როცა მახინჯი ტრადიციების, მავნე ადათ-წესების წინააღმდეგ ვიბრძვით, საჭიროა მრავალი მეცნიერებისა და დისციპლინის კომპლექსური ცოდნა, მითოლოგიურ და რელიგიურ სამყაროს გაცნობა, იმ ფესვების მონახვა, რაზედაც აღმოცენებულია ესა თუ ის წეს-ჩვეულება. მხოლოდ ამის შემდეგ შეიძლება მეცნიერული დასკვნის გამოტანა. ხშირად ამა თუ იმ ტრადიციის ფესვები შორეული საუკუნეების

სიღრმეშია საძებნელი და თითონ მას იმდენად შეუცვლია ფერი, რომ ძნელდება საფუძველში ჩასვლა და გარკვევა. ეს იცის ნაშრომის ავტორმა და ამიტომ ცდილობს მსჯელობისას საგნის სიღრმეში შესვლას; მთელი წიგნი აღსავსეა მსოფლიო ისტორიიდან მოტანილი მაგალითებით.

ავტორი სპეციალურ თავში, რომელსაც „საფლავი" ეწოდება, იმოწმებს ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას, რომელშიც აღნიშნულია: „საფლავის გაფორმება ხშირად ვერ ეტევა განსვენებულის ხსოვნის, მხატვრული თუ ესთეტიკური კატეგორიების ფარგლებში. ინტენსიურად, უგეგმოდ და ულამაზოდ შენდებოდა მარმარილოს აკლდამები. ეს საზოგადოების სამართლიან აღშფოთებას იწვევს, რადგან საფლავის მდიდრულად გაფორმებას მომეტებულად ახერხებდნენ ოჯახები, რომლებსაც დიდი, უშრომელი შემოსავალი ჰქონდათ".

ვ. გოგუაძე დაასკვნის: „ყველა გრძნობს, პირველ რიგში, ჭირისუფალი, თუ რა უგონოდ იხარჯება ოჯახისათვის, ერისათვის საჭირო თანხები. რამდენი ბრძნული წიგნებით სავსე ბიბლიოთეკის, საავადმყოფოს და ბავშვთა სახლების აშენება შეიძლებოდა, რომ ჩვენი სასაფლაოები ქართული მამაპაპური წესის მიმდევარი იყოს. ეროვნული ტრადიცია რომ არ დარღვეულიყო".

ქართული კლასიკური სტილი ყოფასაც და ხელოვნებაშიც მუდამ მოითხოვდა უბრალოებას, სისადავეს, სიფაქიზეს, სინათლეს.

„ერი გულადი, პურადი" — წიგნის სათაურად აღებული ეს სიტყვები გრ. ორბელიანისა შესანიშნავად, იშვიათი ლაკონურობით გამოხატავს ვ. გოგუაძის ნაშრომის დედააზრს. სწორედ ასეთი იყო, არის და იქნება ქართული ხასიათი... ქართველი კაცის ბუნებას, მისი ხასიათის პირდაპირობას ავტორი თვალს გაადევნებს მთელი ისტორიის მანძილზე; აი, მაგალითად, აიღეთ სტუმართმოყვარეობის და, უფრო ფართოდ, ხალხთა მეგობრობის გრძნობა. ვ. გოგუაძეს მოჰყავს დავით აღმაშენებლის მაგალითი და წერს: „ქართველ ხალხს უფლებამოსილად შეუძლია იამაყოს ხალხთა შორის მეგობრობის საკუთარი ტრადიციებით. მის ისტორიულ მიწა-წყალზე სხვა, მრავალი ეროვნების პირმშოთ თავი არასოდეს უგრძვნიათ უმეგობროდ, უმეზობლოდ. ასეთი იყო ჩვენი ისტორიული სინამდვილე. და ეს სინამდვილე შეგნებული, გაცნობიერებული ფაქტი გახლდათ ქართველი ხალხისა და მისი წინამძღოლებისათვის. ქართველ მეფეთა შორის დავით აღმაშენებელს ბადალი არა ჰყავს; ეს იყო დიდი საკაცობრიო გულისა და სულის კაცი, იგი არა მოჩვენებით, არამედ შინაგანი რწმენით პატივს სცემდა ყველა ერის ენასა და რწმენას, თანასწორუფლებიანობის პრინციპს. ამიტომ ადიდებს მას დიდი ილია: „ჩვენს მატიანეებს თავი დავანებოთ და ვიმოწმოთ სხვა ერის მატიანენი; ისინიც კი აღტაცებით იხსენიებენ დავით აღმაშენებელს, როგორც კაცს, პატივისმცემელს და შემწყნარებელს სხვა ერისას და სხვა რჯულისას".

შემდეგ ილიას მოჰყავს მაჰმადიანი მწერლის ალ-ლაინის სიტყვები:

„...დავითი თავის შვილით დიმიტრითურთ ყოველდღე დადიოდა უმთავრესს მეჩეთში, ისმენდა სამეფო ლოცვას და თვით ყორანის კითხვას. დავითი უხვად აძლევდა ფულს ქატიბს და მეუძინებს. მან ააშენა უცხო ტომთათვის ქარვასლები და პოეტთათვის, რომელთაც ულუფას უნიშნავდა. თუ ვინმე ისურვებდა ტფილისის დატოვებას, გულ-სავსებით ხელს უპყრობდა და მგზნებარების ღონისძიებას აძლევდა ფულით".

„დავითის ასეთი ინტერნაციონალური მოღვაწეობა, — დაასკვნის ავტორი, — უტრადიციო მოვლენა არ იყო. ქართველი მეფეები, როგორც ჩვენი ისტორიკოსები შენიშნავენ, ადრეც გულუხვად ექცეოდნენ უცხო ტომის ხალხს, ყოველ შემთხვევაში ჩვენს მიწა-წყალზე ქართველთაგან დაწიოკება არავის განუცდია. ინტერნაციონალიზმი ქართველ ხალხს საუკუნოვანი ტრადიციებით მოსდგამს".

აღსანიშნავია, რომ ამ ფაქტმა შესანიშნავი გამოხატულება ჰპოვა თვით ქართულ ფოლკლორში. გაიხსენეთ ცნობილი ხალხური ლექსი „წუთისოფელი რა არი".

ქართველი ხალხი აგრძელებს თავის საუკუნოვან ტრადიციას — ხალხთა შორის მეგობრობის დიდებულ ტრადიციას. მრავალეროვანი საბჭოთა ხალხი, ლენინური ეროვნული პოლიტიკის დროშის ქვეშ დარაზმული, დაუღალავად იღწვის და ავითარებს შინაარსით სოციალისტურ, ფორმით ეროვნულ კულტურას. ჩვენი წყობილების სიდიადე, ინტერნაციონალიზმის სიმაღლე იმაში მდგომარეობს, რომ იგი ყველა ხალხის თვითმყოფადი კულტურის განვითარებას უწყობს ხელს.

ა. ხუციშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გარდასულზე და აწმყოზე

როდესაც ქართველი ერის ისტორიაზე დაწერილ რომელიმე მეცნიერულ ნაშრომს ვკითხულობთ, სადაც, ყოველ ნაბიჯზე, ჩვენი ხალხის ავბედითი ცხოვრების უამრავი შემზარავი ამბავია მოყოლილი, სადაც ხანმოკლე მშვიდობიანი პერიოდების გვერდით განუწყვეტელი ხოცვა და რბევა, დალატი და საშინელი მზაკვრობანია აღწერილი — გვიკვირს როგორ ახერხებდა ავტორი არ აჰყოლოდა ემოციებს და ყოველივე საღი განსჯით მოეთხრო — გვიკვირს, რადგან ბევრი მცირე ეპიზოდიც კი ქართლის დრამატული ცხოვრებისა შექსპირის წარმოსახვის ტოლფარდია; მაგრამ ჭეშმარიტი ისტორიკოსის ერთი მთავარი დირსება ისიც არის, რომ წარსულის მხურვალე ფოლიანტები მხოლოდ მის გულს ეხებოდეს და არა გონებას. სულ სხვა საქმეა მწერალი, სხვა თვისებებთან ერთად მას ისტორიკოსისაგან ისიც განასხვავებს, რომ ემოციურ სურათებს ხატავს და ასე ზემოქმედებს მკითხველის განცდებზე, მის მგრძნობელობაზე. დიდი სახელების გახსენება არა გვაქვს მიზნად. ჩვენ უბრალოდ იმის აღნიშვნა გვინდა, თუ როგორ იგებს, როგორ გავლენას ახდენს მხატვრულ-ისტორიული ნარკვევი, როდესაც მკითხველს ყოველი ბწკარის ნიღმა ავტორის გულის ფეთქვა ესმის, როდესაც ავტორის თხრობის მანერა გრძნობიერი და აღელვებულია იქ, სადაც ისტორიული მასალა სხვა გასაქანს არ იძლევა, და მშვიდი ან პათეტიკურია, როდესაც მის მიერ მოთხრობილი წარსულის ამბები იმედის მომცემი, გმირული შემართების და უკეთესი მომავლისათვის დაუცხრომელი ბრძოლის მაგალითებს იძლევიან. სწორედ ასეთია ციალა არდაშელიას ისტორიულ-მხატვრული ნარკვევების კრებული „ვინ იყო ქვათა ამათა მკვეთი“; იგი დაწერილია პატრიოტიზმის, წარსულის კულტურის ძეგლების დაცვისა და გამომზეურების იდეის თანამედროვე მიდგომით და ჩვენი ხალხის ეს მოწინავე და უცვლელი სულისკვეთება გადმოცემულია პუბლიცისტური პათოსით, ამაღელვებლად და გადამდები უშუალობით.

ციხე გალავნის სჩქეფს სისხლის წვეთი,
დღე შემმუსვრელთა ალთა კიდებით.
ვინ იყო ქვათა ამათა მკვეთი?
იგი არ ჰკვდება გულდამშვიდებით.
სურო და ხავსი ღალღით, გვრიტებით,
ვამჩნევ თვალებზე ღრუბელთა რონინს,
გაშლილან ნისლთა პირამიდები
ვაი დრონი, დრონი.

გალაკტიონ ტაბიძის ეს სტრიქონები აქვს წამძღვარებული ნარკვევს, რომლითაც იხსნება კრებული, იქვეა მხატვრული წიაღსვლა: კოლხ ხელოსანს ფინიკიელი მოგზაური და ვაჭარი სწვევია. იგი აღფრთოვანებას გამოსთქვამს ყველაფრით, რაც ამ ქვეყანაში ნახა — ტყემდინარეებით, დაბა-ქალაქებით, კეთილშობილი, მშვენიერი ხალხით და სიუხვით.

„თქვენ ჭეშმარიტად უუმშვენიერესი და... უუბედურესი ერი ხართ ამავე დროს, ქუჯი ბატონო, მომიტევეთ ჩემი გულახდილობა. უუბედურესი იმიტომ, რომ მშვენიერების დაუფლების სურვილი ყოველთვის ექნება როგორც გაუთლელ, ტლანქ ბარბაროსს, ისე განათლებულ, ცივილიზებულ ადამიანს... მე კიდით-კიდე მოვიარე თქვენი მხარე! მისი მდიდარი დაბა-ქალაქები, უხვი მიწა-წყალი და ამდენი ნასოფლარი, ნაქალაქარი, პარტახი, ნაოხრი ადგილი სხვაგან არსად შემხვედრია. სტუმარმა თასი გამოცალა და ისევ დადუმდა. მასპინძელი მცირე ხანს იჯდა გაჩუმებული, ხმას არ იღებდა, მერე მშვიდი, წყნარი ხმით სტუმარს მიმართა: — მე ერთი უბირი ხელოსანი ვარ მხოლოდ, სახელოვანო მოგზაურო, მაგრამ კარგად მესმის შენი და გულით ვგრძნობ, სიყვარული გალაპარაკებს ასე. მეც ბევრჯერ მიფიქრია ამისთანებზე და მინატრია ხანდახან, იქნებ სჯობდა, დალოცვილ ღმერთს ჩვენთვის ჭრიოკი, უდაბური ადგილი ებოძებინა საცხოვრებლად და არა ესოდენ თვალწარმტაცი ქვეყანა-მეთქი. სხვა დროსაც ბევრჯერ მსმენია უცხოელთაგან აღტაცებული, აღფრთოვანებული სიტყვები — ეს რა ბუნება გაქვთო; ასეთი ნატიფი, ჩამოქნილი სახეები ელინებს თუ ექნებათო, ასეთი ლამაზი ლარნაკების, ასეთი სამკაულების გაკეთება მხოლოდ ბერძნებს თუ შეუძლიათო. დიახ, დახელოვნებული და ჭკვიანი ხალხია ელინები... მაგრამ... ჩვენ ბერძნებამდე ვიყავით, ბერძნებამდე გვქონდა ჩვენი კულტურა, ისტორია... მე ვანის ქალაქის ერთ-ერთი რიგითი ოქრომჭედელი გახლავართ. მე ჩემი უძველესი ხალხის შვილი ვარ და ასეთად ვგრძნობ თავს მაშინაც, როცა ვმუშაობ და ვქმნი. ამიტომ ვამბობ, ჩვენ ბერძნებამდე ვიყავით-მეთქი. მერე მოვიდნენ ბერძნები — ჩვენზე უფრო ძლიერნი, უხეშნი, უკეთ შეიარაღებულნი და უფრო მოხერხებულნი. და გაგვძარცვეს, აგვაობრეს, წაგვართვეს, შეგვიგინეს ჩვენი სალოცავები და წავიდნენ. მერე მოვიდნენ სხვები, ბერძნებზე უფრო უხეშნი, ტლანქნი, ძლიერნი და... ასე დაუსრულებლივ.

---

* ციალა არდაშელია — „ვინ იყო ქვათა ამათა მკვეთი“. გამომცემლობა „საბჭოთა საქართველო“, თბილისი, 1978 წ.

...როცა, რამდენიმე წლის შემდეგ ფინიკიელი მოგზაური და დიდვაჭარი კვლავ ეწვია კოლხეთს — ქვეყანა მოოხრებული დახვდა. ადარსად იყო დიდებული ციხე-ქალაქები. ნაცარსა და მტვერში იწვა იავარქმნილი, ოდესღაც სახელგანთქმული საკულტო ქალაქი ვანიც. ცოცხლებში ადარ იყო კოლხი ოქრომჭედელიც, უბადო ნაკეთობათა დიდოსტატი.

გავიდა სისხლიანი საუკუნეები... ხმლის ჭნეულსა და ბედთან ჭიდილში.

ათასწლეულებში სისხლსა და ცრემლში მიინავლა ძველი კოლხეთის დიდება, მაგრამ... ერთ რამეში მაინც შეცდა სახელოვანი ფინიკელი მოგზაური: „ადარ ეწერა თურმე სიკვდილი კოლხეთის სულს“ — დიახ, ვერაფერმა ვერ გადააშენა საქართველო — აი, ციალა არდაშელიას წიგნის მთავარი პათოსი, რომელიც ისეთი სტრიქონებიდანაც კი გამოსჭვივის, როცა ავტორი ჩვენი ქვეყნის წარსულის, უაღრესად უიმედო წარსულის მდგომარეობას ხატავს. ვანის კულტურა, ძველი კოლხეთის ცივილიზაციის უწყვეტი ჯაჭვია, რომლის რგოლებიც უხვად მოიპოვება სამხრეთითაც და აღმოსავლეთითაც.

ლაზეთი — მტკივნეული ადგილია ჩვენი წარსულისა, „დავიწყებულნი ვართ ჩვენ ძველო ძმანო“ — ამბობს ლაზური ხალხური ლექსი. და თითქოს დავიწყების ამ ბურუსში დაკარგვის, თავისი სამშობლოს ცა-ღრუბელის მოშორების შიშით ეპასუხება მას მეგრული ხალხური ლექსის სიტყვები — „ვაიმე დედა, ნუთუ დავიკარგები, ჩემი ცოდვა!“ მაგრამ როგორც ციალა არდაშელია ლაზეთისადმი მიძღვნილ ნარკვევში ამბობს — „ცოცხლობენ ლაზებიც, ყველას გასაოცრად ახერხებენ შეინარჩუნონ თავიანთი მეობა“. ამ და სხვა ნარკვევებშიც ციალა არდაშელია ხშირად რაიმე მეცნიერულ დებულებას თუ ჰიპოთეზას ბელეტრისტულ ქვეტექსტებს გამოუნახავს ხოლმე და მხატვრული ილუსტრაციის გზით ცდილობს უფრო ნათელი გახადოს უკვე ცნობილი ისტორიული დებულება თუ მეცნიერული ჰიპოთეზა, მალითების მოყვანა შორს წაგვიყვანს, ჩვენი ნათქვამი მკითხველს ადვილად შეუძლია შეამოწმოს.

ყველაზე ვრცელი ნარკვევი კრებულში აჭარის განთავისუფლების ასი წლისთავისადმია მიძღვნილი. მკითხველი, რომელმაც იცის საქართველოს ამ კუთხის ისტორია, ადვილად წარმოიდგენს თუ რა ასპარეზს გადაუშლიდა ეს თემა თავის ქვეყანაზე გულმხურვალედ შეყვარებულ მწერალს. აქაც, როგორც სხვა თავებში, წარსულის ისტორიას, მის ცალკეულ მომენტებს განუწყვეტლივ ენაცვლება ჩვენი დღეები, თანამედროვე ამბები, დღევანდელი აჭარის კულტურა, მისი ხალხი, მათი მიღწევები. საინტერესოა ერთი ადგილი: „ერთ ნარკვევში ვცადე გამომეთქვა ის წუხილი, რაც მაშინ განვიცადე: ერთი კონდოლელი (სოფელია კახეთში) ნაცნობის ნათქვამი გამახსენდა — რანაირია მანდარინის ხე და ჩაის ბუჩქი, სინამდვილეში არ ვიცი, მხოლოდ კინოში მიქვს ასეთი ნანახიო. ალაზნის ზვრები ალბათ კინოში თუ უნახავს ამ აჭარელ გოგონებსაც-მეთქი.

ჩვენი რესპუბლიკის ბევრ კოლმეურნეობის სოციალისტურ შეჯიბრებაში ჰყავს გამოწვეული სხვადასხვა რესპუბლიკების კოლმეურნეობები, ეცნობიან ერთმანეთს, მეარდება მეგობრული ურთიერთობა. ეს ჩინებული საქმეა, მაგრამ ხომ არ ვივიწყებთ ხშირად საკუთარ კუთხეებს?... იცნობენ კი ერთმანეთს კარგად საკუთრივ ჩვენი მხარეები?“. ავტორის ეს აზრი საყურადღებოა და მისასალმებელი, რადგანაც, როგორც თვითონ იგი დასკვნის — „ზოგი ახალგაზრდა კი უცხოელ ტურისტისაგან იგებს თავისი კუთხის ისტორიას“.

ახალგაზრდა მკითხველი, რომელიც დაინტერესებულია ჩვენი ქვეყნის წარსულით, სიამოვნებით წაიკითხავს ც. არდაშელიას წიგნს, თუ, რა თქმა უნდა, ხელი მიუწვდა მასზე, რადგანაც წიგნი ძალიან მცირე ტირაჟითაა გამოცემული — ათასი ცალი.

ნ. ᲒᲣᲚᲘᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘ

6 1957/49

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 80 კაპ.

ინდექსი
76128

„МНАТОБИ“

ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ
И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ

ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ